ზ ო რ ჩ ი ლ ა ძ ე

ქართულის რვეულები

XIX საუკუნის სურათები

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

აკა მორჩილაძე

ქართულის რვეულები

XIX საუკუნის სურათები

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი, 2014, 2016

რედაქტორი თეა ქიტოშვილი
დიზაინერები: ია მახათაძე, გიორგი კევლიშვილი
ფოტოების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით
გიორგი ქართველიშვილს,
მაია სუმბაძეს და ირაკლი მახარაძეს.

© აკა მორჩილაძე, 2013
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
დავით აღმაშენებლის 150, 0112, თბილისი
ელფოსტა: info@sulakauri.ge
ტელ.: 291 11 65, 291 09 54

ISBN 978-9941-15-790-5

Aka Morchiladze

GEORGIAN NOTES

Published by Sulakauri Publishing in 2014, 2016

All rights reserved.

www.sulakauri.ge

— სარჩევი —

წინასიტყვაობა 5
ძველი თავადი 7
პირველი ყაჩაღი 18
ტატოს ცხოვრება 30
ოპერა 40
ახალი დროება 52
ილია სახლში და სამსახურში 58
გაზეთები, გაზეთები 69
მარტო და მტკიცედ 80
შექსპირის ხალხი 89
ლუკა და ძმები 103
ღვინო, თბილისი და სხვა სიტყვები 130
თეატრი 145
გურია 154
გრძელი სურათი რევოლუციის 162
ნიკალა 211
შემოვიდნენ რუსებიიი... 233

— წინასიტყვაობა —

ერთი ხნის წინათ ბევრს ვკითხულობდი ასი წლის წინანდელი ქართველების მოგონებებსა და ჩანაწერებს. იმ წაკითხულიდან რაც დამელექა თავში, იმის ერთი ნაწილი ასეთი გამოდგა.

ეგებ ამ ნაწერებში ბევრი რამ ზუსტი არ იყოს, მაგრამ ამბად ასე დამრჩა გონებაში და აღარ გამოვედევნე. მთავარი ხომ მაინც ის არის, რაც გულს სამუდამოდ დააჩნდება.

მეტი არაფერი.

— ძველი თავადი —

ქართველ თავადებზე როცა ფიქრობ კაცი, უამრავი რამ გაგახსენდება.

ალბათ გაგახსენდება ხმალი, სიათა თოფი, ანდა ხირიმი, ქორი და კაპუეტი და მეფის ტახტი, რომლისთვისაც ხშირად თავი დაუდიათ და ხშირად არც დაუდიათ.

თუმცა, ჩვეულებრივი ტახტიც აუცილებლად გაგახსენდება.

მაინცდამაინც ნამდვილი ქართველი თავადები არც გჭირდება, მოგონილიც გეყოფა.

მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძე: ყველაზე ცნობილი მოგონილი ქართველი თავადი.

მოგონილი კაცია, მაგრამ მთლად არც არის მოგონილი.

იმ დროის საქართველოში არსებობდნენ ლუარსაბზე ცუდი თავადებიც და ლუარსაბზე კარგი თავადებიც.

მაგრამ ყველა ამათგანს რაღაცა ჰქონდა ლუარსაბისა, თვითონ მის ავტორს და შემქმნელსაც კი.

ილია ჭავჭავაძეს ძალიან უყვარდა ტახტზე წამოწოლა: შინაური ხალათი, თავზე თურქული ქუდი და თამბაქო – ეს იყო მისი საყვარელი დასვენება.

ასევე უყვარდა მის სიმამრსაც, თადეოზ გურამიშვილსაც.

ერთი ძველი დროის კაცი იგონებს, როგორ ნახა პირველად თადეოზ გურამიშვილი. ნამდვილი ძველი საქართველო დამიდგა თვალწინო, ასე ამბობს.

ძალიან გრძელთეთრულვაშიანი კაცი იწვა ტახტზე და წინ ედო უგრძესი ჩიბუხი, რომელიც ოთახის ბოლოს სწვდებოდა და როცა

თადეოზს გაბოლება მოუნდებოდა, დაიყვირებდა: „ბიჭო, ცეცხლი, ბიჭო, ცეცხლი!“ შემოვარდებოდა მსახური და წაუკიდებდა ამ ჩიბუხს.

ასე იყო.

იმერეთისკენ რომ გადავუხვიოთ, აკაკი წერეთლის მამა, როსტომიც, დიდი მოყვარე იყო ტახტისა. წამოწვებოდაო, იხსენებს აკაკი და ასე გამოდის, რომ მშვიდობიანობაში სოფლის თავადის ადგილი იყო ტახტი.

ასეცაა აღწერილი „კაცია ადამიანში?!“. იქ ყველაფერი ტახტზე ხდება – ბუზების დათვლა, საჭმელზე ლაპარაკი, ოცნებაც.

და საერთოდ, ეს უსაქმურობა დიდად რთული რამ ჩანს თავადისთვის.

ტახტზე კოტრიალი ეგება არც იყოს უსაქმურობა, მამულებს ხომ უნდა მიხედო კაცმა! მაგრამ როცა ომი ან ნადირობა არ არის, თავადობა მოწყენილია.

ეს არის ძველი, ფეოდალური ცხოვრების კანონი.

გრიგოლ ორბელიანი სწერდა თავის ძმებს თავისი შორეული სასამსახურო ადგილებიდან, ბიჭო, ის დრო წასულია, მარტო ქორი და ცხენი აღარ გვეყოფა, ახლა სწავლა არის საჭირო, ყველა სწავლობს აქაო.

ქართველი თავადებიც სწავლობდნენ, ოღონდ უკვე ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი სწავლა პატივში არ იყო.

თვით ლუარსაბიც ამბობდა, მაშინ წახდა ქართველი კაცის საქმე, რაც ეს ეშმაკური სკოლები შემოიღესო.

სწავლა არ იყო თავადის საქმე, თავადის საქმე იყო თავადობა.

როსტომ წერეთელი თავის სიცოცხლეში კითხულობდა ორ წიგნს: „სახარებასა“ და „ვეფხისტყაოსანს“. ეს ორი წიგნი იყო ქართველი თავადის სახლის წიგნი. შეგხვდებოდათ სხვებიც, „ყარამანიანები“ და ასეთები, ოღონდ უფრო აღმოსავლეთ საქართველოში.

არც ასე იყო, რომ თავადობა წერა-კითხვას ძალით არ სწავლობდა. მაშ, აბა ვინ თარგმნა „ყარამანიანი“? დავით სარდალმა. მაშ, ვინ იყვნენ პოეტები და განმანათლებლები? თავადები იყვნენ, მაგრამ თავადების უმრავლესობა მისდევდა ძველისძველ, ჩაკეტილ და მყუდრო წესს ცხოვრებისას და ლუარსაბობას.

ეს ცხოვრება კი მიექანებოდა დასასრულისკენ.

რუსები რომ შემოვიდნენ, საქართველოში დაუხვდათ დიდი თავადობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, მეფის ოჯახს ჩაბმული ხალხი, და ასევე, ჩვეულებრივი თავადობა.

ქართველ თავადობას წინ ედო დიდი ცვლილებები და დიდი მოულოდნელობები, დიდი საჩუქრები და რასაკვირველია, დიდი თავში წამორტყმებიც.

დიდი დავიწყებებიც.

ცოტა უბრალოდ რომ ითქვას, საქართველოში შემოსულ რუსებს დაუხვდათ ულვაში როსტომ წერეთლისა.

იმ დროის თავადობაში ულვაშს მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ნებისმიერ ქაღალდსა და საბუთს, თუკი თავადიშვილი ღირსების საქმეს მისდევდა.

ულვაში, ანუ ღირსების კაცის სიტყვა.

აკაკი წერეთელი იხსენებს მამამისის ცხოვრების ერთ ეპიზოდს:

როსტომ წერეთელთან სახლში ფრანგები მისულან.

ჭიათურის მარგანეცი, კონცესიები, მთელი ამბავი და ამ ფრანგებს მიწის ყიდვა ნდომებოდათ, სადაც საბადოების გათხრას დაიწყებდნენ, და ალბათ უნდოდათ შეემოწმებინათ, იყო რაიმე სასარგებლო წერეთლის მიწებზე თუ არა.

როსტომმა მიიღო ისინი ძალიან თბილად და ქართველურად და ბოლოს საქმე საბუთების ხელმოწერაზე მიდგა: ხალხს მიწის ყიდვა უნდა და ქაღალდს ხომ უნდა მოეწეროს ხელი?

როსტომ წერეთელმა არაფრით არ მოანერა ხელი ქაღალდს.

ეს დიდ დამცირებად მიიჩნია.

თანხმობა ნათქვამი ჰქონდა, ულვაშზე გადაისვა ხელი და ჩათვალა, რომ ეს ყველაფერს ნიშნავდა.

შვილო, მეტი რაღა ვუთხრა, სიტყვა ვუთხარი და ულვაშზე ხელი დავიდეო, – უთხრა აკაკის.

საქართველო კარგა ხანს იყო ძველი, რაინდულ წესებშემორჩენილი თავადების საქართველო და ეს ყველაფერი ქრებოდა, ახალ ცხოვრებას ახალი წესი მოჰქონდა.

ხოლო ძველის ყველაზე კარგი და ხილული გამოხატულება იყო თავადი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების მეთაური.

ძალიან თავისებური კაცი იყო ეს ალექსანდრე, ძალიან ლამაზად და ღირსეულად ხედავდა საქართველოს და ამის გამო აქილიკებდნენ კიდეც.

მას რომ საქართველო წარმოედგინა, ის საქართველო ძნელი საპოვნელი იყო.

სადაც ის იყო გაჩერებული, იქ აღარავინ იყო მის გარდა.

ჰოდა, ვთქვათ ძველი თავადისა.

ბაბუა და შვილიშვილი გავიხსენოთ, მოხუცი კაცი და პატარა გოგო, რომელიც ოთხი-ხუთი წლის თუ იქნებოდა მაშინ, როცა ბაბუა სამოცდაათს იყო მიტანებული.

ბაბუა ძველებურად ცხოვრობდა: მისი და ბებიის ოთახი იყო გრძელი და ნათელი და მოწყობილი ასევე ძველებურად. იქ არ იდგა ახალი ევროპული ავეჯი. იქ იყო ორი ქართული ტახტი, ზედ დაგებული ლეიბებითა და თექით.

ერთი ტახტი ბაბუისა იყო.

ტახტზე ბაბუას არა მხოლოდ ეძინა, არამედ იჯდა კიდევაც ზედ ფეხმორთხმული, ძველებური წესით.

ეს ნაჩვევი წესი იყო ქართველებისთვის, სპარსული მემკვიდრეობა.

ტახტზევე ბაბუას ედგა პატარა, სამფეხა მაგიდა. ეს მაგიდაც მისი ქართული წერის წესისთვის იყო საჭირო, იმიტომ, რომ ბაბუა თითქმის ყოველდღე წერდა.

ის იშვიათი თავადი იყო, წერა უყვარდა. მოსდგამდა გვარითა და საქმით.

ტახტის უკან იყო თახჩა, სადაც მოწესრიგებულად ელაგა ქაღალდები: ქვედა თაროზე სუფთა ფურცლები, შუათანაზე ის, რაც დაწყებული აქვს და ჯერ არ დაუმთავრებია, ზედა თაროზე კი უკვე დამთავრებულები, როგორც იტყვიან ხოლმე. ბაბუა ფანქრით წერდა, იმ დაბალ მაგიდას მიიდგამდა ტახტზე ფეხმორთხმით მჯდომი. შვილიშვილი შეიპარებოდა ხოლმე და უყვარდა იმ სიჩუმეში ყოფნა, როცა კაცი რაღაცას აკეთებდა, თითონ კი თამაშობდა ხოლმე. პატარა იყო და ხშირად მიავიწყდებოდა ბაბუა და ატეხდა ხმაურს ან სიცილს ან რაღაცას, როგორც ბავშვებმა იციან ხოლმე, როცა თოჯინებს ელაპარაკებიან.

ამ დროს ბაბუა გამოხედავდა და ძალიან ტკბილად ეტყოდა, აი, ახლა აზრი გამაწყვეტინე და თუ ჩუმად არ იქნები, დავუძახებ არაფანას და წაგიყვანსო.

არაფანა ლეკის ქალი იყო, შვილიშვილის გამზრდელი, თვითონ კი ბაბუის გაზრდილი იყო და არაფანა საერთოდ არ ერქვა.

სახლში ანუშკას ეძახდნენ, მაგრამ ბაბუას წესად ჰქონდა, რომ ყველასთვის თავისებური სახელები დაერქმია.

შამილის ომებისას ბუხრის უკან მიმალული არაფანა რუსის ჯარისკაცებმა იპოვეს ერთ ამოწყვეტილ ოჯახში. შეეცოდათ და წამოიყვანეს.

მერე გოგო ყვარელში მოხვდა, სადაც მაშინ ბაბუა და ბებიაც ყოფილიყვნენ სტუმრად, და თბილისში წამოიყვანეს.

ბიძამ მოძებნა მერე ეს პატარა ლეკის გოგო და წაყვანა უნდოდა, მაგრამ არაფანა არაფრით არ გაჰყვა და დარჩა ასე ბაბუას ოჯახში.

ბაბუა ძველი კაცი იყო და ახალი დროების პირობაზე საკმაოდ უცნაურიც.

ყველა დიდი პატივით ექცეოდა, მაგრამ ზოგჯერ ოხუნჯობდნენ კიდეც მის გამო.

ბაბუას ერქვა სწორედ ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, ხოლო შვილიშვილს – მარიამ ქობულაშვილი.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქართველი თავადი.

ერთ-ერთი კი არა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი გამორჩეული ქართველი თავადი თავისი სიცოცხლის ბოლოს, იმიტომ, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ასეთი იერისა და შეხედულებების ქართველები უბრალოდ აღარ არსებობდნენ.

ის ნაწვალები და ალალ-მართალი კაცი იყო.

მეფე ერეკლეს შვილიშვილი გახლდათ, თეკლა ბატონიშვილისა და ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანის ვაჟი.

მისი ოჯახის ისტორია საოცარი და დრამატული იყო და მისი ცხოვრებაც თითქოს მთლიანად გამომდინარეობდა ამ ოჯახის ისტორიიდან.

მამამისი კახეთის აჯანყების ჩაქრობის დროს დაიღუპა: ერთ კახელს შეაკლა თავი, როგორც თავად ალექსანდრე გვიამბობს თავის მოგონებაში, სადაც აღწერილია ფეხმძიმე თეკლასა და ვახტანგის გამოთხოვება და ცრემლი, დარდი და ორად გახლეჩილი კაცის ტრაგიკული ამბავი, რომელიც ცოლს „ბატონოთი“ მიმართავს. რუსთ ხელმწიფის სამსახურში ყოფნა ვახტანგს კახელებთან ბრძოლას ავალებდა, გული კი სხვას ეუბნებოდა.

მეცნიერები წერენ, რომ მას თავი არ შეუკლავს იმ ერთი კახელისთვის, არამედ ბრძოლაში დაიღუპა. ალექსანდრე სხვასა წერს და ეს მოულოდნელიც არ არის. მარიამიც ასე იხსენებს, ოჯახში ასე ითქმებოდა, თავი შეაკლაო, ანუ მოიკლაო. მთავარმმართებლის ბრძანებას ვერ გადავიდოდა, წაუსვლელობა არ იქნებოდა, წასვლას კი ძლიერ განიცდიდა. ძველებური სიტყვა, „ორიანობა“ რომ გავიხსენოთ, ვახტანგი ქართველ თავადთა ჩვეული ვითარების მსხვერპლი შეიქნა და დაურჩა სამი ვაჟი, რომელთაგან ნაბოლარას დაბადებას ვერც მოესწრო.

ბაბუა იშვიათი ოჯახის შვილი იყო.

მას ყველაფერი სხვანაირად ჰქონდა. არა ისე, როგორც ჩვეულებრივ აქვთ თავადებს.

თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ხომ იყო, ერეკლეს ერთ-ერთი ნაბოლარა და უსაყვარლესი შვილისა.

თეკლას ბავშვობიდან ბიჭად აცმევდნენ. ეს მამის ახირება იყო და ხალისიანი სიგელიც კი არსებობს პატარა კახისა, რომ დღეიდანო,

გოგო აღარ არის თეკლაო, ყველას ვუბრძანებ, რომ მას თეკლა-ბიჭი დაუძახონო.

ამიტომაც, თეკლა დაოსტატებული იყო ხმალშიც და სროლაშიც.

უკვე მერე, ასაკში შესული, მოხუცებული, სოლოლაკზე სეირნობის დროს, სადაც ძველთავადურად ხალიჩებს გააგებდნენ მდელოზე და წამოკოტრიალდებოდნენ, ახალგაზრდები შეუჩნდებოდნენ ხოლმე ბებია თეკლას, ესროლე, ბატონიშვილო, ესროლეო. მოუტანდნენ თოფს და ერთს არ ააცდენდა, ჩამოყრიდა ხოლმე შაშვებს.

აი ასეთი იყო მოხუცი თეკლა. ახალგაზრდა თეკლა კი იყო საკმაოდ ძალმოსილი და ჭკვიანი და მოდგმით პოლიტიკოსი. სამი ვაჟი ჰყავდა და ვერცერთი ვერ გადავიდოდა ხოლმე იმის სიტყვას.

ბაბუა დიდად ნაწვალები კაცი იყო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც შეთქმულთა მეთაური, გადაასახლეს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ოჯახობის მდგომარეობა დამცრობილი იყო, არამედ იმიტომაც, რომ ძალიან განიცდიდა ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა.

ის ძალიან განიცდიდა თავისი საქართველოს გადაკეთებას და სწრაფ ცვლას.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი იყო 1832 წლის შეთქმულების მეთაური და ეს ამბავი მის ცხოვრებაში გარდამტეხი გამოდგა.

ის ძალიან შეიცვალა.

ძალიან ერიდებოდა უცხოებთან ლაპარაკს.

სახლშიც კი, შინაურებში, ზოგჯერ სანთლები ჩაუქრია და სიბნელეში ვილაპარაკოთო, უთქვამს, იფიქრებენ, რო გვძინავსო.

მაგრამ იმავე დროს შეთქმულებამ შესძინა უზარმაზარი გამოცდილებაც.

ის იყო მტკიცედ დარწმუნებული და სრულიად ურყევი, რომ რუსებისგან ხეირი არ იქნება და ძველი საქართველოსი აღარაფერი დარჩება.

ძველი საქართველოს გაქრობას ის უკავშირებდა რუსების შემოსვლას და არა სამყაროს ცვლილებებს. ის თვლიდა, რომ საქართველოში ყველაფერი იცვლება იმიტომ, რომ გაუქმდა ძველი სამეფო და ქვეყანა „ოხრებმა“ ჩაიგდეს ხელში. მისთვის ყველაფერი ძველი იყო კარგი, ახალი კი უვარგისი. ის განიცდიდა პაპამისის სამეფოს ისე ცოცხლად, რომ ვერავინ წარმოიდგენდა. ის ცხოვრობდა იმ სამეფოში.

ალექსანდრე ორბელიანმა ახალი დროის და ახალი ცხოვრების არ მიიღო არაფერი – არც ანბანიდან ასოების ამოკლება, არც ტანსაცმელი, არც ავეჯი, არც ცხოვრების წესი, ტემპი თუ რიტმი.

ერთადერთი, რაც მან გარესამყაროსგან და სიახლისგან მიიღო, ეს იყო შავი პარიკი. ორბელიანები ადრე მელოტდებოდნენ და ალექსან-

დრემ როგორღაც მოირგო პარიკი. თუმცა, ბევრმა არავინ იცოდა ესა.

ასეთი კაცი იყო: ეცვა ძველებური, ყურთმაჯებიანი კაბა, ფართე ქართული შარვალი და ძველებური თავადური წუღები. ცხოვრობდა ისე, როგორც ესმოდა და ეს გამოჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმების საკითხი იდგა რუსეთში და იყო დიდი კამათი და უფროს თავადთა შფოთი ამის გამო.

ის ძალიან განიცდიდა ყმების განთავისუფლებას. იტყოდა ხოლმე: ბატონყმობა ჩვენთან, ბიჭო, ბატონყმობა არ ყოფილაო, ეს რუსებს შემოჰყვაო, ჩვენთან ბატონყმობა მამაშვილობა იყოო.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი რომანტიკოსი კაცი იყო და როგორც თვითონ ექცეოდა თავის ყმებს და როგორიც იყო საბრალო ხალხის მიმართ, ისე ეგონა სხვებიც.

ალექსანდრეს ეკუთვნოდა პენსია, როგორც ბატონიშვილის შვილსა და შთამომავალს, თეკლას პენსია, როგორც სამეფო ოჯახის წევრისა.

ჰოდა, ამ პენსიას რომ იღებდა, სახლში არ მიჰქონდა: მხოლოდ სამმანეთიანს გადაკეცავდა და ჩაიდებდა, ეს ჟურნალ-გაზეთებისთვისო. ჟურნალ-გაზეთები კი სჭირდებოდა იმიტომ, რომ მსოფლიოს ამბავი უნდა სცოდნოდა. მთელი სიცოცხლე შეთქმული და რევოლუციონერი იყო და თავისი სამშობლოს განთავისუფლებას ეშურებოდა და ამიტომაც.

დანარჩენი ფულით კი თბილისში ზუსტად დამახსოვრებულ თავის ქვრივ-გლახაკებს ჩამოივლიდა და დაურიგებდა.

როცა გარდაიცვალა, სახლის წინ უამრავმა ღატაკმა მოიყარა თავი. მოთქვამდნენ, ახლა რაღა გვეშველებაო. ასეთი თავადიშვილი იყო და, რა თქმა უნდა, ჩათვლიდა ბატონყმობას მამაშვილობად.

დანანება არ იცოდა.

მამულებიც ჰქონდა და შემოსავალიც, მაგრამ მდიდარი და განსაკუთრებული შეძლებისა არასოდეს ყოფილა. ცოლად ჰყავდა ბარათაშვილის ქალი კატინო, რომელზეც ასევე ძველქართული წესით, ბავშვობიდანვე იყო დაწინდული და ორი ქალიშვილი მისცა ღმერთმა.

ძალიან ეიმედებოდა ჟურნალი „ცისკარი“ და ცდილობდა ყველანაირად დახმარებოდა. თვითონაც ბეჭდავდა იქ თავის ნაწერებს და ამბობდა, რომ უნდა გავუფრთხილდეთო.

ერთხელ მოადგნენ ივანე კერესელიძე, პეტრე უმიკაშვილი და სრულიად ახალგაზრდა აკაკი წერეთელი, უკვე „ცისკარში“ მოხვედრილი თავისი პირველი ლექსებით, და უთხრეს, ძალიან ცუდად არის საქმე, ფული აღარა გვაქვს და ჟურნალი უნდა გავაჩეროთო.

მოუტრიალდა ალექსანდრე კატინოს და უთხრა: აბა, გამოალაგე,

რაც ვერცხლეული და რამე გაქვსო, და ცოლმა დაიჩივლა: ბატონო, რატო იცი ხოლმე ოჯახის აკლება, რატო არაფერს არ დაიტოვებო?

ასეთი კაცი იყო. გამოიტანა ეს ვერცხლეული და მისცა ივანე კერესელიძეს, გინდა დააგირავე და მერე მე გამოვიტან, გინდა, თუ გირაო ვერ იშოვო, გაყიდე, ოღონდ კი ჟურნალი არ გამიჩერო არანაირად, მაგ ოხრებმა არ იფიქრონ, რომ ისე დავგლახავდით და დავსუსტდით, ერთ ჟურნალს ვერ ვინახავთო.

მეტსახელებით უამრავ რამეს გამოხატავდა ხოლმე. ეგებ ეს იყო კვალი შეთქმულების დროინდელი საიდუმლო ანბანისა და ტერმინოლოგიისა, სადაც ყოველ ადამიანს და ერს თავისი პირობითი სახელი ერქვა.

ძმის, დიმიტრის ცოლს, მარიამ ორბელიანს, „რუსინკას“ ეძახდა.

მარიამ ორბელიანი იყო საოცარი ქალი. არა მხოლოდ ლამაზი, არამედ შთამბეჭდავად ლამაზი. დიუმა ამბობდა, ასეთი სანდომიანობის და გარეგნობის ქალი მე საერთოდ არ მინახავსო. დიმიტრი ყიფიანი ეძახდა „შუქურვარსკვლავს“, ალექსანდრე კი ეძახდა „რუსინკას".

იმიტომ, რომ ალექსანდრე თავის რძალს რუსული განწყობის ადამიანად ხედავდა და აუცილებლად ეტყოდა ხოლმე ძმას, როგორ არი შენი რუსინკაო.

დიმიტრის სწყინდა, არ არი რუსინკაო, იმიტომ რომ კარგად იცოდა ალექსანდრეს პირობითი სიტყვები. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს ძაღლიც კი ჰყავდა გაჩვეული, აბა, როგორ გაიცინებ, როცა რუსები წავლენ აქედანო და ძაღლი წკავწკავს დაიწყებდა.

მარიამს, საყვარელ შვილიშვილს, კუდრაჭას ეძახდა.

ჰოდა, ნათქვამი ჰქონდა მისთვის: კუდრაჭ, მე ვერ მოვესწრები, მაგრამ იცოდე, რუსები რო წავლენ აქედან, სადაც ვიქნები ჩასვენებული, იქ მოდი და ჩამომძახეო.

შეუსრულა კუდრაჭამ, შევიდა სიონში და უთხრა: ბედნიერო, ბედნიერო, წავიდნენო.

ასეთი კაცი იყო.

ამავ დროს კი ჰყავდა ერთი ფერშალი, თანშეზრდილი რუსი, თომა შერბაშოვი. ის იყო მისი ექიმიც, პატრონიც და მომვლელიც.

ზაფხულობით, როცა აიყრებოდა ხოლმე დიდი ოჯახი და ორი ტარანტასით უნდა წასულიყო მამულში, სოფელ კაზრეთში, რომელიც თურმე ოქროს საბადოზე იდგა, ალექსანდრემ კი ამისა არაფერი იცოდა, ერთი ტარანტასის ნახევარი წიგნებს და ქაღალდებს ეჭირა, მეორეში ოჯახობა იჯდა.

მგზავრობა იყო გრძელი და მომქანცველი.

ძველ ყაიდაზე მგზავრობდა: რაღა თქმა უნდა, შესვენებებითა და ღამისთევით.

აი, ესა ჰქონდა: ყოველივე ძველის შეგრძნება და ამას თვლიდა ნამდვილ ქართულად. სტუმრად ჩამოხდომაც ასეთი წესი იყო.

რომელიმე ძმის მამულში დაუხვდებოდა ყაზარა-მოურავი, ან კიდევ ცოლისძმის მამულში, იმ ცნობილ ზაალ ბარათაშვილთან გაჩერდებოდა, მერე კი გასწევდნენ კაზრეთისკენ. გზად იყო ხრამი და ამ ხრამზე ტარანტასები ვერ გადადიოდა და მთელი სოფელი, მთელი მისი გლეხები გამოეფინებოდნენ ხოლმე და ხელით გადაჰქონდათ ბატონის ორი ტარანტასი.

ის კი, სოფლად რომ ჩავიდოდა, თომასთან ერთად ჩამოივლიდა ყველა სახლს: ყველას ჯანმრთელობას შეამოწმებდა, დაანიშნინებდა რამეს, ან თუ რამე წამალი ჰქონდათ, მიაცემინებდა და მერე დაიწყებდა გადანახული ფულების ჩამორიგებას.

დასხამდა თავის გლეხებს და უყვებოდა, რა არის საქართველო და როგორ არის საქართველო. ასეთი კაცი იყო ჯამბაკურ-ორბელიანი, ყველაფერზე თავისი აზრი ჰქონდა.

ერთ რძალს ხომ რუსეთუმეობას აბრალებდა და მეორე რძალი, ვახტანგის ცოლი, საერთოდაც, რუსი ჰყავდა – კაწკა ილინსკაია, დედით ქართველი. ილინსკი დიდი ჩინოვნიკი იყო თბილისში, ქართველების მეგობარი და ჯამბაკურ-ორბელიანები კი ძალიან მაღლა იყვნენ ქორწინებებით სხვებთან შედარებით.

დიმიტრის ქალიშვილი ელისაბედი, საერთოდაც, ბარიატინსკის ცოლი გახლდათ. ეს დიდი სიმაღლეები იყო – ბარიატინსკი მთავარმართებელი და ფელდმარშალი, ომთა გმირი, შამილის დამცემი.

ალექსანდრე ამისგან განზე იდგა, მაგრამ ხშირად სტუმრობდა თავის რძალ ეკატერინე ილინსკაიას. მივიდოდა, ჩაიკეტებოდა და ელაპარაკებოდა და ელაპარაკებოდა. ის დროება იყო, ალექსანდრეს პოლიტიკურ ლაპარაკებს ძალა რომ დაჰკარგვოდა. თითქოს თანაშეთქმულად ჰყავდა კაწკა, რომელსაც საოცრად ენდობოდა.

ზურგს უკან აქილიკებდნენ: პუპლიას რუსების წინააღმდეგ სანდო ადამიანად მხოლოდ რუსი ჰყავსო, ქალებს ელაპარაკება საქართველოზეო, კაცები აღარ უსმენენო. უსმენდნენ, როგორ არ უსმენდნენ, ოღონდ ძალიან ცოტანი.

მეტსახელი პუპლია მონაფეობიდან გამოჰყოლოდა, რომაულ პუბლიუსის მოქართულება იყო.

ის არ არჩევდა ახალ და ძველ თაობას. აკაკის პირველი ლექსები რომ გამოჩნდა „ცისკარში“, ამბავი აუტეხეს, ეგაო მესტვირული და იმერ-

ულებიაო, ეგ რა ლექსიაო, ჩვენ, აქეთ, ლექსის წერა სხვანაირად ვიცითო. ალექსანდრემ უთხრა, არ დაუჯერო არაფრით, იმიტომ რომ ეს გახლავს ყველაზე ნამდვილი ლექსები, რაც მე წამიკითხავსო და საოცარი წინადადებაც დააყოლა, ისიც ძველი ქართველი თავადის სათქმელი: როგორც წერეთელს, გადაგეხვევი და როგორც აკაკის, გაკოცებო.

ორბელიანებს, სამ ძმას, ბიჭი ერთი ჰყავდათ: ვახტანგის ვაჟი კოლა ორბელიანი – განთქმული ვექილი, ივანე მაჩაბლის ახლო მეგობარი და მის განთქმულ საბანკო ომებში ჩაბმული, ერთხელ რევოლვერითაც რომ ავარდა სცენაზე სხდომის ჩასაშლელად.

ძალიან ენაგაჩვეული კაცი იყო, როგორც ვექილი, და დიდი ნიჭის პატრონიც გახლდათ, მაგრამ ძალიან დაურიდებლად ელაპარაკებოდა ილია ჭავჭავაძეს და სახლში განიცდიდნენ ამას, რა თავადის წესიაო.

მერე კოლამ ოჯახი მიატოვა და გადაეკიდა ახალგაზრდა ქალსა.

მამამისი კინაღამ გადაყვა ამ ამბავს, რძალს არ იშორებდა გვერდიდან და ხალხს არ ენახვებოდა სირცხვილით. ძველი ოჯახობა იყო, ძველი. რაღაცნაირი, ძალიან ადამიანური. ალექსანდრე ხომ ამდენს ეთამაშებოდა კუდრაჭას, მაგრამ ერთხელ არ უკოცნია. ისე დავიზარდენით, ერთხელ არავისთვის უკოცნიაო.

თუ ვინმეს აკოცებდაო, მხოლოდ თავის ძმებს'გადაკოცნიდა ხოლმე თითოჯერო.

მაგრამ მოხდა ერთხელ, რომ ბაბუამ შვილიშვილს აკოცა.

ცელქი გოგო იყო და შეუჩნდა ერთხელ, კუდრაჭას რატომ მეძახი, მე ხო მარიამი მქვიაო.

აგიხსნი, რატომაც გეძახიო, ბაბუამ: შენი მეორე ბებია, კანინკა, გეძახის ჩიტუნიასო და მე იმავეს ვერ დაგიძახებო. მინდოდა, რომ მარო დამეძახა, მარა შენი ბებო გაბრაზდა, მარო ჩვენს მოსამსახურესა ჰქვიაო. მარიამი დიდი ქალის სახელია და ჯერ ვერ გეძახიო და ამიტომ კუდრაჭა დაგიძახეო.

ბავშვი რაღაცას ყურს მოჰკრავს და უნდა, რომ აუცილებლად წამოისროლოს, ჰოდა კუდრაჭამაც, მაიკო დამიძახეო. მაიკოს იმიტომ არ მეძახი, ჩემი დეიდა რომ გარდაიცვალა, გიჭირს დაძახებაო?

კუდრაჭა უცებ მიხვდა, რომ ბაბუას ტანში გასცრა და მისი ცრემლიც დაინახა და თვითონაც წახდა, ბოდიში, ჩემო პაპავ, გაწყენინე, გაუფრთხილებლობით მომივიდაო, და არაო, ბაბუამ, შენ როდის რა უნდა მაწყენინოო, უბრალოდ, შენ ჭრილობა გამიხსენიო, უთხრა, ამიტომაც ვერ გეძახი მაიკოს, რომ მეც მყავდა პატარა მაიკო, შენი დეიდაო და აი, მაშინ აიყვანა და შუბლზე აკოცა.

ძალიან ბევრი იარა ჰქონდა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს.

უცნაური კაციაო, ამბობდნენ და ერთი ასეთი უცნაურობის კაციც იყო:

დედისეულ სახლში ცხოვრობდა არქიელის მოედანზე და აივანზე რომ გადმოდგებოდა ხოლმე საღამოს, იცოდნენ, რომ თავისი ძმების სახლებს ეძებდა თვალით, რათა ძილის წინ პირჯვარი გადაეწერა მათი სამყოფელისთვის.

ისეთი კაცი იყო, რომ ერთხელ ქურდები შეიპარნენ მის სახლში და ერთ-ერთმა იეჭვა, ეს ალექსანდრეს სახლია, აქ როგორ შემოვედით, ეგ აქეთ გვჩუქნის ფულს ყველასო.

მაგრამ აბა, ალექსანდრე ერთი იყო. იმას რაც არ უნდა ეძახა, ჩვენი ბატონყმობა მამაშვილობა იყოო, ეს ბატონყმობა მამაშვილობა აღარ იყო.

თავადის საქმე ზუსტად ისე გამოდიოდა, ილიამ რომ ათქმევინა გაყაჩაღებულ გლეხებს, კარგი რა არის, ცუდი რა იყოსო.

— პირველი ყაჩაღი —

მოვიდა დრო და გაჩნდა ქართლში გაყაჩაღებული გლეხი, უფრო მეტად სწორედ ქართლში.

რაღაც ეტაკა ქართლელ თავადობას. რუსებმა უფლება ვერ მოუზომეს სწორად, თუ რაღა იყო, ახლა ვინ დაიწყებს ამის გამოჩხრეკას, მაგრამ იმათში უარესებმა კი ალბათ ასე იფიქრეს, ამხელა იმპერატორის სამსახურში ვართ, ჩვენ ვიღამ რაღა პასუხი უნდა მოგვთხოვოს, ჩვენა ვართ მიწის მარილიო.

ჰოდა, იმდენი რამეები გამოჩნდა, იმდენი რამ მოიგონეს, ისე გაზნიქეს გლეხი წელში, რომ თურმე კახელი გლეხები ეტყოდნენ ქართლელებს, ბიჭო, ეგრე რამ დაგაბეჩავათ, ემაგდენს როგორ აბედვინებთ თქვენს თავადებსაო.

განა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი არ იყო ქართლელი თავადი?

იყო, მაგრამ ის ერთი იყო და ყმა მასაც გაუყიდია, როცა გასჭირვებია. ასე წერს ზაქარია ჭიჭინაძე, ვისაც ბევრი რამ უგროვებია იმ დროის თავადებზე.

მაგრამ ეგ რა იყო. ეგ არაფერი.

ყმას ყიდდნენ და მწევარზეც კი ცვლიდნენ. სცემდნენ და წესზე მეტს სთხოვდნენ. უფრო აუტანელი იყო, რაც არასდროს იქამდე არ ყოფილა, პირველი ღამის უფლებანი. არ ყოფილა ასე ძალისძალად და ღიად. წესადაც არ ყოფილა. ყოფილა, მომხდარა გლეხის ქალისგან უკანონო შვილი, მაგრამ ასე რომ, აბა საპატარძლო მომიყვანეთო, გაგონილა, ვეჟო? – როგორც თავადვე იტყოდნენ ქართლელი თავადები.

ზაქარიასვე უწერია, ერთმა ძველმა თავადმა მითხრაო, ბიჭო, რაც ახალგაზრდობაში ქალი მყოლია, ოცდაათს მარტო მარიამი ერქვა, დანარჩენის ანგარიში კიდევ ცალკეაო. დაიტრაბახა თუ რა ბებერმა თავადმა, ის თავისი გლეხების ქალებს ითვლიდა.

ეს იყო უნამუსობა. უსინდისობა.

და ამიტომ გაჩნდა ასეთი გლეხი.

ერთი კახელი კაცი იხსენებდა, ტყის პირას ღორებს ვმწყემსავდი, წამომადგა თავს თოფიარაღიანი უცნობი კაცი და მითხრა, მაჩუქე ერთი ტახიო.

გლეხმა იუარა, როგორი საჩუქებელი იყო.

იმან კიდევ გადმოიღო თოფი, ესროლა ღორსა და მოკლა.

წავიღოთ ეს ღორი და ერთად დავლიოთ, ქვემოთ ამხანაგები მელოდებიანო, შესთავაზა გლეხს.

იმას ეწყინა, ღორი მომიკალი და სადღა წამოვიდეო, მაგრამ უცნობმა მოავლო ფეხზე ხელი, შემოიდო ზურგზე ეს შენი გლეხი, მეორე ხელით ჯაგარში დასწვდა ღორს და წავიდა დაღმა.

წავიდა დაღმა და მართლა ამხანაგები ელოდებოდნენ თურმე, სულ ტიკჭორებით ჰქონდათ ღვინოო, ახსოვდა გლეხს, კარგად დავლიეთ და ვჭამეთ, იმ ღორის მწვადები მე თვითონ შემაწვევინესო. ბოლოს ფულიც მაჩუქეს და მითხრეს, რომ დაგვჭირდება, აღარ დაგვინანოო.

მერე კიდევ იქავე, კახეთში, სამი ძმა ჭურღულაშვილები, გიგოლა, ზაქარა და კიკო მუშაობდნენ ვენახში და თოფიანი კაცი შემოდგა ვენახის თავზე და: ბიჭოო, ღვინოს არ დამალევინებთო, დაუძახა.

ამათ მოეწონათ, კაი იერის კაცი იყოო და ღვინოცა გვაქვსო, პურიცა გვაქვსო, ხორციცა გვაქვს და ჩამოდიო.

ჩამოვიდა ის კაცი ვენახში და დასხდნენ და დაიწყეს პურის ჭამა. დალიეს ბევრი, მერე დაკოცნეს ერთმანეთი და ამ კაცმა უთხრა გიგოლას: მე არსენა ვარ, თუ გაგიგიათ ეგეთიო, ქართლელი ვარ, ახლა კახეთში ვარ გადმოსული, იყალთოზე ვიმალებიო.

ეს იყო ყველაზე განთქმული ქართველი ყაჩაღი – არსენა ოძელაშვილი, რომელმაც იცოდა უცბად მოსვლა, იცოდა რაღაცის წართმევა და მერე ორმაგად დაბრუნება.

არსენა ოძელაშვილი ნამდვილად იყო ყველაზე პოპულარული ქართველი მთელ საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

არცერთ ადამიანზე იმდენი ლექსი არ თქმულა, არცერთ ადამიანზე იმდენი ამბავი არ გავარდნილა, რამდენიც ამ პირველ და ყველაზე ცნობილ ყაჩაღზე.

არსენას დროში იყვნენ სხვა ყაჩაღებიც, ძალიან ბევრნი, ისინიც

უფრო ქართლელები, ანდა ბორჩალოელი თათრები, იმიტომ რომ სწორედ ქართლში აიშვეს თავი ბატონებმა.

გოგია ნუკრაძე, ნიკო პასანაძე და სხვებიც განთქმულნი იყვნენ, მაგრამ უცნაურობა ხშირად ის იყო, რომ კაცი არსენა არ იყო და მაინც არსენას ეძახდნენ.

ვინმე რამეს ჩაიდენდა, დააგდებდა ხოლმე სიტყვას, არსენა ვიყავიო და ატყდებოდა ხოლმე ამბის მოყოლა: აი, არსენამ ესა ქნა და ისა ქნაო და სინამდვილეში კი ნამდვილი არსენა სულაც არ ყოფილიყო იქა.

ნამდვილი არსენა იყო ერთი, მაგრამ იმ დროში, როცა არ არსებობდა ფოტოგრაფი და თითის ანაბეჭდებით დამნაშავის ძიება, ყველა უცებ შეიქნებოდა ხოლმე არსენად.

ის ერთი ნამდვილი არსენა კი სად იყო, რას გაიგებდი.

როგორც ამბობენ, სახელად არსენა სულაც არ ერქვა. არსენა უფრო მისი მეტსახელი იყო. ერქვა სახელად იოსები და იყო მარაბდელი გლეხი, კარგა შეძლებული და მდიდარი ახალგაზრდობიდანვე, ოჯახით მოსდგამდა ბარაქა.

ბარათაშვილების ყმად კი ითვლებოდა, მაგრამ ბავშვობისას გაეტანებინათ საგინაშვილებისთვის, სოფელ ჩხიკვთაში და იმათ სახლში გაზრდილიყო, იმათვე მოენათლათ.

გამორჩეული იყო სწორედ ამ შეძლებით, ხასიათით და გარეგნობით.

ყვებიან, რომ ბავშვობიდანვე ძალიან მოქნილი იყო, თავდაღმართში დაგორებულ ურემს გამოეკიდებოდა და გადაახტებოდა ხოლმე, თვითონაც თავდაღმართიდან მორბენალიო. წელი ჰქონდა წვრილი, მუჭში ჩაეტეოდაო, ბეჭები – ბრტყელი, კარგა გამომცხვარი კვერივითაო, იყო მაღალი, ბრგე და სიტყვას არ შეიკავებდა და არც საქმეს დაემალებოდაო.

მთელი მისი ყაჩაღობა ძალიან ჩვეულებრივად დაიწყო, ისე, როგორც იწყება ყაჩაღობა ზღაპრებში: შეუყვარდა ბატონის მოახლე გოგო. ამას მის შესახებ გამოთქმული ლექსიც გვეუბნება.

წესად არ იყო, რომ ბატონის სახლში მომსახურე გოგოს ხელი გეთხოვა, ის მთელ ცხოვრებას იქ ატარებდა, ბატონისა იყო და მორჩა.

ამიტომ გამოიტაცა არსენამ ეს გოგო და გააქანა ქართლში, თავის საყვარელ ადგილებში, სადაც მერე ხშირად იმალებოდა: ბირთვისის კლდეებში.

მთელს იმ არემარეში ვერ იპოვა მღვდელი, რომელიც შეძლებდა და მათ ჯვარს დასწერდა. ჯვარდაუწერლად კი გოგო არსენას ცოლად ვერ ჩაითვლებოდა.

ერთხანს ეგრე ცხოვრობდა ბირთვისის გამოქვაბულებში და იქ მეგობრები ინახავდნენ.

ეტყობა, თავიდანვე თავზე ხელაღებული და თამამი კაცი იყო, ტყის ხალხთან ექნებოდა მეგობრობა და ამიტომ გავარდნილს არაფერი გაუჭირდებოდა იქა, მაგრამ მაინც, აბა, რა ოჯახია ტყის ოჯახი?

რახან ჯვარი ვერ დაიწერეს, არსენა იძულებული შეიქნა, გოგო ბატონისთვის დაებრუნებინა და დარჩენილიყო ისევ უცოლოდ.

მისი ბატონი კი სწორედ რომ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ცოლისძმა, ზაალ ბარათაშვილი იყო.

„არსენას ლექსი“, რომელიც მესტვირეებმა გამოთქვეს, ან ბლიაძემ, ანაც სხირტლაძემ და მერე კი აქეთ-იქიდან უამრავი რამ მიემატა, ხოლო პირველად პეტრე უმიკაშვილმა დაბეჭდა, ას წელიწადში თითქმის სამოცდაათჯერ არის გამოცემული და აბა, რომელი ქართული წიგნი დაიკვეხნის ამით?

ეს წიგნი მოგვითხრობს, რომ არსენას ერთი ცოლი ჰყავდა და ამ გოგოს გადაჰყვა კიდეც მისი მშვიდი ცხოვრება.

თუმცა, სხვები გვეუბნებიან, არსენას სამი ცოლი ჰყავდაო: პირველი, რომელიც ბატონს დაუბრუნაო, მეორე, რომელიც ასევე მოიტაცა ბატონის სახლიდან და მესამე კიდევ თბილისში, როცა დაქვრივებულმა იქორწინა და კლდის უბანში მალულად ცხოვრობდაო...

შეიძლება ის პირველი და მეორე ცოლები სულაც ერთი იყოს, ორჯერ მოტაცებული, ან ისტორიისგან გაორებული, გავარდნილი ყმის ცხოვრება კი იმ დროში ძალიან ძნელი იყო.

გზა ბევრი არ ჩანდა: ან მალვით ცხოვრება, ან სხვა, შორეულ ბატონს შეკედლება, ან ყაჩაღობა, ანაც გადახვეწა.

გადასახვეწი ადგილი ერთადერთი იყო – ოსმალეთის საქართველო, ანუ ახალციხე. რუსეთის საქართველოდან გაქცეულმა არსენამ თავი მისცა ოსმალოს საქართველოს, ახალციხის საფაშოს, სადაც ცხოვრობდა ახალციხელ კათოლიკეებთან, პავლე შაჰყულიანის ოჯახში.

იმათ ცოტა გვიან გაიგეს, არსენას ამ ქალთან ჯვარი არა აქვს დაწერილიო და ჩვენს სახლში ჯვარდაუწერელ კაცსა და ქალს ერთად ვერ ვაცხოვრებთო და იქავე, ახალციხის კათოლიკურ ეკლესიაში დასწერეს ჯვარი.

საქორწილოდ არსენამ ქართლიდან გადარეკა ცხვარი და წაზიდა ღვინო, რათა მთელი ახალციხისთვის, როგორც მაშინ იტყოდნენ, კარგი ქორწილი ეჭმია.

ასე გამოდიოდა, რომ არსენა ემიგრანტი იყო და იმ დროში საკმაოდ ბევრი ქართლელი გლეხი გამოდიოდა ემიგრანტი.

საზღვარს აქეთ კანონგარეშე გამოცხადებული ასეთი გლეხი, საზღვარს იქით ძალიან მშვიდად ცხოვრობდა.

აგე, ყარსშიაც კარგა ხანს ყოფილან ოძელოღლები.

აბა, რა ვიცით, ვინ იყვნენ, მაგრამ ესენიც ოხერ ქართლელ ბატონებს გარიდებული ხალხი იყო.

ქართლელები თავისებურად ებრძოდნენ თავიანთ ბატონებს – ვინც ბედავდა, ყაჩაღი ხდებოდა, ვინც არა და დამხმარეს ეძებდა.

თავზე ხელაღებული ხალხი მოიძებნებოდა. ერთი ასეთის სახელი დარჩენილია: მას ზოსე ოსს ეძახდნენ.

გლეხები შეაგროვებდნენ, რასაც შეიძლებდნენ, გადაუხდიდნენ და ის კი დაუდარაჯდებოდა ოხერ ბატონს და დაჰკრავდა ტყვიას.

ზოგჯერ სიმწარე სისასტიკეშიც გადაიზრდებოდა. ასე დედაწულიანად ამოწყვიტეს გლეხებმა სუმბათაანთ მთელი ოჯახი.

მაგრამ არსენას არავინ მოუკლავს. არსენა ისე იყო ყაჩაღად, რომ ყოველთვის ცდილობდა, ტყვია არ ესროლა, არავინ გაეძარცვა.

მესტვირულში მის მოხდენილ ყაჩაღობაზე ბევრი სტრიქონია და მაგალითებიც საკმაოა, მაგრამ სხვანი ამბობენ, წართმევა კი იცოდა, მაგრამ თუ ხბო ან ღორი არ იყო, აუცილებლად უკან აბრუნებდაო.

ეს უცნაურობა სჭირდა.

საძარცვავი არსენას ბევრი არაფერი ჰქონდა, იმიტომ, რომ გლეხის პირობაზე საკმაოდ შეძლებული კაცი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ახალციხეში ცხოვრობდა, ხშირად გადმოდიოდა ხოლმე ქართლში თავისი მიბარებული ცხვრის ფარის დასახედად. რა თქმა უნდა, შემოსავალსაც იღებდა. გომარეთში ცალკე კაცი ეყენა და იქ ფარეხები ჰქონდაო, ასე გადმოგვცემს ერთი ძველი კაცი.

მოკლედ, თან ყაჩაღი იყო, თან – შეძლებული გლეხი და ცხოვრობდა ახალციხეში, მაგრამ გათენდა ერთი დღე და ახალციხეც ისე გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი, როგორც ბევრი სხვა ადგილი და არსენა კი უფრო ღრმად, ოსმალეთისკენ აღარ წავიდა.

სწორედ აქედან იწყება ის დრო, არსენას ყაჩაღობას რომ დაუძახებენ.

ანუ, არსენა დაბრუნდა ქართლში.

ამ დროს გაითქვა არსენამ სახელი ქართლსა და კახეთში.

სახელი არსენაც სწორედ ამ დროიდან ხდება სასურველი და ლამის ყოველ მეორე ახალდაბადებულ გლეხის ბიჭს არსენას არქმევენ, ყოველი მეორე გლეხის ოჯახში დაბადებული ბიჭი კი არსენას ნათლულია. ყველა გლეხს ესახელება, რომ ეს თავისუფალი, როგორც მაშინ იტყოდნენ, გავარდნილი, ან გადავარდნილი კაცი მისი შვილის

ნათლია ან სეხნიაა. მთელი საქართველო არსენასი იზრდება: ზოგს მისი სახელი ჰქვია, ზოგი მისი ნათლულია.

არსენას ლექსში აღწერილია, როგორ უღალატა მას ფარსადან ბოდბისხეველმა და როგორ მისცა მთავრობას ხელში. არსენას იმდენი ნათლიმამა ჰყავდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ერთი ცუდი გამოერეოდა. ის იმის ჯავრის მიმცემი არ ჩანდა და საერთოდ არ იყო შურისმაძიებელი კაცი.

რაში გამოიხატებოდა არსენას ყაჩაღობა?!

არსენას ყაჩაღობა გამოიხატებოდა არსენას სამართალში.

ქართლში კარგა ხანს იყო ხოლმე ასე: როცა ორი კაცი ედავებოდა ერთმანეთს და ერთს ეგონა, რომ მართალი იყო, მაგრამ მეორეს რაღაც უკანა ძალა ეტყობოდა და ამით იმარჯვებდა, ის წაგებული აუცილებლად ეტყოდა: რა არი, რა ყველაფერს არსენას ადლითა ზომავო?!

ადლის ამბავი ლექსშიც არის მოთხრობილი.

დღეს ასეთი გამოთქმა აღარ არსებობს, მაგრამ არსენას ადლი იმას ნიშნავს, რომ არსენა ზოგჯერ ბაზრობებზე ჩამოივლიდა და ჩარჩებს ფართლის საზომ ადლებს დაუგრძელებდა ხოლმე: ამიერიდან ამ ჯოხით გაზომავო, ეტყოდა. ამიტომ გაჩნდა ეს გამოთქმაც – არსენას ადლი.

არსენა მოარული კაცი იყო. ყაჩაღი ერქვა და გზებზე ხშირად იყო.

იმ დროის გზები კი საქართველოში სულ სხვანაირი იყო.

სწორედ არსენას დროებაში გაჩნდა გზებზე განთქმული რუსული ტრაქტირები, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფუნდუკები, სადაც მგზავრს შეეძლო ღამის გათევა, ცხენების დასვენება და დილით კი გზის გაგრძელება.

არსენა ტრაქტირების ხშირი სტუმარი იყო.

რახან ყაჩაღი იყო, ერთ ადგილას ხშირად არ ჩერდებოდა, თუმცა ტყეში ცხოვრობდაო, ამასაც ვერ იტყოდი.

ღამის გასათევს ის ყოველთვის და ყველგან იპოვიდა, ყველა სოფელში, თუკი იცოდა, რომ იქ ჯარისკაცები არ ჩამოივლიდნენ. ძალიან ფრთხილი კაცი იყო ასეთ საქმეში, მაგრამ ტრაქტირებში ყოფნაც უყვარდა. ალბათ იმიტომ, რომ ადამიანებთან ყოფნა იზიდავდა და ალბათ იმიტომაც, რომ ეს თავისი ცნობილი „არსენას სამართალი“ გაეჭრა.

ტრაქტირებში უამრავი ხალხი იყრიდა თავს და ეს ალბათ ყველაზე დემოკრატიული დაწესებულებები იყო იმ დროში, იმიტომ რომ ტრაქტირში ერთი დაბალი, დიდი მაგიდა იდგა და ღამის გასათევად

მოსული თავადი, ოფიცერი, გლეხი თუ მღვდელი, ერთად უჯდა იმ მაგიდას და ერთად ჭამდა, რაც სხვაგან და სხვა ვითარებაში არასდროს მოხდებოდა ხოლმე.

ტრაქტირში მყოფ არსენას სახეზე ბევრი ვერავინ სცნობდა. მაშინ იყო უსახობის, ამბების დრო.

არსენას კი ძალიან მოსწონდა ადამიანის საუბარში გამონვევა და მისი აზრების შეტყობა.

სმაში ახირება იცოდა, თუმცა, გააჩნდა ვისთან სვამდა. გლეხი იყო და უყვარდა გლეხებში ქეიფი. იქ არასდროს აუხირდებოდა ვინმეს. უცხო ხალხსა და სხვა წოდებაში მოხვედრილი კი აუცილებლად რაღაცას გამოძებნიდა ხოლმე.

ამბობენ, რომ არსენას ერთი კაცი ჰყავდა მოკლული, თუმცა ამ ამბის სინამდვილეზე თავს ვერავინ დადებს.

თუკი მოხდა ეს ამბავი, ტრაქტირში მოხდა, სადაც ერთი თავადიშვილი, გვარად საგინაშვილი, იჯდა და ვახშმობდა და ის ლაპარაკსა და ღვინის სმაში გამოიწვია არსენამ.

გამოიწვია და თანდათან მოაყოლა თავისებურები.

არსენა გავარდნილი კაცი იყო და იყო მეფის წინააღმდეგი, პოლიციის წინააღმდეგი, ჯარის წინააღმდეგი და ყველაფერ ამას თამამად აგინებდა იმ სუფრაზე.

საგინაშვილი თავადი იყო და უთხრა, ჩემი თანდასწრებით რუსთ ხელმწიფეს ნუ აგინებ, მე მისთვის ფიცი მაქვს მიცემული, როგორც თავადსო.

ამაზე წაეკიდნენ ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს, გააშველეს და წამოდგა საგინაშვილი და წავიდა კარისკენ.

არსენამ იფიქრა, აუცილებლად ცხენს უნდა მოახტეს და გაიქცეს, რათა ჯარისკაცები დამაყენოს თავზეო და ზურგში ტყვია მიაყოლა.

ასე ამბობენ.

მომაკვდავ თავადს კიდევ ეთქვა, რა მიყავი, საპირფარეშოდ მივდიოდიო.

აი ამ ტრაგი-კომიკურ ვითარებაში თავადი გარდაიცვალა და ამბობენ, რომ ეს იყო ერთადერთი მკვლელობა, რომელიც არსენამ ჩაიდინა.

თუმცა, თუ იმას გავიხსენებთ, რომ არსენა ჩხიკვთელ საგინაშვილებთან უნდა იყოს გაზრდილი და მათი ნათლული უნდა ბრძანდებოდეს, ამ ამბავს ღონიერი ეჭვი შეუდგება. ეგებ ეს იმ უამრავი თქმულების გაგრძელება იყოს, ცრუ არსენებს რომ შეეხება.

არსენას ლექსი გვეუბნება, რომ არსენას კაცი არ მოუკლავს.

ტრაქტირებში არსენა სხვა საქმეებსაც აკეთებდა.

იყო იმ დროში ასეთი საკმაოდ საჩოთირო საქმე – იმერეთში აზნაურიშვილები კარგ მწევრებს ზრდიდნენ. რომ წამოზრდიდნენ ლეკვებს, გამოიგდებდნენ წინ და გადმოჰყავდათ ხოლმე ქართლში და კახეთში და იქ ცვლიდნენ ყმაგლეხებში. ანუ აქაურ თავადებს უტოვებდნენ მწევრებს და თითონ კიდევ მიჰყავდათ ადამიანები.

არსენა სასტიკი წინააღმდეგი იყო ამისა და იგონებდა ათას ფანდს, რომ ასეთი ვაჭრობა ჩაეშალა და საქმე ისე მოეგვარებინა, რომ ადამიანები ძაღლებში არ გაეცვალათ.

ესა ჩვეულებრივი და ხშირი ამბავი იყო მაშინ.

აი, ლოჭინის ხეობაში იდგა ცნობილი ყაჩაღი აბანო ფორაქიშვილი, რომელსაც უშუალო, ვიწრო ხელობად ჰქონდა სწორედ მწევრების წამომყვანი იმერლების ძარცვა. ან უკან გააბრუნებდა იმერლებს, აქ არ დაგინახოთო, ანდა ყმებს აართმევდა. ან გამოისყიდდა, ანაც პირდაპირ წაართმევდა.

ეს იყო ძალიან კეთილშობილური საქმე.

ასეთი გათავისუფლებული ყაჩაღები ათავისუფლებდნენ სხვებს, სრულიად უღირსად გაყიდულებს და გაცვლილებს.

არსენას რამდენიმე ფანდი ჰქონდა მწევრების გამყიდველების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი ცნობილი ფანდი იყო ტრაქტირში უკვე ხელდაცლილი იმერლის დათრობა, მისთვის იმ ოთახის გასაღების მოპარვა, სადაც იმას გაცვლილი გოგო-ბიჭები ჰყავდა შეყრილი და მათი გაპარება.

ასეთი რამეები არსენას არაერთხელ გაუკეთებია, მაგრამ მისი ცხოვრება მაინც ძალიან საფრთხილო იყო. ყოველთვის ისეთ ბუნაგს და ისეთ ადგილს ეძებდა, სადაც მშვიდად დაიძინებდა.

ამხანაგი ბევრი ჰყავდა ქართლშიც და კახეთშიც, მაგრამ სიფრთხილე ყოველთვის საჭირო იყო. კახეთში იყალთოზე ჰქონდა ხოლმე ბუნაგი და კახელებს ძალიან უხაროდათ, იმიტომ, რომ როცა არსენა იქ იყო, ლეკები არასდროს მოდიოდნენ. იცოდნენ, რომ იოლად ვერ წაუვიდოდნენ.

თელეთი, ბოგვი, კოდა, ბირთვისი – აი, არსენას სამოძრაო ადგილები ქართლში. კოდაში მას მოძღვარი ჰყავდა: იქ დადიოდა ეკლესიაში საზიაროდ, მაგრამ ხშირად ისე ფრთხილობდა, რომ ცხენიდან სანახევროდ ჩამომხტარი, ან ცალი ფეხით უზანგში ეზიარებოდა ხოლმე.

მას ძალიან დიდ პატივს სცემდნენ და იფარავდნენ. თუმცა, ისეთი კაცი იყო, რომ იქით იფარავდა ხოლმე მასპინძლებს.

მოგახსენეთ, არსენამ სიმთვრალეში ახირება იცოდა-მეთქი, ეს კი მას ხშირად გადაჰყრიდა ხოლმე ისეთ ამბავს, მერე რომ საბოდიშო უხდებოდა.

გერმანელი მოგზაური და მელექსე, ბოდენშტადტი იხსენებს, რომ ერთ ხატობაში მას დაანახეს ახოვანი, კარგად ჩაცმული ადამიანი და უთხრეს, რომ ეს არის არსენა ყაჩაღი.

ძალიან წარმოსადეგი, თუმცა არათავადური იერისა იყოო და მოულოდნელად იქვე მდგომ ოფიცერს აუხირდა, ხმალი უნდა მაჩუქოო.

ისეთი ვითარება შექნილა, რომ საქმეში ქალებიც ჩარეულან. ოფიცერს დაუთმია და მიუცია თავისი ხმალი არსენასთვის.

მეორე დღეს არსენას ის ხმალიც დაუბრუნებია და ერთი ხმალიც ზედ მოუყოლებია. იცოდა ასეთი რაღაცეები, განსაკუთრებით, როცა დათვრებოდა და მისი აღსასრულიც ასეთი სიმთვრალიდან მოვიდა.

არსენას ჰყავდა ერთი მეგობარი, მღვდელი იაკობ ბარნოვი, ძალიან თავისებური და შთამბეჭდავი კაცი, ახოვანი, ვაჟკაცი, უკან არდამხევი ვინმე.

ერთხელ თურმე იაკობ ბარნოვი მაყარშია და პატარძალი მოჰყავთ ერთი სოფლიდან მეორეში და სოფელს რომ მოადგნენ, წინ შეშფოთებული ხალხი შემოეგება, მოსახვევში არსენა დგას, ჩვენზე ნაწყენია და თქვა, თავს მოგჭრით, პატარძალი უნდა წაგართვათო.

ყველა ძალიან შეშფოთდა, მაგრამ ყველას იმედი მიეცა, იმიტომ, რომ მაყარში იაკობ ბარნოვიც იყო.

კუნაპეტი სიბნელე იდგა უკვე და გლეხებს ერთი-ორი ჩირაღდანი თუ ჰქონდათ ხელში.

იაკობმა თქვა, მე შევალ მაგ მოსახვევშიო და ცხენდაცხენ შევიდა.

შეუხვია თუ არა და, არსენამ ესროლა, ესროლა და თოფის ფინთიხმა და ნაჭექმა გაანათა წამით იქაურობა და იაკობმაც დაუძახა, რას შვები ბიჭო, მე მესვრიო? არსენამ იცნო და წახდა.

ეს ამბავიც მეორე დღეს არსენას ძღვენით — ახალი ცხენით, თოფით და საპატარძლო საჩუქრით – დასრულდა.

არსენა მალვით თბილისშიაც ცხოვრობდა, სადაც ცოლიც შეურთავს დაქვრივებულს და პატარა, თბილისურ ბანიან სახლში დამდგარა. თურმე მთელმა კლდის უბანმა იცოდა, რომ ეს ახალგაზრდა ქალი არსენა ყაჩაღის ცოლია, მაგრამ არასდროს არავის არ გაუთქვამს. ამბობენ, რომ არსენა ღამღამობით თუ მოვიდოდა სახლშიო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ თბილისის ერთ-ერთ შემოსასვლელში ერთი პატარა დუქანი ჰქონდა და ხშირად დახლშიც კი იდგა ხოლმეო.

ასე იყო თუ ისე, არსენა აგრძელებდა ქართლსა და კახეთში სიარულს და ამ თავის კანონგარეშე ცხოვრებას. ყოველგვარი შერიგება და მორიგება გამორიცხული იყო იმ დროის მთავრობასთან და იმ დროის თავადობასთან.

მით უმეტეს, რომ ქართლის გლეხობა უკვე ძალიან გულამღვრეული და შეწუხებული იყო იმ ვითარებით, ბევრმა უღირსმა ბატონმა რომ შეუქმნა.

შორი იყო ბატონყმობის გაუქმებამდე, ძალიან შორი იყო იმ დრომდე, როცა არსენას მესტვირულ ლექსს წიგნად გამოსცემდა პირველად პეტრე უმიკაშვილი და არსენა თანდათან იქცეოდა ნამდვილ ლიტერატურულ გმირად, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას ილია ჭავჭავაძე მიაქცევდა, აკაკი წერეთელი კი პიესასაც დაწერდა მის შესახებ და სხვებიც არ დაივიწყებდნენ. არსენა გაიზრდებოდა და გაიზრდებოდა ფიქრიც ამ კაცის შესახებ და მიემატებოდა ნამდვილი და გამონაგონი და მერე ეს საერთოდ დაგვირგვინდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის რომანით და მიხეილ ჭიაურელის ფილმით, საბოლოოდ კი, კომუნისტების ეპოქაში – არსენას ძეგლით მცხეთაში.

მცხეთაში, რომლის კიდეზეც მოკლეს არსენა.

ეს ალბათ ჰგავს იმას, რაც ლექსშია: არსენა იჯდა გზის პირას, ჩვეულად, სადაც ყოველთვის უყვარდა ხოლმე სუფრის გაშლა. მას ყოველთვის შეეძლო, გზის პირას კარგი გლეხური სუფრა გაეშალა ხორცითა და მოთალით, კარგი ღვინითა და პურით. ხალხის დაპატიჟებაც უყვარდა.

როგორც ეტყობა, არსენა ურთიერთობის მაძებარი კაცი იყო, უყვარდა მჭრელი სუფრული ლაპარაკი.

ლაპარაკში წამოკიდება ხომ იცოდა, იოლად სცნობდა ცუდ და კარგ კაცს და ამ წამოკიდებასაც ემსხვერპლა.

იყო ასეთი გიორგი სეფისკვერაძე, უბისელი მილიციელი, იმერელი გლეხი, რომელმაც დიდი სახელი დაიგდო კახეთში ლეკებთან ბრძოლაში და ამის გამო მას კუჭატანში მიწაც კი მისცეს. ეძახდნენ კიდეც კუჭატნელს.

შთამბეჭდავი იერის კაცი იყო.

ძველი ზღაპრებიდან გადმოსული ორი დევგმირის შეხვედრას ჰგავს მისი და არსენას უცნაური შეხვედრა მცხეთის გზაზე, სადაც არსენა იჯდა, ღვინოს სვამდა და გამვლელ-გამომვლელს ეძახდა.

გამვლელ-გამომვლელი ეტყობა ბევრი არ იყო.

ლექსი მოგვითხრობს, რომ იყო წითელი პარასკევი, ყველაზე რთული დღე დიდი მარხვისა, როცა ქართველები მძიმედ მარხულობდნენ, რაღა თქმა უნდა, არ სვამდნენ ღვინოს და ელოდებოდნენ აღდგომას.

მაგრამ არსენა სვამდა, შეიძლება არც იყო ეს წითელი პარასკევი, მაგრამ ამ პარასკევს და აღდგომის მოახლოებას სეფისკვერაძეების შინაური გადმოცემაც ამაგრებს, იმიტომ რომ სწორედ სააღდგომოდ

თავისი კახური მამულიდან მოდიოდა იმერეთში გიორგი სეფისკვერაძე.

ლექსში მას ახლავს ერთი მისგან გაზრდილი ლეკი, შინაური ლეგენდით კი თავისი ძმისშვილი თუ დისშვილი, რომელსაც შელაპარაკების შემდეგ არსენამ ყუით დაარტყა თავში ხმალი და ამბობენ, რომ ის საწყალი ბიჭი ლოგინიდან აღარც ამდგარა.

კუჭატნელმა უარი უთხრა არსენას მასთან ერთად დალევაზე და გზა განაგრძო.

არსენას ცოტა გვიან ეწყინა, დაეწია, როგორც ძველად იტყოდნენ, თავსა დაუარა და წინიდან შემოეფეთა და აუხირდა.

ცხენდაცხენ ხდება ეს ამბავი.

თითქოს, ამ ლაპარაკის დროს მან კუჭატნელს არაფერი უქნა და პატარა ბიჭს დაჰკრა ყუით ხმალი თავში. სწორედ ამის შემდეგ მოუხდა კუჭატნელთან შეყრა და ორთაბრძოლა.

ლექსში ძალიან შთამბეჭდავად და შემზარავად არის აღწერილი არსენას სიკვდილი. იქ არის მისი სიზმარიც.

ეს ყველაფერი ერთმანეთს გადაებმება, თითქოს ბოლოს ლეკი ესვრის მანამდე კუჭატნელისგან სახეათლილ არსენას.

ის იქ მოკვდა, სადაც მთელი ცხოვრება იდგა – გზაზე, სადაც დაეძებდა ურთიერთობას და სადაც უნდოდა გაეჭრა თავისებური სამართალი.

ეს არ იყო ცუდი სამართალი.

სხვანაირად არსენა ვერ დაიგდებდა სახელს უბრალო ხალხში.

ქართველი გლეხი, მთელი თავისი ფიქრებით, დარდებით, ტკივილებით სწორედ ამ ერთ კაცში იყო გაერთიანებული და ამ კაცს ერქვა არსენა ოძელაშვილი.

არსენა გზაზე ეგდო.

კუჭატნელმა არ იცოდა, ვინ მოკლა. რომ გაიგო, ჯილდოზეც უარი თქვა.

ის იყო გამოცდილი და ნამდვილი მეომარი და ნაირგვარ გადმოცემაში, მათი შეხვედრა რომ შემოინახეს, ნამდვილად ჩანს, როგორ ერიდება ის არსენას და როგორ ეუბნება, თავს ნუ გამაფუჭებინებო.

რატომ შეხვდა ეს ორი კაცი ერთმანეთს?

როგორც ჩანს, ყაჩაღობა და დიდხანს გზაზე ცხოვრება ძალიან ძნელია და ხშირად ყველაზე გამორჩეულ ყაჩაღებსაც კი ხასიათი ღალატობთ.

ყაჩაღთა კანონგარეშე ცხოვრება ძველ საქართველოში 2-3 წელიწადს მოიცავს ხოლმე, 8-10 წელიწადი ვისაც გაუტანია, ლეგენდარულ

ფირალად და ყაჩაღად ჩაითვლება, მაგრამ არსენამ ყველა ამათზე ბევრად მეტი გაძლო და რომ მოკვდა, კიდევ დიდხანს იყო ცოცხალი – სხვები იბრალებდნენ არსენობას.

არსენა დაუმარხავთ მცხეთაში, აბა რას იტყვი, სადა?

მისი სიკვდილიდან ნახევარი საუკუნის თავზე ჟურნალისტმა დავით კეზელმა თავისი ფულით შეუკვეთა ქვა წარწერით: „აქ წევს დიდი ყაჩაღი არსენა ოძელაშვილი" და დაადო იმ საფლავს.

ლექსი კი ასე მთავრდება: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა".

სიყვარული არ გამქრალა, გაქრა მხოლოდ არსენას ფული.

ლექსივე გვეუბნება, ბლომად ფული ჰქონია გადამალულიო.

განა ეგ არის მთავარი?

არსენას დროება სწორედ ის დროებაა, როცა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი და მთელი სხვა მაღალი კნიაზობა შეითქვა და შეთქმულება კი ისე ჩავარდა, რომ აჯანყება ვერც წამოიწყეს. არსენამ ამ ამბისა არაფერი იცოდა.

არსენას დროება არის გადასახლებების დროებაც და თბილისში იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ჩამოსვლის დროებაც. აღლუმი მადათოვის კუნძულზე და მეჯლისი ზუბალაშვილების ძველ ქარვასლაში... იმ მეჯლისზე კი გიორგი ერისთავი არ შეუშვეს, ძველებურად რად გაცვიაო. ეს არის დროება სათარას სიმღერებისა, ბეზირგანოვის ყავახანისა, ფრიდრიხ ბოდენშტადტის ხეტიალისა და ამოუცნობი მირზა შაფისა, ყაზარმობისა, შეთქმულთა გადასახლებისა და შამილთან ომისა.

— ტატოს ცხოვრება —

ერთ შემოდგომას ისე მოხდა, რომ ცნობილმა ოფიცერმა, ილია ორბელიანმა თავისი დის შვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი დუელში გამოიწვია და, თავისი ჭკუით, მოკლა კიდეც.

ეს სასაცილო ისტორია თავიდან ძალიან ბრაზიანად და არეულად დაიწყო.

საქმე ისე იყო, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ახლო მეგობარი მაღალაშვილი ყოველთვის და ყველა წვეულებაზე ძალიან აქილიკებდნენ ილიკოს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მამაცი და ცნობილი ახალგაზრდა ოფიცერი იყო და ნიკოს ბიძა პირობითად თუ დაერქმეოდა, რადგან მასზე სულ ორი წლით იყო უფროსი და ისინი უფრო ძმები იყვნენ, ვიდრე ბიძა და დისშვილი.

დუელის ამბავი კი საღამოს მოხდა, წვეულებაზე, სადაც ნიკო მაღალაშვილის გარეშე მივიდა და ილიკოს ჩვეულად დაუწყო ქილიკი და აგდება. ილიკო თურმე დილიდანვე ფიქრობდა ამ წვეულებასა და დუელზე, რადგან ბიჭების დაცინვა ყელში მოსდგომოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაღალაშვილის გამოწვევას აპირებდა, ის კი იმ წვეულებაზე არ მივიდა.

დუელი, დუელიო და რადგან ორივე გაიქაჩა და რადგან საქმე სერიოზულად იყო, სეკუნდანტებიც დაინიშნნენ – ნიკოს ეს მაღალაშვილი წაჰყვა და ილიკოს კი ერთი ყაბარდოელი ოფიცერი და, რა თქმა უნდა, მეგობრების მთელი არმიაც, იმიტომ რომ დუელი ქალაქგარეთ უნდა შემდგარიყო.

მეგობრები სწორედ ნიკოს ამხნევებდნენ და არა ილიკოს.

ნიკო სამოქალაქო პირი იყო, ილიკო კიდევ – სამხედრო.

ცხადია, მათი სროლაში გაჯიბრება უნდა დასრულებულიყო ოფიცრის გამარჯვებით. ძალიან უხერხული და რთული ამბავი ელოდათ, იმიტომ, რომ ბიძას დისშვილის მოკვლა და დასჯა გადაეწყვიტა.

დუელისთვის უცნაური ადგილი შეარჩიეს – თავდაღმართი.

მაღალი და ახოვანი ილიკო დააყენეს აღმართის თავში. ნიკო კიდევ, უფრო დაბალი და უფრო ჩაფსკვნილი, თავდაღმართში.

სეკუნდანტებმა დამბაჩები შეამოწმეს, მერე დუელიანტებს ჩამოურიგეს და მათაც ისროლეს.

ნიკოსი გავარდა, მაგრამ ასე გამოჩნდა, რომ ასცდა. ილიკოსი კი არ გავარდა: მისმა დამბაჩამ მხოლოდ ცხვირი დააცემინა და გაბრაზებულმა ერთი ამბავი ატეხა, თქვენო ფინთიხი არ ჩამიყარეთ დამბაჩაშიო. თუმცა, შემოწმების შემდეგ დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და გასროლაც დარჩენილი ჰქონდა.

დაუმიზნა და ესროლა.

ნიკო წაიქცა და ილიკომაც იყვირა, ვაიმე, ვაიმე, ჩემი ძმა მოვკალი, ჩემი დიშვილი მოვკალი, როგორ მივასვენო ახლა სახლშიო. გაქანდა თავდაღმართში და დაახტა თავზე ნიკოს.

დუელიანტებს პირობა ჰქონდათ შეკრული, რომ გამარჯვებულს დამარცხებული, დაჭრილი ან მკვდარი თვითონ უნდა მიესვენებინა სახლში.

ილიკო ატირებული გამოქანდა თავდაღმართიდან, დაახტა წაქცეულ ნიკოს და ხელებით დაუწყო სინჯვა, რათა ჭრილობა ეპოვა და უცებ გაიგონა მისი ხმა: ბიჭო, ჯიბეში ქიშმიში მიდევს.... ქიშმიშსა მპარავსო.

ყველამ სიცილი დაიწყო. ილიკოს გარდა, ყველამ იცოდა, რომ დამბაჩებში ტყვიაწამალი არ ეყარა.

ილიკო საშინლად გაბრაზდა, მაგრამ ისე გაუხარდა, ნიკო რომ არ მოკლა, რომ ეს ამბავი კიდევ ერთი მხიარული კამპანიით დამთავრდა. ნიკოს და მაღალაშვილს კიდევ დიდხანს ჰქონდათ საოხუნჯოდ, როგორ აპირებდა ბიძა დიშვილის მოკვლას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდოსტატი იყო ათასგვარი გათამაშებისა და ნაირგვარი ფანდის მოგონებისა.

თხუთმეტი წლის განმავლობაში ის იყო თბილისის ყველაზე ხალისიანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჰქონდა დიდი დარდი და სევდა და რომელსაც ეკუთვნოდა იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში მიიღო.

იმას არ ვამბობ, რომ ის დიდი პოეტი იყო.

მისი პოეზია იმ დროის თბილისური საზოგადოებისთვის არ იყო ძალიან საინტერესო. უფრო მიმზიდველი მისი ხასიათი იყო.

მისი ლექსები მხოლოდ მისი ნათესავებისა და მეგობრების წრეში ტრიალებდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ორი განთქმული ოჯახის დამოყვრების შედეგად დაბადებული ყმაწვილი კაცი, რომელმაც ამ ბრწყინვალებისაგან ბევრი რამ მიიღო, მაგრამ რაც ყველაზე მეტად უნდოდა, ცხოვრებას ვერაფრით გამოჰგლიჯა.

ნიკოს დედა, ეფემია, იყო სამი განთქმული ოფიცრის, გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანების და.

ეს იყო ძალიან შთამბეჭდავი და ძველი ოჯახი, რომელიც, ერთი მხრივ, იყო ყაფლან ორბელიანის შთამომავალი და ამიტომაც სიამოვნებით უწოდებდა თავს ყაფლანიშვილებს, ანდა ყაფლანიანთ; მეორე მხრივ კი, ეს იყო ერეკლე II-ის ქალიშვილის, ელენეს შთამომავლობა. ძმებისა და ეფემიას დედა, ხორეშანი, იყო ერეკლეს შვილიშვილი.

მამისაგან კი ნიკო გამოდიოდა ბარათაშვილთა მდიდარი და ცნობილი შტოს მემკვიდრე. მამამისი მელიტონი ძალიან შეძლებული კაცი იყო, თუმცა მთელი სიმდიდრე თბილისურ წვეულებებში დააბანდა. ის ძალიან კარგახსნილი კაცი გახლდათ, რითაც ისეთი ვალები დაიდო, რომ მთელი ცხოვრება ვეღარ გადაიხადა და ნიკოსაც, ვისაც უფრო ტატოს ეძახდნენ შინაურები, სატანჯველად გაუხდა ეს ვალი.

მელიტონ ბარათაშვილი იყო დიდი ქეიფების მომწყობი კაცი და თუ ვინმე იყო მაღალ თავადობაში – ალექსანდრე ჭავჭავაძით დაწყებული და განთქმული რუსებით დამთავრებული – ყველა მის სახლში იყრიდა თავს.

ძველი თავადი იყო, ხვალისას ძნელად ფიქრობდა.

მაგრამ, იმავე დროს, მელიტონი იყო ძალიან ანჩხლი კაცი. ხასიათში ჰქონდა ყვირილი და ჩხუბი.

ძველები იგონებდნენ, ანჩისხატთან მცხოვრები მელიტონი ყვირილსა და ცოლ-შვილის ლანძღვას რომ დაიწყებს, არქიელის მოედანზე, თეკლა ბატონიშვილის სახლში ისმისო. მაშინდელი პატარა თბილისი სცნობდა ამ კაცის ხმას.

ასე იყო მერეც, მუხრანის ხიდთან რომ გადავიდნენ საცხოვრებლად.

მელიტონ ბარათაშვილმა იცოდა რამდენიმე ენა, რაც ძალიან ადგებოდა კარიერაში. ის დაახლოებული იყო რუსულ ადმინისტრაციასთან და კარგი ჯამაგირიც ჰქონდა.





აკაკი წერეთელი



გრიგოლ ორბელიანი




ივანე კერესელიძე

ყაიღლან ორბელიანი



ჟურნალ „ცისკრის"
თავფურცელი





ალექსანდრე ბარიატინსკი და მისი მეუღლე ელისაბედ ჯამბაკურ-ორბელიან



ფრიდრიხ ფონ
ბოდენშტადტი



ძმები ზუბალაშვილები



ივანე კერესელიძე



ილია ჭავჭავაძე



როსტომ წერეთელი




სხვიტორი




სხვიტორი, აკაკის იუბილე



სხვიტორი



სხვიტორი



თბილისი





მაიკო ორბელიანი



ეკატერინე ჭავჭავაძე



ლევან მელიქიშვილი



სხედან: ილია ქავქავაძის და და ნიკოლოზ ბარათაშვილის დები



ნიკოლოზ ბარათაშვილი,
ლადო გუდიაშვილის ნახატი



ნიკოლოზ ბარათაშვილი,
ტ. მომცემლიძის ნახატი, 1901 წელი



ნიკოლოზ ბარათაშვილისა და
ილია ჭავჭავაძის დები



ნიკოლოზ ბარათაშვილის და. ნახაქ



გან



ეაჟთა პირველი გიმნაზია



გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის გადასვენება მთაწმინდის პანთეონში

ჯხეთა







ქართლი

ქართლ









ბესარიონ ქებური



მცხეთ

იმ ხანებში კარგი თარჯიმნები და კავკასიელთა ენებზე მოლაპარაკე ხალხი ჭირდა და რუსები ასეთებს ძალიან აფასებდნენ. თუმცა, მელიტონი სამსახურშიც დიდად არ იკავებდა თავს და ვინმესთვის ხელის შემორტყმა იშვიათობად არ უჩანდა. გალახული ჰყავდა კანცელარიის მთელი ადმინისტრაცია და წვრილ-წვრილი ჩინოვნიკები.

ასეთი კაცი იყო, არც სახლში და არც გარეთ ხელს არ აკლებდა.

ტატოც არაერთხელ გაელახა სასტიკად. ასეთ ცელქს რას მოუთმენდა!

მას და ეფემიას თოთხმეტი შვილი ეყოლათ, მაგრამ უმრავლესი ჩვილობაშივე დაეხოცათ. გადარჩნენ მხოლოდ ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი – ნიკოლოზი, ნიკო, ტატო, ტატიკო.

ეს ერთადერთი ბიჭი იყო საბრალო ეფემიას იმედი და ხელისგულზე სატარებელი, მით უმეტეს, რომ ბიჭი იყო განსაკუთრებული ხასიათის, ძალიან ხალისიანი, მოძრავი და, როგორც იტყოდნენ, პირველი „მოტანცავე“ ქალაქში მოწაფეობის დროიდან.

არა მხოლოდ კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც ის მერე სწავლობდა, არამედ ჯერ კიდევ ძველ, კალოუბნის ქართულ სკოლაში, სადაც ზაფხულობით ეზოში იყო ხოლმე გაკვეთილები ძველებური ქართული სტილით, ის თავისი ტანცაობით იყო ცნობილი.

მერე და მერე, კეთილშობილთა სასწავლებელში ყოფნისას, ალდადანოვთან, ცეკვის ცნობილ მასწავლებელთან დაიწყო სიარული. ის ლეკურსაც ასწავლიდა და ევროპულსაც და აღარ იყო წვეულება, ტატოს რომ არ ეცეკვა.

ოხუნჯობა ტატოს თანდაყოლილი ნიჭი იყო, მაგრამ თბილისიც ისეთი ქალაქი იყო, რომ თუ არა მისი ოხუნჯობები, მთლად საღათას ძილს მიეცემოდა – მაშინ არ იყო არც თეატრი, არც გაზეთი, არც სხვა რამ თავშესაქცევი.

მთავარ გასართობად იყო სეირნობები ბაღებში, წვეულებები, ერთმანეთთან სიარული და დროსტარება: ვთქვათ, მანანა ორბელიანის სალონში ჯდომა, ლაპარაკი და ჭორები, ჭორები, ჭორები...

თბილისი არი ჭირი და ჭორიო, როგორც თავის ოფიცერ ბიძებს სწერდა ტატო, როცა თბილისში შავი ჭირის გაჩენას შიშობდნენ. გაუთავებელი ფლირტი ბიჭობიდანვე – ქმრიანებთან, უქმროებთან, თავის ტოლებთან, უფროსებთან, უმცროსებთან, ესეც იყო მისი ცხოვრება.

ტატო ამის ოსტატიც იყო, თუმცა არც ერთი ფლირტი საბოლოოდ ღრმა და ნამდვილ ურთიერთობაში არ გადაზრდილა.

ჰქონდა ამის სურვილი, მაგრამ ვერ გადაზარდა და ამის გამოც ძალიან სევდიანი იყო. ხშირად სწერდა თავის ბიძებს, ეს ქალაქი სულისთვის, გულისთვის და გონებისთვის არაფერს იძლევაო; ძალიან უყვარდა აქაურობა და ამით საზრდოობდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეკუთვნოდა რაღაც უფრო მეტი და მეტის ნახვა უნდოდა.

მისი ერთი ბიოგრაფი წერს, საბრალო ბიჭი იყოო, რადგან თერგიც კი არ დაელიაო.

ეს იმას ნიშნავს, რომ მშობლებმა არც უნივერსიტეტში გაუშვეს და არც სამხედროში.

თერგი არ დაელიაო, ქუთაისშიაც კი არ ყოფილა და ზღვაც არ ენახაო.

ამ პატარა ქალაქს ის გაცილებულიც არ იყო და ამ ქალაქისთვის ის იყო ძალიან დიდი ხალისი და თვალი; ყმაწვილი კაცი, რომელმაც დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი და რომელსაც ჰქონდა იგივე ოცნება, რაც მთელს მის თაობას – სამხედრო სამსახური, სახელის განთქმა კავკასიის ომებში და კარიერის პოვნა. ბევრმა მისმა მეგობარმა ეს ბრწყინვალედ მოახერხა: თუნდაც ლევან მელიქიშვილმა, მისმა უახლოესმა ადამიანმა, რომელმაც აგერ, 80-იან წლებამდე მოაღწია და გახდა დიდი გენერალი და უდიდესი თანამდებობებისა და პატივის კაცი; ასევე მისმა ბიძებმა, რომლებიც საერთოდაც ლეგენდით იყვნენ შემოსილნი, და უამრავმა ასეთმა ახალგაზრდა ქართველმა თავადიშვილმა.

ვინც კი მოინდომა, ყველა გახდა სამხედრო.

ის, რომ ბარათაშვილი სამხედრო ვერ გახდა, უბრალო რამით აიხსნება: კეთილშობილთა სასწავლებელში ის კიბიდან გადმოვარდა, მოიტეხა ორივე ფეხი და როცა მოშუშდა, გაირკვა, რომ საბოლოოდ დაკოჭლდა ცალი ფეხით.

სასწავლებელი რომ დაამთავრა და მამას სთხოვა, მის სამხედრო კარიერაზე ეზრუნა, მელიტონმა უთხრა, შენ მარტო ინვალიდების როტაში მიგიღებენ და ამით ვერანაირ კარიერას ვერ გაიკეთებო.

ტატოს მზად ჰქონდა მეორე სურვილიც – უნივერსიტეტში სწავლა, მაგრამ ამ დროს მელიტონი ავად გახდა და – მე რომ რამე მომივიდეს, მთელი ოჯახი შენი სარჩენი იქნება, სად გაგიშვაო.

რაღა თქმა უნდა, მელიტონს არაფერი მოუვიდა და თხუთმეტ წელიწადს კიდევ იცოცხლა ტატოს გარდაცვალების შემდეგ.

ასე და ამგვარად, მას ყოველგვარი კარიერის შანსი მოესპო და მუშაობა დაიწყო სტოლონაჩალნიკად, გახდა ჩინოვნიკი თბილისის ექსპედიციაში „სუდა ი რასპრავი“.

იყო ძალიან დიდი შეუსაბამობა მის ხასიათსა და კანცელარიის ცხვირჩამოშვებულ მოხელეებს შორის.

როგორც კი საქმეს მორჩებოდა, იწყებდა სირბილს მთელ ქალაქში, ამბების მიტან-მოტანას, ნაირგვარ ოჯახებში მისვლა-მოსვლას.

ხანდახან კარს არც უღებდნენ, ზედმეტი ხალისი და ჭორები ძნელი გადასატანი იყო. ზოგი სულაც ღიზიანდებოდა, როცა ასეთი გათამაშებების მოყვარული ადამიანი მოდიოდა თავისი განწყობითა და ღლაბუცით და თანაც სრულიად უდროო დროს.

სამსახურში ყველაფერი იმდენად მოწესრიგებული ჰქონდა, რომ მისი უფროსები გაოცებულებიც კი იყვნენ, ძალიან შორს წავა საჩინოვნიკო გზითო. მაგრამ საჩინოვნიკო საქმე არ იყო მისი გზა, ის ბოლომდე დარჩა მოსურნე სამხედრო კარიერისა. ოცნებობდა, როგორმე თავი დაეღწია თბილისისთვის და უკეთესი ადგილი ენახა თავისი მომავლის მოსაგვარებლად.

გრძნობდა, მეტი შეეძლო, და უნდოდა, რაღაც უკეთესი ეკეთებინა.

თბილისში წიგნების შეზღუდული რაოდენობა იყო, ყველას ყველაფერი წაკითხული ჰქონდა. მასაც ძალიან უყვარდა კითხვა. ძალიან უყვარდა მსოფლიოს ამბების ცოდნა. ამავდროულად, გაუთავებლად გატაცებული იყო, ძალიან მგრძნობიარე გახლდათ და ძალიან ხშირად უყვარდებოდა.

ხშირად მისი ლექსები ამ სიყვარულებს ეძღვნებოდა.

მაგალითად, ტატოს უყვარდა დელფინა ლაბიერი, ფრანგი მეფუნთუშის ქალიშვილი. ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“ სწორედ მისადმი საყვედურებით არის სავსე. დ.ლ.-ს. დ.ლ.-ს, ს.ლ.-ს... ვერც ეს რომანი გადაიზარდა რაღაც უფრო ნამდვილსა და დიდში.

ტატოს ბიოგრაფები ამბობენ, რომ ის კოჭლი იყო და ნაკლებად შესახედი. თბილისში კი ბევრი სიმპათიური ახალგაზრდა იყო. თუნდაც ოფიცრობა. ისინი უფრო მიმზიდველები ჩანდნენ და მისი ნიჭი და ხალისი ვერ ფარავდა მათ ჩინ-მედლებს, გარეგნობას და მუნდირებს.

ჩაცმა ტატომაც კარგი იცოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩაცმა ბევრს არ წყვეტდა. ოფიცერთა ცოლებს ძალიან აედევნებოდა ხოლმე, აგდებდა მარცვლებს ინტრიგების, მერე გადაჰკიდებდა ქალსა და კაცს ერთმანეთს, გათხოვილ ქალს მადევარ კაცს შეახვედრებდა, ან დააშორებდა.

ლევან მელიქიშვილი იგონებს, როგორ მოვარდა ერთხელ ტატო, ერთ წვეულებაზე ეკატერინე ჭავჭავაძის საყურის ციმციმმა გამაგიჟაო, და იქვე დაწერა ლექსი.

ტატო გრძნობდა, რომ აქ წინ ვერ წავა და ერთადერთი, რაც შეიძლება გააკეთოს, ისაა, რომ სამსახურში დაწინაურდეს და ისიც –

შეზღუდული ფორმით, რადგან არა აქვს ის განათლება და საბუთები, მაღალ კარიერას რომ სჭირდება.

ამ დროს კი ცხოვრება ეგებ ქუხდა და გადმოქუხდა კიდეც. მისი მეგობარი ლევან მელიქიშვილი და ბიძები თავიანთი სიმამაცითა და იარაღით იხვეჭდნენ სახელს. ისინი უკვე იყვნენ რუსეთის ძალიან ერთგული და განთქმული ოფიცრები. მისგან ნაქილიკები ილია ტყვედ ჩაუვარდა შამილს. შამილმა მთელი მოღალატე დაღესტნელები მის თვალწინ დაახოცვინა, ილიამ კი წარბიც არ შეიხარა და უთხრა, თქვენ ამით ვერაფერს დაამტკიცებთო.

მისმა პასუხმა დაარწმუნა შამილი, რომ ილია განსაკუთრებული ადამიანია და რუსებთან მის მომგებიან გაცვლაზე ლაპარაკი შეიძლება. სწორედ ამის შემდეგ მოხვდა ილია ორმოში.

ასეთი ამბები ვრცელდებოდა მაშინ თბილისში, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ნიკოც და სხვებიც ამტკიცებდნენ, ილია კარგად არის და არ გატყდებაო. ჩანს, მათ იცოდნენ ილიას ხასიათი. მიმოწერაში კარგად ჩანს: ნიკოც და გრიგოლიც ამბობდნენ, არაფერი, არაფერი... რაღაც საერთო განწყობა იყო, რომ ილია გამოძვრება, ილია გადარჩება, ილია არ განადგურდება და ასეც მოხდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“ სწორედ ილიას გადარჩენისადმია მიძღვნილი – იმისადმი, რომ ილია გადარჩეს.

ასეც მოხდა: ილია ორმოცი წლისა გახდა გენერალ-მაიორი, მას მიჰყვა გრიგოლიც.

ილია თურქეთთან ომში დაიღუპა, ბევრით არ გადაუსწრია თავისი დიშვილისთვის. ზაქარია პოლკოვნიკი იყო, ისიც ადრე გარდაიცვალა, ლევან მელიქიშვილი კი კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე და მარჯვენა ხელი გახდა, ძალიან გავლენიანი კაცი.

საერთოდ, ტატოს მთელი სამეგობრო ძალიან კარგად მოეწყო რუსულ საჩინოვნიკო და სამხედრო საქმეში. იგივ ცნობილი და ყველაზე საზიზღარი ცენზორი ლუკა ისაღლიშვილი მისი კლასელი და ახლო მეგობარი იყო. გამონაკლისად შეიძლება მხოლოდ დიმიტრი ყიფიანი მივიჩნიოთ, რომელიც დიდი ჩინოვნიკიც იყო, მაგრამ თან იყო ბევრი ქართული საქმის მოთავეც.

ბიძებისადმი ტატოს წერილებს რომ გადავავლოთ თვალი, იქ ხშირად წყენაც გამოჩნდება ხოლმე. ილიკო და ნიკო თითქმის ტოლები იყვნენ და მათ მიმოწერაში უფრო მეგობრული დამოკიდებულებაა, გრიგოლი კი უფროსი იყო, მას მეტი მოეთხოვებოდა და ნიკოც სწორედ მას სწერდა გულისნადებს.

სადღაც უცხოეთში, უცხო ქვეყანაში არის ასეთი წესი, რომ მეგო-

ბრები მოჰკიდებენ ხელს თავიანთ დაჩაგრულ მეგობარს, გამოიყვანენ ცხოვრებაში, გადაადგმევინებენ ნაბიჯებს წინ და მერეღა შეუშვებენ ხელს.

აი, ამას სწერს ბიძას და უხსნის, რომ დახმარება სჭირდება.

გრიგოლ ორბელიანი კი უკვე ძალიან ცნობილი სამხედროა კავკასიის ომებში. ბიჭოო, – ასე სწერს ილიკოს, – ახლა კი ჩვეულებრივად ველარ მოგწერ წერილებს, ავარიის ხანი ვარო; ჰაქიმ-ხან ემირი ვარ უკვეო, – აი ასეთი სიამაყით ამცნობს, – და ჩემს ბეჭედს აწერიაო: „მუთავაქილ ქნიაზ ორბელიან, ხან ემირ ავარ“... დიდი სიამაყითა და განცდით; ავარიის გამგებელი, დიდი თავგადასავლებით, დიდი სამხედრო გამოცდილებით, საგმირო ეპიზოდებით, შამილთან ლამის უშუალო ბრძოლით.

მერე, როცა უკვე დატყვევებული შამილი ნახა პეტერბურგში, ალექსანდრე II-სთან, სადაც თვითონაც იყო მიწვეული, მოიწერა: რა დარბაისელი კაცი ყოფილა, რას ვეომებოდით ამდენ ხანსო. მანამდე კიდევ – შამილა, შამილაო, ასე იწერება. იგრძნობა, რომ არა აქვს შამილის პატივისცემა ახალგაზრდობის და ომის დროინდელ წერილებში. არადა, ბევრი რუსი ოფიცრის წერილებში შამილი მოიხსენიება, როგორც „ჩვენი დიადი მტერი“, „ჩვენი მამაცი მტერი“, „ჩვენი ღირსეული მეტოქე“.

გრიგოლთან ასეთს ვერ შეხვდები, ერეკლე მეფის შვილთაშვილია და ლეკთა ბატონზე არ იხარჯება. მხოლოდ სიბერეშიღა მოლბა. მოხუცები, ხომ იცით.

ანდა, მისი თავგადასავალი ჰაჯი მურატთან, რომელმაც გრიგოლ ორბელიანს რეზიდენციიდან მოსტაცა აჰმედ ხანის ულამაზესი ქვრივი ნოჰ ბაქე, და გრიგოლი სერთუკისამარა, ლოგინიდან წამოვარდნილი გაეკიდა, ქალი რომ წაერთმია; ანდა, ის ამბავი, მერე როგორ შერიგდნენ ის და ჰაჯი მურატი, როგორ ნადირობდნენ ზაქათალაში და, საერთოდ, მთელი მისი თავგადასავალი, რომლის შესახებაც ის თითქმის არასდროს ჰყვებოდა.

მოგონებებიდან დაგვრჩა მხოლოდ ის, რომ გრიგოლი იყო რუსეთის უერთგულესი და ალბათ ყველაზე სანდო მოხელე – ერთადერთი ქართველი, ვინც მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლად იყო. ასევე ის, რომ მან გურიის აჯანყება ტყვიით ჩაახშო და თბილისის ყარაჩოლელების აჯანყებასაც ტყვიით უპასუხა მას შემდეგ, რაც ლაპარაკმა არ გაჭრა.

ანდრია პირველწოდებულის ორდენი თბილისში ჩამოუტანა თავად ალექსანდრე II-მ.

ასეთი კაცი, ასეთი ბიძა, ასეთი გავლენა და აქეთ ეს საბრალო ბიჭი

თავისი უსაზღვრო ნიჭით, რომელიც სთხოვს, რაღაცაში მომეხმარე, რაღაც გამიკეთეო, და არაფერი გამოდის.

ის დუმს, სწერს ტკბილ წერილებს.

ტატო ეძებს ადგილს, ახალ სამსახურს სადმე სხვაგან; ცდილობს, ვიღაცას გაჰყვეს სადმე.

მის მეგობრებს უკვე ნიშნავენ მაზრის უფროსებად, 28-29 წლის ბიჭებს აწინაურებენ და ისინიც როგორღაც არ ივიწყებენ ტატოს.

ლევან მელიქიშვილს ნახჭევანში მიჰყავს, სადაც თავად მაზრის უფროსადაა. ტატოც სიხარულით მისდევს, როგორც თანაშემწე.

იქ დიდხანს არ გაჩერებულან. ექვსი თვის თავზე ლევანი თბილისში გამოიხმეს. ტატოს კი ფული წაეგო ბანქოში და ლევანმა აღარ დატოვა, ოთხასი მანეთი წააგო და მაგის ამბავი რომ ვიცოდი, მიაყოლებდა და მიაყოლებდა, ითამაშებდა და ითამაშებდა, და ამიტომ წამოვიყვანეო. მაგრამ ტატომ ისიც იგრძნო, რომ თბილისში იოლად დაივიწყეს. დარჩენილია მისი საყვედურიანი წერილები, მესამე თვეა, აქა ვარ და რომელს გაგახსენდით ერთიო.

თბილისში მობრუნებული, ის კვლავ ცდილობს ახალი ადგილის პოვნას. თითქოს გამოჩნდა კიდეც – თელავში, სადაც მაზრის უფროსად მიდიოდა მამუკა ორბელიანი. წამოგყვებიო, სთხოვა ტატომ და იმანაც თანხმობა უთხრა, მაგრამ მამუკას უცებ შეუცვალეს ადგილი და გადაისროლეს განჯაში. ტატო იქაც წაჰყვა.

ოღონდ კი წასულიყო.

ჰოდა, სწორედ განჯაშიც გარდაიცვალა.

გარდაიცვალა ძალიან უბრალოდ, როგორც სუსტი და მიტოვებული კაცი.

ყაჩაღების დევნაში გაჰყვა მამუკას და გაცივდა.

მერე თითქოს გამოკეთდა, მაგრამ, ეტყობა, გამოშუშება არ აცალა. განჯელ მღვდელს უამბია მისი მეგობრებისთვის, ბევრი ცივი ლუდი დალია, ჯერ მომჯობინებული არ იყო და ისევ შეუბრუნაო.

შეუბრუნა და ველარ გამოვიდა.

გვარიანად დასუსტებული, ვერც კლიმატს შეეგუა, ვერც სხვა რამეებს და იქვე, განჯაში დაკრძალეს.

შინ წამოსვენებაზე არც კი უფიქრია ვინმეს კარგა ხანს, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს. უკვე მერე, ნიკოლოზ II-ის დროს, მიმართეს მისმა სამმა დამ და ილია ორბელიანის ვაჟმა, გიორგიმ, მეფისნაცვალს თხოვნით, გადმოვასვენებთო.

მანამდე კი ესვენა განჯაში და აღმოჩნდა, რომ ყველას უცბად დააკლდა.

ილიკო სწერდა გრიგოლს, რა ბედნიერი ხარ, აქ რომ არა ხარ და ეფემიას არ უყურებო. დედას დიდხანს აღარც უცოცხლია.

ლევან მელიქიშვილის წერილებზე პირდაპირ ცრემლებია. გრიგოლს სწერდა: მე ვცოდავ ახლა, მაგრამ ღმერთს რატომ მიჰყავს ასეთებიო; არ ვიცით, რა ვქნათ, სადაც შევალთ და დავსხდებით, ვგრძნობთ, რომ ერთი ადგილი ცარიელიაო; ყველა წვეულებაში, ყველა სუფრასთან მგონია, რომ იქაა და ვერ ვხვდები, რატომ არ არის, რა დააშავა ასეთიო.

არის ეფემიას წერილებიც – ერთადერთი იმედი მომიკვდაო.

აი, ასე წავიდა და გაქრა მისი ხალისი და მისი სიცილი. ამოვარდა ყოფიდან.

მისი ლექსებიც კარგა ხანს არსად გამოჩენილა. უკვე მერე ილია ჭავჭავაძე წააწყდა იმ ცნობილ რვეულს პეტერბურგში, ეკატერინე ჭავჭავაძესთან, და დაუბრუნა ქართველებს ეს დიდი პოეტი, რომელიც ამხელა დარდით და ამხელა ხალისით დადიოდა თბილისში.

ცხოვრება კი გაგრძელდა.

— ოპერა —

მოსაწყენ და მოწყენილ თბილისს გაუჩნდა ახალი და მოულოდნელი გასართობი. გასართობი არც იყო, ბევრად მეტი გამოდგა. იმან, რაც გაუჩნდა, მთლიანად შეცვალა ქალაქის ცხოვრება.

ეს იყო ოპერა, რომელიც მთავარმმართებელმა, გრაფმა მიხეილ ვორონცოვმა, საქართველოს საუკეთესო რუსმა მმართველმა, აჩუქა ქალაქს.

ივანე კერესელიძე, ის ძველი და კარგი ქართველი, იმ განთქმულ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, ჰყვებოდა, დიუმა რომ დავპატიჟე, ჩვენებურად, ძველებურად გავუშალე სუფრაო, ხალიჩაზე ფეხმორთხმით დავსვიო, ვასვი და ვასვი ღვინო, მაგრამ ძვრა ვერ ვუყავი დიდათო.

რამდენიმე კაცი ვისხედით და ბოლოს ვიფიქრე, რომ ერთი ჩვენებურად უნდა გადავიდე ალავერდსო. თეფშზე სამი ჭიქა დავაწყვე და გადავკარი სულმოუთქმელადო. გამომართვა ეს სამი ჭიქა და თვითონაც დალიაო, მერე ყანწიც გამომართვა და დალიაო, მერე კიდევ დალია და დალიაო, ბოთლების ოდენობა ვერაფრით დავთვალეო. მწვადი შემოგვქონდა და შემოგვქონდა, ჭამდა და ჭამდა ამ მწვადს, ვერაფრით ვერ ამოვპირეთო.

ძალიან უყვარდა ხოლმე ამის მოყოლა.

თვითონ დიუმა კი ამაყობდა ამ ქეიფით. წიგნშიც ჩაწერა, ქართველებმა ცნობა მომცეს, რომ სმაში გამარჯვებული კაცი ვარო.

დიუმას მადა და გურმანობა ისედაც ცნობილია და მისი ამოპირება თუნდაც ყველაზე მდიდრულ ქართულ სუფრას, მართლაც გაუჭირდებოდა.

1859 წელს, როცა დიუმა ჩამოვიდა თბილისში, აქ ორი ღირსშესანიშნაობა დაუხვდა. ყველა ამ ორი რამით აღფრთოვანდებოდა ხოლმე და დიუმაც ამით აღფრთოვანდა.

ერთი იყო თბილისური აბანო, თავისი განთქმული გოგირდის წყლებით და მეორე კი სწორედ რომ ოპერა.

აბანოსა და ოპერის შესაბამისობა და ერთ ქალაქში ერთმანეთისაგან ძალიან ახლო-ახლოს ყოფნა, ყველა ჩამოსულისთვის და მოგზაურისთვის ერთგვარად საკვირველი ამბავიც კი იყო.

დიუმამდე 30 წლით ადრე, როცა პუშკინი იყო თბილისში, ოპერა ჯერ არ არსებობდა, იყო მხოლოდ აბანო და აბანომ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა რუს პოეტზე, რომ სამუდამო მოგონებად გაჰყვა და მის წიგნშიც მოხვდა თბილისელი მექისის, უცხვირო ჰასანას სახელი.

უცხვირო ჰასანამ ისე დაამუშავა პოეტი, რომ პუშკინმა არზრუმის ლაშქრობის თავის ცნობილ რვეულში ჩაწერა: არასდროს არაფერი არ მინახავს თბილისის აბანოებზე უფრო მშვენიერი და უფრო გემრიელიო.

თბილისის აბანოს დიუმაც ეწვია და თბილისის აბანოების შორიახლოს შეიჭრა თმა თბილისურად, ძალიან დაბალზე. მერე კი გაეშურა თბილისის ოპერაში, რომელმაც ის სრულიად აღაფრთოვანა.

დიუმას მსოფლიო ჰქონდა მოვლილი, იმდენი ენახა, რომ, თქვენი მოწონებული.

მან დაწერა, რომ ამ იერის ოპერა, ასეთი შენობა და ასეთი დარბაზი, საოპეროდ გამოყენებული ასეთი მიმზიდველი ადგილი არსად უნახავს.

როდესაც რუსები შემოვიდნენ და ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმეს და, ცხადია, თბილისში თავიანთი ადმინისტრაცია დააფუძნეს, მაშინ თბილისი სულ სხვა ქალაქი იყო, ასი წლის თავზე კიდევ – სულ სხვა.

რუსების შემოსვლისას თბილისს ახალი გადატანილი ჰქონდა აღამაჰმად-ხანის რბევა.

ეს იყო დამცრობილი და უბედური ქალაქი, არცთუ მდიდარი და შთამბეჭდავი იერისა, თუმცა თავისი პატარა მუღამები, თავისი კოხტა იერი მაინც ჰქონდა. თბილისის შუაგული მაშინ იყო სულ სხვაგან, მეიდანზე.

მეიდანზე მიფენილიყო კლდის უბანი და აქეთ კი ბატონის უბანი, ანუ სალაყბო, რომელსაც ახლა ერეკლეს მოედანი ჰქვია. ეს იყო მაშინ ძველი თბილისი, გადაღმა ავლაბრით და რუსებმა, როცა ეს ქალაქი მოათვალიერეს და თავისი სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრის მომაგრება გადაწყვიტეს, ცხადია, მშენებლობაც დაიწყეს.

ერთ-ერთი ასეთი პირველი იყო ქალაქში ყაზარმების მშენებლობა.

ეს ის ყაზარმებია, სადაც 1832 წელს შეთქმულები ჩასვეს; რომელთა სარკმლიდანაც ყმაწვილი გრიგოლ ორბელიანი დედის დაკრძალვას უმზერდა. არ გამოუშვეს და მიცვალებული ყაზარმებთან ჩამოატარეს.

იყო ის დროცა, როცა გრიგოლ ორბელიანი შეთქმულებში ერია.

მეორე მხრივ, რუსებმა თვალი დაადგეს გარეთუბანს, ასე ვთქვათ, თბილისის მაშინდელ გარეუბანს, და სწორედ გარეთუბნიდან დაიწყეს ახალი ქალაქის შენება. გარეთუბანი კი გამოდის დღევანდელი თავისუფლების მოედნის ახლომახლო მიწები და რუსთაველის გამზირი.

იქ ააგეს კავკასიის მთავარმართებლის სასახლე, ხოლო სადაც ახლა ქალაქის მერიაა – საპოლიციო ადმინისტრაციის შენობა. მის წინ კი შადრევანი გამართეს.

მიწები იმ დროის თბილისში სხვადასხვა გვარეულობის დიდ თავადებს ეკუთვნოდათ: ორბელიანებს, ციციშვილებს, სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს. შესაბამისად, როცა რუსულ ადმინისტრაციას მიწა სჭირდებოდა, მათგან ყიდულობდა.

თბილისის უბრალო ხალხი კი ცხოვრობდა დაბლა ქალაქში, სწორედ ამ კლდის უბნის მიდამოებში, ბანიან პატარა სახლებში.

დღეს ასე გამქრალი ბანი იმ დროის უბრალო ხალხისთვის ცხოვრების წესი და ყოფის მკარნახებელი რამ იყო.

ადამიანები ბანზე ცხოვრობდნენ. წელიწადის სამ დროს ისინი ბანზე ატარებდნენ და ბანზევე ეძინათ.

თბილისი იყო ძალიან პატარა და კეთილმოუწყობელი ქალაქი, სადაც ერთი ღონიერი წვიმა იწვევდა ხოლმე წყალდიდობებს, ნიაღვრებს, ქვების დაძვრას კლდეებიდან და ათას სხვა უბედურებას.

ბანიანი სახლი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ადამიანები ახლოს ყოფილიყვნენ ერთმანეთთან და ერთმანეთი სცნობოდათ. ქალაქი ერთი ცხოვრებით ცხოვრობდა. ადათები იყო ძალიან ძველი და ურთიერთობები ერთგვარად პოეტურიც კი.

მაგალითად, შეყვარებული ქალი ყოველთვის ცდილობდა, მშობლებისგან ბანზე დაძინების ნებართვა მიეღო, რადგან იცოდა, გვიან ღამით და, რა თქმა უნდა, ეს აუცილებლად იყო ვარსკვლავიანი ღამე, მას მიჯნური მოაკითხავდა და შეეცდებოდა, ქვემოდან დალაპარაკებოდა. ან ხმადაბალი ლექსი ეთქვა, ანდა ცნობილი: „გადმომიგდე ბალიში, რომ შენი სახლის წინ დავიძინო“.

აი, ასეთი ქალაქი იყო, მაგრამ ეს ქალაქი ყოველდღიურად იზრდებოდა და იცვლებოდა.

იქ, სადაც ახლა თავისუფლების მოედანია, იყო ერთი უზარმაზარი ჭრელი ბაზრობა, ხოლო იქ, სადაც სოლოლაკია, იყო ღრანტე.

ეს იყო ყველაზე სახიფათო ადგილი დიდი ნვიმების დროს, შემოდგომაზე ან გაზაფხულზე, როცა წყალი სოლოლაკიდან დაძრავდა ხოლმე ქვა-ღორღს, ჩამოჰქონდა სწორედ, აი, ამ ბაზრის ადგილას და მისი გავლით მიიწევდა მტკვრისკენ.

სწორედ ამ ადგილს დაარქვეს „პლოშჩად პასკევიჩა ერივანსკოგო", სახალხოდ კი – ერევნის მოედანი და მოგვიანებით აქ ერევნის ამღები გრაფი პასკევიჩის ძეგლიც დაიდგა.

სწორედ პასკევიჩის მოედანს მოუყვებოდა მტკვრისკენ ავანაანთ ხევი, ნიაღვრების მთავარი კალაპოტი. ამბობენ, რომ სოლოლაკიდან წყალს ძროხაც წამოუღია ხოლმე და ამ ხევში გაუჭედავსო. ეს ყველაფერი ნიაღვარს ჩაჰქონდა მტკვარში, იმ მიდამოში, სადაც მერე მუხრანის ხიდი გაიდო.

ეს მიწა ეკუთვნოდა ერთ კეთილ კაცს – ესტატე ციციშვილს. მასვე ეკუთვნოდა მიწები ავლაბარში და როდესაც მუხრანის ხიდი აიგო, მის გაგრძელებაზე სწორედ ესტატე ციციშვილმა გაჭრა რიყის თავზე ახალი გზა. იმ ადგილს მერე დიდხანს ერქვა ციციანოვის აღმართი, სწორედ რომ ესტატე ციციშვილის სახელობის აღმართი იყო.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღესაც ესტატე ციციშვილმა ძალიან იაფად, ორ დოშად და ორ კაცის საკაბედ, ანუ საჩოხედ მიჰყიდა ეს ავანაანთ ხევი და გარშემო მიწები დიდ სოვდაგარსა და განთქმულ კაცს, გაბრიელ თამამშევს.

ეს ძალიან იაფი იყო, თუმცა მიწაც არ იყო დიდი და, რახან ეს ტალახიანი გარეთუბანი იყო, ციციშვილმაც ძვირად არ დააფასა.

საინტერესო კი ის არის, რომ გაბრიელ თამამშევს მაინცდამაინც თავისი სურვილით არ უყიდია მიწა.

მანამდე სოვდაგარს ხანგრძლივი მოლაპარაკებები მოუხდა მაშინდელი კავკასიის მთავარმართებელთან, გრაფ მიხეილ ვორონცოვთან, რომელიც არ ჰგავდა არცერთ წინა და არცერთ შემდგომ მთავარმართებელსა და მეფისნაცვალს.

ვორონცოვი გამორჩეული კაცი და გამორჩეული მოხელე იყო და საკმაოდ მოხერხებულ პოლიტიკას მისდევდა.

მას უნდოდა, ქართველებისთვის მიეცა კულტურის ის დაწესებულებები, რომლებიც მაშინ არსებობდა რუსეთსა და მსოფლიოში, და ამ ახალი გზის გახსნით თავადობა პოლიტიკიდან კულტურაშიც გადაერთო.

ბევრმა ქართველმა ეს ქართველების სიყვარულად ჩაუთვალა,

ბევრმა კიდევ, ორმაგ, როგორც ძველად იტყოდნენ – ყიზილბაშურ პოლიტიკად.

ასე იყო თუ ისე, ვორონცოვი გრძნობდა ქართველობას, მისი ყველაფერი ესმოდა და იცოდა და პეტერბურგსაც ამაში არწმუნებდა, სჯობს, ეს ხალხი უფრო მოვლილი და დამტკბარი გვყავდეს, ვიდრე აღშფოთებულიო.

აკაკი წერეთელი, რომელიც ვორონცოვის მმართველობისას ბავშვი იყო, მისი დიდი პატივისმცემელი გახლდათ და ამბობდა, გრაფი პეტერბურგს თვალს უხვევდა, ჩვენ ვუყვარდით და ჩვენ გვიკეთებდა კარგსო. მერე აკაკიმ პოემაც კი დაწერა – „ვორონცოვი“.

თეატრი, თეატრი, თეატრი – აი, ეს უნდოდა ვორონცოვს; ჟურნალები, გაზეთები, წიგნები ყოფილიყო ქართულად; ქართველებს ელაპარაკათ, ესმინათ, ეთამაშათ სცენაზე.

თეატრი კი უნდოდა, მაგრამ არ ჰქონდა არანაირი სახსრები ახალი შენობის ასაშენებლად. თეატრში იქნებოდა დრამაც, ოპერაც და ყველაფერიც.

ამისთვის ვორონცოვმა მოლაპარაკებები წამოიწყო თბილისელ ყაზაზებთან, ანუ ფართლეულის განთქმულ ვაჭრებთან და ცდილობდა მათგან მიეღო თანხა, რომლითაც ააშენებდა ახალ, დიდ შენობას, სადაც იქნებოდა თეატრი – ახალი ქალაქის, ახალი თბილისის გული.

ყაზაზებთან მოლაპარაკება ვორონცოვს არ გამოუვიდა. მათ იუარეს, არა გვაქვს თავისუფალი თანხებიო და სწორედ ამის შემდეგ იპოვა მან გაბრიელ თამამშევი, რომელიც დასთანხმდა.

ოღონდ დასთანხმდა თავისებური პირობით: სოვდაგარმა თქვა, რომ შენობა, რომელიც იქნებოდა თეატრი და თან ოპერა, იმავდროულად უნდა ყოფილიყო ქარვასლაც, სადაც ის გააქირავებდა მაღაზიებს, ან სულაც თავისთვის ექნებოდა მაღაზიები.

გაბო თამამშევი ჭკვიანი კაცი იყო და იმგვარად მოხერხებული, რომ უნდოდა, სანამ კაცი თეატრში შევიდოდა, მანამდე მაღაზიების რიგები გაევლო.

დღისით კიდევ შენობა მხოლოდ ქარვასლა იქნებოდა.

იმ დროს, როცა თამამშევმა ადგილი იყიდა, ახლომახლო მხოლოდ ორი შენობა იდგა: ერთი ნახსენები საპოლიციო უბანი წინ თბილისის პირველი შადრევნით, და მეორე ცოტა დაბლა, ძველი 70-ოთახიანი ქარვასლის ადგილას აგებული ახალი ქარვასლა, რომელიც ცნობილ ქართველ კათოლიკე დიდვაჭარსა და მილიონერთა განთქმული ოჯახის წინაპარს, იაკობ ზუბალაშვილს აეშენებინა და რომელიც დღემდე დგას.

როცა ნიკოლოზ პირველი ჩამოვიდა საქართველოში – ის იყო პირველი რუსი იმპერატორი ვონც თბილისს ეწვია – უკეთესი შენობა ვერა ნახეს და სწორედ ზუბალაშვილის ქარვასლაში გაუმართეს მეჯლისი.

ისევ თბილისური წვიმის დრო იდგა და მუხლამდე ტალახი იყო, იმიტომ, რომ მაშინ თბილისში ქვაფენილი არ იყო.

ყველას უნდოდა მეჯლისზე დასწრება, რათა ხელმწიფე-იმპერატორი ენახა.

მთელმა თბილისმა მე მგონი მაშინ გაიპარსა პირველად წვერი, იმიტომ რომ ხელმწიფე-იმპერატორი იყო მოდის კანონმდებელი – გრძელი, წვრილი ქილვაშებისა და მოკლე ულვაშისა და ვინც კი ქართველი მსახურობდა სახელმწიფო დაწესებულებაში, ყველამ გაიპარსა. მივბაძეთ ივანე ორბელიანსო, ასე ხუმრობდნენ. მანამდე მხოლოდ ის ყოფილიყო გაპარსული.

თითო-ოროლამლა დაიტოვა. ის ჩვენი ძველი თავადები კი ამას მაინც ვერ ეგუებოდნენ. მერე, წვერი რომ მოდაში დაბრუნდა და იმპერატორი ალექსანდრე მესამეც წვეროსანი იყო, ამ ძველებმა მაინც აღარ მოუშვეს.

მგონი, სწორედ მაშინა თქვა ივანე მაჩაბლის ბაბუამ, სვიმონ მაჩაბელმა, ორი რამე გვქონდა და არცერთი აღარა გვაქვს ნამუსის გამომხატველიო – ქალის ლეჩაქიო და კაცის ულვაშიო – ორივე წაგვართვესო.

ქალის ევროპულ ტანსაცმელსა და კაცის გაპარსულ ულვაშს უჯავრდებოდა. იგივე თითქოს ერთ მოხუცებულ ორბელიანსაც ეთქვას.

მოკლედ, როცა ეს განთქმული მეჯლისი გაიმართა თბილისში, ზუბალაშვილის ქარვასლის წინ მეკურტნეები იდგნენ, იმიტომ, რომ მაშინ თბილისში ეტლებიც კი არ იყო სახალხოდ და თვით ყველაზე დიდი თავადებიც კი დროშკებით მგზავრობდნენ.

დროშკებთან მირბოდნენ მუხლამდე ტალახში მყოფი მეკურტნეები, ქალბატონებს ხელით გადმოიყვანდნენ და შეჰყავდათ შენობაში, ანუ სიმშრალეში.

ეს მერეც ხშირად ხდებოდა თბილისში, სანამ ქვაფენილი არ დაიგო.

სწორედ ამ მეჯლისს ესწრებოდა მაშინ საქართველოს ეგზარქოსი, რომელსაც ძალიან მოეწონა შენობა და სთხოვა იაკობ ზუბალაშვილის შვილს (იაკობი უკვე ცოცხალი აღარ იყო), გიორგის, ეგებ მოგვყიდოთ, სემინარია გვინდა გავხსნათო.

ესეც განთქმული თბილისის სასულიერო სემინარია.

ნიკოლოზ პირველი იმაზე ვერ დაფიქრდებოდა, რომ სწორედ ამ

სემინარიის მომავალი სტუდენტები ჩამოაგდებდნენ მისი შვილიშვილის შვილს ტახტიდან. მანამდე კი გახდებოდნენ დიდი რევოლუციონერები.

შეთანხმება იქვე შედგა და ზუბალაშვილმა, როგორც ქველმოქმედთა გვარის ცნობილმა წარმომადგენელმა, უთხრა, მხოლოდ აგურის ფულს გამოგართმევთო, და ძალიან იაფად დაუთმო ეგზარქოსს ეს შენობა.

აი, ამ ადგილის შორიახლოს დაიწყო თამამშევმა ქარვასლა-ოპერა-თეატრის მშენებლობა.

მოიწვიეს იტალიელი არქიტექტორი სკუდიერი, რომლის ხელობაც ვორონცოვს ოდესაში გამოეცადა და რომელსაც დიდი ამაგი აქვს თბილისზე: მშრალი ხიდიც კი მისი აგებულია.

სკუდიერიმ ააგო ეს შენობა: ძალიან ლამაზი, მოქნილი, თავისებური, ძალიან ტევადი და ამავე დროს ძალიან სადა, თითქოს მავრიტანული იერისა. საწყალი იტალიელი სწორედ ამ შენობის, ანუ თბილისის ოპერის, გახსნის წელიწადს გარდაიცვალა – ის აშენებდა სამხედრო ტაძარს, რომელიც მერე კომუნისტებმა დაანგრიეს და მის ადგილას ახლა საქართველოს პარლამენტია, რომელიც, თავის მხრივ, კომუნისტებმა ააშენეს. ამ სამხედრო ტაძრის მშენებლობისას მოყვა ლოდის ქვეშ სკუდიერი და იქავე დაიღუპა.

თბილისის ოპერა იდგა სწორედ იქ, სადაც ადრე იყო ლენინის ძეგლი, ახლა კი – წმინდა გიორგისა.

აქ სპექტაკლებს თამაშობდა რუსული დასიც, მაგრამ მთავარი ამ ქალაქისთვის გამოდგა იტალიური ოპერა.

იტალიელი მომღერლები, იტალიური მუსიკა, ვერდი, პუჩინი...

თბილისისათვის ოპერის გახსნა და ოპერა იყო გადატრიალება.

ამან ქალაქი შეცვალა.

მიხეილ თუმანიშვილი, მოახლის ფსევდონიმით „ცისკარში“ სკეტჩების მწერალი კაცი, გასაოცარი იუმორით აღწერდა საოპერო სურათებს: წარმოიდგინეთ, რომ ჩადრიანი ქალი შედის გადაჭედილ ოპერაში, ადამიანი ვერ გაინძრევა და ქალი ყვირის, გამიშვით, გამიშვით, ბელინის უნდა მოვუსმინო, ჩადრზე არ დამადგათ ფეხიო. ანდა სოლოლაკიდან მორბის იმერელი ბიჭი და ყვირის: „ფიგარო აქა, ფიგარო იქა“ და ა.შ. „ლა დონნა მობილე“ იცოდა ყველა მეჯღანემ თბილისში. ასე ამბობენ.

ოპერამ მოახდინა გადატრიალება და ოპერის მტერი კი კვლავაც იყო განთქმული თბილისური შემოდგომის წვიმები.

სწორედ აქედან დაიბადა ქვაფენილის აუცილებლობის იდეა, იმი-

ტომ, რომ კვლავ და კვლავ მეკურტნეები იდგნენ ოპერის კარში და კვლავ და კვლავ ეზიდებოდნენ დიდ ქალბატონებს შენობაში. ეს იყო ძალიან მოხდენილი სურათი, მაგრამ მაინც ძალიან შემაწუხებელი.

ოპერამ გააჩინა და გაამრავლა თბილისში ფრანგული მოდის მაღაზიები, ოპერამ გააჩინა თბილისში მეყვავილეები.

ეს ყველაფერი საოცარი იყო. გარეთუბანში, ანუ ახალ ქალაქში, ყველაფერი იცვლებოდა, ყველაფერი ტრიალებდა სწორედ ოპერის გარშემო.

მიხეილ ვორონცოვმა იცოდა, რაც გააკეთა – მან შეცვალა საზოგადოების ცხოვრება თბილისში.

ოპერამდე თბილისის ერთადერთი გასართობი იყო ქეიფი. ქეიფს რა სჯობია, მაგრამ ის დიდი კულტურა, რომელიც იტალიურმა დასებმა მოიტანეს, აუწონავი იყო.

აქა-იქ ქართველი მომღერლებიც გაჩნდნენ. მათ შორის – ქალებიც, რაც თავისთავად წარმოუდგენელი ამბავი იყო, იმიტომ, რომ ქალის სცენაზე ყოფნა საქართველოში ძალიან დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

უკვე შემდეგ, 70-იან წლებში, როდესაც მაკო საფაროვა გადიოდა სცენაზე, ბებიამისი სახლში ტიროდა, მომჭრა თავიო. ასეთივე სირცხვილი იყო ქალის მწერლობა. ბარბარე ჯორჯაძეს და ეკატერინე გაბაშვილს უკიჟინებდნენ, ქალის ნაწერი რა უნდა იყოსო.

მიხეილ ვორონცოვი კი წავიდა კავკასიიდან და, სხვათა შორის, მალევე გარდაიცვალა. მისი ქვრივი ოდესაში ცხოვრობდა და ყველა ქართველი, ვისაც კი კეთილად ახსოვდა ვორონცოვი, თავს მოვალედ რაცხდა, თუკი იქით მოხვდებოდა, აუცილებლად მისულიყო ვიზიტით ვარონცოვის ქვრივთან და მისთვის კიდევ ერთხელ ეთქვა მადლობა იმისათვის, რაც ამ კაცმა გააკეთა თბილისში და საქართველოში.

ვორონცოვი, დიახაც, ჭკვიანი კაცი იყო, კავკასიის ომებში ნაწრთობი. ისე ზუსტად იცოდა ქართველებისა, რომ მაღალი მმართველისგან მოულოდნელიც კი იყო.

ერთხელ ზაქათალიდან მოდიოდა თბილისისკენ და ძალიან ჩქარობდა. ეკიპაჟით მოდიოდა და, კახელმა თავადებმა რომ გაიგეს, მათ მიწებზე უნდა გამოევლო, გზის პირებზე დახვდნენ, ჩამწკრივდნენ პატივისცემის ნიშნად და ეკიპაჟსაც აედევნენ ჩორთით...

ჰოდა, ესენი რომ დაინახა ვორონცოვმა, გადმოსვლის დრო კი არ ჰქონდა, მაგრამ მეეტლეს უბრძანა, შეანელე, უნდა მივესალმოო. თან ახლდა თავისი შტაბის უფროსი, მგონი, კოცებუ და იმან, ძალიან გვეჩქარება, გრაფ, და არ ღირს ახლა ამათთვის, ყველასთვის სათითაოდ

სალამის თქმა და ნუ შევანელებთო. და ვორონცოვმა ძალიან მოხერხებული პასუხი გასცა: ამათ რომ უყურებ, ახლა გზის პირას რომ დგანან და ცხენდაცხენ მოგვყვებიან, თითოს გვარი 2000 წლის მაინც არის და მაგათ ჩვენგან კარგი სალმის მეტი არაფერი უნდათო.

შესაშური სიზუსტე იყო.

ოპერაში კი რაღაცეები ხდებოდა. არცთუ უბრალო.

სემინარიელებს და გიმნაზიელებსაც კი ეკრძალებოდათ ოპერის ბილეთის აღება.

რიგები იყო წარმოუდგენელი, იყვნენ გადამყიდველები, იყო ერთი ამბავი – აბა, დღეს რა არი, დღეს რას თამაშობენ, დღეს რას მოვისმენთ.

დილიდან, როგორც კი აფიშა გამოიკვრებოდა ხოლმე, მთელი ქალაქი იმდღევანდელი წარმოდგენის არიებს ღიღინებდა. ვისაც როგორ შეეძლო, ისე.

მაგრამ მოგეხსენებათ, კომერცია კომერციაა და ოპერის ადმინისტრაცია გიმნაზიელებსაც შეუშვებდა შენობაში და ყველასაც, ვინც კი ბილეთს წარმოადგენდა.

ამ ოპერაში მოხვდა ერთხელ ჰაჯი მურატი, ის განთქმული ნაიბი, კავკასიის ომების განთქმული პერსონაჟი, რომელიც მერე შამილსაც ებრძოდა, მაგრამ მგონი თვითონაც ვერ გაერკვია, ვისკენ იყო.

ჰოდა, თბილისში ჰყავდათ ისა და ოპერაშიც მოიყვანეს.

და შუქი ჩაქრა თუ არა, ვიღაცამ შეაგინა სწორედ ქანდარიდან: ჰაჯი მურატ, შე...

აანთეს შუქი, ატყდა ერთი ამბავი, ჰაჯი მურატი მიხვდა, რომ მას დაუძახეს და დატოვა ოპერის დარბაზი ისე, რომ ვერაფერი მოისმინა, გარდა უცხო ენაზე გინებისა, მაგრამ იქ ისეთი ხმაურობა და ამბავი ატყდა, რომ მაიკო ორბელიანს გულიც კი წასვლია.

მაიკო ორბელიანი თბილისის უგანთქმულესი სალონის მასპინძელი იყო.

მის სახლში იკრიბებოდა ყველა ნასწავლი, ყველა ნიჭიერი, ყველა დიდგვარიანი და ქართველი. ის იყო ქალი, რომელიც ადრე დაქვრივდა, 24 წლისას მოუკვდა ქმარი, დავით ჯამბაკურ-ორბელიანი, და პირობა დადო მის დაკრძალვაზევე, რომ აღარასდროს არ გათხოვდებოდა... რაც მისთვის ტატოს წერილები უწერია...

როცა ნიკოლოზ I იყო ჩამოსული, ნაქეიფარ იმპერატორს სწორედ მაიკო ორბელიანი დაახვედრეს საწოლ ოთახში დიდმა და კარგმა ქართველმა კნიაზებმა. ასეთი ამბავიც იყო, მაგრამ ეს ქალი იყო საოცრად კარგი, ლამაზი, კეთილი და ბევრი რამის შემკვრელი მაშინდელ თბილისში.

ოჰ, რა ამბავი იყო „ტრუბადურის“ პრემიერაზე 1857 წელს!

ისევ საშინელი წვიმა მოვიდა, ისევ მუხლამდე წყალი იდგა, ხალხმა დილიდან დაიჭირა ბილეთების რიგი.

სპეკულანტები ამოფარებულიყვნენ სხვა სახლების სადარბაზოებს და იქიდან ყიდდნენ ბილეთებს ხუთმაგ, ათმაგ ფასში. ნამდვილი სიგიჟე იყო, მეტი არც არაფერი დაერქმეოდა.

ოქტომბერი უცნაური თვე იყო თბილისის ოპერისთვის და ერთხელ კინაღამ დაღუპა ამ ოქტომბერმა.

1867 წელს ოპერის პარტერში აღმოჩნდნენ გიმნაზიელები, რომლებმაც ააფრიალეს სამეფო დროშა ქართული და დასძახეს პატრიოტული ლოზუნგები.

სანამ სინათლე აინთებოდა, გიმნაზიელები გაიპარნენ და გაიქცნენ, მაგრამ მათმა ამ წამოყვირებამ ის გამოიწვია, რომ კავკასიის მმართველობამ საერთოდ შეაჩერა იტალიური ოპერა, დასი დაშალა და იტალიელი მომღერლების გასტროლები შეწყვიტა.

ეს იყო უცნაური დრო. ეს იყო გარიბალდის დრო.

ეს იყო იტალიის დრო მაშინდელ თბილისში. თუ გიყვარდა იტალიური ოპერა, გიყვარდა იტალიაც, მაშინ გიყვარდა გარიბალდიც, გიყვარდა იტალიელების ბრძოლა თავისუფლებისათვის. თბილისში მაშინ მოდაში იყო გარიბალდური ქუდი. ბევრ ადამიანს სახლში ეკიდა გარიბალდის ფოტო. მოდიოდა ათასგვარი ნამდვილი თუ ტყუილი ამბავი იტალიიდან გარიბალდელთა ომების შესახებ და იტალიური ოპერა ყველაფერ ამას ეხმარებოდა. იტალიელი თბილისში იყო მაშინ ყველაზე დიდი და საინტერესო კაცი.

ამას შფოთისა და არასასურველი განწყობილებების სუნი უდიოდა.

მაგრამ 1867 წლის შემდეგ ოპერა შეიძლებოდა მხოლოდ რუსული, მხოლოდ რუსი მომღერლებით.

ამას დასანუნი, აბა, რა ჰქონდა, მაგრამ ოპერას ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა მოაკლდა. ის უკვე უბრალოდ ოპერა და ხელოვნება იყო და არა ცხოვრების ნაწილი.

ოპერა როგორღაც ჩაკვდა, ჩაწყნარდა და მერე მიხვდნენ, რომ ასე არ შეიძლება და თბილისს აკლდება მთავარი რაღაც.

და იტალიური ოპერაც აღდგა. ისევ გამოვიდნენ მაღაზიებს შეხიზნული თბილისში ჩარჩენილი იტალიელი მომღერლები, ისევ დაიწყეს ხმის დამუშავება, ისევ გამოჩნდნენ ახალი დასები და თბილისის ოპერამ განაგრძო კვლავ იტალიური ცხოვრება.

ეს არ იყო უკვე მხოლოდ ოპერა. ეს იყო ქალაქის მთავარი ამბავი, მთავარი ადგილი კაცის გულისათვის, სადაც უერთდებოდი მსოფლი-

ოს და ფიქრობდი იმაზე, რაზეც ფიქრობს მსოფლიოს უკეთესი ნაწილი, იტალია – თავისუფლებაზე.

ასე ხედავდნენ და გრძნობდნენ მაშინ.

და ამავე დროს ეს იყო დიდი იტალიური მუსიკა.

მაგრამ თბილისის ოპერის ბედი იყო მაინც ტრაგიკული, იმიტომ, რომ 1874 წელს ეს საოცარი ოპერა დაიწვა. დაიწვა ისე, როგორც იწვის ხოლმე სახლი და ისტორია მხოლოდ თბილისში – უყურადღებობით, მოუვლელობით, გაურკვევლობით და არეულობით.

ამ ოპერის უკანასკნელი წარმოდგენა იყო ბელინის „ნორმა" და სწორედ წარმოდგენის მსვლელობის დროს, თამამშევის ქარვასლის გვერდით, ვინმე ყაზაროვის თუ ლაზარევის მაღაზიას გაუჩნდა ცეცხლი და ეს ცეცხლი თანდათან გადაედო ქარვასლას.

ატყდა პანიკა: ცეცხლი იყო ძალიან დიდი.

ოპერის წინ მდებარეობდა თბილისის სახანძრო რაზმის შენობა და, რა თქმა უნდა, მეხანძრეები გამოცვივდნენ, მაგრამ როგორც საქართველოში ხდება ხოლმე, გამოცვივდნენ უწყლოდ. წყალი მათ არ ჰქონდათ. სამწუხაროდ, ჰქონდათ მხოლოდ ორი კასრი წყალი, ორი შლანგი და ორი სამტვრევი ცული.

მთელი ქალაქი შეკრებილი იყო ქალაქის მთავარი ნაგებობის, მთავარი სიხარულის წინ და უყურებდა, როგორ იწვოდა ოპერა.

წყალი არ აღმოჩნდა იმ განთქმული შადრევნის აუზშიც, რომელიც იქვე იყო და რომელიც ყოველთვის ჩუხჩუხებდა, თუმცა, მაინცდამაინც იმ საღამოს იყო გამორთული.

მერე, საბრალო ყაზაროვს თუ ლაზარევს მიარჭვეს რვაწლიანი კატორღა, რადგან მას გაუფრთხილებლობა დაბრალდა.

შენობის გადარჩენას კი მაინც ეცადნენ.

რახან ახლომახლო წყალი არ იყო, პოლიციამ შეკრიბა თბილისელი თულუხჩები – სასმელი და სარეცხი წყლის დამტარებლები – და ისინი თექვსმეტი საათის განმავლობაში, მეორე დილამდე ეზიდებოდნენ წყალს. ვისაც კი შეეძლო, ყველა ასხამდა.

ეს იყო იმ საუკუნის თბილისის ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე გულსატკენი ხანძარი.

არავინ დაღუპულა, მაგრამ დაიღუპა ის, რაც იყო მთავარი ამ ქალაქში – თბილისის ოპერა.

შენობა გადარჩა. იდგა შავი და ნახანძრალი და დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა აღდგეს ყველაფერი: როგორ უნდა გარემონტდეს სრულიად დამსხვრეული ლეგენდარული ჭაღი.გაშავებული კედლები, სადაც აღარ იყო გაგარინის ცნობილი ფრესკები. განადგურებული

თბილისის ოპერის ფარდა, რომელსაც, ერთი მხრივ, ეხატა რუსეთი, რომელსაც მოჰყავდა რკინიგზა და სხვა სამეცნიერო რამეები, და მეორე მხრივ – საქართველო, ხელში ხანჯლებითა და ჭიანურებით.

დიდხანს ეცადნენ, რომ ისევ ამ შენობაში ყოფილიყო ოპერა, მაგრამ ხეირიანი საოპერო დადგმა თბილისში აღარ ყოფილა ამ ამბიდან 22 წლის განმავლობაში.

თეატრები შეეხიზნნენ სულ სხვა შენობებს. იყო დროებითი ადგილები, პავილიონები, მაგრამ ოპერა გემოს კარგავს ფიცრულში.

ეს ის აღარ იყო.

თბილისის ოპერა მოკვდა, თუმცა შენობა გადარჩა და იდგა დიდხანს, მიშენებებით, მოშენებებით, ძალიან სახეცვლილი, აღარცთუ ლამაზი.

1934 წელს ლავრენტი ბერიამ დაანგრია ეს შენობა და მოასუფთავა მოედანი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ეწოდა ბერიას მოედანი, მაგრამ მერე ბერია დახვრიტეს და ეწოდა ლენინის მოედანი. იქ იდგა ლენინის ძეგლი და ამ ლენინის ძეგლის ქვეშ იყო თბილისის პირველი და სრულიად ლეგენდარული და საოცარი ოპერის ნანგრევები.

ახალი ოპერა აშენდა სულ სხვა ადგილას, უკვე გოლოვინის პროსპექტზე, ახალ და ფართო თბილისში და ეს ოპერაც კარგი იყო, მაგრამ ის პირველი, ძველი თბილისისა, როცა თბილისში ჯერ კიდევ ბანიანი სახლები იდგა, ბატონყმობაც არ გადავარდნილიყო და იქმნებოდა ახალი თბილისი, გაქრა და აორთქლდა.

— ახალი დროება —

ბევრ თავადიშვილს ძალიან უჭირდა ახალ დროებაზე მორგება.

არადა, ახალი დროება მოდიოდა, მოდიოდა ყმების გათავისუფლების დროება.

რა გულსაკლავია ქართლ-კახეთის თავადების წერილი რუსეთის იმპერატორისადმი, როცა ის ბატონყმობას აუქმებს!

ამ ხალხმა არ იცის, რა ქნას.

ადამიანები რჩებიან თავიანთი მთავარი საქმის გარეშე. ეს კი უკვე სრულ უსაქმურობას ნიშნავს. თანდათან კი – სიღარიბეს.

თავადს უკვე საქმე სჭირდება, საქმე კი არასდროს არ უკეთებია. მისი საქმე იყო ომში წასვლა და ნადირობა. ოფიცრობამ ეს საქმეც თითქმის მოსპო. იყო სხვა გზაც: მილიცია, მოხალისეთა რაზმები. მაგრამ ეს შემოსავალს არ იძლეოდა.

გამოჩნდა, ვინ ჭკვიანი იყო და ვინ – სულელი. ვის ეყო ხასიათი და ვის – არა.

მაგალითად, იყო ასეთი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი, ძალიან კარგი თავადიშვილი. რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, ქართველ მოხალისეთა მეთაური, ჩოლოქის ომის გმირი.

სხვათა შორის, ამ კაცის სახელი დაარქვა გიორგი მაჩაბელმა თავის შვილს. მისი ხელქვეითი იყო ჩოლოქის ამბების დროს მოხალისეთა რაზმში.

ჰოდა, ივან მალხაზიჩი ძალიან შეძლებული კაცი იყო და ჭკვიანი თავადიშვილიც.

ერთხელ უთხრეს, ყოჩაღ შენ, როგორ შეაგროვე, როგორ თანდათან

გაზარდე შენი ქონება, როგორ აშენებ შენს მამულს და ამშვენებო.

იმან გაიცინა: კაცო, მე რას ვაკეთებ. მეო, ოცდაათი წელიწადია ვაშენებ და ვერ ავაშენეო და ჩემი მეზობელი ოცდაათი წელიწადია ანგრევს და ვერ დაანგრიაო. ქონება იმას ჰქონია, მე კი არაო.

ვიღაც ღარიბდებოდა და ვიღაც მდიდრდებოდა ამ ახალ, უყმო დროებაში.

ვინც ღარიბდებოდა, ის ძალიან საცოდავი სანახავი იყო, განსაკუთრებით – წვრილი აზნაურობა, რომელსაც არაფერი შეეძლო, ბატონის ხლების გარდა.

იყო ასეთი მოდა დასავლეთ საქართველოში: აზნაურები გრძელი, მოვლილი ფრჩხილებით დადიოდნენ, კლდიაშვილის აზნაურები, შემოდგომის.

გრძელი, მოვლილი ფრჩხილები. ერთი კარგი ჩოხა, კარგი იარაღი და შესახედი ცხენი, თუ ღმერთმა ეს ცხენი შეგარჩინა.

მოვლილი ფრჩხილები იმას ნიშნავს, რომ შენ არასდროს მუშაობ, მიწის სამუშაოს არ მისდევ, უვლი ამ შენს ფრჩხილებს და ამით აჩვენებ შენს კეთილშობილ სისხლს გარშემო მყოფთ, თუმცა ამ ფრჩხილების მეტი აღარაფერი გაქვს დარჩენილი.

ძალიან ლამაზია აზნაურებისა და თავადების იმერული და მეგრული ეზოები და, საერთოდ, ყველგან, გვარიშვილების ეზოებში, იდგა ცნობილი კაკლის ხე, რომელიც, რაც უფრო ხნოვანი იქნებოდა, მით უკეთესი იყო.

ეს ხე აჩრდილებდა, მაგრამ ეს უბრალოდ ჩრდილი არ იყო.

ეს იყო ნიშანი, რომ შენი გვარი ძველია და შენი გვარი განუმეორებელია.

იწექი ამ კაკლის ჩრდილში და აღარაფერი გებადა.

ჩექმაც კი ძნელი საშოვნელი იყო.

მოდიოდა ისეთი დრო, რომ მხოლოდ თავადობისთვის ჭკუას არავინ გკითხავდა.

ერთხელ ბანკის არჩევნები იყო და გრიგოლ ორბელიანმა, ალბათ საუკეთესომ ძველ თავადთა შორის, საუკეთესომ თავისი განათლებით, გონებით და ნიჭით, შესძახა უკვდავი ფრაზა: ჩვენი ქვეყნის უბედურება იქ დაიწყო, როცა მე, პატარა კახის შვილიშვილს, და ცალქალამანიძეს თითო ხმა მოგვცესო. მეც ერთი უნდა ვთქვა და იმანაც ერთიო. ეგ როგორ შეიძლებაო.

ძალიან ღიზიანდებოდნენ ჩვენი ძველი თავადები, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილს შედარებით დაბალი წოდების ხალხი იკავებდა, – წვრილი აზნაურებისა და სოფლის მღვდლების შვილები.

როგორღაც ისე იყო, რომ ეს ხალხი ძალიან მიდრეკილი იყო განათლებისკენ.

„ეხლა რა გინდაო, რომელ გაზეთშიც არ შეხვალ, დიაკვნის შვილები სხედანო. იმათ რა უნდა ველაპარაკოო," ასეც ამბობდნენ.

ისევ გრიგოლ ორბელიანი, ისევ ბანკის პირველი თავმჯდომარის არჩევისას გაიძახოდა: ბიჭო, რასა შვებით, სუმბათაანთ აზნაურს თავმჯდომარედ როგორ ირჩევთო.

ეს სუმბათაანთ აზნაური დიმიტრი ყიფიანი იყო.

ასეთი დრო მოვიდა: ყაჩაღი თავადი უბრალოდ ყაჩაღი იყო.

მკვლელი თავადი უბრალოდ მკვლელი იყო.

ხდებოდა ასეთებიც. ცხოვრებაში ადგილი იკარგებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ქუთაისის ციხეში იჯდა სულ ორი რევოლუციონერი – გიორგი ლასხიშვილი და გიორგი ზდანევიჩი. იქვე იჯდა ორი თავადი: მეგრელი პაატა გოშუა, რომელიც მკვლელობისთვის გაესამართლებინათ, და სახელგანთქმული გიორგი მიქელაძე – გაყაჩაღებული კანვოის ოფიცერი.

აი, ამ გიორგი მიქელაძის ცხოვრება იყო ძალიან ნიშანდობლივი და გამომხატველი იმ უბედურებისა და ნგრევისა, რომელშიც მოჰყვა ბევრი ქართველ თავადი.

ახალგაზრდობაში ის მსახურობდა თითქოს საუკეთესო უქმობის და სახელის ადგილას, იმპერატორის ბადრაგში. იქ ქართველები ბევრნი იყვნენ, აკაკისაც იქით მიუწევდა გული ბიჭობაში, რადგან ძმა იმათში ჰყავდა.

საქმე არაფერი ჰქონდათ ცხენის ჭენების, ზუსტი სროლისა და დროსტარების გარდა და საქართველოში მობრუნებულმა მიქელაძემ კი სხვა ვერაფერი მოახერხა გარდა იმისა, რომ შარაგზის ყაჩაღი შექნილიყო, თანაც ძალიან ცნობილი. რუსეთის იმპერია ისეთი ქვეყანა როდი იყო, რომ გზის ყაჩაღი დიდხანს გაეჩერებინა გზაზე, და ისიც დაიჭირეს.

ძალიან დიდხანს იჯდა ქუთაისის ციხეში, სადაც, სხვათა შორის, მაშინ საკნების კარები არ იკეტებოდა და ყველას შეეძლო მოესმინა ამ უცნაური და ტრაგიკული კაცისთვის.

მახათას მთაზე ჩამოახრჩეს ცნობილი ავაზაკი ტატო წულუკიძე, ერთი ახალგაზრდა, გზას აცდენილი თავადიშვილი.

კოლა ორბელიანი რომ ვახსენე, ალექსანდრეს ძმიშვილი, კოლას ნათქვამია: გაიცანით ჩემი შვილიო, ოღონდაც არ იფიქროთ, რომ კაი კაციაო. მე თოთხმეტი ძაღლი მყავს, ეს კი ჯერ მიწას არ ასცილებია და უკვე თვრამეტი ძაღლი ჰყავსო.

ბევრი ქართველი თავადი ვერ შეეგუა ახალ დროებას და თავისი ცხოვრება ლოთობაში, ვალებსა და მამულების განადგურებაში გაატარა. ერთი ასეთი იყო თამარაშენელი თავადი გიორგი მაჩაბელი, რომელმაც მთელი თავისი ქონება გაძარცვა და გაანიავა. განა ცუდი კაცი იყო, კარგი კაცი იყო. დარჩენილია გიორგი მაჩაბლის ერთი წერილი, სადაც ის შვილს სწერს რუსეთში, გავიგეო, რო მანდ ერთი წიგნი ყოფილაო, ძალიან კარგი წიგნიო, რომლის ბევრი ზღაპარიც გამიგიაო, ათას ერთი ღამის წიგნიო. იქნებ მიშოვო, რომ წავიკითხოო.

თავის დროზე გიორგიმ ცოლად შეირთო მდიდარი თბილისელი ვაჭრის, ერივანცოვის ქალი, თუმცა, საუცხოო მზითევი გაფლანგა და გაანიავა.

გიორგი მაჩაბლის ბოლო ისეთი იყო, როგორიც ბევრი ქართველი თავადისა. ის გარდაიცვალა გორთან ახლოს, მიხეილ მაისურაძის დუქანში და როდესაც ჭირისუფლები მის წასასვენებლად მივიდნენ, მედუქნემ ბოდიში მოიხადა, სანამ ოთხმოც თუმანს არ გადამიხდით, მიცვალებულს ვერ გაგატანთო; იმიტომ, რომ ჩემი ვალი აქვს და წლებია ჩემთვის ფული არ გადაუხდიაო.

გიორგი მაჩაბელი იყო დიდი ქართველი კაცის – ივანე მაჩაბლის მამა. აი, როგორი შვილები ჰყავდათ ასეთ თავადებს.

იყო ასეთი რუსი ჟურნალისტი, ცოტა მწერალი, ცოტა პოეტი – ველიჩკო. გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორად იყო თბილისში და ძალიან უყვარდა ქართველები, მაგრამ უყვარდა როგორღაც უცნაურად – რომანტიკულად, თბილად და იმპერიულად. ის ამბობდა, რომ საქართველოს არ უნდა უნივერსიტეტი, არამედ – ბევრი სამხედრო სასწავლებელი, იმიტომ, რომ ქართველები კარგი მეომრები არიან, მეგობრობა და ერთგულება იციან და კარგი ოფიცრები გამოდიან.

მისი წიგნი „კავკასია“ ძალიან საინტერესო წიგნია და დღესაც სასარგებლო, განსაკუთრებით – ქართველებისთვის.

ველიჩკოს სომხები არ უყვარდა და ყველგან აკრიტიკებდა. ქართველების ქების ფონზე ეს საკმაოდ რთული რამ იყო.

აკაკი წერეთელი ვერ იტანდა ველიჩკოს და ძალიან ბრაზობდა – ერთმანეთს გვკიდებს ჩვენ და სომხებს და თავის საქმეს იკეთებსო.

ახალი ჩამოსული რომ იყო ველიჩკო თბილისში, ქეიფში მოხვდნენ ერთად ის, ილია და აკაკი.

მაშინ ილია და აკაკი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. ველიჩკომ ეს ამბავი იცოდა და ადგა და ექსპრომტად ლექსი თქვა, ღმერთმა შეარიგოს ეს ორი ქართველი ტიტანიო.

ილია ქეიფებში ჩუმად იჯდა ხოლმე, გაიღიმებდა და ეგ იყო. აკაკი

არ სვამდა, მაგრამ ბევრს ლაპარაკობდა და ველიჩკოზე გაბრაზდა – მაგას ვინ ჰკითხავს, ჩვენ ერთმანეთში რა დავა მოგვივაო, ჩვენ მაგათი წინააღმდეგი ვართ, ეგ ყველამ იცისო.

ასე ედავებოდა ხოლმე.

ველიჩკო კი თავისი წიგნის გამო გავიხსენე.

ბევრი საინტერესო მაგალითი აქვს ქართველი თავადების ცხოვრებისა და ძალიან საინტერესოდ აღწერს მათ დრამას. ის ერთ-ერთ უბედურებად თვლის სმას – ძალიან ბევრს სვამენ ქართველი თავადები, განსაკუთრებით, მშობლიურ გარემოშიო. გასცდებიან საქართველოს და ხდებიან საქმის და წესრიგის ხალხი, მობრუნდებიან აქა და თითს თითზე არ დაადებენ, ეფლობიან ქეიფშიო. რუსს რომ სმა გაუკვირდება.

საქართველოში კარგა ბევრს სვამდნენ ყოველთვის. კარგადაც სვამდნენ, ცუდადაც, მაგრამ თავადების შემთხვევაში ამას, ცოტა არ იყოს, რთული გაგრძელება ჰქონდა იმიტომ, რომ უსაქმობისგან სმა და ქეიფი ლოთობაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

თბილისში იყვნენ ძალიან ცნობილი მუქთახორა თავადები, კარგი შეძლებისა და დიდი სითამამის ხალხი. ზოგი ნაოფიცრალი, ზოგიც უბრალოდ თავადიშვილი. მაგალითად, ლეო ანდრონიკაშვილი, კოლია ბარათაშვილი, კოლია რატიშვილი.

ისინი იკლებდნენ დუქნებს და ჰქონდათ ერთი ამბავი. ერთადერთი, ვისთანაც შარი არ ჰქონდათ, ყარაჩოღელები იყვნენ. ყარაჩოღლურ დუქნებში კარგად იქცეოდნენ. ისე, კი შეეძლოთ ქუჩაში გამოეტანათ ყველა მაგიდა. დაუძახებდნენ მუშებს, ამ მაგიდებზე თვითონ შედგებოდნენ და ჩამოუვლიდნენ ცეკვაცეკვით, თან მუშებს მაგიდები ქუჩაზე მიჰქონდათ. ანდა, იცოდნენ რელსებიდან კონკის გადაყვანა.

დააგორებდნენ კონკას და ზედ დახტოდნენ. ძალიან მოდაში იყო რევოლვერებით ცეკვა. ეს ძალიან სახიფათო იყო: თან ცეკვავ და თან ისვრი.

იყო ასეთი გიგო ყარანგოზაშვილი, რომელიც დაოსტატებული იყო ჭიქების შეჭმაში და ხელის რაღაც არაჩვეულებრივი გრეხით ღვინის სმაში. ეუბნებოდნენ, გიგო, რათა ჭამ ჭიქას, კაცოო. ხო უნდა შეირგოო...

მიჩვეული იყო კაცი. ასეთი იყო, თავადიშვილი იყო.

ის აუწერელი ენერგია, რომელიც შეიძლებოდა ათას სასარგებლო რამეში დაბანდებულიყო, ამ საბრალო ხალხს დაებანდებინა სულ სხვა რამეში.

არადა, იყვნენ სამხედრო საქმეშიაც საუცხოონი.

ნიკო ჭავჭავაძე – გასაოცარი გენერალი, ძალიან მამაცი კაცი, დიდ ნიკოდ წოდებული. მთელი ჭავჭავაძეები გენერლების მოდგმა არ იყო? რატიშვილები – ოფიცრები, საგინაშვილები – ოფიცრები. გვარებს მოსდგამდათ პირდაპირ.

ეს ყველაფერი იყო, მაგრამ უბრალო ქართველი თავადი, ლუარსაბ თათქარიძე, უკვე დაჩაგრული, გაუბედურებული იყო და ამ ქვეყნის ამბისა არა იცოდა რა.

მაგრამ იყვნენ სხვა თავადებიც.

— ილია სახლში და სამსახურში —

საშუალოზე დაბალი, ჩამრგვალებული, სანდომიანი სახით, დინჯად მოარული – როგორც მისი თანამედროვეები ამბობენ, ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე.

ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი – გრიგოლ ორბელიანის მოსწრებული გამოთქმა. ყველა მემუარისტი ადასტურებს, რომ ასეთი იყო, და პირველად სწორედ ეს ფრაზა გაგახსენდება. მაგრამ ეს არ იყო კომიკური სიმრგვალე, ეს იყო სიდინჯისა და ჭკუის ერთგვარი გამოხატულება.

მთავარ შთაბეჭდილებას ადამიანებზე მისი სახე ახდენდა და არა მისი სიმაღლე.

ერთ-ერთი მისი თანამედროვე ამბობს, თუ ილია მხოლოდ ფოტოზე გინახავს, ნიშნავს, რომ ილია არ გინახავსო.

ხმა ჰქონდა დინჯი და ოდნავ ყრუ, მოძრაობები – არცთუ სხარტი.

მთავარი მის გარეგნობაში იყო თვალები და მთავარი მის მოქმედებაში იყო სიტყვა.

ილია ჭავჭავაძე იყო ყველა ქართული საქმის უფროსი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ის იყო ყველა ქართული საქმის წამომწყები, მეთაური, წამყვანი, ათას დიდსა და პატარა ამბავში ჩართული ადამიანი, რომელსაც მამად მოიხსენიებდნენ. თვითონ ხუმრობდა, სადაური მამა ვარ, საკუთარი შვილიც კი არა მყავსო.

ცოტას ლაპარაკობენ მის პირად ცხოვრებაზე, ყოველდღიურობაზე. არადა, ეს ძალიან საინტერესო ამბავი იყო.

საქართველოში მაშინ ყველა ამბობდა, რომ ილია ჭავჭავაძე მილიონერი იყო. სიბერეში, როცა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთებმა

ლანძღვა დაუწყეს, ყოველთვის აღნიშნავდნენ მის სიმდიდრესა და მემამულეობას.

მრავალ ცუდთაგან ისიც დაწერეს, რომ ერთხელ, ზამთარში მან წყლით სავსე კოკა გლეხკაცისთვის თავზე გადაამტვრევინა მოურავს, თვითონ კი ამ დროს აივანზე იდგა ოთხმოცთუმნიან ქურქში გამოხვეულიო. ამბობდნენ, გლეხებს წყალი წაართვა, მის ეზოში გადმოსულ გლეხს ჩოხა გახადა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ილიას ამ ბრალდებებისთვის ერთხელ უპასუხია: ოთხმოცთუმნიანი ქურქი ცხოვრებაში არა მქონიაო.

და როგორც ირკვევა, ილია ჭავჭავაძე არ იყო მდიდარი კაცი. ის ხელფასზე მცხოვრები კაცი იყო, ხელფასს კი იღებდა ბანკში, რომელსაც თავმჯდომარეობდა. ბანკის ხელფასი ოცი წლის განმავლობაში მცირე იყო. მხოლოდ სიბერეში შეძლო ილიამ, რომ წელიწადში ხუთიათასმანეთიანი ჯამაგირი ჰქონოდა.

მკვლელობამდე წელიწად-ნახევრით ადრე, როცა სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა და ხშირად უწევდა პეტერბურგში სიარული, ილიას შემოსავალმა აშკარად იმატა, რადგან საბჭოს წევრობა უბრალო რამ არ იყო.

ეს იყო და ესა.

მემამულეო, რომ დასძახებდნენ, მამული მისი არ იყო. ცოლის ნამზითვი გახლდათ. მისი მამული ყვარელში იყო და დღესაც ნახავთ იმ საბრალო სახლს, რომელიც ჭავჭავაძეების ამ შტოს შეძლებაზე მეტყველებს.

სხვა ამბავია, რომ ილიას ძალიან უყვარდა საგურამოს სახლი და თავის სახლადაც ის მიაჩნდა. ეს სახლი ილიამ თავად ააშენა.

მზითევი რომ სალაპარაკო გახდებოდა, ვინ იფიქრებდა.

ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს, ერთხელო, საგურამოში, აივანზე ვისხედით და მითხრაო, აბა, ბიჭო, ჭკვიან კაცს მეძახიან და ამდენ წელიწადში ამ სახლს და მამულს 52 ათასი მანეთი დავახარჯეო. ამ ფულით თბილისში ორ სახლს ავაშენებდი, იქ სახლი არა მაქვსო.

ბევრმა არ იცოდა, რომ ილიას თბილისში სახლი არ ჰქონდა და სახლი, რომელშიც ის ცხოვრობდა ათწლეულების განმავლობაში, მისი დის, ელისაბედ საგინაშვილისა გახლდათ. მხოლოდ სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გადავიდა ილია სხვა სახლში, რომელიც ჯერ იქირავა ანდრიას ქუჩაზე, მერე კიდევ იყიდა.

ჭორიკნები ამბობდნენ, ილია თავის დასთან კი ცხოვრობს, მაგრამ ურთიერთობა ცუდი აქვთ, სიბერემდე მოიტანეს საქმე და სიბერეში კი ვეღარ გაძლო ილიამ და გამოეყოო, თუმცა რა ჭორები და რა ამბები

იყო იქა და რა ურთიერთობა ჰქონდათ, ბევრმა არავინ იცოდა.

ეს იყო დახურული და ჩუმი ოჯახი და საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცოდა იქ მიმდინარე ამბებისა...

ოლღა იყო საოცარი ცოლი. როგორც ძველები ამბობენ, სულ თვალებში შესციცინებდა ილიას და მისი ყოველი წარბის მოძრაობაზე ხვდებოდა, როგორ გუნებაზე იყო ქმარი და რა უნდოდა. ამ ქალმა ნამდვილად მიუძღვნა ცხოვრება ამ კაცს და ამ კაცსაც ეკუთვნოდა ასეთი სიყვარული. თუმცა, აქაც იყო ერთი ძველი და მოარული ჭორი, რომელსაც თბილისში ენამწარეები ავრცელებდნენ.

ერთი გამავრცელებელი აკაკი წერეთელიც იყო.

იქ, სადაც ახლა გრიბოედოვის ქუჩაა, ქუჩის დასაწყისშივე იდგა ერთი ცნობილი მირზოევის სახლი.

ამ სახლში ხშირად ჩერდებოდა აკაკი. მას თბილისში სახლი არ ჰქონდა და, როგორც წესი, მეგობრებთან ცხოვრობდა ხოლმე. მისი მეგობრები ცხოვრობდნენ იქა და ერთ-ერთი მობინადრე იყო ლიზა მარჯანიშვილი, ქვრივი, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის დედა. ქალიშვილობის გვარი ლიზასი იყო აბელაშვილი. ისა და მისი და კატო იყვნენ აკაკის მეგობრები და ძველი ამბების მოყოლასა და გარჩევაში გადიოდა საღამოები.

(ოდესღაც ილიამ ლიზა მარჯანიშვილს ლექსი „გახსოვს ტურფავ“ მიუძღვნა. მათ ჰქონდათ ახლო ურთიერთობა ახალგაზრდობაში, მაგრამ ეს იმდენი ხნის დასრულებული ისტორია იყო, რომ საჭორაოდაც არ ღირდა).

ერთ-ერთი იქიდან გამოტანილი ამბავი ის არის, რომ აკაკის უთქვამს, თითქოს სტუდენტად წასვლის წინ ილიას პირობა დაედოს, ლიზას შევირთავო. აკაკი ამბობდა, ეს პირობა წერილობითიც კი იყოო, სოლომონ ჭავჭავაძემ დააწერინა, რომ ცოლად შეირთავ ლიზასო და ამის გამო სწავლის ფულიც მისცაო, მაგრამ ილია რომ დაბრუნდა, ოლღა შეირთო იმიტომ, რომ გურამიშვილები მდიდრები იყვნენ და ოლღას დიდი მზითევი მოჰყვებოდაო. ოლღას ერთადერთი მზითევი კი საგურამო გამოდგა.

ოლღას მამა, თადეოზ გურამიშვილი, იყო ძველი ყაიდის თავადი, ყურთმაჯებიანი ჩოხის ერთგული. ზუსტად ისეთი, აკაკი რომ დასცინის გრიგოლ ორბელიანს, მაგას საქართველო კი არა, ქეიფი უყვარდა და ყურთმაჯების ფრიალი ცეკვის დროსო.

აი, ასეთი თავადი იყო თადეოზ გურამიშვილი. სწავლა ჰქონდა იმ ძველი ქართველი თავადისა, რაიც არ იყო მაინცდამაინც ღრმა სწავლა.

მეორე ცოლისგან შვილები რომ მისცემოდა, ის შვილები არ გამოსდგომოდა. ვაჟი, ზალიკო, ჭკუანაკლული ჰყავდა.

თადეოზი მაშინ ავჭალაში ცხოვრობდა. იქ მისული ილია არავის ენახა.

მეორე ქალიშვილიც მეორე ცოლისგან საკმაოდ ჭკუასუსტი იყო. პირველი ქორწინებიდან მიცემული ორი ქალიშვილი კი კარგად გაეთხოვებინა.

მაინც უკმაყოფილო იყო. ილიაზე ამბობდა, ღარიბია და ოლღა რაღა ღარიბს წაჰყვაო. ხოლო მეორე სიძეზე ბრაზობდა, რუსიაო. ეს მეორე სიძე კი იყო დიმიტრი სტაროსელსკი, რუსი გენერალი, ჯერ ბაქოს გუბერნატორი, მერე ქუთაისისა, ილიას ერთ-ერთი ახლო მეგობარი. ძალიან დიდი დამხმარე ქართველებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომლის მეთაურადაც იყო ილია.

სიძეები მყავსო, უნდა ეტრაბახა და უკმაყოფილო კი იყო.

ილიას ქართული საქმეები ხელში ეჭირა. ის წარმართავდა და მიაგორებდა წინ. რაღაცეებში საერთოდ არ ერეოდა, მაგრამ უიმისოდ არც ერთი საქმე არ კეთდებოდა. მოდიოდნენ და ეხვეწებოდნენ კიდეც, აი, ამას ვაპირებთ და დაგვეხმარეო.

თუ გინდოდა, საქმე გამოგსვლოდა, ან მთავრობასთან გქონდა სალაპარაკო, ილია ჭავჭავაძე უნდა წამოგყოლოდა. თუ წამოგყვებოდა, საქმე უკეთ გამოდიოდა.

ბრაზითაც კი ამბობდნენ ხოლმე, მაგას ყველგან ხალხი ჰყავსო.

ჰყავდა, როგორ არა.

მაგალითად, თბილისის მთავარი ნოტარიუსი მისი მეგობარი იყო და ათასი რამ უფრო იოლად გვარდებოდა ხოლმე.

ეს იყო ივანე პოლტორაცკი, ექვთიმე თაყაიშვილის სიმამრი. პოლტორაცკი ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა და ექვთიმე იხსენებს, ერთადერთი შემთხვევა, ილია ჭავჭავაძე რომ ატირებული ვნახეთ, ივანეს დაკრძალვა იყოო. სხვა დროს ილიას თვალზე ცრემლი არავის უნახავს. როგორც ამბობენ, თადეოზ გურამიშვილი ჯვრისწერაზეც კი არ მისულა. ეს მზითევი მისცა ქალიშვილს და, კახელი ჩადგა ქართლელის სახლშიო, ასე ამბობდა...

ასე ამბობდა ხოლმე.

ეს გურამიშვილები ძალიან მდიდრები იყვნენ. რომ დაატყვეს, ქვეყანა იცვლება, ბატონყმობა გაუქმდა და საქმე ცუდად წაგვივაო, ოთხი ძმანი შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, თუ რომელიმე ჩვენგანი ცოლს შეირთავს, დანარჩენები არ დავქორწინდეთ, რომ მამულები არ დანაწილდეს და ვიცხოვროთ ასეო.

შეირთო თადეოზმა და მთელი მიწებიც გადაეცა.

ილიამ წლები მოანდომა საგურამოს მოწყობას და ყველაზე მეტადაც იქ უყვარდა ყოფნა.

ყოფასა და ყოველდღიურობაში ილია ჭავჭავაძე ძალიან უბრალო იყო. მუშაობაშიც ძალიან უბრალო იყო, ოღონდ ძალიან ყურადღებიანი. კორექტურის და სხვისი სტატიის სწორებისას ჩაიკეტებოდა ხოლმე და მასთან შესვლა თითქმის შეუძლებელი იყო.

თუ თავის რაღაცას წერდა, ხომ საერთოდ – ეგებ კაბინეტში ათ დღესაც ვერავინ შესულიყო. ასეთ დროს ეწეოდა ძალიან ბევრს. მაშინდელი თამბაქოს წევა არ იყო იმ ტემპისა და გაქანების, როგორიც დღეს არის, მაგრამ ოთახის კარს რომ შეაღებდი, კვამლის მეტს თურმე ვერაფერს დაინახავდი, მერელა შეამჩნევდი, რომ ტახტზე მიწოლილიყო და ეწეოდა.

ასეთ დროს დღე და ღამე არეული ჰქონდა და სრულიად უჭმელ-უსმელიც იყო. როგორც კი ამას მორჩებოდა, უცებ მოეშვებოდა. უყვარდა კარგი ქართველური დასვენება – იწვა ტახტზე და უსაქმურობდა.

არ უყვარდა ქეიფში სიარული, სძულდა ვიზიტებზე წასვლა, არ დადიოდა თეატრში, არც ოპერაში.

ერთხელ წავიდა და ამან ერთი კომედია გამოიწვია: თბილისში იყო ერთი მხიარული კაცი, სოსიკო ბაქრაძე. ის სულ ნაირგვარ პროფესიებს მისდევდა – ხან რას მოედებოდა და ხან რას. თანაც, ხალისიანად აკეთებდა ყველაფერს. ერთხელ ილიას შეუჩნდა, რა არის, რომ არც თეატრში მოდიხარ, არც ოპერაში დადიხარ, ეგრე არ შეიძლებაო. ილია სახლისმოყვარე კაცი იყო, თუმცა ეხუმრა, რომ წამოვიდე, რა ხეირი, რით გამართობო. ბაქრაძემ, შენ წამოდი და ნახავ, რა სეირსაც ვიზამ, სწორედ რომ ახლა ოპერის ორკესტრში ვმსახურობ, დოლებს ვუბაგუნებო. და წავიდა ილია ოპერაში, იყიდა ძვირიანი ბილეთი და პირველ რიგში დაჯდა. იდგმებოდა „ტოსკა“ და მეორე აქტის ბოლოს, ყველაზე დრამატულ მომენტში, როცა ყველა გაირინდება და მხოლოდ ფლორია ტოსკას ხმა ისმის, ბაქრაძე მისდგა თავის დოლს და დაუწყო ბრაგუნი. დირიჟორი გადაირია. წარმოდგენა ჩაიშალა. ილიამ ბევრი იცინა. სხვებისთვის რამდენად სასაცილო იყო, უცნობია, მაგრამ რასაც დაჰპირდა ეს კაცი, შეუსრულა.

თვითონ ილიამ კარგად იცოდა იუმორის ფასი და მასთან ლაპარაკსა და ხუმრობას ბევრი არაფერი სჯობდა. თუმცა, როცა ცუდ გუნებაზე იყო, სჯობდა არ გაჰკარებოდი. მტერს და ავს...

იმ დროის თბილისური ხუმრობების მსხვერპლი ილიაც იყო.

ერთხელ „ტიფლისკი ლისტოკის“ გამომცემელმა ხაჩატუროვმა უთხრა ილიას, გამიგია, რომ დედა სომხის ქალი გყავდა და ალბათ ამიტომაც გამოხვედი ეგეთი ჭკვიანიო, ილიამ კი უპასუხა, შენ დედაც სომეხი გყავს და მამაც და რატომ გამოხვედი ასეთი სულელი, მაინც ვერ გავიგეო.

ნიკო ხიზანიშვილიც, როგორც დიდი ოხუნჯი და უახლოესი მეგობარი, აუტყდებოდა ილიას, სომხური გესწავლა, ენაში ჩაგეთვლებოდაო, ილია კიდევ ეტყოდა, რა ფილოსოფიური ტრაქტატები უნდა წამეკითხა სომხურად და ბაზარში კი მე არ დავდივარ, მოურავი დადისო. აი, ასეთი სიტყვა-პასუხები ყოველთვის იყო.

ასეთი ოხუნჯობები ბევრი იყო, მაგრამ ილიამ იცოდა გემოვნების დაჭერა ამ ხუმრობებში.

მოხდა ერთხელ ასეთი ამბავი: თედო სახოკიამ, შემდგომში დიდმა მოქართულემ და დიდმა რევოლუციონერმა, საუკეთესო წიგნების ავტორმა და ვაუკაცმა კაცმა, სრულიად ახალგაზრდამ გამოსცა აკაკის ოხუნჯობების კრებული.

ეს იყო ნაირგვარი ანეკდოტით სავსე წიგნი.

აკაკი ბევრს და კარგად ხუმრობდა და მისი ანეკდოტები ხალხში დადიოდა. ბევრი აკლდებოდა და ემატებოდა მის ნათქვამს, თუმცა ანეკდოტის არსიც ხომ ეს არის.

ილიას „ივერიამ“ ამ პატარა კრებულს საშინელი რეცენზია მიუძღვნა. ისეთები დაუწერეს, რომ სახოკიამ წიგნაკი ველარც კი გაყიდა. ჰოდა, ადგა და უჩივლა ილია ჭავჭავაძეს სასამართლოში, მან ჩამიგდო ტირაჟიო. სახოკიას ადვოკატად ჰყავდა გრიგოლ გვაზავა, ცოტათი ისიც მელექსე კაცი. ილიამ კი მოსამართლეს უთხრა, მე თვითონ დავიცავ თავსო. ილიამ ეს საქმე მოიგო და მოიგო სრულიად უბრალოდ: დაიჭირა ხელში სახოკიას გამოცემული წიგნი და მოჰყვა კითხვას.

წაიკითხავდა ქართულად ანეკდოტს და უთარგმნიდა რუსულად მოსამართლეს. მე-7 თუ მე-8 ანეკდოტზე რომ მივიდა, მოსამართლემ ყვირილი დაიწყო: საკმარისია, გასაგებია, გასაგებიაო, მაგრამ ილია მაინც ჯიუტად აგრძელებდა ანეკდოტების კითხვას და თარგმნას. იქ ბევრი რამე ძალიან უწმაწური იყო და ამის სმენა სასამართლოს გაუჭირდა.

ილიამ საქმე მოიგო, თედო სახოკიას კი უთხრა, აკაკის ხუმრობა ყველას მოგვწონს, მაგრამ აკაკის ხუმრობა ბაზრის ხუმრობასავით არ არის და ასეთად არ უნდა გადააქციოო.

გასართობად კი ილიას იმ დროის მთავარი გასართობი, ბანქოსა და ნარდის თამაში ჰქონდა. ეს მაშინდელი ცხოვრების წესი იყო. ოღონდაც ილია ამას მხოლოდ როგორც გასართობს, ისე არ უყურებდა.

როგორც მის ოთარაანთ ქვრივს ჰქონდა ნაირგვარი ქისა ნაირგვარი ხარჯისთვის, ასე ილიასაც სათამაშო ფული ცალკე ედო.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს მშვენიერ მოგონებებში, რომ როგორც თამაშისგან, ბანქოსგან და ნარდისგან შორს მდგომი კაცი, ყველას ვეკითხებოდი, რატომ ხდება, რომ ილია ყოველთვის იგებს და აკაკი კი ყოველთვის აგებსო.

გარკვეულ პასუხს ვერავინ ვერ მეუბნებოდა, მაგრამ რაღაცეებს კი ვხვდებოდიო. ილია და აკაკი, ორივენი თამაშობდნენ ნარდსაც და ბანქოსაც, ოღონდ სულ სხვადასხვანაირად. ილია, როგორც ყველაფერში, თამაშშიც ძალიან მოზომილი და დაფიქრებული იყო. ამბობდა, რომ თამაშობდა ერთადერთი მიზეზით, იმისათვის, რომ მოეგო და ჯიბე შეევსო. შესაბამისად, თამაშისას ძალიან ბევრს ფიქრობდა და ბანქოშიც თამაშობდა ისეთ თამაშებს, რომელსაც უფრო ფიქრი სჭირდება და არა მარტო აზარტი და კომერცია. თითქოს აკაკიც ამ მიზეზით თამაშობდა, მაგრამ აკაკი უფრო იღბლის თამაშებს მისდევდა.

ილია ამბობდა ხოლმე, გასართობად ნარდის თამაში იმას ჰგავს, რომ თოფში ტყვია არ იდოს და ისე ისროდეო.

ილიასგან განსხვავებით, აკაკი ძალიან ხშირი სტუმარი იყო სათამაშო სახლებისა და კლუბებისა. განსაკუთრებით ხშირად დადიოდა ქართულ კლუბში.

ის არასოდეს თამაშობდა საპარტნიორო თამაშებს, რომლებსაც ილია მისდევდა.

აკაკის თამაში მოსვლაზე იყო. ამბობდნენ, რომ ის თითქმის ყოველთვის აგებდა და კლუბებში რიგი იდგა ხოლმე მის გვერდით დასაჯდომად. იცოდნენ, რომ ის უიღბლო მოთამაშე იყო და მის გვერდით ყოფნისას რაღაც თანხის მოგება ბანკისთვისაც და მისთვისაც ყოველთვის შეიძლებოდა.

ეს აკაკის ცხოვრების სტილიდან გამომდინარე ამბავიც იყო.

ქალაქებში აკაკის სახლი არ ჰქონდა. ცხოვრობდა ძირითადად სასტუმროებში და მეგობრებთან და ხშირად მთელ ღამეებს ატარებდა ხოლმე კლუბებში.

ალბათ იგებდა კიდეც, მაგრამ წაგებულის სახელი ჰქონდა.

პოეტ სანდრო შანშიაშვილს აქვს ერთი პატარა მოგონება, თუ როგორ გადააწყდა უკვე ძალიან მოხუც აკაკის ქართულ კლუბში. აკაკი იჯდა და ეთამაშებოდა კრუპიეს. შანშიაშვილი სწორედ იმ დროს შევიდა იმ ოთახში, როცა აკაკიმ ბოლო წააგო და ნისიაზე არ ენდობოდნენ, მას კი ადგომა არ უნდოდა.

სანდრო შანშიაშვილისთვის აკაკი არ იყო უბრალოდ მოთამაშე, ისე,




ობილისის ოპერა




ბანოთუბანი



აბანო, მექის



ხარფუხი, აბანოებ




ჭრელი აბანო





ილიკო ორბელიან




თბილისის ოპერის ინტერიერი, გრავიურ

ალექსანდრე დიუმა










მიხეილ ეორონცოვი





ბანიანი სახლი თბილისში





თბილისი, მუხრანის ბორანი




თბილისი, მახათას მთა, XIX საუკუნის II ნახევარი



გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი



იოსებ ლაღიაშვილ





ტატო წულუკიძე



ქუთაისის საგუბერნიო ციხე



ილია ნინამძღვრიშვილი და ილია პოლტორაც





საგურამო, ილია ჭავჭავაძის სახლი





ტასო ბაგრატიონი-
დავითაშვილი





ანტონ ფურცელაძე



ნიკო ხიზანიშვილი




ილიას სიმამრი თადეოზ
ეურამიშვილი და მისი ვაჟი



ილია ჭავჭავაძე



ოლღა გურამიშვილი



ექვთიმე თაყაიშვილი


ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ
КОНЬЯКЪ ДУСТОВА


КАВКАЗЪ







ილია ქავჭავაძე და ოლღა გურამიშვილი



როგორც იქ მყოფი სხვა ხალხისთვის, და შესთავაზა: 25 მანეთი მაქვს, თუ გნებავთ, მოგართმევთო.

ჯიბეში მეტი არაფერი მქონდაო, წერს შანშიაშვილი და აკაკიმ უსიტყვოდ გამომიწოდა ხელი, გამომართვა 25 მანეთი, დადო და ნააგო, მე კი წამოველი ფეხით სახლში, ხოლო აკაკი იქ დარჩა შეწუხებულიო.

სამაგიეროდ, სულ სხვანაირად თამაშობდა ილია, რომელიც ასევე აგებდა ხოლმე, მაგრამ ძირითადად იგებდა და მოგებული კაციც ერქვა. მან იცოდა მოგების ხერხები ნარდშიც და ბანქოშიც. ერთხელ თვითონ უამბია, მთელ ღამეს ვითამაშე და გამთენიამდე 80 თუმანი წავაგეო. ეს ძალიან დიდი ფული იყო მაშინ. 80 თუმანი წავაგე, გამოვედი და ერთი თუმნიანი მქონდა დარჩენილიო, სხვა არანაირი ფულიო და მეეტლეს მივეცი ის თუმნიანი, ხურდას აღარც დაველოდე, სადაც 80 წავაგე, იქაც ოთხმოცდამეერთეო.

თუმცა, ამ მისი განთქმული წაგების ამბავს სხვანაირი ბოლოცა აქვს, თითქოს ილიამ უსიტყვოდ გაუწოდა ეს თუმანი მეეტლეს, მეეტლემ კი იფიქრა, მთელი ღამე უთამაშია, მოუგია და თუმანს მჩუქნისო და უთხრა: კნიაზო, სულ ეგეთი მოგებული გატაროს ღმერთმაო.

ილიამ იცოდა სხვანაირი თამაშიც.

ცნობილი ამბავი იყო, თუ როგორ ეთამაშებოდა ილია ერთ ბორჩალოელ თავადს ნარდს და ყოველთვის როგორ უგებდა.

ეს კაცი იყო ვინმე დავით ბარათაშვილი.

რახან ბორჩალოელი იყო, იგულისხმება, რომ მდიდარიც იყო.

ბორჩალოში ძალიან მდიდარი მემამულეები იყვნენ და როგორც ამბობენ, ამ ბარათაშვილს 10000 ძირი მარტო კაკალი ედგა. ასე რომ, ფული ბევრი ჰქონდა, მაგრამ სხვა მხრივ ქერქეტა და მსუბუქი კაცი იყო: საქმე დიდი არაფერი ჰქონდა ცხოვრებაში და მთელი დღეები დადიოდა ქართულ დაწესებულებებსა და კლუბებში და იქ საუბარში ატარებდა ხოლმე დროს. ამავე დროს, ძალიან აზარტული კაცი იყო და უყვარდა თამაში. შორეულ ნათესავად მოხვდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილს და ამიტომ ჰქონდა ლექსების წერის სურვილი. დაჰქონდა ეს ლექსები ჯიბით და სადაც შევიდოდა, ყველას უკითხავდა.

ხშირად მიდიოდა ხოლმე ბანკში ილიასთანაც.

ამოალაგებდა ამ ლექსებს, წაუკითხავდა თანამშრომლებს და მალიმალ მოიკითხავდა ხოლმე, ილიამ მოიცალაო? ილია იყო მისი პარტნიორი ნარდში.

ბოლოს ილია მოიცლიდა ხოლმე. 3 საათზე ამთავრებდა მუშაობას.

გამოვიდოდა, იცოდა, რატომაც ელოდა ბარათაშვილი და ეტყოდა: „კნიაზო, ჩემთან ხო არ გვესადილაო?"

წაიყვანდა, ისადილებდნენ და ჩაუსხდებოდნენ ნარდს და კარგა გვარიანად გამოუბერტყავდა ხოლმე ილია ჯიბეებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბარათაშვილს მისთვის ოდესმე მოეგოს, მაგრამ წლების განმავლობაში მოდიოდა და ეთამაშებოდა. კი ამბობდა ხოლმე, ილიასთან სადილობა რაღაც ძვირი მიჯდებაო ხოლმეო, მაგრამ ვერ ითმენდა. თავის მხრივ, ილიასაც თურმე დაჭერილი ჰქონდა მისი ეს სისუსტე და ბანკში რომ გაივლ-გამოივლიდა ხოლმე სამუშაო დროს, იკითხავდა: ბარათაშვილი ხომ არ გამოჩენილაო?

ეტყობა, მაშინ ფული სჭირდებოდა ხოლმე.

ილია იყო გულჩათხრობილი და უთქმელი კაცი. ძალიან ხშირად საათობით იყო ჩუმად. საერთოდაც, მარტო ყოფნა უყვარდა. არ უყვარდა ხალხში ტრიალი და სახალხოდ ლაპარაკი, არც ცნობილ მიღებებზე – სადღეგრძელოების თქმა. იჯდა და გაიღიმებდა ხოლმე. სმითაც დიდად არ მოიკლავდა თავს.

თუმცა, იყო ერთი დღე, როცა ილია თვრებოდა. ეს იყო 20 ივლისი, ილიაობა დღე. ამ დღეს საგურამოში სასწაული ხდებოდა.

საერთოდ, ილიამ იცოდა წელიწადში რამდენჯერმე ხალხის დაპატიჟება. ახალ წელს, ოღღას დაბადების დღეზეც... ხუთშაბათობით კი ყოველთვის ჰქონდა სადილი მეგობრებისთვის. თუ მეგობარი იყავ, უთქმელად მიხვიდოდი.

ილიაობა კი იყო დიდი და სერიოზული საქეიფო ღონისძიება, რომლის მოწყობასაც უნდოდა დიდი ჯანი და ეს ჯანი მთლიანად ოღღასი იყო.

ილია სუსტი იყო ასეთ საქმეებში. აბა, წარმოიდგინეთ თბილისიდან დაძრული 200 კაცი, შეიძლება სამასიც. ამათთვის დაქირავებული ეტლები, დროგები, ლინეიკები, ცხენები. იქ წამოქცეული 10 ძროხა, რამდენი ხბო და რამდენი ქათამი.

ამას არავინ ითვლიდა. მოხდილი ქვევრები, ასეულობით ლიტრი ღვინო. სტუმრად კი ყველა ახლომახლო მეზობელი თავადიშვილი, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა აქვს საგურამოსთან, მთელი თბილისის ლიბერალური ბომონდი, ილიას პირადი მეგობრები, მთელი საგურამოს გლეხობა, სტუდენტები წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლისა, სადაც ილიას მეგობარი ილია წინამძღვრიშვილი იყო უფროსად...

აქეთ გლეხები მღერიან, იქით თბილისიდან ამოყვანილი დასტები უბერავენ. თავადები თავიანთი გიტარებით, ცეკვა ხან ერთ კუთხეში ატყდება, ხან მეორეში და არის გაბმული სმა.

ეს იყო იმხელა სუფრა, რომ აზრი არ ჰქონდა, ერთი თამადა ჰყოლო-

და, მაგრამ სმა კი მძლავრი იყო. ზოგჯერ ვიღაც ახირდებოდა და თუ თავიდანვე მოსთხოვდნენ ილიას დიდ ყანწებს, ქეიფი ადრე თავდებოდა და ფუჭდებოდა. გლეხები არ სვამდნენ ყანწებს.

თითქოს ქართველმა გლეხებმა უკეთესი ქეიფი იცოდნენ, ვიდრე ქართველმა თავადებმა. თავადების ქეიფში ხმაური მეტი იყო, გლეხებისაში კი – სინამდვილე.

ილია შემოივლიდა ამ დიდ სუფრებს: ყველასთან ერთად უნდა დაელია და ემღერა. სიმღერა ძალიან უყვარდა. თუმცა, სმენა არ ჰქონდა. მხოლოდ როცა დალევდა, ააყოლებდა ხოლმე ხმას სხვებს. გამორჩეულად უყვარდა ერთი სიმღერა, „მუმლი მუხასაო“. ბოლო დაძახილზე აუცილებლად მუშტს დაჰკრავდა ხოლმე მაგიდას და დააყოლებდა, აი, ეგრე მოერია მუხა მუმლსო. მერე ჩავიდოდა გლეხებთან, იქაც უნდა დაელია. აქეთ ესენი ცეკვავდნენ ქართულს, იქით – გლეხები. კარგა საღამომდე გაიწელებოდა ეს ქეიფი და მერე იწყებოდა ჭიდაობა. ჭიდაობა იწყებოდა და ჭიდაობით ღამდებოდა.

თბილისიდან ამოსულ ხალხს ახლდა ხოლმე ლოთური ამქარიც, თბილისელი მოქეიფეები და ისინი აგრძელებდნენ და აგრძელებდნენ. ასიკო ცაგარელს ვინ დაამშვიდებდა და ვინ მიაძინებდა?!

საქმე კი ბევრი იყო, იმიტომ, რომ სახლში და აივანზე, სადაც ეს სუფრები იყო გაშლილი, და ეზოშიაც კი, ეს ყველაფერი უნდა აელაგებინათ და ყველაფერი საწოლ ოთახებად უნდა ქცეულიყო, რახან ამ ხალხის უმრავლესობა იქა რჩებოდა და მეორე დღეს წამოვიდოდა ხოლმე, იმიტომ, რომ დილისთვის კეთდებოდა ხაში და ერთი დათრობის ანგარიშიც იყო.

აი, ეს ერთი დიდი და განსაკუთრებული ქეიფი ჰქონდა ილიას და ამ ქეიფს ირგებდა და არგებდა სხვასაც.

ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, უცებ მოიწყენდა ხოლმეო. მისთვის უთქვამს, ბევრი დარდი მაქვს, მაგრამ ისეთი კაცი არა ვარ, რომ სხვას გული გადავუშალო, ამიტომ ჩემს დარდებზე არაფერს გეტყვიო.

ერთი დარდი ჩვენთვის ცნობილია – ილია უშვილო იყო.

ამიტომ რასაც აკეთებდა, ცდილობდა, იმდღევანდელი დღისთვის ეკეთებინა. ადამიანურად ცხოვრობდა, როგორც ერთი საშუალოზე საშუალო თავადიშვილი. მისი ჭკუის კაცი ბევრად მდიდარიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მომავლისას არ ფიქრობდა, რაც მისი მკვლელობის შემდეგ მისმა ანგარიშებმაც გამოაჩინა – უცებ აღმოჩნდა, რომ ოლღა ხელმოკლეა. საწყალი ოლღა თვითონ, აბა, რის მქნელი იყო ილიას სიკვდილის შემდეგ?! კომუნისტების დროს სიღატაკეში დალია სული.

ამიტომაც ამბობდა, უამრავ რამეს გავაკეთებდი, მაგრამ ვისთვის გავაკეთოო.

მეურნე არ იყო ილია, მამულს მართავდა მოურავებით და მოურავები კი ჰყავდა, როგორც წესი, ერთმანეთზე უარესი. ვინც კარგი ჰყავდა, ის მოუკლეს რევოლუციის დროს. მერე ვინცა ჰყავდა, ვიცით, იმან რაც დამართა, ცნობილია.

აი, როგორი კაცი იყო – დაჯდებოდა და კითხულობდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ბევრს მეურნეობაზე, იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობა მიაჩნდა საქართველოსთვის ბევრი რამის გადამწყვეტად.

ვაჰ! აი, როგორი ხელსაწყოები მოუგონიათ სახნავად და საფარცხად და არ დაინანებდა, გადაიხდიდა, გამოიწერდა, ჩამოიტანდნენ, მაგრამ გლეხებმა ამის ხმარება არ იცოდნენ, აგრონომი კი ჭირდა. რაღაც პატარა გაუფუჭდებოდა და მერე სარდაფში ეყარა.

ერთხელ რაღაც წაიკითხა ქათმების ინკუბატორზე და გამოიწერა ეს ინკუბატორი. ჩამოიტანა საგურამოში, მაგრამ მოვლის წესები არ იცოდნენ და თვითონ იქ კი შაბათ-კვირას ჩადიოდა. ეს ქათმები დაეხოცა.

იცოდა სიმყუდროვის შექმნა. სახლი ისე ააშენა, რომ მოარგო სახლის უკან მდგომ ძალიან ძველ კაკალს და წყაროს.

ეს წყარო მერე სალაპარაკო გახდა, გლეხებს არ ასმევს იქიდანო. წყაროს გადააყოლეს, შეიძლება ითქვას. ეუბნებოდა, ბიჭო, ღობეს ნუ გადმოამტვრევთ, შემოუარეთ და ისე შემოდითო. ვინ შემოუვლიდა, ქართველები არა ვართ? – უნდა გადმოემტვრიათ, ისე უფრო მოკლე იყო.

იქ უყვარდა ხოლმე, სახლის უკან გავიდოდა და კაკლის ძირას იჯდა.

— გაზეთები, გაზეთები —

სანამ ილია „ივერიის“ გამოშვებას დაიწყებდა, საქართველოს ერთადერთი ქართული გაზეთი ჰქონდა, ამ გაზეთს ერქვა „დროება“ და მისი რედაქტორი 15 წლის განმავლობაში იყო სერგეი მესხი.

„დროების“ რედაქცია ახალ ქალაქში სასახლის ქუჩის გაგრძელებაზე იყო, მუხრანსკის სახლის სულ ზედა სართულში და უცხოს რომ შეეხედა, იფიქრებდა, რომ ეს რედაქცია არ არის, უბრალოდ ვიღაცის სახლიაო. ილიას ხომ მთლად სახლში ჰქონდა რედაქცია, „დროება“ კი ისე ჰგავდა სახლს.

ასეც იყო, იმიტომ, რომ იმ დროში, როცა „დროება“ გამოდიოდა და როცა ის იყო ერთადერთი ქართული გაზეთი, ქართული გაზეთის გამოცემა წვალება იყო – წვალება, თავდადება, სიღატაკე და არაადამიანური შრომა. მაგრამ ქართული გაზეთი აუცილებელი იყო. ქართული გაზეთი რომ არ ყოფილიყო, ქართველი ვერაფერს გაიგებდა. ქართული გაზეთი მარტო ახალი ამბების კრებული არ იყო, ეს თავისებურად იყო საბრძოლო ფურცელიც ადამიანებისთვის, რომლებიც პოლიტიკასა და საქართველოს მდგომარეობაზე ფიქრობდნენ და ცდილობდნენ, უყურადღებოდ არ დაეტოვებინათ საქვეყნო ვითარება.

გაზეთის შრომა ისედაც მძიმეა, მით უმეტეს, ღარიბი გაზეთისა.

თბილისში იყო მდიდარი და გადასარევი რუსული გაზეთები, მათ მკითხველიც ბლომად ჰყავდათ და არც რამე უჭირდათ. ბევრი კარგი ქართველი ჟურნალისტი სწორედ იქ მუშაობდა. აი, ნიკო ნიკოლაძესაც კი რუსული გაზეთი ჰქონდა.

მაგრამ „დროება“ სხვა იყო. მისი რედაქტორი, გამომცემელი, კო-

რექტორი, მოწინავეების ავტორი და ახალი ამბების რუსულიდან მთარგმნელი ხშირად ერთი კაცი იყო ხოლმე – სერგეი მესხი.

ხშირად ასე იყო, მაგრამ ხშირად „დროებაში“ ბევრი კარგი ქართველი ჟურნალისტი და მწერალი მუშაობდა.

„დროების“ რედაქცია იყო ერთი საოცარი და დიდი სახლი, თუმცა საკმაოდ ვიწრო ოთახებით და ბევრ ოთახს იქ ფანჯარაც არ ჰქონდა. იქავე იყო სტამბა, თავისი ასოთამწყობებით.

ასოთამწყობი იმ დროის ერთი გამორჩეული ხელობა გახლდათ – უსწავლელი ნასწავლი კაცი, ანუ ის კაცი, რომელიც პირველი იგებს ახალ ამბავს. თქვენ გაზეთს მეორე დღეს წაიკითხავთ, მან კი წინა შუადღეს უკვე ყველაფერი იცის, რადგან თავად ააწყო სტამბაში ესა თუ ის სტატია.

„დროების“ რედაქციაში რომ შევიჭყიტოთ, უნდა გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის საბრძოლო ეპიგრამები.

ცნობილი ამბავია „პასუხი“, „პასუხის პასუხი“ და ასე შემდეგ, მამათა პაექრობა ილია ჭავჭავაძესთან და ახალი თაობის ხალხთან. ჰოდა, გენერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დროების“ რედაქციაში მუშაობდნენ აკაკიები, ბაკაკიები, რიონელები, გოგიტელები, მესხი, მეველე, მელიქ-აღები და ა.შ. და ა.შ.

ეს იმ ხალხის ფსევდონიმებია, ვინც აქტიურად წერდა ამ გაზეთში.

სხვანაირად, მათ „მღვდლის შვილებსაც“ ეძახდნენ ხოლმე, თუმცა პირდაპირ მღვდლის შვილი არც ერთი არ იყო, მაგრამ იმ ენის გამო, რომლითაც წერდა მაშინდელი „დროება“, იმ ენის გამო, რომელიც მიუღებელი იყო ქართული მაღალი საზოგადოებისთვის, იმ უბრალოებისთვის, იმ სურვილისთვის, რომ წერა-კითხვის მცოდნე უბრალო ქართველსაც წაეკითხა ეს გაზეთი და გაეგო, თუ რა ხდება მის ქვეყანაში, „დროებას“ ამრეზით უყურებდნენ. ეგ „დროების“ საქართველოაო, ეგეთი არ არსებობსო.

ბრწყინვალე თავადიშვილი „დროების“ არც ერთი თანამშრომელი არ იყო და ჩინ-მედალიც არც ერთ ამათგანს არ ჰქონდა, ამიტომაც, ეტყობა, წერა-კითხვის ცოდნაში მღვდლის შვილობა იგულისხმებოდა. საქართველო არც იყო საქართველო. იყო თბილისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია.

ველიჩკო ამბობდა ხშირად: რას შეუჩნდით ეს ქართველები ამ ქართულსო. ქუჩაში მენახშირე რომ მოდის, ისიც კი „უგლი, უგლის“ იძახის და თქვენ რად გინდათ ეს ქართული გაზეთი, გააკეთეთ ერთი კარგი რუსული გაზეთი და იქნებით ბედნიერად, არ შეგიძლიათ თუ რაო.

ერთი დრო იყო, სემინარიებში და გიმნაზიებში ქართულად ლაპარა-

კისთვის ბავშვებს სჯიდნენ. ერთხანს უნდოდათ, რომ ამოეღოთ ქართული გალობა.

უამრავი ისეთი მომენტი იყო, რომ ქართულს ბრძოლა უხდებოდა და ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი გმირი იყო ქართული გაზეთი.

ქართული გაზეთი იყო ერთადერთი თვალი, ერთადერთი მახვილი თვალი, ერთადერთი ყური, რომელსაც შეეძლო რაღაც გაეკეთებინა ქვეყნისთვის და ხალხი ფხიზლად ჰყოლოდა. სხვა გზა, სხვა საჯარო ადგილი არ არსებობდა.

როგორ მუშაობდა გაზეთი?

სტატიების წერა ან წინა დღით იყო მოთავებული, ან დილიდან იწყებოდა.

სადილამდე ყველაფერი ჩაჰქონდათ სტამბაში, სადაც ასოთამწყობები აწყობდნენ გვერდებს. მერე გაზეთი ამოდიოდა რედაქციაში და კეთდებოდა კორექტურა. მერე კვლავ ჩადიოდა სტამბაში და კორექტურა სწორდებოდა.

და, აი, მერე იწყებოდა მთავარი უბედურება. ეს გამზადებული გაზეთი ცენზორთან უნდა წაგეღო.

ცენზორი იყო მთავარი კაცი, ეს იყო კაცი, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებამ, ასე ვთქვათ, მაშინდელმა იმპერიამ, დაუნიშნა მთელი რუსეთის გაზეთებს, ჟურნალებსა და წიგნებს.

ქართული გაზეთისთვის ცენზორს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ცენზორი ქართველი იყო ხოლმე.

უცნაური რა იყო, იცით? ერთხანს ქართული გამოცემების ცენზორი იყო რაფიელ ერისთავი – ადამიანი, რომელმაც დაწერა „სამშობლო ხევსურისა“ და როგორც ის ძველი ჟურნალისტები იგონებენ, კარგი ცენზორი იყო, რბილი და თვალმილულული. სხვანაირი ვერც იქნებოდა. კეთილშობილი კაცი იყო და ვითარებაც ესმოდა, მაგრამ ამოსაშლელს მაინც ყოველთვის ამოშლიდა, იმიტომ, რომ თუ არ ამოშლიდა, გაზეთი ალბათ დაიხურებოდა, რაც დაემართა კიდეც „დროებას“.

გიორგი ლასხიშვილი იგონებს, ერთხელ სტატიაში სახარებიდან მქონდა ციტატაო და რაფიელმა გადამიხაზა წითელი მელნითო.

აკრძალულ წინადადებებს წითელი მელნით ხაზავდნენ.

შეწუხდა ლასხიშვილი, ეს რატომ ამოიღეთო და რაფიელს ასე უთქვამს, იცი რაო, საქმე სამღვდელოებას ეხება და შენ მაგათ არ იცნობო, შეიძლება ყველაფერზე შარი მოგდონო.

მაშინ კი მეწყინაო, ლასხიშვილი წერს, მაგრამ მერე და მერე მივხვდი, რო მართალი იყოო.

დიდი ხნის მერე მიხვდა, იმიტომ რომ „ივერია" სწორედ სამღვდელოებასთან წინააღმდეგობის გამო დაიხურა და სწორედ მაშინ, როცა მას ლასხიშვილი უფროსობდა.

რაფიელ ერისთავის შემდეგ კი ცენზორად იყო იმ დროის ქართველი ჟურნალისტებისთვის ყველაზე მძიმე კაცი ლუკა ისარლიშვილი, ისარლოვი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ძველი ამხანაგი. ასე ამბობდნენ, სულ პირველმა ივანე ორბელიანმა გაიპარსა წვერი, მეორემ – ლუკა ისარლოვმაო.

წვერი უკვე მთელ მსოფლიოში მოდაში შემოსულიყო, მაგრამ ლუკა ამას არ მისდევდა.

იხსენებენ, რომ ის იყო პოლიციელის ტიპის ადამიანი, რომელმაც იცოდა კარგი ქართული და კარგი რუსული და იჯდა და შლიდა და შლიდა და შლიდა.

ყოფილა, რომ ერთი-ორი გულწრფელი ახალგაზრდა ლიბერალი დანით და რევოლვერითაც კი მივარდნია ლუკა-ცენზორს.

იყო მისი წვალება, მოტყუება-გაცურება, მოქრთამვის მცდელობა, მაგრამ ეს იყო ურყევი კაცი.

როცა ალექსანდრე ყაზბეგის პირველი წიგნი გამოდიოდა, ლუკამ ლამის მთლიანად წაშალა, მხოლოდ რამდენიმე გვერდი დატოვა, ეს გამოეცითო.

ყაზბეგმა არ დაიშალა და მაინც გამოსცა წიგნი პირვანდელი სახით. მესამე დღესვე წიგნის მთელი ტირაჟი დაწვეს.

ასეთი შემთხვევები ხშირი იყო იმ დროს.

ქართული გაზეთის რედაქცია იყო ლიბერალი ქართველების კლუბი.

რედაქციებში ადამიანები ცხოვრობდნენ კიდეც.

ალექსანდრე ყაზბეგი დიდხანს ცხოვრობდა „დროების" რედაქციაში, იმიტომ, რომ ბინა არ ჰქონდა. იქვე სადილობდნენ, რასაც იშოვიდნენ, ინაწილებდნენ და ყველაფერი იყო ძალიან შინაურულად.

მთელ ამ ცენზურობასა და წვალებაში ქართველი ჟურნალისტები სწავლობდნენ იგავური ენით წერას, მაგრამ ეს იგავებიც ხშირად ამოსაცნობი იყო.

„დროების" დახურვის ერთ-ერთი საბაბი უბრალო ფელეტონი გახდა, სადაც ვიღაც მოლასა და ყადიზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ოზურგეთის მაზრის უფროსმა ვირუბოვმა ამოიჩემა, ეს ყადი მე ვარო და სასამართლოში აღძრა საქმე.

იქვე დაემთხვა, რომ ივანე მაჩაბლის ფელეტონი ლოთ რუს მუშაზე წაიკითხეს როგორც სატირა კავკასიის მეფისნაცვალ დონდუკოვ-

კორსაკოვზე, რომელსაც სმა უყვარდა. კავალერიის გენერალი და მთელი კავკასიის გამგებელი პატარა გაზეთს ვერ მოერეოდა?

ამიტომაც „დროება" დაიხურა და აღარასოდეს აღმდგარა.

ქართული საზოგადოების ძლიერი მხარე ამ დროს ასეთი იყო: როგორც კი „დროება" დაიხურა, სოლოლაკის ერთ ბინაზე შეიკრიბა ათი ქართველი. იქ იყო ილია ჭავჭავაძეც.

კრების მონაწილეებმა ილიას უთხრეს, აუცილებლად უნდა გვქონდეს ყოველდღიური გაზეთი და შენი ჟურნალი „ივერია" გაზეთად უნდა გადავაკეთოთო. იცოდნენ, გაზეთის ამწევი და წამომწყები ილიას მეტი იმ დროს არავინ იყო. ყველანი მოგეხმარებითო, ამასაც დაჰპირდნენ.

მერე და მერე ქართულ გაზეთებს ერთმანეთში დიდი წინააღმდეგობა ჰქონდათ ხოლმე. ძალიან სერიოზული უთანხმოებები იყო, იდეოლოგიურიცა და პირადიც. საქმე დუელამდეც კი მიდიოდა.

ნიკო ნიკოლაძე შეუჩნდა ერთხელ ილია ჭავჭავაძეს თავისი „ობზორის" ფურცლებიდან, მე ვაკრიტიკებ და ის კი პასუხს არა მცემსო და ილიამ თქვა, მე გავცემ პასუხსო, უნდა ვესროლოთ ერთმანეთსო.

ეს დუელი არ შემდგარა.

თუ იმას გავიხსენებთ, რომ ილია ლამის ათ წელიწადს მომრიგებელ მოსამართლედ იყო დუშეთში და თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა, ხოლო ნიკო ნიკოლაძემ იმდენი ქნა, რომ ის ქალაქში დააბრუნა, რათა „საქართველოს მოამბის" სათავეში ჩამდგარიყო და ხელში აეღო ქართული საზოგადოების, ამ ლიბერალური საზოგადოების სადავეები, მაშინ მივხვდებით, რომ ისინი ერთმანეთზე ბრაზდებოდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი სიძულვილამდე არ მიდიოდა. მიდიოდა ძალიან იშვიათად და ეს მტკივნეული იყო.

„ივერიის" რედაქცია ცნობილი იყო, როგორც გურმანების საკრებულო.

თავად ილია ჭავჭავაძემაც კარგად იცოდა პირის გემო, მაგრამ იქვე იყო გრიგოლ ყიფშიძეც, მადიანი მჭამელი და თუ მისგან რამე გინდოდთ, შუადღემდე უნდა მოგესწრებინებინათ, იმიტომ, რომ ისადილებდა თუ არა, იძინებდა და მისი გაღვიძება ძალიან ძნელი იყო.

სადილობდა ძალიან დიდხანს, ლამის საათ-ნახევარს.

როგორც ისარლოვის ბუნების კარგი მცოდნე და მასთან ლაპარაკის ოსტატი, გიგო საღამოსთვის უნდა გაეღვიძებინათ, რათა გაზეთი ცენზორთან წაეღო და იყო ხოლმე ერთი ამბავი, რახან ღრმა ძილი იცოდა. გარბოდა ხოლმე ნახევრად მძინარე, ქაღალდებით ხელში.

„ივერიაში" თანამშრომლობდა ილიას ერთი ახლო მეგობარი ნიკო

ხიზანაშვილი – ნიკო ურბნელი: ძალიან ცნობილი კაცი, იურისტი, მეცნიერი, კარგი პუბლიცისტი.

ნიკოს ჭამა-სმის უნარზე ლეგენდები დადიოდა.

ის ხშირად სტუმრობდა საგურამოში ილიას და ერთი ასეთი მისვლის დროს მასპინძელმა უთხრა, დღეს ხბო გვაქვს და გოჭიო. მოდი, სადილად ხბო ვჭამოთ და გოჭი ვახშმისთვის შევინახოთო.

დასხდნენ და გაადინეს ბდღვირი ხბოს, დატოვეს ძვლები. მერე ყველამ ჩათვლიმა და საღამოს პირზე ილიამ თავის მზარეულს დაუძახა, მიდი, ბიჭო, ის გოჭი გამოიტანე, ხომ იცი, ვინცა მყავს მოყვანილი, იოლზე ვერ გადავატარებთო და მზარეულმა, ჩამოვიდა, ბატონო, სამზარეულოში და უკვე შეჭამა ეგ თქვენი გოჭიო. ასე დავრჩით უვახშმოდო, იცინოდა ილია.

ერთხანს „ივერიაში“ მუშაობდა ანტონ ფურცელაძე, ძალიან კოლორიტული კაცი, ყველა დარგის სპეციალისტი, ცნობილი თავისი განუზომელი კრიტიკის უნარით. როცა ანტონი სტატიას დაწერდა, უყვარდა „ივერიის“ თანამშრომლების სახლში მიწვევა და იქ უკითხავდა ხოლმე თავის ნაწერს, მერე კი იყო აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლა.

ნიკო ხიზანაშვილი რომ მივიდოდა ხოლმე იქა, ჯერ სამზარეულოსკენ წავიდოდა და მოათვალიერებდა, აბა ვახშამი გველოდება თუ არაო.

ერთხელაც, ანტონს რაღაც დაუწერია შექსპირზე და კითხულობდა დიდი რიხით და ლანძღავდა. ამბობდა, როგორ შეიძლება ბეკონის საუკუნეში სცენაზე აჩრდილის შემოყვანა, რა ჩამორჩენილობააო.

ნიკომ უსმინა, უსმინა და დაუწყო ღრიალი, სულელი ხარ, რეებსა წერო. ფურცელაძე მიუხვდა – ეგ ახლა სამზარეულოში იყო და ნახა, რომ იქ არაფერი შიშხინებს და გაავდაო.

ასეთი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ძალიან კარგი ჟურნალისტები და ხალისიანი ვინმეები „ივერიაში“.

საგაზეთო საქმე იყო რთული და თავზე ხელაღებული.

იყო ასეთი ჟურნალისტი, დავით კეზელი, რომელიც ადრე „დროებაშიც“ მუშაობდა, მერე „ივერიაშიც“. იქიდანაც გაძევებული, აქედანაც გამოძევებული, ძალიან ენამწარე ჟურნალისტი გახლდათ.

მისი დამსახურებაა ალ. ყაზბეგის ხშირი ნერვების შლა, ილია ჭავჭავაძის გამუდმებული კრიტიკა საბანკო საქმეებში, მერე ივანე მაჩაბლის კრიტიკაც და ასე დაუსრულებლად.

საერთოდ, იმ დროის ჟურნალისტობა ამასაც გულისხმობდა და თუ შენ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „მიმართულების“ კაცი არ იყავი, ერთ გაზეთში გული არ დაგიდგებოდა.

„მიმართულება“ იდეოლოგია იყო.

ძველი „ცისკრის“ გამომცემელი ივანე კერესელიძე ისე დაბერდა, რომ სიტყვა „მიმართულების“ მნიშვნელობა კარგად ვერ გაიგო. ერთხელ დაუჩივლია, კაცოო, რუსეთში მყოფი ჩვენი სტუდენტები მითვლიან, ჟურნალის მიმართულება შეცვალეო. შევუცვალე, როგორ არ შევუცვალე, ადრე ლარსით ვაგზავნიდი, ეკიპაჟებით მიჰქონდათ, ახლა კი ოდესით ვაგზავნი – ზღვითო. უფრო ძვირი მიჯდება, მაგრამ როგორც იმათ უნდათ, ისე ვაკეთებ და მაინც უკმაყოფილოები არიანო. აი, როგორი აპოლიტიკურები იყვნენ ძველი თაობის ქართველი რედაქტორები.

დავით კეზელი მოკალმის განსაკუთრებული ტიპი იყო. მას შეეძლო ყველგან ეწერა, იყო ლიბერალი, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელი და ცოტა მოყვითალო ჟურნალისტი. არსენას საფლავის ქვა რომ დაუდო, ეგ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ბიჭობაში გადახდა.

ერთ დღეს ალექსანდრეს ბაღში სკამზე ისხდნენ ისა და მისი ორი სემინარიელი ამხანაგი, მგონი სტეფანე ჭრელაშვილი და ერთი ვინმე მაჭავარიანი.

ისხდნენ და იქ კი სასეირნოდ ჩამოიარა კავკასიის მეფისნაცვალმა და, როგორც აღმოჩნდა, სემინარიელებმა ჯეროვანი სალამი არ მისცეს. არ წამოდგნენ და ქუდი არ მოუხადესო, თუ საერთოდაც ხითხითი ატეხესო.

მეფისნაცვალი იყო კავკასიის მეფე. მეფე არ ერქვა, მაგრამ პასუხი მხოლოდ იმპერატორთან ჰქონდა. მხოლოდ ის იყო მისი უფროსი.

იმ ჯერზე კი მეფისნაცვალი იყო დიდი მთავარი მიხაილ ნიკოლაევიჩი, რომელიც ჯერ იმპერატორის შვილი იყო, მერე იმპერატორის ძმა, მერე იმპერატორის ბიძა და ბოლოს კი იმპერატორის ბაბუადაც გამოდიოდა, რახან ნიკოლოზ პირველის დროებიდან ნიკოლოზ მეორის დროების ჩათვლით სულ თანამდებობაზე იყო.

ოც წელიწადს იყო კავკასიის გამგებლად. მის ხელში გაუქმდა ბატონყმობა, იყო მკაცრი და დიდი გავლენის კაცი. მისი უფროსი ვაჟი, მიხაილი, იყო აქაურობის მოყვარე, ლიკან-ბორჯომის პატრონი და ამშენებელი, ომების მოძულე და კულტურის მოყვარე.

დიდი მთავარი მერე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეც იყო, ალექსანდრე მესამის დროს, თუმცა კავკასიაში ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე.

ასე იყო თუ ისე, სამივე სტუდენტი დააპატიმრეს და დაიწყო უზარმაზარი გამოძიება. ამ გამოძიებაში ჩაითრიეს სემინარიის ლამის ყველა ქართველი მასწავლებელი და სტუდენტი. რა მოხდა იმ ალექსან-

დრეს ბაღში, აბა რაღას იტყვი. ისე კი, მეფისნაცვალმა ალბათ ბევრი იცოდა სემინარიელთა განწყობისა და სემინარია ძალიან დაფერთხეს. უამრავი ბიჭი გაირიცხა. გარიცხვას ვიღა ჩიოდა. ამ ამბიდან სულ რამდენიმე წელიწადი გავიდა და გარიცხვა სიცოცხლედ დაუჯდა სემინარიის რექტორ ჩუდეცკის, რომლის რეჟიმიც უმკაცრესი იყო და რომელიც სახალხოდ უწოდებდა ქართულს ძაღლის ენას. თუმცა, ეს სხვა ისტორიაა.

ეს ის ამბავია, სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა ვერაზე ნაყიდი ბებუთით რომ მოკლა სწორედ ეს ჩუდეცკი, ამით აღშფოთებულმა ეგზარქოსმა პავლემ კი სიონში, წირვაზე შეკრებილ მაღალ კნიაზობას იქავე უქადაგა, ქართველებს ანათემას გადაგცემთო, ისინი კი ჩაჩუმდნენ. სოფლად მყოფმა დიმიტრი ყიფიანმა ეს ამბავი შეიტყო და პავლეს წერილი მისწერა. მეტად თავდაჭერილად ეკითხებოდა, ის ქვეყანა დასწყევლეთ, რომელიც თქვენი სამწყსოაო? დონდუკოვ-კორსაკოვი კი ისედაც ცუდი გულისა იყო ყიფიანზე. ცოტა ხნით ადრე, ყიფიანი ბორჯომში ხლებოდა მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალი აღარ იყო, მაგრამ პეტერბურგში უდიდესი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ეჭირა.

მოხუცებულ დიმიტრის ეთქვა, წიხლს გვაჭერენ, ეგრე არ შეიძლებაო და კულტურული განვითარების თავისი პროექტიც მიეწოდებინა.

იმ პროექტზე პეტერბურგიდან უარი მოვიდა, მაგრამ დონდუკოვ-კორსაკოვს მეფის კარზე თავისი კრიტიკა ავად დაურჩა და დიმიტრის წერილის შემდეგ იმდენი კი მოახერხა, რომ ალექსანდრე მესამემ ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის თანამდებობიდან გადააყენა და მისი სტავროპოლში გადასახლება ბრძანა. იქ დიმიტრი მოკლეს მძარცველებმაო. მიდი და გაიგე. თუმცა, ისინი დაიჭირეს.

გადასახლების წინ დიმიტრის აკაკი წერეთელმა ჩააკითხა და მოხუცებულმა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა უთხრა, პირველი მერცხალი ვარო. აქამდე ქართველებს ყაჩაღობისთვის აგზავნიდნენ ციმბირში და ახლა ძლივს მართლა საქმეზე მივდივარო. ციმბირში არ გაუსახლებიათ.

დიმიტრი ყიფიანი მთაწმინდაზე დაკრძალეს. წლები გავიდა და მოახერხეს და დაბეჭდეს აკაკის ლექსი „განთიადი".

და „ხანჯალს"? ესეც აკაკის ლექსი იყო. ამბობენ, ყველგან ის იყო გაკრული იმ დღეებშიო. ადრინდელიაო, ამასაც ამბობდნენ, თარიღი სხვა უზის წიგნებშიო.

ლაღიაშვილის საქციელი გიჟური კი იყო, მაგრამ იმეორებდა

განთქმულ კრაჩკოვსკის საქციელს, პეტერბურგში რომ იტალიიდან ჩამოტანილი ბებუთით გენერალი მეზინცევი მოკლა.

თვით ლაღიაშვილი არ ჩამოახრჩეს. მოსამართლემ სიყმაწვილისთვის დაინდო. კატორღიდან სან-ფრანცისკოში გაიქცა და მგონი პირველი ამერიკელი ქართველი შეიქნა. იქიდან სწერდა თურმე წერილებს თავის ამხანაგებს – ფილიპე მახარაძეს და ნოე ჟორდანიას.

ესეც თბილისის სასულიერო სემინარია, სადაც, გერონტი ქიქოძეს თუ მოვიშველიებთ, მოაზროვნე მოწაფეები მატერიალისტები ხდებოდნენ.

ბევრ ქართველ ჟურნალისტს გამოევლო სემინარია და ბევრმა ქართველმა ჟურნალისტმა ბიჭობიდანვე იცოდა, რაზე მიდიოდა და რის წინააღმდეგი იყო. ალექსანდრე მესამის დროებაში ასე ცხოვრება ხუმრობა სულაც არ იყო. რუსეთში რევოლუციონერებს ალექსანდრე მეორეც კი მოეკლათ და ვინღა იყო რაიმეს დამთმობი. თვალში საცემი და აშკარა იყო, რომ ხეირი არ იქნება, ლიბერალიზმისა აღარაფერი დარჩება. ამიტომ ისინი იბრძოდნენ კანონის ფარგლებში და ხშირად კანონის ფარგლებს გარეთაც. ჟურნალისტსა და რევოლუციონერს შორის ხშირად ერთი ნაბიჯი თუ იყო. ნიკო ნიკოლაძე იგონებს, ქუთაისში, გიმნაზიაში მიმავალს, როგორ შეხვდა მამამისი და ტირილით უთხრა, მამა მოგვიკვდა, მამა, წადი სახლში, დღეს სწავლა არ გექნებაო. ეს ნიკოლოზ პირველის სიკვდილის ქუთაისური ამბავია და იმით არის საინტერესო, რომ ტახტის ერთგული ვაჭრის ვაჟი, ნიკო ნიკოლაძე ჟურნალისტიც გახდა და რევოლუციონერიც. სწორედ ალექსანდრე მესამის დროებაში, ნიკოლაძის მოლაპარაკებებმა მთავრობასთან უამრავი ადამიანი გადაარჩინა სასჯელს. მაგრამ ესეც სხვა ამბავია და პირადი ცხოვრებისა არა.

იმ წლებში ილია ენდობოდა ისეთ ახალგაზრდებს, რომლებსაც უკვე გვარიანი სირთულეები ჰქონდათ გადატანილი, მეფის წინააღმდეგაც ღიად გამოდიოდნენ და რუსიფიკაციასაც ებრძოდნენ.

მან თავისუფლად მიიღო რედაქციაში გიორგი ლასხიშვილი, რომელსაც ხუთწლიანი კატორღა, ციმბირი და ათასი უბედურება უკვე გამოვლილი ჰქონდა. ლასხიშვილი ოდესის სტუდენტების გამოსვლების მონაწილე იყო და ამას გადააყოლეს.

ლასხიშვილმა თანდათან შემოიყვანა რედაქციაში რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები. ილია უკვე მხოლოდ გამომცემელი იყო, სარედაქციო საქმეში აღარ ერეოდა, წელიწადში ხუთ რაღაცას თუ დაწერდა და ძირითადად ბანკისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეებით იყო დაკავებული.

სულ კი მაფრთხილებდაო, ლასხიშვილი წერს: ეს სიტყვა, „მიმართულება“ – თქვენ ხეირს არ მოგიტანთო, ამას იოლად მიგვიხვდებიან, თუ უკვე არ მიგვიხვდნენ, და საქმე წაგვიხდებაო.

ერთ მშვენიერ დღეს ბანკის სხდომა იყოო, ისევ ლასხიშვილი იხსენებს, და ჩვენ, როგორც კორესპონდენტები, სცენაზე ავედითო. შემოვიდა ილია ჭავჭავაძე და გვითხრა, „ივერია“ დახურულია, ამ წუთას მივიღე ქაღალდიო.

„ივერიის“ დახურვის მიზეზი იყო ია ეკალაძის სტატიების სერია თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ. ძალიან აბობოქრდნენ სემინარიის მღვდლები. მიიყვანეს მეფისნაცვლამდე ეს ხმა და „ივერია“ დაიხურა.

სხვა ქართველმა რევოლუციონერმა გიორგი ზდანევიჩმა უკვე იქვე უთხრა ილია ჭავჭავაძეს – ილია, ნუ ღელავ ამის გამო, ეგება ეს უმჯობესიც იყოს ხალხის თვალშიო.

ილიამ ხელები გაშალა – რა ვქნათ, ამით უნდა ვინუგეშოთ თავიო.

თუმცა ილია ჭავჭავაძემ მაინც მოახერხა „ივერიის“ აღდგენა: დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ მან ხელახლა მიიღო ნებართვა გაზეთის გამოცემისა და „ივერია“ უკვე სულ სხვა კაცს, ალექსანდრე სარაჯიშვილს ჩააბარა.

უამრავი ახლის მპოვნელი და აღმომჩენი ქართულ საზოგადოებაში, ქართულ ხელოვნებაში, ქართულ ყოფაში სწორედ გაზეთი იყო.

გაზეთებში იბეჭდებოდა ვაჟა-ფშაველა.

ალექსანდრე ყაზბეგის რომანები საგაზეთო რომანები იყო. ის იჯდა რედაქციაში და რედაქტორი ეუბნებოდა სასურველ მოცულობას. ჯერ კიდევ მელანშეუშრობელ ფურცლებს მიარბენინებდნენ ხოლმე დაბლა, „დროების“ სტამბაში. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ვაჟამ კი მაინც ვერაფრით იმუშავა რედაქციაში.

რახან ის ხელმოკლე კაცი იყო და ყველას უნდოდა, რომ ხელფასიანი საქმე ჰქონოდა, ილიასაც შეუთანხმდნენ ჟურნალისტები, რომ მოდი, ვაჟას დავაწყებინოთ „ივერიაშიო“ და მანაც დაიწყო.

პირველ დღეს მოვიდა და რუსულიდან რაღაც დეპეშები გადათარგმნა.

მეორე დღეს მოვიდა და მისცეს ისევ დეპეშები და წერა და წერა.

იაკობ მანსვეტაშვილი დაადგა თავს და დაინახა, რომ ვაჟა ლექსს წერდა. ეს რა არის, ვაჟაო, ჰკითხა.

ის დეპეშები არ მომეწონა და სამაგიეროდ, ამ ლექსს დაგიტოვებთო. სულ სამ დღეს გაძლო.

მაგრამ რაც კი დაეწერა ვაჟას, ხშირად იბეჭდებოდა „ივერიაში“.

როცა ილია რედაქტორობდა, ლექსებს იშვიათად ბეჭდავდა, ამბობდა, ლექსს თუ ბეჭდავ, ძალიან კარგი უნდა იყოსო.

„ივერია“ რომ დახურეს, მაშინ საქართველოს უკვე ჰქონდა კიდევ ერთი გაზეთი, ჟურნალად წოდებული „კვალი“, რომელშიც თავიდან დიდი რიხით დაიწყეს თანამშრომლობა აკაკი წერეთელმა და ივანე მაჩაბელმა, მაგრამ რამდენიმე ნომრის თავზე ისინი ნელ-ნელა გამოდევნეს რედაქციიდან და „კვალი“ სულ მთლად ახალი თაობის ხელში გადავიდა, ფაქტობრივად რედაქტორად იქ ჯერ გიორგი წერეთელი იყო და მერე კი – ნოე ჟორდანია. სხვათა შორის, „კვალის“ პირველი ნომერი ზღაპრული იყო, რადგან აქ დაბეჭდილი იყო აკაკის „განთიადი“ და გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. ტირაჟიც და ხელის მომწერებიც იყო ძალიან ბევრი და მკითხველები ითხოვდნენ აკაკის ლექსებს, მაჩაბლის სტატიებს...

მაჩაბელი ხელს იშვიათად აწერდა სტატიებს, მაგრამ გამოცდილმა მკითხველმა იცოდა, რომელი ფსევდონიმის უკან ვინ იდგა.

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ერთი მარტოხელა, ღარიბი მღვდლის შვილის ცხოვრებაც. აბა, რომ ატეხდნენ, გადაგვჭამეს მღვდლის შვილებმაო, სწორედ ის იყო თუ იყო.

— მარტო და მტკიცედ —

ერთხელო, აკაკი იგონებდა ჩვეული ენაკვიმატობით, ვდგავარ ქუჩაზე და ვხედავ, მოდის იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ იცით, როგორ მოდისო? სწორად კი არ მოაბიჯებს ქუჩაზე, არამედ განზე გაივლის ერთ ხუთ ნაბიჯს და შეჩერდება, მერე მეორე მხრიდან შემოუვლის და ისევ გაუხვევს განზეო. თავიდან ვერ მივხვდიო და მერე კი ამოვიცანი: ქუჩაზე გუბეებია და ფეხის დასველებისა ეშინიაო.

იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება თავისი ჯანმრთელობისადმი ქალაქის ოხუნჯობის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო.

ერთხელ ილიამ რაღაც სამედიცინო წიგნს მოავლო ხელი, დახედა და იაკობს არ აჩვენოთ, თორემ იტყვის, ესეც მჭირსო.

იაკობს ზაფხულშიც კალოში ეცვა. იმ ძველ დროში კალოშებს უამინდობის დროს ფეხსაცმელზე იცვამდნენ. ზაფხულში მისი ხმარება კი დიდ უცნაურობად ჩანდა, იმიტომ რომ დიდად არც ტალახი იყო და არც ცუდი ამინდი, კალოშის ძირითადი დანიშნულება კი ის გახლავს, რომ ფეხსაცმელი არ დაგესვაროს და ფეხი არ დაგისველდეს.

იაკობ გოგებაშვილს ფეხსაცმლის დასვრა დიდად არ ადარდებდა, მას ეშინოდა, ფეხი არ დასველებოდა.

ჩვენი „დედა ენის“ ავტორის ამ უცნაურობას სერიოზული მიზეზი ჰქონდა.

იაკობ გოგებაშვილი ახალგაზრდობაში ჭლექით ყოფილიყო ავად და ეს მაშინ მომაკვდინებელი ავადმყოფობა როგორღაც შეჩერებული ჰქონდა, მაგრამ არა მორჩენილი. ამიტომ ამ სენის მოსავლელად მას ყოველდღიური ზუსტი მოქმედება და თავის სულ სხვანაირი მოვლა

სჭირდებოდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ადამიანებს სჭირდებათ ხოლმე.

იაკობის ასეთი სიმტკიცე და ახირებულობა, როგორც მაშინ უწოდებდნენ ხოლმე, საზოგადოებაში ბევრ ხალისს ბადებდა, მაგრამ დაცინვას კი – არასდროს.

ხალისი კარგია. თანაც გოგებაშვილი არ იყო ისეთი კაცი, რომ იოლად დაგეცინათ.

ის იყო ძალიან გამორჩეული არა მარტო თავისი ნიჭითა და საოცარი წიგნებით, არამედ თავისი ცხოვრების წესითაც.

ყველაფერი ისე ჰქონდა გათვლილი, გაანგარიშებული და მოვლილი, რომ ამბობდა ხოლმე: ჩემისთანა ავადმყოფი კაციც კი, თუ რეჟიმს დაიცავს, ას წელიწადს იცოცხლებსო და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ დიდხანს ეცოცხლა და ჯანზე ყოფილიყო.

მას არც ცოლი ჰყავდა და არც შვილები. არც ოდესმე უფიქრია, რომ ცოლი შეერთო.

ამის მიზეზად თავის ავადმყოფობას ასახელებდა, შთამომავალს ჩემს სენს ვერ დავუტოვებო. გულის სიღრმეში ბევრს არა სჯეროდა ამ მიზეზისა – რა ამისთანა ავად ეგ არის, რო შეხედავ, ღაღანებსო, – იტყოდნენ.

70-ს გადაცილებულიც კი ბიჭივით სხარტი და მოქნილი იყო, მაგრამ მიზეზს მაინც ძველს ამბობდა – ცოლი იმიტომ არ შევირთე, რომ მე თვითონ ავადმყოფი ვარ და არ მინდა, ავადმყოფები გავამრავლოო.

მის ცხოვრებაში ყველაფერი ემორჩილებოდა ორ რამეს: წიგნებს ქართველი მოწაფეებისათვის და მის ამ ავადმყოფობას.

ამიტომ ცხოვრების წესიც ზუსტად ამ ორ რამეზე მოერგო.

ზუსტი იყო. დაგვიანებაზე გიჟდებოდა.

სრულ 12 საათზე მთაწმინდიდან, თავისი სახლიდან გამოვიდოდა ხოლმე და დაიძვრებოდა დაბლა. როგორც წესი, 4 საათზე უკვე სახლში იყო, სადილობდა და საღამოს კი შეუდგებოდა საქმეებს.

იაკობ გოგებაშვილის ნაწერებში ნახავთ მისი მშობლიური სოფლის, ვარიანის ძალიან თბილ და ლამაზ აღწერას, მაგრამ ერთი პატარა საიდუმლო ის არის, რომ რაც 16 წლის შესრულდა და სოფლიდან წამოვიდა, იაკობი ვარიანში აღარ ყოფილა.

ეს გაბუტვის ბრალი არ იყო, კვლავაც ავადმყოფობის მიზეზი იყო. ვარიანის კლიმატს ერიდებოდა. ლექსიც იყო: „ვარიანი ვალიანი, უტყეო და ქარიანი“. ვალსაც კი თავისი მიზეზი აქვს ამ პატარა ლექსში. ვარიანში ბაზრობა იმართებოდა და ძალიან ბევრი ჩარჩი ჩადიოდა ქალაქიდან და თავიანთი ფანდებით დატანჯული ჰყავდათ გლეხები. ვარიანის ახლოს იყო ჭაობიც, რომელსაც ძალიან უფრთხო-

და იაკობი, ამიტომ მშობლიურ სოფელში აღარ ჩასულა, თუმცა მერე, მის ანდერძში ნახეს ძალიან ბევრი რამ თავისი სოფლისთვის. თუკი თავისი ნათესავების, ძმიშვილების ნახვა მოუნდებოდა, იაკობი გორში მიდიოდა და იქ იბარებდა მათ. ისე გორშიაც არ დადიოდა ხშირად და დიდი მოგზაური კაცი არ იყო.

მას მიაჩნდა, რომ მისთვის, მისი ჯანმრთელობისთვის, საჭიროა ორი ადგილი საქართველოში – სურამი და ბორჯომი. უფრო ხშირად სურამში დადიოდა, იქ ატარებდა ხოლმე მთელ ზაფხულს და იქაურ საოცარ ჰაერსაც სუნთქავდა.

იყო ძალიან მოყვარე საექიმო წიგნებისა და ექიმებისა. ენდობოდა განთქმულ ექიმ ქიქოძეს, კურორტზეც კი დაიბარებდა ხოლმე მას, რაღაც ვერა ვარ კარგადო.

ესეც ხალისობის თემა იყო, რაღაცა კარგად ვერ არის იაკობ გოგებაშვილიო.

იერით, ხასიათით, ხმის ტემბრით და შემოძახილით მასზე ჯანმრთელი არავინ ჩანდა ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ ქიქოძე ყოველთვის ერთგულად ჩადიოდა.

კარგადაც ასაჩუქრებდა იაკობიო. საერთოდ ასეთი კაცი იყო – დანანება არ იცოდა საჭირო საქმეში.

ქიქოძე კი, ორი სიტყვით რომ ვთქვათ, მაგარი კაცი იყო. ერთხელ, როცა თბილისელმა ყასბებმა ჭირიანი ხორცის გაყიდვა დაიწყეს ბაზარში და ეპიდემიამ იფეთქა, მის მიზეზს კი მალავდნენ, ქიქოძე ქალაქის მთავარ სასაკლაოში გადაიპარა, სინჯები აიღო და ეს დანაშაული გამოააშკარავა. ამას ყასაბთა მეთაურის თვითმკვლელობა მოჰყვა, მაგრამ ეს სხვა გრძელი ამბავია.

იაკობი სადილამდე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში იყო ხოლმე. ეს იყო მისი დაწესებულება და საქმეც აქ ჰქონდა. განთქმული ადგილი იყო ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაც, რომელიც ნამდვილ კლუბს წარმოადგენდა.

ზაქარია ჭიჭინაძე ასე იხსენებს: ვისხედით იქაო და შემოაღებდა იაკობი წიგნის მაღაზიის კარს და დაიძახებდა: „ფანჯრები, ფანჯრები, ჩქარა ფანჯრები დაკეტეთ" და მიიხურავდა კარს უკანო.

ძალიან ერიდებოდა ორპირში მოხვედრასო; ამბობდა, ერთხელაც იქნება, გამაციებს და მე თუ ერთხელ გავცივდი, ამით ყველაფერი დამთავრდება და ამდენი წლის ნაწვალები და მოვლილი ეს ჩემი ავადმყოფობა ისევ ხელახლა იჩენს თავსო. ამიტომ, როგორც კი შემოაღებდა კარს, სასწრაფოდ დაკეტავდნენ ფანჯრებს და ისიც შემოვარდებოდა სწრაფად და სწრაფადვე მოიხურავდა კარს.

თბილისში ნაკლებად, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც იყო, ორპირქარიანი ქუჩები, განსაკუთრებით გაზაფხულზე და ერთ რამედ ღირდა იმის ცქერა, როგორ გადარბოდა ქუჩებზე უცბად, რათა ქარს არ დაეკრა. კარგ ამინდშიც კი მხრებზე პლედს შემოისხამდა ხოლმე.

ეს იყო ძალიან მოვლილი, ძალიან სერიოზული და კეთილი კაცი, მაგრამ როცა საქმე მიადგებოდა ნახსენებ ორ საკითხს, ხდებოდა უტეხი და უკანდაუხეველი.

80-იან წლებში სწავლა-განათლების ინსპექტორად იანოვსკი იყო. რეაქციონერი. იმ დროიდან უკვე ქართული სკოლებიც არსებობდა, იანოვსკი კი, თავიდან კეთილი მოლოდინის მიუხედავად, ქართველებისთვის მძიმე ტვირთი გამოდგა.

ხალხი კი ამბობდა, რომ იაკობ გოგებაშვილი ისეთი კაცია, რო იანოვსკიმაც კი ძვრა ვერ უყოო. დრამატურგი ასიკო ცაგარელი ხუმრობდა, ნამდვილი ცერბერიაო, ისე დგას ამ ჩვენი ენის და ჩვენი წიგნების სადარაჯოზე, როგორც კლდეო.

გოგებაშვილი ბევრ ლაპარაკს არ დაიწყებდა ხოლმე. წააწყდებოდა თუ არა რიამე წინააღმდეგობას, ის იწყებდა კანონებზე, მაშინდელ სასწავლო „პალაჟენიებზე" დაყრდნობით წერილების შედგენას და ამ წერილებით პირდაპირ ბომბავდა პეტერბურგის სამინისტროებს. როგორც წესი, მოდიოდა მისი მხარდამჭერი პასუხები და რეზოლუციები და იანოვსკის და მის ხალხს ხელ-ფეხი შეეკვრებოდა ხოლმე.

იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი იშვიათი კაცი იყო ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შორის, თავისი ლიტერატურული შრომით რომ ცხოვრობდა, ჰქონდა შემოსავალი და თანაც ძალიან კარგი და ყოველწლიური შემოსავალიც.

ამიტომ მარტოხელა კაცის პირობაზე ის კარგად ცხოვრობდა და საკმაო ფულიც რჩებოდა. ეს იყო შემოსავლები, რომლებიც მის „დედა ენას", „ბუნების კარს", ასევე სხვა წიგნებს მოჰქონდა.

მისი სახელმძღვანელოები ყოველწლიურად სჭირდებოდა ხალხს, ყოველწლიურად დგებოდა ტირაჟები და ყოველწლიურად იბეჭდებოდა ხელახლა და ტირაჟებიც იმატებდა და იმატებდა.

ეს აწყობილი საქმე იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ გოგებაშვილი მექანიკურად მისდევდა ამ საქმეს.

მთელი რიტუალი იყო, მაგალითად, „დედა ენის" კორექტურა, რომელიც რამდენჯერმე კეთდებოდა და იაკობი იყო ძალიან მგრძნობიარე ყველა ასოს მიმართ.

ყველაფერი ზუსტი, უშეცდომო და მტკიცე უნდა ყოფილიყო.

ვანო ავალიშვილი იგონებს, ერთხელ შევუჩნდი, წიგნში ოფოფის

ხმას რომ აღწერ და „ოფ, ოფ, ოფ“ დაგინერია, ეგრე არ არის, ოფოფი „გუ-გუ“-ს იძახის-მეთქი.

მაშ, გუგული რაღას ამბობსო, მითხრაო და მე კი მივუგე, გუგული „კუ-კუ“-ს ამბობს-მეთქი.

მერე ერთი გლეხი გამოუჭერიათ ქუჩაზე და იმას ეკითხებოდნენ: აბა, ოფოფი როგორ ამბობს გვითხარი, გლეხი კაცი ხარო. გლეხს უფიქრია, ეს დროული მდიდარი ხალხი დამცინისო და სულ სხვა რამეზე დაუწყია ლაპარაკი – ჩვენთან ჩხართვი რომ ჩამოიფრენსო და ასეთები.

კორექტორები ჰყავდა ხოლმე ძალიან კარგი; მაგალითად, შიო მღვიმელი და ილია აგლაძე. „დედა ენის“ გადამმოწმებლები სწორედ ისინი იყვნენ. „დედა ენა“ ზაფხულში იბეჭდებოდა ხოლმე და იყო ერთი სირბილი იაკობთან. იმ დროს ის ან ბორჯომში იყო, ან სურამში, მაგრამ არ დაინანებდა, თავისი ხარჯით უყიდდა ბილეთებს თავის კორექტორებს, უქირავებდა ოთახს, მოუმარაგებდა საკვებს, ოღონდ კი ჩამოეტანათ ანაბეჭდები და თვითონ კიდევ ერთხელ გადაეკითხა.

ერთი კორექტორიც ჰყავდა: თბილისის ქალაქისთავი ვასილ ჩერქეზიშვილი, რომელსაც ძალიან ენდობოდა ამ საქმეში. ახლო მეგობრებიც იყვნენ. კარგი თვალი აქვსო, იაკობი ამბობდა ხოლმე.

მსოფლიოში არ იქნებოდა სხვა ისეთი ქალაქი, სადაც ქალაქის თავი სკოლის წიგნის კორექტურას კითხულობდა. ჩერქეზიშვილი ხშირად მოუცლელი იყო და გაუწელავდა, გადაუდებდა და გადაუდებდა.

იაკობი ძალიან ბრაზობდა, მიუვარდებოდა კაბინეტში და მკვახედ ელაპარაკებოდა, გამოჰგლეჯდა ქაღალდებს და წამოიღებდა ისევ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიჭებთან.

ამ საქმეში არაფერს დაინანებდა, საჩუქრის გარეშე არ დატოვებდა არცერთ მესტამბეს. აუცილებლად ფული უნდა ეჩუქებინა: ხუთმანეთიანი ან ათმანეთიანი. არ დაივიწყებდა არცერთ გამავრცელებელს, იმ ხალხს, ვისაც ევალებოდა, რომ სადგურებზე წაელო წიგნები მაზრებში დასაგზავნად.

იაკობ გოგებაშვილი არ იყო მოქეიფე კაცი.

დროის ტარებაში ფულის ხარჯვა არ უყვარდა, მაგრამ სრულიად არ იყო ძუნწი, პირიქით, ძალიან ხელგაშლილი კაცი იყო, რაც მისმა საოცარმა ანდერძმაც დაადასტურა, მაგრამ ტყუილად ფულის დახარჯვას ის არასგზით არ იზამდა.

შიო მღვიმელი იგონებს, მარტო მე რაც ვიციო, წლების განმავლობაში, თუკი აკაკი წერეთელი რუსეთში იყო ოჯახთანო, თვეში ხუთ თუმანს უგზავნიდაო. ესეც იმიტომ ვიცი, რომ ფოსტაში მე მატანდა ამ

ფულს, ამბობდა, ფოსტაში კარები სულ ღიაა და გავცივდებიო. სხვა შემთხვევაში კი არც ამას მეტყოდაო.

ამბობენ, რომ ეგნატე ნინოშვილსაც, როცა ძალიან უჭირდა, იაკობი უგზავნიდა ფულს. ეხმარებოდა კიდევ უამრავ ხალხს: ძმიშვილების მზითევზე, ნათესავების სწავლა-აღზრდაზე სალაპარაკო არც არის. ეხმარებოდა სკოლებსაც, ოღონდ კი რამე გუშინდელზე უკეთესი გამოჩენილიყო.

კარგად ხვდებოდა, ვის რა ფული აქვს და ვის – რის შეძლება. ფაეტონში ჩამჯდარმაც კი ზუსტად იცოდა, ვის უნდა დაეპატიჟა და ვინ უნდა დაეპატიჟებინა თვითონ.

ასეთი კაცი იყო.

ძნელად, რომ ნახევარ ბოთლ ღვინოზე მეტი დაელია ერთ დაჯდომაზე, იმასაც მხოლოდ სადილზე სვამდა.

იგივე შიო მღვიმელი იგონებს, ერთხელ ბორჯომში დაგვიბარაო. კორექტურა მიგვქონდა და გზაში სადღაც გავჩერდით და სადგურზე ნაცნობი შეგვხვდა, რომელმაც დილითვე დაგვპატიჟა ხაჭაპურზე და არაყზეო და ეს არაყი კარგა გემრიელად მივაყოლეთ ამ ცხელ-ცხელ ხაჭაპურებსო. ერთი მატარებელი გავატარეთ და შემდეგზე დავსხედით და წავედით ბორჯომშიო.

ჰოდა, დაგვხვდა იაკობი გაბრაზებული, დილიდანვე საუზმე გაწყობილი მაქვს და თქვენ კი სადილის დროს მოხვედითო. ამოიტანა სადილზე ნახევარი ბოთლი ღვინოო. ღვინო ყოველთვის კარგი ჰქონდა ხოლმე, კახეთიდან მოჰქონდა. ოღონდ თეთრ ღვინოს საერთოდ არაფრად აგდებდა, ეგ მავნებელიაო ჯანმრთელობისთვის, სისხლძარღვებს ავიწროვებსო. წითელი ღვინო სასარგებლოა, ოღონდ ზომა უნდა იცოდეთო.

ახლა ჩვენ დილიდანვე ნაარყალი ხალხი ვართო, შიო წერს და ეს ნახევარი ბოთლი ღვინო რას გვიზამდაო. მაგრამ ვერაფერი უთხრეს, ვერც შეჰბედავდნენ.

მთელი ზაფხულის მარაგი, ერთი 40 ბოთლი მაინც იყო ჩამწკრივებული სამზარეულოში და მაინც ამ ნახევარ ბოთლს დააჯერა. ახალგაზრდები ხართ და ვერ გრძნობთ, ზომა უნდა იცოდეთო. თითო ჭიქა შეგვახვედრა და მივუსხედით კორექტურასო.

მაგრამ ერთხელ მაინც მომხდარა ისე, რომ იაკობ გოგებაშვილი დამთვრალა და ძალიანაც გაბრაზებულა.

სხირტლაძის ბაღში ყოფილა დიდი ბანკეტი. ალექსანდრე ყიფშიძეს, ფრონელს, ცნობილი საისტორიო წიგნების ავტორს, ახალციხეში ადგილი ეშოვნა და მეგობრებს გაცილება მოეწყოთ – კარგა სერიო-

ზული ბანკეტი ბევრი ხალხით. სმა რომ გახურდა, ახალგაზრდები სიმღერას შეჰყვნენ და ძველები კი ბაასობდნენ აქეთ მაგიდებზე. საკვირველი ის იყო, რომ გოგებაშვილი იმ დღეს როგორღაც ისეთ გუნებაზე გამოდგა, რომ დალია და დალია წითელი ღვინოო. სიმთვრალე არც ეტყობოდაო.

ამასობაში ჩამოღამდა და ჩაირთო გაზის განათება.

ეს ბაღი განსაკუთრებით კარგად ნათდებოდა. სხირტლაძეს განათების მექანიკოსად და ინჟინრად მოწვეული ჰყავდა გერმანელი, გვარად დუნალი. ყველას იცნობდა ქართველებს, მეგობრობდა და ბიჭი გამოუგზავნია, თუ შეიძლება შემოგიერთდეთო, რახან ბევრი ნაცნობი დაენახა სუფრაზე. რა თქმა უნდა, დაპატიჟეს და სანამ მოვიდოდა, გამოგზავნა ყუთით შამპანური და ჩაალაგეს ბოთლები ამ უკვე, ასე ვთქვათ, მოთავებულ სუფრაზე, სადაც ყველა კაი მთვრალი იყო. იქ ისეთი მთვრალები იყვნენ, რომ, მაგალითად, ვასო აბაშიძემ, აიღო შამპანურის ბოთლი და ზურგსუკან გაისროლაო, რომაო, თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდეს პანტასაო, მაგრამ ძმაკაცი იყო ეს დუნალი და არ ეწყინებოდაო.

მოიტანეს შამპანურის ბოკალები – ფეხიანი ჭიქები და უცბად იაკობ გოგებაშვილი წამოდგა და აიღო ეს შამპანურის ბოკალი და თქვა სადღეგრძელო, დალია და დადგა ჭიქა და დადგა თუ არა, ხელში ჩაატყდა, ისეთი ძალით დაახეთქაო.

ეტყობა, ახალგაზრდები მაინც ეეშმაკებოდნენ და უცებ მიაწოდეს სხვა ჭიქა, ისევ სავსე და ისევ თქვა სადღეგრძელო, დალია, დადგაო და ისევ დაიფშვნა ჭიქა.

ახეთქებდა და ვერაფერი მოვუხერხეთო. წამოუყვანიათ შიო მღვიმელს და გიგო ტატიშვილს, მეტსახელად „ფიგაროს", პირველ ქართველ ქსილოგრაფს სხვათა შორის.

მთელი გზა საფულე ხელში ეჭირა იმის შიშით, რომ ახალგაზრდებს არ გადაგვეხადა ეტლის ფულიო. მიიყვანეს სახლში, გახადეს, დააწვინეს, დააფარეს საბანი და მსახურ ბიჭს დაუბარეს, დილამდე იძინებს და დილით კი მოვალთ და მოვინახულებთო.

გათენდა და მიქანდნენ. იციან, რომ კაცი პირველად დათვრა ცხოვრებაში.

დაგვიხვდა პირგამეხებულიო. გამაციეთ გუშინო – წინდები რომ გაგიხდიათ, საბანი გადამძრობია და სიცივემ გამაღვიძაო, მგონი, გავცივდი და პირიც მიშრება და ძალიან ცუდადა ვარო. ტატიშვილს უთქვამს, პირის გაშრობის ნუ გეშინია, ნასმურევზე იცისო, მეც ბევრჯერ დამმართნიაო. მაინც ბრაზობდა, მომიყვანეთ აქ და დამაგდეთ

ბიჭის ანაბარაო. სხირტლაძის ბაღზეც აიყარა გული, რაღაცა ცუდად გავხდი იქო და ორ თვეს მაინც აღარ მისულა.

მსახური ბიჭი კი ცალკე თემაა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებაში.

იაკობი მთაწმინდაზე ცხოვრობდა. სახლის ვარგისიანობას არჩევდა მზის მიხედვით. ყველა ფანჯარას, განსაკუთრებით კი საწოლი ოთახისას მზე უნდა მოსდგომოდა. მოკლე ხანს ცხოვრობდა ალექსანდრეს ბაღთან და არ მოეწონა – მტკვრიდან ნესტი მოდისო და ისევ მთაწმინდაზე ამობრუნდა.

ერთი ფილოსოფია იყო მოსამსახურე ბიჭის შერჩევაც. კანდიდატს დიდხანს ელაპარაკებოდა, ძალიან დიდხანს, რომ მის პატიოსნებაში დარწმუნებულიყო.

ხშირი იყო მაშინ თბილისში მოსამსახურისგან პატრონის გაძარცვა, მკვლელობებიც ხდებოდა, იაკობს კი სახლში ფული ჰქონდა. ამიტომ კარგად შემოწმებული ბიჭი უნდა ჰყოლოდა მოსამსახურედ.

მაინც ფრთხილობდა მათთან, ხელი არ წასცდეთო.

ერთხელ ავალიშვილმა შინ მიუტანა ფული, სულ ოქროს თუმნიანები – გაყიდული წიგნების შემოსავალი. როცა ამ ფულის გადაცემა დააპირა, ოთახში მსახურიც ყოფილიყო და იაკობს უცებ დაუწყია ჩხუბი, წაეთრიე, ეგ ფული ჩემი არ არის, რატომ მოიტანეთო. მერე მსახური სადღაც გაუგზავნია და ავალიშვილისთვის უთქვამს: სულელი ხარ შენა, ამდენი ოქრო მოგაქ აქა და იმ ბიჭის დასანახად მეუბნებიო. მომეცი ახლა, მე შევინახავო და ჩუმად უჯრაში ჩადო.

მარტოხელა წესიერი კაცის შიშები და სიფრთხილეები.

დიდი განათლების კაცი იყო და ხშირად დადიოდნენ მასთან ნაირგვარ კონსულტაციაზე. რაღას აღარ ეკითხებოდნენ, ბიბლიაზე, მათემატიკაზე, ყველაფერზე. ჰოდა ერთმა ახალგაზრდა ქალმა სთხოვა თურმე რამდენიმე ლექცია რაღაც საგანში, საღამოობით გეწვევითო.

იაკობმა ძალიან კარგი თხრობა იცოდა და ერთი კვირის თავზე გამოირკვა, რომ ლექციები გრძელდება და გრძელდება, დღე კიდე მოკლეა და ბნელდება და ბნელდება და ქალი ხან 11-ზე წავა, ხან 12-ზე, ზოგჯერ კი სულ არ უნდა წასვლა, მაგრამ იაკობი აგზავნის ბიჭს, მოაყვანინებს ეტლს და გაუშვებს. მიეჩვივნენ ერთმანეთს. ნაბიჯიღა უკლდა, ნაბიჯიც არა.

მაგრამ იაკობმა თავის ცხოვრების წესს მაინც არ გადაუხვია და უთხრა ამ ქალს: ჩემო კარგო, რაც ვიცოდი, რაც შენ გაინტერესებდა, ყველაფერი გიამბეო და ახლა ერთიც უნდა გითხრაო, რომ ცოლის შემრთველი კაცი მე არა ვარო, ცოლის შემრთველი რომ არა ვარ, ეს

ოხერი ქალაქიაო, დაგინახავენ აქედან ღამით გასულს და ატყდება ერთი ამბავიო, შენც ჩრდილი მოგადგება და მეცაო და ამიტომ აღარ მოხვიდე ჩემსაო.

აი, ასე პირდაპირ თქმა იცოდა და აი, ასეთი კაცი იყო. ემოციური კაცი იყო და წესრიგი და პატიოსნება უყვარდა.

ფილტვებს არ უღალატიათ, უცებ ჩავარდა ლოგინად, ნაწლავებში კუ გაუჩნდაო, რაც ალბათ სიმსივნეს ნიშნავდა იმ დროის სიტყვებით და ამან ძალიან მალე გამოიწვია სიკვდილი.

ლოგინად რომ იყო, მომვლელი ბევრი ჰყავდა, თვითონ კი ძალიან ნერვიულობდა ანდერძის თაობაზე. ერთხელ უთქვამს ავალიშვილისთვის: აი მანდ, უჯრაში ანდერძი მაქვს, ამოიღე და წაიკითხეო.

წაიკითხა ავალიშვილმა და ცრემლი მოადგა. ასეთი კეთილი არაფერი წაეკითხა. წიგნების გამოცემის უფლება – წერა-კითხვის საზოგადოებას, ვარიანს – სკოლა, ფული – ამას, ფული – იმას, ყველას, თავის ნათესავებს. ავალიშვილს უთქვამს, ანდერძი ჩასწორებულია და მერე ნოტარიუსთან რამე უხერხულობა არ იყოსო. იმ დღესვე გადაწერეს, ნოტარიუსი მოიყვანეს და დავამოწმეთ და თქვა – ახლა კი კარგია სიკვდილი, უკვე ყველაფერი მოგვარებული მაქვსო.

რა იყო ამ ანდერძში და, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არც ერთი თანამშრომელი არ იყო, რომლისთვისაც თუნდაც ასი მანეთი არ დაეტოვებინა. განსაკუთრებით ძველი თანამშრომლებისადმი იყო უხვი.

როგორი ხალხია ჩვენს ქვეყანაშიო, ავალიშვილსავე უთხრა, მწოლიარე ვარ, ვიცი, რომ ზეგ მოვკვდები და მოვიდა ერთი კაცი და მითხრაო: შენი ანდერძის ამბავი გავიგეო, მე იქ არა ვყოფილვარო და მეც ხომ ვმუშაობ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და ასი მანეთი მეც დამიტოვეო. ახლა ამ ანდერძს ველარ გადავაკეთებო, ნოტარიუსთან არის და რა ვუყო, ამ კაცს ეგებ ისე მივცეთ ფულიო.

ასეთს მეორეს ვერ ნახავდი.

ასეთი დრო იყო, არავინ ჰგავდა ერთმანეთს.

— შექსპირის ხალხი —

როცა ივანე მაჩაბელს ვახსენებთ, პირველი, რასაც დავიძახებთ, მაინც იქნება: შექსპირი!

გავიხსენებთ მის თარგმანებს, რომლებმაც თითქმის საუკუნენახევრიან გამოცდას გაუძლო, და საკვირველიც ეს არის, რომ თვითონ ივანე მაჩაბლის ცხოვრებაც შექსპირის ტრაგედიების გმირების ცხოვრებას ჰგავს.

ეს იყო ძალიან რთული, შრომით, წვალებით, ნერვებით სავსე ცხოვრება.

ვანო მაჩაბელი ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყო.

სულ პატარა ისე კითხულობდა „დავითნს", ისე იცოდა ნუსხური, რომ მთელი ქართლიდან მოდიოდნენ ხოლმე ეკლესიაში მის მოსასმენად.

ბევრმა ქართველმა მოღვაწემ და მათ შორის აკაკიმ ის სწორედ ასე გაიცნო – სულ ხუთი-ექვსი წლის იყო და მედავითნეობდა.

ვანოს ჰყავდა უფროსი ძმა – ვასო. საოცარი კაცი, რომელიც შეიძლება მის გამზრდელ ძმად მოვიხსენიოთ, ვინაიდან მამა, ქეიფს გადაყოლილი, ვალებში ჩაფლული კაცი იყო.

არაჩვეულებრივი ძმობა ჰქონდათ, არაჩვეულებრივი ხელის გაწვდენა იცოდნენ.

მრავალ ნიჭთა შორის, ვანოს ჰქონდა განსაკუთრებული ნიჭი ენების სწავლისა. თუმცა, როგორც მის ცხოვრებაში გამოჩნდა, ეს არ იყო წამყვანი რამ მისი ყოფისათვის. სამწუხაროდ, ის თარგმნიდა შემთხვევიდან შემთხვევამდე და მოცალეობის ჟამს, იმიტომ, რომ პროფესიით სულ სხვა კაცი იყო.

უფრო სწორად, მრავალი პროფესია ჰქონდა და ერთ-ერთი ასეთი საფრანგეთში ნასწავლი მევენახეობაც იყო.

ძმები მაჩაბლები ძალიან მძიმე დღეში იყვნენ ახალგაზრდობიდანვე.

ცალკე მამის ვალები სტანჯავდათ, ცალკე ბიძებისგან წართმეული მამულების გამო დარდი. მოხუცი დედის მოვლა-პატრონობა, ახალი სახლების შენება და ყველაფრის ხელახლა დაწყება მოუხდათ.

ეს ყველაფერი ძალიან ძნელი იყო.

23 წლის ივანე მაჩაბელი იყო ერთ-ერთი ყველაზე იმედის მომცემი ქართველი. ერთსა და იმავე დროს ნასწავლი, კარგი, ჭკვიანი, ნიჭიერი და საქმიანი კაცის პოვნა ძალიან ჭირდა.

ასეთ ადამიანებს იმწუთას ამჩნევდნენ. მთავარი შემმჩნევი კიდევ ერთი იყო – ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ადრევე, რუსეთში გაიცნო ჯერ ვასო, მერე კი მისგან ვანო და ამ გაცნობის პირველი შედეგი იყო „მეფე ლირის" თარგმნა, რაც ერთად მოახერხეს ახალგაზრდა ივანე მაჩაბელმა და უკვე სახელგანთქმულმა ილია ჭავჭავაძემ. მაჩაბელი თარგმნიდა და ჭავჭავაძე ფრაზების გამართვაში შველოდა. ერთად ისხდნენ, ლაპარაკობდნენ და წერდნენ.

ილია ჭავჭავაძე ადრიდანვე ამბობდა, ივანე მაჩაბელი ჩვენი ნუგეშიაო.

ჩვენ კი მაჩაბლის ცხოვრებას და თავგადასავალს შეიძლება დავარქვათ ოცწლიანი სამკუთხედი. სამკუთხედის ერთი კუთხე არის ივანე მაჩაბელი, მეორე – ილია ჭავჭავაძე და მესამე – აკაკი წერეთელი.

ეს არის ძალიან უცნაური, თავისებური და საინტერესო ურთიერთობის ისტორია, რომელიც ერთ შემთხვევაში დაიწყო დიდი მეგობრობით და დამთავრდა დიდი მტრობით, მეორე შემთხვევაში კი დაიწყო დიდი მეგობრობითა და დამთავრდა დიდი საიდუმლოთი. პირველი ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ურთიერთობის ამბავია. მეორე კი ის, რომ აკაკი წერეთელი იყო უკანასკნელი ადამიანი, რომელმაც ნახა ივანე მაჩაბელი.

ეს სამკუთხედი იყო ძალიან საინტერესო, ძალიან თავისებური და სავსე განცდებით, გრძნობებით და კონფლიქტებით, ისე, რომ მთელი საქართველო ამაზე ლაპარაკობდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში.

ილია ჭავჭავაძემ თავიდანვე მოჰკიდა ხელი მაჩაბელს და წაიყვანა ბანკში, ჯერ პატარა თანამდებობაზე, შემდეგ უფრო მაღალზე, შემდეგ კიდევ უფრო მაღალზე და ბოლოს კი დირექტორადაც დანიშნა.

ეს მხოლოდ ის არ იყო, რომ ილიას მაჩაბელი მოსწონდა და კარიერას უკეთებდა.

მაჩაბელი იყო სანატრელი ადამიანი ყოველგვარი საქმისთვის.

ნებისმიერ უაზრო სამსახურში, სადაც მას მერე და მერე უმუშავია თავისი ცხოვრების განმავლობაში, ის იყო თითქმის შეუცვლელი და ძალიან საჭირო კაცი.

ჰქონდა ასეთი თვისება: შეეძლო დილით აეღო რაღაც დარგის წიგნი და საღამოს კი ამ დარგის სპეციალისტი გამხდარიყო. ამასთან, იყო ძალიან სწრაფი და უცბად წყვეტდა ყველაფერს. მას ჰქონდა წარმოუდგენელი მეხსიერება: ზუსტად ახსოვდა გვერდი, ნომერი, წინადადება.

მოგეხსენებათ, ასეთი კაცი არა მარტო სახელოვნებო, არამედ სამოხელეო საქმეშიც პირდაპირ მისწრებაა.

და მაჩაბელი იყო ბანკში ილიასთან. ბანკი კი იყო მთავარი საქმეც და მთავარი გასართობიც საქართველოში ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული, მაჩაბლის გაქრობამდე.

ეს ასე იყო იმიტომ, რომ ქართველებს არც პარლამენტი ჰქონდათ და არც პარტიები ჰყავდათ და ბანკის სხდომა იყო პაექრობის ადგილი.

მით უმეტეს, რომ დაიბადა წინააღმდეგობა, რომელიც თანდათან გადავიდა ძალიან პიროვნულ წინააღმდეგობაში თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძესა და მის დირექტორს – ივანე მაჩაბელს შორის.

ეს არ იყო ორი თაობის ადამიანის შეუთანხმებლობა, უთანხმოება საბანკო საქმეს მოჰყვა.

ეს იყო წინააღმდეგობა ორ ადამიანს შორის, რომლებსაც ძალიან უყვარდათ და უცებ ძალიან შესძულდათ ერთმანეთი, თუმცა ძალიან დიდი ხნის მანძილზე იკავებდნენ თავს და ამას არ ამჟღავნებდნენ.

ბანკში ისეთი ამბავი იყო, რომ იძულებულნი შეიქნენ სხდომები თეატრში გადაეტანათ. მთავარი გასართობი ქალაქში სწორედ ეს იყო – ბანკი, მაჩაბლისტები და ილიისტები.

მაჩაბლისტები – ოფიციალური ოპოზიცია და ილიისტები – ბანკის მმართველები.

ამბობდნენ, ჭავჭავაძის მომხრე კახელებმა სულ დროშკებითა და ეკიპაჟებით ჩამოიყვანეს კახელები ბანკის სხდომაზე დასასწრებად, მაჩაბლისტებმა კიდევ – ტივებით მოაცურეს ქართლიდანო. მთლად ასეც არ იყო, ჭორი ბერავდა ამ ამბავს. მთლად ქართლელობაზეც არ იყო. იყვნენ კახელი მაჩაბლები, ოთხი ძმა, რომლებიც მართლაც ჩამოვიდნენ კახეთიდან, ოღონდ ივანე მაჩაბლის მხარდასაჭერად.

ეს იყო სერიოზული კონფლიქტი, რომელიც ორივე მხარეს ძვირად უჯდებოდა. განსაკუთრებით მაჩაბელს, რომელიც ძალიან ემოციური და სიგიჟემდე პატიოსანი კაცი იყო. მან მოთმენა არ იცოდა, ღიზიანდებოდა.

ილია ჭავჭავაძემ იცოდა მშვიდი, გაზომილი და ჭკვიანური ლაპარაკი. მაჩაბელმა იცოდა მღელვარე, არეული, თუმცა ძალიან ლოგიკური ლაპარაკი და როცა ეს ორი სტილი ეჯახებოდა, უფრო ხშირად მაჩაბელი კარგავდა თავს და გარბოდა გარეთ და იყო ერთი უბედურება. ისეც მომხდარა, რომ თეატრის სცენაზე აცვენილან აქედან კახელები, იქიდან ქართლელები, რევოლვერებიც კი დაუძვრიათ.

მტრობა ისეთი ღრმა იყო, რომ მაჩაბელმა თანდათან დატოვა ყველა ის დაწესებულება, სადაც ილია ჭავჭავაძესთან უწევდა ყოფნა.

მაჩაბელს ყოველთვის შეეძლო ეპოვა საქმე და პოულობდა კიდეც იმისთვის, რომ თავისი ცხოვრება მოეწყო, მაგრამ ეს ყველაფერი დიდი ნერვების ფასად უჯდებოდა.

ილია ჭავჭავაძე კი პირიქით, მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს და წინააღმდეგობაშიც მშვიდად შედიოდა, გაზომილად და მორგებულად.

ერთხელ ასეთი ამბავიც მოხდა:

ის დრო იყო, როცა ქართველებს ერთადერთი გაზეთი ჰქონდათ, „ივერია“ კი ჯერ ჟურნალი იყო.

სერგეი მესხმა, რომელიც ჭლექით დაავადდა და „დროების“ გაძღოლა ველარ შეეძლო, ითხოვა, ვინმე ვიპოვოთ, მივყიდი გაზეთსო.

„დროებას“ ჰქონდა ოთხასი თუმანი ვალი და ორასი თუმანიც თვითონ მესხს უნდოდა, სამკურნალოდ წასვლას აპირებდა, ფული სჭირდებოდა.

მყიდველებად ბანკთან მოტრიალე ხალხი ივარაუდებოდა, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე, იმიტომ რომ მას შეეძლო ამ ფულისთვის თავი მოეყარა.

მაჩაბელი უკვე ილიასგან განზე იდგა და ჯერჯერობით, ჩუმი დაპირისპირების მიუხედავად, ყველას ეუბნებოდა, რომ ილია ამ გაზეთს შეისყიდდა და რედაქტორად მას დანიშნავდა.

მაგრამ ასე არ მოხდა.

ილია დათანხმდა გაზეთის შესყიდვას და ფულის მოძიებაც დაიწყო, თუმცა თქვა, ამ გაზეთის რედაქტორი ქანანოვი იქნებაო.

არავინ არ იცოდა, ვინ იყო ეს ქანანოვი. ხალხი წუხდა, კაცო, ერთი გაზეთი გვაქვს და იმის რედაქტორიც ქანანოვი იყოსო? თუ იცის საერთოდ ქართული იმ ქანანოვმაო. ილია კი ჯიუტად იმეორებდა, ქანანოვი იქნებაო, იმიტომ, რომ გაზეთს მე ვყიდულობო. მაგრამ ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: მაჩაბელმა იშოვა ფული, მოასწრო გაზეთის ყიდვა და რედაქტორიც თვითონ გახდა.

ამან კონფლიქტი კიდევ უფრო გააღრმავა. მაჩაბელმა დაიწყო გაზეთის გაძღოლა, პოლემიკა... ამას თან ერთვოდა საბანკო სხდომე-

ბიც. „დროება“ მის ხელში დახურა მთავრობამ. გაზეთად ქცეულ „ივერიაში“ კი მაჩაბელს არ მიესვლებოდა.

უამრავი პატარა ამბავია, რომლებიც ამ ორი ადამიანის უკანმოუხედავ წინააღმდეგობაზე მეტყველებს.

მოხდება ხოლმე ცხოვრებაში, რომ ორი კარგი კაცი გადაეკიდება ერთმანეთს, ორივე ამტკიცებს საკუთარ სიმართლეს და არც ერთი არა თმობს. ქართველებს კიდევ სულ სხვა კალაპოტში გადაჰქონდათ. დაიწყებდნენ, ეს ქართლელია, ის კახელია, იმან სომხები მოიყვანა, იმან რუსები, ის ასე აპირებდა, ეს ისე...

საერთოდ, ბანკის კლიენტებს მაჩაბელი უყვარდათ. ილია ძალიან მკაცრი იყო.

სამხრეთ საქართველოში იყო ერთი თავადიშვილი – შალიკაშვილი, რომელმაც თავისი მამულები დააგირავა, მაგრამ ეს ფული ქეიფისთვის არ გაუტანებია; ცდილობდა, მამული ფეხზე დაეყენებინა. მაჩაბელი მას ყოველთვის მხარს უჭერდა, ვალსაც გადაუტანდა ხოლმე და ყველანაირად ეხმარებოდა, რაკი ხედავდა, რომ ამ კაცს წელის წამოდგმა უნდოდა. მაგრამ ერთხელ მაჩაბელი სოფელში წავიდა თავისთან და მოულოდნელად იქ ჩააკითხა ამ საბრალო შალიკაშვილმა და უთხრა, ნახე, რა მიქნესო, მამული გამიყიდა ილია ჭავჭავაძემ, არ დამაცალა, იმიტომ, რომ დავაგვიანეო. შენ სულ მეუბნებოდი, არა უშავს, არა უშავს, მერე მოიტანეო და აი, რა დღეში ჩავვარდიო.

ილია ასეთი იყო ამ საქმეში.

ამბობდნენ, რომ ეს მამულები იყიდება ძირითადად სომეხ ვაჭრებზე, რუს მოხელეებზე, და ქართველი თავადები განზე ვრჩებითო.

ილია ეუბნებოდა, აბა, რა ვქნათ, კაცო, თქვენ არაფრის გაკეთება არ გინდათ და ვინც გააკეთებს, იმისი იქნებაო. მაჩაბელი კი, თუ დაინახავდა, რომ კაცი უფრთხილდება ამ თავის მამულს, მაინც ცდილობდა, როგორღაც გადაევადებინა თანხის შემოტანა. ეს ხშირად ვერ ხერხდებოდა, ბანკი ხომ არ იზარალებდა, მაგრამ...

მოხდა ერთი ასეთი ამბავიც: გარდაიცვალა თბილისში ერთი უბრალო მასწავლებელი – უსახსრო კაცი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, ქართულის მასწავლებელი, ქართული სკოლისა. ეს კაცი რომ მოკვდა, ცოლ-შვილს დასამარხი ფული არ აღმოაჩნდა, და სწორედ ასეთ დროს მიმართავდნენ ხოლმე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

საზოგადოების წევრებმა ირბინეს და გამგეობა შეკრიბეს, რადგან ფულის გაცემა გამგეობის ნებართვით უნდა მომხდარიყო. ჰოდა, მიცვივდნენ ილიასთან სახლში და უთხრეს, ახლა ყველანი მოვ-

ლენ შენთან და კრება გავმართოთო. კი მაგრამ ვინ მოვაო, ილიამ და ჩამოუთვალეს და მათ შორის მაჩაბელიც ახსენეს. ჰოდა, ილიამ თქვა, ეგ კრება ვერ გაიმართება, იმიტომ, რომ ივანე მაჩაბელი ვერასდროს ჩემს სახლში ვერ შემოვაო. ყველანი გაოცდნენ. ამბავი კი მაინც მოგვარდა. ილია თვითონ არ მივიდა ამ კრებაზე, რომელიც საზოგადოების ოთახში გაიმართა.

აი, აქამდე იყო მისული საქმე.

მერე, უკვე გვიან, მაჩაბელმა დაწერა – „თავადი ილია ჭავჭავაძე". ხელმოუწერლად, რუსულად. წიგნაკი იყო და ილიას მძაფრად აკრიტიკებდა.

ეს ისტორია გაჰყვა ვანოს ცხოვრების ბოლომდე.

უფრო სწორად, ჩვენ არ ვიცით, როდის გარდაიცვალა მაჩაბელი.

ის გაქრა.

როცა მაჩაბელი გაუჩინარდა, მას მტკვარშიც ეძებდნენ, იმიტომ რომ ეჭვობდნენ, წყალში ხომ არ გადავარდა და დაიხრჩოო. მისი სახლი ახლოს იყო მტკვართან. დვორნიკს, თუ გარადავოისაც ეთქვა, ქვემოთ მიუყვებოდაო.

თბილისიდან ყარაიამდე უამრავი ნავი და ტივი დაცურავდა ჭოკებით.

შემორჩა აკაკი წერეთლის მრავალთაგან ერთი ხუმრობაც. ხუმრობის ორი ვარიანტი არსებობს:

მოდი ერთი, აგერ მეტეხის ხიდზე ილია ჭავჭავაძე დავაყენოთო და დაიყვიროს ივანეო, და თუ წყალშია, ამოვა თავისით, რომ პასუხი გასცესო. და მეორე: ილიაც დადიოდა ამ ძებნის დროს. მთელი თბილისი ამ ხიდებზე იდგა და ილიაც იდგა და თითქოს აკაკის უთქვამს, რომ, კაცო, ტყუილად ეძებთ აქაო, აგერ ილია ჭავჭავაძე დგას და რომც ამოიყვანოთ, დაინახავს ილიას და ისევ უკან გადახტებაო.

აი, ასე მივდივართ სამკუთხედის მესამე კუთხესთან. ივანე მაჩაბლისა და აკაკის ურთიერთობასთან.

ივანე მაჩაბელს არ ჰყოლია ისეთი ერთგული და საბანკო საქმით დაუინტერესებელი მეგობარი და მხარდამჭერი, როგორიც იყო აკაკი წერეთელი.

ისევე როგორც ილია, აკაკიც ბევრად უფროსი იყო მაჩაბელზე.

აკაკი ენაკვიმატი კაცი იყო და უყვარდა ჩამოჯდომა და ჭორაობა საზოგადოებაში.

სახლი მას არც თბილისში ჰქონდა და არც ქუთაისში, ამიტომ ყოველთვის სტუმრად იყო. ასეც ხუმრობდნენ, აკაკი მეგობრობს ექიმებთან, ქალებთან და ბავშვებთანო. უყვარდა საზოგადო ამბების გარჩევა

და აი, ასეთი ლაპარაკით მას ბევრი სარგებელი მოჰქონდა საზოგადოებაში მაჩაბლისთვის.

აკაკი ყველგან და ყოველთვის ამბობდა, რომ ვანო არის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი, მაგრამ მათ მეგობრობას ახლდა უზარმაზარი ჭორების შლეიფი, რომელიც მოსდევდა აკაკი წერეთლისა და ივანე მაჩაბლის ცოლის, ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილის ურთიერთობას.

რაღას არ გაიგონებ ამ ურთიერთობაზე, როგორი კუთხით აღარ იტყვიან: ახსენებენ რაღაც საიდუმლო წერილებს, სიყვარულს, საყვარლობას... ამ ლაპარაკებით რომ შევხედოთ, შეიძლება ეს ამბავი მაჩაბლის ნერვიული და დრამატული ცხოვრების კიდევ ერთ ტრაგიკულ ნახნაგადაც წარმოვისახოთ, მაგრამ, საქმე ისე იოლად არ არის, როგორც ამ ლაპარაკიდან გამოდის.

ტასო ივანე მაჩაბლის ცოლი იყო. ივანე ასევე გვარიანად უფროსი იყო ტასოზე, რომელსაც შეხვდა თბილისში, ღოღობერიძეების სახლში გამართულ მიღებაზე.

იქ იყო სამივე და: ნიცა, ბაბო და ტასო.

აქ აუცილებლად უნდა ვთქვათ, რა ახლობლობა ჰქონდა აკაკის ამ ბაგრატიონებთან. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ალექსანდრე, ამ სამი ქალიშვილისა და მათი ძმების მამა, იყო საკმაოდ შეძლებული ქართლელი თავადიშვილი.

ძველ თავადთა მოურგებლობასა და უღონობას რომ ვახსენებთ, ალექსანდრე სწორედ ამის საპირისპირო ვინმე იყო. მან ადრე აუღო დროის ცვლილებას ალღო.

იმ ავჭალელი თავადის არ იყოს, ქალიშვილმა რომ ანგლიაში სასწავლებლად გაგზავნა სთხოვა, მან კი ფანჯრიდან გაახედა და ავჭალაში უკვე შემოსული რკინიგზის ლიანდაგი დაანახვა, „შვილო, რა ანგლია გინდა, აგერ სახლში მოგივიდა ანგლიაო“.

ალექსანდრემ რუსული ცუდად იცოდა, მაგრამ ცდილობდა, რუსულად ეწერა.

ვახტანგ ჭელიძეს თავის წიგნში „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ ხაზგასმული აქვს მის წერილებში ხშირად ნახსენები სიტყვა „ფული“. ლამის სულ საქმიანი წერილებია.

მისი შვილებიც, გიორგი და დავითი, ტასოს ძმები, საკმაოდ შეძლებულნი იყვნენ და კარგად მისდევდნენ მეურნეობასა და საქმიანობას.

რაც შეეხება ქალიშვილებს, ნიცა იყო ცოლი ბეჟან წერეთლისა.

ბეჟან წერეთელი იყო სხვიტორელი მემამულე, აკაკის მეზობელი და ახლო მეგობარი. სხვიტორში დღესაც ორი სათავადო სახლი დგას, მაღლა აკაკისი და დაბლა ბეჟანისა. „ძმაო ბეჟან“ და „ძმაო აკაკი“, ასე

მიმართავენ ისინი ერთმანეთს წერილებში. აკაკი იყო ნიცას და ბეჟანის შვილის ნათლია. ასე რომ, ურთიერთობა ჰქონდათ ძალიან ახლო: ხშირი მისვლა-მოსვლა ზაფხულობით, დროის ტარება.

აკაკი სასაუზმოდაც კი მათთან დადიოდა ზაფხულობით. მოდიოდა ძალიან უცნაური, იმერული პატარა ურმით, რომელშიც ორი პატარა ხარი ჰყავდა შებმული და ამბობდა, ეს არის ჩემი ლანდოო, კახელებს და ქართლელებს რომ ურმები გყავთ, აბა ის არიო? სანამ მოტრიალდება და ჩამოღამდებაო... ამიტომ აკაკი ტასოს ბავშვობიდან იცნობდა. ტასო იყო ზუსტად აკაკის შვილის, ალექსის ტოლი.

აკაკის ძალიან უყვარდა ტასო. უსაზღვროდ. რაღაც დიკენსიანურად. არც მალავდა.

ამბობდა, რომ ეს არის იდეალური ქალი, რომელსაც ბავშვობიდან იცნობს და სხვა ასეთი ქალი მას არ შეხვედრია. მაგრამ თუ იყო ეს ის სიყვარული, რომელსაც კუდი გამოებმებოდა? არ ჩანდა ასეთი. ყოველთვის შეეძლოთ რაღაც ეთქვათ, მაგრამ, თქმას რა უდგას წინ.

აქ მთავარი აკაკის ხასიათია. თუ აღვადგენთ აკაკის ხასიათს, ამ ამბის ტყუილ-მართლობასაც სულ იოლად ჩავწვდებით. ასეთ ისტორიას დეტალები სჭირდება. ეს კი გაჭირდება. რა ვიცით დეტალებისა?

ანუ შეკითხვა უბრალოა: აკაკი ის კაცი იყო, რომელმაც თავის მეგობარს თავისი საყვარელი შერთო ცოლად? ანდა აკაკი ის კაცი იყო, თავის შინაურ და საყვარელ ოჯახში მუშტრის თვალით რომ უყურებდა უწლოვან გოგონებს?

ამას თუ გადაწყვეტთ, პასუხიც გეცოდინებათ. ჰოდა, გადაწყვიტეთ, თუ მაინცდამაინც ეს პასუხია საჭირო. მე კაი ხნის გადაწყვეტილი მაქვს.

დღეს სრულიად შეუძლებელია იმ პოპულარობის, ნდობისა და სიყვარულის წარმოდგენა, აკაკის რომ ჰქონდა მაშინდელ საქართველოში. ასეთი რამ, უბრალოდ, აღარ არსებობს და იმიტომ. სადგურებზე ხალხი იკრიბებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ გაიგებდნენ, მატარებელში, რომელიც ორი წუთით გაჩერდება, აკაკი ზისო. ამეების თხრობას ახლა აზრიც არა აქვს. მისი ცხოვრების წესი თავისთავად გულისხმობდა უამრავ ხალხთან ურთიერთობას, ლაპარაკს, ერთთავად სხვის სახლში ყოფნას.

მას ოჯახი ჰყავდა და არცა ჰყავდა.

ივანე ზურაბაშვილს, იმ დროის პუბლიცისტს და ჭორებში გარკვეულ კაცს, ბევრჯერ ჰქონია ლაპარაკი სხვადასხვა მანდილოსანთან თუ ბანოვანთან მათი სასიყვარულო თავგადასავლების შეს-

ახებ და თავის მოგონებებშიც წერს ამას, რა თქმა უნდა, ვინაობათა გაუმხელად.

მას ასეთი შეკითხვაც ჰქონდა: „აბა, როგორი იყო აკაკი?"

ყველამ იცოდა, რომ აკაკი მოარშიყე კაცი იყო, რომელსაც ცოლშვილი ჰყავდა ძალიან შორს და შეიძლება ითქვას, რომანებისთვის გახსნილი ბრძანდებოდა.

მაგრამ ქალები ამბობდნენ, რომ აკაკი უცნაური მოარშიყე იყო, იმიტომ, რომ ის ყველას ეარშიყებოდა. გაგეარშიყებოდა შენ და იმავდროულად შენს მეგობარსაც. ძალიან მოგაწვებოდა, მოგაწვებოდა და მერე უცებ შეუშვებდა ლაგამსო.

თანაც ის ყველაზე ბევრად უფროსი იყო. ცნობილია, რომ თაობებს არ არჩევდა, ისედაც, არშიყობის გარეშეც. ქალების საზოგადოება კი ძალიან უყვარდა. ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა... აკაკის მოსმენას, მოგეხსენებათ, ბევრი არაფერი ჯობდა.

მაგრამ იყო ერთი პრობლემა, მთავარი და ვინ იცის, მისთვის რამდენად მისაღები. აკაკის ვერავინ აღიქვამდა როგორც კაცს, როგორც მომავალ საყვარელს, იმიტომ, რომ ის იყო აკაკი.

და ყოველთვის, როცა ქალებს უნდოდათ, რომ ის თავიდან მოეშორებინათ, ეუბნებოდნენ: შენ ჩემთვის ხარ აკაკი წერეთელი, დიდი ქართველი პოეტი, დიდი ქართველი, ყველაზე პოპულარული ქართველი, მე ვერც კი წარმომიდგენია შენთან... ის ყოველთვის გაჩერდებოდა ხოლმე, არასდროს მისი სასიყვარულო ამბები არ გადასულა ძალიან შორს.

ეს რაც ვიცით. მეტს რას გაიგებ.

ზურაბაშვილი ელაპარაკა ტასო მაჩაბელსაც. ასევე არ გაუმჟღავნებია მისი ვინაობა, მაგრამ იქ აშკარად ჩანს, რომ მოსაუბრე ტასო მაჩაბელია. ის მტკიცედ უარობს ურთიერთობის იმგვარ მიმართულებას, ჭორებში რომ დარჩა. და ამას დამაჯერებლად ხსნის უამრავი მიზეზით და ურთიერთობების მთელი ისტორიით და აკაკისთან მეგობრობით.

ვანო უკვე გამქრალი იყო, აკაკის ერთ-ერთ გამორჩეულ პატრონად და ყოფის მომგვარებლად კი სწორედ ტასო მაჩაბელი რჩებოდა. პასუხები, რომლებსაც ქალი სცემს ზურაბაშვილს, პატიოსანი პასუხებია.

არის აკაკის ერთი მოთხრობა, არცთუ პოპულარული და არცთუ ძალიან ცნობილი. მოთხრობას ჰქვია „ის". საკმაოდ მარტივი და პიკანტური მოთხრობაა. მთავარი გმირი არის „მე", რომელიც სოფლად გადააწყდება ორ ქალს, რომელთაგან ერთი ძალიან შეუყვარდება, ოღონდაც პლატონურად.

ქალი უმცროსია და მთხრობელი თავის უმცროს მეგობარს, გვარად აჩაბეთელს, ეუბნება, შენ აუცილებლად უნდა შეირთო ეს საოცარი ქალი, მე კი დავრჩები თქვენს ძმად, მამად და გულშემატკივრადო.

თუკი აკაკის საიდუმლო ურთიერთობა სწყუროდა, ტასოს შესახებ ამდენს ილაპარაკებდა?

რას ნიშნავს ეს მოთხრობა, ძნელი სათქმელია. აჩაბეთელი – მაჩაბელია.

ეგებ ეს პასუხია, თუ როგორ იყო ამბავი.

ვერ ვიტყვით, რამდენად მიახედა აკაკიმ ვანო ტასოსკენ.

ვანო მაჩაბელს ყველაფერი ჩქარი, სწრაფი და ჭკვიანური უყვარდა. ეს ქორწინებაც ასე გამოვიდა. გაიცნო ქალი, ისეირნა მასთან რამდენიმე საათს საღამოს და ღამით კი ტასოს და მის დებს სასტუმროში მიადგა კაცი, რომელიც აბრახუნებდა მათ კარზე და იძახდა: მაჩაბელი ვარ, ერთ წუთს გამიღეთო.

ეს არ იყო ვანო მაჩაბელი. ეს იყო ერთ-ერთი იმ კახელ მაჩაბელ ძმათაგან, ვანოს რომ ემეგობრებოდნენ. ვანოს გამოეგზავნა.

ქორწინების საქმე ძალიან სწრაფად მოგვარდა. ტასო სრულიად ახალგაზრდა გაჰყვა ვანო მაჩაბელს.

ამბობენ, თითქოს იმ საღამოს, სეირნობისას ვანოს ტასოსთვის აკაკის ახალი წიგნი ეჩუქებინოს. ეს წიგნი პლაშჩის ჯიბეში ედოო.

აუტანელი ისტორიაა. სულ რაღაც მინიშნებები, სიმბოლოები.

ადამიანებს ყოველთვის მიაჩნდათ რაღაცეები ულამაზოდ აკაკის ხასიათში.

მაგრამ აკაკიმ მართლა იცოდა მეგობრობა და ვისაც მეგობრობდა, იმას მართლა მეგობრობდა. განსაკუთრებით ვანოს.

ვანო ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში, რომ მეგობრობა ბოლომდე გაჰყოლოდეს საზოგადოებრივად ცნობილ ადამიანთან. თორემ აკაკის ისეთი მეგობრები მეტი ჰყავდა, ნაკლებად რომ ჩანდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ტასო აკაკის ხელში გაზრდილი გოგო იყო და აკაკი აღმერთებდა ტასოს.

მას აქვს ლექსები, მიძღვნილი ტასოსადმი, მაგრამ მას აქვს ლექსები, მიძღვნილი მისი დებისადმი და ასევე მრავალი ქალისადმი.

აკაკი ხშირად ჩერდებოდა მაჩაბლებისას.

როდესაც ვანომ და ტასომ სახლი იყიდეს ვერაზე, ოლგას ქუჩაზე, იქ, სადაც ახლა ვერის ბაღია და მაშინ კიდევ კონკის ბოლო გაჩერება და აგურხანა იყო, აკაკის მისწერეს პეტერბურგში.

ეს არის უთბილესი წერილი, რომელშიც ვანო აღუწერს მთელ

სახლს, უკანა ბაღს, სად რა დარგო, რა გააკეთა, როგორ დადგა იქ მაგიდა, რომელიც აკაკის უყვარს, როგორ ჩამოვა აკაკი ზაფხულში, როცა მათ უკვე შვილი ეყოლებათ, როგორ ისხდებიან ამ ვერის სიგრილეში იქა და ითამაშებენ ნარდს... ტასო ამას გითვლის და ტასო იმას გითვლის... ეს არის ძალიან შინაური და ბუნებრივი ცხოვრება, საკმაოდ მაღალი საზოგადოებისა თბილისის პირობაზე.

აკაკი წერეთელი ყოველთვის იყო ჭორებით გარემოცული ადამიანი. თვითონ ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. უცნაურია, მაგრამ მაჩაბლის გაქრობის დღეს, სწორედ იმ საღამოს, ის და აკაკი ისხდნენ იმ ბაღში, რომელსაც ვანო წერილში აღუწერდა და თამაშობდნენ ნარდს.

მაჩაბელი ამ დროს უკვე მძიმედ ნაავადმყოფარი, ნაოპერაციევი იყო. ჩვენ არ ვიცით მისი საფლავი, მაგრამ ჩვენ გვაქვს ნეკნების ორი ნამტვრევი. ფილტვებიდან ჩირქის ამოსაღებად, სამხედრო ქირურგმა ნეკნები გამოუმტვრია და ძალიან იღბლიანი და კარგი ოპერაცია გაუკეთა.

მაჩაბლის ავადმყოფობა დაიწყო მოულოდნელად. სოფლიდან სიცხიანი ჩამოვიდა, გაციებული, ჩავარდა ლოგინად და დიდხანს ველარ დადგა ფეხზე. მისნაირ მოქმედ კაცს, მისი ნერვების კაცს, ავადმყოფობა საკმაოდ აღიზიანებდა. ვანოს ძალიან უჭირდა სახლში უქმად ყოფნა. წუხდა და თან ბრაზობდა კიდეც.

ეს არ იყო 80-იანი წლები. უკვე ახალი საუკუნის დასაწყისი ახლოვდებოდა და მაჩაბელი სულ სხვა საქმეებში იყო გაბმული, ვიდრე მაშინ, როცა იწყებდა თავის საზოგადოებრივ კარიერას.

საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ იწყებდა, მაჩაბელს მაკო საფაროვა უყვარდა. ქართული თეატრის ცნობილი მსახიობი, ერთ-ერთი პირველი ვარსკვლავი, რომელსაც უთარგმნა კიდეც „რომეო და ჯულიეტა".

მერე რაღაც მოხდა და მაკო არ გაჰყვა მაჩაბელს, გაჰყვა ვასო აბაშიძეს.

მაჩაბელმა გადაიტანა ეს რომანი. ყველას აქვს რაღაც რომანი ცხოვრებაში, რომელიც შეიძლება უიღბლოდ დამთავრდეს, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს ცხოვრების ერთადერთი ამბავი და არ შეიძლება აიგოს აკაკის და ამ ოჯახის ურთიერთობა იმაზე, რომ აკაკის ცოლშვილი შორსა ჰყავდა და ჭორავდა თავის ცოლს. ძალიანაც უყვარდა ის ცოლი, უბრალოდ, ურთიერთობა რთული გამოუდიოდათ, იმიტომ, რომ როგორც კი ჩამოვიდოდა, ნატალია ბაზილევსკაია იწყებდა აკაკის მოვლას და მის წესრიგში ჩაყენებას.

აკაკი მშვენივრად იტანდა თავისი დის მოვლას სხვიტორში, მას უყვარდა, როცა ეფოფინებოდნენ, მაგრამ მას უჭირდა ნატალიასთან ერთად სადმე ყოფნა, იმიტომ, რომ ის ყველაფერს უკრძალავდა მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

მაჩაბლებთან ურთიერთობა კი იყო ძალიან ბუნებრივი ურთიერთობა.

მაჩაბლის გაქრობის შემდეგ აკაკიმ იცოცხლა თექვსმეტი წელი, ტასომ კი – თვრამეტი.

ქვრივი ტასო აკაკის უამრავ საქმეს უგვარებდა. ისინი ხშირად ჩხუბობდნენ. ეს წერილებიდანაც ჩანს.

ამ წერილებში აკაკი იყენებს მიმართვის უამრავ ფორმას.

როცა კარგ ხასიათზეა, წერს, „დაო...“

ამბობენ, რომ რაღაც წერილები გადამალულია. რაც არ უნდა იყოს გადამალული, ძნელი საფიქრებელია, რომ აკაკის სასიყვარულო რამეები ეწერა ტასოსთვის. ამას ახსნაც კი არ სჭირდება.

იწყება „დაო“-თი და მთავრდება ასე: „ძვირფასო კნიაჟნა“. ეს უკანასკნელი განაწყენებული ტონია, ისევე, როგორც „ბატონო“.

აკაკი ხშირად უბრაზდება და ხშირად საყვედურობს წერილებში ტასოს და მისი ეს განთქმული სიტყვათა შეწყობები, როგორიცაა „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო“, ტასოს მიმართ იქცევა „ცივად-შუქ-მფენელო“.

ტასო საკმაოდ მკაცრი ჩანს მის მიმართ.

ილია ზურაბაშვილის ცნობილ მოგონებას რომ დავუბრუნდეთ, ის სწორედ ამ ბუნებრიობაზე წერს. იქ არშიყიც არ ყოფილა. აკაკი, უბრალოდ, ყოველთვის და ყველგან ამბობდა, რომ ასეთი ქალი მას არ შეხვედრია. არ მალავდა.

ტასო საკმაოდ რთული ქალი იყო და ეს აკაკის წერილებიდანაც კარგად ჩანს. ბევრი საყვედური იცოდა და ბევრი რაღაცის დაწუნებაც.

ეს ვანოსთანაც შეიგრძნობოდა, თუმცა ვანო მაჩაბელი ბევრად ფიცხი იყო.

ისინი ქართლელი თავადები იყვნენ, შეეძლოთ, ჰქონოდათ ყველაფერი ასე ბუნებრივად და იოლად და იმავდროულად ყველაფერი ყოფილიყო რთული. ანუ, ამ ოჯახში არ იყო ორი შრე, ისე როგორც არის ხოლმე ხშირად ზოგ განთქმულ ოჯახში – საგარეო და საშინაო... ის, რომ აკაკი მათთან ხშირად დადიოდა, ასევე ბუნებრივი იყო.

ის დღეც, მაჩაბლის გაქრობის დღეც, ძალიან სიმბოლურია.

მაჩაბელი ჯერ კიდევ სუსტად იყო ამ ავადმყოფობის შემდეგ.

აღიზიანებდა ეს ავადმყოფობა; თუნდაც ის, რომ მოურჩენელი იყო.

ისხდნენ და თამაშობდნენ ნარდს, ტასო რაღაცას კერავდა. მერე აკაკიმ აღარ ივახშმა, არც მაჩაბელმა ივახშმა გემრიელად და ისინი დაწვნენ. აკაკი დიდ ოთახში მოეწყო დივანზე, სადაც სძინავთ ხოლმე სტუმრებს საქართველოში.

დილით გაირკვა, რომ მაჩაბელი სახლში არ არის და არც სადმეა.

თბილისის საჭორაო წრეებში და საზოგადოებაშიც ყველამ გაიგო, რომ აკაკი იქ იყო. აკაკის მოუწია წერილის დაწერა. მან აღწერა მთელი ის საღამო. აღწერა ძალიან მშვიდად და წყნარად, მერე პოლიციასაც უამბო ეს ყველაფერი.

ერთადერთი, რაც მან გაიხსენა, ის იყო, რომ თითქოს სადღაც ნაშუაღამევს იქით ხმა გაიგონა და გამოეღვიძა, მაგრამ იფიქრა, რომ იქ ან კატაა ან რაღაც ხმაური, ან სულაც სიზმრიდან მოყოლილი რამ და გადაბრუნდა და დაიძინა.

აკაკი ბავშვი არ იყო მაშინ, სამოცი წლის კაცი იყო. ტასო – ოცდაათის, ვანო – ორმოცდახუთის.

ჩვეულებრივ, იმ ტიპის, იმ ასაკისა და იმ ბუნების ადამიანებს, როგორიც აკაკი იყო, ასეთი თავგადასავლები არა აქვთ ხოლმე. მათ უყვართ გართობა, რაღაც ფათერაკში შესვლა, მაგრამ რომანებში აღწერილი ადიულტერები მათგან ნაკლებად მოსალოდნელია.

აკაკი არ იყო ის კაცი, რომელიც თავის უზარმაზარ სახელს პირადი მიზნებისთვის გამოიყენებდა. სულ ფული სჭირდებოდა, სულ ვალები ჰქონდა და ასეთი საყვარელი და განთქმული, დუმის დეპუტატადაც არ აირჩიეს. მრავალი კუთხე ჰქონდა მის ცხოვრებას.

ჭორები და საიდუმლოებანი ყოველთვის არსებობს.

მაგალითად, ილია ჭავჭავაძეზე არასდროს უთქვამს ვინმეს, მოარშიყე და მექალთანეაო.

იონა მეუნარგია ანეკდოტებს აგროვებდა და ხშირად თვითონაც იგონებდა.

აკაკის ანეკდოტების ლამის ნახევარი მისი მოგონილია. აკაკიმ დაიჩივლა კიდეც, დასწყევლოს ღმერთმა, რამდენი აკაკი ყოფილა ქვეყანაზეო, მე ეგენი არ მითქვამსო.

ჰოდა, მეუნარგიას ანეკდოტია: ერთხელ ილიას უთხრეს, ეს საკითხი შენ უნდა გადაგვიწყვიტოო. რათაო? – ილიამ. – იმათაო, რომ ჩვენი მამა ხარო. – მე სადაური თქვენი მამა ვარ, ჩემი შვილიც არა მყავსო....

როცა აკაკი უცხოეთში დადიოდა სამკურნალოდ, ყველა ფულადი გზავნილის უკან ტასო მაჩაბელი იდგა. ის აგვარებდა აკაკის წასვლას, წამოსვლას; ბევრ რამეს ისეთს, რომელსაც, თუ საოცარი შინაურულობით, ანდა მეგობრულობით არ ხარ დამუხტული, არ გააკეთებ.

ამიტომ, ლაპარაკი ყოველთვის იქნება. ეს არ დამთავრდება.

თუნდაც იმიტომ, რომ არასდროს არავის შეუსწავლია ივანე მაჩაბლის გაქრობის საგამოძიებო საქმე. ან თუ შეუსწავლია, არაფერი დაბეჭდილა და გამოცემულა. ილიას მკვლელობის ყოველი შესაძლო წვრილმანი ცნობილია. ამ ამბისა არაფერი.

ჰოდა, ვინც შეისწავლის, ის უფრო დაჯერებით იტყვის. თუ საჭიროა ამის შესწავლა.

იმიტომ, რომ ზეპირი გადმოცემა, რომელიც ალბათ ბევრს მოუსმენია, იმ ღამის სულ სხვაგვარ სურათს აღწერს, ვიდრე ეს აკაკის ჩანაწერშია. მაჩაბლებს მსახური ჰყავდათ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გარდაიცვალა. იმ მსახურის ნაამბობის ნაამბობის ნაამბობი მომისმენია. საკმაოდ წვრილი. იქ ვერის აგურხანის ხსენებაც იყო და შემთხვევითობისაც.

იმ დროის მთავარი ჭორი ხომ ისაა, თითქოს აკაკის მაჩაბელი შემოჰკვდომოდეს.

ამ დროს სულ ის გოროდავოი მახსენდება ხოლმე, სახლიდან გამოსულ მაჩაბელს რომ მიმართა, კნიაზ, ყველაფერი რიგზეაო? როცა საქმე გამოძიებაზე მიდგება, იქ კაცს იმით ვერ დაიცავ, ჩემი უსაყვარლესი პოეტიაო. ამიტომაც მახსენდება გოროდავოი. მან ხომ ნახა სახლიდან გამოსული მაჩაბელი.

ეგეც არის, აბა, როგორ ცხოვრობდა მაჩაბლის გაქრობის შემდეგ აკაკი?

უბედურებაა ამეებზე ფიქრი, წერა და ლაპარაკი.

მაჩაბლის გაქრობაც უბედურებაა. მაჩაბლის ცხოვრებაც უბედურება გამოვიდა. მაგრამ მის სიფიცხეს, მის წვალებას და ათას სხვა რამეს გადაფარავს ალბათ მისი შექსპირი.

მოიცლიდა და მიუჯდებოდა ხოლმეო.

წავიდა და გაქრა.

საბრალო დედამისს ბოლომდე სჯეროდა, რომ უცხოეთში წავიდა. თბილისში სხვა ჭორიც იყო, მალაკნებს გაჰყვაო, თუ ბოშებს გაჰყვაო.

ის იყო საოცარი ხასიათისა და რთული ადამიანი, ძალიან რთული ადამიანი, რომელიც ასევე რთულად წავიდა.

თავისი მძიმე ბავშვობის შემდეგ ამ კაცის ცხოვრებაში მოხდა ისე, რომ მთელი მისი კარიერა, უამრავი სასარგებლო საქმე და მისი ხასიათი გადალექილი იყო ილიასთან წინააღმდეგობით.

— ლუკა და ძმები —

„ლუკას მარხვა გაეპარა,
ვერ გაეგო როდისაო,
იხვის ჭამას დაეჩვია,
ველარა ხოცს ნადირსაო.“

ეს სახუმარო და ხალისიანი ლექსი ვაჟა-ფშაველამ საკუთარ თავს გამოუთქვა, როცა ტოლათსოფელში იყო მასწავლებლად, ერწოზე.

იქ ნადირი ბევრი იყო და ვაჟაც ხშირად დადიოდა სანადიროდ, მაგრამ მალევე დაატყო, რომ გარშემო ბევრი იხვი იყო და ნადირზე სიარულიც დაეზარა, სოფელშივე ხოცავდა იხვებს.

ვაჟა-ფშაველა – ლუკა რაზიკაშვილი – მთიელი გლეხი იყო და მთიელი გლეხის ცხოვრება კი მძიმე ცხოვრება იყო.

იმავე დროს მისი ცხოვრება შეურიგებელი კაცის ცხოვრებაც იყო და იმასთან ერთად კი – ლიტერატურის გენიოსის ცხოვრებაც.

ვაჟამ ისე იცხოვრა, თავის სიმართლეს ძნელად თუ გადავიდოდა ხოლმე, თვით ძალიან პატარა და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბებშიც კი. ასეთი კაცი იყო და ასე მოსდგამდა.

რაზიკაშვილები შეუპოვრები და უტეხები იყვნენ, თან კიდევ ლაღები.

მისმა ძმამ, მშვენიერმა პოეტმა ბაჩანამ, თავისი წაწალი, მარიამი შეირთო ცოლად და ამით ადათი დაარღვია. მეორე ძმა, თედო, საუცხოო საბავშვო მწერალი, უკვე ასაკოვანი, სოფელში ატეხილი დავის მსხვერპლი შეიქნა.

მამამისის, პავლე მღვდლის ცხოვრებაც ბიჭობიდანვე აღმა ხვნა იყო: მოინდომა და მაინც გახდა მღვდელი.

ვაჟა-ფშაველა პროფესიით სოფლის მასწავლებელი იყო. ამ პროფესიას ხელმოკლე კაცი კარგად გამოიყენებდა, მაგრამ ვაჟამ ორგან იმუშავა მასწავლებლად, ერწოზე და სოფელ თონეთში, მერე ამ ხელობას აღარ გაჰყოლია.

მასწავლებლობის წლების წერილებში, მომჩივანნი მას ნამდვილ ნიჰილისტად და სახელმწიფოს მტრად მოიხსენიებენ. ორივე სამუშაო ადგილას ვაჟას დიდი მტრობა ჰქონდა სოფლელ ბობოლებთან – თავადებთან, მამასახლისებთან, თან მღვდლებთანაც.

პირადად მისთვის ეს კონფლიქტები არაფრის მომტანი არ იყო, მაგრამ ასეთი კაცი იყო – თავისას არ გადავიდოდა. გლეხების გონზე მოყვანას ცდილობდა, ეუბნებოდა, გატყუებენო. უკან ვერ დაახევინებდი. ერთხელ ეკლესიის კედელთან სამიზნეც კი გამართა და სროლა დაუწყო: მღვდელს ებრძოდა, მამასახლისის ცოლისძმაა და სოფელს თავზე აზიანო.

შემოწმება შემოწმებაზე მოდიოდა თბილისიდან.

ტოლათსოფელში თბილისიდან მოვლენილი ინსპექტორი დარსკი კლასში არ შეუშვა, გარეთ დაუდგა სკამი, აქედან მისმინეო.

იქ მამამისი, პავლე მღვდელი იყო მაშინ სტუმრად და დარსკიმ სწორედ პავლესთან მოახერხა შეხვედრა და უთხრა: შემიშვას, მისთვის უფრო ცუდია, არაფერს დავაშავებო.

ინსპექტორი რომ გაკვეთილზე შევიდა, ჰაერში რაღაც ასო მოხაზა თითით, ბავშვი წამოაყენა და აბა, რა ასო დავწერეო. ბავშვი ვერ მიუხვდა, ვაჟამ კი თვითონაც მოხაზა ჰაერში რაღაცეები და დარსკის ჰკითხა, აბა, რა გითხარიო. ისიც რას ამოიცნობდა.

ოთხ წელიწადს იყო მასწავლებლად და მერე, როცა დაოჯახებული საბოლოოდ დაბრუნდა ჩარგალში, იქაც კი სულ ასეთ წვრილ, ყოფით კონფლიქტებში იყო ჩართული და ეს ძალიან უმწარებდა სიცოცხლეს.

თამამი იყო. რუსეთის პირველი რევოლუცია რომ დაიწყო, ვაჟამ ეს საქართველოსთვის ბრძოლის დასაწყისად აღიქვა.

დაადგა თურმე ჩარგლელ მღვდელს, გიგო სონღულაშვილს, და უთხრა: აბა, მღვდელო, წამოიღე შენი ჯვარი და წამომყევი, მთელი სოფლები უნდა დავიაროთ, ხალხი ერთგულებაზე უნდა დავაფიცო და მამასახლისებს ჯინჯილები ავყაროო. გიგო მღვდელს უთქვამს: რას ამბობ, ციმბირს იქით გაგვიშვებენო.

ვაჟამ მათრახის მოღერება იცოდა: ციმბირამდე ვინ მიგიშვებს, აქავე მიგასაკლავებო, და ასე წაუყვანია. წაუყვანია და ბლომად უვლიათ, აფიცებდა ხალხს საქართველოს ერთგულებაზე. მერე, სახლში რომ

ჩამოსულა, ცოლისთვის მიუყრია მამასახლისებისთვის ართმეული ჯინჯილები, მძივები გაიკეთეო.

შიში არა ჰქონდა.

ერთი ამხანაგი ჰყავდა – პრისტავი ოზიაშვილი. ხან კარგად იყვნენ ერთმანეთში, ხან – ცუდად. ვაჟა აუხირდებოდა ხოლმე ისევ და ისევ სამართლიანობის გამო და ერთხელ ეპოლეტებიც კი დაახია, მედლები ჩამოაგლიჯა.

თონეთში ბავშვებს ხელმწიფე-იმპერატორის სურათი დაახევინაო, საჩივარში ეწერა, ეგ როგორი მასწავლებელი უნდა იყოსო.

ასეთი კაცი იყო, ხელისუფლების არ ეშინოდა და არც მისი პატივისცემა ჰქონია ოდესმე. ვინმესთვის რაიმეს თხოვნა ხომ წარმოუდგენლად მიაჩნდა.

მისმა ვაჟმა ლევანმა რომ სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრა, ძმები ეუბნებოდნენ, ბიჭო, ნახევარი წელიწადია უსაქმოდ დადის და რა გაგიჭირდა, ვინმეს რამე ადგილი რომ სთხოვო მისთვისო.

ოჯახის გულისთვის არავის არაფერს სთხოვდა.

თავისი უტეხობით რასაც მიაღწევდა, ის იყო. სანანებელი დაურჩა: ლევანი უნივერსიტეტში ვერ წავიდა. ქალიშვილზე ამბობდა, თამარზე, ვერ გავწვდი და ამ გოგოს ვერ ვასწავლე, სულ მე მგავს, ცოდოა ასეო.

არსებობს ჟანდარმერიის საბუთები რევოლუციის დროისა. იქ აღწერილია მისი ხასიათი და გავლენა ფშავში. ამ ქაღალდების მიხედვით, ინტრიგის მონაწილეა: ყველანაირად ცდილობს, ძლიერი პრისტავი, გვარად ჯანდიერი, როგორმე მოაშოროს თანამდებობას და თავისი ახლობელი და მეგობარი და თავისი ავტორიტეტის ჩრდილქვეშ მყოფი ოზიაშვილი გაიყვანოსო. მოუხერხებია, როგორც ამბობენ.

ერთი მრავალწლიანი დავა ჰქონდა მიწის ნაკვეთის გამო. ლექსი „არწივი“ სწორედ ამ კონფლიქტის შედეგიაო, ძველები იხსენებენ.

მისი სახლის შორიახლოს იყო ეს მიწის ნაკვეთი და ტყისპირი, რომელსაც სულ რაზიკაშვილები ამუშავებდნენ და მერე გამორკვეულა, რომ სახელმწიფოს მიწა ყოფილა და ტყისმცველებმაც მოუხშირეს იქით სიარულს. ღობეს მოუნგრევდნენ ხოლმე.

ვაჟას პასუხი ერთი ჰქონდა – პირდაპირ სახლიდან ესროდა ხოლმე თოფს შესაშინებლად.

ამის მსგავსი ამბავია, ბაჩანას რომ შეემთხვა კახეთში. ვეჯინში რომ მასწავლებლობდა, იქ სკოლის მეთვალყურესთან, თავად ანდრონიკაშვილთან მოუხდა დავა: ეს თავადები უსაქმურები არიან და სკოლას არაფერს უკეთებენო.

იქვე იყო ერთი სოსო აბაშიძე, თავადიშვილი, ოფიცერი და ანდრონ-

იკაშვილის მეგობარი და ერთხელ ქორწილში მიეპარა ბაჩანას უკნიდან და დასცა ხანჯალი. მძიმე ჭრილობა ჰქონდა, მთელი ხელის სიღრმეზე იყო ჩასული ბეჭში ხანჯალიო. მეორე დღეს უკვე შეშინებულმა აბაშიძემ ორასი მანეთი გამოუგზავნა და შერიგება სთხოვა. ბაჩანამ არც სასამართლოში უჩივლა და არც შეურიგდა, მე ვიცი მაგის პასუხიო. დადგებოდა აბაშიძის სახლის წინ ბორცვზე და დააღერებდა თოფს მის აივანს.

ჰოდა, ლუკაც ასე ესროდა ხოლმე და აშინებდა.

ერთხელ ყანაში დაეცა თორმეტი კაცი და დაიჭირეს. ხანჯალიც ვეღარ ამოიღო. ხელებშეკრული ჩაიყვანეს თიანეთში, მაზრის უფროსთან.

იქ პრისტავი ოზიაშვილი დაუხვდა და იყვირა, ხელები გაუხსენით, ლუკა არიო. იქიდან ძალიან გულგატეხილი და დამარცხებული წამოსულა, ხელები როგორ შემიკრესო. მაგრამ არ გაჩერდა.

ამ ტყის მცველთაგან ორნი დაინახა გზაზე, დაეწია და იმდენი ქნა, რომ თოფი წაართვა. სახელმწიფოს თოფი წამოიღო სახლში, რაც ასევე სერიოზული დანაშაულია, მაგრამ, მოგეხსენებათ, მთაა და იქ საქმეები სხვანაირად გვარდება.

მოვიდნენ და სთხოვეს, საციმბიროდ იხდი საქმეს და გაატანე ამ კაცს თავისი თოფიო, ეგეც შეშინდა და ეგეც დაისაჯაო.

არაო, დამიჩოქოს და მივცემო, მაგან გაკოჭილი წამიყვანაო. აი ესეთი კაცი იყო.

მისი უმცროსი ძმა, სანდრო ამბობს, ახალგაზრდობაში ძალიან ამაყი და მოუთმენელი იყო, მერე კი ცოტა დადინჯდაო.

იტყოდა ხოლმე: საპატიებელი არ არი ეგაო და არც აპატიებდა.

ოდესღაც პეტერბურგში თავისუფალ მსმენელად ყოფნისას ქართული სტუდენტური კომიტეტისგან ხუთი თუმანი ესესხა. წლები გავიდა და ამ კომიტეტისგან წერილი მიიღო, ძალიან გვიჭირს, რვა სტუდენტი სრულიად უსახსროდაა და ვისაც კი ჩვენი ვალი აქვს, ვთხოვთ, ნაწილ-ნაწილ მაინც გამოგვიგზავნონ ფულიო.

ვაჟამ პასუხი მისწერა კომიტეტს და ეს პასუხი „ივერიაში“ გამოქვეყნდა.

ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ნაწილ-ნაწილაც ვერ გამოგიგზავნით, რადგან არა მაქვსო. თუმცა, რომც მქონდეს, მაინც არ გამოგიგზავნიდით, იმიტომ, რომ მე ეგეთი რამეების არა მწამსო: ეგ რვა კაცი რომ ზის მანდ მშიერ-მწყურვალი, წავიდნენ და იმუშაონო.

მანდ მეც კი ვიყავი და, თავი რომ ვეღარ შევინახე, სახლში წამოვედიო.

მე, ვაჟა-ფშაველა, იმას არა ვთაკილობ, რომ თოხზე ვმუშაობ და თქვენ რა გაგიხდათ ეგეთიო.

ამ წერილმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში – ასე გულცივად და გულქვად როგორ მისწერაო და ამან გამოიწვია „ივერიიდან" ვაჟას წასვლაც, იმიტომ რომ „ივერიამ" საბრალო სტუდენტებს დაუჭირა მხარი. მათ მართლა შიოდათ, მაგრამ ვაჟა-ფშაველა თავისი პირადი მაგალითით აჩვენებდა: აი, ასე გაჭირვებით ვარ, ასე ვწვალობ, მაგრამ მე ვარ და ასეთი ვარ და ასეთი მიმიღეთ, თუ მიმიღებთო.

ვაჟა რომ წერდა, ხშირად ნავთი არ ჰქონდა და ბუხრის შუქზე წერდა. ან არყის ხის ქერქის გამხმარ ნაყარს უკიდებდა და ეს იყო ხოლმე მისი სინათლე.

უბეში ყოველთვის ჰქონდა რამდენიმე ბარათი და ფანქარი და ხვნის დროს რომ შეისვენებდა, 2-3 სტრიქონს იქაც ჩაიწერდა ხოლმე.

თავისი გეგმა ჰქონდა, პროფესიონალი მწერალი იყო.

თვალზე რაც დაემართა ვაჟას და რამაც ასე ადრე დააბერა, ჩვეულებრივი ყოფითი, გლეხური ისტორია იყო. ერთნი ამბობენ, საკლავი დაკლეს და იაფად ყიდდნენ, ოღონდ იცოდნენ, რომ ავადმყოფი ხარი იყო და ლუკამ მაინც იყიდა, მოვხარშავ, რა უნდა გვიყოსო.

მეორენაირად კი ასეა: ვაჟას ბიძაშვილ მწარიას დაეკლა ხარი და დაეძახა. ვაჟასაც ძალიან მოსწონებია ხორცი და ლამის ნახევარი ხარი წამოიღო სახლში.

მანამდე მწარიამ მწვადები შეწვა და უკვე შეღამებულზე მოვიდა ვაჟა შინ კარგა შეზარხოშებული და მოტანილი ხორცის აქნა იქვე დაიწყო, ხვალ ხინკალი ჩავყაროთო.

მაგრამ მეორე დილით ვეღარ ადგა. გაირკვა, რომ ციმბირის წყლული აქვს და იწამლა შინაურულად, როგორც წამლობენ ხოლმე გლეხები. თვალი გაუფუჭდა, ქუთუთო აღარ ჰქონდა და ხშირად, რომ დალევდნენ ხოლმე ძმები, ბაჩანა ეხუმრებოდა, აბა, დახუჭე, არწივო, თვალიო. ის კი პასუხობდა: მეო სულ მღვიძავს და სულ ვფხიზლობ თქვენი გულისთვისო.

მისი პირველი ცოლის, კეკეს გარდაცვალების ამბავი ძალიან გულისმომკვლელია.

ვაჟა შინ არ იყო, ყვარელში თავის დასთან, მართასთან წასულიყო სტუმრად.

სიძეს მეტე ერქვა, კარგი მონადირე იყო და ვაჟასაც აიყოლიებდა ხოლმე.

ამბობენ, ნადირობას თავი რომ დაანება, შეიძლება ეგ მიზეზიც

იყოს, რომ სანადიროდ წასვლა ცოლის სიკვდილს დაემთხვაო. შველი მოინადირეს და უკვე გატყავებას იწყებდნენ, რომ ამბავი მოიტანეს, კეკე გარდაიცვალაო. თავიდან ვითომ არ უთხრა სიძემ, მაგრამ რამდენ ხანს დაუმალავდა?!

ძალიან საცოდავი ღამე იყო მისთვის. მეტე ძალით ასმევდა, ეგებ დაიძინოს, ხვალ სამგზავრო ვიქნებითო. იჯდა და ეწეოდა და ეწეოდა. ძალით სვამდა ამ ღვინოს და, როგორც იქნა, დაიძინა.

როგორც ყველაზე ცუდ ამბებშია, დილით საშინელი თოვლი, ჭყაპი, ტალახი და სიცივე იყო. ოთხი დღის მერე ჩავიდნენ. ცოლი უკვე დაკრძალული დაუხვდა. ბაჩანამ დაკრძალა და მალევე თვითონაც შვილი მოუკვდა.

აი, რა ცხოვრება ჰქონდათ.

შვილები იხსენებენ, რომ იმ ორ წელიწადს, სანამ ვაჟა ქვრივად იყო, სულ ამბობდა ხოლმეო, არ შეიძლება უქალოდ ეს ოჯახიო. გოგოები კი ეხმარებოდნენ, მაგრამ ყველაფერს თვითონ გვიკეთებდა, მწნილსაც კი თვითონ ჩადებდა და პანტას ჩააყრიდა, არ იცით თქვენო, ტყის პანტის გემოთი სულ სხვააო.

მერე შეირთო მეორე ცოლი და ესეც მისი ხასიათის ამბავი იყო.

დიდებაშვილის ქალი იყო და ვაჟას გულისთვის გაშორდა ქმარს და წამოჰყვა ჯვარდაუწერლად.

კეკეს შერთვის ამბავი კი სულ სხვა იყო, ძველებურ რამეებს ჰგავდა.

ვაჟა რომ პეტერბურგიდან მობრუნდა, მასწავლებლად იყო ამილახვრების ოჯახში.

იმათ ვაჟი, გიორგი ეზრდებოდათ და იმას ამეცადინებდა.

ბიჭს სწავლა დიდად არ ადარდებდა და ვაჟას აჯავრებდა კიდეც. ვაჟა რას დაუთმობდა, წამოარტყამდა ხოლმე.

ერთხელ ისეთი შემოუკრავს, ბიჭი გავარდნილა და თოფიც კი ჩამოუხსნია, რა დრო დადგა, ამილახვარს ვიღაც ფშაველი სცემს თავის საკუთარ სახლშიო.

სწორედ ამილახვრების სახლში იყო ეკატერინე, კეკე. ის ამილახვრიანთ უკანონო შვილი იყო, სახლის მოახლე. აგე, ვინ იცის, სად დაჰკრა იმ არსენასდროინდელმა ამბებმა.

ქვრივი იყო. პირველი ქმარიც მასწავლებელი ჰყოლოდა. ვაჟამ კნეინას სთხოვა ნებართვა.

თავიდან იუარეს, სახლის ქალს ვერ გამოგაყოლებთო, მაგრამ უკვე სხვა დრო იყო და დასთანხმდნენ.

ბევრი კი არაფერი მზითვები იყო: ზანდუკი, დაირა და გარმონი. კეკე ძალიან კარგად უკრავდა, ძალიან კარგი ქალი იყო.

გამოატანეს კეკე და ძმებმა ისე დაგეგმეს, რომ მცხეთაში შეკრებილიყვნენ და ქალი ერთად წაეყვანათ ჩარგალში. ბიძაშვილებიც ახლდნენ, იმათ შორის იოსებ ჟამიაშვილი.

რომ ამოუყვნენ, დუშეთთან, გადასახვევთან ბევრი დუქანი იყო და ფშავლები ქეიფობდნენ.

ამბავი გავრცელებულა, ლუკას ცოლი მოჰყავსო.

იქვე დუქანში სვამდა ვინმე ქურციკო გიჟაშვილი, რომელმაც ფშაურად, ლექსით დააპირა მილოცვა. ვაჟა კაფიებისა და ექსპრომტის კაცი ისედაც არ იყო და თანაც ლექსის ბოლო უწმაწური გამოვიდა. სხვანაირად როგორ იქნებოდა?!

ვაჟამ გაიგონა თუ არა, პირდაპირ შეუხტა დუქანში და დაუწყო ცემა. ქურციკოს თავისიანები მიეხმარნენ, ვაჟას – ესენი და ისეთი თავგადადებული ჩხუბი ატყდა! ქურციკოს ორჯერ მოუქნევია ვაჟასთვის ხმალი და ვერ მისწვდომია.

ვაჟა უხანჯლოდ იყო, იოსებას ამოაცალა ხანჯალი და ყურის ბიბილო მოათალა ქურციკოს. ამით დამთავრდა ეს ჩხუბი, მაგრამ ბაჩანას ძლივს გამოართვეს ვიღაცას ხელიდან. ბაჩანა ძმებში ხომ ყველაზე ფიცხი იყო. ხანჯალი ამასაც დიდებული ჰქონდა, შამილის ნაქონი. ზედვე არაბულად ეწერა შამილის სახელიო.

ყველაზე მშვიდი კი უფროსი გიორგი იყო. თავისი დროის კარგი მოკრივე, თიანეთელი ვექილი. სემინარიიდან სწორედ იმ პირველი დიდი წმენდის დროს გამორიცხული სტუდენტი, რომელსაც ვაჟა ტარტარენ ტარასკონელს ეძახდა, რახანლა გიორგის ნადირობაზე ბაქიაობა უყვარდა.

მას და ვაჟას ერთხელ პეტერბურგში მთელი ტრაქტირი შემოელახათ ბილიარდის თამაშის დროს და პრისტავმა გაამართლა, ამდენ ხალხს როგორ აუხვედითო.

ეს საბრალო კეკე, თავადის სასახლეში გაზრდილი, თურმე იჯდა ცხენზე და კიოდა: სად მომიყვანეთ, ვინ ხართ, თქვე მხეცებოო...

დიდი ძმობა ჰქონდათ ერთმანეთში: ლაღი ხუმრობა და ერთად დადგომა იცოდნენ. უკვე კარგა დიდები იყვნენ, პავლე მღვდელსაც რომ დაუწყებდნენ გამოჯავრებას.

მეცნიერები ამბობენ, რომ რაზიკაშვილები უხსოვარ დროში მოხევეები ყოფილან, ღუდუშაურები, სნოდან. მერე უვლიათ მთაში გაჭირვების ასარიდებლად, ზოგან ლეკებისგან მორიდებით, ზოგან ათასი სხვა რამის გამო და მოსულან ფშავში.

ფშავშიც უცვლიათ ადგილები და ბოლოს მოსულან იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია ჩარგალი. ჩარგალი კაცის სახელი ყოფილა.

პირველი ჩარგლელი ყოფილა თვითონ ჩარგალი.

გვამცნობენ, რომ პირველი რაზიკაშვილი და გვარი რაზიკაშვილი, სახელ რაზიკადან მოდის. ერეკლეს დროინდელ საბუთებშია დარჩენილი ქუმსი, ხოლო უკვე აქეთ, XIX საუკუნეში რომ გადმოვალთ, ახსენებენ ასევე იმედას. აბა, არ ვიცი, ნამდვილი სახელია თუ შერქმეული, მთაში იციან შერქმევა. „მამას იმედიო" – ასე რქმევია, გამორჩეული კაცი ყოფილა და მასზე ლექსებიც ყოფილა დარჩენილი. იმედასავე სიტყვებიცაა დარჩენილი: მეფე ერეკლეს უთხრა ერთხელ იმედამო, ფშავში მოსულ მეფე ერეკლესო: კაი კაცი ხარ, მეფეო, მაგრამ ორს რომ შენსას იტყვი, ერთი მეც გამიგონეო. მთის დემოკრატია, ასე ვთქვათ.

იმედა ასევე განთქმული ყოფილა თავისი ცხენით. მაშინდელი ლეკიანობისა და არეულობის დროს თეთრი ცხენი ჰყოლია.

ვაჟასაც ჰყავდა ერთი ერთგული ცხენი, რომელსაც ნიკორა ერქვა. პირველად რომ „ბახტრიონი" გამოვიდა პატარა წიგნაკად და ვაჟამ თბილისიდან ჩამოიტანა სახლში და შვილებს უჩვენა, ზედ მამაჩვენი ეხატა თავის ნიკორათიო და ძალიან გახარებული იყოო, ხედავ, აი, ნიკორაც მოხვდა წიგნშიო.

რომ წამოვყვეთ იმედას და გამოვტოვოთ ისინი, ვინც არ ვიცით და ერთი-ორი ისეთი, ვინც ვიცით, ვაჟას პაპა იყო გივი, გივი რაზიკაშვილი, რომელსაც ჰყავდა სამი ვაჟი: ბოიგარი, ნადირა და პავლე.

ბოიგარს ასევე ეძახდნენ ბეროსაც, თავისი პაპის, ანუ, გივის მამის სახელს. ძალიან გამორჩეული და უცხო გარეგნობის ხალხი იყო ეს რაზიკაშვილები. ბოლომდე გამოჰყვათ ეს გარეგნობა – იყვნენ ან ახოვანები, ბრგეები და მაღლები, ან დაბლები, მაგრამ მაინც ბრგეები.

ბოიგარი ყოფილა ძალიან ახოვანი და ძველქართული იერისა.

საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში ჩვევა იყო ასეთი, რომ ქართველს ულვაში უნდა ჰქონოდა გრძელი და აუცილებლად ჩამოცილებული წვერს და ბოიგარს იმხელა ულვაში ჰქონდა, რომ მკერდზე ეფინა ორივე ნაკუწიო. მეცხვარე ყოფილა ეს ბოიგარი და მონადირე. ძალიან დასამახსოვრებელი სიარული ჰქონია და მედიდურიც ყოფილა. ვაჟა ჰგვანებია სიარულში. მონადირე ყოფილა ძალიან ცნობილი. ასე გვეტყოდა ხოლმეო, რომ თოფი სამჯერა მაქვს დამარხულიო. ასეთი რიტუალია, 100 ნადირს რომ მოკლავ, თოფი სამი დღით მიწაში უნდა დამარხო, მერე ამოთხრი ამ თოფსა და მიდიხარ მეორე ასზე. მეორენაირად რომ ვთქვათ, როგორც ბიძაჩვენი ბოიგარი იტყოდა, სამი აზარი მაქ ასრულებულიო – ე.ი. სამი ასიანი.

იყო ასეთი დრო და იყვნენ ასეთი მონადირეები.

მეორე ძმა, ნადირა, ასევე დიდი ტანისა ყოფილა, მაგრამ ზარმაცი იყოო და უფრო ღარიბად ცხოვრობდაო, ცხვარშიც არ დადიოდა, მიწაზე მუშაობდაო.

ჩვენთვის ალბათ მაინც ყველაზე საინტერესო და გემრიელი უნდა იყოს მესამე ძმა, პავლე, ვაჟა-ფშაველას მამა.

ის ყოფილა ტანით უფრო პატარა, მაგრამ ასევე ჯანიანი და ძალიან გამორჩეული ძმებისაგან. ერთი რომ ნაბოლარა იყო და დაჰყვებოდა ხოლმე ბოიგარს ცხვარში, მაგრამ ჰქონდა რაღაც სხვა მისწრაფება, სრულიად იშვიათი იმ დროის საქართველოს მთისთვის და, საერთოდ, ქართული სოფლისთვის – ძალიან დაინტერესებული იყო წერა-კითხვის შესწავლით. მაშინ ქაღალდი ჭირდა და სასწავლიც ძნელად იპოვებოდა და პავლეც სიპ ქვებზე წერით სწავლობდა ანბანს.

ოღონდ მალვით ვსწავლობდიო, ასე იგონებს, ცხვარში რომ ვიყავი ბიჭობაშიო.

სხვებიც იგონებენ, ხშირად ჰქონდა ფურცლები უბეში, როცა პატარა იყოო. საიდან ეშოვნა ეს ფურცლები, არავინ არ იცოდა, მაგრამ რაღაცა ნაწერები იყო, სიტყვები და ამათი გადაწერით სწავლობდა წერა-კითხვას. და მალვით რატომღა? – მალვით იმიტომ, რომ წერა-კითხვის ცოდნა მიღებული არ იყო, იმიტომ, რომ ადათის გადასვლას ნიშნავდა და რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს ესა, ცოტა მართივად რო ვთქვათ – რუსობაში შედიხარო – ასე გეტყოდნენ, ანუ უკვე ხელი მიგიწვდება რაღაც ისეთზე, რაც დაგაკარგვინებს იმას, რაც გაქვს და რაც ძვირფასია თემისთვის.

უკვე მერეც, როცა ვაჟა და მისი ძმებიც იგონებდნენ წერა-კითხვის სწავლის ამბავს, ამბობდნენ, რომ ამ აკრძალვაში დიდი ეშმაკობა იყო ჩადებული ხევისბერების მხრიდანო, იმიტომ, რომ ასე უფრო ეჭირათ მოსახლეობა და აკვარახჭინებდნენ რაღაც თავის საქმეებსო. კაცი, რომელმაც არ იცის წერა-კითხვა, მოკლებულია ათას რამეს.

მაგრამ პავლე თავისას არ იშლიდა და მაინც ერთგულად ისწავლა წერა-კითხვა, წიგნების შოვნასა და ერთ ამბავში იყო და მამამისი გივი თოფით დასდევდაო, სადაც დავინახავ, რომ კითხულობს რამეს, იქავ მოვკლავო, ყველაფერს ჩვენსას ღალატობს და მიდის პირდაპირ მტერზეო, ეგ რაღა ფშაველი იქნება, თუ წერა-კითხვას ისწავლისო. მათრახითაც ბევრჯერ გამოჰკიდებია, მართლა სათოფედ ვერ იმეტებდა, ეტყობა.

პავლეს კი სწავლის სურვილი იმგვარი ჰქონია, რომ გაპარულა კახეთში, რომელ მონასტერში, ეს კი აღარ ვიცი. იქ იყო 3-4 წელიწადს და მთელი განათლება, რაც ჰქონდა, იქ მიიღო. იქავე გახდა მედავითნე და

მერე მთავარდიაკვანიც გახდა ფშავში მობრუნებული, ძალიან მალე მიიღო ეს ხარისხები, ბოლოს კიდე მღვდლადაც ეკურთხა.

ჰოდა, იყო ასეთი პავლე მღვდელი.

გამოდგა საოცარი კაცი.

თბილისში იყო ხოლმე, რომ ვაჟაზე ცხვირს იბზუებდნენ – მაგ გლეხმა რა უნდა იცოდესო, რაღაც ამბებს გაიგებს მთაში და იმას გალექსავს თავის კილოზეო. საოცარია, მარა პავლე მღვდელი ძალიან კარგად იცნობდა, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებას და იყო მისი ტრფიალი.

ასე რომ, ეგ აბზუებები უსწავლელობის შესახებ იყო ზღაპარი, კაცი თუ კითხულობს და სწავლობს, ყველგან ახერხებს ამას და ჩარგალიც არ იყო ისეთი ადგილი, სადაც საინტერესო წიგნები არ გეპოვა, თუნდაც აი, ამ მღვდლის სახლში და სრულიად მოულოდნელი წიგნებიც, სხვათა შორის.

მაგრამ პავლე მღვდელს, თავის ფშაურ წესზე, თავის ხასიათზე უარი არ უთქვამს. ის იყო ძალიან გამორჩეული კაცი მთელ იმ არემარეში და დიდი ჭკუის საკითხავი კაციც გახლდათ და დიდი გავლენაც ჰქონდა ფშავლებზე. ანუ ის, რისაც ეშინოდათ ხოლმე ხევისბერებს, ნამდვილად მოხდა.

საერთოდ, რაზიკაშვილებს მემკვიდრეობითაც მოსდგამდათ ეს გავლენა და ფასიანი სიტყვა და მერე და მერე პავლეს შვილებსაც სრულიად განსაკუთრებული სიტყვა ეთქმოდათ.

სხვა მხარეებს რომ შევხედოთ, პავლე ძალიან კარგი იყო ჭიდაობასა და კრივში და ჯანი ჰქონდა სრულიად არაადამიანური, გოლიათური. ახოვანი არ იყო, მაგრამ ღონიერი კაცი იყო და შეეძლო ბევრი რამ გადაეწყვიტა მუშტით. მთაა, გინდ მღვდელი იყავი. აი, ერთი ასეთი ამბავი:

რაზიკაშვილების ერთი ნათესავი ქალი დანიშნული იყო ბიჭზე ერთი ახლო სოფლიდან. პავლე თურმე ძალიან ეწინააღმდეგებოდა ამ ქორწინებას, არ მომწონს სასიძოო და რამდენჯერმე კიდეც ჩაუშლია მოლაპარაკებები, მაგრამ ვაჟის მხარეს საკმაო ხარჯი ჰქონია გაწეული და ქორწინება აღარ ჩაიშალა და ქალი მაინც უნდა გაეტანებინათ.

რახან ქალი უნდა წაეყვანათ, მაყარიც ხომ უნდა გაჰყოლოდა. მთელ ნათესაობაში ყველამ იუარა, ჩვენ ვერ წავყვებით, ისე ჩაგვიოხრა პავლემ საქმე ჩვენს მომავალ ნათესავებთან, რომ ქორწილში ხეირს არ დაგვაყრიანო.

ვერ მიჰყვებოდნენ არა სამომავლო ურთიერთობების არქონის სურვილით, არამედ ქორწილის გამო. მთა არი და ქორწილში უნდა

გაილახო, სხვანაირად არ გამოვა. ჰოდა, რახან სიძის მხარე განსაკუთრებით ნაწყენი ჩანდა, თავიდანვე, რაზიკაშვილები ამბობდნენ, გზიდანვე შარს აგვიტეხენო. გამოთქმაა ცნობილი, როცა პატარძლის მაყრებს დასცხებენ, დასძახიან: განანებ გამოყოლასაო. მოკლედ, არავინ მიჰყვება პატარძალს და პავლეზე არც ფიქრობს ვინმე, რომ მაყრობას გაბედავს და თანაც, მღვდელია, უბრალო ვინმე ხო არა.

ჰოდა, პავლემ თქვა, მე წავყვები მარტო, რახან თქვენ ეგეთი მშიშრები ხართო და წაჰყვა. ანაფორამ ერთგვარად შეაბრკოლა სიძის მაყარი და გზაშივე ჩხუბი არ ამტყდარა, ალბათ იფიქრეს, მიზეზი ყოველთვის მოიძებნებაო და, ქორწილი რომ გახურდა კარგად და პავლე უზის პატარძალს გვერდით, ძმად წამოყოლილი და სვამს, აუხირდა ერთი და დაუძახა: განანებ გამოყოლასო და ხანჯლით პირდაპირ მიეტანა, მიეტანა და ამან წაართვა ეს ხანჯალი და აიღოო და აშარი მასპინძელი პირდაპირ კერიაზე დაანარცხა, ისე რომ, პირდაპირ ცეცხლში ჩასრისაო. ატყდა იქ ხმაური, არეულობა, ჰაი, ჰუი და ჩააწყნარეს უცბად ეს მასპინძელი, იმიტომ, რომ ძალიან ღონიერი იყო პავლე და დატრიალება შეეძლოო.

და ისე ქნა და მოათვინიერა პავლე მღვდელმა მასპინძლები, რომ სამ დღეს დარჩაო იქა და სამ დღეს იქეიფა და ჩამოვიდა მერე მშვიდად და უთხრა თავისიანებს: აჰა, რო გეშინოდათ, ეგეც მე ვარო?

დარჩენილია ერთი მოგონება მისი ჯანის შესახებ.

ლხინი იყო, ლხინიო და აქეთ ახალგაზრდები ისხდნენ და იქით კიდევ ჭარმაგი ფშაველები და ჭედილა იყო დაკლულიო. ჩამოატარეს ჭედილას ძვალი ჯანის გამოსაცდელადო.

არ ვიცი, რომელი ძვალია ესა, ქაჯიას კი ეძახიან ფშაველები. ჰოდა, გადაუგდეს ახალგაზრდებს, აბა, თუ გატეხთო და ახალგაზრდებში მჯდარიყო ვაჟაც, ვაჟას მაშინ არავინ ეძახდა – ლუკა იყო.

ჰოდა ლუკა დაეჭიდა და ვერაფერი უყო. ვერც ერთმა ვერ გატეხა და დაინახა პავლე მღვდელმა ამათი წვალება და, გადმომიგდეთ აქაო. გადაუგდესო და იოლად გადატეხაო. ლუკას ისე გაუხარდა და ეამაყა, რომ წამოდგა, მივიდა და აკოცა მამამისსო.

ასეთი ჯანისა და გაქანების კაცი იყო პავლე მღვდელი, თან მღვდელიც ნამდვილი იყო და ნასწავლი კაციც იყო და ბევრი რამეც იცოდა ქვეყნის. სრულიად მოულოდნელ ადგილას და მოულოდნელ დროში და ალბათ ამიტომ ჰყავდა ასეთი გამორჩეული ოჯახი და ცოლიც ძალიან ლამაზი ქალი შეხვედროდა – ფხიკელაანთ გულქანი.

გულქანი გამოდგა ძალიან კეთილი და გულღია ქალი. ფშაველი ლექსით ვის გააკვირვებ, მაგრამ გულქანის ბიძა პარასკევა ყოფილა

განთქმული მელექსე და ამბობენ, რომ ვაჟას თუ ბოიგარის ნაბიჯი გამოჰყვა, მეორე მხრიდან კიდევ პარასკევას მელექსეობაო.

მაგრამ ერთი უცნაური ამბავი ისაა, რომ ვაჟას არ უყვარდა მთაში გავრცელებული ლექსაობა. ხშირად, როცა გამოიწვევდნენ ხოლმე ლექსში, ჯეროვნად ვერ პასუხობდა.

კი, ლამის ყველა ყოფით ამბავზე ლექსს ამბობდა ხოლმე სახლში, მაგრამ თბილისში შემთხვევია ეგეთი რაღაც – ერთხელ ერთი მსახიობი გადაეკიდა სუფრაზე, მოდი, აბა, ექსპრომტად ლექსი ვთქვათო და თვითონ თქვა, ვაჟას კი გაუჭირდა. მერე ხელსახოცზე წერდა ლამის ნახევარ საათს.

პარასკევა იმდენად კაფიის ოსტატი არ ყოფილა, რამდენადაც – მელექსე.

გულქანი კი იყო კეთილი და ამხელა ოჯახი ანვა კისერზე. რაზიკაანთ სახლი გზის პირზე იყო და გულქანი კი გამვლელ-გამომვლელს, ნაცნობი იყო თუ უცნობი, დაუძახებდა ხოლმე აუცილებლად, მოდით, ჭამეთ ჩვენთანაო. პავლე მღვდელი ეხუმრებოდა, გამივერანე ოჯახი, აღარაფერი დამიტოვეო.

ასეთი ქალი იყო და იმდენად გულუბრყვილო, რომ ერთხელ ბოშები ამოსულიყვნენ, საიდან, როგორ, რანაირად, ვინ იცის და შემოეშვა სახლში, საჭმელი მიეცა და ამასობაში კი ამათ გაეძარცვათ, როგორც ბოშების წესია.

შვილებს ძალიან უყვარდათ და ძალიან გრძნობდნენ მას და საერთოდ ამ ოჯახში მთავარი ის იყო, რომ ძალიან გრძნობდნენ ყველანი ერთმანეთს.

პავლეს და გულქანის უფროსი ვაჟი იყო გიორგი. იმას მოსდევდა მართა, იმას ლუკა, მერე მოდიოდა ნიკო, ანუ ბაჩანა, რომელიც მამას ჰგავდა ტანდაბლობაში და არაადამიანურ ჯანში, მერე მოდიოდა თედო და სულ ნაბოლარა კი იყო სანდრო.

დიდი ოჯახი იყო ესა და სახლი იყო სრულიად პატარა: სამი ოთახი იყო სულაო, შუაში დარბაზი გვქონდაო, თუ დარბაზი ეთქმოდა იმას, მაგრამ ისეთი ფარღალალა იყო, რომ სიცივე გადი-გამოდიოდა და დიდი ქარის დროს ხშირად ცეცხლსაც ისე გადაუვლიდა ქარი და გადმოუვლიდა, რომ კვამლში ვიყავითო. შვილები დიდი ხალისითა და იუმორით იგონებენ ამ თავიანთი სახლის ამბავს.

პავლე მღვდელი კარგად ზრდიდა შვილებს, ანუ როგორც მიაჩნდა თვითონ, ისე ზრდიდა. თვითონ ვაჟას აქვს აღწერილი, როგორ ანათლებდა პავლე მღვდელი შვილებს სახლში სასწავლებლებში გაგზავნამდე.

ხინკლის ხორცს რომ მოუტანდა დედა დაფაზეო დასაკეპად, უკან ოთახში გავიდოდა თავისთან და დაიდებდა დაფას მუხლებზეო. აუცილებლად რომელიმეს დაგვიძახებდა და იქ იწყებდა თხრობასო.

პავლე მღვდელი ძირითადად ჰყვებოდა ბიბლიას. როგორც ჩანს, ჰყვებოდა ძალიან კარგად, იმიტომ, რომ ვაჟა იხსენებს, ჯერ დავითის და გოლიათის ამბავი მოქმედებდა ჩემზე, მერე სამსონისო, ჩვენი ქართული ამბებიც, ყველაფერი ნათხრობი ჰქონდა და ბავშვობიდანვე გამიჩნდა საგმირო ამბებისა და რაინდების მიმართ ძალიან დიდი ინტერესიო.

იჯდა, კეპავდა ხინკლისთვის ხორცს და უამბობდა წყნარად.

ბიჭები რომ წამოიზარდნენ, პავლე მღვდელი გრძნობდა მათი განათლების აუცილებლობას და ისე მოახერხა, რომ თუმცა უნივერსიტეტის დიპლომამდე თავისი მცირე შეძლების გამო ვერც ერთი ვერ მიიყვანა, მაგრამ რაც კი რამ შეეძლო, საქართველოში სასწავლებლები ყველას დაამთავრებინა. ყოველ შემთხვევაში, იქამდე მიიყვანა თავისი შვილები, რომ განათლება ჰქონოდათ.

გიორგი და ლუკა იყვნენ თავისუფალ მსმენელებად პეტერბურგში და უმაღლესი წერტილიც ეს იყო, მაგრამ განათლების აუცილებლობას ეს კაცი ხედავდა და რომ ასწავლიდა შვილებს სემინარიებსა და სკოლებში და სხვაგან და სხვაგან, მერე ჩამოდიოდნენ ესენი იქაური იდეებით და მამისა და შვილთა დავაც იქ იწყებოდა.

მაშინ ნაროდნიკობა იყო გავრცელებული.

რაზიკაშვილებს წესად ჰქონდათ, რომ ზაფხულში მოიყრიდნენ თავს მამასთან და კარგი საცქერი და კარგი მოსასმენი იყო ესა, იმიტომ, რომ უცბად აუხტებოდნენ მღვდელს, აბა, შენ საიდან იცი, რომ ღმერთი არსებობსო და ასეთები. ბრაზდებოდა პავლე მღვდელი, წკეპლით გამოუდგებოდა, მაგრამ საქმე მაინც ხალისით მთავრდებოდა.

ერთხელ თურმე ჭექა-ქუხილში მოჰყვნენ სათიბში და ვაჟა და ბაჩანა გამოიქცნენ და ხის ქვეშ იმალებოდნენ და, ღმერთო, შენ გვიშველეო, იძახდნენ, აბა, არ არსებობს ღმერთიო? – ეცინებოდა პავლე მღვდელს.

საოცარი ურთიერთობები იყო ამ ოჯახში და ყველა იყო ერთმანეთის მხარდამჭერი.

არც ერთს ამათგანს არ დაუკარგავს ოჯახი, არ უღალატია იმ საოჯახო შეხედულებებისთვის, რითაც დაიზარდნენ – სამართლიანობისთვის, ვაჟკაცობისთვის, სიკეთისთვის.

პავლეს მუშტი მტერს მოხვედროდა და ეს ბიჭებიც ბავშვობიდანვე კრივზე იყვნენ გამეცადინებული.

ძმებში ძალიან დაცული იყო უფროს-უმცროსობა და ყველაზე რბილი მათ შორის მაინც იყო გიორგი. ბაჩანას კი არ უყვარდა, რომ დასცინოდნენ და გათამაშება და ხუმრობა კი ხშირი იყო მათ შორის. თედო და სანდრო უფრო მშვიდობიანები იყვნენ, თუმცა თედოც კარგი მუშტიანი იყო. ბაჩანაც იმწუთას მუშტზე იყურებოდა. ვაჟაც მუშტის კაცი იყო და ერთმანეთს რომ წაეკინკლავებოდნენ, სეირიც ეს იყო. ერთხელ ვაჟამ შამფური დასცხო თავშიო ბაჩანას. ბაჩანამ ხელი არ შეუბრუნა, როგორც უფროსს, მაგრამ ისე წაავლო მაჯაში ხელი, რომ შამფური გააგდებინაო.

ვაჟას, როცა რამე გამოუვიდოდა, ხშირად იტყოდა ხოლმე, იცის ბიჭმა, იცის ბიჭმაო და ბაჩანამ, შამფური რომ გააგდებინა, ჰკითხა, ჰა, იცის ბიჭმაო?

ძალიან ლაღია ეს ყველაფერი და ძალიან ადამიანური.

აი, როგორი იყო კიდევ პავლე მღვდელი: რომ შეატყო, მისი შვილები წერენ, განათლებასაც იღებენ და ლექსებიც გამოუდით, თვითონაც დაიწყო წერა.

ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი ქართველი მამა, რომელიც შვილებს ბაძავდა. შვილებს კი არ იმგვანებდა ძალით, არამედ რაც კარგი ჰქონდათ, თვითონ იღებდა.

მგონი ვაჟა ერთადერთი ქართველი მწერალია, რომლის მამამაც მემუარები დაწერა.

პატარა ხელნაწერია, ბევრი კი არ არის. სანამდეც გასწვდა ეს მოხუცი კაცი, გასწვდა.

თან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პავლე მღვდელი გლეხი კაცი იყო: ხნავდა, თესავდა, უჭირდა.

როცა კვდებოდა და შვილები ადგნენ თავზე, ვერც ერთი ვერ იკავებდა თავს და ცრემლიც მოადგებოდათ ხოლმე. და უთხრა: რას ტირით, ერთი პატარა კაცი ვკვდები. შოთა რუსთაველი მოკვდა, თამარ მეფე მოკვდა.

ასეთი გულწრფელი, უბრალო სიტყვებით დაამშვიდა თავისი შვილები, პავლე მღვდელი ვარ, ორღობეს რომ ჩავცდები, აღარავინ მიცნობსო.

ასეთი კაცი იყო პავლე რაზიკაშვილი, ხოლო როგორი შვილები დაზარდა, ეგ კიდევ დიდხანს გამოჰყვება ქვეყანას.

ფშავიდან გამოსვლა ვაჟას ეძნელებოდა ხოლმე და თბილისში ჩამოსული კი უკვე კარგად გრძნობდა თავს.

უყვარდა აქ ყოფნა და მიჩვეულიც იყო ბიჭობიდანვე.

მოაწევდა ხოლმე დრო და გამოჩნდებოდა თავისი ხურჯინით, რომელშიც ელაგა ლექსები, მოთხრობები და პოემები და ჩამოივლიდა ხოლმე რედაქციებს. წამოკრეფდა ჰონორარებს, სადაც რას მისცემდნენ, და მერე ერთხანს გაჩერდებოდა ხოლმე თავის უმცროს ძმასთან, სანდროსთან, რომელიც ვერაზე ცხოვრობდა.

აქ ბევრი მეგობარი ჰყავდა, უბრალო და კარგი ადამიანები. ისინი ჯერ კიდევ ბიჭობიდან გამოჰყოლოდნენ, როცა ის თბილისში სწავლობდა სამასწავლებლო ინსტიტუტის ორკლასიან სასწავლებელში.

ვაჟამ თბილისი კარგად იცოდა და კარგადაც იყო აქ. სანდრო იგონებს, მოსწონდა ჩემთან ყოფნა და აქ წერაო. იმიტომ, რომ ფშავში მართლა მძიმე პირობებში მუშაობდა და სულ თავისუფალი წუთის ძებნაში იყო.

თბილისში თითქოს კურორტზე ყოფილიყოს: ეჭირა პატარა ოთახი სანდროს სახლში, ნასადილევს წაუძინებდა ცოტას იქა და შემდეგ წერდა ხოლმე. ძალიან ბევრ რამეს ასწრებდა თბილისში და ნაწერს სანდროს უკითხავდა: ჰა, როგორ გამოუვიდა ბიჭსო? – ჰკითხავდა ხოლმე.

ბიჭობაში კი საქმე სხვანაირად იყო.

თბილისში ვაჟა იყო ერთი თავის ნებაზე მიშვებული, ონავარი მოწაფე, რომელიც ბოლო მერხზე იჯდა ხოლმე.

ბოლოდან არევა იოლია. მაშინ ასეთებს „გალიორკის მოწაფეებს“ ეძახდნენ.

სასწავლებელში ვაჟას ამოჩემებული ჰყავდა ერთი რაჭველი ბიჭი, ნიკო ჩიკვაიძე – კარგი, კეთილი, დიდი ბიჭი, რომელიც რუსულად ლაპარაკისას არასწორად სვამდა მახვილებს და მოწაფეებს დახვეული ჰქონდათ ხელზე მისი რაჭული რუსული.

ჩიკვაიძე განსაკუთრებით სასაცილოდ ამბობდა სიტყვებს: „გასპადინ უჩიტელ“.

როგორც კი დაიწყებოდა გაკვეთილი, ვაჟა ბოლოდან დაიძახებდა ხოლმე: „გასპადინ უჩიტელ“, „გასპადინ უჩიტელ“, და ატყდებოდა ერთი სიცილ-ხარხარი.

იმ დროის თბილისის პატარა სასწავლებლების განთქმული წესი ჩხუბიც იყო. სხვა სასწავლებლისას თუ გამოიჭერდი, უნდა გაგელახა.

ვაჟას უკვე თელავში მოელია საკრივო სკოლა და ამიტომ ამ ჩხუბებშიც მაგარი იყო.

შემორჩენილია ერთი მოგონება, როგორ დაეხმარა ვაჟა ერთი სასწავლებლის მოწაფეებს მეორე სასწავლებლის მოწაფეებთან ჩხუბში, რახანღა ეს უკანასკნელნი მეტნი იყვნენ.

ამ ჩხუბს დარაჯი შეესწრო და გაოცდა, ვინ იყო ესაო, რას დატრი-

ალდაო. ჩხუბი რომ მორჩა და მეტოქეები დაიფანტნენ, ვაჟამ დასცხო ციტატები რუსთაველიდან: კაცი კაცსა შემოსტყორცნაო...

მოკლედ, თბილისში შინაური იყო, მის უბნებსაც კი ძალიან კარგად იცნობდა ბიჭობის დროდან, იმიტომ რომ როგორც კი ზაფხული მოვიდოდა, მოწაფეები ქალაქის ხილის ბაღებს მოედებოდნენ ხოლმე.

იყო ასეთი მშვენიერი დრო, როცა თბილისში ხილის ბაღები იყო.

განსაკუთრებით ბევრი ჰქონდათ გერმანელებსა და რუსებს, კირიჩნზე და დიდუბეში და აბა, იყო ერთი ძრომიალი და ხილის პარვა, მაგრამ ყოფილა ხოლმე, რომ თავს დარაჯი დასდგომიათ.

ერთი დარაჯი საერთოდაც სცნობდა ვაჟას და შორიდანვე დაუძახებდა ხოლმე ხეზე ამძვრალს: აი, ჯოღა-ფშაველო, მოხვედი ისევ და გამოუდგებოდა კეტით, მაგრამ ვაჟა დიდად გამქცევი არ იყო.

ერთხელ ბაღის პატრონმა გერმანელმა მოუსწრო და ძიძგილაობა მოუხდათ. ვაჟა მოერია, წააქცია და როცა იმ საწყალი კაცის ცოლი აკივლდა, ლუკა ცდილობდა, დაეწყნარებინა, ცხვირში წკიპურტსაც კი ურტყამდა, დამშვიდდით, წავალთ ახლა ჩვენაო.

აი, ასეთი ბიჭი იყო.

თბილისი ის ადგილი იყო მისთვის, სადაც მისი ლექსები პირველად წაიკითხა პროფესიონალმა მწერალმა.

ვაჟამ და მისმა მეგობარმა ლექსებით სავსე რვეული მიუტანეს ანტონ ფურცელაძეს. ამ რვეულს ყდაზე ეწერა: „ლექსები შეთხზული ლუკა რაზიკაშვილის მიერ“.

ფურცელაძემ რამდენიმე დღეში დაიბარა, რაღაცაში შეაქო და რაღაცაში არ შეაქო, რითაც ვაჟა მთლად კმაყოფილი ვერ დარჩა. თან ფურცელაძემ ურჩია, ეს „შეთხზული“ წაშალეო, მაშინ დააწერე, როცა ილიასა და აკაკისავით პოეტი გახდები, უბრალოდ ეწეროს „ლუკა რაზიკაშვილის ლექსებიო“.

საინტერესო ის არის, რომ მაშინ ლუკა ფშავურ კილოზე არ წერდა. ჩვეულებრივად წერდა, ასე ვთქვათ, სალიტერატურო ქართულით.

გორში სწავლისას გადაწყვიტა, რომ ფშაური კილო აეღო.

ვაჟას თბილისელ ნაცნობ-მეგობართაგან ერთ-ერთი იყო კულა გლდანელი, სახელგანთქმული მოჭიდავე.

კულას თავი მხოლოდ ჭიდაობით არ გაჰქონდა, ავჭალაში ერთი დუქანი ჰქონდა და ამ დუქნის უკან კი ბაგები მოეწყო. ბაგები თბილისში ბევრი იყო, რადგან ხალხი ან ცხენით ჩამოდიოდა, ან საქონელს მოერეკებოდა და ამას სადგომი უნდოდა. ჰოდა, ასეთი ჰქონდა კულა გლდანელს და მის ბაგებზე ხშირად ფშავლები ჩერდებოდნენ. ამიტომაც, ვაჟა ხშირად მიდიოდა ხოლმე იქა.

ეს უკვე გვიანდელი ამბავია, არა მოწაფეობის დროისა. მაშინდელი, როცა ვაჟას უკვე დაემთავრებინა გორის სემინარია და სამუშაოს ან რაღაც სახსარს ეძებდა. იქ შეხვდნენ ერთმანეთს კულა და ვაჟა და ძალიან მოეწონა კულას. უსმინა ერთხელ, მეორედ, მესამედ და ვაჟა ფშაველებში ამბობდა, სადმე სასწავლებლად წასელა მინდაო და ერთხელაც რაღაც სუფრა იყო და კულამ უთხრა, კაცი არ ვიყო, თუ პეტერბურგში არ გაგიშვა სასწავლებლადო, და ასეც მოხდა.

ვაჟა რომ წავიდა იქ და თავისუფალ მსმენელად იყო, კულას ფულით იყო. გათავდა ეს ფული და დაიწყო ვალები და წვალება. ველარ მოიკიდა იქ ფეხი და წამოვიდა.

საერთოდ, ვაჟა ფხუკიანი იყო ამ საკითხში: რამეს არ გაჩუქებინებდა. მაგრამ ბაგებში და ღარიბულ დუქანში რომ კაცი გეხმარება, იმას სხვა გემო აქვს და კულაც სხვა კაცი იყო.

მერე ვაჟას წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც დაუნიშნა 50-მანეთიანი პენსია. ბევრ ქართველ მწერალს ჰქონდა ეს პენსია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგან, მაგრამ ვაჟას მალევე მოუხსნეს. არკვიეს, არკვიეს რატომ მოუხსნესო, და თავადი არ არისო, გლეხია და გლეხებზე წესდებაში პენსია არ წერიაო.

ეს თვეში ხუთი თუმანი სჭირდებოდა: უფროსი ვაჟი, ლევანი სწავლას ეშურებოდა.

თვეში ხუთი თუმანი კარგი ფული იყო.

თბილისში მისდამი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ იყო.

ჟურნალებსა და გაზეთებშიც იოლად არაფერს უბეჭდავდნენ. ხან დაუწუნებდნენ, ხან სრულ სისულელემდე მისულ გარჩევას წამოიწყებდნენ ხოლმე.

გულშემატკივარი და ყველაზე კარგად გამგები კაცი განთქმულთაგან ვაჟა-ფშაველას ერთი ჰყავდა – ილია ჭავჭავაძე, რომელმაც პირველ ჯერზევე ყველაფერი ამოიცნო და ყველაფერსაც მიხვდა და ვაჟას ყოველთვის ულაპარაკოდ უბეჭდავდა ყველაფერს. ვაჟას „ივერიასთან“ თანამშრომლობა თითქმის 15 წელიწადს გაგრძელდა: იქ ყოველთვის კარგად გრძნობდა თავს და იქ ყოველთვის საუკეთესო ჰონორარს იღებდა.

ერთი საინტერესო ამბავიც არის: ძმებმა ყიფშიძეებმა, გრიგოლმა და ალექსანდრემ, ილიას უთხრეს, როგორმე გერმანიაში გავუშვათ ლუკა სასწავლებლადო.

ეს მისი პირველი გამოჩენის დროს იყო.

შენ გარეშე რა გამოვა, მოგვეხმარე, ფული ვიშოვოთ, ძალიან გამოადგება ეგ სწავლაო.

ილიამ უთხრა, არ ღირს მაგის გერმანიაში გაშვება, იმიტომ, რომ ახლა ეგ გერმანიაში წავა, იქ ისწავლის და წაუვა სული და გული ფილოსოფიისკენ, ისეთი ვინმეა, აშკარად ასე იქნება და მერე წერას თავს დაანებებსო. ჯობია, იქ იყოს, სადაც არის, თავისთან, სოფელში, და ჩვენ აქ როგორღაც მოვუხერხოთ და ჰონორარი წინდაწინ ვაძლიოთ, დაგვიწეროს და დაგვიწეროსო.

ილიამვე უთხრა პირველად, კაცო, ლექსი და პოემა კარგია, მაგრამ პროზას რატომ არ წერო, და ვაჟამ: დაწერილი მაქვსო.

საერთოდ, ვაჟას აღარც ახსოვდა ხოლმე, სად რას ბეჭდავდა.

ასაკში რომ შევიდა, ჩამოწერდა, იქ ის მქონდა, აქ ესაო, მაგრამ მაინც ვერ აწესრიგებდა.

„ივერიის“ შემდეგ ვაჟა თავისი ნაწერებით იმ დროს უკვე მოდურ ყოველკვირეულ „კვალში“ გადავიდა.

დარჩენილია ვაჟას ერთი ძალიან გულსატკენი და სევდიანი წერილი.

ირკვევა, რომ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემლი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, დაპირებული იყო, ვაჟას დატოვებული ლექსები დაებეჭდა.

აღარ დაბეჭდა და აღარ დაბეჭდა. ვაჟამ რომ მიზეზი გამოიკითხა, ანასტასიამ მოსწერა, ჩვენი რედკოლეგიის წევრი, ბატონი აკაკი წერეთელი მოვიდა, წაიკითხა ლექსები და თქვა, რომ სუსტია და არა ღირს ამის დაბეჭდვაო, სუსტია და არ ეკადრება ვაჟასო.

ვაჟას ჩვეულებად ჰქონდა, უპასუხოდ არაფერი დაეტოვებინა. სერიოზულად მისწერდა ხოლმე ყველას პასუხს და „კვალსაც“ მისწერა, მე არ ვიცი, ეგენი სუსტია თუ რა არიო, ეგებ აკაკი წერეთელი ხვალ სხვა გაზეთში გადავიდეს და მერე შემმოწმებლად ვინღა გეყოლებათო. თქვენით რომ წაიკითხეთ, მაშინ რატომ არ მითხარით, რომ სუსტი იყოო. ჰოდა, ახლა, სანამ მაგ სუსტს არ დაბეჭდავთ, მე თქვენთან აღარაფერს მოვიტანო.

საერთოდ, აკაკი და ვაჟა რთული ამბავია. აკაკი თავიდანვე ამბობდა, მისი ფშაური კილო და ენა არ მომწონს, ამახინჯებს, აფუჭებს ქართულსო, და მისი ლექსიც ცნობილია, „ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო...“ თუმცა ეს გვიანდელი ლექსია, 1913 წლისა – აკაკიც მოხუცია და არც ერთს აღარ დარჩენია დიდი ხნის სიცოცხლე. ვაჟას იუბილეს ამზადებდნენ და იმის წინა დღეებში გამოაქვეყნა აკაკიმ ეს ლექსი. ვაჟამ პასუხი მისწერა, იუბილემ ჩაიარა. მერე დიდი საჭორაო იყო თბილისში, როცა აკაკის იუბილე იყო, აბა, ვაჟა მოვა თუ არაო.

მოვიდა ვაჟა. ადამიანი იყო, ეშმაკობა, ვერაგობა და ასეთი ამხანაგები არ უყვარდა.

მაგრამ აკაკი სადაც წასწვდებოდა, გადაიხვევდა ხელზე ამ ფშაურ კილოს და აკრიტიკებდა. მიზეზი ეგებ ცოტა სხვაც იყო, ძნელი სათქმელია. ბიჭო, რას შემოგიჩნდა ეს აკაკიო, ეტყოდნენ ხოლმე და ვაჟამ მეგობრებში თქვა ერთხელ, მე რა მიკვირს, იცით, იმერელმა ფშაველს ქართული როგორ უნდა დაუწუნოს და შეუმოწმოსო.

ასეთი პირდაპირი პასუხები იცოდა. ყოველ შემთხვევაში, აკაკის და ვაჟას ურთიერთობას მაინც გამოაბეს რაღაც კუდები მერე და მერე, იმიტომ რომ, აკაკი რომ გარდაიცვალა, ვაჟა არ ჩამოვიდა. ჩვენში დიდად აქცევენ ყურადღებას ასეთ რამეებს.

მერე, რომ ჩამოვიდა, უსაყვედურეს, როგორ არ ჩამოხვედი, ხალხმა ჩათვალა, რომ ნაწყენი ხარო. კაცი თურმე კვდება, სავსე აქვს სითხით ფილტვები და ვერ ჩამოვედი, ავად ვიყავიო, თქვა.

არ იყო ვაჟა ისეთი ხურდა კაცი, რომ ასეთი რაღაცეებისთვის ყურადღება მიექცია, ანდა თუნდაც აკაკის ნალაპარაკევისთვის.

აკაკიმაც კარგად იცოდა, ვაჟა ვინ იყო.

ერთხელ აკაკი შეესწრო, თუ როგორ სცემა სერგეი მესხის კაბინეტში ვაჟამ კაზაკთა ატამანი აშინოვი.

ეს აშინოვი იყო ერთი ავანტიურისტი, რომელიც ხელმწიფის კარამდე მივიდა და ამბობდა, რომ აბისინია უნდა შემოვუერთოო რუსეთს, როგორც ერმაკმა შემოუერთა ციმბირიო. თბილისში იყო ჩამოსული და „დროებამ“ მასხრად აიგდო. ჰოდა, აშინოვი მოვიდა რედაქციაში და მოითხოვა უარყოფა.

კაზაკურად ეცვა, მთელი ოქრო-ვერცხლი გულზე და მესხს ემუქრებოდა. აკაკიც იქვე იჯდა. მე შევშინდიო, მესხი შეცბა და ამ დროს მოვიდა ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა, ერთი შეხედა ამ აშინოვს და უთხრა, რაღაცა ბევრს ლაპარაკობ შენაო და მოჰკიდა კისერში ხელი, გამოაღო კარი, დააგორა კიბეზე და წიხლიც მიაყოლაო, – აკაკი იხსენებს.

ენა, რომელზეც ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ, აკაკის ენაა. გასაკვირი არ არის, რომ აკაკი, ვისაც ახალგაზრდობაში თვითონაც უწუნებდნენ ენას და მესტვირეს ეძახდნენ, მგრძნობიარე იყო ვაჟას ფშაურის მიმართ. და საერთოდ, აკაკის მიდგომა ნამდვილ შემოქმედთა მიმართ საინტერესო იყო.

იყო თბილისში ასეთი კაცი, ივანიკა კვინიტაძე. ის გახლდათ მამა შემდგომში გენერალ გიორგი კვინიტაძისა, ვისი ამბავიც ცალკე მოსათხრობია. ივანიკა პოლკოვნიკი იყო, კავკასიის ომებში სახელდაგდებული კაცი, რომელსაც გენერლობამდე იმიტომ ვერ მიეღ-

წია, რომ ჯეროვანი განათლება ვერ მიეღო. შამილის ერთ-ერთი პირადი დამტყვევებელი იყო და ამითაც იცნობდნენ. სიბერეში ლექსების წერა დაეწყო და დაჰქონდა რედაქციებში. არ უბეჭდავდნენ, რა იყო დასაბეჭდი. ჩამოუჯდებოდა აკაკის და უკითხავდა. აკაკი დიდად უქებდა, ყოჩაღ, თავადო, ყოჩაღო. მერე ეკითხებოდნენ, ეგ რა არის, ნამდვილ და კარგ პოეტებს ბოლს გააადენ ხოლმე და მოხუცებულ კვინიტაძეს კი სისულელეებს უქებო. კარგად პასუხობდა: ამას არაფერი მოეთხოვება და არც ზიანი მოაქვს. უბრალოდ, კაცი თავის ჭიას ახარებს, ხოლო ვისაც მოეთხოვება, იმისთვის დათმობა არ შეიძლებაო.

რედაქტორებთან ლაპარაკი ვაჟასთვის ერთი წვალება იყო ხოლმე. დაბეჭდვასაც უგვიანებდნენ და ფულსაც.

სანდრო იგონებს, მოვიდა ერთხელ გულნატკენი და თქვა, ნამუსი არა აქვთო. თვითონ მიმჯდარან და ხრავენ ამ ზუბალაშვილის ფულებს და სხვას თუ უნდა ჰონორარი, აღარ იციანო. სწყინდა ასეთი რაღაცეები, იმიტომ, რომ თავისი ნაწერის ფასიც იცოდა და უგულობასაც ვერ იტანდა.

„სახალხო ფურცლის“ რედაქტორად იყო მელიტონ გობეჩია. ცუდი კაცი კი არ იყო, მაგრამ როგორც ბევრი თბილისელი რედაქტორი და ლიტერატურაში ჩაბმული კაცი, ესეც ფიქრობდა, რომ ვაჟა არ არის კულტურული ლიტერატურა, ეს არის ხალხურ კილოზე მოთხრობილი მთის ამბები. შემოქმედებაც არ არის, ვინმე რამეს იტყვის, ან მოყვება და ვაჟას პირდაპირ გადმოაქვსო.

ჰოდა, ეს გობეჩია იდგა და ლანძღავდა ვაჟას, არ გვინდა, აღარაფერი მოიტანოსო.

სწორედ ამ დროს მოსულა ვაჟა რედაქციაში. შესულან კაბინეტში და ვაჟა ძალიან მალე გამობრუნებულა. ვიდექით რედაქციის თანამშრომლებიო, სანდრო შანშიაშვილი იგონებს, გამომხედა ვაჟამ და მითხრა, საიდან მოიყვანეთ ეს ნეხვიო, გაიხურა კარი და წავიდაო.

ცენზურასთანაც გაუჭირდებოდა ხოლმე.

მის ბევრ პოემას, ლექსს, ეწერა: ძველი თქმულება, გაგონილი ამბავი, ძველი ამბავი, ლეგენდა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ცენზორს შეთხზულ, ახალ და თანამედროვე რამედ არ ჩაეთვალა.

„სტუმარ-მასპინძელში“ ნამდვილი ამბავი მხოლოდ ის არის, რომ ერთი ზვიადაური მართლაც მოუკლავთ ქისტებს თავიანთ სოფელში. მაშინდელი ვაჟას კრიტიკოსები კი ამბობდნენ – უბრალოდ გალექსილი აქვს, თვითონ არ მოუგონიაო. ძალიან პრიმიტიულ რამეებს გამოაცხადებდნენ ხოლმე ვაჟას შესახებ.

ილიას წესად ჰქონდა, რომ ლუკა ისარლოვთან გიგო ყიფშიძეს აგზავნიდა, მუნჯის ენა დედამ იცისო.

ჰოდა, ლუკამ წაშალა „ერთხელ იქნება მოვკვდები“, ვერ გავუშვებთ ამ ლექსსო. იმიტომ რომაო, ეს ფრაზა ნიშნავს, რომ უნდა გაცოცხლდე და ეს ჩვენს რელიგიას ეწინააღმდეგებაო; ეგზარქატში ამბავი ატყდება, მღვდლები გაბრაზდებიანო. არ დაიშალა არაფრით და მოულოდნელად, ღამით სახლში ილია მიადგა.

აბაზანაში ჩამჯდარი დამიხვდაო, ილიას უთქვამს, ცოტა შეცბა კიდეცო.

არ მოელოდა, ამხელა კაცი რომ მივიდოდა. არ დადიოდა ილია ცენზორებთან და არ ელაპარაკებოდა მათ. შეცვალეს. „როცა იქნება მოვკვდებიო“ – დაბეჭდეს.

ასე იცოდა ილიამ. ვინც უყვარდა, ბოლომდე წაჰყვებოდა.

ვაჟა თბილისში აუცილებლად ნახავდა შიო მღვიმელს და თავის ძველ ძმაკაცს, ივანე ბუქურაულს, ასევე, ახალგაზრდა სანდრო შანშიაშვილს, რომელსაც შანშეს ეძახდა და კიდევ ჰყავდა ერთი მეგობარი, დავით პავლიაშვილი: ეტყობა, კომიკური და კოლორიტული გარეგნობის კაცი, დაბალი და პროფილით ნაპოლეონს მიმსგავსებული, რომელსაც ვაჟამ „ნაპალენა“ დაარქვა და ყველა ასე ეძახდა.

თბილისში ჩამოსულ ვაჟას საყვარელი დუქნებიც გაახსენდებოდა.

ვორონცოვის ხიდის თავში იყო ასეთი პატარა დუქანი, ძმებ ხელაშვილების სარდაფი. როგორც ამბობენ, ამ დუქანს სწორედ ვაჟამ დაარქვა „ქოსები“ და ეს სახელი აგერ კომუნისტების დრომდე გამოჰყვა. იქ ისხდნენ ხოლმე საღამოობით მისი მეგობრები და ვაჟა ამბობდა: რა მინდა ძვირიან ადგილებში, ნამდვილი ხალხი აქ არის, ამბავს გაიგებ, ვიღაცა ჭიქას მოგიჭახუნებსო.

ბაღებშიც ხშირად დადიოდნენ, კარგი დროსტარება იცოდნენ, უბრალო და ძმაკაცური.

ერთხელ სხედან მუშტაიდის ბაღში და პურსა ჭამენ ვაჟა, ბაჩანა და ივანე ბუქურაული. იქ ბილიკზე ბევრი ხალხი გადი-გამოდიოდა და იმათ შორის მსუბუქი ყოფაქცევის ქალებიც.

რამდენი გაივლის, ვაჟა გააყოლებს თვალს, გამოივლის – გამოაყოლებსო. ბაჩანამ შეამჩნია და, ჰა, იცის ბიჭმა, იცის ბიჭმაო? ვაჟამ უკან არ დაიხია და უთხრა: იცის, მაშ არ იცისო?!

იმავე სუფრაზე ბუქურაული ეკითხებოდა არაგვის ამბებს, სად როგორ მოდის, სად მაღალია და სად დაბალიო და ბაჩანას უთქვამს, მე ერთ ადგილზე არაგვზე გადამხტარი ვარო.

ვაჟა სიცილით მომკვდარა, უსმინე ერთი, არაგვს გადაახტა კაციო.

ბაჩანა ცოტა ხნით გასულა, როგორც არის ხოლმე და მთლად გალუმპული კი მობრუნებულა, რუს წაწყდომია დაბლა და სიბნელეში ვერ შეუმჩნევია.

ივანეო, ვაჟას უთქვამს, აი, ეს ის ბიჭია, არაგვს რომ ახტებაო.

მოსწრებული ენა ჰქონდა. იშვიათი ხუმრობა იცოდა და მარგალიტებიანი.

დიუმა რომ თბილისელ დალაქებს სიძვირეს უჩიოდა, ის დალაქები არ შეცვლილან. ჰოდა, ერთხელ თბილისში დალაქმა ვაჟაც გაკრიჭა. ვაჟამ ამოიღო აბაზიანი და დაუდო. დალაქს უთქვამს, ეს რა არის, აბაზათ ვინა კრეჭს, მანეთი უნდაო.

ეჰ, შენ რომ იცოდე, რა თავი გაკრიჭე, ამასაც არ გამომართმევდიო, აუღია ქუდი ვაჟას და წამოსულა.

საერთოდ კი, ვაჟას ძმებისაც ბევრია დარჩენილი.

გიორგი კი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ეს სემინარია ვერ დაამთავრა იმ ცნობილი ამბის გამო, როცა ერთხელ ალექსანდრეს ბაღში სემინარიელებმა ჯეროვანი სალამი არ მისცეს, უფრო კიდევ დასცინეს იქ მოსეირნე კავკასიის მეფის ნაცვალს. ამ ამბის შემდეგ კი სემინარიაში წმენდა დაიწყო და ბლომად ბიჭები გამორიცხეს. ბევრი მომავალში ცნობილი პირი ერია გამორიცხულებში. მაგალითად, ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელი და იონა მეუნარგია.

გიორგი რაზიკაშვილმა, სემინარიიდან გამორიცხვის შემდეგ, იტრიალა თბილისში, ჩარგალში და მერე კი წავიდა პეტერბურგში და იქ იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად დაჯდა. თავისუფალ მსმენელად იმიტომ, რომ გამორიცხული იყო და სტუდენტობა არ შეეძლო. იურიდიულ ფაკულტეტზე ისწავლა და უდიპლომოდ დაბრუნდა საქართველოში, თუმცა მოახერხა და თიანეთში რაღაც სავექილო საქმეებს განაგებდა.

გიორგი და ვაჟა გარეგნულად ჰგავდნენ ერთმანეთს, ორივე ახოვანი და მაღალი იყო, ოღონდ ასაკთან ერთად გიორგი უფრო მშვიდი ცხოვრების მოყვარული შეიქნა და მოსუქდა კიდეც. მისი სიმსუქნე ძმებში საოხუნჯო რამ იყო. თუმცა, ახალგაზრდობაში გიორგისაც გვარიანად უყვარდა კრივი და ლაღი ცხოვრება.

საერთოდ, ძმებს შორის მიღებული იყო გათამაშება, ოღონდ უფროს-უმცროსობას მაინც იცავდნენ. უმცროსი ძმები – თედო და სანდრო – ძნელად თუ რამეს გაუბედავდნენ ვაჟას და გიორგის. გამონაკლისი იყო ნიკო, იგივე ბაჩანა, ყველაზე ცხელგულიანი და ბობოქარი. დამთმობი არ იყო.

გიორგი თიანეთში ცხოვრობდა და ძველები იგონებენ, ცოტა არ იყოს, ფანტაზიორი იყოო. რას ფანტაზიორობდა ამისთანას, დიდად არ იხსენებენ. უდროო მეოცნებე ჩანს. ისიც ახალგაზრდობიდანვე წერდა ლექსებს, მაგრამ ამ საქმეს არ გასდევნებია, მისი ლექსები საშინაო პოეზიად დარჩა, მაგრამ ნასწავლობით კი ძალიან ნასწავლი კაცი იყო და კარგი ენის პატრონიც.

ოცნებათაგან ერთი ასე გამოიყურებოდა: უჰ, ეხლა რომ სანადიროდ წავალ და ირემს რომ მოვკლავ, მერე მიყურეთ თქვენაო.

არასდროს არ ყოფილა სანადიროდ ბიჭობის შემდეგ და ძმებიც იხოცებოდნენ სიცილით. საუკეთესო თოფი ჰქონდა და მთელ დღეს გაატარებდა ხოლმე ვაზნების თვლაში, აი, მე რომ სანადიროდ წავალ, ყველაფერი მზად უნდა მქონდესო და აპრიალებდა ამ თოფს და ძმებს გამოჭერილი ჰყავდათ ამის გამო.

ვაჟას ერთი ძმაკაცი ჰყავდა თიანეთში, მღვდელი სიმონა ბეგიევი, ისიც კაი დევგმირი კაცი და ერთხელ მასთან იყვნენ სტუმრად ვაჟა და გიორგი და გიორგიმ ისევ წამოიწყო თავისი ნადირობის ამბავი, ოღონდ მიზეზად ის მოჰქონდა, იმიტომ არ მივდივარ სანადიროდ ირემზეო, რომ თორმეტრქიანი მაინც უნდა იყოსო, ათი-თორმეტი მაინც უნდა ჰქონდეს ნაყარი რქაო, რომ სროლა მიღირდესო და ვაჟა აუგდია მორიგჯერ. თან გიორგი ფიზიკურადაც ძიაკაცს ჰგავდა უკვე, მაგრამ მაინც არ იშლიდა ვაჟასთან შეპაექრებას. ბევრი თავგადასავალი გადახდენოდათ ერთად და ერთმანეთის ღონისაც იცოდნენ.

ჰოდა, აუტყდა თურმე ვაჟას: შენ რა ბევრს მელაპარაკები, ჭიდაობაში ეხლავე მოგერევიო და ატეხეს იქვე ჭიდაობა, ეტაკნენ ერთმანეთს. ვაჟა ვერ მოერიაო, მაგრამ მიანგრ-მოანგრიეს მთელი სახლი და ეს სიმონა მღვდელი გადაირია: ფშაველებო, ნადირებოო, წადით და თქვენს სახლში იჭიდავეთ, რაღა ჩემს სახლს ამტვრევთო.

იმ ჭიდაობისას გიორგი დაიჩაგრა, სიმსუქნემ და ჯანმა ველარ გასდია, აქოშინდა და ვაჟა მაინც დასცინოდა: რა მაგარი ყოფილხარ, რა მაგარიო.

სულ ასე იყო ძმებში, შეჯიბრის ამბავი არსებობდა. ვაჟა თვითონაც წერს ამას: ბიჭობიდანვე მქონდა ასეთი თვისება, რომ თუ ვინმე კარგად აკეთებდა რამეს, უნდა მივმდგარიყავი და ისე მესწავლა, რომ მკეთებლისთვის აუცილებლად მეჯობნა ან გავტოლებოდი მაინცო.

ასე დამართნია თურმე ერთხელ თელავში.

იქ მგალობელთა გუნდი იყო ეკლესიაში, ვაჟას კი სმენა არ ჰქონდა და ხმაც დიდი არაფერი. არა მღეროდა, ფანდურზე იცოდა ხოლმე ჩხაკუნი და ეს იყო მისი სიმღერა. მაგრამ ერთი ჩვენი სასწავლებ-

ლის მოწაფეზე ამბობდნენ, რომ ისეთი კარგი ბანი აქვს, ისე კარგად გალობსო, რომ მეც დავიწყე ბასზე მუშაობაო და საშინელება გამომდიოდაო. ასევე იყო ნადირობაშიც, კაი მონადირეც ეთქმოდა, თუმცა მერე დაანება თავი ნადირობას.

გიორგი კარგი მოკრივე იყო ბიჭობაში. ვაჟა რომ ჩაიყვანა თელავში მამამ, სადაც გიორგი უკვე სწავლობდა იქაურ სასულიერო სასწავლებელში, კრივის საქმე იქ მაღლად იდგა. თელავი შაბათ-კვირას გადაიქცეოდა ხოლმე კრივის ქალაქად, ვაჟა გიორგის მალევე აჰყვა – ვიდექი და ვვარჯიშობდიო ფერდებში დარტყმას, ყველაფერსო.

მერე და მერე ცნობილი თელაველი მოკრივეები ამბობდნენ – „გოგრიჭამია" იყო ასეთი, „ბუტყაჭა" და ასეთი ხალხი – მარტო ეგ ფშაველები გვერეოდნენო, მეტი ვერავინო.

ვაჟას ჰყოლია თელავში ერთი ძმაკაცი, იქაური მღვდლის შვილი, შალვა მაღალაშვილი და ერთად კარგი წყვილი იყო თურმე კრივში. თავიდან პატარებში კრივობდნენ, მაგრამ მალე დაიწყეს დიდებში სიარული და იქაც ეს სახელი დაიგდეს და ეს სახელი ვაჟას გაჰყვა ბოლომდე.

ის სამგან სწავლობდა საქართველოში და ყველგან კრივითაც დაიგდო სახელი.

მერე პეტერბურგშიაც, სადაც მან გიორგის ჩააკითხა, ძმებს კარგი საკრივო თავგადასავალი შეხვდათ.

უფულოდ მყოფი ძმები შევიდნენ ტრაქტირში და ნაძლევზე თამაშობდნენ ბილიარდს, თუ მოვიგებთ, გვასადილებთო და მთელი ამ ამბის უცნაურობა ის იყო, რომ ვინც ეთამაშება, თურმე იმასაც არა აქვს სადილის ფული და უნდა, რომ მოიგოს და როგორმე სადილის ფული იშოვოს და წააგო ამ რუსმა ვაჟასთან და გაპარვაც დააპირა.

და ატყდა იქ ჩხუბი და დალეწეს მთელი ტრაქტირი ვაჟამ და გიორგიმ. ოცდაათ კაცამდე გვეხვეოდაო, ბლომად მოგვხვდაო. გიორგი მიმწყვდეული ჰყავდათო, მარა ვაჟა კედელთან იდგა და აბა ფერდში, აბა ყბაში. ისეთი ჩხუბი იყო, რომ ბოქაული გამოიძახეს და, რომ მოვიდა და გამოარკვია, რამდენი რამდენს ეჩხუბებოდა, გიორგი და ლუკა გაუშვა, ამათი დაჭერა საცოდაობააო. გიორგი კი ფანტაზიორი იყო, მაგრამ მერე ერთი ამბავი უთქვამს ვაჟასთვის: ქუჩაზე მოვდიოდიო, კაცო, პეტერბურგშიო და კაცმა გამაჩერა და მითხრაო, მე თქვენ არ გეხსომებით, ოღონდ მაინც უნდა დაგპატიჟოთო და ვკითხე, ვინა ხარმეთქი და მეო ერთ-ერთი ვიყავი იქაო, ვინც თქვენ გალახეთ ტრაქტირშიო. ჰოდა, მე მოკრივე ვარ და შენც კარგად ჩხუბობდი, მაგრამ ის მეორე რომ იყოო, ის რომ გაჰყვეს მაგ საქმეს, მსოფლიოში ყველას მოუგებსო.

როცა გორში სწავლობდა ვაჟა, ეს ქალაქი საკრივო ამბავში ორად იყო გაყოფილი, ზემო და ქვემო უბნებად და ზემო ჯობნიდა ყოველთვის. ჰოდა, მოულოდნელად ვაჟამ ქვემოუბნელების მხარი დაიჭირა.

სემინარიელი იყო და შეეძლო ზედა უბნისთვის დაეჭირა მხარი და მაშინ მთლად გააცამტვერებდნენ ქვედაუბნელებს, მაგრამ ამბობდნენ, ლუკა ეგეთიაო, ყოველთვის სუსტის მხარეს დადგებოდა და იქედან ეცდებოდა გამარჯვებას და იგებდა კიდევაცო. რომ გამოჩნდებოდა კრივშიო, ზემოუბნელებში ჩურჩული ატყდებოდა: ფშაველიც მოიყვანეს, ფშაველიც მოიყვანესო.

ძმებში ყველაზე გულცხელი კი იყო ბაჩანა.

ხუთი ძმიდან სამნი – ბაჩანა, ლუკა და თედო მასწავლებლები გამოვიდნენ.

მგონი, ისინი იყვნენ პირველი ფშაველი მასწავლებლები მთელ საქართველოში და იყვნენ სხვანაირი მასწავლებლები. ამნაირი მასწავლებელი არავის არ ენახა, მუშტიანი მასწავლებლები იყვნენ, მაგრამ არა ბავშვებისა და მოსწავლეების მიმართ, არამედ უწესრიგობისა და უსამართლობის მიმართ. ძალიან ლაღი ხალხი იყო.

თავისუფლებასა და წესიერებას არაფერში ცვლიდნენ.

ბაჩანას ხანჯალს ხომ ეწერა არაბულად და ოქროს ასოებით შამილის სახელი. ჰოდა, ის კიდევ კარგად მღეროდა და უკრავდა გიტარაზე და ძმებზე მეტად მომლხენიც იყო. მუშტსა და პატიოსნებაზე უკან არ დაიხევდა.

ვაჟას ერთი ძველი ნაბადი ჰქონდა ამოჩემებული. საერთოდ, ტანსაცმლის მიჩვევა იცოდა და გიორგი ვერ იტანდა ამ დაბუმბლულ ძველ ნაბადს, რომ ჩამოდიხარ ამ ძველმანებში გამოხვეული ჩემს სანახავად, მე აქ ვექილი კაცი ვარ და რას იტყვიანო. მაგრამ ვაჟას ეს არ ენაღვლებოდა. ხანდახან უყვარდა ხოლმე კარგად ჩაცმა. დარდითაც იტყოდა ხოლმე, ყოფილა დრო, ცოლ-შვილი ძველმანებში მყოლია გამოხვეულიო.

მოკლედ, ეს ნაბადი ვერაფრით მოაშორეს.

ერთხელაც, უნაგირზე ჰქონდა დაკრული და გიორგიმ ვერ მოითმინა, ახსნა და ამოჭრა ოთხ ადგილას, ამონაჭრები კი გამოიყენა თავისი ცხენის ამოსაცმელებად. ნაბადი დაახვია და ისევ დაამაგრა უნაგირზე.

ვაჟა წავიდა და მოუსწრო წვიმამ. მოიგდო მხრებზე ძველი ნაბადი და თავიდან ვერც კი მიხვდა, რატომ სველდებოდა. შემოიხსნა და მიხვდა, რომ გიორგის ოინი იყო.

გიორგისთან სახლში ყოველთვის ბევრი ცარიელი ბოთლი გროვდებოდა. თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ჰოდა, გიორგიმ

შეამჩნია, რომ ჩაალაგებს ვაჟა ამ ბოთლებს ხურჯინში და მიაქვს. სჭირდებოდა, ჭურჭელი სოფლად ყოველთვის საჭიროა. ერთხელაც ასე ჩაალაგა და წაიღო ჩარგალში. მიიტანა სახლში, კეკემ რეცხვა დაიწყო და ხედავს, ფსკერი ყველა ბოთლს გახვრეტილი აქვს. გიორგის ოინიაო, ვაჟას უთქვამს.

და რას ეძახდა ლუკა გიორგის? შენაო, არც ფშაველი ხარ და არც რაზიკაშვილიო, შენა ხარ ტარტარენ ტარასკონელიო. დღესაც კი ცოტა იქნება ისეთი ნასტუდენტარი, რომელსაც ეცოდინება ტარტარენ ტარასკონელი. იმ დროში კი ვაჟა ეგონათ უბრალო მთიელი კაცი, რომელსაც არაფერი გაეგება მსოფლიო ლიტერატურისა.

როგორც ვაჟა იყო მოშეჯიბრე, ისევე ბაჩანაც. ვაჟასთან მეტოქეობა შეეძლო და მისთვის ჯობნაც.

ერთხელაც თიბვაში შეეჯიბრნენ. ვაჟა ჩქარხელიანი იყო და ყველაფერს სწრაფად აკეთებდა. თიბვა ისე წავიდა, რომ ვაჟამ გაუსწრო.

თიბვაში მთავარი ყოფილა, ვინ უკეთ გალესავს ცელს, რაშიც ვაჟა ისეთი მაგარი ვერ იყო და ამ გრძელ გზაზე ნელ-ნელა ჩამორჩა ბაჩანას, რომელიც უკეთ ლესავდა. ვაჟამ შეატყო, ვეღარ დავეწევიო და ბოლოს დააგდო ცელი.

საინტერესო ის იყო, რომ ამას უყურებდა პავლე მღვდელი და შეეცოდა ლუკაო. მივიდა, ცელს დახედა და აბა, ბლაგვი ცელით როგორღა დაეწევიო. ისე გამოიყვანა საქმე, რომ მაინც არ მოაგებინა ბაჩანასო.

საქმე ისაა, რომ ვაჟა იყო ერთადერთი შვილი, რომელიც ხელში აეყვანა პავლე მღვდელს.

მაშინ არ იყო მიღებული მამისგან შვილის ზედმეტად ფერება.

გიორგი სხვანაირად უყვარდა, პირველი იყო და მთელი შეძლება ჩადო მის განათლებაში, მაგრამ ლუკა სხვანაირად ჰყვარებია, ლამაზიაო, სულ ასე ამბობდაო, ბოიგარს ჰგავს, ჩემს ძმასაო.

თმასაც არ კრეჭდნენ ბავშვობაში, თვალებამდე ჰქონდა ჩამოყრილი. მამის გული სხვა არის, ვაჟაც რომ სხვანაირი გამოვიდა, შემთხვევითი არ არის. ბაჩანაც ძალიან კარგი პოეტი იყო და ძალიან კარგი კაციც.

ბაჩანამ მორიდება, უკან დახევა არ იცოდა. როგორ ჰგავდა პავლე მღვდელსა!

ერთხელ ჩარგალში ლხინი ყოფილა და იქ ყოფილა მთავარდიაკვანი ონისიმე, რომელმაც ბაჩანას ხუმრობა დაუწყო, შენზე ამბობენ, კაი კისრული იცისო.

ბაჩანას უთქვამს, ანაფორა კი გაცვია, მაგრამ ცოტას მაინც დაგე-



უექსანდრე ყაზბეგი

ზაქარია ქიქნაძე და ავტორი ნერვიულ





ვასილ ჩერქეზიშვილი



გიორგი ლასხიშვილი







დიმიტრი ყიფიანი





თბილისი, სასახლის ქუჩა



იაკობ გოგებაშვილი



იაკობ გოგებაშვილი







გიმნაზიელებ







ჯაჭვა გიმნაზია



მადათოვის კუნძული

თბილისის ეკეთა გიმნაზ








თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია





ივ.ჯ.-ფშაველა და დავით კლდიაშვილი












კულა გლდანელი





ორთაჭალის ბაღები



მუშტაიდის ბა



ეკატერინე გაბაშვილი





ვორონცოვის მოედანი





თბილისელი ფაფუ



ღვინის ტიკებ

ჭიდებიო. გამოუყვანია და ვერც მოვასწარით თვალის შევლება, ისე აფრიალდა ანაფორა ჰაერში და ახლა კი გახდები კარგი მღვდელი, ისეთი კისრული გასწავლეო, ბაჩანას უთქვამს.

ნაბოლარა იყო სანდრო. მშობლები რომ გარდაიცვალნენ, ფაქტობრივად, ძმებმა გაზარდეს. მერე ისე გამოვიდა, რომ სანდრო იყო მათი პატრონი, მათი შემკრები და მომვლელი.

თედო წავიდა, ქართლში დასახლდა, იქ მასწავლებლად იყო, საუცხოო მწერალი გამოდგა, რა ნიჭი იყო ესა. მეურნეობა ჰქონდა და მისდევდა.

თედო დაიღუპა სამეზობლო ჩხუბში. საბჭოთა დრო რომ არ ყოფილიყო, ეგებ ასე არც მომხდარიყო. შესარიგებლად მისულს ისევ ჩხუბი აუტყდა და ესროლეს. არც ის იყო უკან დამხევი ადამიანი.

ერთი საინტერესო ამბავი, რაც ქოსების დუქანში მოხდა, ასეთი იყო: სანდრო შანშიაშვილი იგონებს, რომ ვაჟა შემხვდაო, ძალიან დაფიქრებული იყო და მძიმედ გამოიყურებოდაო.

მითხრაო, შანშე, ხვალ მარტო შენ მოდი ქოსების დუქანში, შენთანა მაქვს სალაპარაკოო. მივედი მეორე საღამოს, დამიხვდა სუფრასთან და მითხრაო: დიდი გეგმა მაქვს და იმაში შენც გევალება ერთი რამეო. კახეთშიო ათი სანდო კაცი უნდა აარჩიოო, სულ ისეთები, ვინც საქართველოსთვის თავს დადებსო. ვითომ ცოტაა, მაგრამ ძნელი საძებარიაო. მთელ საქართველოში ხალხი უნდა დავგზავნო და 5000 მოვგროვდებით, ჩემს ნიშანზე ყველანი ერთად თბილისს შემოვეწყობით და რუსებს გავყრით აქედანო.

იმის მერე ამაზე აღარაფერი უთქვამს და არც ვინმე სადმე გაუგზავნია. კი ფიქრობდა სულ ამას. ეს ლაპარაკი კი მაშინ მოხდა, როცა რუსეთის რევოლუცია უკვე დამარცხდა. ის დრო იყო, როცა ყველას იჭერდნენ, ყველა ჩაყარეს, ჩამოახრჩეს ან გადაასახლეს.

ეტყობა, დამარცხებისა და წაგების ჯავრი ისეთი ჰქონდა, რომ არ მოერიდა ამ საშიშარ დროს და ვიღაცეებს ეუბნებოდა, აჯანყებას ვაპირებო.

ასევე იყო პირველი მსოფლიო ომის დროსაც. როგორც კი დაიწყო ეს ომი, ყველას ეუბნებოდა, ომი საჩვენოდაა და გაგვათავისუფლებსო. ბევრი ელოდა ამას, აკაკიც ელოდა.

ერთხელო, ვაჟას ძმა, სანდრო იგონებს, ომზე ვკამათობდით, ომის რუკა იყო გაშლილიო და ვაჟა ამბობდა დაუჯერებელ რაღაცეებს; ისეთ რაღაცეებს, რომ ვიღაცამ ჩაიწერა რუკის კიდეზეო. მე უკვე, წლების შემდეგ ვნახე ეს რუკა და ყველაფერი ისე მომხდარიყო, როგორც ამბობდაო.

— ღვინო, თბილისი და სხვა სიტყვები —

ჩვენ ხომ ქართველები ვართ, არა? ღვინო უნდა ვახსენოთ. ის კეთილი ველიჩკო კი ამბობდა, რომ ქართველებს ეს ღვინის სმა გადაიყოლებსო. როგორც ილიას აფიცერი იტყოდა, მეცნიერულის ენით სწორი იყო, მაგრამ, მაინც უცხოს ენით იყო და აკლდა ის გაგება, ქართველს და ღვინოს რომ აქვთ ერთმანეთში.

ერთხელაც, კახელი თავადიშვილი გულბაათ ჭავჭავაძე თავის სიმამრთან, დავით დადიანთან იყო: ანუ კახელი ჩავიდა სამეგრელოში. დავით დადიანი მდიდარი კაცი იყო და კარგი მარანიც ჰქონდა. ჰოდა, გულბაათმა უთხრა, ჩამიშვი ერთი მაგ შენს მარანშიო, მაინტერესებს, რა ღვინოები გაქვსო.

ამან შვილი გააყოლა, ცოლისძმა, და უთხრა, რაც გასინჯოს და რითაც გასინჯოსო, გაატანეო, აჩუქეო.

მარანში მრავლად ეწყო ვერცხლისგან ნაჭედი, ანდა მოოქროვილი სასმისები, რომელთა შორის მთავარი იყო სულ ნაირგვარი ზომის აზარფეშები, გაწყობილი სულ ნაირ-ნაირი ძვირფასი ქვებით.

ჩავიდა გულბაათი და დაიწყო ღვინის სინჯვა და დაიწყო და დაიწყო, აღარ დაამთავრა. ბოლოს მარტო დარჩა იქ, ცოლისძმა და მსახურები შემოეცალნენ. სინჯავდა ამ აზარფეშებით ღვინოს და აწყობდა გვერდზე სასმისებს. დადიანმა უთხრა თავისიანებს, ჩააკითხეთ ერთიო, არ მოკვდეს, არ ჩაიხრჩოს იმ ღვინოშიო. ჩავიდნენ და გადასარევად იყო. არაფერი არ სჭირდა და ეს ვერცხლი, გირვანქობით ვერცხლი კიდევ გვერდით ელაგა.

კაი ღვინოები გქონია, სიმამროო, – უთხრა, – კაი ღვინოებიო, და წამოზიდა საჩუქრები.

პატარა ამბავია ეს გულბაათის ამბავი, ცნობილი კახელი მსმელისა. მერე ლადო ასათიანმა ლექსიც კი დაწერა: „მაშინ გულბაათ ჭავჭავაძე გადაირია და იერიში მიიტანა წვრილ ჭინჭილაზე“... მაგრამ იმაზე კი მიგვანიშნებს, როგორ სვამდნენ ძველად.

იმის შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამე, კარგა ხანია, სხვანაირადაა. თუნდაც ის, რომ ძველად ღვინოს ჭიქით არ სვამდნენ, არც არსებობდა სასმელად მინის ჭურჭელი, სანამ რუსები არ შემოვიდნენ. უფრო სწორად, ერეკლეს დროს შემოვიდა მოდაში, თუმცა გაბმულ სმაში ჭიქაზე ვინ მოცდებოდა. კარგ დამლევს სასმისს ჩუქნიდნენ და ეს დიდად პატივსაცემი რამ იყო. ყანწი დალია და წამოიღოო, თუ გახსოვთ.

ბევრი ღვინის სმა და კარგი სუფრების გაშლა საქართველოში, როგორც ჩანს, ყოველთვის იყო. როგორც ჩანს კი არა და ყოველთვის იყო და მე მგონი, ეს ქვეყანა საერთოდ თუ რამემ გადაარჩინა, იმათ შორის ღვინოს ბოლო ადგილი არ უჭირავს და ბევრი ღვინის სმასაც თავისი აზრი ჰქონდა.

შუშა კი ტყუილად არ მიხსენებია. შუშებით სმა, ასე რომ ვთქვათ, ანუ ჭიქებით სმა, უფრო მე-19 საუკუნის ამბავია და, რახან ქართველებს ჭიქის მოცულობა თვალში არ მოსდიოდათ, ერთ ჭიქას არავინ არ სვამდა ხოლმე, ანუ სადღეგრძელოში ერთი ჭიქა არასდროს იყო საკმარისი. დაალაგებდნენ თეფშზე ჭიქებს და წავიდა... ეს, რა თქმა უნდა მაშინ, როცა სმა გახურდებოდა, თორემ სადილზე მხოლოდ ცოტას მოსვამდნენ, ვისაც რამდენი გაუხარდებოდა. რადგან ჭიქები იდგმებოდა თეფშზე, მათი ოდენობა შეთანხმების ამბავი იყო. თუ არა ვცდები, ყველაზე გავრცელებული იყო ოთხი, მარა ეს უფრო მაინც გვიანდელი ამბავია.

იყო ერთი ფრანგი მოგზაური, ვაჭარი, მწერალი ჟან შარდენი. მერე ინგლისელი ლორდი გახდა. მან XVII საუკუნეში საქართველოშიც გამოიარა და მოგზაურობათა წიგნში ბევრი დაწერა ჩვენ შესახებ. ჰოდა, ამ შარდენს აქვს აღწერილი ერთი ნადიმი ქართლის მეფის სასახლეში და ძალიან ტკბილად და გემრიელადაც აქვს აღწერილი. თავის წიგნში ბევრს ლაპარაკობს ჩვენებურ სიღატაკესა და რაღაც უცნაურ წესებზე, მაგრამ როგორც კი ლხინის აღწერას მიადგება, იმ წუთში შეიცვლება. არც არის გასაკვირი, იმიტომ რომ ხშირად სუფრასთან სიღატაკეც ქრება და სხვა საშინელებებიც.

სუფრა გაიშალა ტერასაზეო, ასე ამბობს. ტერასაში უნდა ვიგულისხმოთ აივანი, რომელსაც მოაჯირი ჰქონდა, მაგრამ სახურავი არ ჰქონდაო და ამიტომ ძალიან დიდი ტილო ჰქონდა გადაფარებულიო.

ანუ, ეს იყო აივანი, რომელიც გადახურული არ იყო და ამიტომ ხურავდნენ, ასე რომ ვთქვათ, სეფას რომ ეტყვიან ახლა.

შიგნიდან ეს ყველაფერი ლამაზად იყო გაწყობილი, ფერადი ტილოთი და ფარჩით და, როგორც ჩანს, ეს არ იყო ზაფხულში, იმიტომ, რომ წერს, ძალიან არ ციოდაო და მაყლები იყო ჩადგმული ყველგანო.

სხვათა შორის, ძველი დროის თბილისში ერთ-ერთი გამათბობელი საშუალება იყო სწორედ მაყალი, ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებში ბუხარი დიდად ხშირი ამბავი არ იყო.

მეფე იჯდა შემაღლებულზე ბალდახინის ქვეშო, ერთ მხარეს ესხდნენ ძმები და შვილები, მეორე მხარეს ესხდნენ ეპისკოპოსები და სხვა სასულიერო პირებიო. ჩვენც დაგვსხეს ეპისკოპოსების მხარესო. ქეიფი მთლად ქორწილი არ იყო, როგორც ჩანს, მაგრამ მეფის ერთი შვილი ახალდაქორწინებული იყო და სუფრა ამ ამბავს ეხმიანებოდაო.

ყველაზე უფრო შარდენს ის მოსწონებია, რომ ძალიან ჩუმად და მოქნილად ემსახურებოდნენ სუფრას. აქ ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენი თავი საჭმელი უნდა შემოსულიყო, იმიტომ, რომ სუფრებს ორასი კაცი მაინც უსხდა, რაც ძალიან დიდი ოდენობაა, თუნდაც მეფის ჩვეულებრივი სადილობისთვის.

შარდენი უფრო ჭამას აღწერს, მაგრამ თანდათან ჭამას ემატება სმაც. ამბობს, თავიდან ძალიან ცოტას სვამენო, უფრო სინჯავენ ღვინოს, ან მიაყოლებენ კერძსო. ამ აღწერაში ის გენიშნება, რომ არ არის სადღეგრძელოები. ანუ, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ქართველებს თურმე სადღეგრძელოს გარეშეც შეეძლოთ სმა და ღვინის გასინჯვა. შარდენის დროის საქართველო უკვე სპარსეთს ჩამოკიდებული საქართველოა და პირველი კერძი, რაც მოაქვთ, არის ბევრნაირი ფლავიო, ასე აღგვიწერს მოგზაური. ბროწეულით, დარიჩინით შეზავებული ან უბრალოდ, თეთრი ბრინჯიო. ამას მოჰყვება კუპატი და მთელი ამბებიო და მესამე თავი უკვე იწყება შემწვარი ხორცით, მწვადით, და აიო, სმასაც უცებ უმატებენ მაგ დროსო, როდესაც უკვე შემწვარი შემოდის და შემოდისო. ჰოდა, ზურგსუკან რომ მიგეხედათო, ცალკე დიდი მაგიდა იდგა და ზედ იდო ასამდე სხვადასხვანაირი სასმისიო, ბადიათი დაწყებული და რა ვიცი, რა აღარო. ლხინი მეფის სასახლეშია და ცხადია, სასმისები არის ან ოქროსი, ან ვერცხლის, ან მოოქროვილი ან მოვერცხლილი და დაინახა შარდენმა და მიაქცია ყურადღება, რომ რამდენიმე არის ერთნაირიო, ვთქვათ, რვა ცალი ერთი ზომის ფიალა იყოო და უცბად წამოდგა ოთხი კაცი მეფის აქეთა მხრიდანო, ოთხიც იქიდანო, ეტყობა, ეპისკოპოსებიც ერივნენ ამ საქმეში და ყვე-

ლას გაუვსეს ეს რვა ერთნაირი ფიალა და მათ კი დაიწყეს საქებარი სიტყვების ლაპარაკიო.

სადღეგრძელოსი არ ვიცი, საკუთრივ ამ სიტყვას ისე ეტყობა, რომ არის ძალიან გვიანდელი და მგონი მას შემდეგ გავარდა ხალხში, რაც გრიგოლ ორბელიანმა თავის პოემას დაარქვა.

ის რვა კაცი კი ილოცებოდა, მათი „საქებარი სიტყვები" არის სახეშეცვლილი დალოცვა მღვდლის ან სხვა სასულიერო პირისა. ეს ადამიანები აქებენ გვერდით მყოფსო და სვამენო, შარდენი რაღაცას ამბობს.

მაგრამ თანდათან სასმისების ზომა იმატებს და მეტსა და მეტს სვამენო. სასმისების მიღება რიგით მოდის, გადმოაწოდებენ და ეუბნებიან სპარსულ სიტყვას, ალავერდი, ალავერდიო, ანუ ქართულად რომ ვთქვათ – ღვთის წყალობა.

როგორც ჩანს, ბევრი რამე ამ სუფრაში არის სპარსული, აღმოსავლური, მაგრამ მთავარი არის ქართული — ღვინო და ფეხზე წამოდგომა. რამდენად სწორად გაიგო შარდენმა, თავს ვინ დადებს, მაგრამ რაც უფრო გვიან სვამენო, მით უფრო პატივსაცემი კაცის სადღეგრძელოს სვამენო, ანუ აქებენ უფრო პატივსაცემ კაცსო და ვინც თავს იკავებს, იმათ დაანამუსებენ ხოლმეო: რას ამბობო, ასეთ კარგ კაცს ვაქებთ და შენ არ შემოგვიერთდებიო? და დალევა კიდევ აუცილებელიაო.

სხვაგან კიდევ შეუმჩნევია შარდენს ხალხის საპირფარეშოში სირბილი, მაგრამ ის უფრო პატარა სუფრის ამბავი იყო. ისიც დაუნახავს, რომ ეპისკოპოსებისთვის სამარხვო მოჰქონდათ – თევზიცო, მწვანილიცო, ყველაფერი ცალკეო და ჩვენც რო მოგვინდა ეს სამარხვო, აღარ მოგვიტანესო.

ძალიან მნიშვნელოვანი მოხელე ასეთი სუფრისა არის მერიქიფე. სხვანაირადაც ერქვა ამ მსახურს – პირის მეღვინე. ამ ხელობის კაცი ყველა პატივსაცემ თავადიშვილს უნდა ჰყოლოდა. იმიტომ, რომ უმისოდ წარმოუდგენელია, საჭმელსაც ვერ შეჭამ ხეირიანად, თუ ეს კაცი არ გიდგას გვერდით. მან იცის დასხმის წესი, მან იცის, როდის უნდა გამოცვალონ სასმისები, რის მერე რა სასმისი მოიტანონ, ანუ ასეთი სუფრის უსიტყვო წარმმართველი მერიქიფეა და თამადა იმ დროში საერთოდაც არა ჩანს. დალოცვას და ქებას წამომწყები ყოველთვის ჰყავს და წესს კი მერიქიფე ახორციელებს.

რახან სასმისების ზომა იზრდება, შესაბამისად, ხალხიც თვრება და მეტი წესრიგია საჭირო, თუმცა, როგორც შარდენი ამბობს, იქ არეულობა არ იგრძნობაო, უბრალოდ, მეფემ თქვა ჩვენზე, მაგათ გაანებეთ თავიო, ნუ დააძალებთო. ჩვენ მაგდენის დამლევი ნამდ-

ვილად არ ვიყავით და გაგვანებეს თავი და ჩვენს გემოზე ვილხენდითო: გვინდოდა – დავლევდით ცოტას, არ გვინდოდა – არ დავლევდითო.

რა გასაკვირია და, ასე კარგად ორგანიზებული საქართველოში არაფერი არ ყოფილა. დიდი სუფრა დიდი საქმე იყო.

ძველად იტყოდნენ, ერთი ჭირი აქვს ქორწილსო, იმიტომ, რომ რაც უფრო დიდგვაროვანი კაცის ქორწილი იყო, მით მეტი ხარჯი მოსდევდა.

არა მარტო, ვთქვათ, ღვინისა და საჭმლის ხარისხის და ასევე ჭურჭლისა და ოქრო-ვერცხლის გამო, არამედ იმიტომ, რომ შენ რომ დიდგვაროვანი იყავი, დიდგვაროვნებს პატიჟებდი და ერთი კაცი მოდიოდა თავისი ოთხი მსახურით, თავისი მეჯინიბით, მთელი ამბით, ჰოდა, მსახურებსაც ხომ სუფრა უნდათ. ზოგჯერ ისინი ოთხჯერ მეტიც გამოდიოდნენ და ისხდნენ ეზოს ბოლოში. ჰო, შარდენი იხსენებს, მემუსიკეები ქვემოთ ეყენათო, ანუ ქვემოდან ამოვარდებოდა ხოლმე მუსიკის ეს ხმა აივანზეო. ჩვენ წამოვედითო შუაღამისას, ჯერ შუა სმაში არ იყვნენ ეგენიო. ჩვენ, როგორც უცხოელები, გამოგვიშვესო. ისეთ დროს წამოვედით, რომ ჯერ შემწვარი ხორცის კერძები არც კი აელაგებინათო და შემდეგი რა მოვიდა, აღარ ვიციო. მოკლედ, მერე კი მითხრესო, რომ იქ სმა დილამდე იყოო.

ყველა მოგზაურს, ვისაც საქართველოში ჩამოუვლია, თავისი დღიურის ფურცლებზე ღვინო არანაკლები დაუტოვებია, ვიდრე მელანი. ქართულ მატიანეებში კი ძნელად ნახავ სმის ამბებს. ალბათ იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ უცხოელი პირველს ამას ხედავს. ეს ძალიან თვალში საცემი და შთამბეჭდავია და ღვინის ოდენობა აქ იმდენია, რომ ხშირად აბნევს ადამიანს. პუშკინი აღწერს თავის არზრუმის ლაშქრობის რვეულში, ერთი რუსის დრაგუნი ქვევრში ჩაიხრჩოო.

როგორ გამოვიდა ესა? ოდენობა რომ ნახა ღვინისა, ვერ გაძღა, შეიპარა მარანში, ჩაეყუდა ქვევრში და პირდაპირ დაეწაფა და რომ სვა და სვა, ჩავარდა შიგ და ჩაიხრჩო იქვე.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანიც მოგვითხრობს ერთი შინაური სუფრის შესახებ თავადთა შორის და იქ პირიქით ამბობს, რომ პირველს ადღეგრძელებდნენ სუფრაზე მყოფ ყველაზე მთავარ და პატივსაცემ კაცსო.

საერთოდ, XIX საუკუნის ქართული სუფრის გაშლას რომ შევხედოთ, ძალიან სადაა და გემრიელი. ქეიფზე მორგებული უფრო ჩანს, ვიდრე ჭამაზე. შარდენთან კი სიუხვეებსაც ბევრს ვხედავთ.

სამნაირი პური მოაქვთო, ასე ამბობს. ერთი ძალიან თხელიაო, მეორე სქელი და მესამე – ტკბილი პურიც კი დევსო.

სუფრის გაძღოლა, თამადობა, სადღეგრძელო იმ იერით, როგორითაც დღემდე მოვიდა და არსებობს, ცოტა უფრო მერმინდელი ამბავია, იმიტომ, რომ ეს არის რაღაც სხვა წესრიგისა და დროისა. ბევრი აქვს საერთო რუსულ „ზაზდრავნაიასთან". მარადიული, რაც დარჩა, არის სმის ოდენობა და სასმისების სხვადასხვა ზომა. ასევე, რაც უფრო ბოლოსკენ მიდის სუფრა, მით უფრო მიმატება და მიმატება.

ალექსანდრე ორბელიანი ამბობს, რომ ჩვენ უფრო წითელ, კახურ ღვინოებს ვსვამდითო. არ ვიცი, რამდენს დალევდნენ, თუ ეს საფერავი იყო.

საერთოდ ეგრე იყო, რომ ჩვეულებრივ, პატარა სადილს გახსნიდა ხოლმე მღვდელი, აკურთხებდა, ლოცვას წაიკითხავდა და დალოცავდა იქ მყოფთ და ეს იყო პირველი სადღეგრძელოც და როცა მღვდელი არ იყო, ვილაც კაცი აიღებდა პირველ სიტყვას თავის თავზე და თამადობა-ტოლუმბაშობაც ეგ იყო.

ღვინომ ყველაფერი დაამარცხა და აჯობა ყველაფერს.

ქართველებს ნაკლებად უყვარდათ ჭერქვეშა ქეიფები, უყვარდათ, დღეს ძალიან გაცვეთილი გამოთქმა, რომელიც ბევრ ფილმშიც არის გამოყენებული და წიგნშიც – „ბუნების წიაღში გასვლა".

როდესაც მეგობრები შეიკრიბებოდნენ, ყოველთვის ამჯობინებდნენ, სახლს გასცილებოდნენ და ტკბილად და გემრიელად გაეტარებინათ დრო.

იყო ეს ამბავი დილიდან, მაგრამ ქართველებს უყვარდათ მთვარის შუქზე ქეიფიც. ბევრგან იყო ასეთი ადგილი და ბევრი ძველი ქართული ქალაქის ახლოს მოიძებნება დღემდე ამგვარი გასასვლელი და გასავარდნი და თბილისსაც, ცხადია, მოეძებნება. ეს იყო ორთაჭალის ბაღები.

თავიდან ორთაჭალის ბაღები ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ისა იყო, მერე – არქიეპისკოპოს დოსითეოს ღუდუშაურისა, ვინც მანამდე ქვათახევის მონასტრის წინამძღვრადაც ყოფილიყო; და მერე კი იყიდა სომეხმა ვაჭარმა, თუ არ ვცდები, თბილისელმა მოქალაქემ – ტერშმანოვმა.

სხვათა შორის, ამ გვარისა იყო ცნობილი თბილისელი მოქეიფე, განთქმული არზუმანების კამპანიის წევრიც, და ვინ იცის, ეგებ შთამომავლადაც გამოდგეს იმ ვაჭრისა. რა გასაკვირია, ამ მოქეიფე ტერშმანოვისთვის გულს ორთაჭალის ბაღებისკენ გაეწია.

ეს ბაღები კარგი იყო იმით, რომ ჩადიოდა მტკვრის პირას და ძველ დროში, სანამ ორთაჭალა კაფე-შანტანებით გადაიპენტებოდა, იქ იყო

მხოლოდ რამდენიმე დუქანი. ეს არ იყო მაინცდამაინც საქეიფო დუქანი, უბრალოდ, ადგილები, სადაც ყოველთვის იპოვი მზარეულს, თუ ხორაგი თანა გაქვს. უყვარდათ თავადებს ამ ნაპირზე ჩასვლა, ხოლო ღამით, როცა ხეებზე ანთებდნენ სანთლებს ეს ჩვენი მოქეიფეები, იქ ყოფნას არაფერი სჯობდა. მიჰყავდათ საზანდრები, მემუსიკეები და იყო ტკბილად ეს ყველაფერი. გრიგოლ ორბელიანი წერილებში სულ იხსენებს საუკეთესო სუფრებს: აი, როგორი კარგი ღამე გამოგვივიდაო: ბატკანი ავარიულად გვქონდა მოხარშულიო, მწვადი ჩვენებური იყოო, რაღაცა რუსული იყოო...

ყველაზე კარგი იყო ხოლმე მოქეიფეთა გადაძახილ-გადმოძახილი. აქეთ ბაღიდან გადასძახებდნენ ხოლმე მდინარეში. მტკვარი მაშინ კალაპოტში არ იყო მოქცეული, ფართოდ და ძალიან მდორედ მოდიოდა. ზედ კი ტივები ტივტივებდა თავის მოქეიფეებით. აი, გრიგოლ ორბელიანის ახალგაზრდობაში იყო ნავები და ამ ნავებზე ქეიფობდა სულ უბრალო ხალხი, სხვათა შორის, არცთუ მაინცდამაინც დიდი კნიაზობა, და სიბნელეშიც კი სცნობდნენ ერთმანეთს დაძახებულზე. ნავზე ანთებდნენ სანთლებს. მოკლედ, ლამაზი იყო. ისეც ყოფილა ხოლმეო, დუქნებს რომ გაუსწორდებოდნენ ნავებით, ვიღაცა გადმოხტებოდა და გამოცურავდა პირდაპირ, რათა სხვა კამპანიას შეერთებოდაო.

გრიგოლივე სწერს მეგობარს: ასე იყოო: გავიგონეთ ნავიდან ხმა, აანთეთ სანთლებიო და აანთეს ნავზე, გარშემო კიდეებზე სანთლებიო, მომართვით ღვინოო და ვუყურებდი, ყასაბი იყო ერთიო, კი აღარ მახსოვს, ვიღაცის ძმა, ჩვეულებრივი კაცი იყო, თბილისელი, რომელმაცო ჯერ თვითონ დალია ეს ოთხი ჭიქა და მერე ყველას, ვინც ნავზე იყო, თვითონ მიართვაო. მერე დაიძახა, მწვადებიო და ისკუპა ვიღაცამ წყალში, გამოცურა ნაპირისკენ, დუქნისკენ შამფურებით ხელში, მოგვართვა და გაცურა უკანო.

გრიგოლ ორბელიანი განსაკუთრებული მელხინე იყო. მისი სურათები ყველაზე ნაღდია. გრიგოლი რომ რუსეთში მსახურობს, აქედან სწერენ ამბავს, შენ რომ გიყვარსო, ჭიანურიო, იმდენი აკვრევინა, იმდენი შენს ხათრზე მირზაჯანამო, შორს რო ხარო... მირზაჯანა მადათაშვილი, მადათოვი, იყო ერთ-ერთი ცნობილი თბილისელი კაცი, მოქეიფე და მხიარული. ასეთები ბევრნი იყვნენ. გრიგოლს ლექსიც აქვს – „მირზაჯანას ეპიტაფია“. ხომ ნაცნობია ეს ყველაფერი ძალიან, რომც არ ილაპარაკო კაცმა.

ასეთ ქეიფებს აზრი ისიც ჰქონდა, რომ უფსკრული კი იყო დიდგვაროვნებსა და უბრალო ხალხს შორის, მაგრამ ძველი ორთაჭალის ბაღი და ქეიფი აერთიანებდა ყველა წოდებას. ლოპიანა ვინ იყო? ერთი

მედუქნე და მეთევზე კაცი. გრიგოლ ორბელიანი ლოპიანას ფრაზებს ეპიგრაფებად თავის ნაწერებში მოიხმარდა და სულ თან დაატარებდა, მეჯლისებში დაჰყავდა. ლოპიანა ძალიან დიდი კაცი იყო, დინჯი და ქეიფის დიდოსტატი. ყოველდღე ამოჰქონდა ცოცხალი – აი, კიდევ ერთი თბილისური კერძი. ყოველდღე ამოჰქონდა ბატონთან – გრიგოლ ორბელიანთან – სახლში და თვითონვე უკეთებდა თბილისურ წესზეო. მტკვარში იყო კიდევ ჭანარი, რომელიც ასევე ძალიან უყვარდათ, და რომ ჩადიოდნენ ორთაჭალაში საღამოს პირზე, ეს ჭანარიც გამზადებული იყო, გახვეული ფოთლებში. მოკლედ, საჭმელი არ იყო ძალიან მრავალფეროვანი და შვიდსართულიანი, მაგრამ რაც იყო, იყო ნამდვილი. ისევ გრიგოლ ორბელიანს რომ მიეუბრუნდეთ, ლექსი, რომელსაც ლამის გადააყოლეს, შიგ დაფარული შინაარსიც აქვს ჩადებულიო, მენიუთიც გამოირჩევა. სევდა დაკარგულ სამშობლოზე ჯეირანის მწვადებითა და კახური ღვინით. გასაკვირი არ არის, რომ სიტყვა „სადღეგრძელო“ სწორედ გრიგოლ ორბელიანმა გამოიგონა. კი, იმ სადღეგრძელოში, თავის პოემაში, ცოტა ცუდი სადღეგრძელოებიც ჩაურია, მაგრამ ეს ყველაფერი გასაკვირი არ არის.

ლხინები – ასე უწოდებდნენ ხოლმე ამას და ეს ნადიმი უფრო სახლშია და უფრო ოფიციალურია.

ქართველებს ჰქონდათ რაღაც უცნაური გატაცებები.

კი აქვს საიათნოვას, „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშაო“, მაგრამ შირაზი შორს არის. მერე, რუსები რომ შემოვიდნენ თბილისში, უკვე მინის ქარხანაც იყო და იყო ერთი გადასარევი კაცი, ყაფლან ორბელიანი, ძველი თავადი, ძველი წესის, ძალიან ძველი წესის, სულ თავში რომ მოგახსენებდით, ისეთი და იმას ჰქონდა ჩვეულება: კვირა დილას ადგებოდა და წავიდოდა ბაზარში, მივიდოდა შუშის რიგში და ყიდულობდა უამრავ ბოთლს და ჭიქას და მოჰქონდა სახლშიო. ორ მუშას მოჰქონდა ხოლმე გოდრებით და ცოლი ეუბნებოდაო, კნიაზო, რატომ შვრები ამასო? გასაგები და სახალისო მიდრეკილებაა. თან ყაფლან ორბელიანი არ იყო მთავარი მოქეიფე ქალაქის.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, იყო ძალიან კარგი, იმიტომ, რომ იქ იყო მისი უდიდებულესობა ქართული ღვინო. დიუმა კი ამბობს, ღვინო კარგია, მაგრამ ტიკჭორის გემო დაჰკრავსო, მაგრამ მაინც.

ღვინოსაც გააჩნდა.

საერთოდ, ცუდი ღვინო და კარგი ღვინო მაშინ იშვიათად ითქმოდა. აი, უფრო XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. აკაკის ცნობილი ხუმრობაც არის ერთი – ეს ღვინო თავიდან თეთრი ყოფილა და მერე გაწითლებულა სირცხვილითო.

ჰოდა, ისევ ხალისის სიტყვას მოვიდეთ, ვეცადოთ მაინც.

ერთხელ, მგონი 1912 წელს, ეკატერინე გაბაშვილის იუბილე იყო. ბევრი საჩუქარი მიიღო – კარგიც, სასიამოვნოც, მოულოდნელიც და, ამათ შორის, ერთი საჩუქარი, ასე ვთქვათ, ერთი ადრესი, ერთი განსაკუთრებული წერილი კი ძალიან უცნაური იყო: მწერალ ქალს ულოცავდა თბილისის დუმა, სათათბირო, თბილისის ქალაქისთავიც და თვით გენერალი, კნიაზი არლუთინსკიც.

ულოცავდნენ იუბილეს, აქებდნენ ამ საგანგებოდ მომზადებული ადრესით, რომელიც დამშვენებული იყო ვენზილებითა და ჭვირნიშნებით და სხვა ათასი ამისთვის საჭირო რამით. ადრესის ბოლოში კი ეწერა, რომ ეკატერინე გაბაშვილს, კნეინა ეკატერინე გაბაშვილს, დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის განაშენიანებაში.

ეს იყო ძალიან უცნაური და მოულოდნელი თვითონ კნეინა ეკატერინესათვის, რომელსაც კნეინას პირობითად ვუწოდებთ, იმიტომ რომ საწყალ ხალხს მეორე ასეთი ქომაგი ძნელად ჰყოლია საქართველოში.

ეკატერინეს ძალიან გაუკვირდა, თბილისის განაშენიანებაში მე რა წვლილი უნდა მიმიძღოდესო, როდის რით შევხებივარ ან თბილისის სათათბიროს, ან კიდევ მშენებლობის საქმეებსო. როცა ამით დაინტერესდა, იქვე აუხსნეს საგუბერნიო მოხელეებმა, სწორედ ეკატერინე გაბაშვილის დამსახურებაა, რომ არსებობს თბილისში ახალი უბანი – ნაძალადევი, უფრო გასაგებად და უფრო შინაურულად რომ ვთქვათ – ნახალოვკა.

ნახალოვკა არის უბანი, რომლის დასახლებაც დაიწყო იძულებით, ყველანაირი კანონის დარღვევით. უბანი დაიბადა თბილისში სამუშაოს საძებრად ჩამოსული ხალხის წყალობით.

ეს ხდებოდა სწორედ ორი საუკუნის მიჯნაზე. იქ, სადაც ახლა ძველი ნახალოვკაა, ხალხი სახლდებოდა უკანონოდ, რასაც იშოვიდა, იმით იშენებდა პატარა სახლს და იქმნებოდა სრულიად ახალი და პატარა უბანი.

ნახალოვკა შენდებოდა მახათას მთის ძირიდან და თავიდან იყო ძალიან პატარა, სულ 10-12 მოსახლე თუ იყო იქა. ისინი სამუშაოს საძებრად წამოსულები იყვნენ ოჯახებით და რადგან ოჯახებით იყვნენ, როგორღაც უნდა დასახლებულიყვნენ და შეარჩიეს ეს თბილისისთვის საკმაოდ უკაცური ადგილი, ქალაქის ერთ-ერთ კიდეზე. ქალაქის ხელისუფლებას შეუმჩნეველი არ დარჩენია ახლად დაბადებული ერთი ბეწო უბანი და პოლიციაც მიავლინა ამბის გასაგებად: ვინ არის ეს ხალხი, უნებართვოდ რომ აშენებს სახლებსო. თუმცა, იმ

ნაშენებს სახლები ჯერ ძნელად დაერქმეოდა, ჯერჯერობით უფრო ქოხმახები იყო, მაგრამ მხოლოდ ჯერჯერობით.

პოლიციელებმა ამბავი მოიტანეს, რომ იქ ყველაფერი უკანონოა, საიდანღაც მოსული ხიზნები ბინადრობენო და მერე წავიდნენ უკვე რაზმად, რათა ეს ხალხი გამოეყარათ ამ სახლებიდან, სახლები კი დაენგრიათ, იმიტომ, რომ მიწა სახელმწიფოსი იყო, შენების ნებართვა კი არ არსებობდა.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი.

მახათას მთის ძირის ახალმოსახლეები მომზადებულები დაუხვდნენ საპოლიციო რაზმს. ლამის ომი გაუმართეს ქვებით, კომბლებით და ყველაფერ იმით, რაც ამ საქმეში ვარგა. პოლიციამ, ცხადია, არ ისროლა, იმიტომ რომ პოლიცია არ ისროდა უაზროდ და გამეტებულად ძველ დროში.

გამობრუნდნენ უკან ნაცემები, საქმე კი მივიდა თბილისის სათათბირომდე, დუმამდე, სადაც ჩატარდა კიდეც განხილვა და სწორედ ამ განხილვაზე მოხდა უცნაური ამბავი. იქ სადავო არაფერი იყო – ეს ხალხი უნდა აეყარათ და ხმასაც იოლად მისცემდნენ, მაგრამ ადგა ერთი ახალგაზრდა ხმოსანი, რომლის სახელიც ისტორიამ ალბათ შემოინახა, მაგრამ მე ვერ მოგახსენებთ, ჯიბიდან ამოიღო ერთი ქართული ჟურნალი და თქვა, აქედან ერთ პატარა მოთხრობას წავიკითხავ, მომისმინეთ და მერე მივიღოთ გადაწყვეტილებაო.

ეს მოთხრობა იყო ეკატერინე გაბაშვილის „მშიერაძის ოჯახი“. იქ აღწერილი იყო ამბავი სწორედ ასეთი უსახლკარო ოჯახისა, რომელიც თავისით რაღაცა ქოხს შეიჭედავს ქალაქის კიდეზე და მთელი არსი ამ მოთხრობისა იყო, რომ ამ პატარა ღატაკ ქოხშიც კი ბედნიერად ცხოვრობენ ადამიანები, როცა ისინი კარგები და კეთილები არიან.

როცა ახალგაზრდა ხმოსანმა მოთხრობის კითხვა დაამთავრა, თბილისის სათათბიროში დავა აღარ ყოფილა. ხმოსნებმა თქვეს, ჯანდაბას, ნუ ავყრით ამ საწყალ ხალხს, ოღონდ დავადგინოთ რაღაც სიმბოლური თანხა იმისთვის, რომ ეს სახლის აშენების ნებართვა იყიდონო.

თბილისში სახლის აშენება ძვირი არ იყო. დიდი არ იყო ის თანხაც, რომელიც სათათბირომ დააწესა მახათას მთის მიდამოებში მშენებლობის უფლებაზე და ასე გაიზარდა სწრაფად ეს უბანი – თბილისის ყველაზე მუშური უბანი, რომელიც მერე შეიქნა სწორედ იმ რეჟიმის მესაფლავე, რომელმაც მას არსებობის ნებართვა მისცა.

ასე რომ, ეკატერინე გაბაშვილს მართლაც მიუძღვის დიდი დამსახურება თბილისის ერთი უბნის წარმოშობასა და შექმნაში და ეგებ ნახალოვკაში სწორედ მისი ძეგლი უნდა იდგას.

მახათას მთის ამბავი კი, ერთი შეხედვით, უცნაური ამბავია. მტკვრის ერთ ნაპირზე ასეთი გამშვენებული და გამშვენიერებული მთაწმინდაა, მშენებარე, ლამაზი, მადლმოსილი და მადლისმფრქვეველი, მეორე ნაპირზე კი, ცოტა მოშორებით, მახათას მთა – უკაცური, არცთუ კარგად შესახედი.

მახათა იმიტომ ერქვა, რომ უცნაური და თვალში საცემი წვერი ჰქონდა.

მახათას მთას და მის მიდამოებს თბილისელები არასდროს ეტანებოდნენ და არც უყვარდათ.

ძველ დროში, რუსების შემოსვლის შემდეგ, თბილისში იშვიათად რომ ვინმე დასჯილიყო სიკვდილით, მაგრამ თუკი ვინმე დაისჯებოდა, მახათას მთაზე დგამდნენ ხოლმე სახრჩობელას. ეს შეიძლება ყოფილიყო 10-20 წელიწადში ერთხელ, იმიტომ, რომ თბილისში ასეთი დანაშაულები იშვიათად ხდებოდა, რომ ვინმე სახალხოდ დაესაჯათ სიკვდილით. მაგრამ რუსეთ-თურქეთის ბოლო ომის დროს, თბილისში სამხედრო დროის გამო, ძნელი და ცუდი საქმეები გადავიდა სამხედრო სასამართლოების ხელში და, შესაბამისად, დამნაშავეთა სიკვდილით დასჯაც გახშირდებოდა. მახათას მთა თბილისელებს არ უყვარდათ იმიტომაც, რომ იქ მოხდა ერთ-ერთი ასეთი ყველაზე შთამბეჭდავი და ათწლეულების მანძილზე დასამახსოვრებელი განაჩენის აღსრულება. თუ არ ვცდები, 1879 წელს მახათას მთაზე ჩამოახრჩეს ცნობილი ავაზაკი ტატო წულუკიძე.

ეს სიკვდილით დასჯა ისეთი შთამბეჭდავი შეიქნა თბილისისთვის, ამ მზარდი და გაცოცხლებული ქალაქისთვის, რომ მან ყველგან ჰპოვა ასახვა, და ცხადია, ხალხის განწყობაზეც იმოქმედა. მახათას მთისკენ გახედვა და იქით მშენებლობა, თესვა, ბაღის გაშენება არავის უნდოდა. ტატო წულუკიძე კიდევ საკმაოდ ღრმად დარჩა იმ წლების ქართულ ნაწერებშიც და ყოველდღიურ თხრობაში. ეს იყო ახალგაზრდა და სიმპათიური კაცი. რომანტიკული ყაჩაღის იერი ჰქონდა. 26 წლისა იყო, როცა სიკვდილით დასაჯეს. მის შესახებ არსებობს წიგნაკიც, ერთი ვინმე ფინკელის ავტორობით: „რაზბოინიკ ტატო წულუკიძე".

წულუკიძეს ჰყავდა თავისი ბანდა – გუნდი, როგორც მაშინ ერქვა, და ყაჩაღს კი არ ეძახდნენ, არამედ ავაზაკს. ამ სიტყვით ჯობია რომ მოვიხსენიოთ. სწორედ ამ სამხედრო დრომ და სამხედრო ტრიბუნალმა გამოუტანა მას სასიკვდილო განაჩენი.

ტატო წულუკიძის ცხოვრება და ისტორია მოთხრობილია ანტონ ფურცელაძის პიესაში „ავაზაკნი", რომელიც აგებულია სწორედ წულუკიძის ბანდის ცხოვრებასა და საქმიანობაზე. რა თქმა უნდა, იქ არის

რაღაცეები შილერის „ყაჩაღებისა“, მაგრამ პოპულარული პიესა იყო და სპექტაკლიც პოპულარული, როცა კი იდგმებოდა.

გარდა ამისა, ამბობენ, რომ ტატო წულუკიძის ჩამოხრჩობის ამბავი ასახულია ასევე ილიას საუკეთესო მოთხრობაში „სარჩობელაზედ“, სადაც ეს ისტორია – ჩამოხრჩობის სცენა – თითქოს აღებულია პირდაპირ წულუკიძის ჩამოხრჩობის ამბიდან. თუმცა, ეს მთლად მართალი ვერ გამოდის, იმიტომ რომ მოთხრობამ მოასწრო წულუკიძის ჩამოხრჩობას. ასე რომ ვთქვათ, მოთხრობა გამოქვეყნებულია წულუკიძის დატუსაღებასა და მის ჩამოხრჩობას შუა და, როგორც ახლა ამ ამბების მთხრობელები და კომენტატორები ფიქრობენ, ილიას არ გაუჭირდებოდა იმის გამოცნობა, თუ რით დამთავრდებოდა ტატო წულუკიძის ამბავი.

რახან ჩამოხრჩობისა და დამნაშავეთა დასჯის ამბავი იშვიათი იყო, ხალხი ძველ შემთხვევებს არ ივიწყებდა. მაგალითად, ტატომდე ოცი წლით ადრე დასაჯეს ორი კაცი, ორი თბილელი ავაზაკი – შუბაშვილი და ვინმე ისმაილა. ამათ ჩაიდინეს იმ დროისთვის გაუგონარი ამბავი.

იყო ასეთი თბილისელი ოქრომჭედელი ჯორჯიევი და შუბაშვილმა და ისმაილამ თვალი დაადგეს ამის საოქრომჭედლო დუქანს. ამისთვის დაუახლოვდნენ ამ ჯორჯიევის ნოქრებს.

შემჩნეული ჰქონიათ, თითქოს საღამოობით დუქანს ნოქრები კეტავდნენ და გასაღებიც მათ მიჰქონდათ. ჰოდა, დაუახლოვდნენ. ერთ-ორ თვეში კიდეც დამეგობრდნენ, დადიოდნენ ერთად დუქნებში, ატარებდნენ დროს და ბოლოს კი დახოცეს ეს საწყალი ნოქრები, რათა გასაღები აერთმიათ. ოღონდ აღმოჩნდა, რომ ჯორჯიევი მათ არასდროს ანდობდა ხოლმე თავისი დუქნის გასაღებს. ამიტომ, ჩაიცვეს მათი ტანსაცმელი და საღამოზე მიადგნენ დუქანს, ვითომდა ნოქრები იყვნენ და თავიანთ ხაზეინს მიაკითხეს. ოღონდაც ხაზეინი მიუხვდა და კარი არ გაუღო, რის შემდეგაც ისინი მალევე დაიჭირა პოლიციამ, რახანღა გვამები ნახეს.

ანტონ ფურცელაძის პიესაში „ავაზაკნი“, იმ სცენაში, სადაც ტატოს ბანდის წევრები ქეიფობენ, ერთი ავაზაკი ამბობს ასეთ სიტყვებს: დაასხი, დაასხი, სანამ შუბაშვივით სახრჩობელის თეთრ სუდარას ჩაგვაცმევენო.

ეს არ არის მარტო პიესის გამოთქმა, ის თბილისში დადიოდა კარგა ხანს და ხშირად იტყოდნენ ხოლმე ადამიანები ქეიფის, სმის და დროსტარების დროს: დაასხი, დაასხი, სანამ შუბაშვივით სახრჩობელის თეთრ სუდარას ჩაგვაცმევენო.

ჩვენთვის ძნელი გასარკვევია, ეს ანტონ ფურცელაძემ წაიღო ხალხ-

ისგან, თუ ხალხმა წაიღო ანტონ ფურცელაძისგან. ასეთი გამოთქმები არსებობდა და საკმაოდ ბევრიც.

პირქუში იქით იყოს, და ერთი ხალისიანი გამოთქმის გახსენებაც შეიძლება. თბილისში გაიგონებდით ხოლმე ასეთ შეძახილს: „ჰაი, ჰაი, ბეკალმაშევ, სადა კვდები?“ ამას ჩვეულებრივ შესძახებდა ხოლმე კარგ გუნებაზე მყოფი კაცი, რომელიც რაღაც კარგ ამბავში იყო და უცბად ფეხი წაუცდებოდა. ამ გამოთქმას თავისი კარგა ძველი და სერიოზული საფუძველი ჰქონდა.

ერთ დროს თბილისს ჰყოლია თავისი კაზანოვა. ეს იყო რუსი ოფიცერი ბეკალმაშევი, რომელიც თბილისში დაბერდა და თბილისში გავიდა თადარიგში და აქვე დარჩა. თურმე ვერავინ ვერ მოსთვლიდა მის სასიყვარულო თავგადასავლებს, მის ამურულ ფათერაკებს. ერთი პატარა თბილისური ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ბეკალმაშევი, უკვე გვარიანად ჭაღარა გარდაიცვალა, სწორედ მაშინ, როცა მორიგ საყვარელთან იყო სახლში და არა მარტო სახლში, კიდევ უფრო ახლოს და ახლოს. როგორც ჩანს, ბეკალმაშევს ინფარქტმა უწია და, როგორც ამბობენ, სწორედ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, მგონი, ქართულად ნასროლი: „ჰაი, ჰაი, ბეკალმაშევ, სადა კვდები?“

რახან მივადექით ამ ფასიან თუ უფასო ტრფობის ამბავს, მაშინ უნდა გავიხსენოთ ერთი ასეთი თბილისური გამოთქმაც: წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში დგას ორი ჩვეულებრივი თბილელი მოქალაქე, არცთუ ევროპული ნაწილიდან და მათ წინ კი ქალმა ჩამოიარა. მოგეხსენებათ, იმ დროში ადამიანის ჩაცმულობა იძლეოდა პასუხს მის პროფესიაზე, მის რაობაზე, მის წარმომავლობაზე. ჩაცმულობა ყველაფერს შიფრავდა. ასევე იყო ქალის ჩაცმულობაც. ჰოდა, როცა დაინახავდნენ გარკვეული სტილით ჩაცმულ ქალს, ქუჩაზე მომავალს, ორი მოსაუბრიდან ერთი აუცილებლად ეტყოდა მეორეს: „იცი რას გეტყვი, ძმობილო? მე მგონი ეს ჩვენი უბნისა არისო“.

„ჩვენი უბნისა“ ნიშნავდა, რომ ეს ქალი მეძავი იყო. „ჩვენს უბნად“ კი იგულისხმებოდა მეიდანი – შეითან ბაზარზე, აბანოების უკან, სადაც იყო სწორედ თბილისური ბორდელები. სწორედ ეს ადგილი ნიშნავდა პირობითად „ჩვენს უბანს“ და იგი განკუთვნილი იყო უფრო უბრალო ხალხისთვის. ერთი კი იყო, რომ ხმაურობამ, მუდმივმა არეულობამ თათრის აბანოების უკან გამოიწვია ისა, რომ იქ მცხოვრებმა თბილისელმა სუნიტებმა დიდი საჩივრები ატეხეს და, ბოლოს და ბოლოს, ისეთი ხმაც მიაწვდინეს ქალაქის ხელისუფლებას, რომ ეს სახლები აქედან გაატანინეს. „ჩვენი უბნისთვის“ იპოვეს ერთი

მივარდნილი ადგილი, ორთაჭალის ერთ-ერთი ქუჩაბანდი, რომელსაც, თუ არ იცოდი, ვერ გადააწყდებოდი.

საერთოდ, მეძავების გამოჩენის ისტორია თბილისში საინტერესოა. საქართველოში ასეთი რამ ადრე არ იყო და მეძავები ქართველებმა პირველად ნახეს მეცხრამეტე საუკუნეში. ესენი იყვნენ რუსის ჯარის ნაწილებს ადევნებული ქალები.

ხოლო მას შემდეგ, რაც რუსებმა დაიწყეს საქართველოში საფოსტო გზების გაყვანა, ანუ ჩვეულებრივი გზების, რომლებზეც ხალხს უნდა ეცლო პერეკლადნოით, ანუ ეკიპაჟით, სურათი შეიცვალა.

რუსეთში გზებზე იყო საფოსტო სადგურები და საქართველოშიც ამ ყაიდაზე გაკეთდა, მაგრამ რახან რუსული და ქართული მანძილები შეუდარებელი იყო, ამიტომ ხშირად გზის პირზე იყო ტრაქტირი და არა საფოსტო სადგური. თანდათან სწორედ ტრაქტირებში გამოჩნდნენ მეძავებიც. ეს მეძავობა ძალიან საბრალო რამ იყო. ესენი იყვნენ ქართველი გლეხის ქალები, რომლებსაც, თუ მოუხერხდებოდათ, ბატონები ყიდდნენ მეტრაქტირეებსა და ვაჭრებზე. შორს რომ არ წავიდეთ და „გლახის ნაამბობი“ წავიკითხოთ, ისიც გვეყოფა.

წავედით, წამოვედით და ისევ მაინც სევდასთან მოვედით.

იმ ნასროლ სიტყვას ჰქონდა მაგიური ძალა, განსაკუთრებით, თუ ეს სიტყვა ნასროლი იყო სცენიდან. ისე მოივლიდა ხოლმე უცებ ქალაქს, ისეთ განწყობილებას ქმნიდა, რომ შეიძლება აჯანყებაც კი დაწყებულიყო.

სწორედ რევოლუციის დროს ქუთაისში ლადო მესხიშვილმა ჟანდარმებით გადაჭედილ თეატრში ხუთჯერ გაიმეორა რეპლიკა, „ხალხისათვის ვიბრძოლოთ!“ ორჯერაც არ მოეთხოვებოდა, მაგრამ ის იმეორებდა. რევოლუცია იყო!

25 წლით უკან რომ დავიხიოთ, ერთი ამბის გახსენებაც შეიძლება.

თბილისში, სატივოზე, იყო პატარა თეატრი – ტაიროვის თეატრი. იყო ცნობილი რუსული ოჯახი – პალმების ოჯახი, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული ეს თეატრი. თვითონ ყველანი მსახიობები იყვნენ – დედ-მამაც, შვილებიც და მოღვაწეობდნენ თბილისში. ჰოდა, ამ თეატრში იდგმებოდა იმ დროის ყველაზე პოპულარული და ახალდაბადებული პიესა, რომელმაც ქართველების გონებაში გადატრიალება მოახდინა.

ეს იყო პიესა „სამშობლო“, რომელიც დავით ერისთავმა გადმოაქართულა და ალბათ გადმოარუსულეს კიდეც, რახან პალმებთან რუსულად იდგმებოდა. ფრანგული პიესა იყო, ვიქტორ სარდუსი, ეს მოქმედება კი გადმოტანილი იყო ქართველებსა და სპარსელებზე.

ამ პიესის ამბავი მოსკოვამდე მივიდა, რახან ბოლოს სცენაზე ქართული დროშა გამოჰქონდათ. ცირკს მიჰყიდონ ეგ დროშაო, კადკოვმა დაწერა, მეფის ძმაკაცმა და „მასკოვსკიე ვედომოსწის" რედაქტორმა. მერე ილიამ უპასუხა.

მოკლედ, დარჩენილია უბრალო თბილისელი მუშის, გიგო ბასილაშვილის მოგონება, რომ ამ თეატრში მან და მისმა მეგობრებმა უყურეს ამ სპექტაკლს და შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ როცა დამთავრდა, გარეთ გამოცვივდნენ და რახან სატივო მტკვრის პირია, დაინახეს თათარი თულუხჩები, თბილისის წყლით მომმარაგებელი წესიერი, მშრომელი ხალხი. თულუხჩები ავსებდნენ თავიანთ კოკებს სახვალიოდ. ჰოდა, ეს ბიჭები ეცნენ მათ და დასცხეს, დაუმტვრიეს კოკები. ატყდა დიდი ამბავი და ყველა წაიყვანეს პოლიციაში. მალევე მიახვედრეს, ციმბირს იქით რომ ქვეყანაა, იქ მოხვდებითო, იმიტომ, რომ ასეთი ჩხუბი თბილისში იშვიათი იყო. მაგრამ იმდენად დიდი იყო ზემოქმედება ნანახისა, იმდენად გულწრფელი იყო განცდა და ისე ვიწროვდებოდა უცებ სამყარო, რომელიც იმავდროულად ფართოვდებოდა, რომ ბასილაშვილი წერს, სულაც არა მქონდა იმის დარდი, ციმბირში მოვხვდებოდი თუ არა, იმას ვფიქრობდი, იმათ რა დაემართებათ, სცენაზე ვინც დარჩნენო. პოლიციელები გაერკვნენ, დაიჯერეს და აპატიეს.

აი, ასეთი ხალხი იყო და აი, ასეთი განცდა სდევდათ, მაგრამ ბასილაშვილისა და მისი მეგობრებისთვის მაინც უნდა გვეთქვა კიდევ ერთი თბილისური გამოთქმა: ნუ გაგიჟდები ახლა ასლანას ყოჩივითო.

ესეც ძალიან ცნობილი ფრაზა იყო.

ასლანა ბაყალი ცხოვრობდა მეტეხს დაბლა. იქ იყო საბაყლო დუქნების გრძელი რიგი და ასლანა კი გახლდათ დიდი ტრფიალი ყოჩების ბრძოლისა.

ყოჩების საბრძოლოდ მომზადების სისტემაც კი არსებობდა, თუმცა ყველა მეყოჩეს თავისი ხერხი ჰქონდა. ძირითადად კი ყოჩს მარტო პურს აჭმევდნენ და ჯაჭვზე ჰყავდათ დაბმული. ამიტომ ყოჩები შარიანები იყვნენ და გადარევა იცოდნენ. მაგრამ ასლანას ყოჩი იყო მთლად არანორმალური და პატრონიც ვერ აკავებდა ხოლმე.

ასეთი იყო თბილისი ალექსანდრე მეორის რეფორმების შემდეგ – ყოველდღიურად ცვალებადი, მზარდი და მადევარი ხალისისა და ნამდვილი გრძნობისა. ის მორჩა, როგორც თავადთა და ვაჭართა ქალაქი და იქმნებოდა ხალხის ქალაქად.

— თეატრი —

განა მოულოდნელობაა, რომ ხალხის ქალაქში შეიქმნა თეატრი; მოვიდა თეატრი, რომელმაც გადარია ქვეყანა და რომელმაც ლამის რელიგიის ფორმა მიიღო.

პირველი ქართული პროფესიული თეატრალური დასი. ლამაზები, კარგები, მონდომებულები, საყვარლები. ნამდვილი ქართველი მსახიობები, მათგან ნასროლი სიტყვა, იმედისა და ერთობისა, პატიოსნებისა, სიყვარულისა. ეს საოცრება იყო.

არა იმიტომ, რომ ისინი დიდი მსახიობები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ საკუთრივ თეატრი ნიშნავდა საქართველოსთვის ერთ ახალ გზას, ერთ ახალ ამოსუნთქვას, დიდსა და უსასრულოს.

იყო ასეთი დრო, რომ საქართველოში ყოველ შესახვევში თეატრი იყო. ის, რაც ადრე ხასიათში ჰქონდა ქართველობას, წარმოდგენის უნარი და სურვილი, ახლა გამხდარიყო საყოველთაო. მაგრამ იქამდე იყო ის პირველი პროფესიული დასი.

ის შეიქმნა იმ დროებაში, როცა „დროება“ წერდა დასაწერს, როცა დასრულდა რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი, როცა საქალაქო რეფორმამ მისცა ხალხს ამოსუნთქვა.

ჰოდა, მხოლოდ თბილისით ნუ შემოვსაზღვრავთ. ეს საქართველოს დასი იყო.

პირველი ქართული თეატრალური დასის პირველი გასტროლები იყო განუმეორებელი ამბავი. ნამდვილი ჩვენებური გულის ამბავი.

დასმა პირველი წარმოდგენები გაზაფხულზე გამართა თბილისში, ზაფხული კი საგასტროლოდ აირჩია. მარშრუტი გრძელი გამოდიოდა

და ლამის მთელ ზაფხულს დაიჭერდა: გორი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და მერე უკანა გზაზე ისევ ფოთი, ისევ ქუთაისი და ასარჩევად, ან ბორჯომი, ანდა ახალციხე. ეს თეატრალური დასი ისედაც დიდი არ იყო და გასტროლებისთვის სულ ცხრა მსახიობი იყო მზად – ხუთი კაცი და ოთხი ქალი. გასტროლების წინ კი ისეთი ვითარება შეიქნა, რომ რეჟისორმა და დასის საძირკვლის ჩამყრელმა გიორგი თუმანიშვილმა წაყოლა ვერ შეიძლო.

კაცები და ქალები-მეთქი, კი ვთქვი, მაგრამ ჩვენში ბიჭებს და გოგოებს უფრო ეძახიან ამ ასაკის ხალხს. დასის უფროსი წევრი 27 წლისა იყო, დანარჩენები ოცი-ოცდაორისანი იქნებოდნენ. მოკლედ, საგასტროლო გუნდში შედიოდნენ ვასო აბაშიძე, ასიკო ცაგარელი, ზაალ მაჩაბელი, ნოდარ ჯორჯაძე, კოტე ყიფიანი, ბაბო კორინთელი, მაშო ყიფიანი, ნატო გაბუნია და მაკო საფაროვა. ეს ცხრა ადამიანი თამაშობდა სპექტაკლებს და, თუ საჭირო შეიქნებოდა, შეიძლებოდა გზადაგზა ვიღაცეების დამატება, ეს იოლი იყო ხოლმე მაშინ. მაგალითად, ქუთაისში კოტე მესხი დაემატებოდა ხოლმე და ასე. სცენის მოყვარეებს რა დალევდა საქართველოში, სცენაზე გაგოგმანების მსურველიც ბევრი იყო.

დასს თან ახლდა სუფლიორი – გიგო ყიფშიძე, ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და მთარგმნელი, კარგი მთარგმნელი, სხვათა შორის, იმიტომ, რომ მაშინ ყველა თარგმნიდა, კარგი კი სულ ერთი-ორი იყო. გიგო ყიფშიძე „ივერიაში“ ილიას მარჯვენა ხელი იყო წლების მანძილზე, ძალიან კარგი კაცი და სცენით აღტაცებული.

როგორც ყველა ნამდვილ დასს, ამ დასსაც ჰყავდა თავისი ადმინისტრატორი, ეს იყო ადამ ჩუბინაშვილი; და, რაც მთავარია, დასს ჰყავდა პარიკმახერი. დღევანდელ ენაზე რომ ვთქვათ, გრიმიორი და ვიზაჟისტი. ეს იყო დავით ამირეჯიბი.

მოკლედ, იმნაირი გვარ-სახელის ხალხი შეყრილიყო ამ დასში, რომ მათით თავად-აზნაურთა საკრებულოს დაკომპლექტება შეიძლებოდა. ეს იყო ღარიბი, თუმცა ძალიან კარგი და მხიარული დასი. აშკარა იყო, რომ მოგზაურობა იქნებოდა ძალიან მხიარული და სასიამოვნო. ეს იყო საექსკურსიო-შემეცნებითი სულის მატარებელი გასტროლი, იმიტომ, რომ ბევრი რამ თვითონ დასის წევრებისთვისაც აღმოჩნდა მოულოდნელი და სასიამოვნო და ძალიან გააფართოვა ამ ახალგაზრდების თვალსაწიერი.

ასე იყო მაშინ საქართველოში.

როგორღაც ისე გამოდგა, რომ ზღვა არც ერთს არ ჰქონდა ნანახი.

მათ მთავარ ბარგს შეადგენდა ორი დიდი ზანდუკი. იქ ეწყო რეკვიზ-

იტი და მერე გიორგი თუმანიშვილი ატანდა მატარებელს, თუკი რამ კიდევ დასჭირდებოდათ.

პირველი გაჩერება იყო გორი, თბილისელებისთვის ყველაზე ახლო ქალაქი და ნატო გაბუნია საერთოდაც გორელი იყო და ძალიან ბევრი ამხანაგი ჰყავდათ მსახიობებს ამ ქალაქში.

ერთი დელიკატური მომენტი ის იყო, რომ უბირი ხალხი და არაუბირი ტრადიციონალისტები ამბობდნენ, ქალის სცენაზე გამოსვლა არ შეიძლებაო, და ეს გოგოები ამ მხრივ ნამდვილი გმირები იყვნენ.

გორი, საერთოდ, ერთ-ერთი აკვანია ქართული თეატრისა. ჰოდა, პირველი პროფესიული დასის პირველი ჩამოსვლა ამ ქალაქში გადაიქცა ნამდვილ საქალაქო ფესტივალად. ძალიან ბევრი მეგობარი დახვდათ სადგურზევე, რაც სრულიად არ იყო მოულოდნელი. მგონი, იმპერატორი რომ ჩამოსულიყო გორში, ამდენი ხალხი მაინც არ გამოვიდოდა სადგურზე, და იქვე დაიწყო ქართული გაწევ-გამოწევა, შენ ჩემთან დარჩი, შენ ჩემთან წამოდი და მთელი ამბავი. დასისთვის ბინა-ბინა დაყოფა არ შეიძლებოდა. ვითარება ისეთი იყო, რომ ამ მასპინძლობაში ერთმანეთს დაკარგავდნენ. საცხოვრებლად სამი ოთახი შეურჩიეს ზუბიაშვილების სახლში, რომელიც მერე მირზოევის ხელში გადავიდა. ასე ნაწილდებოდნენ: გოგოები ცალკე, ბიჭები ცალკე. რაღაც ძალიან ახალგაზრდული ამბავი იყო. სამი ოთახი საკმარისი იყო, ერთ ათ დღეს რჩებოდნენ გორში.

თანაც, გამოსადეგი დარბაზი იყო საძებარი. მაშინ თეატრალური დარბაზები ქალაქებში არ იყო.

ამ გასტროლების დროის დარბაზები და სცენები ძალიან შორსა დგას ნამდვილი თეატრალური დარბაზებისგან. მიმსგავსებულიც კი არ არის. საწარმოდგენოდ შესაძლოა რესტორანიც გამომდგარიყო, ან სკოლის დარბაზი.

იპოვეს სათამაშო ადგილი გორის ძველ ხიდთან, როტონდა ერქვა და იქ მართავდნენ წარმოდგენებს ღია ცის ქვეშ.

მოგეხსენებათ, საქართველოში როგორი დახვედრა და მასპინძლობა იციან და მით უმეტეს, ასეთი პირველი და თავისებურად უნიკალური მოვლენისა როგორი იქნებოდა. გორში მაშინ დრამატურგებიც კი ცხოვრობდნენ, დღეს დავიწყებულნი. მაგალითად, აღალო თუთაშვილი, რომელმაც, პირდაპირი მნიშვნელობით, ტყავი გაიძრო. ასიკო ცაგარელი იგონებს: ძალიან უცნაური გასტროლი იყო, ფული არაფერში არ გვეხარჯებოდა, თუ ჩვენთვის რამეს არ ვიყიდდით ჩუმად, ვთქვათ, კეპს ან ჟილეტს, თორემ გვერდზე ვინ გაგვახედებდაო. ბილეთე-

ბზე იყო ნამდვილი წყვეტა. ისინი თამაშობდნენ ყოველდღე. მოუწიათ. შემოსავალი რჩებოდა დასს და ნაწილდებოდა, ხოლო ჭამა და ღამის გასათევი გამოდიოდა უფასო. ვინ იკადრებდა, გადაეხდევინებინა. იმხელა სიხარული იყო.

ადამიანები მიდიოდნენ ამ წარმოდგენებზე, როგორც ჯადოსნობაზე.

აღალო უმართავდა ყოველდღე სადილებს, უკვე ეუხერხულებოდათ, ისე იხარჯებოდა. მთელი გორი ფეხზე იდგა – აბა, რა გჭირდებათ, აბა, როგორ გინდათ, აბა, სცენის ამბავი – ფარდა, მე მოვიტან ფარდას, შევკერავ. ასეთი ვითარება იყო. თეატრი ქმნიდა რაღაც ერთობას, მთელ ქალაქებს აერთიანებდა ხოლმე ძალიან უბრალო და ხალისიანი წარმოდგენების გარშემო.

ნიკო დიასამიძე იყო ცნობილი გორელი მემამულე. ივანე მაჩაბლისა და აკაკის მეგობარი და ცნობილი თავისი სიფიცხით. მგონი, აკაკის სახუმარო ლექსიცა აქვს მის სიფიცხეზე. ფიცხი და პირდაპირ მთქმელი კაცი, რომელთანაც ლაპარაკიც ყველას უჭირდა. ჰოდა, ეს კაცი, როგორც მოსამსახურე, აყუდებული იყო ყოველდღე თავის მოურავთან ერთად ზუბიაშვილების სახლის წინ და როგორც კი ფანჯარაში გამოჩნდებოდა რომელიმე მსახიობი, ეძახდა: რა გავაკეთო თქვენთვის, მითხარით, ნუ გერიდებათო.

გორით დაიწყო და აბა, ლიხს იქით როგორია.

კოტე ყიფიანის გარდა, ყველანი პირველად ხედავდნენ იქეთა საქართველოს და თან მატარებლის ფანჯრიდან. ქუთაისისკენ სვლა, იმერეთის ბუნება და გორული ძღვენით გამოტენილი კუპეები. გორელებმა ხომ უხვად იციან ხოლმე. შეიძლება მრავალფეროვანი არ იყოს, მაგრამ რაც არის, ძალიან უხვი და ბარაქიანია. მგზავრობას თან ახლდა გადასარევი ქართლური ღვინოებიც და, მოკლედ, ეს იყო ერთი სიამოვნება. თანაც, იქ რომანები იყო გაბმული, ვასოს და მაკო საფაროვას ერთმანეთი უყვარდათ.

მაგრამ ესე ყოველი დაავიწყდათ, როცა იხილეს ქუთაისის სადგური. იქ იყო კივილი და თაიგულების ყრა. კოტე მესხი სადგურში მივიდა მატარებლის ჩამოსვლამდე სამი საათით ადრე და მთელი ეს დრო ხალხის მწყობრად დაყენებას შეალია. მოწაფეები, ბარიშნები, აზნაურიშვილები, აფიცრები, ვაჭრები და დღესასწაული.

იმ დროის ქუთაისი იყო სრულიად განსაკუთრებული ქალაქი და ყველაზე მოწინავეც მაშინდელ საქართველოში; საკმაოდ შეძლებულიც და მშვენივრად აწყობილი ქალაქი. იქ ცხოვრობდა ინტელიგენცია და ბურჟუაზია.

სასტუმრო საუკეთესო, რაღა თქმა უნდა, სართული გადაკეტილი. ეს იყო ბულვარის კიდეზე, და მგონი სასტუმროს ერქვა „ივერია.“ მერე იმ ადგილას იყო ხარაზოვის ცნობილი თეატრი.

და ქუთაისშიც არ აღმოჩნდა ისეთი დარბაზი, რომ თეატრს ოდნავ მაინც მგვანებოდა. მაგრამ აღმოჩნდა ცირკის შენობა. ცირკის ფიცრული, უფრო სწორად რომ ვთქვათ. ხისგან შეკრული დროებითი ნაგებობა, რომელიც თუნუქით დაეხურათ და ხომ იყო ზაფხული და ძალიან ცხელოდა და ეს თუნუქი ხურდა და მთლად ხელს უთავებდა. ჰოდა, იყო შტოფებით წყლის ჩადგმა, სველი ხელბანდების მოტანა და მთელი ამბავი.

ქუთაისში რომ „პეპოს“ თამაშობდნენ, ქალაქი ცარიელი იყო. ვინც შიგნით იყო, იყო, ვინც არა და ბულვარში იდგა და უსმენდა ცირკიდან გამომავალ სიცილ-ხარხარს.

დახვედრა, რა თქმა უნდა, იყო ინტელიგენტურ-ბურჟუაზიული და აქაც პირველი, რაც გაგვიკვირდა და, გაგვიკვირდა საჭმელების გემოო. სხვანაირი გემო ჰქონდა აღმოსავლეთთან შედარებითო.

იმატებდა და იმატებდა მასპინძლობის რაღაცა გიჟური სურვილი. დილიდანვე ჩამწკრივებული გიმნაზიელები, გოგოები, ბიჭები, ყველანი – რა გავაკეთოთ თქვენთვისო? ცირკში მთელი რემონტი შეიქნა საჭირო, რომელსაც კოტე ყიფიანმა უხელმძღვანელა და მუშაობდნენ სულ მოხალისეები. სცენის მხარე უნდა გარემონტებულიყო, რომ იქ წარმოდგენა გათამაშებულიყო, შპალერის მოტანა, სახლში ჭაღების მოხსნა და იქ ჩამოკიდება. ვინ დაინანებდა? უხაროდა ყველას, იმიტომ რომ ეს მოვლენა იყო. პირველი იყო. უხაროდათ, რომ ხედავდნენ ამ ახალგაზრდა, ლამაზ ხალხს. უკეთესი რა უნდა ენახათ!

ერთხელ მოვიდნენ ქუთაისელი ქალები და მოუტანეს მსახიობებს ცხრა ერთნაირი პერანგი, ხელით ნაკერი. შეუკერეს ლურჯი ნაჭრისგან – მეზღვაურებისას ჰგავდაო, ასიკო იგონებს, და მოვერცხლილი ახალციხური ღილებით და თეთრი კანტებით იყო დამშვენებულიო. ამათ ჩაიცვეს, როგორც ფორმა და ასე დადიოდნენ ქუთაისში. სრული აღტყინება და ბედნიერება და ვის რა ეჩუქებინა, აღარ იცოდა. საჩუქრები იყო ისეთიც, რომ მთელი სიცოცხლე გამოჰყვათ ქალებს.

გზა იდო ბათუმისკენ თუ ფოთისკენ, მაგრამ ბათუმისკენ პირდაპირ ვერ წახვიდოდი: სულ წელიწადი, ცოტა მეტი იქნებოდა, რაც ბათუმი რუსეთის იმპერიას დარჩა თურქეთთან ბოლო ომის შემდეგ და ამიტომ იქით ჯერ რკინიგზა კი არა, კარგი გზაც არ იყო. ბათუმში წასასვლელად ჯერ ფოთში უნდა ჩასულიყავით, იქ დამჯდარიყავით გემზე და ზღვით მიგეღწიათ. ბათუმისა არ იყოს, ფოთიც სწრაფად მშენებარე

ქალაქი იყო. მოკლედ, წინ ბევრი საქმე იყო, იმის მიუხედავად, რომ ქუთაისური მასპინძლობის შემხედვარე ამ ქალაქიდან წასვლა ძალიან ჭირდა, მაგრამ რას იზამდი. ჰო, ქუთაისში იქორწინეს ვასომ და მაკომ, იქავე, სასტუმროში. ეს იყო დასის პირველი წყვილი. მეორე წყვილი კი იყო ასიკო ცაგარელი და ნატო გაბუნია. ასე რომ, ყველაფერი მიდიოდა ძალიან მხიარულად და ისე, როგორც მიდის ხოლმე ახალგაზრდებში.

ძალიან დასიცხულები მოდიოდნენ ქუთაისიდან, დასიცხულები და დაღლილები. მივიდნენ ფოთში და ფოთმა გააოცა ისინი, იმიტომ, რომ მოხვდნენ იქ, სადაც რიონი უერთდება ზღვას. ჰოდა, გოგოები ძალიან აღელდნენ, თავიდან რიონი ეგონათ ზღვა, იმიტომ რომ ძალიან ფართოვდებოდა იმ ადგილას, სადაც ზღვას უერთდებოდა. ორ კორტოხს არ ვიყავით გაცილებული იქითო და აქეთ კიდევ მოხვდნენ ზღვასთან. ფოთი იყო დახაზული ქალაქი. თბილისს მიჩვეულ ხალხს ფოთი აოცებდა. პატარა კი იყო, მაგრამ სწორი ქუჩებით. ასევე იყო ბათუმიც, რომელიც მერე ნახეს და ნეტა თბილისს ჰქონდეს ასეთი ქუჩები და პარკიო, ამბობდნენ. ამდენი ევროპელი კი, ფოთში რომ ირეოდა, ერთად არასდროს გვენახაო.

ძალიან შთამბეჭდავი იყო ეს ყველაფერი და მოულოდნელი. თან ზღვა, თან გემები. ბათუმისკენ მავალი გემი სულ სამი იყო. ერთს ერქვა „ბაბუშკა", მეორეს – „დედუშკა" და მესამეს – „რიონი". პატარა გემები იყო და მოძრაობდა როგორც ტრანსპორტი ხალხისათვის ბათუმამდე.

ფოთში იშოვეს სკოლის დარბაზი.

ქალაქში ორი მაგარი სასტუმრო იყო, ერთი ფრანგებისა – „შარკო" და მეორე – „ალაინი", სადაც ესენი დაბინავდნენ. და გამოჩნდა მასპინძელიც, ჯამბაკურ გურიელი, ბრწყინვალე თავადი. ფოთის გასტრონომიამ საერთოდ გადარია გოგო-ბიჭები, იმიტომ რომ აქ უკვე გამოჩნდა მეგრული და გურული ამბები. მაინც ოსმალურიც ერია ჩვენს საკვებში, მაგრამ რაოდენობამ საერთოდ წაგვლეკაო. საუზმეზე მოჰქონდათ ოთხი თავი საჭმელი და სადილზე – რვა. ეს ჩვეულებრივ დღეებში, როცა წარმოდგენა იყო და მათ დროსტარება და ქეიფი არ შეეძლოთ. ჯამბაკურ გურიელს ჰყავდა ცოლი, ელეონორა, რომელიც სულ თან დაჰყვებოდა და ეკითხებოდა, „ჩვენო ლამაზებო, ჩვენო კარგებო, ჩვენო ლამაზებო, ჩვენო კარგებო, რა გაგიკეთოთ?" – ასე ხვდებოდა საქართველო თავის პირველ დასს თავის ქალაქებში.

ერთ დღესაც ჯამბაკურმა გაშალა უგრძესი სუფრა ფოთის პარკში. დაიწყეს და დააღამდათ ამ სუფრაზე და როცა ეგონათ, რომ ყველაფერი დამთავრდა, ჯამბაკურმა – აბა, ახლა მოვიდა შამპანურის და სხვანაირი

დროსტარების ჟამიო და დაიწყეს ნავების ერთმანეთზე გადაბმა და ტივების შეკვრა და აბა, შევცურეთ პალიასტომშიო. ასეთი ქეიფიც მოუწყო ამათ შუა წყალში. ეს იყო მართლა შთამბეჭდავი მსახიობებისთვის, იმიტომ, რომ მსგავს რამეებს აქამდე არასდროს გადაჰყროდნენ.

ეს იყო პირველი მართლა პოპულარული ხალხი საქართველოში.

ესენი იყვნენ პირველები. დამხვდურები სახეზეც არ იცნობდნენ მათ, მაგრამ რახან ყველაფერი ხდებოდა ბუნებრივად და რახან ეს იყო თეატრი და ხელოვნება, ყველა მოვალედ რაცხდა თავს, მათთვის იმაზე მეტი მიეცა, რაც შეეძლო.

იქ იყო ნომრებში პალიასტომის ლოქოს შემოყრა და რაღაც სიგიჟეები.

ასე ხვდებოდნენ ღარიბ მოგზაურ არტისტებს საქართველოში.

ისევ პირადი საჩუქრები ჯამბაკურ გურიელისგან და, რა თქმა უნდა, გემი „ბაბუშკა“ და ბათუმი. ხოლო ბათუმი არის სულ სხვა ქალაქი. დიდი ნავსადგური, რუსული ადმინისტრაცია, „ვაენნი გარადოკი“, სადაც არის კარგი ქართული ოფიცრობა. აქ არიან ქართველები, უამრავი უცხოელი და აქ არიან ადგილობრივი მუსლიმი ქართველებიც, რომლებიც სულ ცოტა ხანია, რაც საზღვარს აქეთ მოხვდნენ. ყველაფერთან ერთად ბათუმი არის „პორტო-ფრანკო“, ანუ თავისუფალი ნავსადგური, სადაც არ არის გადასახადი და სადაც ყველაფერი არის წარმოუდგენლად იაფი. უბრალოდ, ჯერ არის ძალიან პატარა და მშენებარე. ცაგარელი იგონებს, ოცი წლის თავზე რომ ჩავედი ბათუმში, ამ ბათუმსა და იმ ბათუმს შორის, მე რომ პირველად ვიყავი, ისეთივე განსხვავება იყო, როგორიც თბილისსა და მცხეთას შორისო. სწრაფად გაიზარდა ეს ქალაქი და „პორტო-ფრანკოც“ ძალიან უწყობდა ამას ხელს იმ საწყის წლებში.

ასიკო ცაგარელს თავისი ჯავრი ჰქონდა და განსაკუთრებით აღნიშნავს თავის მემუარებში, რომ ფრანგული ბოთლი კონიაკი ერთი მანეთი და 50 კაპიკი ღირდა, როცა თბილისში – ცხრა მანეთი და 50 კაპიკიაო. აი, ასეთი სხვაობა იყო ფასებში. მთელმა დასმა წლობით მოიშორა გარდერობის პრობლემა. ყველამ იყიდა ხუთ-ხუთი ხელი, ქალებმა კი ლამის ათ-ათი ხელი ტანსაცმელი ჩალის ფასად. აი, ასეთი ვითარება იყო. მაინც სამხედრო ქალაქი იყო ჯერჯერობით. ქალაქის თავი, გრადანაჩალნიკი იყო, პოლკოვნიკი ბერსი და ჰყავდა ქართველი ცოლი, ფატი და მათთან ყოფილა უდახვეწილესი საუზმეები. ძალიან კულტურული კაცი იყო ეს პოლკოვნიკი ბერსი. მაგრამ მთავარი ვინმეები მაინც გამოდგნენ პოლიცმეისტერი დურმიშხან ჟურული და მისი ცოლი ქეთევანი.

როდესაც გემი მიადგა ნავსადგურს და მსახიობები ნაპირზე გადმოვიდნენ, იქ მდგომმა ჟურულმა უთხრა: მე ვარ ამ ქალაქის პოლიციმეისტერი და მე ვარ თქვენს განკარგულებაში!

დურმიშხან ჟურულს ჰყავდა ვაჟი, გიორგი ჟურული, მერე საკმაოდ ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და ქართული ნაწერების ცენზორი.

გიორგი ჟურული მაშინ იყო მოწაფე, აღტაცებული დასით და ისე მიწებებული ამ დასს, რომ ვერაფრით ვერ ააგლიჯეს იმ ათი დღის განმავლობაში. ბიჭი იყო და დასში კი ოთხივე გოგო კარგი იყო.

ამ დროს ის უნდა გვახსოვდეს, რომ ფოთიდან ვასო აბაშიძე თბილისში გაბრუნდა, იმიტომ, რომ მამის ავადმყოფობის ამბავი შეატყობინეს. მისი როლები გიგო ყიფშიძემ დაიჭირა, სუფლიორად კი ხან ვის დაიმატებდნენ და ხან ვის და მოხალისე ბათუმშიც ბევრი იყო, იმათ შორის – გიორგი ჟურულიც. და უყურებდა, როგორ ასაჩუქრებდა მთელი ქალაქის ოფიცრობა და ბურჟუაზია ამათ ქალებს და მოუნდა, თვითონაც ეჩუქებინა რაღაც, მაგრამ გიმნაზიელს ჯიბეში იმდენი ფული არ ექნებოდა, რომ რაღაც ფასეული ეჩუქებინა და სახლში გამხელაც არ უნდოდა. ვის უნდა? ჰოდა, მოიგონა, მივიდა საყვავილეში და უთხრა, მამაჩემმა დამაბარა, ძალიან დიდი ყვავილების თაიგული გააკეთონ და გამოგატანონო. ფასი მარტო ყვავილს კი არ ჰქონდა იმ დროში, არამედ ლენტსაც, რომელიც თაიგულს ეხვია და რატომღაც ულენტოდ წამოიღო. თაიგული დამალა, მივიდა ნატო გაბუნიასთან და უთხრა, რომ დედამ გთხოვაო, დღეს ქართული კაბით უნდა მოვიდე სპექტაკლზე და, სცენაზე რომ ვარდისფერი სარტყელი გეკეთა, ის მათხოვეო. ნატომ, რა თქმა უნდა, გაატანა. კი გაუკვირდა, მაგრამ გაატანა.

მიჭრა-მოჭრა ეს სარტყელი გიორგიმ და გაუკეთა ლენტად თაიგულს. მაინც ბიჭი იყო, სულელი. მაინც ბავშვურად შეხედა და ეს თაიგული აჩუქა ნატოსვე. ნატო მოსწონდა, ესე იგი. კი გაუკვირდა ამას, თავისი სარტყელი იცნო. ამასობაში გაბედა მეყვავილემაც და 25 მანეთის ანგარიში, რაც კარგი ფულია, როცა ფრანგული კონიაკი მანეთ-ნახევარი ღირს, წარუდგინა პოლიციმეისტერს.

გიორგი ჟურული მერე ცოტათი გამსახიობდა კიდეც.

ბათუმში სტამბა არ იყო და მსახიობებიც ხო ჰაიჰარა ხალხია, არ უფიქრიათ და ფოთიდან დაბეჭდილი აფიშები აღარ წამოუღიათ. ამიტომ აფიშები ვერ გააკრეს. გამოსავალი ისევ პოლიციმეისტერმა ჟურულმა იპოვა. თბილისის არ იყოს, ბათუმშიც დადიოდნენ წყლის დამტარებლები, ოღონდ თულუხჩები არ ერქვათ. ესენი ოსმალოები იყვნენ და სწორედ ამათ ასწავლეს მსახიობი ქალების გვარები და სპექტაკლების სათაურები. დადიოდნენ მთელ ქალაქში და დამტ-

ვრეული ქართულით ყვიროდნენ: საფაროვა, ყიფიანი, კორინთელი და გოგოებს სახუმარო ჩხუბი მოსდიოდათ, პირველად რომლის სახელი შესძახაო, იმიტომ რომ პირველი დაძახება უფრო ხმამაღალი იყო. დაინახავდნენ ამ წყლის დამტარებლებს და გავარდებოდნენ ხოლმე, ჩუქნიდნენ აბაზიანს, ჯერ ჩემი სახელი თქვიო და ასე აჯავრებდნენ ერთმანეთს.

ქართველი ოფიცრობა სჩადიოდა საოცრებებს. როდესაც ქუთაისიდან მოაცილებდნენ დასს, იქ ბევრი მატარებელში შემოხტა და რიონამდე გამოჰყვა. ეს, საერთოდ, ქუთაისური ტრადიციაა, რიონამდე გამოყოლა ბოთლებით, მაგრამ იქ, ვინც მატარებელში ვერ შემოეტია, გამოჰყვნენ ეტლებით რიონამდე და გზადაგზა მოსძახოდნენ კუპეების ფანჯრებში. აი, ასეთი ამბავი იყო იქა. და ახლა ქართველმა ოფიცრობამ რა ქნა ბათუმში: იყო ასეთი კაპიტანი სიმონ აბდუშელიშვილი, ვაჩნაძეები იყვნენ ძმები და კიდევ ერთი იყო – კორინთელი. ქალები ქალაქში მარტო ვერ გადიოდნენ, იმიტომ, რომ ესენი საპატიო ბადრაგად დაჰყვებოდნენ ცხენდაცხენ. პატივისცემის გარდა, იქ, ცხადია, არშიყობაც იყო და თუ ქუთაისლები მატარებელს შემოახტნენ, ესენი ნავებით გამოუდგნენ გემს, როცა დასი უკვე მოდიოდა ბათუმიდან და იყო იქ თაიგულების შეყრა და სხვა ასეთი სიგიჟეები. ეს ყველაფერი იყო ძალიან კარგი და ლამაზი.

ბათუმშივე ნახეს მსახიობებმა ქართველი ბეგები, ქართველი მუსლიმები, ქართველი თავადები – თავდგირიძეები, აბაშიძეები, ხიმშიაშვილები.

ჰოდა, შეაქეს. მათ მიიღეს ეს წარმოდგენა, მიუხედავად რელიგიური სიმკაცრისა, ოლონდ კი ღვინოს არა სვამდნენ და გადასარევ ყავაზე გვპატიჟებდნენ ხოლმეო, ძალიან დამახასიათებლად ეცვათ და ძალიან წვრილად და ბრძნულად გვეკითხებოდნენ ყველაფერს აქეთა საქართველოს შესახებ, რომელშიც უკვე თვითონაც ცხოვრობდნენ, მაგრამ ცოტა კი იცოდნენო.

ერთ ხნიერ და თეთრწვერა ბეგს კი უთქვამს, კარგი ბიჭები ხართ, მაგრამ ეგ თქვენი ქუდები არ მომწონსო, ღორის დრუნჩსა ჰგავსო. მაშინ მოდური კარტუზები ეხურათ. ღორი მუსლიმისთვის, მოგეხსენებათ. მე გაჩუქებთ კარგ ქუდებსო და აჩუქა ოსმალური ფესკები და უთხრა, ამის მოხდა არ შეიძლებაო, ხელი უნდა მიიდო და ისე მიესალმო ყველასო და გვეხურა ჩვენც ეს ქუდები და დავდიოდით ქალაქში და გვეცვა ქუთაისელების შეკერილი ბლუზები და ვიყავით ბედნიერებიო.

რა ჯობია ასეთ ბედნიერებას, მაგრამ ბედნიერება წამია და ტანჯვისაც უნდა ითქვას, იმ დროის ერთ-ერთი ტანჯვისაც.

— გურია —

ერთი ჯადოსნური სიტყვა:

გურია!

მერე, დამოუკიდებლობის წლებში, რას აღარ ეძახდნენ გურიას.

უფრო იმიტომ, რომ ბევრი მინისტრი და თვით მთავრობის ორივე მეთაურიც გურული იყო. სოციალიზმის ნაზარეთიო, რაც გერმანიისთვის არის პრუსია, ის არის საქართველოსთვის გურიაო და ასე. ზოგი ბოროტად ეძახდა, ზოგი – კეთილად.

გურია კი იყო საქართველოს ყველაზე პოლიტიზებული მხარე, ყველაზე შეურიგებელი და მჭახე. მაგრამ ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, იმათ შორის კი მთავარი იყო სიღარიბე.

გურიის ამბავმა ჩათრევა იცის და რომ საბოლოოდ არ ჩაგვითრიოს, პირველ ჯადოსნურ სიტყვას საჩქაროდ უნდა მოვაყოლოთ მეორე:

ფირალი!

ისე გამოვიდა, რომ თუკი ძველ გურიას გაიხსენებ, ფირალის გარეშე არ იქნება, იმიტომ, რომ ტყეში გავარდნილი და პატიოსანი ყაჩაღი ყველგან იყო, მაგრამ ასეთი არ ყოფილა არსად. არც ქართლში, არც კახეთში და არც კიდევ მანჯურიაში.

ვინ არის ფირალი?

ფირალი არის ყაჩაღი, რომელიც თან არც არის ყაჩაღი, მეტიც, ფირალი ნამდვილ ყაჩაღს ებრძვის. ასეთი თავისებურება დაჰყოლია და როგორც წესი, ფირალი არის გურული. სხვაგან სიტყვა ფირალი არ არსებობს. ყაჩაღი, პატიოსანი თუ უპატიოსნო, ყველგან ყაჩაღია. არსენასაც კი ყაჩაღს ეძახდნენ.

როგორ არის, რომ კაცი ფირალად გახდება? საწყალი კაცი.

იყო ერთი გოგია ლომჯარია, სოფელ წითელ მთაში, ხელობით ჩალანდარი.

ეს არის მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ამბავი.

იმ დროებაში გურიაში სამუშაო ჭირდა, შემოსავალი არ იყო, სიღარიბე სუფევდა. მიწა ხალხს ვერ კვებავდა, ამიტომ ბევრი მიდიოდა სამუშაოდ ბათუმში. ფოთი სწორედ მაშინ შენდებოდა და იქაც მშენებლობებზე, ტყის ჭრაზე იყო სამუშაო. დიდი წვალება იყო მოკლედ და ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში რომ ჩაიხედოთ, იქ არის აღწერილი ეს ყველაფერი.

ეს გოგია ლომჯარიაც ასე იყო, ბათუმში ნამუშევარი კაცი იყო, ცოლი ახალი შერთული ჰყავდა და ჩალანდრობდა. სრულიად ახალგაზრდა იყო, ოცი-ოცდაერთი წლისა.

ჩალანდარი, ანუ ჩავლადარი, არის ადამიანი, რომელსაც ძირითადად შენი ტვირთი გადააქვს, ან თავისი ცხენით მიჰყავხარ, ან ძროხას გაატან ან ცხენს და მიიყვანს თავის ადგილზე და გასამრჯელოსაც ამაში იღებს.

მშვიდობიან ხელობას ჰგავს ეს ჩალანდრობა, მაგრამ კუთხეს გააჩნია და ხალხს.

გურიაში ისე ჭირდა ცხოვრება, რომ რა დასამალია, აზნაურებიც კი ქურდობდნენ. აზნაურობიდან წოდებაღა იყო დარჩენილი, თორემ მიწა იმათ აღარ ჰქონდათ და არაფერი. ფული ყველას ისე აკლდა, რომ თავადები იძულებულნი იყვნენ, ჩაფრების ასისთავები გამხდარიყვნენ და ჯამაგირი აეღოთ.

ჰოდა, ერთმა აზნაურმა მოიპარა ძროხა და სთხოვა გოგია ლომჯარიას, ერთი ადგილიდან მეორეზე წაეყვანა. წაიყვანა გოგიამ და გზაში დაიჭირეს. დაიჭირეს და საწყალ კაცს ხომ ქვა აღმართში მიეწევა და აბა, სასამართლოში ტარება და ისა და ესა. გოგია კი დუმს. დუმს. იმის, რაც საქართველოში უფრო მიეწერება საბჭოთა ქურდულ მენტალიტეტს და იტალიელი მაფიოზების ენაზე კი ჰქვია „ომერტა“, ანუ დუმილის პირობა, ნამდვილი კლასიკა იყო გურია. ჯაშუში, შპიონი, რასაც გურულად ჩაჩუტს ეძახიან, იმ დროის გურიაში ადგილზე კვდებოდა და არავის არ ეცოდებოდა, ასეთი ადგილი იყო და ამასაც იმიტომ მოგახსენებთ, რომ გოგია ლომჯარიამ, რაღა თქმა უნდა, არ გაიშვირა ხელი იმ აზნაურისკენ, ვინც მოპარული ძროხა გაატანა, მაგრამ შინაურულად კი უთხრა მაზრის უფროსის თანაშემწეს, არაფერი ბრალი არა მაქვს, გამატანეს ორ აბაზად და მიმყავდა, ამაზე ნუ წამახდენთო.

მაზრის უფროსის თანაშემწე კი ყოფილა თავადი ანტონ ნაკაშიძე.

ისე გამოსულა, რომ ძველ დროში ლომჯარიები ყოფილან ნაკაშიძეების ყმები და ამ დროს ბატონყმობა კარგა ხნის გაუქმებულია, მაგრამ სიავე და დამორჩილების სურვილი კვლავაც ცოცხლობს.

ნაკაშიძემ უთხრა გოგიას, ციმბირს იქით გამიხსენებ შენო და სულ ასე ეუბნებოდა ყველა მისვლაზე. და ეს საწყალიც მიდიოდა დაკითხვებზე, მიდიოდა და სულ სთხოვდა, დამინდეთო. სასჯელიც არ ელოდა დიდი, ალბათ უფრო ჯარიმა. მაგრამ ეს ჯარიმაც კი ღარიბი კაცისთვის ჩანდა სასიკვდილო და აქედან უნდოდა თავის დაძვრენა. ერთხელ გზაშიც შეხვდა ამ ანტონ ნაკაშიძეს და გულწრფელად სთხოვა, ნუ გამაფუჭებო, თქვენი ნაყმევის ვარო. ეტყობა, იმას რაღაც ქრთამის მსგავსი უნდოდა.

მერე ამბობდნენ, როცა უკვე ტრაგედია მოხდა, რომ ამ ანტონ ნაკაშიძეს ძმა ჰყოლია, მელიტონ ნაკაშიძე, ისიც თავადი, მაგრამ ასევე უშემოსავლო და ასევე იძულებული, რამე ჩინოვნიკური ადგილი ეშოვა, და გოგია მაგ მელიტონამ შეაგულიანაო: ბიჭოო, რას გიშვება ჩემი ძმაო, ხო ხედავ, რას გიშვებაო, ვერ დაალევიებ ტყვიასო? ასე უთხრა პირდაპირო. იმიტომო, რომო მელიტონას უნდოდაო მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილი, თავისი ძმის ადგილიო.

სიღატაკე.

თუმცა, რამდენად მართალია ეს, ვინღა გეტყვის.

ძმამ უთხრა თუ გულისთქმამ, აიღო გოგია ლომჯარიამ ყაფაღლა თოფი, ამას ხმარობდა მერეც, ფირალობაში, ფიშტოს და ყაფაღლა თოფსო, ასე იგონებენ, და ჩაუსაფრდა გზაში ანტონ ნაკაშიძეს.

გაატარა, გაატარა და ასე თქვა, გულშიო, ღმერთოო, თუ მართალი ვარ, მოახვედრეო ჩემი ტყვია ანტონა ნაკაშიძესო, და თუ ეგ არი მართალი, ააცდინეო და ესროლა, და ესროლა და მოკლა ადგილზე და მორჩა! ეს ნიშნავს, რომ გახდა ფირალი. სრულიად ახალგაზრდა, ოცი-ოცდაერთი წლისა.

ასე ხდებოდნენ ფირალებად.

ფირალებს შორის თითქმის არავინ იყო მოწოდებით ყაჩაღი.

უბრალო გლეხები იყვნენ, სიღარიბითა და უსამართლო ყოფით გატანჯულები. ტყე კი არის გადასარევი და ლამაზი გურიაში.

გავარდა ფირალად გოგია. გადავარდაო, მაშინ ასე იტყოდნენ, გადავარდა, ფირალად გევიდაო.

არც პირველი იყო და არც უკანასკნელი.

დღეს არ წერენ იმდენს ქურდებსა და ყაჩაღებზე, რამდენი კორესპონდენციაც გოგია ლომჯარიას შესახებაა გამოქვეყნებული მაშინდელ თბილისურ გაზეთებში. და არა მარტო მის შესახებ. 80-იანი წლების

გურიაში ფირალი სამოცამდე მოგროვდებოდა და სწორედ ეს ხალხი განსაზღვრავდა იმ მხარეში ზნეობისა და ადამიანური ურთიერთობების საკითხებს.

იყვნენ მათში ისეთებიც, ვინც გზაზე დახვდებოდა ვინმეს და გაძარცვავდა, მაგრამ ძარცვა იყო ძალიან ამორჩევით. გლეხკაცს არავინ შეეხებოდა.

ერთხელ წვრილი ვაჭარი გაუძარცვავს, დათია მითაიშვილი და მოუბოდიშაო, ტყეში ვარ, ძმაო, და საჭმელი მინდაო, ეს ნაბადი მომეცი და ეს 300 მანეთიო.

უამისოდ არც იქნებოდა.

ფირალები იყვნენ ტყეებში და იოლად პოულობდნენ ერთმანეთს და იყო შეამხანაგება ძველსა და ახალ გავარდნილებს შორის და გზაზე დახვდომა და შურისძიებაც. მოკვლა იმის, ვინც გაიძულა, რომ შენი გაჭირვებული ცხოვრებიდან უკანასკნელი რამ – იმედი – დაგეკარგა. შურისძიება – აი, რა იდო ფირალის თავში.

იყო ვინმე ბესარიონა სიხარულიძე, უბრალო გლეხი, მოჯამაგირედ ედგა ერთ მღვდელს, გვარად მგონი ცინცაძეს. ამ მღვდელს ვალი ჰქონოდა მისი, ემუშავა ბესარიონას და იმას არ გადაეხადა. 8 მანეთის ამბავია. 8 მანეთი კაი ფული იყო მაშინ და დახვდა გზაში ბესარიონა მღვდელს და მომეცი ჩემი ფულიო, რამდენი ხანია, მატყუებო და მღვდელმა აიგდო, სულელი ხო არა ხარ შენაო, სტრაჟნიკებს არ დამაძახებინოო. ჰოდა, ამოიღო დამბაჩა და მოკლა იქვე ის მღვდელი და გავიდა ფირალად.

გოგია ლომჯარიას კიდევ, რომ გავიდა ტყეში, იქ დაუხვდა მაკვანათელი მისნაირივე გლეხი დათულია სურგულაძე და შეამხანაგდნენ დიდად, ძალიან შეამხანაგდნენ და, სხვათა შორის, ფირალური ცხოვრებაც, სანამ დათულია ცოცხალი იყო, ერთად გასწიეს.

ფირალობა ძალიან ხანმოკლე ხელობა იყო და ძალიან სისხლიანი, იმიტომ, რომ ხუთ ან მეტ წელიწადს ფირალად სულ ორ-სამ კაცს გაუძლია. ბევრი ამათგანი 5-6 თვეში უკვე მოკლული იყო, იმიტომ რომ გურიაში ცალკე მაზრის პოლიცია მოქმედებდა, თავისი ბოქაულებითა და სტრაჟნიკებით ანუ ჩაფრებით, ცალკე იყო მოხალისეთა მილიცია, თვითონ გლეხებისგან შედგენილი „ახოტნი ატრიადები" თავისი „ეგერებით", და კიდევ ცალკე მოხალისეები, რომლებიც, ერთ დაძახილზე, აბა, ფირალია ახლოშიო, დაიძვრებოდნენ.

გურია ორად იყო გაყოფილი. ესენიც იგივე გლეხები იყვნენ, სტრაჟნიკები და მებრძოლები, მაგრამ სხვა კუთხით უყურებდნენ ცხოვრებას – აბა მედალი მინდაო, აბა საჩუქარი მინდაო და მოკლედ,

სახელმწიფოსთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ ამათ გარდა სახელმწიფოსთან არავინ თანამშრომლობდა, ყველა იყო ფირალების მხარეს, ყველა იპარავდა, ყველა დუმდა, გამყიდველებს კიდევ, მოგახსენეთ, ხოცავდნენ.

მაკვანათში ამნაირი ადათიც იყო უკვე, რომ საღამოს დიასახლისი ორ კერძს გააკეთებდა, ისე მოთვლიდა, ეგება დათულიამ შემოიაროს თავის ამხანაგთან ერთადო. და ორი კაცის საჭმელი ცალკე იდებოდა. ჯერ რა ჰქონდათ საწყლებს.

აი, ასე იყო იმიტომ, რომ ფირალები იყვნენ შენი თანასოფლელები, რომლებსაც შენთვის არაფერი დაუშავებიათ და კარგის მეტი არ გაუკეთებიათ და თუ საქმე დადგა, მოვა და ისევ შენ დაგიცავს.

ერთხელ გამოვიდა ისე, რომ ერთ ადგილას იყვნენ დათულია და გოგია ლომჯარია, ჰოდა, დაეცა მათ თავისი რაზმით იმ დროს გურიაში ძალიან ცნობილი შტაბს-კაპიტანი ივანე დუმბაძე. ასეთი შეტაკებები მთელი სოფლის თვალწინ ხდებოდა. სოფელი იყრიდა თავს და უყურებდა ხოლმე ამ ომს. ამიტომ თუ გადარჩა ამ ორთაბრძოლების ამბები.

ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ შტაბს-კაპიტანმა დუმბაძემ და დათულია სურგულაძემ ერთდროულად ესროლეს ერთმანეთს. დათულია მოკვდა საბოლოოდ ამ ჭრილობებით – 7 ტყვია მოხვდა ბრძოლის დროს.

გოგია დაიჭრა და გაერიდა.

მაგრამ ამ შებრძოლებას, ისევე როგორც სხვა ათასს, ჰქონდა დაფარული მხარეც. ხშირად იტყოდნენ ხოლმე გურიაში, მარტო მთავრობისთვის არ კეთდება ესაო, ბევრი პირადი ამბავია ჩახლართულიო. პატარაა გურია, ყველა ყველას იცნობდა.

ამბობდნენ, რომ ამ საქმეში გარეული იყო ცნობილი თავადი ესე გურიელი. ისიც, სხვათა შორის, ერთხანს „ახოტნი ატრიადის“ მეთაური იყო და დასდევდა ამ ფირალებს. ხშირად თბილისშიც გამოჩნდებოდა ხოლმე. მე მგონი, ერთ-ერთი შეძლებული კაცი იყო მთელ გურიაში.

ჰოდა, ეს შტაბს-კაპიტანი დუმბაძეც დიდი თავზე ხელაღებული კაცი იყო და მოსტაცა ესე გურიელს ქალიშვილი და შეირთო ცოლადო. ნამდვილი სიგიჟეა მთელი ეს ამბავი. ჰოდა, ესემ გათხოვილი ქალიშვილი უკან სახლში აღარ მოიყვანაო, მაგრამ ერცხვინებოდაო, ღატაკი აზნაურიშვილის ცოლი რატომ უნდა იყოს ჩემი ქალიო და ამიტომ თითქოს შეეკრა დათულია სურგულაძეს და ლომჯარიასო და უთხრა, ეგ კაცი მომაკვლევინეთ, რომ ჩემი ქალიშვილი დაქვრივდესო.

ძნელი დასაჯერებელია, ფირალები არ ეკვრებოდნენ ხოლმე ამ ესესნაირ ადამიანებს, თორემ თავადებთან ხშირად იმალებოდნენ

ხოლმე გურიაში და ბევრთან გადასარევადაც იყვნენ და წლობით გაჰქონდათ თავი მშვიდობიან თავადებთან კარგი ურთიერთობით.

ეს ესე გურიელი სხვა ვინმეა იმ დროის გურიაში, როგორც ჩანს, მოქნილი და ძნელი კაცია.

ფირალებმა იცოდნენ ხოლმე ფულის შეწერვა, მაგრამ მსხვერპლი ისეთი უნდა ამოერჩიათ, რომ ხალხს არ დანანებოდა. ხალხს უნდა ეთქვა, წასართმევი იყო და წაართვესო.

თითქოს დუმბაძისთვის შეეთვალა დათულია სურგულაძეს, 500 მანეთი აქა და აქ ქვის ქვეშ დადეო. წერილებს უგზავნიდნენ. ასეთი წესი იყო. და მერე ქვასთან მიდიოდა უბრალო გლეხი, ამათი ამხანაგი და ნაცნობი და იღებდა ამ ფულს.

ეგეც არ იყო მართალი. უბრალოდ, დუმბაძეს სამსახურში თავის გამოჩენა უნდოდა. როგორც ჩანს, გრძნობდა, უკეთესი ერგებოდა. საბოლოოდ მაინც იმდენი მოახერხა, ქუთაისის გუბერნატორამდე მივიდა გოგია ლომჯარიას ამბავი და მის მშობლიურ სოფელში, წითელ მთაში ჩააყენეს ეგზეკუცია.

ეს იყო ძალიან ძნელი ამბავი ასეთი ღარიბი კუთხისთვის. ეგზეკუციისას სოფელში შემოდიოდა კაზაკების როტა. კაზაკები სახლდებოდნენ ოჯახებში, ჭამდნენ მუქთად, არაფერს არ უფრთხილდებოდნენ. გარდა ამისა, ყაჩაღების, ფირალების შენახვისთვის გაჯარიმებდნენ და უნდა გეხადა.

ერთხელ დათია მიქელაიშვილი მისულიყო ერთ გლეხთან და ეთქვა: ჩემი გულისთვის წაგართვეს, ხო, 5 მანეთიო? ოღონდ შენ ცოცხალი იყავიო და მთლად გევიძრობ ყველაფერსო, ეთქვა გლეხს.

მოკლედ, ვითარება შეიქნა ისეთი, რომ გოგია ლომჯარია თვითონ იმალებოდა თავის სოფელში და, რა თქმა უნდა, გამცემი არავინ იყო, მაგრამ ისეთი ვითარება იყო წითელ მთაში, რომ უთხრეს, ჩაბარდიო. თავდებში დაუდგნენ ძმები ნიკოლაიშვილები. გოგიამ წერილი გაგზავნა მაზრის უფროსთან, ჯარი გაიყვანეთ აქედან და ჩაგებარდებითო.

როგორც კი ჩაბარდა, კაზაკებიც მოაშორეს სოფელს. წაიყვანეს ქუთაისში და გაასამართლეს, უკვე მკვლელობისთვის და არა ყაჩაღობისთვის.

ჩვეულებრივ, ასეთ საქმეზე აძლევდნენ კატორღის 10 წელიწადს, მეტსაც, მაგრამ გამოვიდა ისე, რომ გოგია ლომჯარია დარჩა ქუთაისის ციხეში.

ერთი ბოლშევიკები გაიქცნენ ქუთაისის ციხიდან რუსეთის პირველი რევოლუციის დროს და ეგ იყო, ვერავინ ისე ვერ გარბოდა ქუთაი-

სის ციხიდან, როგორც გურულები. უცნობია, როგორ ახერხებდნენ, მაგრამ კედლებს კი აფრინდებოდნენ.

გოგია ლომჯარია იჯდა ციხეში ორ წელიწად-ნახევარს. განიცდიდა, ოჯახი დამექცაო და ერთ დღესაც გაიქცა. გაიქცა და გაიქცა და ისევ ამოიზარდა მის წინ შტაბს-კაპიტანი დუმბაძე და სანამ გურიაში იყო, დევნიდა და დევნიდა. უნდოდა ისევ დაეჭირა, იმიტომ რომ სამსახურში სამ დაჭერაზე ერთი მედალი ერგებაო, ასეთი ანეკდოტი დადიოდა.

ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, გოგიამ იფიქრა, გლეხიკაცი ვარ, არ ვარ ყაჩაღიო და გადაიპარა აჭარაში და იქ მუშაობდა, როგორც გლეხები მუშაობენ – მედღიურად დაუდგებოდა ვილაცას და უთოხნიდა. მაგრამ დუმბაძეს უნდოდა, რომ გადმოეყვანა აჭარიდან და უკან მიეთრია ქუთაისში სასამართლოში და ერთმა ჯაშუშმა უშველა. ასეთი გამოთქმაც იყო, იგონებენ ძველი გურულები: მაშოვიე ლომჯარიაო. ასე რომ, ჯაშუშს შეუკვეთა, მაშოვიე ეს კაციო, მაშოვიე ლომჯარიაო. ჰოდა, აშოვიეს. გაიგეს სადაც იყო, დამალულიც არ იყო ალბათ, იყო სოფელში და იქნევდა თოხს. აგზავნიდა სახლში ორ კაპიკს და ეს გაუგიათ აჭარაშიც, ამ კაცზე ფულია მთავრობისგან დაწესებულიო და სანამ დუმბაძე ჩავიდა, მიუცვივდნენ დადიან-ოღლები, მთელი ოჯახობა და დაიჭირეს გოგია ლომჯარია.

წამოიყვანეს გზაში, მგონი ქობულეთში მიჰყავდათ და გზაში წამოუხტათო, ვერ დააოკესო. წასწვდა ერთს და ხანჯალი იშოვა, ვილაცას ხელი წააჭრა, გაუყარა მეორეს და ამათ თქვეს, ამ აჭარლებმა, ეს დაგვხოცავს ყველასო და იქვე მოკლეს.

წაიღეს გვამი ქობულეთში, სადაც ჩამოვიდა აქოშინებული დუმბაძე, ჰოდა, თავისსავე გაკეთებულ საქმეზე დახვდა კაცი მკვდარი და გააკეთა ის, რასაც აკეთებდა ხშირად გურიაში ფირალებზე მონადირე ხალხი: წამოაყენა მკვდარი, მიაყუდა ხეზე, წამოვიდა ხუთ ნაბიჯში, გააქანა და ესროლა მკვდარს. მოუტრიალდა ამ აჭარლებს და უთხრა: ამხელა ყაჩაღს ინახავდით თქვენ აქო და მოვედი მე და მოვკალიო.

რატომ ესროდნენ მკვდრებს? იმიტომ, რომ მთავრობისთვის ეთქვათ, მე მოვკალი და ჩემი დამსახურებააო.

ეს ამბები გაზეთებში ეწერა პირდაპირ.

აი, „იევრიაში“ წერია, გურიაში მოუკლავთ ცნობილი ყაჩაღი ლომჯარია და აწი იმედია, დაისადგურებს სიმშვიდე ამ მხარეშიო.

მაგრამ ივანე დუმბაძეს მაინც არ შეერგო მკვდრისთვის ნასროლი ტყვია, იმიტომ, რომ ატყდა საჩივრები. ეს დადიან-ოღლები მივიდნენ მაზრის უფროსთან – ჩვენ დავიჭირეთ, ჩვენ მოვკალით და მოვიდა

და წაგვართვაო. მოკლედ, დუმბაძეს საქმე ცუდად წაუვიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან მოხერხებული კაცი იყო და მთლად არ დაიკარგებოდა. არის ერთ ძველ მოგონებაში, გურული გლეხი ყვება, არ ვიცი მაგის ამბავი, მერე რა დაემართაო, მაგრამ იმნაირი კაცი იყოო, რომ აფიცრობას არ ჩამოართმევდნენო, მოახერხებდა რამესო. გურიაში აღარ უმუშავია, მოჰკიდა თავის გურიელის ქალიშვილს ხელი და წავიდა, გადაიყვანეს სადღაც სამხრეთ რუსეთში, არ ვიცი ოდესაში, არ ვიცი სადმე სხვაგან და იქაც ამნაირ საქმეს გააგრძელებდა ალბათ.

მაგრამ მარტო შტაბს-კაპიტანი დუმბაძე ხომ არ იყო. ესე გურიელიც იყო თავისი ახოტნი რაზმით, ბოქაულებიც და ჩაფრებიც. იყვნენ, მაგალითად, სვანები – დადეშქელიანი, გარდაფხაძე, რომლებმაც ბევრი ხოცეს ფირალები და ეს იყო პირდაპირი ომები, უცბად, შუა სოფელში ამტყდარი ომები, ჯაშუში უცბად შეატყობინებდა, რომ აი, იმ სახლში არიანო, ჰოდა, დაეცემოდნენ. ორმოცდაათი კაცი ესროდა ხოლმე ორს. ალყაშემორტყმული სახლებიდან გაქცევის ხერხი იყო ერთი – იატაკი უნდა ჩაგემტვრია და გამძვრალიყავი ფორთხვით ხიმინჯებზე შემდგარი სახლის ქვეშ.

იყავი და იძრომიალე.

— გრძელი სურათი რევოლუციის —

საქართველო აღარასოდეს იქნება ისეთი, ალექსანდრე ჯამბაკურორბელიანს რომ უნდოდა. არც ისეთი, როგორიც ილიას წარმოედგინა. ილია უკვე მოკლეს წითელმა პარტიზანებმა კომიტეტის ბრძანებით.

კომიტეტი, პარტიზანი, დავალება.

რა სიტყვებია? აქამდე სრულიად უცნობი.

რევოლუციური საქართველოს სიტყვები. რუსეთის პირველმა რევოლუციამ, 1905-07 წლებისა რომ ჰქვია, სამუდამოდ შეცვალა საქართველო. იმხელა რუსეთი შეცვალა და საქართველოს რაღას უზამდა. რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ საბოლოოდ წავიდა ის საქართველო, სადაც სიტყვა ხელმოწერაზე მეტად ფასობდა.

წავიდა დროება სისონა დარჩიასი, განთქმული ფირალისა, და რევოლუციამ მოიტანა დრო დათიკო შევარდნაძისა.

როცა სისონა ფირალობდა, მაშინ დათიკო შევარდნაძე პატარა ბიჭი იყო. ის რომ წამოიზარდა, ამ რევოლუციის გამოისობით, ფირალი შეიქნა წითელრაზმელად, ანუ წითელ პარტიზანად და გურიის მცველად და ჯარისკაცად მეფის სატრაპთა წინააღმდეგ.

ამ წითელი პარტიზანებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ხალხი შეიძლება მოვთვალოთ. ილია ჭავჭავაძის მკვლელებიც წითელი პარტიზანები იყვნენ, ოღონდ ქართლიდან.

ისინი არ იყვნენ პროფესიონალი რევოლუციონერები, მაგრამ იყვნენ რევოლუციის მხარდამჭერი მებრძოლები.

მებრძოლებს შორის განსხვავებაც იყო, ტერორისტები სხვები იყვნენ, მოყაჩაღეები კიდევ სხვები და ათასი სურათი შეიძლე-

ბა წარმოგვიდგეს, მაგრამ ერთ-ერთი ამათგანის ცხოვრებას რომ გავადევნოთ თვალი, მივხვდებით, როგორი იყო ამათი ყოფა და რა ხალხი იყო ეს ხალხი და რა ნერვებით, რა მსოფლმხედველობით უწევდათ ამათ ცხოვრება.

დათიკო შევარდნაძე იყო ასკანელი გლეხის შვილი. დაიბადა 1875 წელს.

დავით ერდეშელის ძე შევარდნაძე.

სხვათა შორის, წითელი კოლეგებისგან ამ თოფ-იარაღის საქმეში იმით გამოირჩეოდა, რომ ყველაზე ნასწავლი იყო მათ შორის და ქვეყნადაც მეტი ჰქონდა ნანახი, ნოვოროსიისკამდე იყო მისული და იქ ნავსადგურში მუშების ზედამხედველადაც კი ემუშავა. იმდენი შეეძლო ამ თავისი განათლებით, რომ გურიაში მობრუნებულს სოფლის მწერლადაც ემუშავა. ასე რომ, ეგნატე ნინოშვილის ნაწერებს თუ გადავხედავთ, სოფლის მწერალი რა ხელობის კაცია, მივხვდებით, მაგრამ ცხონებული ეგნატიას დრო წასულიყო, უკვე სხვა დრო იყო და სოფლის მწერალი და ნასწავლი კაცი და თან გურიაში, ცხადია, მეფის წინააღმდეგი იქნებოდა და ასეც იყო; სოციალ-დემოკრატიც იყო. ჰოდა, ეხმარებოდა დათიკო ხალხს, რაღაცა ყალბ საბუთებს აკეთებდა. მაგრამ ეს ხელობა ძალიან მშვიდობიანი ჩანს კაცისთვის, რომელსაც სწორუპოვარი უნარი ჰქონდა თავზე ხელაღებულად ცხოვრებისა.

წარმოიდგინეთ მაზრის კანცელარიის პატარა ოთახში მჯდომი კაცი, რომელიც უბრალოდ ლამაზი ხელით იწერს საბუთებს, იმავდროულად კი ეს კაცი სროლის დიდოსტატია და ლეგენდად ქცეული იმითაც, რომ ხელუკუღმა სროლა იცოდა და ხელუკუღმა სროლით კლავდა კაცს და თუ დასაჭრელი იყო, ხელუკუღმავე დაჭრიდა ხოლმე. შეუხედავი სროლით, სირბილისას შეეძლო ესროლა და მოერტყა.

მგონი ეს ტერმინი, ხელუკუღმაო, მის ოსტატობასთან ერთად გაჩნდა.

მოკლედ, იყო ეს წვრილი მოხელე კაცი და შეუმჩნეველად თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატებთან, მაგრამ ამასობაში კიდეც გატერორისტდა, რადგან რევოლუცია მოახლოვდა და, სულ რომ არ მოახლოებულიყო, გურიაში ჯაშუშებსა და ხელისუფლებასთან მოთანამშრომლე ხალხს ფირალები მარტო ტყვიით ელაპარაკებოდნენ.

ჰოდა, პარტიაში ცუდად ჰქონდა საქმე დათიკოს.

ახლა რა მოხდა: ერთხელ ის და ერთი თანატერორისტი, გვარად გოგიტიძე, ჯაშუშის მოსაკლავად გაგზავნეს.

ჰოდა, მანამდე მის ცხოვრებაში იყო ერთი ასეთი ამბავი, რომ

დათიკოს ნათლია, გვარად შალიკაშვილი, გამოდგა ჯაშუში და ის კომიტეტის დავალებით მოკლა ერთმა გურულმა ტერორისტმა, გვარად მახარაძემ. ჰოდა, დათიკო და გოგიტიძე კი წავიდნენ ახალი ჯაშუშის მოსაკლავად, მაგრამ ვერ ნახეს ის კაცი ეკლესიის ეზოში, რომ მოეკლათ იქავე და დაეციებინათ, და მერე გამოუვლიათ სადღაც და სუფრაზე მოხვედრილან და დაულევიათ. როგორც არის ხოლმე. ჰოდა, ნასვამები მოდიოდნენ გზაზე და ამ გოგიტიძეს კარგი სიმღერა სცოდნია და დაუწყია სიმღერა, შევარდნაძეც მთვრალი ყოფილა და გაუბედავს სიმღერა, ანუ არც სმენა ჰქონდაო და არც ხმაო, მაგრამ კარგ გუნებაზე იყოო, საქმე კი ჩაეშალათ, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდხანს არ დადგებოდა ეს საქმე, კიდევ იპოვიდნენ სადღაც, ვინც უნდა მოეკლათ და მოდიოდნენ და მოიმღეროდნენ.

ჰოდა, გზაში შემოხვედრიათ სწორედ ის მახარაძე, რომელმაც დათიკოს ნათლია მოკლა. ასეთი ქვეყანაა, გზაზე შეხვდა ერთმანეთს სამი ტერორისტი. ეტყობა, ამ მახარაძემ ამათი სიმღერა გაიგონა და იმიტომ მიაქცია ყურადღება და დასცინა, სიმღერა თქვენ არ იცით და რა გამღერებთო. სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ამოიღო გოგიტიძემ და დაალევინა ცხელი ტყვია მახარაძეს. ყველანი სოციალისტები არიან, მაგრამ მოხდა ასეთი ამბავი და რას იზამ. მოკლეს იქ და დააგდეს და წამოვიდნენ, მაგრამ გოგიტიძეს შერჩა პარტიისგან ეს ამბავი. პარტიამ ალბათ არც დაიჯერა ეს ამბავი.

პარტია ასეთ შემთხვევებში გამოძიებას დანიშნავს ხოლმე. ჰოდა, ისე გამოვიდა საქმე, რომ დამნაშავედ დაინახეს დათიკო. დათიკოს არ მოუკლავს ის მახარაძე, მაგრამ ჩათვალეს, რომ შური იძია ნათლიის მკვლელზე და ამიტომ დათიკოს თავისმა პარტიამ, ანუ იმ ხალხმა, ვისაც ერთგულებდა, დაუნიშნა სიკვდილი.

ამ დროიდან დაიწყო თავგადასავალი. ძნელი საცქერია, როგორ დაგდევენ შენიანები, როგორ უნდათ, მოგკლან, შენ კი ცდილობ, თავი გაიმართლო.

ლამის ყოველი თავდასხმა დათიკოზე აღწერილია ქართულ გაზეთებში. აი, თავს დაესხნენ სოფლის მწერალს დათიკო შევარდნაძესო.

გაზეთებმა არ იციან, რომ ის თვითონ არის სოციალისტი და ტერორისტი და მსროლელი და მალე გახდება წითელი პარტიზანიც.

ამ დევნაში ასეთი შემთხვევაც იყო, რომ ერთი მკვლელი, ისიც სოციალ-დემოკრატი, გვარად ბასილია, დახვდა დათიკოს გზაზე ორ კაცთან ერთად და დაუძახა.

დაძახებები კიდევ ცალკე ფენომენია, ძველებური, რაინდული გაფრთხილება.

დაუძახა ამ ბასილიამ, დათიკოო, ხელი არ გაატოკო, თორემ დაგალევიებ ტყვიასო. ატყდა ერთმანეთში სროლა. დათიკო გაიქცა და თავისი ხელუკუღმათი კი მოარტყა ტყვია გამოდევნებულ ბასილიას.

ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ძველ დროში, ძირითადად შუა სოფელში, ან სოფლის ბოლოს და ხშირად უამრავი შემსწრე ჰყავდა ამ სროლებს.

ეს ბასილია დაჭრილი რომ დაეცა, ისე მოხდა, რომ ძალიან მალე მოვიდა ბოქაული თავისი ხალხით. შევარდნაძე უკვე დამალული იყო, მაგრამ მობრუნდა, იმიტომ რომ მაინც ერთგული იყო პარტიისა და რევოლუციური საქმისა, წარუდგა ბოქაულს და უთხრა, გზაზე მივდიოდი და ვიღაცეებმა მესროლესო, ჰოდა, მეც ვუპასუხე და ამ უდანაშაულო კაცს მოხვდა ტყვიაო. ასე კოხტად დაიცვა დუმილის პირობა უკვე მერამდენედ. არ გაამჟღავნა, რომ ბასილია მის მოსაკლავად იყო მოსული. ამით იმის დამტკიცება უნდოდა, რომ არანაირი დამნაშავე ის არ იყო.

ასეთი რამ მას არაერთხელ შემთხვევია, პარტიამ ძნელად შემოირიგა. თუმცა, დათიკო იმდენჯერ გადარჩა და იმდენჯერ აჯობა მასთან მოსულ თანაპარტიელ მკვლელს, რომ კომიტეტში დაფიქრდნენ და თან ამას ისიც დაემთხვა, რომ ოზურგეთში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იყო ჩამოსული.

ამგვარი ვიზიტი იშვიათობა იყო და გენერალ-გუბერნატორმა იცოდა შევარდნაძის ამბავი. დაიბარა და უთხრა, შენ იმაზე მეტი იცი, რასაც ამბობო, და მითხარი, ვინ არის ეს ხალხი, ვინ გესვრის, ვინ გდევნის, ვინ გაწვალებს და პირდაპირ გადაგიყვან ქუთაისში კარგ სამსახურში და იმ ხალხს კიდევ დავიჭერო. შევარდნაძემ შორს დაიჭირა, არაფერი არ ვიცი, ამომიჩემა ვიღაცამო და, როგორც ჩანს, სწორედ ეს ამბავი გამოდგა გადამწყვეტი, რომ პარტიას მისი ნდობა დაბრუნებოდა და დაუბრუნდა კიდეც და იმგვარად დაუბრუნდა, რომ ეს კაცი ძალიან ბევრგან ამბობდა გადამწყვეტ სიტყვას, სადაც მოქმედება იყო საჭირო. მაგალითად, ნასაკირალის ცნობილი შეტაკებისას, გურულები რომ დაუხვდნენ კაზაკებს და გაადინეს ბდღვირი, ვინც კი იყო გურიაში წითელი პარტიზანი ან რევოლუციონერი, ყველა იქ იყო, ყველა იმ დროის ცნობილი კაცი, რომლებსაც მთავრობა ბანდიტებს და ყაჩაღებს ეძახდა და იქ იყო სწორედ დათიკო შევარდნაძე ერთ-ერთი წარმმართველი ამ ბრძოლისა და ასისთავადაც კი იყო დანიშნული პარტიაში.

ასრულებდა ყველანაირ დავალებას, რომელიც კი შეეხებოდა ტერორს და, რახან იყო ნასწავლი და გონებაგახსნილი კაცი, სხვა სამუშაოებსაც მიანდობდნენ ხოლმე, ვთქვათ, აგიტატორის, ან პროპაგანდისტის თანხლება, შეუმჩნეველად გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

ასე დაატარებდა ის იოსებ ჯუღაშვილს ურმით და თივის ქვეშ ჰყავდა დამალული მაშინ ჯერ კიდევ არაბელადი. კარგი ნაცნობობა და რევოლუციური თანამებრძოლობა ჰქონდათ. არა მარტო მასთან, ყველას იცნობდა უკვე და მასაც იცნობდნენ შემსრულებელ კაცად. სულით სამხედრო იყო, როგორც გამოირკვა.

განა სხვები არ იყვნენ? თუნდაც სიმონა დოლიძე. მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი ფიგურა მაინც დათიკო იყო, იმიტომ რომ ჭკუა და უშიშობა ორივე დიდი ჰქონდა.

უკვე ერიდებოდნენ, ძალა იყო და თან დასაფიქრებელი. ბოქაულებს უგზავნიდა ბრძანების წერილებს, რომ მოხსენი ეგზეკუცია ამა და ამ სოფელში, თორემ ჩამოვალთ და დაგადუღებთო, და სჯეროდათ, რომ დაადუღებდა, თუმცა კი დადიოდა უფრო მარტო, რაზმელების გარეშე.

ჰყავდა ორი-სამი ერთგული მეგობარი, რომლებმაც მერე ძალიან შთამბეჭდავად იძიეს შური მის სიკვდილზე.

როგორი ხმა ჰქონდაო, იცითო? ასე იგონებენ, ზარბაზანი გეგონებოდათო. უფრო მაღალი ხმა ჰქონდა, ვიდრე თოფსო, თვითონ ჩაფრები, სტრაჟნიკები იგონებენ, ვინც დასდევდა. ხეს მოფარებული რომ გვესროდა, თან გვიღრიალებდაო და ისე გვიღრიალებდა, რომ ახლაც ყურებში მაქვსო, ერთი სტრაჟნიკი ჰყვებოდა და თვალებს კიდევ საშინლად აბრიალებდაო. ცოტათი კომიქსებს კი ჰგავს ეს ამბავი, მაგრამ ამ ხალხს ასეთად დაამახსოვრდა დათიკო, ერთადერთი კაცი მთელ გურიაში, ვინტოვკას რომ ხმარობდა. ასეთი ხალხი ყველა ბერდენკას ატარებდა, მას კი რატომღაც სამხედრო შაშხანა ერჩია.

რა ხდებოდა?

გურიაში ისე იყო, რომ ბევრი ეწერებოდა არა მხოლოდ რევოლუციურ რაზმებში, არამედ სტრაჟნიკებადაც. სტრაჟნიკობაში დამსახურება და მედალი მოდიოდა, ფულადი ჯილდო მოდიოდა. უნდა აგერჩია: ან პოლიციელი ყოფილიყავი, ან კანონგარეშე.

დათიკო ნომერი პირველი სამიზნე იყო ხელისუფლებისთვის და ძალიან ბრაზობდა, როცა ამბავს მოუტანდნენ, რომ ვიღაც მასავით გლეხკაცი ჩაეწერა ჩაფრად და დაიქადნა, შევარდნაძის თავს ჩავაბარებ მთავრობასო.

ერთხელ დაადგა ერთ ასეთ ჩაფარს თავზე ტყეში მძინარეს, გამოაღვიძა და ჰკითხა, მოგკლა ახლაო? იმან მოუბოდიშა და უთხრა,

მაჩუქე სიცოცხლეო, და დაინდო, არ მოკლა. ასე ჰკითხა კიდევ ერთს: რისთვის გამწირე, ანდრიაო, და იმან, „მენდლისთვისო“. მენდლისთვისო და დაალევია კიდეც ტყვია.

იყვნენ სამნი ძმანი კალანდაძეები, რომლებიც ერთად ჩაეწერნენ ჩაფრებად სტრაჟაში. მათ შორის უფროსი იყო პლატონი და იმისი უკვდავი სიტყვებია: რას მაშინებთ ამ შევარდნაძით, ერთი კაცია და ერთი კაცი ვარ მეც, შევხვდებით და ან ის მომასწრებს, ან მე მოვასწრებო.

მარტო კანონზე და უკანონობაზე არ იყო ეს ამბავი, სიჩაუქის გიჟური შეჯიბრიც იყო. და საერთოდ, რა ხდებოდა იმათ თავებში, ახლა რო დავფიქრდეთ, ძალიან ძნელი წარმოსადგენი და ძნელი აღსადგენია.

კალანდაძეების ამბავი და იმათი დანაქადნი რომ გაიგო, შევარდნაძე პირდაპირ სახლში მიადგა ძმებს და იქ კი დახვდა მარტო მოხუცი დედა ამათი და ჰკითხა: სად არიან შენი შვილებიო? არ არიან ჩემი შვილები სახლშიო, მოხუცმა უთხრა.

და ვერ გყოლია კაი შვილებიო, მემუქრებიანო, დათიკომ, აბა, მაჩვენე, სად სძინავს პლატონასო და შეიყვანა იმანაც ოთახში და საწოლს დაახალა ერთი ოცი ტყვია და წამოვიდაო.

შიშის თესვის გაეგებოდა.

არის კიდევ ერთი კარგი მოგონება კაცისა, რომელიც მაშინ ბავშვი იყო, როცა გურიაში რუსეთის პირველი რევოლუცია ბობოქრობდა. ეს ბავშვი და მასზე ცოტა უფროსი ბიჭი იდგნენ გზაზე და სათამაშო თოფს ესროდნენ ტელეგრაფის მავთულებს. აი, გართობაც ასეთი ჰქონდათ, დროის შესაბამისი, და გამოიარა ვიღაც კაცმაო და გვიყურა, გვიყურა, რომ ვესროდით მავთულებსო და, შვილოო, არასწორად ესვრით და მე გასწავლით ახლაო. ორი მავთული იყო და ამოიღო რევოლვერი და გვითხრაო, თუ გინდათ, რომ ზედას მოარტყათო, ქვედას უნდა დაუმიზნოთო, იმიტო რო სამიზნე იტყუება ხოლმეო, და გააქანა, ესროლა და გადაგვიწყვიტა ერთი მავთული, გადაგვისვა თავზე ხელი და წავიდა თავის გზაზეო. არ გასულა ხუთი წუთიო და ჩამოიარეს სტრაჟნიკებმაო, აქ ასეთ და ასეთ კაცს ხომ არ გამოუვლიაო, ჰოდა, ამ უფროსმა ბიჭმა უთხრა, კიო, იქით წავიდაო. ამ სტრაჟნიკებმა შემოგვხედეს და აქეთ წავიდნენ, არ დაუჯერეს, არადა ამ ბიჭმა მართალი უთხრა.

მერე აუხსნიათ ამ პატარასთვის, ისო დათიკო შევარდნაძე იყოო.

რატომ უთხარი საით წავიდაო? აი, ასეთი დაჩვეული იყო ყველა რევოლუციურ მუშაობას. იმიტომ, რომ მაინც არ დამიჯერებდნენო და სხვა მხარეს წავიდოდნენო.

მაგრამ დათიკოს ხელობა მაინც სიკვდილის ხელობა იყო და მასაც, რა თქმა უნდა, დასდევდნენ. თუ ტყვია არ მისწვდებოდა, ცდილობდნენ, სხვა რამე მისწვდომოდა. არსებობდა საწამლავი.

ასეთ ხალხს ხომ თავი სანდო ოჯახებით გაჰქონდა. ეს განსაკუთრებით რევოლუციის დროს შეიქნა მნიშვნელოვანი, როცა ბევრი გაჯაშუშდა, თორემ მანამდე შენი სოფელი არაფრით გაგყიდდა.

ხელისუფლებისთვის იოლი არ იყო, რომ სწორედ ამ სანდო ოჯახებში დაეთესათ ისეთი რაღაც, რაც მათ ერთგულებაზე ხელს ააღებინებდა ფირალს. თუ მოახერხებდნენ და მაშინაც გვარიანი საწვალებელი იყო. გამოქცევა და შეტყობინება, ფირალია ჩემთანო, უფრო ძნელი იყო, ამიტომ, როგორც წესი, მთავრობის კაცები არიგებდნენ ხოლმე საწამლავს.

მთავარი იყო, გეპოვა გამყიდველი და მოღალატე იმ სანდო ხალხში და იმათაც, რას უნდა დაჰპირებოდი ისეთს, უბრალოდ, სიღარიბე იყო გარშემო და ამის ხარჯზე თუ გაიყიდებოდნენ. დიდი ხიფათი კი იყო. ისე ხდებოდა ხოლმე, ზოგჯერ დათიკო ერთ ღამეში ხუთ სახლს იცვლიდა, იმდენად ახლოს იყო მისთვის დევნის შეგრძნება.

კი იყო ასეთი მაგარი მსროლელი, მარა როცა ჯარი მოდის, ძალიან ძნელია ერთი, თუნდაც კარგი, შაშხანით კარგი მსროლელი ოცდაათ კაცს გაუმკლავდეს და ანდა გაასწროს. აი, ასე მოწამლეს შევარდნაძეც. უფრო სწორად, არის ვერსია, რომ ასე მოწამლეს. იმიტომ, რომ ის მივიდა თავის სანდო ხალხთან, ძმებ მოსე და ბენია ჭელიძეებთან. ზამთრის თვე იყო და რომ მივიდაო, მოსემ არაყი დაალევინა, თვითონ კი არ დალიაო. ჰოდა, შევარდნაძეს უთქვამს, რაღაცა მაწყინა ამ არაყმა, არ მესიამოვნაო. მერე ჭამა და წაუძინა და რომ გაიღვიძა, უკვე ცუდად იყო და თქვა, წავალ ახლა მეო, რაღაცა მოწამლული ხო არა ვარო. ამათ კი ძაან შორს დაიჭირეს, ძმებმა, რას ამბობო. ჰოდა, აიღო თავისი შაშხანა და გასინჯა. ხუთი ტყვია ეტეოდა ამ შაშხანაში და ხუთივე უკუღმა იდოო და ეს რა არიო, ვინ ქნაო, იკითხა და უმცროსმა უთხრა, ბენიამ, მეო, მე ვიხუმრეო, კაცოო. ანუ თავი დაიცვეს, უცებ რომ დატაკებოდა ამ შაშხანას, არ გაესროლა, და მოჰკიდა ხელი ამ შაშხანას და ნაჩანჩალდა ეზოში.

თავიც აღარ ჰქონდა, რომ შური ეძია იქვე. ჰოდა, უკვე ჭიშკართან გული აერია და თქვა, მომწამლეს ამ შობელძაღლებმაო. ბავშვი მიჰყვებოდა, მიაცილებდაო. ვისი ბავშვი იყო, უცნობია, სოფლელი ბავშვი ალბათ და ისე იყო, თოფიც ვეღარ დაიჭირა ხელში და ბავშვს მიჰქონდა ეს თოფიო. მაგრამ მერე მაინც რამდენიმე დღე შეძლო და იცოცხლა. ეს საწამლავიც, როგორც ჩანს, არ იყო ისეთი და ისევ

მოდიოდა გზაზე, მოწამლული ძლივს მოათრევდა ფეხებს და შეხვდა ორი სტრაჟნიკი გზაზე და დათიკო შორიახლოს გაუჩერდა. რომ გაუსწორდნენ და ისა ვარო, ხო მიცანითო, დათიკო ვარ შევარდნაძე, ხელი არ გაანძრიოთ და მეც გაგატარებთო.

ისინიც დათანხმდნენ, მაგრამ როგორც კი გასცდა იმათ, ესროლეს და ატყდა სროლა. ერთი დაჭრა, მაგრამ თვითონ იქვე მოკლეს, უკვე მოწამლული დაეცა იმ გზაზე.

ასე გარდაიცვალა იმ დროში ყველაზე პოპულარული და სახელგავარდნილი გურული წითელი პარტიზანი, მაგრამ ამით არ დამთავრებულა, აქ კიკია მამულაიშვილიც უნდა გამოვაჩინოთ.

დათიკო ძალიან მეგობრობდა კიკიას.

ესეც ძალიან ცნობილი პარტიზანი იყო.

ჰოდა, დათიკოს მოკვლის ამბავი რომ გაიგო კიკიამ, რომელიც ტყეში იყო თავის ერთ ამხანაგთან, ისაკი თოიძესთან ერთად, წამოვიდა და კანცელარიას დაეცა ასკანაში, დათიკოს მშობლიურ სოფელში. იქ იყო ორი სტრაჟნიკი და ეს სტრაჟნიკები დახოცეს კიკიამ და ისაკიმ. ერთ-ერთი ამათგანი იყო სწორედ ის პლატონ კალანდაძე, რომელიც ძმებთან ერთად დათიკოს მოსაკლავად შევიდა სტრაჟაში. ასე იძია შური კიკიამ და ეს საქმე რომ აღასრულეს, ფირალები გაქანდნენ ასკანის სასაფლაოზე სროლა-სროლით, დათიკოს საფლავთან მისცეს ზალპი, როგორც სჩვევიათ სამხედროებს და მებრძოლებს და იმღერეს მარსელიოზა. რა სურათია: სოფელ ასკანის სასაფლაოზე ნამღერი მარსელიოზა, რომელსაც დაღუპული მეგობრის საფლავთან ასრულებს ორი ფირალი.

კიკიას გამო სხვაც ბევრია მოსაყოლი. ისიც, დათიკოსი არ იყოს, ძაან წარსულის კაცი იყო. ასეთი რამ ხშირია ხოლმე რევოლუციონერებში. ბიჭი ერთს ოცნებობდა და სხვა კი გამოუვიდა. კიკიას აფიცრობა უნდოდა.

ის იყო დვაბზუელი გლეხის შვილი. ამბობდნენ, მამა რომ არ გარდაცვლოდა, სოფელში ვერ ჩაეტეოდაო, იმიტომ, რომ გაქანების ბიჭი იყო. მაგრამ თავიდანვე ანტისახელმწიფოებრივად იყო განწყობილი თურმე და ანტირელიგიურად და პირველი სახალხო შარი მაშინ მოუხდა, როცა დვაბზუს ეკლესიაში გააბოლა პაპიროსი, გააბოლა და მღვდელმაც მოუწოდა, რომ არ შეიძლება და ამან არ მიაქცია ყურადღება და გაექაჩა მღვდელს, გაექაჩა საცემრად და ხალხმა გალახა ჩვენი კიკია სასტიკად. ამ დროს ალბათ ბიჭი იყო, ჯერ ოცი არ შესრულებოდა, მაგრამ ეს მღვდელი, იონა ღლონტი, მაინც მისი მსხვერპლი შეიქნა. მოკლა მერე, რამდენიმე წლის შემდეგ კიკიამ. არ

ვიცი დაიმახსოვრა, არ ვიცი რაღაც გრძელი კონფლიქტი ჰქონდათ, ძალიან ერჩოდა ამ დვაბზუს ეკლესიის მღვდელს და იქაურ „ურიადნიკ“ ცისკარიძეს. ჰოდა, ეს „ურიადნიკი“ მოკლა შუა ბაზარში, წითელ პარასკევ დღეს 7 ტყვია დაახალა და კიდეც გაფირალდა და გავარდა ტყეში. საერთოდ, ჩვეულებრივ, ასე ამბობენ ამნაირ ხალხზე, რო ბუზს არ ააფრენდაო. გლეხებში თუ იჯდა, ვერავინ გამოარჩევდა, თუ ასეთი ღვთის პირიდან გადავარდნილი იყო. ეს ჰქონდა ამ ტიპის ხალხს, რომ თავისიანებთან შინაურები და ადამიანურები იყვნენ და როგორც კი თავის ხელობას მიადგებოდნენ, იქ უკვე მხეცდებოდნენ. კიკიას და გარდაცვლოდა და, როგორც ჩანს, ამ ამბავს სამუდამო სევდა დაეტოვებინა მის გულში. ითიშებოდა ხოლმე. ყოველგვარი საშიშროების მიუხედავად, გამოეთიშებოდა გარემოს და სადღაც იქით გააბოტებდა, გაალაჯებდა და იყო ჩაფიქრებული და ეძახდნენ, ბოლოს აფხიზლებდნენ ნჯღრევით და იტყოდა, ჩემი დაიკო გამახსენდაო. ეს ყველაფერი სენტიმენტალურიც არის და ადამიანურიც, მაგრამ ტყვიასაც ალევინებდა ხალხს, სიკვდილის ხელობა იყო და კიკიაც მოკლეს, ისე, როგორც ყველა დანარჩენი.

რევოლუცია კი მაინც უფრო ბევრად ფართო რამ იყო, ვიდრე თუნდაც გურიის ერთობა. და რომ არ მივსდიოთ დიდ ამბებს, შევხედოთ ქუთაისს რევოლუციის დროს და შევხედოთ თვითონ რევოლუციონერებს. რა არის რევოლუცია? როგორ მუშაობს ხალხი?

საერთოდ ასეა, როცა ახალგაზრდა კაცი რევოლუციონერობას გადაწყვეტდა და ჩაებმებოდა ამ საქმეში, სულ მალე მიხვდებოდა, რო მარტოს არაფერი გამოუვა, მარტოს კი არა, სხვა რევოლუციონერებთან ერთადაც. ანუ პარტიას და მის მებრძოლებს არაფერი არ გამოუვათ უბრალო ხალხის დახმარების და გამოყენების გარეშე.

რევოლუციონერი არასოდეს არ არის იმდენი, რომ გამარჯვებას ეყოს. გადატრიალებას შეიძლება ეყოს, მაგრამ რევოლუციას არა. ამიტომაც რევოლუციონერთა საქმიანობა დიდადაა დამოკიდებული სწორედ რომ სანდო ხალხზე, ვინც არ არის რომელიმე რევოლუციური პარტიის წევრი, ანდა თანამგრძნობიც კი.

უბრალოდ, სანდო კაცია და მორჩა. ასეთად დაიბადა.

ისეთი ხალხიც კი საჭიროა, ვისი მოსყიდვაც შეიძლება, იმიტომ რომ რევოლუციონერების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამუდმებით არის რაღაც ისეთი, რაც არ უნდა გაიგოს პოლიციამ და მთავრობამ. ამისთვის კიდევ საჭიროა კაცი, რომელიც არ გაგთქვამს და როგორც მაშინ იტყოდნენ, არ გაპროვოკატორდება.

საქართველოში უამრავი საქმე გვარდებოდა უბრალო ხალხის

პატიოსნებით და გაუცემლობით. მოსყიდვითაც ბევრი რამ მოკვარახჭინდებოდა ხოლმე.

აი, როგორ გაიქცა ქუთაისის ციხიდან მენშევიკი ზაქარია გურული: ამანათების გადასაცემი პატარა სარკმლიდან გადაძვრა, „პერედაჩის ფორტოჩკიდან“. მოსყიდული იყო დარაჯიც და ამანათების მიმღებიც და ეს გამხდარი, პატარა კაციც გაეტია იმ სარკმელში და გაიქცა.

ასე რომ, რევოლუციაში არსებობს მოსყიდვის ხერხი და სოლიდარობის ხერხიც. იგივე იმ ქუთაისის ციხეს რომ მივუბრუნდეთ, იქ იჯდა ახალგაზრდა რევოლუციონერი, ამბაკო სამანიშვილი. გვარი ნაცნობია და პიროვნება – ნაკლებად. გულიანი ბიჭი იყო და ადრე დაიღუპა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბაჭუა კუპრაშვილმა, ძველმა რევოლუციონერმა, მოთხრობაც კი დაწერა და ცალკე წიგნად გამოსცა.

ამბაკო სამანიშვილი ქუთაისის ციხიდან გაიპარა ეტაპით.

ეტაპისა მოგეხსენებათ, პატიმრების სხვა ციხეში გადაყვანაა, ამ შემთხვევაში კი ეს იყო შორი გზა ციმბირისკენ, საითაც გადასახლებაში და კატორღაში ერეკებოდნენ მსჯავრდებულებს.

სამანიშვილს ეტაპი არ ერგებოდა, მაგრამ შეცვალა ერთი ჩვეულებრივი პატიმარი, არარევოლუციონერი, რომელიც დაეთანხმა, წადი ჩემ მაგივრად, თუ ეგრე გჭირდებაო. ამ პატიმარმა, თავის მხრივ, სხვა შეცვალა, იმ სხვის მაგივრად დაწვა საავადმყოფოში და სამანიშვილი კი ეტაპზე გავიდა მისი სახელით ციხიდან. ჰოდა, საბოლოოდ გაიქცა კიდეც. რა თქმა უნდა, კვლავაც ყველა დაქრთამული იყო.

მაგრამ მოსყიდული ხალხის ყველა ამბავი ყოველთვის ერთმანეთს ჰგავს. ამიტომ, უბრალოდ, სანდო ხალხს დავუბრუნდეთ.

ცნობილი ბოლშევიკი ალიოშა ჯაფარიძე ხშირად მეუბნებოდაო, იგონებს სხვა ბოლშევიკი ბარონ ბიბინეიშვილი, ბიჭო, დაუკვირდი ხალხს ამ ქალაქშიო, ბევრი ხალხი გვჭირდება და ბევრი ხალხის გამოყენება შეიძლებაო. დაუკვირდი ჩინოვნიკებს და გააბი მაგათთან ურთიერთობა, ყველა გამოგვადგებაო. ჩინოვნიკებში იგულისხმებიან წვრილი მოხელეები, რომლებიც მაშინ ქუთაისის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში საქმიანობდნენ.

ქუთაისი სრულიად პირობითია ამ ლაპარაკში. უბრალოდ, ბარონი ქუთაისის კომიტეტის წევრი იყო. სხვა ქალაქებშიც იგივე უნდა ექნათ.

ყველგან მსახურობდნენ ძალიან საჭირო ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებისთვის თავს არ დებდნენ და ამათგან ზოგის მოსყიდვა შეიძლებოდა და ზოგთან კიდევ შინაურული, მეგობრული ურთიერთობის გაბმა. ასეთი ურთიერთობები აუცილებელი იყო, იმიტომ რომ, რევოლუციონერის ყოველი ნაბიჯი არის უკანონო და უკანონობის

გაიოლებაში კი საჭიროა სახელმწიფო მოხელეების დახმარება.

იმის მოყოლაც შეიძლება, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ქუთაისელ ბოლშევიკებს მაზრის უფროსის, ვამეხ დადეშქელიანის ცოლთან, რომელიც მათი მფარველი ანგელოზი იყო.

აი უბრალო სურათი: რევოლუციონერებს სჭირდებოდათ პასპორტები, რათა სხვისი სახელით და გვარით თავისუფლად ემოძრავათ ამხელა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, რადგან თავიანთი ნამდვილი სახელებით და გვარებით ისინი შეიძლება პირველსავე პუნქტში, პირველმავე გარადავიმ გააჩეროს და დაიჭიროს. პასპორტი, როცა ყალბია, მისი კარგი საძირკვლის გარეშე გამოყენება შეუძლებელია. იქ ჩაწერილი გვარ-სახელის უკან რეალური პიროვნება უნდა იდგეს. თუ ასე არ არის, პასპორტი უნდა იყოს ნაღდი, რისი შოვნაც კიდევ უფრო ძნელია. ამიტომ, როცა რევოლუციონერები შეიტყობენ, რომ ქუთაისის მაზრის სამმართველოში რეგისტრატორის მცირეჯამაგირიან თანამდებობაზე მსახურობს ახალგაზრდა რაჭველი კაცი ალფეზ მუსერიძე, მასთან მეგობრობას იწყებენ.

გადაეყარნენ ერთხელ სადღაც ამ კაცს, მეორედ დუქანში დაპატიჟეს, მესამედ ბულვარში შეხვდნენ, მეოთხედ იქა, მეხუთედ აქა და მიხვდნენ, რომ არ არის ურიგო ბიჭი, ყველაფერი ესმის, იცის, რომ მეფე ცუდია და ქვეყნად სამართალი უნდა იყოს. მსახურობს თავისთვის, წყნარი მოხელეა.

დამეგობრდებიან ამ ბიჭთან. ეს დამეგობრება შეიძლება გულწრფელიც იყოს, მაგრამ უკან მაინც ანგარება უდგას, იმიტომ, რომ ეს ახალგაზრდა კაცი უნდა გამოიყენონ. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს სთხოვენ ახალი მეგობრები, ეგებ როგორმე გვიშოვო იმ ადამიანების სიები, რომელთა სახელზეც ქუთაისში პასპორტები გაიცემაო. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ როდესაც რომელიმე მათი მეგობარი თავისი ყალბი პასპორტით ჩავარდება, შიგ ნამდვილი გვარი და სახელი ეწეროს.

როცა ქუთაისში შეკითხვა მოვა, არსებობს თუ არა ასეთი კაციო, მოგონილ სახელსა და გვარზე, რა თქმა უნდა, არაფერს დაუდასტურებენ.

ალფეზ მუსერიძეც, რა თქმა უნდა, აწვდის ამ სიებს თავის ახალ მეგობრებს და თვითონაც დაინტერესებული ჩანს რევოლუციით, რახან ასე ჩაება ამ საქმეში და არც თუ ისე მშიშარა მოხელე ყოფილა, არა?! რაღაც გაბედა და მოეწონა.

ასეთები ბევრნი იყვნენ.

სიებს კი თანდათან მოჰყვება სხვა თხოვნები, რომ აბა, ეგებ პასპორტის ერთი-ორი ბლანკი გვიშოვო, რომ ნამდვილი იყოს.

ალფეზ მუსერიძე იშოვის ამათაც, სრულიად უანგაროდ, ყოველგვარი ფასის გარეშე, იმიტომ, რომ დაუმეგობრდა ამ თავზე ხელაღებულ და ვაჟკაც ხალხს და ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და ეს საქმე აწყობილია, ასე ვთქვათ, მაგრამ მერე და მერე ამათ, რა თქმა უნდა, სჭირდებათ ბეჭედი, ჭვირნიშნიანი ქაღალდი და ეს ყველაფერი ამ ახალგაზრდა კაცმა უნდა მოიტანოს თავისი სამსახურიდან.

ანუ მუსერიძე იპარავს, ან გადაიწერს რაღაცეებს, მაგრამ თანამდებობა აქვს ძალიან პატარა და უფრო მოზრდილ კაბინეტებში არ შეესვლება. უფრო დიდ რამეებზე ხელი არ მიუწვდება.

ამიტომ რას შვებიან ქუთაისელი ბოლშევიკები?

ისინი მისდევენ პროტექციას, გადიან მაზრის უფროსის ცოლზე, რომელსაც მათ მეგობრებთან კარგი ურთიერთობა აქვს და სთხოვენ, ნელ-ნელა შეაპაროს თავის ქმარს, რომ ეს ალფეზ მუსერიძე, უბრალო რეგისტრატორი რომაა, კაი წესიერი ბიჭია, ნასწავლი და ეგება ავწიოთ ცოტა მაღლა, უკეთეს თანამდებობაზეო. აი, ასე წინაურდება ეს ჩვენი მუსერიძე და მიდის წინ და მოაქვს ეს ბლანკები და კიდევ უთვალავი რამ.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, თბილისისა და ბათუმის კომიტეტების ნახევარზე მეტი ეჭირათ მენშევიკებს, და მთელი საქართველოს მასშტაბითაც რევოლუცია მათ ხელში იყო. ერთადერთი ქალაქი იყო ქუთაისი, სადაც რევოლუციური კომიტეტი ეჭირათ ბოლშევიკებს, ამიტომ ყველაფერი, რაც ხდებოდა აქ, ხდებოდა ბოლშევიკების ნიშნით და მათი გაკეთებული იყო. ძალიან დახვეწილი ოპერაციები და იატაკქვეშა მუშაობა იყო სწორედ ქუთაისში. ამ ახალგაზრდა კაცის დაწინაურებაც ამას მოწმობს.

აბა, წარმოიდგინეთ: ბაქოში დაიჭირეს ვიღაცა ქართველი რევოლუციონერი, რომელსაც აქვს პასპორტი, რომელიც დამზადებულია ქუთაისის კომიტეტის მიერ და გვარი და სახელი ამ პასპორტში წერია ქუთაისელი მოქალაქის.

ერთხელ კონფუზიც კი გამოვიდა, პასპორტში ჩაწერილი გვარის და სახელის პატრონი მღვდელი გამოდგა. რა ხდება, როცა ან მღვდელი გამოდგება, ან ოფიცერი და დაპატიმრებული კი იერით ნამდვილად რევოლუციონერია?

მაშინ გჭირდება წერილები, რომლებიც ბაქოდან მოდის ქუთაისის სამაზრო მმართველობის სახელზე, ანუ ჯერ შენ უნდა გახსნა ეს წერილი, ნახო, შიგ რა წერია, ან საერთოდ აღარ მიუშვა კანცელარიამდე და შენით მისწერო პასუხი, რომ ყველაფერი წესრიგშია, ან უნდა გადააკეთო რაღაც და ისე მოახერხო, რომ ის კაცი ბაქოში უეჭვოდ გაათავი-

სუფლონ. რთული საქმეა, ამიტომ ფოსტაშიც უნდა გყავდეს ხალხი და მაზრის უფროსის სახელზე მოსული წერილები ჯერ შენ უნდა მოგცენ.

ამას მარტო პარტია არ ეყოფა. სხვანაირი გამოცდილების ხალხი უნდა.

აი, ერთი ასეთი სურათიც:

ქუთაისის კომიტეტში მოვიდა პეტერბურგიდან ამბავი, რო დაიჭირეს ერთი ქართველი რევოლუციონერი. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, შეიტყვეს ფოსტიდან და ალფეზ მუსერიძისგანაც, რომელმაც მოუტანა მათ წერილი, სადაც ეწერა, რომ პეტერბურგში დაჭერილია კაცი, რომელზეც ეჭვი აქვთ, რომ არის ესა და ეს, მაგრამ უარყოფს. აქვს რაღაც საბუთი, რომელთანაც ვერ ხერხდება მისი პიროვნების შედარება და ძალიან გთხოვთ, დაგვიდასტუროთ ამ ვინაობის კაცის არსებობა.

თუ ის თავის ვინაობას არ იტყვის, კანონი ასეთია, რომ აგზავნიან პირდაპირ კატორღაში ვინაობის გარეშე, ასამართლებენ სწრაფად და წინ ციმბირია.

კომიტეტმა იცის, ვისზეა ლაპარაკი და მისთვის ეს კაცი არის ძალიან საჭირო.

ამიტომ ისინი ეძებენ იმ ადამიანს, ვის გვარზე და სახელზეც გააკეთეს ეს პასპორტი. ირკვევა, რო ეს ადამიანი თვითონაა ციმბირში, ციხეში, მაგრამ პოულობენ მამამისს, გლეხკაცს, რომელსაც შეუძლია თქვას, რომ პეტერბურგში დაკავებული ნამდვილად მისი შვილია. გლეხკაცი იცრუებს მთავრობის სიძულვილით.

საქმე გვარდება. პეტერბურგში იგზავნება წერილი, რომ ეს კაცი ნამდვილად არის ესა და ეს და რომ მამამისი აგერ არის ოზურგეთში.

რახან კაცის ვინაობა გარკვეულია, მას ციმბირში აღარ აგზავნიან და აგზავნიან ქუთაისში, აქ უნდა გაასამართლონ. მოჰყავთ აქედან, შემოჰყავთ ბათუმში და მთელი სპექტაკლია იქ დადგმული. მოჰყავთ ეს მოხუცი გლეხკაცი, რომელსაც პატიმარი არასდროს უნახავს, მაგრამ ამბობს, ჩემი შვილიაო. გადაეხვევა, გადაკოცნის და ეფერება პოლიციელთა თვალწინ. ყველა საბუთი ფორმდება და უშვებენ პატიმარს ქუთაისის ციხეში, საიდანაც არის ათასი საშუალებაა, რომ ის ან გააქციონ, ან კარგი ადვოკატები უქირავონ.

მაგრამ ამ ოპერაციის დროს იყო ისეთი მომენტი, როცა ვითომ მამამ, ვითომ შვილი ნახა და გადაეხვია, იქ ბოქაულმა თქვა, რომ ეს შენი შვილი ახლა ოზურგეთში უნდა წამოვიყვანოთო და ეს მოულოდნელი ამბავი გამოდგა რევოლუციონერებისთვის, იმიტომ რომ ოზურგეთში ნებისმიერ კაცს შეეძლო ეთქვა, რომ ეს ამ გლეხკაცის შვილი

არ იყო. გლეხმა ივაუკაცა და ბოქაულს სთხოვა, თქვენი ჭირიმეო, ეს ანგარიში გამიწიეთო, დედას ნუ ანახებთ დაპატიმრებულ შვილსო და იმათაც გაუწიეს ანგარიში. წაიყვანეს პირდაპირ ქუთაისში. რევოლუციონერები კი ამბობდნენ, რომ რუსეთის იმპერიაში არის ყველაზე პირსისხლიანი რეჟიმი, რაც კი ვინმეს მოუგონია, მაგრამ ეს რეჟიმი იყო ძალიან კანონის დამცველი და კანონმორჩილი, ხოლო შეღავათები ნამდვილად არსებობდა და ადამიანის სიტყვას უწევდნენ ანგარიშს.

900-იანი წლების დასაწყისში ქუთაისში, ობორონის ქუჩაზე, ცხოვრობდა ერთი წესიერი კაცი, ვარლამ ფანცხავა.

სახლი იყო კარგი, ქვის გალავნით და ეზოთი, მაგრამ ფანცხავა და მისი ოჯახი გაწვალებული იყო.

წვალება და ხიფათი მოდიოდა ორივე მხრიდან: ცალკე ხელისუფლებისგან და ცალკე კიდევ რევოლუციონერებისგან. ისე კი, საქმე ის არის, რომ ზედ ქუჩის გადაღმა, ანუ ფანცხავას ღობის მეორე მხარეს, ასე 20-25 ნაბიჯში, ძალიან გრძელ მანძილზე, ქუჩას გასდევდა მაღალი კედელი, ხოლო კედელს შიგნით იყო განთქმული ქუთაისის საგუბერნიო ციხე, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს.

ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს ფანცხავას სახლის აივანი, სახურავი, რაც კი რამ ადგილი იყო ისეთი, სადაც შედგებოდი და ხელს დაუქნევდი ციხის ფანჯრებს, ხალხის მიერ გამოიყენებოდა მუნჯურად სალაპარაკოდ ფანჯრებს მომდგარ პატიმრებთან.

გაკვალულ გზას მიჰყვებოდა ბევრი და ფანცხავა იტანჯებოდა. წესიერი კაცი იყო, პატიმრის ჭირისუფალს ეზოს კარს ვერ უკეტავდა და მეორე მხრივ კი, ციხის ადმინისტრაციაც ჭამდა: აბა, ჩამოაფარე ფარდები, აბა, გააკეთე ეს, აბა – ის.

ამ ამბავს ბოლო არ ჰქონდა და მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა, რაც რევოლუცია დაიწყო და ქუთაისის ციხე პოლიტიკურებით გამოიტენა.

ამნაირ ხალხთან მუნჯური ლაპარაკი ყოველთვის სცდებოდა ყოფით მოკითხვებს.

ობორონის ქუჩას გააჩნდა ის თავისებურებაც, რომ აქ ძირითადად ციხის მომსახურე პერსონალი ცხოვრობდა. ერთი ფანცხავა იყო გამონაკლისი.

რუსეთის იმპერია კი იყო ცუდი კანონების ქვეყანა, მაგრამ კანონების ქვეყანა იყო და ამ კაცს ვერავინ ვერ დაუშლიდა, რომ მისი აივნიდან და ან მისი სახლის ღობიდან ვიღაცას ხელები ექნია.

შეიძლება შეეშინებინათ ციხის მხრიდან თოფების მოღერებით ან რამე ასეთით, მაგრამ იმას იქით საქმე არ წავიდოდა.

ციხის ადმინისტრაცია ძალიან წუხდა და გუბერნატორსაც ელაპარაკებოდა ამ საკითხზე.

სახლი იმგვარად იდგა, რომ მისი ეზოდან თვალი კარგად სწვდებოდა ციხის მესამე სართულის ფანჯრებს, ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, ადმინისტრაციამ ფანჯრებზე თუნუქის აკვრაც გადაწყვიტა.

ფანცხავამ იფიქრა, ამოვისუნთქეო. თანაც, ერთ მშვენიერ დღეს მასთან მოვიდა კარგად ჩაცმული კაცი და უთხრა, მთელი დღეებია, ქალაქში დავდივარ, საქირაო სახლს ვეძებ და სწორედ ასეთი მინდა, შენი რომ არისო. ჰოდა, თუ მომაქირავებ, ნაწყენი არ დამრჩებითო.

ფანცხავამ ჰკითხა, ვინა ხართ და რამდენიო. მე ვარო, ჩემი ცოლია და ჩემი ქვრივი და არისო. საქსოვი საამქრო გვინდა გავხსნათ და შენი სახლის ფართობი ძალიან მომეწონაო.

ფანცხავამ იფიქრა და დათანხმდა. სიმამრის სახლი შეგულებული ჰქონდა გადასაბარგებლად და მიაქირავა თავისი ამ უშვილო ოჯახს.

ციხის ადმინისტრაციამ შეამჩნია ეს გაქირავება და კმაყოფილიც დარჩა, იმიტომ, რომ უცნობებთან აღარავინ შემოდიოდა.

ეზოში ერთთავად გამოფენილი იყო ქალისა და კაცის ნაქსოვი წინდები და ნაირგვარი სამოსი. ღობეზეც კი. კლიენტი ბევრი მოდიოდა, ყიდულობდნენ. ყიდულობდნენ ალბათ, აბა, რა ენდომებოდათ ობორონის ქუჩაზე.

ზედ ფანცხავას სახლის ჭიშკრის პირდაპირ იყო ციხის საგუშაგო და გუშაგები ველარაფერს ამჩნევდნენ საეჭვოს და აკრძალულს.

ფანცხავა წავიდა დამშვიდებით, წაიღო თან წინდაწინ გადახდილი ქირის ფული და ყველაფერზე დაეთანხმა მდგმურებს. იმათ მოზიდეს დაზგები, საქსოვები, ძაფები და ორი დაქირავებული მუშაც მოიყვანეს.

ამას მერე ჰყვებოდა ფანცხავა, პოლიციაში თავი ხომ უნდა გაემართლებინა.

სინამდვილეში, ეს არ იყო არანაირი საქსოვი საამქრო. ყველაფერი იყო თვალის ასახვევად, იმიტომ რომ ქუთაისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, ციხიდან გამოეპარებინა თავისი ამხანაგები და ეს გვირაბის მეშვეობით მოეხერხებინა.

რევოლუციონერებმა ყველაზე კარგ ვარიანტად მიიჩნიეს ფანცხავას სახლი.

გვირაბი გავიდოდა ამ სახლის სარდაფიდან, გადაკვეთდა ქუჩას და ამოვიდოდა ციხეში, საჭირო ადგილას.

მთელი ეს იდეა ეკუთვნოდა ცნობილ თავზე ხელაღებულ, უშიშარ და იმავდროულად, ძალიან მორცხვ ადამიანს, კოტე ცინცაძეს, რომელიც თვითონ იჯდა ზაფხულში ამ ციხეში, საიდანაც რუსეთში

გაგზავნეს ეტაპით და იქიდან გამოქცეული დაბრუნდა ქუთაისში და თქვა, მოდი, ასეთი რაღაცა გავაკეთოთ, დავეხმაროთ ამხანაგებსო.

ქუთაისის ციხე გადახუნძლული იყო პოლიტიკური პატიმრებით. ორ დღეში ერთხელ ეტაპი იყო და პატიმრებს ერეკებოდნენ ციმბირისკენ. იქ იჯდა ბევრი სიკვდილმისჯილიც, რომლებიც ელოდებოდნენ თავიანთ რიგს.

ციხეში ჯდომის დროს კოტე ცინცაძემ მშვენივრად შეადგინა ამ ციხის გეგმა, იპოვა ის ადგილი, სადაც გვირაბი უნდა ამოსულიყო.

ეს იყო ციხის პირველი სართული – სეკრეტი, ასე ვთქვათ. ასე ერქვა ამ განყოფილებას – სეკრეტის პირველი კამერა.

ეს იყო დასვენების საათებში ღია კამერა. როცა სასეირნოდ გამოდიოდნენ პატიმრები, კამერების კარები იყო ღია და, საერთოდ, ისეთი აუტანელი არ იყო ეს ციხის რეჟიმი, მერე და მერე რომ შეიქნა ქუთაისის ციხეში სწორედ ბოლშევიკების ხელში. იქ შეგეძლო კონიაკიც კი გესვა, თუ ფული გქონდა და ადამიანურად გეჭამა. ჰოდა, გეგმა ძალიან კარგად შეადგინეს, მოიფიქრეს და ბინაც იქირავეს ფანცხავასგან.

კაცი, ვინც ასახიერებდა ოჯახის უფროსს, იყო ერემია ლომთათიძე, ხოლო ქალები, ასევე რევოლუციონერები, ბოლშევიკები. ცოლს ასახიერებდა მარო ბოჭორიძე და დას – ნატაშა კალანდაძე, კოხტა და კარგი ქალი.

სირთულე ის იყო, რომ გვირაბი გამოდიოდა ძალიან გრძელი და მიწა ხომ ძალიან ბევრი იქნებოდა სათხრელი და შეუმჩნევლად გასატანი.

შრომა უნდოდა არაადამიანური.

მით უმეტეს, გვირაბის გათხრას სჭირდებოდა რაღაც საგანგებო ცოდნა, რაშიც გამოცდილი კაცი იყო საჭირო. თავიდანვე გადაწყვიტეს, რომ მიწა სახლიდან არ გამოვა, ყველაფერი უნდა დარჩეს სახლში, სარდაფში, ოთახში, ტომარაში, სადაც იქნება, იქ უნდა დარჩეს, იმიტომ რომ ეს ყველაფერი უამრავი სამხედროს და ციხის ადმინისტრაციის თვალწინ ხდება და იქიდან ტომრებით მიწის ზიდვა საეჭვო იქნება, მით უმეტეს, როცა გზაში საგუშაგოები გხვდება და თან რევოლუციის მიწურულია და შპიკები გამეცადინებული არიან.

ამიტომ ჭიათურაში იშოვეს მაღაროების თხრაში გამოცდილი ორი მუშა, რომლებმაც თხრის წესი და მიმართულება განუსაზღვრეს რევოლუციონერებს. სულ ერთმანეთს ენაცვლებოდა ათი მთხრელი.

თხრა დაიწყეს კოტე ცინცაძემ და ბაჭუა კუპრაშვილმა ორ ჭიათურელ მუშასთან ერთად. სანდო მუშები იყვნენ. საერთოდ, ხალხი

სანდო იყო საქართველოში იშვიათი გამონაკლისის გარდა, თუ არ გაპროვოკატორდებოდა ვიღაც, თორემ ისე, ყველა ეხმარებოდა ამნაირ ხალხს.

მიდიოდა გაჩქარებული თხრა, დღედაღამ, მონდომებით და, რაც მთავარია, სწორი მიმართულებით, ანუ გვირაბი აუცილებლად ამოვიდოდა იქ, სადაც იყო საჭირო, ანუ „სეკრეტ-ადინის" კამერაში, კუთხეში, ზედ კედელთან.

მაგრამ ოპერაცია მხოლოდ გვირაბის გათხრა არ იყო, ეს იყო ურთულესი და მრავალსაფეხურიანი რაღაც, მოგონილი დიდი ამბავი, რომელშიც უამრავ ადამიანს უნდა შეესრულებინა თავისი როლი. მაგალითად, ასე არ იყო, რომ პატიმარი შევიდოდა იმ კამერაში და გაიქცეოდა. ეს უნდა მომხდარიყო განსაზღვრულ დროს, პატიმრების სეირნობის საათს, როცა კამერები იყო ღია. ამ დროს პატიმრებს შეეძლოთ შენობაშიც შებრუნებულიყვნენ.

ისინი სათითაოდ ამ საათნახევრიანი სეირნობის დროს უნდა შესულიყვნენ საჭირო ადგილას. იქ მათ ელოდებოდა ერთი პატიმარი, სახელად თომა, რომელსაც ხელში ეჭირა კონიაკიანი ბოთლი და გადაახუხინებდა სითამამისთვის და მერე კი უნდა ჩამძვრალიყვნენ ხვრელში. მაგრამ პატიმრები უნდა შესულიყვნენ ნაწილ-ნაწილ და ისე, რომ არავის შეემჩნია, ამიტომ სხვა საგანგებო პატიმრები უნდა მდგარიყვნენ საჭირო კუთხეებში, თეთრი და წითელი ცხვირსახოცებით ხელში. წითელი ნიშნავდა ხიფათს, თეთრი ნიშნავდა „გამოიარე"-ს, და ასე მთელი ჯაჭვი მოქმედებებისა უნდა ყოფილიყო ზუსტი, რახან საჭირო იყო იმისთვის, რომ პატიმრები მოწესრიგებულად გამოქცეულიყვნენ.

გამოსაქცევი პატიმრების რაოდენობა იყო ასევე განსაზღვრული – ეს იყო 37 კაცი, ამათ შორის იყვნენ სიკვდილმისჯილებიც, იყვნენ ისინიც, ვისაც დიდი კატორღა ელოდა და ისინიც, ვინც განაჩენს ელოდა.

გასაქცევების უმრავლესობა ბოლშევიკები იყვნენ.

იყო გეგმის არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილიც. გაქცევა ადვილია და დამალვა კი – ძნელი.

ყველაფერი, რაც შემდგომში უნდა მომხდარიყო, ვინ სად წავიდოდა, ვინ რომელ ბინაზე დაიმალებოდა ან რომელ ტყეში, ასევე წინდაწინ იყო განსაზღვრული და ამ საქმის მეთაური გახლდათ ბარონ ბიბინეიშვილი.

სამუშაო იყო ძალიან მძიმე. რაც უფრო ღრმად მიდიოდნენ, ჰაერი მით უფრო ცოტა იყო. სანთელი და ჭრაქიც კი უქრებოდათ.

თხრიდნენ, საღამოს გამოვიდოდნენ, ვითომდა იქ ნავაჭრით და

მოდიოდნენ, მშვენივრად ჩაუელიდნენ საგუშაგოებს, მთელი დღის ნამუშევრები, დაღლილები, გაუბედურებულები.

დრო რომ არ დაკარგულიყო, თხრა არასდროს წყდებოდა. იმიტომ, რომ ყოველი დღე ნიშნავდა რომელიღაც პატიმრის დაკარგვას, ან ეტაპში გამგზავრებას, ან კიდევ დახვრეტას. მაგრამ ერთ დღეს, ყველასთვის მოულოდნელად გამოცხადდა სახლში ვარლამ ფანცხავა და მოითხოვა სარდაფის გასაღები, რაღაცეები მაქვს იქა და უნდა წავიღოო. დამხვდური ორი ბოლშევიკი იყო და მოიმიზეზეს, ერემო აქ არ არის და გასაღები კი ჩვენ რა ვიცით, სად არისო. ფანცხავაც გაბრუნდა, მაგრამ ეს ყველაფერი კომიტეტმა რომ გაიგო, აღშფოთდნენ, გაუწყრნენ იმ ორს, უპირველესად კი ბიბინეიშვილს: მაგ რაღამ გამოგაშვებინათ, მონმის გარეთ გამოშვება როგორ შეიძლება, ნამდვილად იეჭვებდა რაღაცასო; ახოვანი კაცია ეგ ფანცხავა, ჩაგეყვანათ სარდაფში და ემუშავაო, ჩვენ კიდევ წერილს მივაწერინებდით ცოლისთვის, რომ ვითომ თბილისში გახდა წასასვლელი და სანამ არ მორჩებოდა ეს ამბავი, იქნებოდა იქ ჩვენთან ერთადო.

ბოლშევიკები ძალიან შეშინდნენ. იმ დროს ქალაქში კაცის მოკვლა არ უნდოდათ, თორემ ამ ფანცხავასთვის პირველი პასუხი ის იქნებოდა, რომ მკვდრები დუმან. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, გადაწყვიტეს, ფანცხავა მოესყიდათ.

იმ დროს ქუთაისში ცხოვრობდა ლეგენდარული კაცი, ძველი რევოლუციონერი, ნაროდნიკი, ფედერალისტების ამხანაგი, თავადაც უკვე ფედერალისტი – გიორგი ზდანევიჩი, ძველი სტუდენტური გამოსვლების მონაწილე და მთელი ამბავი და მივიდნენ ბოლშევიკები ამ კაცთან. ოღონდ ბოლშევიკები უკვე არ იყვნენ ისეთი ხალხი, პირდაპირ რომ მისდგომოდნენ ძველ რევოლუციონერს და აი, აქ დასჭირდათ მენშევიკების დახმარება და სთხოვეს გრიგოლ ლორთქიფანიძეს, შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, მერე ისევ ბოლშევიკებისგან დახვრეტილს, ძალიან კარგი წიგნის – „ფიქრები საქართველოზე" – ავტორს. სთხოვეს, მიგვყევი ზდანევიჩთანო. სხვათა შორის, გრიგოლზე ნაწყენები იყვნენ, იმიტომ რომ ერთხელ, როცა არ იცოდნენ, რომ ის მენშევიკია, ჩამოვიდა ქუთაისში აგიტატორად სამუშაოდ ოდესიდან, ჰოდა, ბოლშევიკებმა მიიღეს როგორც ბოლშევიკი და იმან მრევლის წართმევა დაუწყო. ქუთაისში ყველაზე დიდი კასტა პროლეტარიატისა იყო ნოქრები, მაღაზიის გამყიდველები, ჰოდა, ამათთან მუშაობდნენ ესენი და ამან დაიწყო მენშევიკურად ქადაგება და მალე გაუგეს, მაგრამ შერიგებულები იყვნენ. სხვათა შორის ამ ამბავზე თვითონაც ხუმრობდა

ხოლმე ამ ბარონ ბიბინეიშვილთან, ქუთაისის კომიტეტის ლიდერთან, კაცო, რო შევედიო, მუშებს ველოდებოდიო და ეს ნოქრები ისხდნენ ოქროს საათებით და ბეჭდებით და რანაირი რევოლუციონერები უნდა გამომეყვანა მაგათგანო. ამ ტიპის კაცი იყო ფანცხავაც.

მოკლედ, მივიდნენ გიორგი ზდანევიჩთან და მოახსენეს.

ზდანევიჩმა მიიწვია სახლში ფანცხავა.

ზდანევიჩი ქუთაისში დიდი ავტორიტეტი იყო და აიღო და თავისი ხელით დაწერა თამასუქი 3000 მანეთზე და მოაწერა თვითონვე ხელი. მისი ხელმოწერა ნიშნავდა წყალგაუვალ საბუთს და უთხრა, რომ მე არ ვიცი, სად იყავი და როგორ იყავიო, როგორც კი იმ შენი სახლიდან ის ხალხი წავა, შენ მიიღებ 3000 მანეთს დამატებითო.

ეს დიდი ფული იყო მაშინ. ფანცხავაც რაღაცას ხვდებოდა, მაგრამ გაჩუმება არჩია, როგორც იციან ხოლმე საქართველოში გადამწყვეტ დროს. მით უმეტეს, რომ ეს ფული, რომელიც ბოლშევიკებმა პატიოსნად გაუნაღდეს მას, დიდად გამოადგა.

მოკლედ, გვირაბი გაითხარა ძალიან კოხტად და მშვენივრად.

1907 წლის 25 სექტემბერს 37 პატიმარი წინასწარ შედგენილი სიით პირდაპირ გამოჰყვა გვირაბს, ამოვიდა ფანცხავას სახლის სარდაფში, იქ გადაიცვა და საჭირო ხალხის თანხლებით დაიფანტა ქალაქში. ეს ყველაფერი ერთ საათში მოხდა.

ყველაფერ იმას, უკვე რაც შემდგომში მოხდა, ხელმძღვანელობდა ბარონ ბიბინეიშვილი, რომელსაც თბილისში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა და ქუთაისში კი წლები ეცხოვრა და აქაურობისა ყველაფერი იცოდა.

საჭირო იყო ორი-სამი დღის გადატანა მალულად, ნაცნობ ბინებში ვერავის ვერ მიიყვანდნენ, იმიტომ, რომ იქ ჩხრეკა იქნებოდა.

გაქცეულები დაარიგეს წინასწარ შერჩეულ ბინებში და ეს ბინები იყო სულ ჭრელი ხალხისა.

მაგალითად, დავით სულიაშვილი, რომელიც მერე მწერალი გახდა და ლენინის ამხანაგიც იყო, იმალებოდა ქუთაისის „სობოროს“ მედავითნე კანდელაკთან, რომელიც ძალიან უთანაგრძნობდა ბოლშევიკებს და ყველაფერში ეხმარებოდა, დილით – „დავითნი“ და საღამოს – „ძირს მეფე, ბატონი, პოლიციელი!“

იყო ასეთი რევოლუციონერი ებრაელი, მაისეი ბეიტლერი, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და მისი გამოპარება განსაკუთრებით უნდოდათ, იმიტომ რომ უკვე ახლოვდებოდა მისი დასჯის დრო. ბეიტლერი იმალებოდა ყველაზე საინტერესო ადგილას, ეს იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კაბინეტის სხვენი. სიკვდილმის-

ჯილს მალავდა გენერალ-გუბერნატორის ერთ-ერთი მდივანი, ბადუა ჩიქოვანი. ამ ჩიქოვანმა აიღო თავის თავზე ამ კაცის არა მარტო დამალვა, არამედ მოვლა და კვება. ყველაფერს რომ თავი დაანებო, სხვენში საპირფარეშო არ არის. ძალიან პატიოსანი და ერთგული კაცი უნდა იყო და მეგობრობას ძალიან უნდა აფასებდე, რომ გამოქცეული ხალხი ასეთ პირობებში შეიფარო და მოუარო. მოვლა არ არის მარტო ის, რომ კარი დაკეტო. იქ შედის ყველაფერი.

ბეიტლერი მაინც ჩავარდა, იმიტომ რომ, გამოქცეულთა უმრავლესობა ჩავარდა სწორედ ქუთაისიდან გასვლის დროს.

გაქცეულები ძირითადად მიდიოდნენ რიონში და ცდილობდნენ იქ მატარებელში ჩასხდომას.

ხდებოდა უცნაური ამბებიც. მომავალში ცნობილი მწერალი, ლეო ქიაჩელი გოდოგნის ტყეში იმალებოდა ერთ სხვა გამოქცეულთან ერთად და დაიკარგნენ იმ ტყეში. სამი დღის შემდეგ ვიღაც გლეხს ენახა იქ და ამათ დააბარეს ამბავი. ჩამოვიდა ის გლეხი ქალაქში კომიტეტთან, ვერ გამოდიან ტყიდან და არ იციან, სად არიანო, მე კიდევ არ წამომყვნენო.

ძალიან ძნელი იყო წასვლა, მოძებნა, ჩამოყვანა. ყველა ნაბიჯზე იდგა ნარიადი და ჯინორიას ხალხი. იმდენად დამღლელი იყო ეს ყველაფერი, რომ ერთხელ ღამით ბარონ ბიბინეიშვილის ბინის კარზე რომ დააკაკუნეს, კოტე ცინცაძე ტახტიდან არც წამოდგა, დაგვიჭერენ და დაგვიჭირონო.

ჰო! და, იმავე ღამეს ერთ-ერთ ბინაზე, სადაც 10 გამოქცეული ჰყავდათ დამალული და მათ კი უელიდნენ უმშვენიერესი ქუთაისელი ქალები, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ქუთაისის მაზრის უფროსის ცოლიც იყო ჩართული ამ საქმეში, მოეყვანათ პარიკმახერი, უპარტიო, მაგრამ სანდო.

პარიკმახერმა ყველა გაპარსა, გაკრიჭა, მოარგო პარიკები, შეუცვალა წარბები. პასპორტები ამ ხალხისთვის უკვე გამზადებული იყო. ქუთაისის მაზრის უფროსი, ვამეხ დადეშქელიანი, ძალაუნებურად ხშირად ეხმარებოდა ბოლშევიკებს და არა მარტო ბოლშევიკებს, საერთოდ, რევოლუციონერებს.

მოკლედ, ამ გაქცევის ამბავში ჩართული იყო ფაქტობრივად მთელი ქალაქი და ვინც კი შეძლეს, ყველა ასე კოხტად გააპარეს ქალაქიდან.

ქუთაისელი „შპიკების“ მეთაური ჯინორია შუა ბულვარში მოკლეს ტერორისტებმა. სხვათა შორის, მერეღა შეიტყვეს ქუთაისელმა რევოლუციონერებმა, რომ უამრავი „დანოსი“ – უსახელო საჩივარი – შესულიყო პოლიციაში, თუ ვინ მოკლა იგი. უფრო ხშირად ბარონ ბიბინეიშვილსა

და სერიოჟა ქავთარაძეს ასახელებდნენ. თუმცა ესენი ამ საქმეში არ ერიენენ. რამდენი ჰყავდა გამწარებული, რომელიმე იქნებოდა.

პირდაპირ ეწერა „დანოსში“: გამოგდებულმა გიმნაზიელმა სერიოჟა ქავთარაძემ და ბანკში რომ მუშაობს, იმ ბარონმა დაახალეს ჯინორიას ტყვიაო.

საიდან ჩაუვარდათ ხელში ეს „დანოსები“ სერგო ქავთარაძეს და ბიბინეიშვილს? იყო ასეთი ბოქაული, თავზე ხელაღებული და რევოლუციონერებთან დაუნდობლად მებრძოლი, ლავრენტი მახარაძე. ჰოდა, მახარაძე ვითომდა შეშინდა, გამოვიდა კავშირზე ბოლშევიკების კომიტეტთან და უთხრა, რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ, ოღონდ არ მესროლოთ სადმე უადგილო ადგილასო. ამათ მოსთხოვეს, რომ გადმოეცა უსახელო საჩივრები, ანუ „დანოსები“ ბოლშევიკებზე და მენშევიკებზე და იქ წაიკითხეს. მაგრამ მახარაძე ეშმაკი გამოდგა: მოადუნა მათი ყურადღება და მერე, რა თქმა უნდა, მისდია ძველ გზას.

ერთხელო, ბანკში ვზივარო, ბიბინეიშვილი იგონებს, და მოვარდა ერთი ტერორისტი და მითხრაო: ბიჭო, ლავრენტი მახარაძე სეირნობს ბულვარში უჩაფრებოდ, მაგრამ ვერ ვესვრიო, ქალიშვილთან ერთად არიო, პატარა გოგოსთანო. ჰოდა დავინდეთო, არც მე გავუშვი სასროლად და თვითონაც არ იყო მოწადინებულიო.

მაგრამ თვითონ აღარ დაინდო და მერე, რევოლუცია რომ დამარცხდა, მახარაძეს ქვა ქვაზე არ დაუტოვებია ქუთაისში, სადაც ვინმეს ნასწვდებოდა, ყველას იჭერდა და თუ სასროლი იყო კიდევ – ხოცავდა.

გურიაში იყო ასეთი ბლაღოჩინი – ნიკოლოზ რამიშვილი. ჰოდა, ითათბირა მაზრის უფროსთან და უთხრა, რომ ჩვენი გლეხობა მორწმუნე გლეხობააო და ხატს რომ გამოვასვენებთ, ბევრ რამეს გვეტყვიანო.

იმანაც დაუჯერა და წამოასვენეს სურებიდან ლომის კარედის წმინდა გიორგის ხატი და ხალხი შეკრიბეს და აბა, თუ იცით, აგიტატორი ვინ არის, ხატზე დაიფიცეთო. ბევრმა მოითმინა, მაგრამ ბევრი შეშინდა, იმიტომ რომ, სჯეროდათ ამ ხატის განსაკუთრებული ძალისა და თან ეუბნებოდა ეს ბლაღოჩინი, გაგაქვავებთ ხატიო.

რამდენიმე გვარი და სახელი დაასახელეს, იმათი, ვინც არალეგალურად იყვნენ და არ იცოდნენ მათი საქმიანობის შესახებ. ამას სჭირდებოდა პასუხი კომიტეტისგან და კომიტეტმა ხატის მოპარვა გადაწყვიტა. მოიპარეს ეს ხატი და ხალხს უთხრეს, რომ არავინ არც მომკვდარა ამ ხატის მომპარავი და არც გაქვავებულაო და, სხვათა შორის, გურიაშიო, აი, ზუსტად ამ ხატის ამბავმა ითამაშა ძალიან დიდი როლი იმაში, რომ ხალხმა მღვდლებს ზურგი აქცია.

განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ რევოლუციონერები სიკვდილმისჯილ კაცს, რევოლუციონერ მოისეი ბეიტლერს. ბოლოს მოახერხეს და აუღეს ბილეთი რიონის სადგურიდან და ოთხ სხვა პატიმართან ერთად ამზადებდნენ მის გაპარებას.

ყველაფერი კარგად იყო დაგეგმილი, მაგრამ ხალხი არ ჰყოფნიდათ და ბარონ ბიბინეიშვილმა და განთქმულმა კოტე ცინცაძემ გადაწყვიტეს, ბეიტლერისა და მისი მეგობრების გამყოლი ყოფილიყო სწორედ ეს სანდო ჩინოვნიკი და მათგან დაწინაურებული, მათი მეგობარი ალფეზ მუსერიძე.

მუსერიძეც დათანხმდა. გააყოლეს მათ დილით ძებნილები რიონში და დაიწყეს ლოდინი – აბა, რა მოხდება? მთელი დღის განმავლობაში არავითარი ცნობა არ მოსულა და გვიან ღამით გაისმა კაკუნი ბიბინეიშვილის კარზე. ბიბინეიშვილმა გააღო.

ზღურბლზე იდგა სრულიად გაფითრებული მუსერიძე, რომელმაც თქვა, რომ ყველანი ჩავარდნენო. ყველაფერი კარგად იყო, ვაგონში ავედით, კუპეში შევედით და ამ დროს შემოცვივდნენ და ყველანი დაიჭირესო.

კი მაგრამ, შენო? ამათ ჰკითხეს, კოტემ და ბარონმა.

მეო, მოვახერხე და გამოვიქეციო, არ ვგავდი ამათ გარეგნობითო, რაც პრინციპში დასაჯერებელი იყო. რევოლუციონერებს საერთოდ და, მით უმეტეს, ნაციხარს, უცბად ამოიცნობდა ხოლმე გამოცდილი თვალი და გამოცდილი „შპიკი“. იოლად ცნობდნენ და, როგორც ერთმანეთის მტრები, ერთმანეთსაც იცნობდნენ.

ცუდი ამბავი მოუვიდათ, მაგრამ რას იზამ. უთხრეს მუსერიძეს, წადი სახლშიო და მთელი ღამის განმავლობაში ცინცაძე და ბიბინეიშვილი ისხდნენ და მსჯელობდნენ, გამცემი იყო თუ არა მუსერიძე. ჯერ ამბობდნენ, როგორ შეიძლება, რომ გამცემი იყოს, ამდენი ხანია ერთად მოვდივართ, ამდენ რამეში მოგვეხმარა სრულიად უანგაროდ, ერთი კაპიკი არ მოუთხოვია, გვიკეთებს ამ პასპორტებს, გვეხმარება ათას რამეში, იპარავს წერილებს, გვაკითხებს და არასდროს არაფერი შეგვიმჩნევიაო.

მეორე მხრივ, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, გამცემს ჰგავდა.

არ უნდა წარმოიდგინოთ, რომ რევოლუციონერები ისეთი ჰაიჰარა და უბრალო ხალხი იყვნენ, რომ მარტო ლაპარაკით გადაეწყვიტათ საქმე. „ჰოც“ იყო და „არაც“ ამ ლაპარაკში, როლებსაც კი ცვლიდნენ, ხან ერთი იცავდა, ხან – მეორე.

დილისკენ გადაწყვიტეს, რო კარგად შეემოწმებინათ ეს ამბავი და თან ერთხელ კი არა, ორჯერ.

აი, ასეთ ვითარებაში ბიბინეიშვილი წავიდა თავისთან სამსახურში. ის საადგილმამულო ბანკში მსახურობდა, ჰოდა, ვიღაცას დააბარა მუსერიძესთან მაზრის სამმართველოში, ბანკში მოვიდეს და მნახოსო.

ის სასწრაფოდ გამოცხადდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, ბევრმა იცოდა ამ ქალაქში, რომ ისინი მეგობრები იყვნენ. ჰოდა, ბარონმა უთხრა, გუშინო კი ცუდი ამბავი დაგვემართაო, მაგრამ სხვა ჯგუფიც ხომ გვყავს გადამალული და ახლა შემეშინდაო და იმათ ბინა უნდა გამოვუცვალოო. ბუღალტერი კობიძე იყო, ასევე სანდო კაცი იმ დროს ქუთაისში და იმასთან უნდა გადავიყვანოო, უთხრა, ასე გადავწყვიტეო, მე მგონი, ჯობიაო. მუსერიძეც დაეთანხმა, ნამდვილად ჯობიაო, ეს რა დაგვემართაო და წავიდა თავის გზაზე. შესვენებას არ დაელოდა. ბიბინეიშვილი გაიქცა ბუღალტერ კობიძესთან და უთხრა: სახლში რამე აკრძალული ლიტერატურა თუ გაქვს, გადაყარე ყველაფერი, იმიტომ, რომ დღეს შეიძლება ჟანდარმერია დაგეცესო. კაიო, კობიძემ.

მოსაღამოვდა და ბიბინეიშვილი მივიდა ისევ კობიძესთან და ჰკითხა, როგორ არის საქმეო. კაცო, გულთმისანი ხარ შენა თუ ვინა ხარო, წასული არ იყავი, რო მოცვივდნენ, ყველაფერი გაჩხრიკეს, ვერაფერი იპოვეს და წავიდნენო.

ანუ ეს იყო პირველი აშკარა სამხილი იმისა, რომ მუსერიძე გამცემია, პროვოკატორია და უკვე მთავრობაზე მუშაობს და არა რევოლუციონერებზე.

რევოლუციური სასამართლო მაინც სხვანაირი იყო, კიდევ ერთხელ უნდა დაედასტურებინათ, რომ მუსერიძე თანამშრომლობს ჟანდარმერიასთან.

მეორე დღეს ბიბინეიშვილი წავიდა ისევ სამსახურში და სრულიად მოულოდნელად გზაში შეხვდა მუსერიძე.

ეს დრამაა მთელი.

შეხვდა ძალიან შეწუხებული, მოდიოდა თავის ცოლის დასთან ერთად და თქვა, ორი თვის შვილი გარდამეცვალაო და ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ, ახლა მივდივარ დამკრძალავ ბიუროშიო. მაშინ ბავშვთა სიკვდილიანობა კი მაღალი იყო და თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა დაკარგული ჩვილი ბავშვი, მაგრამ ამით რა შეღავათი იქნებოდა. ახალმა ამბავმა შეაცბუნა რევოლუციონერი, მაგრამ დასახულ მიზანს მაინც არ გადაუხვია და უთხრა: კაცო, გუშინ ვერ გადავიყვანე კობიძესთან ის ხალხი და დღეს უნდა მივიდე და გადავიყვანოო. ასე უთხრა და გაშორდა. წამოვიდა სამსახურში. ისევ მივიდა კობიძესთან და უთხრა, დღესაც ელოდეო და საღამოს რომ გაუარა კობიძეს, ის დახვდა გადა-

რეული, კაცო, რა გინდა, რას გადამკიდებიხარ, დღესაც მოვიდნენო.

ეჭვი აღარ იყო, რომ მუსერიძე თანამშრომლობს ჟანდარმერიასთან. კომიტეტმა და რევოლუციონერებმა ჯერ არ იციან, მაგრამ თურმე მუსერიძე უკვე თითქმის დანიშნულია ტყიბულის ბოქაულად, რაც სერიოზული თანამდებობაა და უკვე ფორმა უნდა ჩაიცვას.

იმავე საღამოს ბიბინეიშვილს ერთმა სანდო კაცმა უთხრა, რომ მუსერიძე უკვე შეკრულია და ქუჩაში მოერიდეთ, იმიტომ რომ ხვალიდან უკვე დაიწყებს ჩაფრებთან ერთად სიარულსო და ქუთაისის ბულვარში რომ გამოვა, იცოდე, რომ ვისაც ხელს ჩამოართმევს, ყველას დაიჭერენო. ორ კაცს ეძებენ, შენზე არ არის ლაპარაკიო. მართლაც, გავიდა კიდევ ერთი დღე და საგანგებოდ გამოვიდა ბიბინეიშვილი ბულვარში და მოჰყვა იქ ბოლთის ცემას და ბოლოს დაინახა მუსერიძე, რომელიც მარტო მოდიოდა და ათ ნაბიჯში მოჰყვებოდნენ სტრაჟნიკები.

მუსერიძემ შემოხედა ბიბინეიშვილს.

საკვირველიც ეს არის, რომ მას არ მტრობდა, არც სადმე დაუსახელებია. ალბათ უყვარდა მეგობრულად.

მუსერიძემ გამოხედა ბიბინეიშვილს და საჩქაროდ განზე გაიხედა, მაგრამ ბიბინეიშვილმა კიდევ ერთხელ სცადა შემოწმება და წავიდა მისკენ, გამარჯობა, ალფეზო, – უთხრა და ჩამოართვა ხელი, ეს განგებ გააკეთა, რადგან იცოდა, რომ ხელს ვისაც ჩამოართმევდა, იმათ დაიჭერდნენ. მუსერიძე მიესალმა, მაგრამ ძალიან აჭრილი გაერიდა და წუთიც არ გასულა, ჩაფრებმა დააკავეს ბიბინეიშვილი. ბიბინეიშვილი მაინც წავიდა ამ ნაბიჯზე, თუმცა კი ჯიბეში ჰქონდა ახალი შემოგზავნილი აკრძალული ლიტერატურა და მარსის ტიპის რევოლვერი, რაც ძალიან ცუდი იქნებოდა ჩხრეკისას, მაგრამ როგორც კი ჩაფრები შემოერტყნენ, მუსერიძე მივიდა ოფიცერთან, განზე გაიხმო და რაღაც უთხრა, ამიტომ ბიბინეიშვილს დაუბრუნეს თავისი პასპორტი და გაუშვეს. ანუ მუსერიძემ თავისი მეგობარი არ გაწირა, თუმცა ის ადამიანები, რომლებთანაც არ მეგობრობდა, უკვე გაწირული ჰყავდა. ეჭვი აღარ იყო, რომ ის პროვოკატორია და მოსაკლავია. ბიბინეიშვილი რომ გაუშვეს, აი, თავზე ხელაღებულობა ნახეთ, კი არ წავიდა, მუსერიძეს გამოეკიდა და ლაღიძის წყლებთან დაეწია: საკანდიტროში ვიჯდები და იქ შემოდი, დალაპარაკება მინდაო და ამას კი ადამიანის ფერი არ ედო სახეზე, უთხრა, ალბათ რაღაც შეეშალათ, მე ვუთხარი, რომ ვიცი, ეს კაცი ბანკში მსახურობსო. ასე გაიმართლა თავი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, იმავე ღამეს გადაწყდა, რომ მუსერიძე – პროვოკატორი და უამრავი ინფორმაციის მფლობელი ადამიანი – უნდა მოკლან.

ჰოდა, დილიდან ამ კაცს, რომელსაც ორი დღის წინ შვილი მოუკვდა, თან ასეთ საზიზღარ ამბავშია გახვეული, მხოლოდ იმის გამო, რომ უბრალო რეგისტრატორად მუშაობდა და ბოლშევიკებმა დაადგეს თვალი თავიანთ საქმეში გამოსაყენებლად, აედევნა ცნობილი ტერორისტი ქიქავა. მუსერიძეს ახლდა ექვსი ჩაფარი და შევიდა ასევე ძალიან სანდო და რევოლუციონერთა თანამგრძნობი კაცის, ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში და, კვიცარიძის ცოლს რომ დაუნახავს, შეშფოთებულა: კვლავ ადამიანის ფერი არ ედო. რა მოგივიდაო, უკითხავს ქალს და არაფერიო, მუსერიძეს, წელი მტკივაო, მაგრამ არ დაჯდაო, გასულა ისევ გარეთ.

ალბათ ძალიან განიცდიდა, ნერვიულობდა და ალბათ გრძნობდა კიდეც, რომ სიკვდილი ახლოს იყო. ტერორისტი ქიქავა იდგა ქუჩის კუთხეში და ელოდა. უფიქრია, ისიდორეს მაღაზიის წინ რომ მოვკლა, ისიდორეს ეჭვი მიადგებაო და არ უსვრია, თუმცა კი, კარგი მომენტი ყოფილა, რადგან ჩაფრები ქუჩის მეორე მხარეს მდგარან. მაღაზიიდან გამოსულს დააცადა ოცდაათი ნაბიჯი, ესროლა და მოკლა იქვე.

მაგრამ რევოლუციონერები ბევრნაირნი არიან. ბარონი, კოტე ციბაძე და სხვანი ბოლშევიკები იყვნენ, საქართველოს კი ჰყავდა ისეთი რევოლუციონერებიც, რომლებიც რუსეთის რევოლუციისგან საქართველოს განთავისუფლებას გამოელოდნენ და იბრძოდნენ კიდეც ამისთვის. ოღონდაც, რევოლუციონერი რომ ხარ, საბოლოო მიზნად რაც არ უნდა გინდოდეს, ხერხები მსგავსია. ეგებ ოდნავი სხვაობა კეთილშობილებასა და სინდის-ნამუსში იყოს, თორემ რევოლუციური საქმიანობის წესებს სად წაუხვალ.

პარიზის ერთ-ერთ ძვირიან სასტუმროში თავშეფარებულ მილიონერს, იაკობ ზუბალაშვილს, დაუპატიჟებელი სტუმარი მიადგა: ქართული საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილი კაცი, საქართველოდან რამდენიმე წლის წინ გამოქცეული პალიკო ყიფიანი და უთხრა, სასწრაფოდ გვჭირდება 25000 მანეთი ოქროთიო.

ზუბალაშვილმა ფული გაიღო.

ხეირიანად არავინ არ იცის, როგორ ელაპარაკა ყიფიანი განთქმულ მილიონერს. ამბობენ, რევოლვერიც ამოიღოო. იმასაც ამბობენ, თითქოს რაღაცეები ეამბოს მილიონერისთვის მისი დაფარული საქმეების შესახებ და შანტაჟის გზით წაერთმიოს ეს ფული.

პალიკო ყიფიანი გვარიანად წაიავანტებდა. მის საქმეთაგან ყველაზე ცნობილი ამბავი ის იყო, რომ საადგილმამულო ბანკის ბაქოს ფილიალიდან რაღაც ხერხებით გაიტანა 26 000 მანეთი და საზღვარგარეთ გაიქცა.

ამის შემდეგ ყიფიანი საქართველოში აღარ დაბრუნებულა, თუმცა დიდხანს იცოცხლა უცხოეთში.

ოღონდ, ამ ჯერზე ყიფიანს ფული თავისთვის არ უნდოდა. ის ძველ ამხანაგებს ეხმარებოდა.

ზუბალაშვილთან ყიფიანის მისვლა იყო ბოლო იმედი ადამიანთა იმ ჯგუფისა, რომელიც ცდილობდა თავი მოება ძალიან რთული საიდუმლო ოპერაციისთვის. ამ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ოპერაცია გადამწყვეტი იქნებოდა რევოლუციით არეულ რუსეთში საქართველოს გასათავისუფლებლად.

საკუთრივ ამ ჯგუფის მეთაურები წინააღმდეგნი იყვნენ ფულის შოვნის იმგვარი მეთოდებისა, ყიფიანმა რომ მიმართა. არავის უნდოდა, შანტაჟით წაერთმია ფული თუნდაც ქართველი, თუნდაც კეთილი, თუნდაც მათი დამხმარე მილიონერისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი აღარ იყო.

ზუბალაშვილმა ფული გაიღო და საქართველოსკენ გამოცურა გემმა, რომლის ტრიუმშიც იდო 7000 შვეიცარიული შაშხანა და მილიონ ასი ათასი ვაზნა.

ეს ყველაფერი იყო 1905 წლის შემოდგომაზე, რუსეთის რევოლუციის ყველაზე ცხელ და რთულ დღეებში.

ზუბალაშვილების ოჯახი, ძმები ზუბალაშვილები, ყველანი მილიონერები იყვნენ და თან განთქმული ქველმოქმედები. ისინი ყოველთვის ეხმარებოდნენ არა მხოლოდ ქართულ საქმეებს, არამედ ქართველ რევოლუციონერებსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში რატომღაც სწორედ შანტაჟი და იარაღი გახდა საჭირო, ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის არ გამოდის ნებით დახმარება.

რევოლუცია სისხლიანი საქმეა. იმაში ჩაბმა ათას რამეზე ხელის მოწერას ნიშნავს. რევოლუციაში ბევრნაირი ხალხი მონაწილეობს, მაგრამ მთავარი მათში აჯანყებული პარტიებია. რუსეთის რევოლუციაში მთავარნი იყვნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ რევოლუციონერები, იგივე ესერები.

მაგრამ რევოლუციაში იყო ყველა პარტია, ყველა მიმდინარეობა, ყველა, ვისაც სძულდა მეფის რეჟიმი. თუმცა, თუ კარგად გამოჩხრეკდი, მიზანი ყველას სხვადასხვა ჰქონდა.

სოციალ-დემოკრატები თვითმპყრობელობის დამხობას ცდილობდნენ, ასევე ესერებიც.

მათ ჰქონდათ თავიანთი პროგრამები, თუ როგორ იცხოვრებდა რუსეთი რევოლუციის შემდეგ.

რუსული რევოლუციის ქართულ ნაწილში იყვნენ ძალები, რომლე-

ბიც ერთადერთ რამეზე ფიქრობდნენ: ამ რევოლუციის მეშვეობით საქართველოს რუსეთისგან გათავისუფლებაზე.

ხშირად ესენი არ იყვნენ მაინცდამაინც პარტიების წევრები, თუმცა თუ იყვნენ, მაინც ნაკლებად ემორჩილებოდნენ პარტიულ წესდებას და ცდილობდნენ, რომ ამ არეულობის დროს საქართველოსთვის საოცნებო რაღაც მოეგოთ.

პალიკო ყიფიანიც არ იყო რევოლუციონერი და ის საერთოდ არ იყო პირველი ხარისხის ფიგურა ამ საქმეში, მაგრამ ის და გიორგი სიხარულიძე ეხმარებოდნენ ალბათ ყველაზე დიდ, ყველაზე განთქმულ ქართველ რევოლუციონერს, გიორგი დეკანოზიშვილს.

გიორგი დეკანოზიშვილი იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი და ერთ-ერთი მეთაური. ის ცხოვრობდა საფრანგეთში, იქვე უშვებდა ქართულ გაზეთს „საქართველოს“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას უწევდა პროპაგანდას და, როცა რუსეთში რევოლუცია დაიწყო, დეკანოზიშვილმა საქართველოს ფედერალისტებთან ერთად დაიწყო მუშაობა იმისთვის, რაც აღემატებოდა ფედერალისტების პროგრამას, ანუ ავტონომიის მოთხოვნას საქართველოსათვის.

სწორედ ის იყო იარაღის გადმოზიდვის გრანდიოზული ოპერაციის ხელმძღვანელი.

დეკანოზიშვილმა, რომელსაც ფული საერთოდ არ ჰქონდა, მოახერხა და იყიდა ამდენი იარაღი, იყიდა გემი, დაიქირავა ეკიპაჟი და იარაღი საქართველოში გამოგზავნა.

ეს იყო ძალიან რთული და სერიოზული საქმე, მაგრამ ერთგვარი კომიკური იერიც დასდევდა.

ამ იარაღისა და გემის საყიდელი ფული დეკანოზიშვილმა იაპონელებისგან იშოვა, რომლებსაც სწორედ იმხანად ომი ჰქონდათ რუსეთთან.

იარაღი შვეიცარიული იყიდა, პირდაპირ შვეიცარიელებისგან.

გემი, რომელსაც თვალი დაადგა, გამოდგა შვედური და იდგა ჰოლანდიურ ნავსადგურში. მას ერქვა „სირიუსი“ და მის ყიდვაში დეკანოზიშვილს დაეხმარა ჰოლანდიელი ანარქისტი ქრისტიან კორნელსენი. დაახლოებით ოცკაციანი ეკიპაჟიც ძირითადად ფრანგი და ჰოლანდიელი ანარქისტებისგან შედგა.

და ოქტომბრის შუა რიცხვებში გემმა გამოცურა საქართველოსკენ.

საქართველოში ძალიან მოელოდნენ ამ იარაღს, ფედერალისტური პარტია გემის დასახვედრად ემზადებოდა.

მაგრამ ჰოლანდიიდან დაძრული „სირიუსი“ უკვე საფრანგეთში,

ერთ-ერთ ნავსადგურში გაჩერდა, რადგან მგზავრობისთვის საჭირო ფული და ეკიპაჟისთვის გადასახდელი სახელფასო თანხა თავიდანვე არ ჰქონდა დეკანოზიშვილს და სადმე საფრანგეთში უნდა ეშოვა.

დეკანოზიშვილმა მოირბინა, პარიზში ვინც კი მდიდარი ქართველი ცხოვრობდა, მაგრამ დახმარება ვერავისგან მიიღო. საქმეში კიდევ ერთხელ ჩაერთო პალიკო ყიფიანი, კიდევ ერთხელ იშოვა ფული და გემმა გამოცურა საქართველოსკენ.

„სირიუსმა“ მშვენივრად გამოიარა ყველაფერი: გიბრალტარიც, ბოსფორიც და დარდანელიც და მოადგა გაფიცვებით გაჯერებულ ფოთის ნაპირს.

იარაღი უკვე ლამის პარტიის ხელში იყო, თუმცა, როგორც საქართველოში ხდება ხოლმე, რატომღაც მთელმა ფოთმა გაიგო, რომ ქალაქის შორიახლოს, ზღვაზე ლივლივებს გემი, რომელსაც მოაქვს იარაღი საქართველოს გადასარჩენად, და როდესაც ფედერალისტებმა ნავებით გადმოზიდეს იარაღის პირველი პარტია და იქვე დაიწყეს იარაღის დანაწილება, ნაპირზე უამრავი მოსეირე შეგროვდა.

იქავე დაიწყეს შეეიცარული თოფების შემოწმება, რომლებიც განსხვავდებოდა რუსეთში გავრცელებული პოპულარული იარაღებისგან და ერთ-ერთ შემმოწმებელს თოფი გაუვარდა, რასაც მოჰყვა პოლიციის რაზმის მოვარდნა და დიდი წიოკი. იმავდროულად, გემი შეამჩნია სანაპირო დაცვამ, რის შემდეგაც ეკიპაჟი იძულებული შეიქნა, ტვირთის უმეტესობა წყალში გადაეყარა. რაც გადარჩა, იმის ნაწილი ფედერალისტებმა გაგრაში გადმოტვირთეს, დიდი ნაწილი კიდევ ხელში ჩაიგდო ხელისუფლებამ.

მოკლედ, ფედერალისტების დათვლით, 7000 იარაღიდან მათ შეხვდათ მხოლოდ 3000, ცოტაც სოციალ-დემოკრატებს ერგოთ.

ამბობდნენ, რომ მთელი ეს ოპერაცია განთქმულმა რუსმა ესერმა და იმავდროულად „ოხრანკის“ აგენტმა, ევნო აზეფმა ჩაუშვა.

თუმცა, ამის მსგავსი ფინური და პოლონური ოპერაციების ფონზე დეკანოზიშვილის საქმე წარმატებულად ითვლებოდა და იარაღი, რა თქმა უნდა, დაეხმარა რევოლუციას, თუმცა, საქართველო ვერ გაათავისუფლა.

კომუნისტების დროში რევოლუციაზე რომ ლაპარაკობდნენ ხოლმე, უპირველესად ბოლშევიკებს, აჯანყებულ მუშათა კლასს და იმათ ერთადერთ მეთაურებს ახსენებდნენ.

ახლა კი შეგვიძლია არათუ ბოლშევიკები, არამედ საქართველოს მთავარი რევოლუციური ძალა, სოციალ-დემოკრატი მენშევიკებიც კი არ ვახსენოთ და ვილაპარაკოთ უბრალოდ რევოლუციონერებზე,

იდეალისტებზე, რომლებიც სულ სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმით მოდიოდნენ რევოლუციაში და იქ ერთიანდებოდნენ. ყველა პარტია თავისებურად იბრძოდა, ყველა პარტიას თავისი მიზანი ჰქონდა, მაგრამ ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ არსებობდა რომანტიკოსი რევოლუციონერის ტიპი, რომელიც მერე და მერე სულ გაუჩინარდა.

ამიტომ ადამიანები, რომლებიც ამ რევოლუციაში იყვნენ, იყვნენ ძალიან საინტერესონი. იმათ შორის ყველაზე კარგები კი – უპატიოსნესნი და ღირსეულნი.

სამაგალითოდ გვეყოფა რევაზ გაბაშვილიც, ჩვენი ცნობილი მწერლის, განთქმული „მაგდანას ლურჯას" ავტორის, ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი. რევაზ გაბაშვილმა დაამთავრა განთქმული თბილისის გიმნაზია, მერე კი სწავლობდა ბელგიაში, ლიეჟის ელექტრო-ინსტიტუტში და, როგორც კი დაატყო, რომ რუსეთის იმპერიაში საქმე ირევა და რევოლუცია იწყება, დაჰკრა ფეხი და ჩამოვიდა საქართველოში საქართველოს განთავისუფლებისთვის საბრძოლველად.

უცნაური ის იყო, რომ ასეთი პატიოსანი რევოლუციონერები საკმაოდ იყვნენ, თუმცა ამ საერთო, დიდ ორომტრიალში ამინდს ვერ ქმნიდნენ. ისინი დაგვამახსოვრდნენ მხოლოდ ცალკეული სიმამაცის მაგალითებით და თავიანთი უცნაური ფილოსოფიით.

რეზო გაბაშვილის მისწრაფება იყო სრულიად კეთილშობილური – მას უნდოდა, საქართველო გაეთავისუფლებინა რუსეთის ბატონობისგან.

ჯერ კიდევ ბელგიაში ყოფნისას გააბა კავშირი რუსეთის ესერულ პარტიასთან, რომელიც იმ დროს ტერორით ცდილობდა სამეფოს შერყევას.

გაბაშვილი ერთხელ შეხვდა კიდეც ბორის სავინკოვს, განთქმულ ტერორისტსა და მერე კარგ მწერალსაც და სავინკოვმა პირდაპირ შესთავაზა მას ტერორისტობა, რაც გაბაშვილს ძალიან გაუკვირდა და უთხრა, მიპარვით კაცის მოკვლა მე არ შემიძლიაო, მე უბრალოდ მინდა, რომ ჩემი სამშობლო გავათავისუფლოო და ჩამოვიდა საქართველოში სარევოლუციო რაზმის შესადგენად.

1905 წლის შემოდგომისთვის საქართველოში თავი მოიყარა ყველა განთქმულმა ქართველმა რევოლუციონერმა, ვისაც კი შეეძლო რევოლუციისთვის მუშაობა.

საერთოდ, რევოლუციურ საქმიანობაში ბევრნაირი ხალხია ჩართული. არიან მეთაურები და თეორეტიკოსები, ასევე პრაქტიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ ტერორი და ექსპროპრიაცია. არიან პროპაგანდისტები – ადამიანები, რომლებიც რევოლუციამდეც და რევოლუციის დროსაც მუშაობენ ხალხში – ქადაგებენ მათთან და მერე

მოდიან უკვე რევოლუციის მებრძოლი რაზმები, იმ დროის ენით რომ ვთქვათ, „წითელი რაზმები", რომლებშიც თავს იყრიან პატიოსანი და ძალიან უპატიოსნო ადამიანები. ხშირად ამ რაზმებს აეტორღიალებიან ბანდიტები და, აი, ეს ყველაფერი ტრიალებს რაღაც ერთ დიდ ქვაბში. ისმის სროლის ხმა, არის მიტინგები და დროშების ფრიალი, ხოლო მმართველი მთელი ამ ძალებისა არის სულ სამი-ოთხი კაცი. მოკლედ, რევოლუციას ბევრნაირი ხელობა აქვს.

ჰოდა, საქართველოში თავი მოიყარეს განთქმულმა რევოლუციონერებმა. განსაკუთრებით კოლორიტულები ამ დროს იყვნენ ანარქისტები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ბევრი რაზმი ჰყავდათ, მაგრამ ხალხზე დიდი გავლენა არ ჰქონდათ. ხშირად ისინი ერთეულებად, მარტოკაცებად მოქმედებდნენ და სიმპათიებისა და მეგობრობის მიხედვით მიეკედლებოდნენ ხოლმე ნაირგვარ პარტიას.

ფედერალისტურ პარტიასთან ბევრი ანარქისტი მჭიდროდ თანამშრომლობდა.

მაგალითად, განთქმული ისკანდერი, ალექსანდრე გაბუნია, პროფესიით ქიმიკოსი. ტანდაბალი კაცი გრძელი თმითა და წვერით.

გრძელი თმა-წვერი ერთგვარი რევოლუციური მოდა იყო.

გაბუნია იყო ძალიან მოქნილი და საზრიანი კაცი. ბომბების მკეთებელი, ტერაქტების ორგანიზატორი. საერთოდ, ქიმიკოსის ხელობა დიდად ფასობდა რევოლუციონერებში, რახან ქიმიკოსს ჯოჯოხეთის მანქანის, ანუ ყუმბარის გაკეთება შეეძლო.

ანდა ვთქვათ, მიხეილ ყანჩელი, რომელმაც ერთხელ შვეიცარიაში ლუდით სავსე კათხა ესროლა ტროცკის: მე ორატორი არა ვარ და ვერ გეკამათები და აი ჩემი პასუხიო.

აი, ასეთი ხალხი ხელში იარაღით.

ანდა დავით როსტომაშვილი, ანარქისტი და ძალიან ცნობილი ტერორისტი.

მთელ ამ რევოლუციურ მორევში ეს ხალხი ქმნიდა რაღაც წარმოუდგენელ სურათებს. ეს იყო ტყვიის, სისხლის, წარმოუდგენელი გამბედაობისა და თავზე ხელაღებულობის სურათები.

შორს რომ არ წავიდეთ, სოციალ-დემოკრატებს შორისაც მრავლად მოიძებნებოდნენ ასეთი ხასიათები. იმათ შორის უპირველესი კი იყო ვალოდია გოგუაძე, გურული გლეხკაცი, ნასალდათარი, გიორგის ჯვრებით დაჯილდოებული. ეს ჯვრები ძალიან შველოდა ვალოდიას რევოლუციის დროს ქუჩაში ტერორის განხორციელებისას.

თავის მემუარებში წერს, ტერორისტულ აქტზე ნასვლა მარტოს მიყვარდა, მეტი თავისუფლება მქონდაო.

მისი მემუარების გადარჩენილი ნაწილი რომ გადაფურცლოთ, ძალიან გაგიჭირდებათ იმ ადამიანების ოდენობის გარკვევა, რომლებიც მან რევოლუციის სახელით ძალიან რთულ და თავზე ხელაღებულ ვითარებაში მოკლა.

ეს არ იყო მაინცდამაინც მიპარვით მკვლელობის ამბები, ეს იყო ტერორისტული აქტები და ამას სჭირდებოდა ძალიან დიდი სიმამაცე, ჭკუა და მოქნილობა.

ვინ გაამართლებს სიკვდილსა და მკვლელობებს?

მაგრამ რევოლუციის დროს ეს ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივ და ყოველდღიურ იერს იღებს და ტერორის განხორციელება არის ძნელი საქმე. ეს შეუძლიათ ერთეულებს. სწორედ ასეთი იყო ვალოდია გოგუაძე, რევოლუციის დროს ის ძირითადად ბაქოში იყო და იყენებდა ასეთ ილეთს – ქუჩაში ტერაქტის დროს, როცა უკვე პოლიციელები მოცვივდებოდნენ, ვალოდია წამით იკარგებოდა ბრბოში და ბრუნდებოდა შემთხვევის ადგილზე უკვე მკერდზე გიორგის ჯვრებით. რუსეთ-იაპონიის ომის დროს საუკეთესო მსროლელობისთვის დაფასებული კაცის მკერდი აბნევდა პოლიციელებს და მასზე ეჭვი არავის მიჰქონდა.

ეს ხალხი ძალიან ბევრს ითმენდა და იტანდა რევოლუციისთვის, მაგრამ ძალიან ბევრსაც ისროდა.

ახლა დავით როსტომაშვილს მივუბრუნდეთ: როდესაც რევოლუცია დამარცხდა და რეაქცია გამძაფრდა, რევოლუციონერთათვის ცხოვრება ძალიან გაჭირდა, როსტომაშვილი იმალებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ერთმა საპოლიციო უბანმა მიიღო უსახელო წერილი: ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ სახლში, ამ ბინაზედ იმალება განთქმული ანარქისტი როსტომაშვილი და შეგიძლიათ დაიჭიროთო. პოლიცია ადგლიზე მივიდა ცნობილი ოფიცრის, გენრიხის მეთაურობით, მაგრამ იქ ვერაფერი ვერ ნახეს.

ტანსაცმელიღა იყო მიყრილი და როსტომაშვილი კი არ ჩანდა. გენრიხი მიადგა განჯინას, გამოაღო კარი და განჯინა აფეთქდა.

როგორც აღმოჩნდა, ეს წერილი თითონ როსტომაშვილს გაეგზავნა პოლიციაში, რათა გენრიხზე ეძია შური და ასე გაპარულიყო საქართველოდან.

მძიმე სურათებია, მაგრამ ამ ხალხის ხასიათებს თუ ჩავუკვირდებით, ან მათ ნაწერებს ყურადღებით ჩავხედავთ, დავინახავთ, რომ თავის მხრივ ეს არის უპატიოსნესი ხალხი, მებრძოლი იდეისთვის და ეს იდეა მათთვის არის ურყევი. მაგალითად, იგივე ისკანდერისთვის ურყევი იყო ადამიანთა თანასწორობის იდეა და სწორედ ამის გამო მიდიოდა ყველაფერზე, რაზეც მიდიოდა.

რევოლუციას სჭირდებოდა უამრავი იარაღი, რევოლუციას სჭირდებოდა რაზმები, რევოლუციას სჭირდებოდა საკვები და ეს ყველაფერი გადადიოდა უბრალო ხალხის კისერზე.

ძალიან ბევრი ადამიანი უმართავდა ხელს რევოლუციონერებს.

უბრალო გლეხები თვითონ იფიცებდნენ რევოლუციის ერთგულებაზე და ამ ფიცს ხშირად ჰქონდა შემაძრწუნებელი სარიტუალო იერი. შეიკრიბებოდნენ ღამით რომელიმე გლეხის სახლში და იფიცებდნენ, რომ არ ითანამშრომლებდნენ ხელისუფლებასთან და არ ითანამშრომლებდნენ იმათთან, ვინც თანამშრომლობს ხელისუფლებასთან და ფიცი იყო სრულიად ურყევი.

რევოლუციის წლებში ამ დაფიცებულთა შორის არსებობდა ასეთი ადათი: ყოველ დამფიცებელს აძლევდნენ თითო ტყვიას, რომელიც მას ყოველთვის ედო ჯიბეში და ეს იყო მისი მოსაკლავი ტყვია ღალატის და ხელისუფლების მხარეზე გადასვლის შემთხვევაში. პროვოკატორს, მტრის მხარეს გადასულს, დანდობა არ ჰქონდა.

ვალოდია გოგუაძე აღწერს თავის მოგონებებში, თუ როგორ გადაუწყვიტა ბაქოს კომიტეტმა სიკვდილი ერთ-ერთ პროვოკატორს და მასა და მის ამხანაგს დაევალათ განაჩენის ასრულება. ამხანაგმა სთხოვა ვალოდიას, მე მარგე სროლის პატივიო.

როდესაც ამ ორმა პროვოკატორი გამოიჭირა, მან ყველაფერი აღიარა, რახან ვალოდიამ და მისმა მეგობარმა სრულიად ფარისეველურად აღუთქვეს ხელშეუხებლობა და ღმობიერება. ამით პროვოკატორი დაწყნარდა და სამივენი რესტორანშიც წავიდნენ სავახშმოდ.

რესტორნიდან გამოსული კი უნდა მოეკლათ.

გოგუაძე წერს, ძალიან ცუდად გავხდი, როცა ვუყურებდი, როგორ ჭამდაო, რამდენიმე წუთში უნდა მომეკლა და გაძღომა რაღად უნდოდაო, მაგრამ მაინც ვავახშმეთ და ქუჩაში გასულებს წინ რომ მიგვიძღოდა, ჩემმა მეგობარმა მიაყოლა ტყვია, მაგრამ ვაზნა მაუზერში გაიჭედა, არ გავარდა და იძულებული შევიქენი, ისევ მე დამეხალა ეს ტყვიაო.

მაგრამ ცხოვრება მხოლოდ შენგან ნასროლი ტყვია და შენგან მოწყობილი საფარი არ იყო. შენც გისაფრდებოდნენ. ჰოდა, სწორედ ასეთ დროს მოხდებოდა ხოლმე მოულოდნელი და გასაგიჟებელი რამ.

მაგალითად, ერთხელ ფირალი სისონა დარჩია კლდიდან გადახტა გაშლილი ბრეზენტის ქოლგით. პარაშუტი გამოიგონა მაშინ, როცა პარაშუტი არ არსებობდა, რახან მომხვდურ სტრაჟნიკებს ველარაფრით უმკლავდებოდა.

რახან რევოლუციონერობა ბევრ ხელობას მოიცავდა, მასში იყო

ბევრი უხილავი მებრძოლიც. ტყვიის სროლის გარდა აქ უამრავი საქმე იყო. არაფერს ვიტყვი პუბლიცისტიკაზე, მიტინგებზე, ქუჩაში ხალხის გამოყვანასა და პროპაგანდისტებზე.

საქმე სხვა იყო. აი, ფედერალისტურმა პარტიამ გადაწყვიტა, გაეკეთებინა ბომბების, ყუმბარების საამქრო და ამ საქმისთვის აირჩია მიუვალი ტყე თეძამის ხეობაში. ამისათვის იქ ააშენეს პატარა ფანჩატური, სადაც დასაქმდნენ სპეციალისტები: რეზო გაბაშვილი და ისკანდერი, ანუ ალექსანდრე გაბუნია. იქ იყვნენ რევოლუციონერი გლეხები, რაზმელები, რომლებიც იცავდნენ საამქროს, იყო ერთი მჭედელიც და საქმეც აწყობილი ჰქონდათ.

ბომბები ხმარდებოდა მხოლოდ ფედერალისტურ პარტიას, მაგრამ რადგან ისინი ყველა პარტიას სჭირდებოდა, არსებობდა გარკვეული სოლიდარობა პარტიებს შორის. ვთქვათ, დაშნაკები ასესხებდნენ ბომბებს ფედერალისტებს, ფედერალისტები კიდევ სხვას გაუმართავდნენ ხელს.

სიძლიერით გამორჩეული მაინც სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო, რომელმაც დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიაში მოახერხა ის, რაც ძნელად თუ მოახერხა ვინმემ რუსეთში. გურიაში ყველაფერი იყო კომიტეტების, ერთობების ხელში. მეფე, მღვდელი, პოლიციელი, თავადი იქ აღარ არსებობდა. ძალაუფლება ეკუთვნოდა ხალხს.

ასეთ ადგილებში რევოლუციონერები თავიანთ შიდა პოლიციას, სხვანაირად რომ ვთქვათ, მილიციას ქმნიდნენ, რათა ყაჩაღებთან ებრძოლათ, იმ ხალხთან ებრძოლათ, ვინც რევოლუციის სახელით ხალხს ძარცვავდა. ეს ბრძოლა და ომი კი იყო არანაკლებ სახიფათო, ვიდრე ომი ხელისუფლებასთან და მის კაზაკებთან.

იგივე ვალოდია გოგუაძეს რომ მივუბრუნდეთ, ამ კაცმა ლამის სიცოცხლე გაიღო იმისთვის, რომ გურიაში ყაჩაღობა აღარ ყოფილიყო და ბოლო თავისი ჭრილობა მიიღო უბრალო გლეხის ძროხის დაცვისას, ძროხას იპარავდნენ და ვალოდიას მუხლში მოხვდა ტყვია სროლის დროს და მერე წელიწად-ნახევარს ხელის გულზე კი ატარებდნენ გურულები სოფლიდან სოფელში, დაჭრილსა და დაავადებულს, მთავრობისგან დევნილს, მაგრამ მთელ წელიწადს ქირურგამდე ვერაფრით მიიყვანეს, სახალხო მკურნალები უვლიდნენ.

აუტანელ ტანჯვაში მყოფს დაატარებდნენ საკაცით, სოფლიდან სოფელში, ტყიდან ტყეში დიდ ვალოდიას, როგორც ეძახდნენ გურიაში ამ თითისტოლა კაცს და საბოლოოდ გადაურჩინეს სიცოცხლეც და ფეხიც.

ბომბების ამბავს რომ მივუბრუნდეთ, ფედერალისტების საამქრო მართლაც ყველაზე კარგი გამოდგა გაბაშვილის მოწმობით. ისინი

უკვე იმდენად სერიოზულად მუშაობდნენ ამ ბომბების ტექნოლოგიაზე, რომ უკვე მეო, ვიჯექი და სამი თვის განმავლობაში ვიგონებდი ბომბების სასროლ მანქანასო. მანქანა ძალიან გვჭირდებოდა, რადგან ბომბები მძიმე გამოგვდიოდაო და ხელით 20-25 მეტრზე შორს ვერ გადააგდებდიო.

ეს ამბავი რამდენჯერმე შეიტყო პოლიციამ, მაგრამ საზრიანად იცვლიდნენ ადგილს იმ ტყეში, გამცემებს კი, ცხადია, პასუხად ტყვია ჰქონდათ.

ბომბები ყველაზე მეტად სჭირდებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც თავისი ბომბების ფაბრიკა არ ჰქონდა.

ეს პარტია ახორციელებდა ყველაზე დიდ ტერორს, ჰყავდა ყველაზე მეტი რაზმი, მაგრამ, აი, ბომბების შოვნა უჭირდა და ერთხელ ღამით, სწორედ ამიტომ, რეზო გაბაშვილსა და ისკანდერს მიადგნენ უგანთქმულესი ნოე რამიშვილი, შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, მერე კი შინაგან საქმეთა მინისტრი და ერთი ვინმე რევოლუციურ მეტსახელიანი კაცი – იტრია.

როგორც გაბაშვილი იგონებს, ეს იტრია არც მენახაო და არც ვიცოდი, ვინ იყოო. რამიშვილზე კი გამეგონა, რომ ეს უბედურის ერთი რევოლუციონერიაო.

არის ხოლმე ასეთი რომანტიკული რევოლუციური სურათები. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს სიბნელეში, ისე, რომ ერთმანეთის სახეები ხეირიანად არც დაუნახავთ, და რამიშვილმა პირდაპირ უთხრა, იცით რაო, თქვენ კარგი ხალხი ხართ, ბომბებსაც კარგს აკეთებთ, მაგრამ არ იცით, ვის ესროლოთ ეს ბომბებიო, და მოდით, ჩვენ მოგვეციო და ჩვენ ძალიან გავაფართოვებთ ჩვენი ტერორის ამბავსო.

რა თქმა უნდა, გაბაშვილმა იუარა და ამაზე გაიყარნენ.

მთელ ამ ლაპარაკშიო, გაბაშვილი იგონებს, ერთადერთ კაცს არ ამოუღია ხმაო. აი, სწორედ იმ იტრიასო.

იდგა ჩუმად და ბოლოს კი ხელის ჩამორთმევით გამომემშვიდობაო. და ეს ხელიო, აი, ამ ხელის შეგრძნება დამამახსოვრდა სამუდამოდო. როგორც გაირკვა, კარგად ვიცნობდი ამ კაცს და ხელი კი არასოდეს ჩამომერთმიაო. ერთხელ ჩამოვართვი პარიზში უკვე ემიგრაციის წლებშიო და უცბად მიეხვდი და ვკითხე, იტრია შენ იყავიო?

იცნო ხელის სიმშრალით და იმით, რომ ამ იტრიას ერთი თითი აკლდა, და იმანაც უთხრა, მე ვიყავიო.

ის იყო ძალიან ცნობილი, კარგი და ვაჟკაცი რევოლუციონერი ვლასა მგელაძე – საოცარი კაცი, უმამაცესი ადამიანი. მაინცდამაინც ტერორით ეს კაცი დაკავებული არ იყო. იყო სოციალ-დემოკრატი, მაგრამ

ყოველთვის იბრძოდა საქართველოსთვის. ეს სოციალ-დემოკრატისთვის იშვიათი თვისება ჰქონდა. სწორედ ვლასა მგელაძე იყო ის კაცი, რომელიც 1918 წ. 26 მაისს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ცხადდებოდა, ფაეტონს მოახტა და მამადავითზე ავარდა. იქ რეკდა ზარებს და საფლავებს ჩასძახოდა: საქართველო განთავისუფლდა! საქართველო განთავისუფლდა!

ვლასა მგელაძე იყო ასევე ის კაცი, რომელიც ბოლშევიკებისგან ოკუპირებულ თბილისში ხან სად ამოყოფდა თავს, ხან სად. უცებ შეხტებოდა რომელიმე გალავანზე და წამოიწყებდა მიტინგს. სანამ ჩეკისტები მოცვივდებოდნენ, ის ქრებოდა.

ის იყო ნამდვილი რევოლუციონერი.

განა მარტო ვლასა მგელაძე? რევოლუციას ჰყავდა უამრავი პატიოსანი ადამიანი, მაგალითად, თედო სახოკია, საუცხოო ლიტერატორი, ფედერალისტებში მოსაქმიანე.

როცა პალიკო ყიფიანმა შანტაჟით წაართვა ფული ზუბალაშვილს, თედო სახოკია ძალიან შემცბარი იწერებოდა ევროპაში, მაგ კაცთან თავი მოგვჭერითო; ეგ ყოველთვის პირნათელი იყო ჩვენთან და ასე არ უნდა მისულიყავითო. მაგრამ, როგორც ჩანს, რევოლუციას უჭირს საზომის პოვნა.

და ქალები?

ნინო ყიფიანი, მშვენიერი მწერალი, ძალიან კარგი მოგონებებისა და წერილების ავტორი.

ეს ქალი რამდენჯერმე დაიჭირეს რევოლუციის წლებში. შეიყვანდნენ მეტეხში, გამოუშვებდნენ. მიუხედავად რევოლუციისა, კანონი მაინც კანონი იყო და თუ ადამიანს ვერ დაუმტკიცებდნენ დანაშაულს, მას ათავისუფლებდნენ. ნინო მრავალ ოპერაციაში მონაწილეობდა, მათ შორის – ამ ცნობილი ბომბების საამქროს მომარაგებაში. თავზე ხელის აღებაც იცოდა.

ერთხელ ღამით უცნობ გლეხს ნინო და რეზო გაბაშვილი ურმით მიჰყავდა სოფელ საქაშეთისკენ, რათა იქიდან ტყეში ასულიყვნენ. ნინო ძალიან გამოპრანჭული იყო და მისი იერი სულაც არ შეეფერებოდა ურემზე ჯდომას. თან კი ორი ჩემოდანი ჰქონდათ, სულ ქიმიური ნივთიერებებით გაძეძგილი. როგორც ეტყობა, ნინომ ამ მეურმეს რაღაც ალმაცერობა შეამჩნია და პირდაპირ უთხრა: შენ არაფერი შეგეშალოს, ყიფიანის ქალი ვარ იცოდე და ეს ჩემოდნები სულ ბომბებითა მაქვს სავსეო.

ეს რევოლუციური კონსპირაციის და საიდუმლოების დარღვევა იყო, მაგრამ ქალი რევოლუციაში ყოველთვის სხვაა. მაგალითად,

ერთხელ, როცა ნინოს სახლს ჩხრეკდნენ, გადაატრიალეს ყველაფერი და ვერ იპოვეს ერთი ბარათი, რომელიც მას გულუბრყვილობით შეენახა.

ეს იყო ევროპიდან გიორგი დეკანოზიშვილის გამოგზავნილი საკმაოდ გულუბრყვილოდ დაშიფრული წერილი, ამდენ და ამდენ ვაშლს გიგზავნით და ამდენ და ამდენ ჯოხს გიგზავნითო. ვაშლი ბომბს ნიშნავდა და ჯოხი კიდევ თოფს.

ყველაფერი გადაატრიალეს მაგრამ ეს წერილი რაღაც ღია ბარათებთან ერთად იყო კედელზე მიკრული და ყურადღება არ მიაქციეს.

რევოლუცია რომანტიკული გატაცება იყო ბევრი ადამიანისთვის. თუ არ იყავი ხელისუფლებაში, იყავი რევოლუციაში. ეს ის დროა, როცა აკაკი თარგმნის ქართულად „ინტერნაციონალს“: „აღსდექ ყოველ ქვეყნის მუშავ, გაიღვიძე პროლეტარო“.

სხვათა შორის, აკაკი ერთი დღე იჯდა მეტეხში, თავისი ჟურნალის „ხუმარას“ პირველი და უკანასკნელი ნომრის გამო, რომლის პირველ გვერდზე გუბერნატორი ფონ რაუში გაამასხარავა თავისებური ზმით. ეს ფონ რაუში ახირებული კაცი იყო. ცდილობდა, მაგრამ ალღო ვერ აუღო ქართულ ადათებს და ერთხელ ქელეხში წამოიწყო სიმღერა, რახან დაჩვეული იყო, რომ ქართველები სუფრასთან მღეროდნენ.

იმ დეკანოზიშვილის საიუმლო ბარათს რომ მივუბრუნდეთ, ეს ბარათი ნინომ და რეზო გაბაშვილმა მაინც არ გაანადგურეს და ერთხელ ქუჩაში მოდიოდნენ და პატრულმა დაიჭირა.

მეტეხის ციხის გარშემო დადიოდნენ, ზვერავდნენ, საიდან შეიძლებოდა კარგად გვირაბის გაკეთება და ამხანაგების გამოპარება და სწორედ იქ დაიჭირეს. როცა გაჩხრიკეს, გაბაშვილს ეს ბარათი ჯიბეში ედო და კვლავ ვერ იპოვეს ჟანდარმებმა და მერეღა დავხიეო, ასე იხსენებს.

და რატომ იყო ეს ბარათი ასე ძნელი დასახევი, ძნელი ამოსაცნობია, რას გაუგებ რომანტიკოსებს.

რევოლუციონერობა კი მართლაც ბევრნაირი არსებობს.

იყო ერთი კაცი, რომელსაც ესმოდა წიგნების მნიშვნელობა და სიდიადე, მაგრამ კითხვა არ გამოსდიოდა, გულს ვერ უდებდა. მის ავადმყოფობის ისტორიაში კი დაახლოებით ასეთი რამეები ეწერა:

1908 წლის 7 თებერვალი – ბობოქრობდა, ხმას არ იღებს.

10 თებერვალი – გაიხადა, არც ერთ კითხვას არ პასუხობს.

13 თებერვალი – ოხრავს, გადი-გამოდის, საჭმელს არ ჭამს.

4 ივნისი – დადის და მღერის.

19 ივნისი – ამბობს, რომ თავი სტკივა, ამბობს, უნდა მოვკვდე, უნდა მოვკვდეო.

23 ივნისი – ულვაში ამოიგლიჯა, ამხანაგებს უნდა გავუგზავნო სახსოვრადო.

კიდევ არის ამ საბრალო ავადმყოფის დაკითხვის ოქმი, ექიმთან საუბრის ოქმი და აქ წერია:

– ბავშვობისას ავად ხომ არ ყოფილხარ?

– ბავშვობისას ძმარს ვსვამდი.

– რა იცი იმპერატრიცა ეკატერინას შესახებ?

– არ მინდა ამ ურჩხულზე ლაპარაკი.

– ეკლესიაში დადიხარ ხოლმე?

– არა. მე ჩემი ღმერთი მყავს. მე პოლიციელების და მეფეების ღმერთის არ მწამს. ჩემი ღმერთია კარლ მარქსი, ასევე ენგელსი.

ამას მოსდევს ექიმების დასკვნა, რომ ეს ადამიანი არის დაბალი გონებრივი შესაძლებლობებისა, ისტერიულობამდე ნერვიული და ეს ისტერიულობა შეიძლება გადაიზარდოს აშკარა ჭკუაზე შეცდომაში, ანუ სიგიჟეში.

ის, რომ ეს კაცი იგონებს ამ ავადმყოფობას, სრულიად წარმოუდგენელია. სერიოზული ავადმყოფია და ამიტომ მას სასამართლოში ვერ მიიყვან და ვერ გაასამართლებ. ამიტომ ექიმები ამბობენ, რომ უმჯობესია ასეთი პაციენტი თავის ქვეყანაში გაიგზავნოს და იქავე უმკურნალონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

იციან ხოლმე ასე, თავიდან მოსაშორებლად: რაღა ჩვენ ვუმკურნალოთ, თავისებმა მიხედონო. მით უმეტეს, რომ კაცი დაიჭირეს, მაგრამ მისი გასამართლება შეუძლებელია.

მოატყუა ამ ახალგაზრდა კაცმა თვით ისეთი გამოცდილი ვინმეები, როგორებიც გერმანელი ფსიქიატრები გახლდნენ.

სულ პროფესორები ადგნენ თავზე.

ამ კაცს ერქვა სიმონ ტერ-პეტროსიანი, უფრო შინაურულად და უფრო ნაცნობად – კამო.

კამო იყო დიდი ბოლშევიკი რევოლუციონერი, რომელიც დაიბადა ქალაქ გორში და გარდაიცვალა ქალაქ თბილისში.

დიდხანს არ უცოცხლია, სიბერემდე არ მისულა და მისი სიგიჟის ამბავი სულაც არ არის ყველაზე საოცარი ისტორია კამოს ცხოვრებაში, არამედ ერთ-ერთი თავგადასავალთაგანია, რომელიც მას დასჭირდა და განახორციელა.

ის, რომ ადამიანი თითქმის ორი წლის განმავლობაში იგონებდეს სიგიჟეს და ამაში ეჭვი არ შეეპაროთ გამოცდილ ექიმებს, ის, რომ ადა-

მიანმა ამ სიგიჟის მოგონებით და არაადამიანური ტანჯვის გადატანით მიაღწიოს იმას, რომ უცხოეთიდან ჩამოიყვანონ იმ ქალაქში, სადაც ის ყველას და ყველაფერს იცნობს, ამ ქალაქში კი მოათავსონ ასევე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იმ დროს, როცა მასზე საიმპერიო ძებნაა გამოცხადებული და დიდი შეღავათი იქნება სამუდამო კატორღა, ხოლო ჩამოხრჩობა ლამის აუცდენელი ამბავია, სულაც არ არის იოლი და ძნელად ვინმემ დაიჯეროს, რომ ეს დაბალი გონებრივი განვითარების ისტერიულმა და ნერვიულმა ადამიანმა მოახერხოს.

სხვა საკითხია, რომ კამოს განათლება არ ჰქონდა. იმ გერმანულ საექიმო გამოკითხვაში ის ამბობს, რომ სამი კლასის განათლება აქვს და მერე კი სკოლიდან გამოაგდეს.

რევოლუციონერებს უყვარდათ ხოლმე თქმა, რომ სკოლა რევოლუციის გულისთვის მიატოვეს. ასე წერდა თავის ანკეტაში იოსებ სტალინიც. კამო უბრალოდ ამბობდა, გამომაგდეს, იმიტომ რომ ღმერთს ვაგინებდიო.

კამო იყო გორელი სომეხი. ეს კიდევ სრულიად განსაკუთრებული რამ იყო თვითონ სომხებშიც. შუა საუკუნეების ერთ-ერთი ქართველი პოეტი გორელი სომეხია და პოემა კი ქართულად დაუწერია, ფერშანგი ჰქვია, ფაშვიბერტყაძე.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, როცა სამსახური უნდა დაეწყო, ანკეტა კამომაც შეავსო და ჩაწერა, რომ მშობლიური ენა არის ქართული, წარმოშობით კი სომეხია, თუმც კი სომხურად კითხვა არ იცის, ლაპარაკს კი გაეჩვია თავისი მალვების დროს, როცა არაერთხელ ყოფილა შეფარებული სანდო სომხებთან და იქ უფრო გაიწაფა ამ ენაზე ლაპარაკში. ასე ლაპარაკობდა ხოლმე გაქართველებული სომხობა, მარა ამაზე ბევრი ლაპარაკი არც ღირს, კი არავის ვართმევთ კამოს. უბრალოდ, ინტერკულტურული სივრცე იყო და თან ნამდვილ ბოლშევიკებს ეროვნება არა აქვთ, ესეც აუცილებლად უნდა დავიმახსოვროთ.

გორთან სხვა სახელიც წარმოჩნდება. კამო მხოლოდ სამი წლით იყო უმცროსი მეორე დიდ გორელზე, რომელიც მაშინ ჯერ არ იყო დიდი, ისევე როგორც კამოს არ ერქვა კამო და ისინი ალბათ ბიჭობაშიც იცნობდნენ ერთმანეთს. კამო გვარით სასულიერო წოდებას კი მიეკუთვნებოდა, მაგრამ მამამისი, არშაკი, წვრილი ვაჭარი იყო და მრავალშვილიან ოჯახს მარტო უძღვებოდა. ცოლი ადრე გარდაცვლოდა და სიმონი ერთადერთი ვაჟი იყო, დები კი მერე გახდნენ რევოლუციონერები, კამოს გამო.

სიმონმა მეტსახელი იოლად მიიღო, თავისებური რუსული წარ-

მოთქმის გამო. ამბობენ, რომ კამო სწორედ ჯუღაშვილმა შეარქვა და შეარჩინა კიდეც – к кому пойти – ს ნაცვლად к камо пойти –ს ამბობდა და აქედან დაიბადა ეს მეტსახელი. რევოლუციონერი კი მეტსახელის გარეშე არ არსებობს. სახელი და გვარი უცხოს არაფერში სჭირდება.

როგორც არაერთხელ მომხდარა ცხელგულიან და საკუთარ ძალებში დარწმუნებულ ბიჭებში, თბილისში ჩამოსული კამო უკვე გარიცხული იყო სკოლიდან და ოფიცრობას აპირებდა.

ოფიცრობა იოლად არ გამოდიოდა და სხვა რამის სწავლასაც შეეცადა.

ის და ბარონ ბიბინეიშვილი ერთად მეცადინეობდნენ ბუღალტერიაში, საბუღალტრო კურსები უნდა დაემთავრებინათ.

ძალიან სურათი კი იქნებოდა ლუკა პაჩოლის წიგნს ჩაღრმავებული კამო, რომელიც მერე მთელი ცხოვრება განიცდიდა, სწავლა არა მაქო.

ლენინს უყვარდა კამო, ბევრი კარგი ახსოვდა მისგან. ჰოდა, როცა მოსკოვში ცხოვრობდა, ლენინისავე დავალებით კამოს საგანგებო მასწავლებლებიც კი დაუნიშნეს, რომ როგორმე საბჭოთა დიდმოხელედ ექციათ. დღის პირველ ნახევარში სულ მეცადინეობდა და ნანობდა, რომ, აბა, მთელი ახალგაზრდობა არაფერს ვაკეთებდი და წიგნსაც არ ვკითხულობდიო. მეორე მხრივ, ეს იყო საოცარი კაცი – შეეძლო ელაპარაკა ნაირგვარ ენებზე. მაგალითად, გერმანულად. იმდენი ქვეყანა მოევლო და ისეთ ხიფათებს იყო გამოცდენილი და ისე შინაურულად ჩახედული ბევრ ამბავში, რომ მგონი ასეთი ინფორმირებული და ასეთი სამყაროს შემსრუტავი კაცი სხვა ძნელად მოიძებნებოდა.

თავის ანკეტაში წერს, ცხრამეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფიო და ყველგან იყო მალულად. ყველგან დასდევდნენ, ყველგან გაჭირვებაში იყო, ყველგან ეზიდებოდა ბომბებს და ნაპარავ ფულს.

კამო შეიძლება ათი კაცის უფროსიც არ იყო რევოლუციის დროს, მაგრამ უმისოდ ბევრი არაფერი გამოვიდოდა.

კამოს თანდაყოლილი ჰქონდა გარდასახვის უნარი. ამბობენ, რომ მას ასევე ჰქონდა სარკისებური მხედველობა და ამიტომ ძალიან იოლად იმახსოვრებდა გარემოს და ადამიანებს.

დღეში ხუთჯერ გადაიცვამდა ტანსაცმელს და ვერც ერთხელ ვერ იცნობდი.

საყვარელი სამოსი და როლი ჰქონდა რამდენიმე.

ერთი იყო ოფიცრის როლი – მუნდირს იხდენდა ძალიან ბუნებრივად, რა საკვირველიც არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ ოფიცრის გარეგნობისა არაფერი ეცხო.

მეორე ასეთი როლი იყო როლი ქართველი თავადისა.

კამოს პასპორტებიც ხშირად ჰქონდა ქართველი თავადებისა, მათივე თანხმობით, რა თქმა უნდა. შემორჩენილია მისი ცნობილი ფოტო თავად წულუკიძის როლში, სადაც ის გრძელ იმერულ ჩოხაში დგას და მართლა ძნელად გამოარჩევ თავადისგან.

კოკი დადიანის პასპორტით დადიოდა ხშირად, მაგრამ როლი, რომელიც მისწრება იყო მისთვის და რომელიც მან შინაგანად იცოდა, იყო კინტოს როლი.

კამო ძალიან ხშირად ირგებდა კინტოს სამოსს და კინტოს თაბახითა და კალათებით დააბიჯებდა ქალაქში. კალათებში ეყარა ხოლმე გირვანქა ბროწეული ან ატამი და ქვეშ კი შენახული ჰქონდა ბომბები. საერთოდ, ხელცარიელი იშვიათად დადიოდა.

კიდევ ერთი უნარი, რომელსაც კამო კარგად იყენებდა, იყო ის, რომ მას შეეძლო თავისი ბუნებრიობით ადამიანების დარწმუნება. ეჭვი არავის შეჰქონდა, რომ გადაცმული შეიძლებოდა ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, მას ეხმარებოდნენ. ყველგან ჰქონდა საიდუმლო ბინა, ყველგან ელოდა მეგობარი, მისი დებიც კი არაერთხელ დასჯილან მისი საქმიანობის გამო. ჯავაირა და არსისაკი ქართველი რევოლუციონერების ცოლები იყვნენ.

მათთან ყოველთვის შეეძლო მისვლა, მაგრამ ხანდახან ისე შეუკრავდნენ გზებს, რომ ძალიან დიდი მახვილგონიერება სჭირდებოდა თავის გადასარჩენად.

ხშირად ვერ ახერხებდა.

მაგალითად, თბილისის ბანკის ფაეტონის გაძარცვისას კი გადარჩა, მაგრამ მსგავსი თავდასხმა კოჯრის გზაზე არ გამოუვიდა და მიესაჯა კიდეც სიკვდილი. რომანოვთა საგვარეულო იუბილემ გადაარჩინა, შეიწყალეს და კატორღაში უკრეს თავი.

ლენინი აფასებდა-მეთქი. დააფასებდა, აბა რა. ლენინი იოლად მიხვდა, რომ ეს არის განსაკუთრებული უნარების კაცი და ათასგვარი საქმის კეთება შეიძლება ამ კაცის მეშვეობით, რომელსაც არანაირი პრეტენზია არა აქვს არც პოლიტიკაზე, არც სხვა დიდ რამეზე, უბრალოდ, წინააღმდეგია და მორჩა.

საბუღალტროდ რომ ემზადებოდა, ერთ მშვენიერ დღეს მიატოვა ბარონი, მარტომ იმეცადინე, მე აფიცერი უნდა გამოვიდე, ბრძოლა მინდაო. არ გამოსდიოდათ სიღარიბის გამო, ნეტა კი ყველა ოფიცრები გამოსულიყვნენ. პრაპორშჩიკობას ცდილობდა და არ მიიღეს.

ბერლინში რომ დაიჭირეს, ყუმბარებით და ყუმბარების მასალით გაძეძგილი ჩანთით, იქ მოიგიჟიანა თავი. რუსი რევოლუციონერები ყველგან ეჯავრებოდათ, მოდებული იყვნენ მთელ მსოფლიოს და

ყველგან შარი იყო. საგიჟეთში სრულიად არაადამიანურ რაღაცეებს გაუძლო. ერთი ის იყო, ჩიტი ჰყავდა ერთი, ბელურა დაიჭირა და მიიჩვია და სასამართლოებზე დადიოდა ამ ბელურით. რაღაცეებს იგონებდა, მთელ თეატრებს ქმნიდა და, იმდენი ქნა, გადმოიყვანეს თბილისში, მიხეილის გამზირზე, მიხეილის საავადმყოფოში, სადაც ფსიქიატრიული განყოფილება იყო და სადაც, სხვათა შორის, ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა.

ზუსტად ეგ უნდოდა.

იქიდან გაიქცა სწორედ.

ჯავაირამ და კოტე ცინცაძემ მოქრთამეს ერთ-ერთი სანიტარი, რომელმაც ქლიბი შეუტანა და კამომ იმდენი ქნა, რომ გადაიყვანეს განსაკუთრებულ გიჟებში, ანუ აგრესიულებში, რადგან იმ ოთახში იყო ფანჯარა, საიდანაც გაპარვა შეიძლებოდა. მოახერხა, გახერხა გისოსი და გადახტა, დაბლა მტკვარი იყო, იცოდა, რომ ძაღლებით დაედევნებოდნენ. გაძვრა-გამოძვრა, წავიდა და აორთქლდა.

მერე, სახრჩობელას გადარჩენილი, ხარკოვის ციხეში იხდიდა სამუდამო კატორღას. იქიდან კი ველარ გაიქცა, განსაკუთრებული სიმკაცრის ციხე იყო, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო, როგორც რევოლუციონერს და „პოლიტიკურს", და გამოვიდა.

სხვათა შორის, ამ თებერვლის მერე ბევრი აღარც არაფერი იყო მისი საქმე. ერთხელ დაიჭირეს თბილისში, იმიტომ, რომ აქ დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და მუშაობდა ამ დამოუკიდებელი ქვეყნის საწინააღმდეგოდ, ანუ ბოლშევიკების პარტიაში. აქაც მოუსწრო რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულებამ, რითაც ყველა ბოლშევიკი გამოუშვეს საქართველოს ციხეებიდან.

1920 წელს კამომ მოსკოვში ცოლი შეირთო – მედვედევას ქალი, მწერალ სტასოვის შვილიშვილი.

მაქსიმ გორკი იხსენებს, არ იყო კარგი მთხრობელიო. სხვები რომ გიყვებოდნენ მის ამბებს, გიჟდებოდიო და თვითონ ვერ გადმოგცემდაო. ერთხელ დამიწერა რაღაც მოგონება სულ ერთი გვერდი და ძალიან მშრალად და უვარგისად, ვერ მიხვდებოდი, რომ ეს კაცი ყოველივე იმის გადამტანი და გამკეთებელია, რასაც მასზე გიყვებოდნენ ხოლმეო.

ამასთან, არ იყო უხალისო კაცი. ბევრი ისეთი რაღაც ჰქონდა გაკეთებული და გადატანილი, რომ სხვა მის ადგილას ძნელად გაიცინებდა.

ოქტომბრის გადატრიალება რომ მოხდა, რაღაცა დატვირთვა უნდა მოეძებნათ მისთვის და ათას რამეს სთავაზობდნენ. არ იყო მისი საქმე

და ამბობდა, მეო საგანგებო რაზმი მინდაო, და ჰყოლია ეს რაზმი.

ანასტას მიქოიანი შეძრა ამ რაზმის იდეამ. ავუკრძალე და ბოლოს მაინც გაუკეთებიაო.

მოკლედ, ასე უნდოდა: ჩვენ გადავიცვამთ თეთრებად და დავეცემით ჩვენებსავეო და ვინც სიმტკიცეს არ გამოამჟღავნებს და იტყვის, თქვენკენ გადმოვალ, ის მოღალატე იქნება და ამას გამოვააშკარავებო.

ბევრი უფიქრია და ეს მოუფიქრებია.

სისულელეაო, მიქოიანს უთქვამს, როგორ შეიძლება ხალხის ასეთი გამოცდის წინაშე დაყენებაო.

თეატრიც ასეთი უნდა.

ეს იდეა რევოლუციამდეც ჰქონდა, ამბობდა, ჟანდარმებად უნდა გადავიცვათ და დავეცეთ, რათა პროვოკატორები და მოღალატეები გამოვააშკარავოთ და დავხოცოთო. ძალიან ცდილობდა ამის გაკეთებას, მაგრამ არც მაშინ ანებებდნენ.

მაინც წაჰყოლია ასეთი რაზმი, მტრის ზურგში გასვლასაც კი ლამობდაო და ერთხელ შეუყენებია ასე გადაცმულს წითელი რაზმი და წითლებს შორის ერთმა ადამიანმა გონება დაკარგა და მერე ვეღარც მოვიდა ხეირიანად ჭკუაზე.

ეს ადამიანი, კამოს რომ ცოტა ეცოცხლა, მისთვის ძალიან ახლობელი გამოდგებოდა, ვინაიდან იყო ფიოდორ ალილუევი, მაშინ ახალგაზრდა წითელარმიელი.

კი არ გაყიდა ფედიამ თავისიანები, მაგრამ ძალიან იმოქმედა მის გონებაზე. ისედაც ამბობდნენ, მთლად ვერ იყოო.

ეს ფედია იყო ცნობილი თბილისელი მუშის და რევოლუციონერის, სერგეი ალილუევის ერთადერთი ვაჟი, ამისი და, ნადეჟდა კი სტალინის მეორე ცოლი გახდა. სწორედ ფედიას ნაჩუქარი რევოლვერით მოიკლა იმ ქალმა თავი და მერე ფედია ასეთი ნახევრად შეშლილი და უცნაური დახვრიტეს ისევე, როგორც ბევრი ათასი სხვა. სტალინი კამოსთვის ახლობელი ადამიანი და ავტორიტეტი იყო ლენინის შემდეგ.

რევოლუციის შემდგომ კამო მუშაობაში უბრალო და დამთმობი კაცი იყო და ყველას ყველაფერს უკეთებდა და ეხმარებოდა.

იხსენებენ, რევოლუციამდე ერთხელ ბინას ვქირაობდითო და მეტეხზე აარჩია ბინაო, პირდაპირ მტკვარზე გადმოკიდებული აივნითო. რალა ეს ოთახი მოგეწონაო, ჰკითხეს. იოლი გადასახტომიაო, თქვა. თუ შემოვარდებიან, პირდაპირ მტკვარში გადავხტები და გავიქცევიო.

ერთხელ დაჯდა და ცოლს მოუყვა, მეო, ისეთი შეყვარებული ვარ დღესაცო, რომ ზოგჯერ მეტირებაო. ბულგარეთში გადაჰყრია ვიღაც

ბერძენ გოგოს და, იქიდან რომ გამოასახლეს თუ გამოიქცა, ეს ბერძენი გოგო ვეღარსად უნახავს. ამას ძალიან განიცდიდა მთელი ცხოვრება.

კამო ახლოს იყო სტამბოლელ ქართველებთანაც. სტამბოლში იყო ქართველთა კათოლიკური მონასტერი და, საერთოდ, ქართული კათოლიკური სავანეები ძლიერი იყო იქა.

დედათა მონასტერში ნოტრდამ დე ლურ, ლურდის ღვთისმშობლის სახელობისა, კამო თვეობით ცხოვრობდა, იმალებოდა მონაზვნებთან და თავს ინახავდა.

ქართველი კათოლიკეები, სტამბოლის სასულიერონი, რუსეთის იმპერიაზე ცუდი გულის იყვნენ და ყოველთვისაც ეხმარებოდნენ ხოლმე ასეთ დევნილებს.

იქ ცნობილი ტერორისტი ირაკლი ტატიშვილიც იმალებოდა, ასევე – სომეხი რევოლუციონერები.

როცა ჯავაირას გადასახლება მიუსაჯეს სწორედ იმის გამო, რომ კამოს საგიჟეთიდან გაქცევაში დაეხმარა, კამომ წერილი მისწერა სტამბოლიდან, გადასარევ ადგილს მივაგენი შენთვისო, თუ ეგენი შენს საზღვარგარეთ გადასახლებას დათანხმდებიან, აი აქ მოხვალ, დედათა მონასტერში და მიგიღებენო. ძალიან კარგი ხალხია და საერთოდ ყველაფერი ძალიან იაფიაო. ენებსაც გასწავლიან, წიგნებს მოგიტანენ, ჩვენ ისე კარგად გვექცევიან, ისე ადამიანურად, რომ წამოსვლა არ მინდაო.

კამო მოკვდა სრულიად უცნაურად, თბილისში, 1922 წელს.

ელბაქიძის აღმართზე მოდიოდა თავდაღმართში ველოსიპედით. ღამის ათის ნახევარი იყო და სიბნელეში დაეჯახა მანქანა.

მაშინ მუშაობდა ფინანსთა სახალხო კომისარიატში ისევ ამ თავის ძველ მეგობარ ბარონ ბიბინეიშვილთან ერთად და განაგებდა საბაჟო საქმეს. იყო მდუმარე და წყნარი.

დამარხეს იქ, სადაც თავს დაესხა ეტლს და თან წაიღო 250 000 რუსული მანეთი, სადაც დაახეთქა ბევრი ბომბი, სადაც ახლოს იყო რესტორანი „ტილიპუჭურა“, რომელშიაც ხშირად შედიოდა ხოლმე, როგორც ყველა ჩვენებური რევოლუციონერი. დამარხეს პუშკინის ბიუსტის შორიახლოს, მერე კი, როცა საქართველო კიდევ ერთხელ განთავისუფლდა, ეს საფლავი გაქრა.

გამქრალი საფლავი ჩვენ არ გაგვიკვირდება, არც მშვიდობიანობის და არც სოსოს დროისა. სხვაც გვაქვს ბევრი, ოღონდ ეს ჩვენ თვალწინ გაუჩინარდა და იმიტომაც, გამოცდილებაა. ჩვენში იოლია საფლავთა კარგვა. მთელ ამ უბედურებაში ერთი დაკარგული საფლავი გამახსენდა. ვიცით, რომ პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა, თქვენი არ ვიცი,

და ჩემთვის ეს დაკარგული საფლავი მთელ ამ რევოლუციასაც გადაწონის.

მაგრამ რახან კამოსი ვთქვი, არ იქნება, თბილისის განთქმული ბანკის ძარცვა არ ვახსენო.

1907 წლის 13 ივნისს, დილით, ასე 10 საათზე, თბილისში, რუსეთის სახელმწიფო ბანკის შენობაში, რომელიც ახლა საქართველოს ბანკის შენობაა სოლოლაკის დასაწყისში და მაშინ ამ ქუჩასაც სოლოლაკის ქუჩა ერქვა, მოვიდა შეტყობინება თბილისის ფოსტიდან, რომელიც დღევანდელი პირველი სკოლის გვერდით მდებარეობდა, რომ პეტერბურგიდან ჩამოვიდა შეპირებული თანხა, 250 000 რუსული მანეთი.

ბანკი ელოდებოდა ამ ფულს და გამზადებული ჰყავდა ორი ფაეტონი, ორი ეკიპაჟი. ერთში ისხდნენ სალაროს მოხელე კურდიუმოვი და მისი თანაშემწე, მეორეში კი კაზაკები და უკან კი ორივეს მოჰყვებოდა კაზაკების ცხენოსანი ბადრაგი, იმიტომ, რომ ფული მართლა დიდი იყო.

თანაც ეს ოხერი დროა, რევოლუცია დასასრულისკენ მიექანება და სწორედ კავკასიაში ხდება ხმაურიანი ამბები.

ბადრაგიც უფრო ამიტომ იყო საჭირო, თორემ ერთ დროს თბილისი წყნარი ქალაქი იყო და ამისთანა ეტლებს არავინ აქცევდა ხოლმე ყურადღებას. კურდიუმოვი ჩაჯდა ეტლში და ეტლი დაიძრა სოლოლაკის ქუჩის კუთხიდან, გამოიარა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ადგილი, იქ, სადაც ახლა „ქორთიარდ მერიოტია“, იმის გვერდით იყო კავკასიის მთავარი სამხედრო შტაბი, აქეთ კიდევ ქალაქისთავის სასახლე, ხოლო ყველაფერ ამას რომ გასცდებოდი, იწყებოდა გოლოვინსკი და ზედ კავკასიის მეფისნაცვლის სასახლე, მის გვერდით ცნობილი გიმნაზია და იმის გაგრძელებაზე კიდევ სწორედ ფოსტის შენობა.

ორმა ეტლმა და ბადრაგმა, ასე დილის 11-ის ნახევრისთვის, მშვიდად გაიარა მანძილი ფოსტამდე, ფოსტაში კი კურდიუმოვმა მიიღო დაბეჭდილი, ბოქლომიანი ხელჩანთა და, როგორც შეეფერება ჩვეულებრივ და ადამიანურ ქვეყანას, ჩაჯდა ეტლში, დაიდო ეს ტომარა მუხლებზე და დაიძრნენ კიდეც უკან გზაზე. მთელი გზა, არც ისე გრძელი გზა, ალბათ სულ ათწუთიანი, ეტლებმა და კაზაკებმა გამოიარეს ძალიან მშვიდად და უკვე უხვევდნენ სოლოლაკის ქუჩაზე, როცა მოულოდნელად გაისმა აფეთქების ხმა და მეორე ეტლი გადაყირავდა, ამას მოჰყვა რამდენიმე აფეთქება, არეულობა, კვამლი, უბედურება... ეს ყველაფერი გაგრძელდა 3-4 წუთს და როდესაც კვამლი გაიფანტა, აღმოჩნდა, რომ გარშემო ყრია დაღუპულები და დაჭრილები, სამი კაცი კი უკვე მკვდარია, ხალხი წივილ-კივილით გარბი-გამორბის, კურდიუმოვი ცოცხალია, ხოლო ხელჩანთა – გამქრალი.

ეს არ იყო უბრალო ძარცვა, ვიღაც ბანდიტების მიერ მოწყობილი, ეს იყო რევოლუციური ექსპროპრიაცია, ხოლო ფული განკუთვნილი იყო ბოლშევიკების მთავარი კომიტეტისთვის, კერძოდ, ამ ოპერაციის უკან იდგა ბოლშევიკების საბრძოლო ცენტრი, რომლის მეთაური იყო ლენინი და მთელი ეს ოპერაცია შეთავაზებული იყო მისგან და საბრძოლო ცენტრის ორი სხვა წევრისგან: კრასინისგან და ბოგდანოვისგან, ხოლო განახორციელეს ის ქართველმა რევოლუციონერებმა. მათი უმრავლესობა ბოლშევიკი იყო. განახორციელეს იდეური თვალსაზრისით. ამ ბიჭებს და გოგოებს ზოგჯერ ფეხსაცმელიც არ ეცვათ, მაგრამ მოპარული მეოთხედი მილიონიდან კაპიკიც არ აუღიათ.

ეს არ იყო ყველაზე დიდი, მაგრამ ყველაზე ხმაურიანი ქართული ძარცვა კი გამოდგა. უფრო იმიტომ, რომ მოხდა ასეთ ადგილას, ორ ნაბიჯში მეფისნაცვლის სასახლიდან და კავკასიის მთავარ მოედანზე. ამბის აღწერისთვის ყველაზე საინტერესოა მეორე დღის გაზეთი „კავკაზი“, რომელიც თბილისში გამოდიოდა. თუმც იქ პიროვნებები არაა ნახსენები, მათი უმეტესობის ვინაობა კარგა ხანია ცნობილია. ვინ რას აკეთებდა, მაინც ძნელი გამოსათვლელია უკვე, იმიტომ, რომ ცნობები საერთოდ ზღაპრულია ხოლმე, მაგრამ სხვადასხვა ავტორთან დაღუპულთა ოდენობა მერყეობს 50-დან 100 კაცამდე, რაც მართალი არ არის. სამი კაზაკის დაღუპვის ცნობაა იმ წამის და დანარჩენები კი, ძალიან მძიმედ რომ იყვნენ, ისა.

ოპერაციის მეთაური იყო კამო. მოგახსენეთ, რომ ის ითვლებოდა საუკეთესო ოსტატად ასეთ საქმეებში და არაერთხელ გაუკეთებია მსგავსი რამ მანამდეც და მერეც.

რევოლუციის დროს საქართველოში დიდი თავდასხმა, როდესაც ამდენი ფული წაიღეს, სულ რამდენიმე იყო. მაგალითად, ყვირილის სადგურიდან, სადაც ფოსტას დაეცნენ და 300 000 მანეთი გაიტაცეს. ასევე, დუშეთშიც... მოკლედ, თანხა, რომელიც ექსპროპრიატორებმა მხოლოდ სახელმწიფოსგან წაიღეს, საქართველოში ჯამში შეადგენდა მილიონ რუსულ მანეთს – ზღაპრულ თანხას.

თავის დროზე გადაწყვეტილება ექსების შესახებ ბოლშევიკების საბრძოლო ცენტრმა მიიღო და ბომბებიც, ერივანსკის მოედანზე რომ სკდებოდა, სხვათა შორის, არ იყო საქართველოში დამზადებული. ამ ბომბებისთვის კამო ფინეთში წავიდა და ჩვეულად, ჩემოდნით ჩამოიტანა. ბომბების ოსტატი იყო სწორედ ეს კრასინი, მას ჰქონდა საიდუმლო სახელოსნო იქა. ამბობენ ასევე, რომ ოპერაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო სოსო ჯუღაშვილი, ანუ კობა, რომელიც უკვე

იცნობდა ლენინს და არსებობს ასეთი გადმოცემა, რომ ცოტა ხნით ადრე ლენინმა ყრილობაზე დაიმარტოხელა ის და რაღაცას ელაპარაკებოდა კავკასიის შესახებ. პარტიას ძალიან სჭირდებოდა ფული, მაგრამ უშუალო ორგანიზატორი სოსო ნამდვილად არ ყოფილა, ის უკვე პოლიტიკოსი იყო და შეეძლო ეკონტროლებინა ხელქვეითები, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ ის იმ დროს მოედანზე ყოფილიყო. ეს იერარქიულად შეუძლებელი იყო. თუმცა, ცხადია, მან ყველაფერი იცოდა და ეხმარებოდა კიდეც თავდამსხმელებს.

ეს ბიჭები და გოგოები კი, ვინც იმ დროს მოედანზე მოქმედებდნენ, იყვნენ თავზე ხელაღებული ახალგაზრდები, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, შემსრულებლები. არანაირი რეციდივისტები და ქურდები ისინი არ იყვნენ, როგორც უწოდებდა მათ ემიგრანტული რუსეთი, ესენი იყვნენ იდეური რევოლუციონერები, გვარიანად რომანტიკული ხალხი, სახელები ნაცნობია, ახალი ბევრი არავინაა.

ბაჭუა კუპრაშვილი, კოტე ციცაძე და ასევე ცნობილი ტერორისტი და ბომბის გამსროლი დათიკო ჭიაბრიშვილი. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამათ ყველას მეთაურობდა კამო. თუმცა ეჭვი იმისა, რომ ამის უკან აქტიურად იდგა სოსო ჯუღაშვილი, შეიძლება იქიდანაც გაგვიჩნდეს, რომ 1906 წელს, როცა თბილისში პირველი აჯანყება მოხდა, სოსო საქმეში ვერ ჩაერთო აქტიურად, იმიტომ რომ ქუჩაში ვერ გამოდიოდა. არავინ იცის, საიდანღაც გადმოვარდა თუ ნაცემი იყო, მაგრამ სახე ჰქონდა ძალიან მძიმე მდგომარეობაში და რევოლუციისა და სროლის დროს დაბინტული ცხვირ-პირით რომ გარეთ გამოდიხარ, პირველს შენ გიჭერენ.

თუმცა, არსებობს გადმოცემა, რომ ის თბილისში ერთ საიდუმლო ადგილას იჯდა, სადღაც იშოვა ქალაქის რუკა და ზედვე უგეგმავდა ყველაფერს შემსრულებლებს. განიხილავდა და ითვლიდა, საიდან, როგორ და რანაირად შეიძლებოდა საჭირო ადგილებზე დაცემა და, სხვათა შორის, ამ სახლის პატრონის შვილის კალის ჯარისკაცებს იყენებდა რუკაზე დასალაგებლად. მოკლედ, დაგეგმვა მისთვის უცხო არ იყო, თანაც, ეს ოპერაცია მზადდებოდა დიდხანს.

ინფორმაცია სჭირდებოდათ ბანკიდანაც და ფოსტიდანაც.

ბანკის თანამშრომლებს უცნაურად ეკურკურებოდა სამი გოგო, რომლებიც ამ დამცემთა გუნდის წევრები იყვნენ. მარკ ალდანოვი, მაგალითად, წერს, რომ ესენი იყვნენო ძალიან ლამაზი და მომხიბლავი ახალგაზრდა ქალებიო, რომლებმაც ისე იმუშავეს ბანკის თანამშრომლებთან, რომ სულ გამოსტყუეს იმ ბითურებს დიდი თანხების მიმოსვლის დროებიო.

თალიკო სულაქველიძე ერქვა ერთ-ერთ მათგანს, მეორე ფაცია გალდავა იყო და მესამე, მგონი, საშიკო დარახველიძე, ანდა მარო ბოჭორიძე, მიხას ცოლი. ეს ორი ნამდვილად ვიცი, იმიტომ, რომ ეს ორი იყო იმ დროს მოედნისა და გოლოვინის პროსპექტის შესაყარზე, როცა ეტლი უკან ბრუნდებოდა.

ინფორმაცია საჭირო იყო ფოსტიდანაც და სწორედ სოსომ, უკვე კობამ, გააცნო კამოს ფოსტის თანამშრომელი გრიშა სვანიძე, რომელიც თანახმა იყო, მათ დახმარებოდა. არ ვიცი რამდენად სწორია, მაგრამ სტალინის პირველი ცოლი იყო სვანიძე და გამორიცხული არ არის, ეს კაცი ნათესავი ყოფილიყო.

ასე იყო თუ ისე, ბევრი რამ იცოდნენ. ანუ ციხე შიგნიდანაც კარგად ტყდებოდა ხოლმე ფულით, თუ უბრალო მეგობრობით, და ეს ითვლებოდა ერთგვარ კარგ ტონად საშუალო ფენაში, ჩვენ ამათ ვეხმარებით და არ მოგვწონს, რაც ხდება იმპერიაშიო.

ვითარება ასეთი იყო, რომ გოგოები იდგნენ ქუჩის სხვადასხვა ადგილას. გოლოვინის კუთხეში იდგა ეს ფაცია გალდავა და როგორც კი დაინახა, ეტლი გამოსცდა მთავარმართებლის სასახლეს, ცხვირსახოცი აიქნია. იქ, სადაც ახლა პუშკინის სკვერია, იდგა კარგად ჩაცმული, შლაპაში გაჭიმული ბაჭუა კუპრაშვილი. სიმპათიური ახალგაზრდა კაცი იყო და ხელში ეჭირა გაზეთი. როგორც კი ფაციამ დაანახა ცხვირსახოცი, კუპრაშვილმა ცოტა შეიცადა და გაშლილი გაზეთით გადაირბინა ერევნის მოედანი. ეს იყო ნიშანი ადამიანებისთვის, რომლებიც მთელ მოედანზე იყვნენ დამალულები, რომ ეტლი მოდიოდა.

კამო დილიდანვე დააბიჯებდა მოედანზე ოფიცრის ფორმაში და ხალხს უბრძანებდა, ნუ გაჩერდებითო. დათიკო ჭიაბრიშვილი კი იდგა ველიამინოვის ქუჩის კუთხეში, შორიახლოს ეყენა პატარა პრალიოტკა. რამდენიმე, ასე ვთქვათ, დაზღვევისთვის მყოფი ახალგაზრდა კაცი იყო იმ დროის თბილისის ერთ-ერთ უპოპულარულეს დუქანში, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან უყვარდათ რატომღაც სოციალ-დემოკრატებს. ერთხელ იქ ნოე ჟორდანიამ ინტერპარტიული მოლაპარაკებაც კი გამართა. ეს არის ლეგენდარული „ტილიპუჭურას რესტორანი“. იქ მყოფი ბიჭები დუქანში შემოსულ უბრალო კლიენტებს გარეთ არ უშვებდნენ, ისხედით აქ წყნარადო.

როგორც კი ბაჭუამ მოედანი გადაირბინა, აუყვა მაღლა სოლოლაკის ქუჩას. იქ კი ბანკთან იდგა ორი კაზაკი, რომლებიც იცავდნენ შესასვლელს. ბაჭუა გასცდა მათ და ზემოთ გაჩერდა. ეს მოძრაობები არც კურდიუმოვს შეუმჩნევია და არც კაზაკებს. ეტლებმა წყნარად




კოტე შესხი




ქართული თეატრის დასი, 1892 წ.




მარჯანიშვილის თეატრი







სათავადაზნაურო თეატრის დარბაზი




სათავადაზნაურო თეატრის შენობა ხანძრის შემდეგ, 1914 წელი




უსთაველის თეატრის მშენებლობა



რუსთაველის თეატრი




HOTEL DE FRANCE
ГОСТИНИЦА ФРАНЦІЯ





ილია ჭავჭავაძე


გურული გლ





ქუთაისი







იოსებ სტალინი და მისი ქალიშვილი



აოსო ჯუღაშვილი, ბაქოს პოლიციის ტუსაღი



გიორგი დეკანოზიშვილი



მეტეხის ციხე



კამოს მემორიალი პუშკინის ბაღში, 1931



გრიგოლ ლორთქიფანიძე



ქამო (სიმონ ტერ-პეტროსიანი)



არჩილ ჯორჯაძე









მაქსიმ გორკი



ლეონ ქიაჩელი



შიო ჩიტაძე










სხედან: გიორგი დეკანოზიშვილი (წინ), არჩილ ჯორჯაძე (მარცხნივ) და მიხაკო ნერეთელი (მარჯვნივ); დგანან (მარცხნიდან): გობეჩია, კომანდო გოგელია და უარლამ ჩერქეზიშვილი



ტილიპუჭურას დუქნის რეკლამა იმდროინდელ გაზეთში



სავარაუდოდ, ამ ქარვასლის სარდაფში იყო ტილიპუჭურას დუქანი



თათრების ბაზარი, დღევანდელი მეიდანი



თეატრების ბაზარი, დღევანდელი მეიდანი



ბეგო და გოგლა ლეონიძე



საძმოშვილო

ნიგნი გიეიშვილის ნახატით



რიყის უბანი



შემოუხვიეს და როგორც კი უნდა აეხვიათ სოლოლაკის ქუჩაზე, ამ დროს ქუჩის კიდეზე, კნიაზ სუმბათაშვილის სახლის სახურავიდან ვიღაცამ ისროლა ყუმბარა. ყუმბარა დაეცა პირდაპირ ეტლის ბორბლებთან, ამას მოჰყვა უცბად სხვადასხვა მხრიდან რამდენიმე ყუმბარის სროლა, კაზაკები აირივნენ, მეორე ეტლი გადაყირავდა, კურდიუმოვისა კი ფეხზე დარჩა. ვინ სად გარბოდა, იმ კვამლსა და კივილში რაღას გაიგებდი. უცნაურობა ის იყო, რო კურდიუმოვი გადარჩა. ამან მერე მკვლევრებს აფიქრებინა, რომ ეს ბომბები სულაც არ იყო ისეთი, რომ იქ ყველაფერი მოესრა, ფანჯრები კი მთელ მოედანზე დაიმტვრაო, ამბობენ, მაგრამ იმიტომ, რომ გასროლა ერთი არ იყო, იყო რამდენიმე.

აი, ამ კვამლში და არეულობაში ბომბები ისევ და ისევ სკდებოდა. როგორღაც ისე მოხდა, რომ ეს ეტლი, რომელშიც კურდიუმოვი იჯდა და რომელშიც ალბათ დარჩა ფულიანი ჩანთა, ცხენებმა გააქანეს ველიამინოვის ქუჩისკენ.

და როგორ უნდა გააჩერო ეს ცხენი? აღვირზე უნდა უტაცო ხელი? არა. ვიღაც გამოვარდა და მე მგონია, რომ ეს იყო ზუსტად დათიკო ჭიაბრიშვილი და მან ცხენებს ფეხებში მიუშვა ყუმბარა. სხვანი ამბობენ, რომ ბაჭუა ჩამოჰყვა ეტლს სოლოლაკის ქუჩიდან და ეს ყუმბარაც მან ისროლა, რითაც დაიჭრა კიდეცო. ეტლი გადაყირავდა, ამ არეულობაში საიდანღაც გამოვარდა პრალიოტკა, რომელზეც ნამდვილად იჯდა დათიკო. მან ხელი მოავლო ჩანთას და ამ არეულობასა და კვამლში გაუჩინარდა. კამო იხსენებს, პრალიოტკას ისე მიაქანებდა, ძლივს დავეწიე და ჩანთა ძლივს გამოვართვიო.

ვერსად ამოვიკითხე, ვინ იჯდა სუმბათაანთ სახურავზე. ისინი, ვისაც უნდა, რომ ლეგენდა უფრო გაამძაფროს, ამბობენ, იქ თვითონ სოსო იჯდაო, მაგრამ ცოტა უფრო სერიოზული და დაფიქრებული მკვლევრები ამბობდნენ, მისი იმ დროის მდგომარეობა გამორიცხავდა სახურავზე ძრომიალს და იქიდან ბომბის სროლას, მით უმეტეს, არ იყო კარგი მსროლელი და ამას ღონიერი და მცოდნე კაცი უნდოდა და ღონე კი მას აკლდა. ხელი უკვე გაფუჭებული ჰქონდა.

ერთ-ერთი ვერსიით, ფული დამალეს იქ, სადაც ოდესღაც დამკვირვებლებად მუშაობდნენ სოსო და რაჟდენ კილაძე – თბილისის ობსერვატორიაში, უფროსის კაბინეტში, დივანში.

იქ არავინ მივიდოდა. მერე მოხერხებულად დაიფანტნენ. დაიფანტნენ და არც ერთი ამ საქმეზე არ დაუჭერიათ. სხვა საქმეებზე კი დაიჭირეს, მაგრამ აღარსად გახმიანებულა, რომ მათ ეს გააკეთეს. ვითარება რომ ჩაწყნარდა, კამომ აიღო ეს ფული, ჩადო ჩემოდანში,

გაიმაგრა უბე თავად წულუკიძის პასპორტით, ჩაიცვა ჩოხა, გარდაისახა ქართველ თავადად, ჩაჯდა მატარებელში და გაუდგა გრძელ გზას ფინეთისკენ, სადაც მან, ცოტა დაღლილმა, ჩაუტანა ფული პირადად ლენინს – ფული, რომელიც დაჯდა ამდენი სისხლი, არეულობა, მაგრამ ფული, რომელიც ძალიან საჭირო იყო პარტიისთვის, ანუ იმისთვის, რომ პარტიის ლიდერებს, ვთქვათ, თავი გაეტანათ და პარტიული საქმეები მოეგვარებინათ.

სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა ძალიან ცუდად უყურებდა ექსებს და მერე ეს კრასინი ნაწყენიც დაურჩა ლენინს, რომელმაც თბილისის ექსზე რაგინდარა ამბის ცოდნა უარყო, მე რა ვიცი, არ დამივალებიაო. სოსოსაც არასდროს უხსენებია, რამე ვიცოდიო. მთავარი, ყველაზე ტრაგი-კომიკური კი ის იყო, რომ ფულის დიდი ნაწილი დასაწვავი გაუხდათ, იმიტომ, რომ ჟანდარმერიამ ამოიღო ახალი ბანკნოტების ნომრები და ყველა ევროპულ ბანკს დაუგზავნა, ამათი გადამხურდავებლები დააკავეთო. აკავებდნენ კიდეც. აქა-იქ ბიჭები თანდათან დაიჭირეს სხვადასხვა საქმეზე, მაგრამ ჩამოხრჩობა ყველას ასცდა რომანოვთა სამსაუკუნოვანი იუბილეს გამო.

— ნიკალა —

შევხედოთ სურათს:

საშუალოზე ოდნავ მაღალი, მშიერი კაცივით გამხდარი, გაუპარსავი, მიკიტან მიხო ვარსიმაშვილის ნაქონ ლურჯ პიჯაკსა და შავ ყარამანდულ შარვალში გამოწყობილი, თავზე რუსული კარტუზით, მოარული ნელა და დაბნეულად – ასეთი იყო ნიკო ფიროსმანი თავისი ცხოვრების ბოლო ათ წელიწადს. ნიკო ფიროსმანი, ანუ ქალაქელებისთვის მხატვარი ნიკალა ან ნიკალაი მხატვარი.

იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რას ნიშნავს ძველი ქალაქისთვის მხატვარი, უნდა ვიცოდეთ სად გადის თბილისში საზღვარი ძველ და ახალ ქალაქს შორის.

ეს საზღვარი გადის შუა ბაზარზე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ლესელიძის ქუჩაა. იმიტომ რომ მხატვარი ამ ქუჩის დაბლა და ამ ქუჩის მაღლა, სულ სხვადასხვა რამეს ნიშნავდა ძველ თბილისში. ქუჩის მაღლა, ანუ ახალ ქალაქში, რომელიც რუსების დროს შენდებოდა და აშენდა, მხატვარი იყო ნასწავლი კაცი, აკადემიური განათლებით, შემოქმედი, ინტელექტუალი და ასე დაუსრულებლად.

ქუჩის დაბლა, ძველ ქალაქში, მხატვარი იყო უსწავლელი კაცი, რომელსაც ხშირად წერა-კითხვა იმისთვის თუ ჰქონდა ნასწავლი, რომ აბრებზე კოხტად დაეწერა შეკვეთილი სიტყვები, ეს იყო კაცი, რომელიც თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით ახერხებდა დაედო თუნუქზე ან მუყაოზე ფერები და შეესრულებინა ნაირგვარი შეკვეთა.

ეს შეკვეთები იყო სულ ნაირ-ნაირი, არა მარტო დუქნების აბრების დახატვა, არამედ სამიცვალებულო განცხადებების ხატოვნად წერა

და გამოკვრაც და სხვა ათასი. რა თქმა უნდა, ამაში შედიოდა ჩვეულებრივი ხატვაც და თუ ძალიან ხმამაღლა არ გამოგვივა, ფერთა წერაც. მხატვარი იმავდროულად იყო მღებავიც და ეს ყველაფერი ერთიანდებოდა ამ სიტყვის ქვეშ.

მხატვარი არის სიტყვა სწორედ დაბლა ქალაქიდან და ის სწორედ შუა ბაზრის გავლით ავიდა მაღლა და დაერქვა აკადემიურ მხატვრებს.

მხატვრები თბილისში იმ გაგებით, როგორც მას ძველი ქალაქი ხმარობდა, ყოველთვის ბევრი იყო და კონკურენციაც საკმაოდ მაღალი შეიმჩნეოდა.

რახან 100 წლის განმავლობაში თბილისი იყო ძალიან მზარდი და ყოველდღიურად მშენებარე ქალაქი, მას ყოველთვის ჰქონდა გარეგნული სიკოხტავის მოთხოვნილება. იმ დროს იშვიათად გაივლიდა თვე, რომ ქალაქში რაღაც ახალი დუქანი ან რამე გასართობი სახლი არ გახსნილიყო. ამას ყველაფერს აუცილებლად სჭირდებოდა მხატვარი.

თბილელი მხატვარი იყო თვითნასწავლი კაცი.

გიგო ზაზიაშვილი, ერთი ყველაზე ცნობილთაგანი ასეთთა შორის, იგონებს, როგორ სწავლობდნენ თბილისში ხატვას.

მამამისი შუაბაზრელი მკერავი ყოფილა, ქალებს უკერავდა ტანისამოსს.

ამ დროს გაზაფხულზე თბილისში მოდაში იყო სისხლის გამოშვება. ადამიანებს წნევა უწევდათ და დალაქებს საქმე ემატებოდათ. ანუ მიუშვერდი შენს მკლავს და დალაქიც სისხლს გამოგიშვებდა.

ჰოდა, ამ მკერავ ზაზიაშვილსაც ერთ მაისის თვეში სისხლი გამოუშვებინებია და მერე ხელზე ჭრილობა გამიზეზებია, იმიტომ რომ მორჩენას და შეხორცებას არ დალოდებია, რახან გაღმა კრივი ყოფილა დანიშნული და საკრივოდ წასულა.

ამ კრივში მკერავს ხელი უარესად დაუზიანდა და, როგორც ჩანს, განგრენაც დაეწყო. ერთმა კარგმა ექიმმა მკლავი მოჰკვეთა და დარჩა უხელოდ. ცალი ხელით რაღა უნდა შეეკერა. იჯდა ასე საწყლად და დარაჯად მსახურობდა. ერთ დღესაც აიღო კალმისტარი, რახან იმ სადარაჯოში ხშირად უყურებდა, როგორ ხატავდა რუსის მოხელე რაღაცეებს და გადაწყვიტა, გველი დაეხატა.

აბა, გველს როგორ დავხატავო და დახატა გველი. მერე რაღაც სურათი იშოვა და იქიდან გადახატა. გაეჩვია, გააჩვია ხელი და ასე გახდა უფროსი ზაზიაშვილი მხატვარი. მერე კი თავისი პროფესია შვილსაც გადასცა.

აი, ასეთი ხელობის ხალხი იყო.

ვარანცოვზე იყო ერთი მხატვარი ჯორაშვილი, რომელსაც ძალიან ბევრი შეკვეთა ჰქონდა.

შეკვეთა მაინცდამაინც ტილოს და შინაარსიან ნახატს არ გულისხმობდა, უფრო აბრების ხატვას და გაფორმებას, ან სახლის კედლების, ამიტომ ეს ხელობა ახლოს იყო რუსულიდან შემოსულ სიტყვა „მალიართან“, ანუ მღებავთან.

მხატვარი ბევრი იყო, ვთქვათ, გრიგორიანი, ვანო ხოჯაბეგოვი. ანდა ათონის ქუჩაზე იყო მხატვარი არსენა, რომელსაც ძალიან კარგი სახელოსნო ჰქონდა.

თბილელ მხატვრებს ამქრები არ ჰქონდათ, მაგრამ გარკვეული ერთობა და სოლიდარობა კი სჭირდებოდათ, ხშირად ერთად იღებდნენ შეკვეთებს, ერთად ყიდულობდნენ საღებავებს, ზიარად აგროვებდნენ მასალას.

ფიროსმანი განსხვავდებოდა ყველა ამ მხატვრისგან. ის ცხოვრების სულ სხვანაირ გზებს მისდევდა.

ფიროსმანს არასდროს არ ჰქონდა ისეთი სახელოსნო, როგორიც გიგო ზაზიაშვილს, იგივე იმ არსენას.

ის უმეტესად სამადლოდ ათევდა ღამეს, თუმცა მუშტარი ყოველთვის ბევრი ჰყავდა.

ყველაზე უცნაური საიდუმლო ფიროსმანის დანატოვარის სიუხვისა და მისი ხელის სისწრაფისა არის სწორედ ის, რომ თბილელ მხატვართა შორის არსებული მაღალი კონკურენციიის მიუხედავად, ფიროსმანს სამუშაო ყოველთვის ჰქონდა.

ის ნამუშევარში ფულს იშვიათად იღებდა. სხვები იღებდნენ, ის – არა.

ფიროსმანი ძირითადად მუშაობდა ორ უბანში – თბილისის სადგურის მიდამოებში და იარმუკასა და რიყეზე. ამ ორ უბანზე იყო ძირითადად.

შემკვეთ მედუქნეებს აწყობდათ ასეთი კაცი. ის საჭმლისა და სასმლის სანაცვლოდ ხატავდა და აფორმებდა ყველაფერს, თან ხატავდა ძალიან სწრაფად და ხატავდა ყველანაირი შეკვეთით: აი, აქ ისე დამიხატე, იქ ისე დამიხატე...

იარმუკაში იყო ერთი კაი კაცი ვანო აბაევი, ფიროსმანის მეგობარი. ეს ვანო ოთახებს აქირავებდა. ასეც ერქვა: „მებელიროვანიე კომნატი ვლადიკავკაზა“.

ოსი იყო ეს ვანო აბაევი და იყო არა მარტო ფიროსმანის, არამედ ვაჟა-ფშაველას მეგობარიც.

სწორედ ამ „ვლადიკავკაზის ოთახებში“ მოხდა ფიროსმანისა და

ვაჟა-ფშაველას ერთადერთი შეხვედრა. ეს შემთხვევითობა იყო: ფიროსმანი რაღაცას ღებავდა და ვანომ დაუძახა. სადილად ვაჟა ჰყავდა, რომელიც იმხანად ვანოს ოთახებში ჩერდებოდა ხოლმე ქალაქში ჩამოსული.

ჰოდა იქ ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ ფიროსმანს წაკითხული ჰქონია „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

ამ დაბლა ქალაქის მხატვრებში კითხვა ძალიან იშვიათი რამ იყო. განსაკუთრებით ისეთი რამეებისა, როგორიც არის ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობი“. იქ სხვა ლიტერატურა არსებობდა, რომელიც უკიდეგანო იყო და იმასაც ვერ ამოწურავდი, რომ მიჰყოლოდი... ფიროსმანმა ვაჟას მოუთხრო, რომ ერთ დუქანში დაეხატა ეს მისი შვლის ნუკრის ამბავი, რადგან მოთხრობას ძალიან ემოქმედა მასზე და დაეხატა ყელგამოჭრილი შველიც.

მედუქნეს სწყენოდა, ამ დუქანში ხალხი გასართობად შემოდის და ამ სისხლის ყურებაში რა უნდა ჭამონ და რაღა უნდა დალიონო. ამიტომ იქვე გადაეღებათ კედელი და ფიროსმანს ზედვე დაეხატა თავადების ქეიფი.

შეკვეთები იყო ძალიან კონკრეტული. რომელიმე მედუქნე ეტყოდა ფიროსმანს, დამხატე, ოღონდ ხელში ჯაჭვი მეჭიროს, ამ ჯაჭვზე კიდევ ყოჩი იყოს გამობმულიო. მოგეხსენებათ, თბილისში ყოჩების ჩხუბი ძალიან პოპულარული იყო და ბევრ მედუქნეს ესახელებოდა, რომ სურათზე მაინც ჰყოლოდა კარგი ყოჩი.

ნიკოს ძველი მეგობარი, მედუქნე ბეგო იაქსიევი იგონებს, რომ ერთხელაო იმდენი ხატაო, იმდენი მოვუყევი და ხატაო, რომ ბოლოს ვეღარ მოვიფიქრეთ, რაღა დაეხატაო. ჰოდა გამოვედით დუქნის გარეთ და დავინახეთ, ჩარდახიანი ურემი მოდისო და შემობრუნდაო და: აგე, ეხლა ეგ დავხატოთო.

ოღონდ, მხოლოდ შეკვეთები არ იყო: ფიროსმანი თავისითაც ხატავდა.

როცა ვინმე პატივს სცემდა, ორი დღის მერე ის აუცილებლად მიაკითხავდა და მიუტანდა რაიმე ნახატს საჩუქრად, რომელსაც თვითონ ხატავდა ხოლმე სახლში. თუ ჰქონდა სადმე ჭერი, იქ აუცილებლად იჯდა და ხატავდა.

სხვათა შორის, ხშირად ხატავდა ლამპის შუქზე. ჰქონდა თავისი ხერხები.

მაგალითად, ჭვარტლსა და კირს ურევდა ერთმანეთში და მუშამბაზე უსმევდა შავ ფონად. ამბობენ, რომ ის მუშამბაზე კი არ ხატავდა იმდენად, რამდენადაც ეტლების სკამების გადასაკრავ დერმატინზე,

რომელიც ძალიან ძვირი იყო და ძალიან ძნელი საშოვნელიც. საერთოდ, საინტერესო ის არის, რომ ძალიან მაღალი ხარისხის საღებავებს ყიდულობდა ყოველთვის და ძალიან სწრაფად აზავებდა მათ პირდაპირ დუქნის თეფშზე. ის ერთი დასვრილი თეფში მისთვის არ ენანებოდათ ხოლმე.

მაშინ თბილისში იყო ორი-სამი მაღაზია, სადაც ძალიან კარგი და ძვირი ინგლისური საღებავები იყიდებოდა. ერთი ასეთი იყო მუხრანის ხიდის შორიახლოს. მისი პატრონი იყო პეპოვიანცი და ფიროსმანი სულ იქ ყიდულობდა საღებავებს, სანამ პირველი მსოფლიო ომი არ დაიწყო. ამ ამბავს ამ პეპოვიანცის სიკვდილიც მოჰყვა და მაღაზიაც დაიკეტა. მერე უკვე დაბლა ცდილობდა ეშოვა ეს საღებავები. ხშირად ხატავდა თუნუქზე, თუკი შეუკვეთავდნენ, ხატავდა ხოლმე შუშაზეც, როცა საჭირო იყო და, რაც მთავარია, მიდიოდა დუქნებში, როგორც წესი, თვითონ. გამოჩნდებოდა და გეტყოდა: რამე არ გინდათ დაგიხატოთ.

მისი ფასი იცოდნენ – მაქსიმუმ მედუქნეს მისთვის ჯიბეში ჩაედო ერთი ან ორი მანეთი. ეს არ იყო, ასე ვთქვათ, მაინცდამაინც უბრალო ფული, მაგრამ სასაცილო ფულია იმასთან, რასაც თბილისში სხვა მხატვრები იღებდნენ. ეს იყო ძალიან უცნაური.

ფიროსმანის გარეგნობაც კი იმ დროის დაბლა ქალაქში, ამ ძველ ქალაქში იყო ძალიან უცნაური.

ბეგო იხსენებს, მე ვყიდულობდი ხოლმე მაგისთვის ტანსაცმელსო, 4-5 წელიწადს სულ ერთად ვიყავით და ერთი სუფრა გვქონდაო. ყოველთვის იცოდა არჩევა ძალიან დახვეწილი ტანისამოსის და უნდოდა, რომ გამორჩეული ყოფილიყო.

ერთხელ ვიღაცამ ბაღდადი გადაჰკიდა მხარზე ხუმრობით და მოიშორა, არა ვარ ყარაჩოღელი და თქვენნაირი არა ვარ, ეგ არ მჭირდებაო.

ჰოდა, ბეგომ, ბაზარში ავედით ტანსაცმლის საყიდლადო და ძალიან კარგი ჩოხა და ყარაჩოღლის მთელი სამოსი მომაჩეჩეს იაფად, ზუსტად მისი სარგოო და მოვკიდე ხელი და შემოვხედე და არა, არა ეგ ჩემი არ არიო, ნიკალამ მითხრაო.

უცნაურობა მის ტანსაცმელში არის ისიც, რომ ხშირად ეცვა ძველი, ნაკემსი და ჩამოძენძილი, მაგრამ იმავდროულად უხდებოდა, კარგად ჰქონდა მომდგარი.

თავისი მეგობარი მედუქნეების და ყარაჩოღლების წრეში ის ხშირად ამბობდა, რომ ტანსაცმელს მნიშვნელობა არა აქვს. ხშირად ფეხსაცმელიც არ ჰქონდა ისეთი, რომ თავისუფლად ევლო ქუჩაში. მაგრამ

როგორც კი ის ერთი-ორჯერ მოხვდა მაღლა ქალაქის მხატვრებში, იქ თქვა, მიჭირს თქვენთან სიარული, იმიტომ, რომ ტანსაცმელიც კი არა მაქვსო.

აუცილებლად იცოდა ვალის დაბრუნება.

პირველად როცა მოხვდა მხატვართა ასოციაციაში, თუმანი აჩუქეს და უზარმაზარი ტილო მოიტანა საპასუხო საჩუქრად. ძველი მედუქნეები ყვებიან, რომ ხშირად ამბობდა, არავის კაპიკი არ მინდაო. საერთოდ, ვალი არ იცოდა.

იყო იმ დროის თბილისში ცნობილი სირაჯი მესხიშვილი, რომელიც ფიროსმანს დახატულიც ჰყავდა და ამ მესხიშვილის სიტყვებია, ვალი ეჯავრებოდაო, მაგის კასტუმს ჯიბე არა ჰქონდაო, ანუ რასაც ჩააგდებდი, იმწუთში ვარდებოდა და ჩაგდებას კიდევ არც განებებდაო. ამიტომ მაგის ხელფასი საჭმელი იყო და მაგის ჰონორარი სასმელიო.

იმ დროის თბილისში ღარიბი კაცისთვის ცხოვრება ძალიან ძნელი და აუტანელი არ იყო. არა ღატაკი კაცისთვის და მათხოვარისთვის, არამედ ღარიბი კაცისთვის. ცხოვრება ასატანი იყო, თუ ღარიბ მარტოხელა კაცს მეგობრები ჰყავდა.

ფიროსმანს არ ჰქონდა სახლი, არ ჰქონდა ფული, არ ჰქონდა ვალი და ტანსაცმელს მისთვის მეგობრები და გულშემატკივრები ყიდულობდნენ ხოლმე და ხანდახან ვიღაცა რაღაცას აჩუქებდა.

ამის მიუხედავად, მედუქნეებმა „გრაფი“ დაარქვეს.

ეს არ იყო მარტო დამცინავი მეტსახელი, თუმცა დამცინავიც იყო, იმიტომ, რომ ადამიანი, რომელსაც ქვეყანაზე არაფერი ებადა და ვიღაც 10 მანეთს ჩაუდებდა ჯიბეში, მერე კი ეს ადამიანი მათხოვრებს ურიგებდა ამ ფულს, ცხადია, გარკვეული დაცინვის საგანიც შეიქნებოდა ხოლმე ისეთი ხალხისგან, როგორებიც იყვნენ თბილელი მედუქნეები.

ისინი ცუდი ხალხი არ იყო, თბილისელი მედუქნეები. ძალიან საინტერესო ფენა იყო და საერთოდ, ფიროსმანმა რომ ამდენი იცოცხლა, ფიროსმანის რომ ამდენი ნახატი დაგვრჩა, სწორედ თბილისელი მედუქნეების დამსახურებაა. მაგრამ ზურგს უკან ისინი მაინც დასცინოდნენ ხოლმე ნიკალას ახირებულობას და თან ნიკალას ხარჯზე იოლად გამოდიოდნენ, რადგან ვერ იპოვიდი სხვა ისეთ მხატვარს, ერთ მათლაფა ხარჩოში და ერთ ბოთლ არაყში დაეხატა რაღაც.

ამის მიუხედავად, ის მაინც ინარჩუნებდა ღირსებას და „გრაფი“ ამასაც მოიცავდა.

როცა ფიროსმანი დუქნის დარბაზის კუთხეში მჯდომი ხატავდა

ხოლმე, იქ ბევრი მოქეიფე იყო და ხშირად სინათლეც არ იყო კარგი. ზაფხულობით საერთოდაც ადრე დგებოდა და 6 საათიდან დაიწყებდა და მთელი დღე იჯდა და რამდენიმე ნახატს ერთბაშად უკეთებდა ხოლმე ამ მედუქნეებს, მაგრამ მოგეხსენებათ, თბილისის დუქანი სულ გაჭედილი იყო, სულ არღნის ხმა მოისმოდა, რომელიც, სხვათა შორის, ფიროსმანს უყვარდა და სიამოვნებდა. ყველა სუფრასთან იწვევდნენ, მაგრამ ის არც ერთ სუფრასთან არ ჩამოჯდებოდა, თუმცა თითოს დალევა ყველგან უწევდა და ფაქტობრივად მთვრალი ამთავრებდა ხოლმე სამუშაო დღეს.

სირაჯმა მესხიშვილმა თქვა საოცარი ფრაზა ფიროსმანის შესახებ: ხატავდა იმიტომ, რომ დაელია და სვამდა იმიტომ, რომ დაეხატაო.

გულახდილად რომ ვთქვათ, ფიროსმანი ლოთი იყო, მაგრამ ის არ თვრებოდა. ლოთები არ თვრებიან.

მისი ცნობილი გამონათქვამია: ბეგო, ბიჭო, არაყი მომაშველეო.

ეს ჩვეულებრივი, საწყალი ლოთი კაცის მოწოდებაა.

მას უნდა, რომ მუშაობა გააგრძელოს და თუ არ დალია, ვერაფრით ვერ გააგრძელებს. ქეიფის მოტივი მის სმაში არ იყო, ეს იყო მარტოხელა კაცის ლოთური პორციები, რომლებსაც ის იღებდა დღის მანძილზე და ეს წლობით გრძელდებოდა.

ერთი სადგურისპირა მედუქნე იხსენებს, დილით მოვიდოდა ხოლმე ჩემთან აცახცახებული და მთხოვდა რამე დამალევინე და სანაცვლოდ, რასაც გინდა დაგიხატავ, რამდენსაც გინდა დაგიხატავო.

არანაირი სიამოვნება ამ სმაში ფიროსმანს არ ჰქონდა, ის ჩვენ მოქეიფედ და დროის მტარებელ კაცად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ის იყო მშრომელი, ალკოჰოლიზმით დაავადებული კაცი.

ის იყო ერთადერთი მხატვარი თბილისში მაშინ, ვისაც სახელოსნო არ ჰქონდა და არ ებადა ქვეყანაზე არაფერი, ცხოვრობდა დუქნების უკანა ეზოებში, სადაც სოფლებიდან ჩამოსულ ხალხს ჩამოჰქონდა საქონელი, სადაც იყო ბაკები.

ბოლო მისი ბინა საერთოდაც კიბის ქვეშ იყო. ბინაც არ იყო ესა და ჩიოდა, ბავშვები ფანჯარას მიმტვრევენო, ერთი ფანჯარა ჰქონდა, უბედური.

ის, რასაც ჰყვებიან მედუქნეები, ყარაჩოღლები და კინტოები, რომ სასმელი მომაშველეთო, მისი უბედურება იყო და არა მისი ბედნიერება და სილაღე. თუ არ დალევდა, ვერ დახატავდაო. როცა ადამიანი წლების განმავლობაში ლოთია, ის თუ არ დალევს, არათუ ვერ დახატავს, ვერ გაიძრევა საერთოდ.

მთელი მისი უბედურება ეს იყო, მაგრამ ნიკალა ყოველთვის ასეთი

არ იყო. უბრალოდ, მან თვითონ აირჩია ასეთი ცხოვრება და საოცარი ცხოვრება გამოვიდა, ალბათ ყველაზე საოცარი თბილისში, თორემ მანამდე ნიკო ფიროსმანაშვილი კომერსანტიც იყო, სამჯერ დუქანიც ჰქონდა და ეს საქმეები რომ ჩაეშალა, ერთხანს „ტარმაზნოი კონდუქტორიც“ იყო გამოუვალობისგან, მაგრამ ეს კონდუქტორობა ცალკე ჯანმრთელობის და ცალკე ალბათ იმის გამო, რომ მოკლებული იყო ხატვის შესაძლებლობას დიდად არ მოსწონდა და მედუქნეობა კი მოსწონდა.

მისი ერთ-ერთი კომპანიონი ამბობს: რა ენაღვლებოდა, მე დახლში ვიდექიო და თვითონ ავიდოდა ზედა ოთახში, აიტანდა ახალ მოთიბულ ბალახს, გააგებდა იატაკზეო და მეუბნებოდა, სოფელში ვერ დავდივარ და მსიამოვნებს, ამაზე რომ ვაბიჯებო. მედუქნეობისას, იჯდა მთელი დღეები და ხატავდა ძმაკაცებისთვის, სხვებისთვის. მაშინ ცოტა ფული ჰქონდა და შეეძლო, რომ თავის ნებაზე ეხატა და ემუშავა. ალბათ სწორედ იმ დროის არის დაუდგენელი ისტორია მომღერალ მარგარიტას შესახებ, იმიტომ, რომ უფულო კაცი დიდად ვერ წავიდოდა ორთაჭალის ბაღებში.

სიცოცხლის ბოლო 10-15 წელიწადს ის ორთაჭალაში არ დადიოდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ სადმე ბაღებისკენ გაეხედა და საქეიფოდ გაჰყოლოდა ვინმეს.

დადიოდა სულ მარტო, ეგება ამიტომაც დაარქვეს „გრაფი“. ასე რომ, ამ მეტსახელში ძალიან ბევრი რამაა გაბნეული. მაგალითად, მისი ცნობილი ფრაზაც, როცა უკვე ფიროსმანი შეამჩნიეს მაღლა, ევროპულ თბილისში და როცა მიშელ ლედანტიუმ საფრანგეთში რამდენიმე წერილი დაბეჭდა გაზეთებში მის შესახებ: „მე უკვე საფრანგეთში მიცნობენ“.

ეს სიამაყის გამომხატველი ფრაზა იყო და შეიძლებოდა ასეთი კაცისთვის ამიტომაც დაგეცინა. შეხედავდი ფიროსმანს და ის იყო სრულიად ბოგანო იერის კაცი და სავსე რაღაც მოულოდნელი ღირსებით. ძალიან უცნაური შეთანხმებაა.

ტანსაცმელი არ უვარგოდა, მაგრამ მას უხდებოდა, საშინელი იყო, მაგრამ ამავე დროს იყო ღირსეული.

უცნაურობა კიდევ ის იყო, რომ მას მიესვლებოდა ყველგან. ყველგან უხაროდათ მისი ნახვა, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ძალიან სიტყვაძუნწი და ურთიერთობებში დისტანციის შემნახველი, კარგ ადგილას მოხვედრილი, მშვიდად იწყებდა ლაპარაკს და ლაპარაკი და თხრობა უყვარდა ძალიან. იმავდროულად ცნობილი იყო, როგორც მდუმარე და უხიაგი კაცი.

იმ ორ უბანში, სადაც საქმიანობდა, ფიროსმანს ჰქონდა თავისი ბირჟები, ანუ რახან სახელოსნო არ ჰქონდა, როცა თვითონ აღარ დადიოდა მედუქნეებთან და ვიღაცას კი უნდოდა მისთვის რაღაც შეეკვეთა, ნიკალა მიდიოდა თავისი მეგობრების სახელოსნოებში და იქ იჯდა.

ეს არ იყო მაინცდამაინც მხატვართა სახელოსნოები.

ვთქვათ, ერთი მისი მეგობარი იყო შაშო მექუდე, ვისთანაც ნიკალა ბევრ დროს ატარებდა. სხვა ასეთი ადგილი ფიროსმანს ჰქონდა გაღმა, ავლაბარში.

ეს იყო ავლაბრის ბაკების შენობა, სადაც ერთ პატარა ოთახში სანთლებსა და პატარა ქალაქურ წიგნებს ყიდდა ძველი თბილისის ძალიან ცნობილი პოეტი დავით გივიშვილი. ეს გივიშვილი იყო ძალიან კოლორიტული კაცი.

გივიშვილთან იჯდა და ფურცლავდა ამ წიგნებს და ასევე იქაც მოდიოდნენ შემკვეთები. ხშირად იყო ხოლმე ნიკალა აბრაგუნეს განთქმულ დუქანშიც. ეს აბრაგუნე მეგობრობდა მას დიდად.

რახან მედუქნეებზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ მედუქნე არ არის აუცილებლად ჩარჩი და ვაჭარი. იმ დროის თბილისში რამდენიმე ტიპის მედუქნეა. მათში ხშირია დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული მშრომელი ხალხი, რომელთაც ქალაქი ძალიან იოლად იგუებს და კარგად იწოვს – მაგალითად, გოლა ჭიჭინაძე, რომელსაც სადგურთან ჰქონდა ცნობილი სასტუმრო და რესტორანი „არარატი", სადაც ფიროსმანის ბევრი ნახატი იყო და სადაც ცხოვრობდა ხოლმე ნიკალა.

აბრაგუნე კი იყო ძველი ყარაჩოღელი, ცოტა სხვა ტიპის მედუქნე.

ნაყარაჩოღლარი მედუქნეები ძალიან ხშირად თავზე ხელაღებული, დამრტყმელი კაცები იყვნენ. იმათ შორის კი იყო ეგეთი „შავი ვანო", რომელსაც მტკვარს გადმოღმა, ხევში ჰქონდა დუქანი, აი, საბურთალოს და დიღმის გზის შორიახლოს.

იმ დუქანში შეიძლებოდა ყაჩაღსაც შეენახა თავი, იმიტომ, რომ თვითონაც ნახევრად ყაჩაღი იყო შავი ვანო და სულ მუშტებზე იყურებოდა.

შავ ვანოსთან იყო ფიროსმანის ნახატები, მალაკნების სერია. ესეც პირდაპირი შეკვეთა იყო.

რახან შავი ვანო თვითონ ოხრის მქნელიც ხშირად იყო და ეს კარგად იცოდა, ასეთ ხალხს ხშირად წესიერი და პატიოსანი ადამიანები მოსწონს და ვანოსთან ხშირად მოდიოდნენ მალაკნები, გადმოსახლებული რუსი სექტანტების შთამომავლები და მოჰქონდათ მისთვის რძის ნაწარმი და სხვადასხვა პროდუქტი. მალაკნები ცნობილი იყვნენ

თავიანთი პატიოსნებით და ვანოსაც გული მიუვიდა მათზე. ჰოდა, სთხოვა ნიკალას, მალაკნები დამიხატეო.

სატინის ხალათები ცისფერი ან ვარდისფერი, შავი ჟილეტები, გრძელი წვერი, კარგად გაპრიალებული ჩექმები, მალაკნები მოსწონდა – წესიერი ხალხია ჩვენგან განსხვავებითო.

ბეგო და აბრაგუნე კი მართლა ინახავდნენ ნიკალას. გოლა ჭიჭინაძეც მართლა ინახავდა, მაგრამ მედუქნე ბევრნაირი იყო და ხშირად იყო, ნახატი მიფრინავდა სადღაც, იმიტომ რომ მედუქნეს არ მოსწონდა.

ხშირად იყო გულსატკენი ეპიზოდები, მაგრამ რახან ნიკალა მუქთად ხატავდა, დიდად არ იმჩნევდა დაწუნებულს.

ვერავინ დათვლიდა, რამდენი ნახატი იყო ფიროსმანის, რამდენი კედელზე, რამდენი მის მუშამბასა და დერმატინზე, რამდენი თუნუქზე და რამდენი მუყაოზე. ვერავინ ვერ დათვლიდა და ვერ გაიგებდა ამას, იმიტომ, რომ ეს კაცი რაღაც გასაოცრად მოძრაობდა ქალაქში, მისი პოვნა იყო შეუძლებელი, ვინმეს რომ დასჭირდებოდა, ვერაფრით ვერ იპოვიდა, თუ მის ბირუებზე არ გადააწყდებოდა.

ჰკითხავდნენ: სადა ხარ, ჩვენთან რატომ არა ჩნდებიო და, აი, დიდუბეში ვიშოვე რაღაცა პატარა ოთახი და იქა ვარ და წყნარათა ვარო, უპასუხებდა.

რევოლუცია დამარცხდა, ადრეც მოგახსენებდით.

სისხლი.

მე კიდევ თბილისელი სირაჯები მახსენდება.

ეგრეა, რომ ფიროსმანის ბევრ ტილოზე, „ფართრეთზე“, როგორც მაშინ თბილისში იტყოდნენ, ბევრი მისი მეგობარია აღბეჭდილი და ბევრიც კიდევ მისი ქალაქის ცნობილი კაცი. ამათი ჩამოთვლა, ამათი აღწერა კიდე ცალკე საქმეა და ესეც სახალისო საქმე. იგივე ბეგო იაქსიევი არის მის ტილოებზე, არი ცნობილი მეზურნე დიდი ბაგრატა, სარქისა მელვინე.

ტილო „მეეზოვეს“ შეიძლება სულ სხვა სახელი ერქვას, „მეეზოვე“ ალბათ უკვე ხელოვნებათმცოდნეებმა დაარქვეს, იმიტომ რომ ამ მეეზოვის ვინაობა ცნობილია – ეს არის მირზოევის ქარვასლის იეზიდი დარაჯი რაშიდ ალმოევი. რაშიდა ძალიან შავი იყო და ფიროსმანს ამიტომაც დააინტერესა, მინდოდა შავი კაცის დახატვაო.

ფიროსმანი ღატაკი კაცი იყო, მაგრამ ცხოვრება მაინც სავსე იყო ხალისიანი ეპიზოდებით, იმედის მომცემი ამბებით.

ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე თვითონ ფიროსმანის ხასიათიდან და განწყობიდან გამომდინარე. სწორედ ამ ჩვენი რუსეთის რევოლუციის დროს მან იშვიათმა, ძველი ქალაქის შვილთაგან, უცბად რევოლუ-

ციონერობა დაიჩემა და აქა-იქ პლაკატებიც კი გააკრა დუქნებზე. მედუქნეები პოლიტიკაში ნაკლებად ერკვეოდნენ და ერეოდნენ, მაგრამ პლაკატებზე გარადავოები ურჩევდნენ, მოხსენითო.

ნიკალა კი წერდა და წერდა ამ პლაკატებს – „ძირს მეფეო" და ასე შემდეგ. ერთხელაც, რომ ჩამოუხსნეს, თქვა, დაიცადე, მაგას მაინც ბოლო მოეღება, ჩემს სეხნიასო.

ერთხელ კიდევ გააკეთა მაგარი ეშმაკური რაღაც.

საერთოდ, ძველ თბილისში ასე იყო და კარგა ხანსაც მოყვა, რომ თბილისის ამქრები, ხელოსნების პროფესიული გაერთიანებები, წელიწადში ერთ დღეს იღებდნენ რომელიმე დუქანს მთლიანად, ან კიდევ ბაღებში მიდიოდნენ და ის ბაღებიც ვიღაცის იყო და ბაღებსაც იღებდნენ საქეიფოდ მთელი დღით. ჩვეულებრივ, ეს იყო ხოლმე ამქრის მფარველი წმინდანის დღეს და ძალიან შემოსავლიანი რამ გახლდათ მედუქნეებისა და ბაღების პატრონებისთვის, იმიტომ, რო ვთქვათ, მთელი ამქარი რომ მოიკრიბებოდა, ვთქვათ – მექუდეებისა, 150-200 კაცი გამოვიდოდა ხოლმე და შემოსავალი კარგი შემოდიოდა. ჰოდა, მედუქნეს ყოველთვის ახსოვდა იმ ამქრის დღე, რომელმაც წინა წელიწადს მასთან გაატარა დრო და კარგი ფულიც გადაიხადა.

ეს მთელი რიტუალი იყო ამქრებისა: ჯერ ქარგლებს დალოცავდნენ, სილას შემოარტყამდნენ, მერე კი იწყებოდა ქეიფი. მოჰყავდათ ბაგრატა თავისი დასტით, ჭიანურა თავის დასტით, მთელი ამბავი იყო მოკლედ და გამოფენდნენ თავიანთ ცისფერ ბაირაღებს და ერთმა მედუქნემ იფიქრა, რომ რახანც წელს ესენი კარგად ვაქეიფე და ამხელა შემოსავალი მომცესო, მოდი ისე გავაკეთებო, რომ ამათ ამქრის გულს მოვიგებ, რომ გაისადაც ჩემთან მოვიდნენო და გადაწყვიტა, თავისი დუქნის კედელზე დიდი ნახატი შეეკვეთა ფიროსმანისთვის, ძალიან კონკრეტული პერსონაჟებით, აი იმ ამქრის უსტაბაშით, იგივე ბაგრატათი და მოკლედ, ესენი რომ ჩვეულებრივ დღეს შემოვიდოდნენ დუქანში, თავისი თავი ამოეცნოთ და მერე ეთქვათ: იქ წავიდეთ, საცა ჩვენა ვხატივართო.

ეს სასახელო იყო მაშინ უბრალო ხალხში, ჰოდა ნიკალამაც აიღო შეკვეთა და მედუქნემ ჩამოუთვალა, სად ვინ უნდა იდგეს, სად ვინ უნდა ეხატოს, როგორ უნდა იყოს, რა უნდა იყოს. ნიკალამ წაიღო ეს შეკვეთა და გააკეთა სწრაფად, როგორც იცოდა, პირდაპირ დუქნის მთელ კედელზე. უზარმაზარი ნახატი გამოუვიდა.

ოღონდაც, ფიროსმანმა ერთი ეშმაკობა ჩაიდინა ამ სურათის ხატვის დროს – ჩვეულებრივ, ამქრებს თავისი ბაირაღები ჰქონდათ და ეს ბაირაღიც ამ ნახატზე შეკვეთილი იყო.

ბაირაღები ძირითადად იყო ცისფერი, ზედ წარწერით და სხვადასხვა სიმბოლოებით. ჰოდა, ფიროსმანი ადგა და ცისფრის ნაცვლად წითელი დახატა. ესეც რევოლუციის ხათრით. დახატა შემპარავად, ვერავინ ვერ შეამჩნია, იმიტომ, რომ ბაირაღები უკან იყო. დახატა და ძალიან ხარობდა თვითონ ამის გამო, ოღონდ უთქმელად, იმიტომ რომ მედუქნე დიდად ვერ მიხვდა მთელ ამ ამბავს, მაგრამ ეს უკვე რომელი დროა, იცით? როცა რევოლუცია დამარცხებულია და დასდევენ რევოლუციონერებს, ხოლო წითელი არის დამნაშავეობის ფერი. მაგრამ აი, ერთხელაც ვიღაცამ შეამჩნია და მედუქნე გალანძღა და შეაშინა, რო შენაო, არ იცი რა მოგივა აი ამის გულისთვისო, მიხვდა რაც იყო.

მედუქნეს ისე შეეშინდა, რომ ეცა დანით, გაჯიანადვე ამოფხიკა ეს ბაირაღი და მერე დარბოდა იარმუკაში და ნიკალას ეძებდა, გამიახლოს ის ნახატი, დამიმახინჯდაო. დიდი არაფერი, გაჯით ამოავსეს ისევ და ნიკალამ ცისფერი ბაირაღი დახატა.

ფიროსმანის ცხოვრებაშიც მოხდებოდა ხოლმე სასიამოვნო ქეიფები, ანუ ისეთი სუფრები, სადაც ყოფნა მას უყვარდა.

რახან ჩვეულებრივ არ ჩერდებოდა სუფრაზე, რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო, რომ ქეიფში მისულიყო.

მუხრანის ხიდი რომ გაიხსნა, ამან იარმუკა ძალიან გამოაცოცხლა. დაიწყო შენება და გაგრძელდა, გაგრძელდა და მივიდა ისევ მეტეხის ხიდამდე. ორ ხიდს შუა ძალიან გამოცოცხლდა ცხოვრება და იქ მრავალთაგან ერთი სახლი აშენდა ძალიან უცნაური იერისა.

ვიწრო იყო, დერეფანს ჰგავდაო, თვითმხილველები ამბობენ, მაგრამ მეორე სართულზე გაუკეთეს დიდი აივანი და პირდაპირ მტკვარზე იყო გადმოკიდებული, რაღაც ჰაეროვანი აივანი გამოვიდა ბიჯგების გარეშე. ეს აივანი ამ შენობას მიაშენა ერთმა თელაველმა ასათიანმა, მედუქნემ და ამ ზედა სართულზე გახსნა დუქანი, ძალიან ვიწრო, საჩაიე, ასე ვთქვათ. აივანი გადადიოდა მტკვარზე და ამიტომ ძალიან ბევრი ხალხი ეტანებოდა.

ეს ის დრო იყო, როცა იარმუკაში ძალიან პოპულარული გახდა ერთი განთქმული კაცი, თუმცკი ისტორიაში არც თუ ხშირად ხსენებული.

ეს იყო პირველი ქართველი მფრინავი, ბესარიონ ქებურია, რომელიც სწორედ მაშინ საფრენი აპარატებით ატარებდა საოცრებებს დიდუბესა და ვაკეში. ეს იყო მთელი აღმოჩენა თბილისისთვის – ცაში აეროპლანი. ჰოდა, ლექსიც იყო ქებურიაზე უბრალო ხალხში გავარდნილი:

ბესარიონ ქებურია ვაჟკაცობით ქებულია,

მტკვარზე გადის უხიდოდ, ცაში ადის უკიბოდ.

ჰოდა, რახან ამ დუქნის აივანს ძალიან ჰაეროვანი იერი ჰქონდა და იარმუკის სულ განთქმულმა კინტოებმა, ჰაჯიამ, ანგლიამ და პარიკამ თქვეს, რომ ესაო, დუქანი კი არა, აეროპლანიაო და შეერქვა ამ დუქანს „აეროპლანი“ და უკვე ასათიანიც მზად იყო, რომ დუქნისთვის დაერქმია „აეროპლანი“. ამისთვის სჭირდებოდა ახალი აბრა, ახალი „ვივესკა“ და ამიტომაც დაუძახა ფიროსმანს.

ფიროსმანმა გააკეთა ძალიან კარგი „ვივესკა“ და დუქნის სამი კედელიც მოხატა.

უფრო სწორად, ორი კედელი მოხატა და მესამეზე ნახატი არ ეტეოდა და დაწერა სწორედ ეს ლექსი. ერთ კედელზე ეხატა ცაში მფრინავი აეროპლანი და შიგნით კიდევ ბესარიონ ქებურია. მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, ქეიფი.

მერე იმდენი გაბედეს უბრალო იარმუკელებმა, რო ბესარიონ ქებურია დაპატიჟეს სწორედ ამ დუქანში და აჩვენეს კედელზე მისი აეროპლანი და თავისი თავი და იქ იყო ფიროსმანიც და ეს დარჩა ძალიან ლამაზ წუთებად მის ცხოვრებაში.

თბილისი მაშინ იმგვარი ქალაქი იყო, რო მიუხედავად მისი სიპატარავისა, რაღაც გასაოცარი საზღვარი გადიოდა შუაბაზარზე და ქვედა ქალაქის ხალხს ზედა ქალაქში არ იცნობდნენ.

აი, ქებურიამაც არ იცოდა ეს ლექსი, ქებურიამ არ იცოდა ფიროსმანი. ფიროსმანმა და ვაჟა-ფშაველამ არ იცოდნენ ერთმანეთი. ეს ყველაფერი ერთად გროვდება. ფიროსმანი კიდე აუცილებლად გრძნობდა, რომ მას უნდა გაერღვია ეს საზღვარი და ევროპულ თბილისში მოხვედრილიყო.

ფიროსმანი უნდა აღმოეჩინათ და ის აღმოაჩინეს. აღმოაჩინეს ევროპული თბილისის შვილებმა, მაგრამ მერე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

პირველი მსოფლიო ომი იყო ფიროსმანის დასასრულის დასაწყისი, მაგრამ მან ეს არ იცოდა.

მოდი, ისევ ფიროსმანზე ვილაპარაკოთ. საერთოდ, კაცი თუ ყურადღებას მიაქცევდა, თბილისის ყველა შემოსასვლელში ფიროსმანი იდგა.

ყველა შემოსასვლელს ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ჩამოხვიდოდი ველიამინოვზე, ანუ მოხვიდოდი კოჯრის კართან, სადაც იწყებოდა შუაბაზარი, იქ პირდაპირ ვიტრინაში იდო ფიროსმანის სურათები.

წამოხვიდოდი დიღმიდან საბურთალოს გამოვლით და სანამ ბორან-

თან გამოხვიდოდი, ნახავდი „შავი ვანოს დუქანს“ და იქაც ფიროსმანის ნახატები იყო. ასეთი შემოსასვლელი თბილისში ბევრი იყო, ყველგან დუქანი იდგა და ყველგან შეგეძლო გენახა ფიროსმანის ნახატები, ოღონდ საქმე ისაა, რომ ამ დუქნებში ნასწავლი ხალხი, როგორც მაშინ იტყოდნენ არ დაიარებოდა. ეს იყო უბრალო ხალხის და ჩამოსული გლეხობის დროის სატარებელი ადგილები, მაგრამ იყო ერთი შემოსასვლელი თბილისში, საიდანაც ნასწავლი ხალხი ხშირად შემოდიოდა. ეს იყო თბილისის სადგური და ამ სადგურიდანაც რომ გამოხვიდოდი, ყველგან იყო ფიროსმანი.


უამრავი დუქანი, საჩაიე, აშპაშხანა, მეიხანა, ჩაიხანა, ყავახანა, დუქანი, რესტორანი, ტრაქტირი და ათასი სხვა. და ძალიან ბევრგან ნახავდი ფიროსმანს.

ამიტომ დაკვირვებული თვალისთვის და ჭკვიანი კაცისთვის ფიროსმანის პოვნა ძნელი არ იყო და ზუსტად ასე იპოვეს ფიროსმანი სწორედ თბილისის სადგურისპირა დუქნებში ძმებმა ზდანევიჩებმა და ფრანგმა მიშელ ლედანტიუმ.

ასე აღმოაჩინა ფიროსმანი, ასე მოიწონა პირველად ფიროსმანი მაღლა ქალაქის, ანუ ევროპული თბილისის ხალხმა და აქედან დაიწყო ბევრი რამ, რასაც თითქოს უნდა შეეცვალა ფიროსმანის ცხოვრება, მაგრამ ვერაფერი ვერ შეცვალა.

როდესაც კირილ და ილია ზდანევიჩებმა და ლედანტიუმ ფიროსმანის ნახატები იპოვეს, ამოიცნეს ისინი და მათი შეგროვება დაიწყეს საქართველოსთვის, რუსეთისთვის და ევროპისთვის, მშვიდობიანი დრო იყო, თუმცა, თურმე მზადდებოდა პირველი მსოფლიო ომი, რომელშიც, სხვათა შორის, დაიღუპა ლედანტიუ და დაიჭრა ილია ზდანევიჩი, მაგრამ ეს ცოტა სხვა ისტორიაა, მანამდე კი მშვიდობიან თბილისში, ზაფხულის არდადეგებზე ჩამოსული ზდანევიჩები და ლედანტიუ, რომლებიც უფრო ხალხური ხელოვნების ნიმუშებს ეძებდნენ და კერამიკით იყვნენ დაინტერესებული, შეიქნენ ნამდვილი მოგზაურები ამ ძველი თბილისის დუქნებში და ამ ნახატების ამომცნობნი და შემმოწმებელნი. ფიროსმანი, ცხადია, არავისში არ ერეოდათ, იმიტომ, რომ მხატვარი იქ მართლაც ძალიან ბევრი იყო და ერთხელ ისე მოახერხეს, რომ ნიკალას გადააწყდნენ კიდეც კითხვა-კითხვით.

ფიროსმანი იდგა და კედელზე აწერდა სიტყვას „სარძევე“. მათ ილაპარაკეს მშვიდად. ფიროსმანი იყო კვლავ ძველმანებში ჩაცმული და ძალიან ღირსეული, მერე ისე მოხდა, რომ ისინი დამეგობრდნენ, ფიროსმანი უხატავდა მათ, ჩუქნიდა ნახატებს. ილია ზდანევიჩი დახატა კიდეც. პორტრეტზე იბარებდა და ესეც საოცარი სცენები იყო.



ნიკოლოზის ეკლესია, ჩუღურეთი





მედუქნე ბეგო



თეთრი დუქანი

მუხრანის ქუჩა





აზარი





ახალგაზრდა ნიკო ფიროსმანი



ფიროსმანი, ფოტოგრაფ კლარის ფოტო



ფიროსმანის საცხოვრებელი, ლ. გუდიაშვილის ჩანახატი



ფიროსმანი, ნიკოლაძის ჩანახატი



ფიროსმანი, ქიქოძის ჩანახატი



ფიროსმანი, ზაზიაშვილის კარიკატურა



მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი, რომლის შესახებაც არაჟითარი ცნობა არ მოიპოვებოდა აქართველ საზოგადოებაში, ტფილისში აღმოჩნდა, იგი დიდუბეში სცხოვრობს. გუშინ ეს მხატვარი ჩვენს რედაქციაში მოიყვანეს მხატვრებმა მ. თოიძემ და ზაზიაშვილმა. ბ-ნი ფიროსმანიშვილი დღეისთვის მიწვეულია ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობის მორიგ კრებაზე.

ივო ზაზიშვილი



ეთაგუროვის 93, ამ სარდაფში იყო ფიროსმანის მიერ მოხატული დუქანი



თბილისელი მეეზოეები



ეორონცოვის ქუჩა









იბერიანი, ნიკოლოზის ქუჩა



რიგის ქუჩა

ისინი მიდიოდნენ სასწავლებლად რუსეთში, ფიროსმანის ნახატებს აგროვებდნენ, ცდილობდნენ როგორმე გაზეთებამდე მიეტანათ ყველაფერი, გაეტანათ ფართო წრეებში, თბილისელი აკადემიური მხატვრებისთვის ეჩვენებინათ, რომელთა უმრავლესობაც, რა თქმა უნდა, მტრულად შეხვდა ფიროსმანს. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო გიგო გაბაშვილი. ის სასტიკად არ ცნობდა ფიროსმანს, მაგრამ შეუძლებელი იყო, ვერ მიმხვდარიყო, რა იყო ფიროსმანი. შეიძლება ამიტომაც არ ცნობდა. სამაგიეროდ ცნობდა სხვას – იგივე გიგო ზაზიაშვილს, რომელთანაც მეგობრობდა.

ლედანტიუსა და ზდანევიჩების მოგზაურობა თბილისის დუქნებში კი სულაც არ იყო უხიფათო.

ლედანტიუ მარტო მიბოდიალდა შავი ვანოს დუქანში. ათვალიერებდა სურათებს და იწერდა მათ სახელებს. ჰოდა, შავი ვანო ნაყარაჩოღლარი კაცი იყო და ეს ჩაწერები არ მოეწონა. ჩაწერით მაშინ შპიკები იწერდნენ, ძირითადად. ჰოდა ჩხუბი ატყდა და ლედანტიუ მომზადებული სპორტსმენი გამოდგა.

მეორე დღეს, ზდანევიჩები შესარიგებლად რომ მივიდნენ შავ ვანოსთან, ის თვალახვეული დაუხვდათ და ცოტა დაბნეულიც. უცნაურობა ის იყო, რომ ზოგი მედუქნე ძნელად ელეოდა ნახატებს. ზდანევიჩები ყიდულობდნენ.

მერე უკვე, 1918 წელს, მათ თბილისში ერთდღიანი გამოფენაც მოაწყვეს. მოსკოვშიც მოაწყვეს გამოფენა. ეს ყველაფერი კი გააკეთეს, მაგრამ ფიროსმანისთვის ბევრი არაფერი იცვლებოდა. ის მათგან კი ფულს იღებდა, როგორც პატივისცემას. ხოლო მედუქნეები, ან არ ელეოდნენ, ან ხალისით ყიდდნენ. თუ იმწუთში ვთქვათ თუმანი ჭირდებოდა მედუქნეს, შეეძლო მიეყიდა, სხვანაირად კი არაფრით. გულს იმით ინუგეშებდნენ, ნიკალა მაინც დაგვიხატავსო.

აი, ასე თანდათან გროვდებოდა ფიროსმანის ნახატები ევროპულ თბილისში და ამ დროს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

პირველმა მსოფლიო ომმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა პატარა ადამიანების ცხოვრებაში. ფიროსმანისთვის თვალში საცემი შეიქნა, რო თბილისში დუქნების დაკეტვა დაიწყეს. ეს იყო სრული კრიზისი, ქვეყანაში იყო გაჭირვება.

ფიროსმანის ერთადერთი შემოსავალი იყო სწორედ ის, რომ დუქანში საჭმლის ფასად დაეხატა, ან ერთი-ორი მანეთი აეღო.

თბილისში კი დუქნები იმიტომ დაიკეტა, რომ ომის დაწყებისთანავე ძალიან ბევრი ჯარისკაცი იპარებოდა სამხედრო ნაწილებიდან. თბილისში კიდევ იყო 300, 400, 500, 600 დუქანი. ეს იყო ღვინის და ქეი-

ფის ქალაქი და ისეთ დუქნებში, როგორებშიც მოღვაწეობდა ფიროსმანი, ღვინო და საჭმელ-სასმელი იაფი იყო.

თურქეთის ფრონტის ჯარისკაცები კი იპარებოდნენ, მერე კი ყიდდნენ თავიანთ ჩექმებს და სამოსს ამ ღვინისთვის და ეს იმხელა ამბავი იყო, რომ ძალიან მალე ღვინის გაყიდვაც კი აკრძალეს დუქნებში. ეს იყო ცოტა ხანს, მაგრამ ამან სასტიკად დაარტყა დუქნებს. ისინი იკეტებოდა.

ბეგო იაღსიევმაც დაკეტა თავისი დუქანი, რა ნახატებზე იყო ლაპარაკი, რაღა შეკვეთა იქნებოდა, რაღას წააწერდნენ. მთელ წელიწადშიო, ვიღაც იგონებს, ნიკალამ ერთ ლუდხანას დააწერა და მეორე კიდევ ქუჩის წინ გამოდგმულ ფარანზე დააწერა, აქ რაღაცა შეიძინეთო და ეგ იყოო.

მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა ის ამბავი, რომ გერმანიიდან ჩამოვიდა მაგარი მხატვარი და მაგარი კაცი დიმიტრი შევარდნაძე. დათიკოში კი ნუ აგერევათ. დიმიტრიმაც სადგურზევე იპოვა ფიროსმანი, შეიძლება ითქვას, პირველსავე დუქანში, და დაიწყო მისი პირდაპირი მნიშვნელობით ძებნა. და იპოვა კიდეც. იპოვა და მიიყვანა ქართველი მხატვრების შეკრებაზე, სადაც ფიროსმანმა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თქვა. შევარდნაძე ძალიან ცდილობდა, მოევლო ფიროსმანისთვის, მაგრამ ფიროსმანი იკარგებოდა და მას ვერ პოულობდნენ ვერანაირად.

როგორ მოძებნა შევარდნაძემ ფიროსმანი, ვინ იყო მათი დამაკავშირებელი, ეს თავისთავად საინტერესო ამბავია, იმიტომ რომ იმ კაცმა, ვინც მიუყვანა შევარდნაძეს და ქართველ მხატვრებს ნიკალა, მოახერხა ის, რაც ვერ მოახერხა ნიკალამ, ანუ პირდაპირი მნიშვნელობით შუა ბაზრიდან ამოვიდა და ჩადგა აკადემიურად და ევროპულად განათლებულ ქართველ მხატვართა შორის.

ეს კაცი იყო გიგო ზაზიაშვილი და ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ მის შესახებ. გიგო ზაზიაშვილი დაიბადა ძალიან სიმბოლურ ადგილას თბილისში – ძველი და ახალი თბილისის საზღვარზე, ანუ აზიური და ევროპული თბილისის გასაყარზე.

ხატვა თავისი მამისგან, ცალხელა მკერავისაგან ისწავლა. თავისი შრომით, წვალებით, დაგვით, მონდომებით და ნიჭით მიაღწია იმას, რომ გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და უხვშეკვეთიანი მხატვარი დაბლა ქალაქში და მერე თანდათან ავიდა მაღლა. ზაზიაშვილი ძალიან გატაცებული იყო ხატწერით და უამრავ ეკლესიაში ჰქონდა სამუშაო, ამიტომ, მას ბევრად მეტი შეძლება ჰქონდა ყოველთვის, ვიდრე ფიროსმანს. ის მთელ საქართველოში დადიოდა და იღებდა

შეკვეთებს ეკლესიების მოხატვაზე, ხატების წერაზე, უბრალოდ ხალხისთვის, გლეხებისთვის თუ თავადებისთვის. ყოველთვის ჰქონდა კარგი სახელოსნო და რაც მთავარია, ადრევე გაიცნო გიგო გაბაშვილი, თავისი სათაყვანებელი მხატვარი და დაუმეგობრდა მას. გაბაშვილმაც, ასე ვთქვათ, შეიტკბო ზაზიაშვილი, თვითნასწავლი კაცი და მასში დაინახა რაღაც საოცარი ნიჭი და აქედან ზაზიაშვილი გაეცნო თბილისურ, აკადემიურ მხატვრებს. გიგო თავადაც ევროპულად იცვამდა, თუმცა უკვე მერე მის გარეგნობაში ძალიან ჩანს ძველი თბილისელის იერი, თბილისისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი შტრიხით – დაბლა დაშვებული ულვაშით.

ზაზიაშვილი ერთადერთი იყო გადმოღმა ქალაქის მხატვრებს შორის, რომელიც ფიროსმანს არათუ იცნობდა, მეგობრობდა მასთან და ძალიან ხშირად შეეძლო, მოეძებნა კიდეც.

ისინი მეგობრობდნენ, ფიროსმანი და ზაზიაშვილი. ზაზიაშვილს არაერთხელ ხელი გაუმართავს მისთვის. ცოლისთვისაც კი დაბარებული ჰქონდა, თუ ნიკალამ შემოიაროს, უსადილოდ არ გაუშვაო, ხომ იცი, როგორი კაცია და უჭირსო. მეტიც, ერთხანს, ველიამინოვზე ზაზიაშვილს და ნიკალას ერთად ჰქონდათ სახელოსნო.

უფრო სწორად, ეს ზაზიაშვილის სახელოსნო იყო, მან მიიკედლა ფიროსმანი და ერთად მუშაობდნენ რაღაც შეკვეთებზე, მაგრამ ფიროსმანმა ვერც ამ საქმეში ივარგა. ასეთ მოწესრიგებულ საქმეში ვერ ივარგა. ზაზიაშვილი იხსენებს ერთ შემთხვევას, როცა გამზადებული, შეკვეთილი ნახატი თუ აბრა გაატანა ფიროსმანს მუშებთან ერთად დათქმულ მისამართზე და უთხრა, მეც მალე წამოგეწევითო. საღამომდე ვერ მივიდა იქ, ფული უნდა აეღო შეკვეთაზე და ხედავს, დაკეტილ კართან მუშები დგანან და ეს შენაკვეთი აბრა უჭირავთ. ნიკალა სად არიო, გიგომ და ნიკალა ცოტა ხანს იდგა და გვითხრა: წავედი მეო. არა ჰქონდა ამის ნერვები – პირდაპირ და ახლებურად რომ ვთქვათ.

ზაზიაშვილი ასევე იგონებს, როგორ უპოვია მთვრალი ნიკალა ქუჩაში არაერთხელ, წამოუყენებია, წაუყვანია, დაუწყნარებია. რაც შეეძლო, ეფერებოდა, მაგრამ მათი ურთიერთობა მაინც რთული იყო. რაც დრო გადიოდა, ფიროსმანი აუცილებლად გრძნობდა, რომ ის, რაც ჰქონდა ზაზიაშვილს, მასაც ეკუთვნოდა და შეიძლება გრძნობდა იმასაც, რომ ერთი ასად ეკუთვნოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ შეეძლო ასე მუშაობა.

ხდებოდა, რომ ისინი ერთმანეთის შესახებ რაღაც უხერხულს ამბობდნენ, თუმცა ამას მეგობრობისთვის და კარგი განწყობისთვის

ხელი არ შეუშლია. მაგალითად, ქართველ მხატვრებთან შეხვედრისას ფიროსმანმა თქვა, არ მესმის ისეთი მხატვრობა, როგორსაც, აი, მაგალითად, ხატმწერები მისდევენო, მაგათ ხატვა არ იციანო, მაგათ ხატვა არ უნდათო, რაღაცა სხვას აკეთებენო. თვითონ ფიროსმანმა ერთადერთხელ დახატა წმინდა გიორგი, რომელსაც ხშირად ახსენებდა, და ეს ხატი არ იყო, ეს იყო უბრალოდ ნახატი, მაშინ, როცა ზაზიაშვილი სულ ამ შეკვეთებზე მუშაობდა და არაფერი ამაში საძრახისი არ იყო. ერთხელ ნასვამი ნიკალა ქუჩაში მოდიოდა და გაუგონია ლაპარაკი რომელიღაც დუქნის კართან, რომ ნახე რა ლამაზად დახატა ზაზიაშვილმა აბრაო და მოუხედავს და დაუყვირა: ზაზიაშვილი, ზაზიაშვილი, მე უკეთესად დავხატავო!

იყო კიდე ერთი ასეთი ამბავიც, რომ სირაჯმა მესხიშვილმა ნიკალას დაახატვინა თავისი „ფართრეთი". მესხიშვილის მოგონებაა დარჩენილი, მოვიდა ზაზიაშვილიო, ნიკალა უკვე წასული იყო და ხელახლა დამხატაო. ისა სჯობდა, ზაზიაშვილს სხვანაირი ხელი ჰქონდა და ისა მგავდაო. აქ, მოგეხსენებათ, ცოტა ფოტოგრაფიულ აღქმაზეა ლაპარაკი და მეღვინეს უნდა ვაპატიოთ, მაგრამ ზაზიაშვილის საქციელიც საინტერესოა, რომ ის მივიდა და ნახა ნიკალას ნახატი და მაინც მიიღო შეკვეთა.

ზაზიაშვილი ეხმარებოდა ფიროსმანს. ფიროსმანი ამ დახმარებას იღებდა, მაგრამ როგორღაც მაინც მათი ერთად მუშაობა არ გამოდიოდა. იმ ერთ საქმეში რომ იყვნენ, ისიც მალე დაიშალა.

მერე იყო, რომ ზაზიაშვილმა ფიროსმანი მიიყვანა ქართველ მხატვრებთან. მხატვრები ორჯერ დაეხმარნენ ფიროსმანს ფულით. ორჯერვე ეს ფული წაუღო მას ლადო გუდიაშვილმა. პირველად გადასცა, მეორედ კი ველარ იპოვა. ეს იყო უკვე 1918 წელს.

უცნაური და მძიმე წელია ფიროსმანისთვის სწორედ 1916 წელი, როცა ის პირველად შეხვდა ქართველ მხატვრებს და რაღაცის იმედი მიეცა. მან წარმოიდგინა, რომ გახდებოდა ისეთი, როგორებიც სხვები იყვნენ. ეს მან აუცილებლად წარმოიდგინა, მაგრამ იმავე წელს მისი ყველა იმედი დასამარდა ერთი უცნაური ამბით – ფიროსმანი ორჯერ მოხვდა გაზეთში: პირველად „სახალხო ფურცლის" სურათებიან დამატებაში, როცა მისი პორტრეტი დაბეჭდეს, როგორც ახლად აღმოჩენილი ნიჭისა და ეს იყო ძალიან საამაყო.

მაგრამ ამას სულ მალე მოჰყვა მეორე, რამაც გაანადგურა ფიროსმანი.

ამ ბუნების, ამ აღზრდის და ამ ქალაქში მცხოვრები კაცისთვის გაზეთი, ნაწერი, ქაღალდი, წიგნი ნიშნავდა სინამდვილეს.

ასე იყო საქართველოში ტრადიციულად და მერელა ნელ-ნელა დაინგრა ეს მითი და ამბობდნენ, რომ ამას კომუნისტებმა შეუწყვეს ხელი გაზეთებში ტყუილების წერითო, თორემ ქაღალდზე ნაწერი იგივე კანონი იყო. ზაზიაშვილის ცოლი იგონებს, როგორ მოვიდა ერთხელ მათთან აღელვებული ფიროსმანი და მოიტანა „სახალხო ფურცლის“ სურათებიანი დამატება. იმ ნომერში იყო ფიროსმანის კარიკატურა – ფეხშიშველი, ბანჯგვლიანი, ჩამოგლეჯილი ფიროსმანი დგას და ხატავს თავის საოცარ ჟირაფს. თუმცა, ჟირაფი იმ კარიკატურაზე საოცარი არ არის, ფიროსმანს კი ზურგს უკან უდგას გრიგოლ რობაქიძე თავისი პარიკით, გამოწყობილი ძალიან კარგ კოსტიუმში და ეუბნება, ისწავლე მეგობარო, ისწავლე, 20-30 წელი უნდა ისწავლო, მერე კი ალბათ ნამდვილი მხატვარი გამოხვალ და გამოფენასაც მოგიწყობო.

ფიროსმანმა მოიტანა ეს გაზეთი ზაზიაშვილთან, დაუტოვა მის ცოლს და უთხრა: შენი ჭირიმე, გიგოს უთხარიო, რომ როგორც გადამკიდა, აი, ამ ხალხს, ვისთანაც მიმიყვანა, ისე ჩამომაშოროსო. ამ კარიკატურიდან ტრაგედიის შექმნა არ ღირდა, მაგრამ აშკარა იყო, რას ნიშნავდა მისთვის ყოველი სიტყვა ევროპული ნაწილიდან – ეს მისთვის იმედი იყო.

როგორც ჩანს, ფიროსმანი დადიოდა ამ გაზეთით ხელში ქალაქში, ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, იმიტომ ,რომ არსებობს მეორე შემთხვევა: ის მივიდა შაშო მექუდესთან იარმუკაში და იქაც ხელში ეჭირა ეს გაზეთი და აჩვენა იქ მყოფთ, აი, ნახეთ როგორ გამამასხრესო და რას მიპირებენ და მიშვრებიანო, ხედავთ რა სწერიაო: 20-30 წლის მერე მოგიწყობთ გამოფენასო.

მას აქ არ ესმის ხუმრობა და ირონია. 20 წლის მერე მკვდარი ვიქნები, ეხლა ომია და ამ ომში თავი რით გავიტანო, 20-30 წელი როგორღა ვიცოცხლებო. აი, ასე პირდაპირ და გულწრფელად თქვა. სჯეროდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც შეიცვლებოდა.

ასე გაქრა ქართველი მხატვრებისთვის ფიროსმანი. ამ კარიკატურის შემდეგ ის აღარ უნახავთ. მიეცა ისევ ამ თბილისს და მის სამყაროს, რომელიც ძალიან გადასხვაფერებული იყო ამ ომის დროს.

ეს იყო სილატაკის დრო, მათხოვრობა, დაჭრილები, ეპიდემიები. ქალაქი იყო განადგურებული. თბილისი იყო ახლო ზურგი თურქეთის ფრონტისა და აქ მოქმედებდა სამხედრო კანონები და არანაირი სახსარი ცხოვრებისა ფიროსმანისნაირი კაცისთვის აღარ არსებობდა. აღარ არსებობდა დუქანი, სადაც ის თავს შეინახავდა და სადაც იშრომებდა. ამის გამო ის იშვიათად აკითხავდა ხალხს. ერთხელ

ზაზიაშვილმა გადაწყვიტა, მოეძებნა ფიროსმანი და იცოდა სადაც იქნებოდა – მალაკნების მოედანზე, სადგურის უკან. ფიროსმანს იქ უყვარდა ხოლმე მისვლა, იქ იკრიბებოდნენ თბილისელი მედროგეები. მედროგეებმა დროგზევე იცოდნენ სუფრის გაშლა და სულ დარჩეული ლოთები იყვნენ, დარჩეული ლოთები მარილიანი სიტყვა-პასუხით და მათი ბირჟა იყო მალაკნების მოედანზე, იქ სასტუმროებიც ბევრი იყო და ამ სასტუმროებში კი უფრო ჩერდებოდა პროვინციიდან ჩამოსული მოვაჭრე ხალხი. ჰოდა, ზაზიაშვილმა იცოდა, სად მოეძებნა ფიროსმანი, მივიდა იქა და ნახა დროგზე გაშლილ სუფრასთან, ძალიან მთვრალი და არცთუ კარგ გუნებაზე მყოფი. ჩავებღაუჭეო – იგონებს ზაზიაშვილი – და ვუთხარიო, ნიკო, წამო კაცოო, იმ საზოგადოებაში მიგიყვანოო, მხატვრებზე ეუბნებოდა და იმან გაიცინა და ბრაზიანად უთხრა: აი, ჩემი საზოგადოებაო და დაანახა მთვრალი მედროგეები და დროგზე გაშლილი სუფრა.

ეს ყველაფერი მართლა იყო და მართლა ხდებოდა. ეს კაცი ინგრეოდა, რადგან ყველაფერი ერთმანეთს დაედო და გამოსავალი კი არ იყო.

ომის ბოლოსკენ, როგორც ჩანს, იყო კანტიკუნტი შეკვეთები. ფიროსმანი იქავე, სადგურთან ცხოვრობდა, კიბის ქვეშ, საწყობში, სადაც ინახავდნენ ღვინოს, შეშას და ასეთ რამეებს და მას რაღაც გროშებად მიაქირავეს და პატრონი შერჩენოდა ერთი – ცალფეხა მეჯღანე არჩილა მაისურაძე. ეს კაცი უვლიდა, ეხმარებოდა, ამხნევებდა და ფიროსმანს მისცა ბოლო შეკვეთა.

ეს იყო აბაშიძის სასტუმრო, სადაც ის პირველ სართულზე მუშაობდა და სვამდა კიდეც ჩვეული წესით. მაგრამ ეს იყო ცუდი დრო, ეპიდემიების დრო.

თბილისში მაშინ მძვინვარებდა „ისპანკა", საშინელი გრიპი, უკურნებელი, წამალი არ იშოვებოდა არათუ ღარიბისთვის, მდიდრისთვისაც კი. თან გაზაფხული იყო, როცა ყველანაირი ავადმყოფობა და სისუსტე ადამიანისა თავს წამოყოფს ხოლმე. ფიროსმანი მუშაობდა აბაშიძესთან და ერთ დღესაც არ მივიდა. მეორე დღესაც არ მივიდა და მერე იმ საცოდავმა მაისურაძემ, თვითონაც ცალფეხამ და გაჭირვებულმა, მოიკითხა და იპოვა დაგდებული იმ თავის სარდაფში. გონზე იყო. მაისურაძე ასე იგონებს, სმისგან დამართნოდაო, ცუდად გამხდარიყოო. უფრო აზრიანი იქნება, ვიფიქროთ, რომ მას ეს „ისპანკა" შეეყარა. მოუვლელობა და სმა უბრალოდ ზედ დაერთო. ფიროსმანმა უთხრა, არჩილაო, სამი დღეა აქა ვგდივარ, ბიჭოო, და ვკვდებიო, კაცი არ შემოსულაო. რაც შეეძლო საწყალ მაისურაძეს, დატრიალდა, ექიმებიც კი მოუყვანეს. მოიყვანეს დროგი. დროგები, მოგეხსენებათ,

იქვე იყო და ფიროსმანი წაიყვანეს არამიანცის საავადმყოფოში, სადაც, მაისურაძე ამბობს, მე ველარ მივყევი, საქმე მქონდაო. ასეთი ცხოვრება იყო თბილისში.

მეორე დღეს მომკვდარიყო.

აქ უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი ძველი ამბავი. უკეთეს დროში, პეპოიანცის მაღაზიაში, სადაც ნიკალა ომამდე ყიდულობდა ამ თავის დარჩეულ საღებავებს, ერთ-ერთი ნოქარი ყოფილა ვინმე „პაჭუა მიშა“, რომელსაც პეპოიანცის სიკვდილის და მაღაზიის დახურვის შემდეგ დაუკარგავს ეს სამსახური და მოწყობილა უპატრონო მიცვალებულთა ზიდვის ეტლზე. ომის დროს იყო ასეთი ხელობა. ჯარისკაცები, მაწანწალები ბევრნი იხოცებოდნენ, ეს ეპიდემიაც თავისას შვრებოდა და უპატრონო და ღატაკ მიცვალებულს ვერ მარხავდნენ ისე, როგორც საჭირო იყო. ამისთვის რამდენიმე ადგილას სასაფლაოებს ადგილები მოემატა და უბრალოდ ჭრიდნენ სამარეს და კაცს პირდაპირ მარხავდნენ სახელმწიფო წესით და სახელმწიფოს ხარჯით. მოხდა ასეთი უცნაური ამბავი, რომ შაშო მექუდის ვაჟი, ვასო, წამოჰყოლოდა თავისი უპატრონო მეზობლის ბალდახინს. მოუსვენებიათ უბნის ახალგაზრდებს ეს უპატრონო ქალი და მღვდელიც მოუყვანიათ და კრძალავდნენ პეტრე-პავლეს ეკლესიის უკან, ძველი ავლაბრის საჭიდაოზე. რახან ომი იყო, ეს საჭიდაო გაეუქმებინათ და უპატრონო და უსახელო ჯარისკაცებსა და მიცვალებულებს იქავე კრძალავდნენ. ჰოდა, ამ ვასომ უცებ დაინახა, რო დახურული საკუბოვე ეტლით სასაფლაოზე შემოვიდა პაჭუა მიშა და რახან ერთმანეთი იცნეს, მიშამ უთხრა, იცი ვინ მისვენიაო აქაო? მამაშენის ძმაკაცი, ჩვენი ნიკალაო, თუ გახსოვსო. ხსომებაზე აქ არ იყო, ვასომ ნახა მიცვალებული და, სხვათა შორის, მოახერხა, რომ მღვდელი, რომელიც სხვა საქმეზე იყო იქა, მოიყვანა და წესი ააგებინა ფიროსმანისთვის და იქავე დავმარხეთ მე და პაჭუა მიშამო, ასე გაიხსენა მრავალი წლის შემდეგ. მერე ვასო წამოსულა და ეს ყველაფერი უამბნია შაშოსთვის და კიდევ ფიროსმანის ერთი ძველი მეგობრისთვის, ილია აბაევისთვის. ეს აღდგომის დღეებია.

ფიროსმანი აღდგომის წინა ღამეს მოკვდა.

ილო და შაშო მოსულან პეტრე-პავლეზე და ყარაჩოღლურად, ზედ საფლავზე გაუშლიათ სუფრა და იქ მთელი დღე ნიკალასთან ჭირის პური უჭამიათ, ღვინოც დაუსხამთ, როგორც ეს ხშირად ხდებოდა თბილისში და მერე შაშოს ქვაც დაუდია.

საფლავი დაკარგულია.

მალევე ატყდა ფიროსმანის ბუმი, ქართველმა მწერლებმა დაიწყეს

ძებნა, მოგონებების ჩაწერა, მაშინ ნახეს ბეგო, მაშინ ნახეს გორელი ლიმონა, მაშინ ნახეს ყველა, მაშინ ნახეს კიდევ ერთხელ ზაზიაშვილი, რომელმაც ცოტა ცივად უამბო მათ ფიროსმანის ამბავი. მობეზრებული ჰქონდა ეტყობა ნიკალას ხუშტურები, ათასში ერთხელ გამახსენდებოდა, მივიდოდი და მივეხმარებოდიო და ერთხელ მოსე თოიძემ, ფიროსმანის დიდმა გულშემატკივარმა, მითხრა, წამო მომაძებნინეო, მივიკითხ-მოვიკითხეთ მალაკნებზეო და მომკვდარიყოო. მაგრამ როდესაც თვითონ კვდებოდა გიგო ზაზიაშვილი, 1952 წელს, სიკვდილის წინ სწორედ ფიროსმანი გაიხსენა და თქვა, მე რომ მაშინ თბილისში ვყოფილიყავი, ის არ მოკვდებოდაო. ზაზიაშვილი მთელ საქართველოში დადიოდა შეკვეთებზე და სწორედ იმ აღდგომას არ იყო თბილისში. არ ვიცი, რას იზამდა, მაგრამ ეს მისი ბოლო გახსენება ფიროსმანისა ძალიან მტკივნეულია.

— შეშოვიდნენ რუსებიიი... —

პირველი მსოფლიო ომისა ომის დროს გარდაიცვალნენ იაკობ გოგებაშვილი, აკაკი და ვაჟა-ფშაველა. სამივე ამათგანი ელოდა, რომ ომი გაათავისუფლებდა საქართველოს. ვერც ერთი ვერ მოესწრო ამ დღეს.

მგონი სიმბოლურია, რომ ვაჟა თბილისში გარდაიცვალა, იმიტომ რომ ახლოს იყო ამ ქალაქთან და შეეძლო, მისი ნამდვილი მოქალაქე ყოფილიყო.

ასეთი კაცი იყო, რომ იოლად ერწყმოდა ამ ქალაქს.

ბოლოს გაზაფხულზე ჩამოვიდა. სანდროს შეხვდა ქუჩაში, მისი სახლისკენ მიმავალი, ნაბადში გამოხვეული და მთელი ზამთარი ავადა ვარო, უთხრა, მამცივნებს და ახლაც ავადა ვარო, მაგრამ უნდა ჩამოვსულიყავიო. სანდროსთანვე ჩავარდა ლოგინად, ძმის სახლში. ექიმი არ დაჰკლებია. ივანე გომართელი სულ თავზე ადგა.

ომის დრო იყო. სახლშივე, სანდროსთან გაუკეთეს პატარა ოპერაცია, გამოუღეს სითხე გომართელმა და მუხაძემ. თანდათან თითქოს მომჯობინდა, მაგრამ სუსტად იყო ძალიან და ფშავისკენ იწევდა, მაგრამ მარტო არ შეეძლო, ჯანი არ ჰქონდა.

მერე ერთხელ უთხრა სანდროს, უკვე საავადმყოფოში ყოფნისას, რა იქნებ, ერთი ავტომობილი ვიქირაოთ და წამიყვანო სადმე მთაშიო. ექიმებიც ამბობდნენ, კურორტი უნდაო, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაადგილება უკვე ძალიან სახიფათო იყო. სახლში რომ ვერ მოიკეთა, გადაიყვანეს მერე წმინდა ნინოს ლაზარეთში, დღევანდელი

თბილისის უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, მესამე სართულზე, მარცხენა მხარეს და იქ ჰყავდათ უკვე უშუალო საექიმო მეთვალყურეობის ქვეშ.

დრო იყო მძიმე, ბევრი დაჭრილი ჰყავდათ ფრონტებიდან მოყვანილი.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი. იყო აუტანელი სიცხეები თბილისში, განსაკუთრებით ივნის-ივლისში და ვერაფრით ეგუებოდა ამ სიცხეს, წყალსაც რომ სვამდა, ამბობდა, რა წყალია ესაო, არ იყო მიჩვეული ასეთი წყლის სმას და ერთხელ ვერაზე მოსკოვის ქუჩიდან ავიდნენ მაღლა, იქ მაშინ რაღაც წყარო ყოფილიყო და მოუტანეს ბიდონებით წყალი სანდრომ და შიო მღვიმელმა და გახარებული იყო, ძლივს წყალი დავლიეო! არაფერი არ აკლდა და საზამთროს ჭამდა ერთადერთი, ყოველდღე მოჰქონდათ საზამთრო და ერთი სოლოლაკელი მოვაჭრე, სესიაშვილი, ყოველდღე უგზავნიდა წითელ ღვინოს და ამ წითელ ღვინოზე, როცა ხასიათი მოსდევდა, ხუმრობებს ააწყობდა, როგორც იცოდა ხოლმე. ყველა მომსვლელი სვამდა ხოლმე ამ ღვინოს. ასეთი ლაღი ქართველური ვითარება იყო: კაცი აქეთ გადადებული იყო და მაინც რაღაც მხიარულება სუფევდა გარშემო, უამრავი მნახველი ჰყავდა. მოწყალების და, ანიკო კობიაშვილი უვლიდა და იტყოდა ხოლმე ხითხითით, ანიკო კი წეპარება საღამოობით ამ წითელას ნელ-ნელაო.

უნდოდა გასვლა, სიცხე აგიჟებდა. მეორე კონსილიუმმა აჩვენა, რომ ძალიან მძიმედ იყო და დაადგინეს, წაიყვანონ აგარაკზე. აი, ეს რომ დაადგინეს და ორი დღის თავზე გარდაიცვალა. დილით უთხრა ანიკოს: მიკვირსო, რომ დღესაც ცოცხალი ვარო, საღამომდე ვერ გავატანო და ასეც მოხდა.

სანდრო შანშიაშვილი რომ მივიდა მანამდე, მიხვდა, აქეთ ვეღარ მობრუნდებაო. ძალიან გამხდარი იყო და იკლებდა წონაში. ფოტოებს უღებდნენ და სანდრომ უთხრა, მხატვარს მოვიყვან და დაგხატავს და აი, მერე ნახავო, კარგად რო გახდები, როგორი გამხდარი ყოფილხარო, მოტყუება უნდოდა. სინამდვილეში კიდევ, მინდოდა, რომ სიკვდილის წინა სურათი მქონოდაო.

ვაჟა-ფშაველა მოსე თოიძეს ჰყავდა დახატული ერთი და მორჩა. ჰოდა, მოვიდა სიდამონ-ერისთავი და ხატავდა მთელი დღე მომაკვდავს, შანშიაშვილს უთხრა ერთი კარგი ფრაზა: მიხარია, ვეფხო, რო არ დაგავიწყდიო.

ყველაფერს აქცევდნენ ყურადღებას. ხომ იცით, როგორ არის ხოლმე, როცა ადამიანი მიდის იმქვეყნად, ყველაფერს უკვირდებიან. სანდროს ახსოვს, რომ ერთ საღამოს ლაპარაკი დაიწყო. ამბობდა სრუ-

ლიად მიუღებელ ფრაზებს და ისე შემეშინდაო, ამას ავადმყოფსაც არ პატიობდნენ იმ დროშიო. ლაპარაკობდა რაღაცას სრულიად თამამს და თავზე ხელაღებულს არსებული რეჟიმის და მეფის წინააღმდეგ, იქ ასეთი ფრაზებიც იყო, რო ტახტი გადმოვარდაო და მერე მითხრა, გამოვფხიზლდი ეხლაო, ბოდიშიო, როგორცა ჩანს, ვბოდავდიო.

გარდაიცვალა საღამოს პირზე, ქაშუეთიდან გამოასვენეს და ივანე გომართელმა თქვა პირველი გამოსათხოვარი სიტყვაც, დაასვენეს მერე დიდუბეში, ოჯახი ჩამოიყვანეს. აი, მაინც უცნაური კაცი იყო, მარტო გარდაიცვალა. სანდრო რომ მივიდა იმ დღეს, უკვე გარდაცვლილი დაუხვდა. ქვემოთ შიო მღვიმელი ელოდებოდა და მერეღა დაუძახა ამას, ლუკა აღარ არიო.

სიცხეში, უაზრობაში გარდაიცვალა და არ იყო არც მოხუცი. ჭარმაგი კაცი იყო, მაგრამ მოუვლელობის, გლეხური უბედურების გამო.

გვირგვინი ერთი იყო მის დაკრძალვაზე, ეს მართლა კარგად და ქართულად მოიფიქრეს და ზედ ეწერა „ვაჟა-ფშაველას საქართველოსაგან“, პრინციპში მეტი არაფერი უნდოდა.

და მოხდა ესა!

როგორ გამოვიდა, ვის უნდოდა და ვის არ უნდოდა, ახლა ვერ დავთვლი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – იყო ასეთი. იარსება თითქმის სამ წელიწადს. მას მეთაურობდნენ მენშევიკები, ისინი, ვინც ოდესღაც გურიის ერთობა მოახერხეს.

და საქართველო იყო დამოუკიდებელი ქვეყანა მთელ ორ წელიწადსა და ცხრა თვეს, თითქმის. საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგაში. რომ მიეღოთ, უნდა დაეცვათ. მერე, ვის უნდოდა საქართველოს დაცვა? ნამეტანი ქრისტიანობა იქნებოდა. უკვე მერე, უბედურების ჟამს, პარიზში ერთმა ფრანგმა გენერალმა რუკასთან მიიყვანა გენერალი მაზნიაშვილი, წარმოშობით რუსი, სხვათა შორის, მაგრამ იშვიათი ქართველი, და უთხრა, ერთი შეხედე, მეგობარო, ამ რუკასო, რუსეთი რამხელაა და საქართველო რამხელააო.

და მოხდა ამ ორი წლის და ცხრა თვის თავზე ქართველი ბოლშევიკების მიერ მოქოქილი ამბავიც. ეხვეწებოდნენ ლენინს, თუმცა, სახვეწარიც ბევრი არ გაუხდებოდათ, მაგრამ ეხვეწებოდნენ. და იყო ომი, რომელმაც წაშალა რუკიდან დამოუკიდებელი საქართველო. ჯერ ხეირიანად არც იყო დატანილი რუკაზე და ეგრევე წაშალა.

„ერთი ნაღველის ორი სახელი: კრწანისის ველი და თებერვალი“, ალექსანდრე აბაშელის ამ ორი სტრიქონით ნამდვილადაც ჩანს ძველი ომის ამბავი.

ომი გრძელი არ იყო. თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა, ბოლო-

სკენ არც კი ისროდნენ, მოლაპარაკებებიც იყო და ოფიციალურად მარტის შუა რიცხვებში დამთავრდა.

ბევრი რამ მოხდა ამ ომში. ბევრი სიცოცხლე დაიწვა. ქვეყანა დაიკარგა. მთავრობა წავიდა.

გადამწყვეტი მაინც ერთი დღე იყო. წაგებულ საქმეს ჰგავდაო, რას დაუდგებოდიო, უკვე ყველა მხრიდან მოდიოდნენო, მერე ამბობდნენ, მაგრამ გადამწყვეტი ერთი 24 საათი იყო, ან ეგებ ნაკლებიც. ანუ ის დღე, როდესაც საქართველოს მთავრობამ თბილისი დატოვა და აქ რუსული ჯარი შემოვიდა.

ეს დღე 1921 წლის 25 თებერვალია, მაგრამ 25 თებერვალს რომ მივადგეთ, 24 თებერვლის საღამოს უნდა შევხედოთ დაკვირვებით.

იმ საღამოსთვის ომი ორი კვირის დაწყებული იყო და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი ამ ორ კვირაში იყო ის, რომ 16 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, მთავარსარდლის თანამდებობიდან გადააყენა გენერალი ოდიშელიძე და დანიშნა ის თავის სამხედრო მრჩევლად, ხოლო მთავარსარდლობა დაუბრუნა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომელიც მანამდეც არაერთხელ ყოფილიყო მთავარსარდლად და ასევე არაერთხელ მოეხსნათ.

კვინიტაძე ყველაზე წარმატებული სარდალი იყო დამოუკიდებლობის იმ ორწელიწად-ნახევარში, მაგრამ როგორც კი რაღაც წარმატებას მიაღწევდა, მოხსნიდნენ ხოლმე.

მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანია ომის დროს დღეში ორჯერ მიდიოდა მთავარსარდლის შტაბში, რათა იქ უშუალოდ მთავარსარდლისგან შეეტყო ფრონტის ამბები.

24 თებერვალსაც, საღამოს 8 საათზე, ის მივიდა შტაბში თავისი ადიუტანტის, კოტე იმნაძის თანხლებით. მთავარსარდლის ოთახში მას დაუხვდნენ თვითონ კვინიტაძე და გენერალი ოდიშელიძე, რომელიც კუთხეში იჯდა მდუმარედ. იქ ასევე იყო პოლკოვნიკი გედევანიშვილი, რომელიც შტაბის ოპერატიულ სამსახურს ხელმძღვანელობდა.

როდესაც ჟორდანია და იმნაძე კაბინეტში შევიდნენ, კვინიტაძე იდგა რუკასთან, რომელზეც ქინძისთავებით იყო მონიშნული საჭირო ადგილები და გამუდმებით ეწეოდა პაპიროსს თავისი განთქმული მუნდშტუკით. ცნობილი ამბავია, რომ ის ისედაც ძალიან ბევრს ეწეოდა, ჟორდანიასგან განსხვავებით.

მთავარსარდალს ხეირიანად არც მიუქცევია ყურადღება ქვეყნის მეთაურისთვის, კვლავაც დასცქეროდა რუკას, ხოლო გედევანიშვილმა მოსულებს დაახვედრა ცუდი ამბავი – ვაზიანის მიდამოებში

რუსების ტანკებს გამოერღვიათ სახალხო გვარდიელთა სანგრები. იმ დროის საქართველოში გვარდია სოცალ-დემოკრატების პარტიული ჯარი იყო და მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. ამ ომის დროს გვარდიას სარდლობდა გენერალი ჯიჯიხია, რახანღა ნამდვილი სამხედრო გვარდიაში არ მოიძებნებოდა და მეთაურების პირად წარმოდგენებს ბრძოლის შესახებ არაერთხელ წაუხდენია საქმე.

ჰოდა, გენერალი ჯიჯიხია ცდილობდა, გვარდიელებს მწყობრად მაინც დაეხიათ უკან, რაც მათგან ასევე ძნელი წარმოსადგენი იყო.

სწორედ ამ ამბავს დაეფიქრებინა რუკას ჩაღრმავებული კვინიტაძე. ოთახში მიმდინარე საუბარს ის საერთოდ არ უგდებდა ყურს და ორადორი სიტყვა, რომელსაც წამოისვრიდა ხოლმე, იყო: ჯიჯიხია, გვარდია, ჯიჯიხია, გვარდია.

კვინიტაძე ლაპარაკობდა რუსულად, ქართული ძალიან ცუდად იცოდა, სხვათა შორის, და მერე ემიგრაციაშიღა ისწავლა. ის იყო ვაჟი ცნობილი პოლკოვნიკის, ივანიკა კვინიტაძისა, შამილის დატყვევებაში რომ მონაწილეობდა და აკაკი წერეთელს რომ ატკბობდა თავისი ლექსებით. მამისგან განსხვავებით, გიორგიმ ყველანაირი სამხედრო განათლებაც მიიღო და ძალიან კარგი კარიერაც გაიკეთა მეფის ჯარში. თუმცა რევოლუციის შემდეგ მოხვდა და დარჩა საქართველოში, სადაც მას, რა თქმა უნდა, იყენებდნენ სამშობლოსთვის საჭირო საქმეში, მაგრამ ვერც იყენებდნენ ხოლმე ბოლომდე და ისე, როგორც უნდა გამოიყენო ასეთი გენერალი.

საერთოდ, როდესაც რუსეთში რევოლუცია მოხდა და ქართველმა ოფიცრობამ საქართველოსკენ იწყო დენა, სულ გამოვიდა 28 გენერალი, რომელთაგან 25-ს ჰქონდა წმინდა გიორგის ჯვარი – ძალიან მაღალი ხარისხის ორდენი. ეს ნიშნავდა, რომ ქართველი ოფიცრობა ძალიან გამორჩეული იყო რუსულ ჯარში. ეს კი ერთ-ერთი საამაყო რამ იყო, რაც არსებობდა იმ დროში.

ამასობაში კი მთავარსარდლის კაბინეტში მოულოდნელად მოვიდა სასიხარულო და იმედის მომცემი ტელეგრამა, რომ ჯიჯიხიამ შეკრა გვარდიელთა მწყობრები და პირიქით შეუტია რუსებს. ეს იყო ძალიან სასიხარულო ამბავი და ჟორდანიაც აღივსო იმედით.

ომის ბოლო დღეები გარეგნულად სავსე იყო სასიხარულო ამბების წყებით, იმიტომ რომ ქართველებმა რამდენიმე პატარა და ერთ დიდ წარმატებას მიაღწიეს.

ეს კვინიტაძის დამსახურება იყო. უბრალოდ მისმა დანიშვნამაც კი ჯარს გუნება გამოუკეთა. სალდათები და ოფიცრები მას უფრო ენდო-

ბოდნენ, ვიდრე მობერებულ გენერალ ოდიშელიძეს, რომელსაც თავისი უკვე ნამსახური ჰქონდა, მაგრამ მაინც ხშირად იყო ხოლმე ასეთ მაღალ თანამდებობებზე. განსაკუთრებით სასიხარულო იყო გენერალ მაზნიაშვილის წარმატება სოღანლუღთან. იქ მაზნიაშვილმა პირადი გმირობის საოცარი მაგალითიც უჩვენა და საერთოდ, ეს გამორჩეული ხასიათისა და უნარების კაცი იყო. ის პოლკოვნიკად დაბრუნდა რუსეთიდან საქართველოში და გენერლობა უკვე რესპუბლიკამ მიანიჭა.

კაბინეტში მოსულმა ცნობამ სიხარული კი გამოიწვია, მაგრამ კვინიტაძეს არც კი შეუმჩნევია ესა. უცბად მოიხედა, მაგიდაზე მუშტუკი მიაგდო და თქვა: „один чёрт, отступаю“

ყველამ პირი დააღო.

ეს ნიშნავდა, რომ ყველა ტოვებს თბილისს და ეცდება, რომ ფრონტი აღადგინოს მცხეთასთან. ყოველ შემთხვევაში, ასე უთხრა მან ჟორდანიას.

ეს იყო შოკისმომგვრელი განცხადება, მაგრამ როდესაც მან აუხსნა იქ მყოფთ, თუ რატომ აკეთებს ასე, ჟორდანია ვეღარ შეეწინააღმდეგა.

კვინიტაძემ აუხსნა ჟორდანიას, რომ ფრონტი ძალიან გაწელილია, მთელ 90 კილომეტრზე, და რომ ყველა მხარეს ჯარს ელოდება ხიფათი.

იქით კიდევ გვარდიელებს ვერ დაეყრდნობი, იმიტომ, რომ მთელი ომის განმავლობაში მათ ორჯერ-სამჯერ ძალიან უწესრიგოდ დაიხიეს უკან და, საერთოდ, გვარდიის მართვა ძალიან ძნელია და ჯიჯგიხია კი არა, იქ ნაპოლეონიც ვერაფერს გააწყობდა.

ეს მხოლოდ გვარდიელთა ხასიათით და მათი პარტიულობით კი არ იყო გამონვეული. იქ საკმაოდ კარგი ვაჟკაცებიც იყვნენ. უბრალოდ, ეს რევოლუციური ჯარი იყო და გვარდიის წყობაც კი გამორიცხავდა რაიმე სამხედრო წესრიგს. გვარდიაში არ იყო არც პოლკი, არც დივიზია, არაფერი. ეს იყო მწყობრებად აგებული ერთობა, რომელსაც სარდლობდა რევოლუციონერი ვალიკო ჯუღელი, ძალიან კოლორიტული და ცოტათი ოდიოზური ფიგურა იმ დროის საქართველოში.

ცნობილია მისი საოცარი წიგნი „მძიმე ჯვარი ანუ სახალხო გვარდიელის ჩანაწერები“, რომელშიაც ძალიან ძნელია, ტყუილი და მართალი გამოარკვიო. იქ ძალიან ბევრი გმირობაა თავმოყრილი იმ 2-3 საბრალო წლისთვის, საშინელი ამბები კი რომანტიზებულია. ამას რომ დავუმატოთ ცეზარული განწყობა, ნერონის აჩრდილის მოხმობა გადამწვარი ოსური სოფლის ცქერისას და სხვა ასეთი სისულელეები, ვალიკოს პოლიტიკური სიბრძნიდან ცოტა შეგვრჩება.

მაშინ ამბობდნენ, რომ ეს დღიურები მერეა დაწერილი, ანუ უშუალოდ ამბების მიდევნებით არ დაუწერიაო.

კვინიტაძემ ახსნა უკან დახევის ამბავი იმით, რომ უკვე მზადა აქვს ძალიან კარგი უკან დახევის გეგმა, რომელიც გამოდგა მართლა ძალიან კარგი, იმიტომ, რომ რუსების მე-11 არმიის სარდალმა, ჰეკერმა თქვა თბილისში შემოსვლის შემდეგ, რომ არსებობდეს უკან დახევისთვის ორდენი, კვინიტაძეს ეკუთვნისო.

კვინიტაძემ უთხრა მთავრობის თავმჯდომარეს, რომ თბილისი არაფერია, იმიტომ რომ მცხეთასთან აღადგენს და შეამოკლებს ის ფრონტს, შეძლებს ძალების გადაჯგუფებას, შექმნის რეზერვს, შემოუტევს მტერს და თბილისს ისევ დაიბრუნებს. მიუხედავად ასეთი კარგი და ლოგიკური, აწყობილი ოპერაციისა, ეს მაინც იყო ძალიან ტრაგიკული განცხადება, იმიტომ რომ თბილისი არ იყო უბრალოდ ტერიტორია, თბილისი იყო დედაქალაქი და ქვეყნის გული. კვინიტაძემ ქართველების ხასიათი ვერ გაითვალისწინა. თბილისის დატოვებით ეს ომი ფსიქოლოგიურად უკვე წაგებული იყო, იმიტომ, რომ ისედაც ამბობდნენ, რუსებს წინ რა დაუდგებაო. ერთი წლით ადრე, ორჯონიკიძეს და სტალინს ძალიან უნდოდათ შემოსვლა და ამბებიც ატეხეს თბილისში და აზერბაიჯანის საზღვარზე და ჟორდანია წერს, არ ვამხელდით, თუ რუსები გვიტევდნენ, ვამბობდით, აზერბაიჯანთან გვაქვს კონფლიქტი, რათა ხალხს ხელი არ ჩაექნიაო. მაშინ არ გამოუვიდათ, რუსეთმა და საქართველომ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. კი წერდა სერგო დეპეშებს, ბრწყინვალედ გამოვაო, მაგრამ არ გამოვიდა იმ ჯერზე.

ამასობაში, კვინიტაძემ დაიწყო თავისი გეგმის პოლკოვნიკ გედევანიშვილისთვის კარნახი, რათა ბრძანებები ტელეგრაფით დაეგზავნათ გენერლებისთვის, რომლებიც მიმართულებებს სარდლობდნენ.

ეს იყო მართლაც ვირტუოზულად შედგენილი უკან დახევის გეგმა, რიგ ადგილებში ბრძოლით, რიგ ადგილებში გამოპარვით. როგორც ჩანს, იმ ჩაფიქრებისას სწორედ ამას ითვლიდა, იმიტომ რომ ეტყობა, მართლა შეუძლებელი ჩანდა ამ გაწელილი რკალის შენარჩუნება და უკანდაუხევლად შეევიწროვება.

ნირწამხდარი ჟორდანია წამოდგა, რომ წამოსულიყო შტაბიდან და ამ დროს კუთხეში მჯდომმა გენერალმა ოდიშელიძემ თქვა, თბილისის დატოვება არაფრით არ შეიძლება, იმიტომ რომ ჩვენ ომს ვეღარ შემოვატრიალებთო.

ამას ჯობია... და მან უკვე თავისი გეგმა დასახა. თქვა, რომ ეს ყველაფერი შეიძლება მოვახერხოთ პარტიზანული გამოვარდნებით, ათასი რაღაცით, როგორმე შევაკავოთ აქეთ-იქიდან მომავალი რუსული დივიზიები და პოლკები და მისი ეს აზრიც არ იყო მოკლებული

ლოგიკას, მაგრამ გენერალმა კვინიტაძემ არც კი მოხედა ოდიშელიძეს, ისე კარნახობდა ამ უკანდახევის გეგმას.

მათ ერთმანეთი არ უყვარდათ, რბილად რომ ვთქვათ. მერე უკვე მატარებელში უთხრა ოდიშელიძემ კოტე იმნაძეს: სამწუხარო იცით რა არის, შვილო, მე იმიტომ მომხსნეს, რომ შაგალის ხიდთან მომივიდა კატასტროფა და ის არავის ახსოვს, რომ მე რუსეთ-იაპონიის ომის დროს დივიზიის მეთაური ვიყავი, ხოლო კვინიტაძე მაშინ მხოლოდ მოხალისეთა ასეულს მეთაურობდა, დღეს კი მან ჩემი მოსმენაც არ იკადრაო.

ისინი მთელი ამ ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში ცვლიდნენ ერთმანეთს მთავარსარდლის თანამდებობაზე და ერთმანეთის ატანა უჭირდათ. თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს პირად მტრობაში არ გადაზრდილა.

გენერალი კვინიტაძე ვერ იტანდა მთავრობას და აბსოლუტურად მიუღებელი იყო მისთვის ყველაფერი, რასაც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება აკეთებდა. მაგრამ ყოველთვის, როცა მოხსნიდნენ ხოლმე, ეუბნებოდა, როცა დამიძახებთ, მოვალო, იმიტომ რომ აქ საქმე საქართველოს ეხებოდა.

თუმცა, სოციალ-დემოკრატები მაინც არ ენდობოდნენ ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს. ჟორდანიას პირდაპირ უწერია მოგონებებში, რომ ესენი იყვნენ რუსეთუმე ხალხი, მეფის ყოფილი ოფიცრები, არანაირი შინაგანი რწმენა, რომ საქართველო დამოუკიდებელი იქნებოდა, არ ჰქონდათ და არც ექნებოდათო.

გარდა ამისა, ყველას თვალწინ ჰქონდა რუსეთის მაგალითი. ვინ ხელმძღვანელობდა რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას? დენიკინი, კოლჩაკი, იუდენიჩი – სულ მეფის გენერლები. ჰოდა, ჩვენს სოციალ-დემოკრატებსაც ალბათ ეშინოდათ ჩვენი გენერლების განაპოლეონების, მით უმეტეს, რომ გენერალი კვინიტაძე ძალიან უყვარდათ ჯარში და სხვა გენერლებიც, იგივე სპირიდონ ჭავჭავაძე, ანდრონიკაშვილი და მაზნიაშვილიც.

ეს უცნაური შეხამება იყო, ადამიანები, რომლებიც იმპერიის დაცვისათვის იღებდნენ ორდენებს, ერთი მხრივ და მეორე მხრივ კი ადამიანები, რომლებიც ამ იმპერიის დაქცევის გამო ისხდნენ ციხეებში, გადასახლებებში, ისროდნენ ყუმბარებს, თავისუფალი საქართველოს სახელით თანამშრომლობდნენ.

კვინიტაძის დანიშვნაც იმ 16 თებერვალს იყო მოულოდნელი, მაგრამ სხვა გამოსავალი მათ უბრალოდ აღარ ჰქონდათ. ოდიშელიძე კი გადააყენეს, მაგრამ იცოდნენ, რომ კაცი, რომელიც ამას

ყველაფერს უხელმძღვანელებს, არის მხოლოდ ერთი – კვინიტაძე. ამიტომ მას თვით ვალიკო ჯუღელმა დაურეკა. კვინიტაძემ უთხრა, რა თქმა უნდა, როგორც კი დამიძახებთ, მოვალო, მაგრამ ჯუღელმა – არა, მე მოვალ და მე დაგელაპარაკებითო. ეს მისგან იყო ძალიან დამთმობი ჟესტი, იმიტომ რომ ჯუღელს თავი მიაჩნდა რევოლუციის სარდლად და ძალიან ტრაბახობდა ამით.

ტრაგიკული კაცი იყო ვალიკო ჯუღელი. 1924 წელს ჩამოიპარა საქართველოში აჯანყების სახელმძღვანელოდ და პლეხანოვზე დაიჭირეს. მერე დახვრიტეს იქ, სადაც ახლა ვაკის პარკია. ციხეში მოატყუეს ჩეკისტებმა, წერილები დააწერინეს. უფრო სწორად, დაანახეს, რომ აჯანყება უკვე გაცემული იყო. იხვეწებოდა, ისეთი საწამლავი დამალევინეთ, რომ სამი დღის განმავლობაში მოვკვდე, მანამდე კი ხალხი გავაფრთხილო, რომ სისხლი არ დაიღვაროსო.

ყველამ, ვინც საქართველოში დარჩა, ძალიან მძიმედ დაამთავრა სიცოცხლე და ძალიან სახელოვნადაც.

კვინიტაძის ამ გადაწყვეტილების შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ დატოვა შტაბი და წამოვიდა მთავრობის სასახლეში, სადაც შეკრებილიყვნენ დეპუტატები და ჟორდანიამ გამოუცხადა მათ მთავარსარდლის ბრძანებისა და გადაწყვეტილების შესახებ. ახლა კიდევ ახალი შოკი. ჟორდანიამ უთხრა: რა ვქნა, ეს არის მთავარსარდლის გადაწყვეტილება, თუ არ მოგწონთ, მოვხსნი მას და დაგნიშნავთ თქვენო.

საქართველოს კონსტიტუციით კი შეეძლო მთავრობის თავმჯდომარეს, დაენიშნა და მოეხსნა მთავარსარდალი, მაგრამ თვითონ არ იყო მთავარსარდალი. თუმცა კონსტიტუციას იმ დღეებში იღებდნენ. 21 თებერვალს მიიღეს.

ისევ 16 რიცხვს რომ დავუბრუნდეთ, კვინიტაძე დაეთანხმა ჯუღელს, რომელიც მას სახლში ეწვია. კვინიტაძის ბოლო გათავისუფლება იყო ჯუღელის პირადი მოთხოვნა, ეს სამეფო გენერალი მოაშორეთ ჩვენი რევოლუციური ქვეყნის ჯარსო. ამ დონის მოთხოვნები იყო, მეტი კი არაფერი ხდებოდა. ჰოდა, ახლა უბოდიშო ბოდიშის ვიზიტი იყო.

მოკლედ, იმავე ღამეს კვინიტაძე წაიყვანეს ნოე ჟორდანიასთან სახლში, სადაც შეკრებილიყვნენ მინისტრები და სამხედროები და იყო სამხედრო გეგმის განხილვა.

ეს იყო კომიკური სურათი, იმიტომ რომ ლაპარაკობდნენ მინისტრები და დეპუტატები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ სამხედრო საქმეზე. ოდიშელიძე კუთხეში იდგა ისევ და უთხრა კვინიტაძეს, გაბარებ ჯარს და გისურვებ წარმატებასო.

იქ ისეთ რამეებს ამბობდნენ, კვინიტაძეს ნერვები აეშალა.

უცებ შინაგან საქმეთა მინისტრმა და ძველმა სახელოვანმა რევოლუციონერმა, ნოე რამიშვილმა, მოიტანა რუკა და აღუწერა იქ მყოფთ თავისი გეგმა, რომელიც რაღაც ერთ კონკრეტულ ოპერაციას შეეხებოდა, მგონი, ფოილოს ხიდს და ეს გეგმა ისეთი უცნაური იყო, სულელურიც არ ეთქმოდაო, კვინიტაძე იხსენებს.

მე ამას შევეწინააღმდეგე და უცებ ლაპარაკი შეწყდა და ჟორდანიამ თქვა: აბა, ახლა ყველამ მივცეთ ხმა, რომ კვინიტაძე დაინიშნოს სარდლადო და ასე აირჩიეს.

როგორც გაირკვა, ჯერ მთავარსარდლად არ დაუნიშნავთ, ერთი მიმართულების სარდლად დანიშნეს. მაგრამ იმ ხმაურში ვერავინ ვეღარ გაიგო ეს ყველაფერი. მერე ბენია ჩხიკვიშვილი, თბილისის გენერალ-გუბერნატორი, ეუბნებოდა კვინიტაძეს: მე მეგონა, მთავარსარდლად გირჩევდი, ასე მივეცი ხმაო.

ერთი დღის მერე გაირკვა შეცდომა და ისევ დანიშნეს მთავარსარდლად. ეს ყველაფერი ოფიციალური სახელმწიფო ქაღალდების ამბავია, მეტი არაფრის.

მოკლედ, დეპუტატებიც დათანხმდნენ გენერალ კვინიტაძის გადაწყვეტილებას. იმდენი კი ესმოდათ იმ წუთში, რომ სამხედრომ უკეთ იცის, რა გააკეთოს. თუმცა, თბილისის დატოვება იყო ძალიან ტრაგიკული და, როგორც გამოჩნდა, ამან გადაწყვიტა კიდეც ომისა და ქვეყნის ბედიც. თუმცა, ამას კვინიტაძე ალბათ იმ წუთში ნაკლებ ანგარიშს უწევდა. სამხედროსათვის გადაწყვეტილება იყო სწორი, მაგრამ რეალურად ქვეყნისთვის ეს იყო დაქცევა. მოხდა ასეთი ამბავი და მოხდა.

რა უნდა ექნა ჟორდანიას? ჟორდანიამ დაწერა მოწოდება უკვე მიძინებული თბილისის მოსახლეობისათვის. ახალი ამბავი ქალაქში ბევრმა არავინ იცოდა. გამზადდა მატარებლები იმისთვის, რომ მთავრობა მცხეთაში უნდა გადავიდეს. დროებით, რამდენიმე დღით, მხოლოდ მანამდე, სანამ კვინიტაძე დაიბრუნებს ქალაქს. ჟორდანიამ დაწერა მოწოდება და ეს მოწოდება კოტე იმნაძემ წაიღო სტამბაში, გასამრავლებლად და ქალაქში გამოსაკრავად. იქ პირველი რიგითი მოქალაქე, რომელმაც ეს მოწოდება წაიკითხა, იყო ერთ-ერთი ასოთამწყობი, ვისაც უნდა აეკრიფა ტექსტი და ამ მოხუცმა კაცმა დაიწყო ტირილი. იმიტომ, რომ უბრალო ადამიანის დონეზე, ყველაფერი გარკვეული იყო.

ამის შემდეგ კი უნდა გადავინაცვლოთ თბილისის სადგურზე, სადაც დგას მთავრობის თავმჯდომარის მატარებელი. აქ არის ერთი

ვაგონი ჟორდანიასი, ვაგონ-რესტორანში კი აწყვია უამრავი სახელმწიფო ქაღალდი და იქავე არიან დეპუტატები და მინისტრები. არის ასევე გენერალ-გუბერნატორი ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც იმავდროულად საქართველოს რკინიგზების უფროსია და ჟორდანია ეუბნება კოტე იმნაძეს, თუ ჩამეძინოს, აუცილებლად გამაღვიძეო.

რამდენიმე ღამე არ უძინია და ეტყობა გრძნობდა.

ჟორდანიას ამ ღამის ძილი არის აპოთეოზი მთელი ამ ისტორიის.

გამაღვიძე, იმიტომ რომ მცხეთაში ხომ ისედაც გავჩერდებითო.

ამ სიტყვებით გამოეთხოვა იმნაძე მას და ვაგონებში ბოდიალისას გადააწყდა ისევ კუთხეში მიმჯდარ გენერალ ოდიშელიძეს, რომელსაც უთხრა, რომ ალბათ ის გეგმა სწორია, მაგრამ ეგებ თქვენ მითხრათ თქვენი აზრი უფრო დაწვრილებით, რა იყოო. მათ ილაპარაკეს, მაგრამ იმნაძისა და ოდიშელიძის ლაპარაკი იქ არაფერს არ წყვეტდა და ოდიშელიძის გეგმაც ალბათ უფრო ნაკლებად ძლიერი იყო სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ვიდრე კვინიტაძისა.

კოტე იმნაძე ამ სათავმჯდომარეო მატარებლის კომენდანტადაც დანიშნა ჟორდანიამ. იმნაძემ ერთხელ შეიჭყიტა ჟორდანიასთან, რომელსაც თავისი განთქმული პლედი ჰქონდა წაფარებული და ეძინა.

მთავრობის თავმჯდომარე ასე წაძინებული ტოვებდა თავისი ქვეყნის დედაქალაქს. კარგია, თუ დავიჯერებთ, რომ გულწრფელად ეგონა, რამდენიმე დღეში უკან დაბრუნდებოდა. მცხეთიდან თბილისამდე რამდენი უნდა იყოს მატარებლით?! ჟორდანიას არ გაეღვიძა. რას გაეღვიძებოდა. იმნაძეს მოერიდა გაღვიძება. ქვეყნის ბედი წყდებოდა, ჰოდა, შევიდა ბენია ჩხიკვიშვილთან, გენერალ-გუბერნატორთან, ასევე ძველ და ძალიან ცნობილ რევოლუციონერთან, რომელიც მერე ასევე კომუნისტებმა დახვრიტეს ვლადიმირის ცენტრალში და უთხრა, სძინავს და უნდა გავაღვიძოო. მატარებელი კი მიდის, არ ჩერდება, იმიტომ რომ ბრძანება უნდა გაიცეს, რომ გაჩერდეს მცხეთაში. ჩხიკვიშვილმა უთხრა, ეგაო დაღლილიაო და ეძინოსო. სად გავაღვიძოო? იმნაძემ. გორში გავაღვიძოთო. გორში როგორ, მცხეთაში უნდა გავაჩეროთ მატარებელი, მე მატარებლის უფროსი ვარო. მაგრამ ბენიამ უთხრა, მე მაბარია ეს ყველაფერი, მე ვარ გენერალ-გუბერნატორი და საქართველოს რკინიგზების უფროსი და გიბრძანებ, გორამდე მატარებელი არ გააჩერო, დაისვენოსო. იმან იქ დაისვენა და ღამის 12 საათზე კი დაიწყო ქართული ჯარების უკანდახევა უმაღლეს დონეზე, როგორც იყო შეთანხმებული და მოფიქრებული კვინიტაძის მიერ.

ყველაფერი ამ ღამის განმავლობაში განმავლობაში გაკეთდა და ასე ვთქვათ, თითქოს უკვე ლაგდებოდა მცხეთასთან ფრონტი. ისე რომ,

კვინიტაძე ავიდა მუხათგვერდზე სამასი კაცით და შტაბით, რომ კარგად ეყურებინა, გარშემო რა ხდებოდა. სისხამ დილიდანვე ყველაფერი მიდიოდა გეგმის მიხედვით. მთავარსარდალი უყურებდა, როგორ მოვიდა და დალაგდა მაზნიაშვილის ძალები. იღებდა ცნობებს, რომ კოჯრიდან მოიხსნა ეს ბატალიონები.

სრულიად გმირული ადგილი იყო ეს კოჯორი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იქ იუნკრები იყვნენ, პირტიტველა ბიჭები და მაშინ ფასდებოდა ესა, ახალგაზრდა და გამოუცდელი რომ იბრძვის. მოკლედ, კვინიტაძე იყო კმაყოფილი ყველაფერი ამით, მაგრამ კვლავაც ჯიჯგინიას გვარდიელების არეული უკანდახევა აგიჟებდა და ხედავდა, რომ ეს ხალხი ბატებივით დადიოდა აქეთ-იქით.

მან მცხეთაში ნახა ვალიკო ჯუღელი და უთხრა, შეკრიბე გვარდიის ნაწილებიო. ჯუღელმა, ყველანაირად ვეცდებიო და რამდენიმე საათის შემდეგ კი უთხრა, გორამდე მე ამ გვარდიელებს ვერ შევკრებ, აცაბაცა დადიანო.

ამასობაში რა ხდება მატარებელში? მატარებელი ეჰე-ჰეი და უახლოვდება გორს. გაჩერდა გორის სადგურში. გაჩერდა და ჟორდანიასაც გაელვიძა და გაიხედა ფანჯრიდან. გაიხედა ფანჯრიდან – ეს არის სადგური, სადაც ჯარისკაცები ირევიან და არც ერთი ოფიცერი იქ არ არის. ჟორდანია წერს თავის მოგონებებში, რომ უოფიცრებოდ დაყრილები იყვნენო. კვინიტაძე ავი ღიმილით პასუხობს თავის მოგონებებში, უოფიცრებოდ კი არ იყვნენ, ეგენი დეზერტირები იყვნენ და ოფიცრები ამიტომ არ ახლდნენ, მაგას ჯარზე წარმოდგენა არ ჰქონდა და რას მოსთხოვო. გამოუძახა იმ წუთში ზარით კოტე იმნაძეს და ჰკითხა, სადა ვართო? გორში ვართო. ერთი პატარა ამბავი ის არის, რომ ჟორდანიას მემუარებში შეცდომა გაეპარა. სადაც უნდა ეწეროს, რანდევუ (შეხვედრის ადგილი) იყო მცხეთაო, უწერია, რანდევუ იყო აღსტაფაო. აღსტაფა არის აზერბაიჯანში. ის უკვე მოხუცი წერდა ამას და ამიტომ აერია, მაგრამ ამას სულ წამოაძახებდნენ ხოლმე: რანდევუ იყო აღსტაფა, როგორ იყოო?

თუმცა მემუარები მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა.

ჰოდა, იმნაძემ უთხრა გორშიო. რატომ არ გამაღვიძეო და ასე მიბრძანა გენერალ-გუბერნატორმა ჩხიკვიშვილმაო.

ჟორდანიამ უთხრა: კაცო, მე ხომ გითხარი, მცხეთაში გამაღვიძეო მეთქი. ამიტომ, როცა მოგვარდება ეს საქმე, შენ სამხედრო სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეო. თავის ადიუტანტს ეუბნება, ვითომ რამეს წყვეტს იმნაძის გასამართლება. ამ დროს კიდევ ერთხელ გაიხედა ფანჯრიდან და რომ შეხედა ამ არეულ ჯარისკაცებს, როგორ არ გამაღ-

ვიძეო, კიდევ ერთხელ ჩაილაპარაკა და მერე ძალიან ყრუდ თქვა, დაიღუპა საქართველოო.

ესე იგი, ეს ამბავი მისთვისაც უკვე დამთავრებული იყო. ყველასთვის დამთავრებული ჩანდა, კვინიტაძის გარდა.

ამ დროს მცხეთასთან მართლა ლაგდება ეს ფრონტი, თუმცა კვლავ გვარდიელთა მოუწესრიგებლობა უშლის ხელს და ჟორდანიამ ბრძანა, გავბრუნდეთ მცხეთაშიო.

ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, უკვე დილაა, 25 თებერვალი.

ამ დროს გორთან ხდება ერთი ამბავი – შალვა ამირეჯიბი იყო ჟორდანიას მატარებელში, დეპუტატი და არა მარტო დეპუტატი, კიდევ ერთი საოცარი კაცი ამ ჩვენი ისტორიისა და ის იხსენებს, რომ ჩამოვედი ბაქანზე, დავინახე შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელიც იდგა თოფით ხელში სრულიად მარტოო.

და დავუწყე გამოკითხვა და მანაც ხეირიანად არაფერი იცოდაო.

მერე რამიშვილმა ჯარისკაცებს ჩხუბი აუტეხა, ამ დეზერტირებს და მათ გაიწიეს, უკვე არად დაგიდევდნენ, მინისტრია, თუ ვინ არის. ძლივს შემოიყვანეს რამიშვილი ვაგონში, ცხელგულიანი კაცი იყო და არ თმობდა ასეთ რამეებს. ამასობაში გაიგზავნა დეპეშა კვინიტაძესთან, რომ მცხეთის სადგურმა მიიღოს მთავრობის თავმჯდომარის მატარებელი და იქიდან მოვიდა პასუხი, რომ სადგური გაჭედილია და არ არის არც ერთი თავისუფალი ხაზი.

ამიტომ იძულებული შეიქნენ, მატარებელი გორში შეეჩერებინათ.

ჯარი იხევდა ძალიან არეულად. ის ისტორია, რომელიც კარგად დაიწყო კვინიტაძემ, მცხეთაშივე მოიშალა.

საღამოს თვითონ კვინიტაძე მოვიდა გორში. ამ დროს თბილისი უკვე დატოვებულია და იქ რუსები უკვე ერთი გასროლის გარეშე შემოდიან.

ძალიან ტრაგიკული სურათი იყო: დილით რომ გვარდიელები ეუბნებოდნენ კვინიტაძეს, მცხეთაში ვერა და გორში შევკრავთ გვარდიასო, ახლა გორში ეუბნებოდნენ, გორში ვერა და ხაშურში შევკრავთო. ქუთაისამდეც ორიოდე ნაბიჯი იყო დარჩენილი და საღამოს გორში ჩასულმა კვინიტაძემ რომ დაინახა მოშლილი და დეზერტირული ამბავი, დაიწყო სირბილი ბაქანზე. ეკითხებოდა ჯარისკაცებს, შენ რომელი ნაწილიდან ხარ? ეუბნებოდა, შენ აქ დადექი, შენ იქით დადექიო და ცდილობდა, გაემწკრივებინა, მაგრამ სანამ ათი კაცი დააყენა, იქით ათი დაიშალა. ჩაიქნია ხელი და ავიდა ისევ ვაგონში. ამ დროს მოვიდა ცნობა, რომ გვარდიელები კვლავ არ გაჩერდნენ და უკვე წიფის გვირაბში არიან და გადადიან დასავლეთ საქართველოში.

ძალიან საწყენია ეს ყველაფერი. თითქოს ყველა თავის საქმეს აკეთებს და თითქოს სწორადაც და თითქოს ეს ყველაფერი რატომღაც უნდა დაბრალდეს გვარდიას.

ეს იმიტომ, რომ ადამიანებს ერთმანეთი არ უყვარდათ და არ ენდობოდნენ, თუმცა ყველანაირად ცდილობდნენ, ერთად ეკეთებინათ საქმე. თბილისში კი უკვე იდგნენ წითლები.

სერგო ორჯონიკიძე არ იყო თბილისში, მიუხედავად გავრცელებული ლეგენდისა და ბაქოდან სწერდა თავის მეგობრებსა და მასწავლებლებსაც – ლენინს და სტალინს: თბილისის თავზე ფრიალებს გამარჯვების წითელი დროშა, გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს!

ტყუილი იყო ეს ყველაფერი. ჯანდაბას, მხოლოდ ტყუილი რომ ყოფილიყო.

ერთი ძველი სიმღერაა და ძალიან მხიარულიც ეთქმის და ცოტა დარდიანიც:

„შემოვიდნენ რუსები,
ატყდა დავიდარაბა,
რომელ პარტიას ეკუთვნის
ეძგვერაძე ბარნაბა“.

ძალიან ცნობილი სიმღერა იყო თავის დროზე, ახლა ძნელად გაიგონებ.

ეს სიმღერა იმაზეა, თითქოსდა ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ საიდანაც ქარი მოუბერავს, მერე უცბად იქით გადავალთ ხოლმე. კიდევ ერთ ძველ ლექსს ეხმიანება ძალიან კარგად, ორი ათასი წლით ადრინდელს: შენ, გივო ამილახვარო, სვიანო, დავლათიანო, ხან აქეთა ხარ, ხან იქით, საითაც ქარნი ქრიანო.

ანუ ვიყავით მენშევიკები და გავხდით ბოლშევიკები. ამას თუ დაგვაჯერეს, ხომ კარგიო, კიდევ იმასაც იტყოდნენ.

რუსები რომ ხელახლა შემოვიდნენ, აქედან სულ დასეტყვეს კრემლი ტელეგრამებით: ქართველი მშრომელი ხალხი სიხარულით ეგებება წითელ არმიას, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო. აჩვენებდნენ, რომ ხალხი კმაყოფილია. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ნოე რამიშვილმა, დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთმა ლიდერმა, სადღაც თქვა, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ უბრალო ხალხმა არ ივარგაო, მართლა გამოვა, რომ ეძგვერაძე ბარნაბას ამბავია.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ასე იოლად არ იყო, ივარგა თუ არა უბრალო ხალხმა, მაგის დათვლა შორს წაგვიყვანდა, თუმც იგივე უბრალო ხალხი ხშირად ალალ-მართალი და უკან დაუხეველიც იყო იმავე ოციან წლებშიც. სერგო ორჯონიკიძეს რაც არ უნდა ეტრაბახა

მოსკოვში, ეს არ იყო იოლი ქვეყანა წითელი წესრიგის დასამყარებლად.

ბევრ ქართველ ბოლშევიკს საერთოდ სხვანაირად წარმოედგინა საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლა. რა გულუბრყვილო გაქანების ხალხი იყო, ძნელი სათქმელია, მაგრამ ასე ტკბილად კი ეგონათ, რუსებს მენშევიკების გასაყრელად მოვიხმართ და მერე ჩვენ მოვხედავთ, ჩვენს დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოსო. მერე შეწუხდნენ. ბუდუ მდივანმა იხუმრა, მარქსმა კი თქვა, პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდითო, მარა თბილისში შეერთდითო, ნამდვილად არ უთქვამსო.

ქუთაისში რომ შევიდნენ წითლები, რევკომის შენობასთან ბომბი აფეთქდა და თქვეს, ბაჭუა იქნებოდა, ნაწყენი ყოფილა ჩვენზე, ჯარით რომ შემოვედითო. შამშე ლეჟავა იყო იქ ბოლშევიკი და გაეცინა, არ იყო ეგ ბაჭუა, ბაჭუა ასაფეთქებელს ააფეთქებდაო.

მივიდა მერე ბაჭუა ფილიპე მახარაძესთან და თავისი ძველი ბოლშევიკური მანდატი დაუგდო, ამისთვის ვიომე ოც წელიწადს, რო ვიღაცა ნაბიჭვრებს ხალხი ეხვრიტათო?

უცნაური ხალხი იყო.

ქვეყანა კი გაძეძგილი იყო ჯარით. განსაკუთრებით, რთულად წოდებული ადგილები.

აი, 1923 წელი. საქართველოს გაწითლებიდან ორი წელია გასული. მხოლოდ ქალაქ ოზურგეთში თავმოყრილია: საკუთრივ ოზურგეთის მილიციის რაზმი, სამაზრო მილიციის რაზმი, საგანგებო ნაწილი, იგივე ჩინის რაზმი, თბილისიდან გამოგზავნილი წითელი ჯარი. სავსეა იქაურობა.

იმ დროის მოგონებებს რომ კითხულობ, გაგიკვირდება – რომელ სოფელშიც არ შევლენ ქართველები, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან, ყველგან ეუბნებიან, ფრთხილად, სოფელი სავსეა მილიციითო. ან ამდენი საიდან იყო. ისინიც ქართველები არ იყვნენ? თუ ამდენი იდეური ბოლშევიკი გამოჩნდა უცბად, ეს კიდევ ერთხელ დაგვაბრუნებს ნახსენებ სიმღერასთან, მაგრამ ეს მაინც არ არის წამყვანი ამბავი ამ შემთხვევაში.

ქართველი ბოლშევიკების ერთი ნაწილის გულუბრყვილობაზე შეიძლება ხმამაღლა არა, მაგრამ ძალიან მაგრად იცინოდნენ მოსკოვში და თბილისშიც მათი გუშინდელი ამხანაგები. თედო სახოკიას ერთ მოკლე მემუარში აღწერილია, როგორ ეუბნება მას წითელი საქართველოს ჯარისა და ზღვის სახალხო კომისარი, შალვა ელიავა, თედო, რას შვებიან, ვერ გავიგეო, ჩემთან დასახვრეტების სიები მოაქვთ, მაგრამ მე ხელს არ ვაწერო...

მოსკოველი უფროსების სახელები ცნობილია. შეჭამეს ლენინი, სანამ ეს საქმე არ მოაკვარახჭინეს. ახლა, ლენინს არ უნდოდა და თავს იკლავდა, საქართველოს არ მიეკაროთო, ნამეტანი იქნება, მაგრამ ამათ უნდოდათ ძალიან. ომის დაწყების წინ კობამ რუსული ასოებით, ქართული სიტყვებით შედგენილი დეპეშა გამოუგზავნა სერგო ორჯონიკიძეს: დასტურია, აიღე ქალაქი. ზუსტად ასე ეწერა.

პირველ წლებში რეჟიმი მძიმე იყო იმით, რომ ყველაფერზე პასუხი იყო უბრალო – მეტეხის ციხე და ტყვია. გაზეთებშიც ეწერა: ჩვენ ვუპასუხებთ ტყვიით საგანგებო კომისიიდან – ჩეკადან, ესე იგი.

აი, ასეთი პასუხი იყო კაცისთვის, რომელიც როგორღაც მოხვდებოდა ამ რეჟიმისა და ჩეკას თვალთახედვაში, თორემ, მეორე მხრივ, საქმე ისე გამოდიოდა, რომ ამ ომში ყველა ყველას იცნობდა ორივე მხრიდან და ყველა ყველას იცნობდა ბავშვობიდან. უცხო ერთმანეთისთვის თითქმის არავინ არ იყო და იმ ქართველი ოფიცრების უმრავლესობა, რომლებიც არ ნაჰყვნენ მთავრობას, რომლებიც თებერვალში წითელ არმიას ებრძოდნენ, მოხვდნენ ოფიცრებად ახალ, წითელ ქართულ ჯარში. მაგალითად, იგივე ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავიდან ირიცხებოდა ქართულ წითელ კავალერიაში. ომის დამთავრებისას ის ბათუმში იყო და სწორედ იქ შეხვდა დამპყრობი წითელი კავალერიის მეთაურს, ულობას, რომელიც ასევე მეფის დროინდელი ოფიცერი იყო.

იმ დროის საქართველოს საინტერესო და ტრაგიკული კაცი იყო პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც უკვე წითელ ქართულ დივიზიას მეთაურობდა. მაგრამ ამბავიც ეს იყო, რომ ასეთი ხალხის უმრავლესობას ჰქონდა ორმაგი ცხოვრება. როსტომ მუსხელიშვილი წითელ მეთაურად კი შექნილიყო, მაგრამ ექვემდებარებოდა იატაკქვეშა სამხედრო ცენტრს, რომელიც გეგმავდა აჯანყებას.

საერთოდ, საქმე ისე იყო, რომ ვინც არ გაიქცა, იატაკქვეშა საქმიანობას მისდევდა, იმიტომ რომ ასეთი იყო დროის კარნახი. იცით, როგორი ქვეყანა იყო? ყველაფერი იყო მოსწრებაზე. მაგალითად, იყო საშუალება, რომ უცბად გამართულიყო მიტინგი. ჰოდა, აი, ვლასა მგელაძეს, უშიშარ მენშევიკს, მეტსახელად იტრიას, შეეძლო, უცბად შემხტარიყო პარაპეტზე, ჩაეტარებინა მიტინგი და სანამ ჩეკისტები მოცვივდებოდნენ, გამქრალიყო. დრო მოითხოვდა ძალიან დიდ სიმამაცეს, თუ ბრძოლა გინდოდა. და ბევრი ადამიანისგან ეს სიმამაცეც იყო.

ტყე სავსე იყო ხალხით. ტყე ყოველთვის იყო საქართველოს გადამრჩენელი. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელს ეუბნებოდნენ მტრები, შენ ტყეების ხელმწიფე ხარო და ველზე ვერ გამოხვალო. ჰოდა, ახლაც

მთელი საქართველოს ტყეები სავსე იყო მამაცი ხალხით, რომლებიც ელოდნენ ნიშანს. ტყის რაზმები იყო ბევრი აღმოსავლეთ საქართველოშიც, დასავლეთ საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ. ქაქუცას შესახებ დღეს ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ იყო მიშა ლაშქარაშვილიც და მრავალი სხვა.

მაგრამ თავიდან არ იყო საერთო ორგანიზაცია, თანდათან შეიქმნა, რახან საბოლოოდ გადაწყდა, რომ საქართველომ უნდა იბრძოლოს დამოუკიდებლობისთვის.

საქართველოში აჯანყებები 1921 წლიდანვე დაიწყო. პირველად იყო სვანეთში და აჯანყება ჩაახშეს.

კაცი, რომელიც ამ აჯანყებას მეთაურობდა სვანეთში, იყო პოლკოვნიკი მუშნი გარდაფხაძე, საარაკო სამხედრო და ყველა ქართული კამპანიის მონაწილე დამოუკიდებლობის დროს. წარმოუდგენელი სიზუსტის მსროლელი, რომლის შესახებაც ლეგენდებს ყვებოდნენ, თუ როგორ ალაგებდა თავზე კვერცხებს თავის ჯარისკაცებს და როგორ ასწავლიდა ასე სიმამაცეს და ამტანობას, ესროდა თვითონ სამოცდაათი ნაბიჯიდან და ყოველთვის ზუსტად.

საერთოდ, ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ვისაც ჭკუა ეკითხებოდა, ყველა იჯდა მეტეხის ციხეში და ამ ხალხს საჭიროების მიხედვით, ანუ მიზეზის მიხედვით ხვრეტდნენ. ხვრეტდნენ ძალიან ცნობილ და ხშირ შემთხვევაში ძალიან კარგ ხალხს.

აი, გურული ეგზეკუციების დროს გოგია ღლონტმა ჯალათი საშა ობოლაძე მოკლა, პირდაპირ ეტლში შეუხტა. საპასუხოდ ჩეკამ მეტეხის ციხიდიან 93 კაცი დახვრიტა.

როსტომ მუსხელიშვილის ამბავს რომ მოვხედოთ, მისგან განსხვავებით, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მალევე მიატოვა წითელი კავალერია და ტყეში გავიდა. 1922 წელს ქაქუცამ უმეთაურა მთიულებს და ხევსურები გამოიყვანა. ამ აჯანყებას მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატები უჭერდნენ მხარს და თან ხედავდნენ, რომ ასეთ აჯანყებას აზრი არა აქვს.

თვითონ ქაქუცა თავს იკავებდა, მაგრამ ხევსურები ძალიან მოითხოვდნენ, მეტის გაძლება აღარ შეგვიძლიაო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის იატაკქვეშეთმა არ დაუჭირა მხარი ამ აჯანყებას, მაგრამ მაინც მოხდა ეს ამბავი.

დუშეთში იყო დიდი ომი და უბედურება და თბილისიდან ამ აჯანყების ჩასახშობად გაგზავნეს სწორედ როსტომ მუსხელიშვილი, ანუ ადამიანი, რომელიც სინამდვილეში ექვემდებარება იმ ორგანოს, რომელიც ეთანხმებოდა ამ აჯანყებას. წარმოიდგინეთ, მეფის ორი

პოლკოვნიკი, ორი წარმოსადეგი და ვაჟკაცი ოფიცერი, იდგა ერთმანეთის პირისპირ. თანაც, ისინი არა მხოლოდ ერთ საქმეს აკეთებენ, არამედ მეგობრებიც არიან და ერთს არ უნდა აჯანყება, მაგრამ აჯანყდა, მეორე კი წესით უნდა ეხმარებოდეს, მაგრამ უნდა შეებრძოლოს და როგორ უნდა შეებრძოლოს?

რას აკეთებს მუსხელიშვილი?! ის როგორღაც უკავშირდება დუშეთში ერთ ექიმს, მენშევიკს, საიდუმლოდ ხვდება და ეუბნება, რომ თუ გინდათ, მე ხელ-ფეხი გახსნილი მქონდეს, სოციალ-დემოკრატები, ვინც არის იქ შეიარაღებული, დაუქვემდებარეთ ჩემს საიდუმლო ბრძანებებსო. ამით მას საბრძოლო სურათის კონტროლი უნდოდა და ეგებ გადაწყვეტილიც კი ჰქონდა ბოლო მომენტში აჯანყებულთა მხარეს გადასვლა. ეს არ გამოვიდა.

დიდი შეტაკებების შემდეგ ქაქუცა და მისი ხალხი გაუჩინარდა ისევ ტყეებში და მერე გადაღმაც გადავიდნენ. როსტომ მუსხელიშვილი კი დაბრუნდა თბილისში, მაგრამ მას დიდი დღე არ ეწერა. იმ აჯანყებამ გამოაჩინა, რომ ყველამ უნდა იმოქმედოს ერთად და თუ აჯანყებაა, უნდა იყოს მთელ საქართველოში და შეიქმნა ერთიანი ორგანო.

მანამდეც არსებობდა დამოუკიდებლობის კომიტეტი, მაგრამ ახალი იყო ინტერპარტიული და მისი მეორე და უკანასკნელი თავმჯდომარეც იყო კოტე ანდრონიკაშვილი. ყველაფერი ძალიან დამალულად და იატაკქვეშ ხდებოდა. ამ ორგანოს დაექვემდებარა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ყველა ტყის რაზმელიც.

წინა დამკომი კი ჩავარდა. ერთ-ერთმა ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატმა სტუდენტმა, გასცა მთელი სამხედრო ცენტრი. ეს ნიშნავდა, რომ მთელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობა გენერალ კონსტანტინე აფხაზის თაოსნობით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

მათ შორის დააპატიმრეს მუსხელიშვილიც. ეს ხალხი 1923 წლის გაზაფხულზე დახვრიტა ჩეკამ.

ჰოდა, დრამატული დამთხვევა იყო, რომ გაზეთ კომუნისტში რომ გამოქვეყნდა ცნობა ამათი დახვრეტის შესახებ, სწორედ იმ დღეს გამოუშვეს ჩეკადან კათალიკოსი ამბროსი, რომელიც კარგა ხანს ჰყავდათ იქ იმ ცნობილი წერილის გამო, გენუის კონფერენციას რომ მისწერა საქართველოს თავისუფლების შესახებ. კათალიკოსმა სიონში გადაუხადა პარაკლისი დახვრეტილებს. ვისაც გული ერჩოდა, იქ იყო. მაგრამ პირველსავე სიტყვებზე კათალიკოსი გახდა ცუდად.

ვინ თქვა, რომ ქართველებს რწმენა აღარა აქვთო, – თქვა ესა და გული წაუვიდა.

სიონის დეკანოზმა, შემდგომში თვითონაც კათალიკოსმა, კალის-

ტრატე ცინცაძემ, მრევლშივე იპოვა ექიმები და უწმინდესი მოასულიერეს.

მან იქადაგა და ყველა დაამშვიდა.

მოკლედ, სურათი ამ ქალაქში იყო საშინელი და დამთრგუნველი. ქვეყანაშიც, მაგრამ თბილისში ძალიან იგრძნობოდა. ისინი ყველაფერს პასუხობდნენ ტყვიით, სხვა პასუხი არ ჰქონდათ, არც არსებობდა ალბათ. მაგრამ მზადდებოდა აჯანყება.

ხშირად გაიგონებთ ხოლმე, რომ ქართველებმა აჯანყების ორგანიზება არ იციან, ქართველებს წესრიგი არა აქვთ და არც უყვართ, ქართველებს ასეთი რამეები არ გამოსდით, ქართველებს ჰყავთ გამცემები. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

მგონი, ეს იყო ბრწყინვალედ ორგანიზებული აჯანყება. იმათი მხრიდან, ვინც ამზადებდა, ყველაფერი სწორი იყო. მაგრამ არც ვითარება და არც დრო არ იყო ისეთი, რომ ეს აჯანყება განხორციელებულიყო.

ხალხი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ამზადებდა ამას და ეს იყო თავზე ხელაღებული და ძალიან ჭკვიანი ხალხი, რომლებიც ფაქტობრივად დღის სინათლეზეც კი ვერ გამოდიოდნენ, იმიტომ რომ ყოველი დაჭერილი კაცი ნიშნავდა ინფორმაციის წასვლას და არა მარტო ინფორმაციის, არამედ სერიოზული ძალისასაც.

აჯანყება მზადდებოდა დიდხანს და ძალიან საფუძვლიანად.

რახან მასში უნდა ყოფილიყო ჩართული მთელი საქართველო, შესაბამისად, არ უნდა ყოფილიყო სოფელიც კი, სადაც სააჯანყებო საქმის საიდუმლო ხალხი არ იმოქმედებდა და ასეც იყო. ამის გაკეთება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ კეთდებოდა. ისე იყო, ვაჟა რომ ამბობდა ქოსების დუქანში.

აჯანყების მზადებას ჰყავდა თავისი გმირები.

ერთ-ერთი საქმის კაცი ამ აჯანყების მზადებისას იყო პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილი. ეს იყო სრულიად საოცარი კაცი. ის მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში გარდაიცვალა რუმინეთში, სადაც ქართველ ტყვეებს პატრონობდა. საგანგებოდ ჩავიდა, იცოდა, რომ იქ ქართველი ტყვეები იყვნენ, საბჭოთა საქართველოდან.

ეს იყო კაცი, რომელიც თავის დროზე იყო მეფის არმიის ყველაზე ახალგაზრდა ქართველი პოდპოლკოვნიკი.

მოჯანყეთა უმრავლესობა ძველ ცხოვრებაში იყო ძალიან გამორჩეული ადამიანი.

სოლომონი იყო ორივე ფეხში დაჭრილი I მსოფლიო ომის დროს და დიდხანს სიარული უჭირდა, მაგრამ ამ კაცმა მთელი აღმოსავლეთ საქართველო ფეხით მოიარა. რა იყო მისი ცხოვრება? მოგეხსენე-

ბათ, მაშინ ისეთი ტელეფონი არ არსებობდა, რომ ტყეში კაცს დაელაპარაკო, არც ინტერნეტი და არც რამე სხვა, რაც დღეს არსებობს. მაშინ ყველაფერი ხდებოდა პირადად. პირადად უნდა გაგეკეთებინა და ხდებოდი სამშობლოს ფოსტალიონი.

ეს საქმეები უნდა გეკეთებინა ჩუმად.

სულ უბრალო, ერთი რიგითი წასვლა თბილისიდან სააჯანყებო საქმეზე, დიდი სირთულე იყო. აი, სოლომონ ზალდასტანიშვილიმა უნდა მოინახულოს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართლში, სადღაც კასპის მაღლა, ტყეებში, სადაც ქაქუცა თავს ინახავს ოცდაათი კაცით.

ამბავი უნდა ჩაუტანოს და დირექტივა გადასცეს.

წარმოიდგინეთ: ოჯახი გყავს, ცხოვრობ ჩვეულებრივი ცხოვრებით, მაგრამ გაქვს მეორე – დამალული ცხოვრება. იატაკქვეშა ცენტრი გავალებს, გადასცე საჭირო ამბავი ქაქუცა ჩოლოყაშვილს. ჩამოდის კაცი, მეკავშირე, რომელმაც იცის, სად არის ქაქუცა და უნდა წაგიყვანოს. მას არა აქვს დირექტივის გადაცემის უფლება, უბრალო გამყოლია.

და ღამით ორნი მიდიან თბილისიდან მატარებლით კასპში, ან სადამდეც მივა ის მატარებელი.

ზალდასტანიშვილი იხსენებს, ერთ-ერთი ასეთი მგზავრობის დროს ჩემთან ერთად მატარებელში იყო ასევე ტყის ცნობილი მეთაურის, მიშა ლაშქარაშვილის ცოლი, რომელიც რაღაც საქმეზე მიდიოდა ქართლში სოციალ-დემოკრატების კომიტეტის დავალებითო. ჰოდა, ჩამოვედით გამთენიას, ზემო ხანდაკს, და როგორც კი ჩამოვედი ვაგონიდან, დავინახე, ლაშქარაშვილის ცოლთან ვილაც გლეხკაცი მივიდა და რაღაც უთხრა, ეს ქალი სასწრაფოდ შეტრიალდა და შევიდა სადგურის შენობაშიო.

მოკლედ, ლაშქარაშვილის ცოლი ეუბნება ჩოლოყაშვილის მეკავშირეს, სოფელი გაჭედილია მილიციელებით და ჩეკისტებით და მითხრეს, რომ სახეზე მიცნობენ და მისვლა არ მირჩიეს, ეხლა უკანა მატარებელს ველოდებიო, ანუ ჩაეშალა. ზალდასტანიშვილმა მაინც განაგრძო გზა და მივიდა მტკვრის პირამდე, სადაც ბორანი იყო.

თან ისე მიდიან ესა და მეკავშირე, რომ ვითომ ცალ-ცალკე არიან. უწიეს ბორანს და შევიდნენ იმ ხუხულაში, სადაც მებორნე ზის ხოლმე.

იმ შენობაში კი აღმოჩნდნენ მილიციელები.

ჰოდა, ესენი ვითომ ცალ-ცალკე არიან და სოლომონმა მოიგონა, რომ ვითომ სააგარაკო ადგილს ეძებს ოჯახისთვის. მილიციელებმა უთხრეს, ჩვენ გაპოვნინებთო, მაგრამ აშკარაა, არ ენდობიან, გაჰყავთ ეს ქაქუცას კაცი და რაღაცეებს ეკითხებიან: ვინ არის ეს კაციო, სად შეგხვდაო და ასე.

იცით, რა არის?

იერი ხშირად ყიდდა ამ ხალხს.

იერით იყვნენ ძალიან სხვები. სხვა საქართველო.

იმავე დროის ამბავია, დასავლეთ საქართველოდან, უკვე აჯანყების შემდგომი.

ახალგაზრდა, ინტელიგენტი კაცი, დადაშ გელოვანი, დაიჭირეს და დახვრიტეს მხოლოდ იმის გამო, რომ დუქნიდან გამომავალს გზის პირას პენსნე ამოუვარდა ჯიბიდან. გლეხურად კი ეცვა, მაგრამ მიხვდნენ, რომ ინტელიგენტია და მიხვდნენ, რომ ვილაცაა და დაიჭირეს და დახვრიტეს. იერი ყოველთვის ყიდდა კაცს და ყოველთვის რაღაცა ხიფათის შემცველი იყო.

სოლომონ ზალდასტანიშვილს რომ დაინახავდნენ, ხვდებოდნენ, რომ არ არის უბრალო კაცი, მაგრამ იძახის, სააგარაკედ ოთახი მაშოვნინეთო და ასე გათენდა, ბოლოს და ბოლოს, და თითქოს ყველა ერთად უნდა გადავიდნენ ბორნით მეორე ნაპირზე, მაგრამ მილიციელები ეუბნებიან, თქვენ წადით, ჩვენ აქ საქმეები გვაქვსო. ჰოდა ზალდასტანიშვილი ამბობს, რომ მივხვდი, მაინც რაღაცას ეჭვობენ და უნდათ დაადგინონ ერთადა ვართ მე და ეს მეკავშირე თუ არაო.

ის თავის წიგნში არ ახსენებს ბევრი ადამიანის სახელს და გვარს, იმიტომ რომ ისინი ისევ საქართველოში ცხოვრობენ, როცა სოლომონი უკვე ემიგრაციაშია. გადავიდნენ ბორნით ორნი და შეთანხმდნენ, რომ მთელი დღე ცალ-ცალკე გაატარონ და შებნელებულზე შეხვდნენ ერთმანეთს დათქმულ ადგილას და მერეღა წავიდნენ ქაქუცასთან.

ამ დღის მანძილზე იმ მადევრების ამბავიც გამოჩნდება.

მთელი დღე. სად უნდა გაატაროს კაცმა? მთელი დღე ბუჩქებში ვიჯექიო, წერს. ღამე შეხვდებიან ერთმანეთს ისევ, მიდიან ქაქუცასთან და სალაპარაკოს ერთ საათზე მეტი არ მოუნდათ და ეს კაცი იმავე მარშრუტს უკვე ღამე მიჰყვება და დილით თბილისშია: არის ჩვეულებრივი ადამიანი და ცხოვრობს, მიდის და მოდის.

არის კიდევ ერთი ესეთი ეპიზოდი, უკვე ზედ აჯანყების წინა დღეებისა და იქაც ასე ხდება, რომ ქაქუცასთან ფეხით ჩამოდის კაცი დუშეთიდან და ჩამოაქვს რაღაც ცუდი ამბავი. ქაქუცა ეუბნება, დაისვენე და აუცილებლად დღესვე უნდა წახვიდეო და ამ კაცმა არ დაისვენა და წავიდა ისევ ფეხით.

ეს იმიტომ მახსენდება, რომ ყოფით დონეზე ასეთი საქმეების კეთება ძალიან ძნელი იყო და მაინც კეთდებოდა კარგად და ფრთხილად, მაგრამ ამ აჯანყების მთავარი ნაკლი უცხოეთთან ცუდი კავშირი იყო. ასე ამბობენ. და კიდევ, შიგნით ხშირი იყო გაცემა. ეს მოსალოდნელიც

იყო. როცა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ უნდა ავჯანყდეთ და ეს მართლა იცოდა მთელმა საქართველომ, ყოველმა სოფელმა და, ცხადია, ბევრი რამ იცოდა ჩეკამაც.

მაგრამ რაც ჩეკამ და ხელისუფლებამ იცოდა, მათთვის საკმარისი არ იყო.

და იყო კიდევ რაღაც უცნაური სტილი წერილებით ლაპარაკისა ჩეკასა და დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმომადგენლებს შორის.

ეს ძალიან უცნაურია დღევანდელი დღისთვის.

აი, ვთქვათ, მოხდა ასეთი ამბავი: იყო ეროვნულ-დემოკრატი, ძალიან კარგი კაცი და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ამ აჯანყების მზადებისა გიორგი წინამძღვრიშვილი. ის დაიჭირეს მაშინ, როცა იარაღის პარტია ჰქონდა მზად ქაქუცასთან გასაგზავნად. მაშინ ცნობილი ჩეკისტი ეჯიბია დაეცა და დაიჭირა ამ თავისივე იარაღით.

დახვრეტას არ ჩქარობდნენ, სულ უნდოდათ, რაღაც წერილები მიეწერა დაჭერილს.

ჰოდა, დამოუკიდებლობის კომიტეტის სხდომაზე მოაქვთ წინამძღვრიშვილის წერილი, რაღა თქმა უნდა, შედგენილი ჩეკისტების კარნახით, რომ მე ამათ ამას და ამას მოვუყვები და ამათი პირობები კი არის ასეთი და ასეთი და ასე შემდეგ.

ამ შემთხვევაში პასუხი იყო ერთი: არ ვიცი, როგორც გინდა ისე დაიძვრინე მანდედან თავიო, იმიტომ, რომ ამათ იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი ნამდვილი არ იყო.

ასეთი რამ ხშირი იყო.

ყოველდღიური საქმე იყო საჭირო.

აქეთ ძალიან ჭირდა, აღმოსავლეთ საქართველოში, ეს იყო უფრო რთული, მიუხედავად იმისა, რომ ჯარი და ჩეკა დასავლეთ საქართველოში რომ იყო, იმდენი უნდოდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, გურიაში, საქმე იყო ბევრად კარგად და უზუსტესად ორგანიზებული და როცა აჯანყება მოხდა, მაშინ გამოჩნდა, რომ ყველაზე მაგრად გურიაში მომზადებულან.

სამეგრელოში და იმერეთშიაც. თუმცა იმერეთში სხვა რამ გაუგებრობა მოხდა, ოღონდ ეს სულ სხვა ისტორიაა.

რატომ?

იმიტომ რომ დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა ბევრი პროფესიონალი რევოლუციონერი, რომლებიც მანამდე ოც წელიწადს ნიკოლოზას ებრძოდნენ, როგორც იმ დროის საქართველოში იტყოდნენ.

აღმოსავლეთში კი პრაქტიკულ საქმეს აკეთებდნენ პროფესიონალი სამხედროები.

არის ასეთი საოცარი წიგნი, „ბრძოლა სამშობლოსათვის“, რომელიც დაწერა სიმონ გოგიბერიძემ, ერთ-ერთმა რიგითმა სოციალ-დემოკრატმა.

ვინ იყო ეს კაცი?

ის იყო ჯერ რევოლუციონერი, მერე კარგი მოხელე დამოუკიდებელ საქართველოში, მერე კი – იატაკქვეშა ლიდერი წითელ საქართველოში.

მან არაჩვეულებრივად მოამზადა აჯანყება თავისი ქვეყნის მტრების წინააღმდეგ – იმ ადგილას, სადაც მას ეხებოდა. როცა დამარცხდა და წავიდა ემიგრაციაში, შემოიპარებოდა ხოლმე საქართველოში ათასი საქმით. ბოლომდე არ დაუკარგავს იმედი და ბოლო შემოსვლისას, უკვე 30-იან წლებში, ჩავარდა და დაიჭირეს. ჩვენ ვეღარ ვიპოვით მის საფლავს, ეს წიგნი კი დარჩა.

აი, ასეთი ხალხი აკეთებდა საქმეს დასავლეთ საქართველოში.

ყველა საქმეს უხდება დროის თანხვედრა.

ისე მოხდა, რომ 1924 წლის საქართველოში მზადყოფნა და აჯანყება ერთმანეთს არ დაემთხვა და გაიწელა თვეები.

თვითონ მონაწილეები ამბობდნენ, რომ 1923 წლის შემოდგომისთვის სამხედრო საქმე და ყველაფერი მოგვარებული იყო.

აჯანყების არსი იყო ძველქართული, როგორც ქართველების წესია – დაძახებით და ქუდზე კაცით.

ძალიან ბევრმა ადამიანმა იცოდა, რომ აჯანყება უნდა მოხდეს და როცა დაგვიძახებენ, უნდა მივიდეთ. ეს ხალხი ჩვეულებრივად ცხოვრობდა, ხნავდა მიწას, ერიდებოდა წითლებს და ელოდებოდა თარიღს.

მაგრამ ამბავს მარტო ერთი მხარე არა აქვს. ცხადია, აქვს მეორე მხარეც ხელისუფლება, რომელიც ასევე ძალიან მაგრად და ჭკვიანურად მუშაობდა.

მთელი ამ აჯანყების დროს საქართველოში პარიზიდან მოდიოდნენ ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, მრლებიც ჩართულნი იყვნენ აჯანყების მზადების საქმეში, მაგალითად, მინისტრი ნოე ხომერიკი; ანდა პოპულარული ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფაღავა; ანდა კონია კანდელაკი; ან თვით ვალიკო ჯუღელი.

გოგიტა ფაღავა არის ის კაცი, რომელმაც პირველმა შეატყობინა საქართველოს მეფის რეჟიმის დამხობის ამბავი პეტერბურგიდან თავისი ცნობილი სახუმაროდ დაშიფრული დეპეშით: „მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ მეგობრებს და ახლობლებს“.

გოგიტა ფაღავა იმავდროულად იყო ევგენი გეგეჭკორის, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, დისშვილი.

ჰოდა, აი გოგიტა იყო ჩამოსული, ვასილ ნოდია... ბევრი ხალხი, მოკლედ. ემისრები სულ ჩამოდიოდნენ და სულ იყო მზადება, მაგრამ საქმეც ეს იყო, რომ თვითონ ჩეკა მოქმედებდა ძალიან ჭკვიანურად და სწორად ასეთ ვითარებაში.

ანუ უცაბედი დაცემით საქმეს არ იფუჭებდნენ.

შეიძლება იცოდნენ, რომ სადღაც საიდუმლო კრებაა, მაგრამ არ დაეცემოდნენ. იჭერდნენ თითო-თითოდ. ასე დაიჭირეს საბრალო ფაღავაც, რომელსაც ბაქოსთან კავშირის გაბმის დროს ჩეკისტებმა წაუსწრეს, იმიტომ რომ ის აზერბაიჯანელები, ვისაც ელაპარაკებოდა, ასევე რაღაცაში იყვნენ გახვეულნი. ნოე ხომერიკიც დაიჭირეს და ბევრი სხვაც, ნაკლებად ცნობილი. სხვა საკითხია, რას ლაპარაკობდა ეს ხალხი ჯურღმულებში.

ტყვეობაში ისინი იქცეოდნენ ძალიან ვაჟკაცურად. საქმე იყო, რა ხარისხის ამბავს შეიტყობდა ჩეკა შენგან, თორემ აჯანყების ამბავი იცოდა ყველამ.

ჰოდა, კვლავ უნდა ვახსენოთ ერთი კაციც, რომელზეც მართლაც ბევრი რამ იყო დამოკიდებული.


ეს იყო საქართველოს სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი, რომელიც, როგორც თვითონ თქვა დაკითხვისას, დაბრუნდა საქართველოში აჯანყების სამეთაუროდ.

რა კაცი იყო ვალიკო ჯუღელი?

ერთ დროს ბოლშევიკი, მერე მენშევიკი, ის იყო ძალიან უშიშარი კაცი, თავზე ხელაღებული, რევოლუციური რომანტიკით სავსე, არცთუ ძალიან შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი. დამოუკიდებლობის წლებში ის მონაწილეობდა ყველა სამხედრო კამპანიაში თავის სახალხო გვარდიასთან ერთად.

სამწუხაროდ, ახლა არ არის ადგილი იმისა, რომ ავხსნა, რა იყო სახალხო გვარდია. მოკლედ კი, ეს არის მენშევიკების პირადი ჯარი, რევოლუციური სახალხო გვარდია. მანამდე წითელი იყო და მერე სახალხოდ მაინც გადააკეთეს. გვარდიაში ბევრი ღირსეული ადამიანი იყო და ბევრი ძალიან საინტერესო კაცი, მაგრამ ეს ყოველგვარ ორგანიზაციას და ხშირად საღ აზრს მოკლებული დაწესებულება იყო და სარდლად ჰყავდა ვალიკო ჯუღელი, რომლის წიგნი – „მძიმე ჯვარი ანუ სახალხო გვარდიელის ჩანაწერები" – ადრეც ვახსენე.

იქ ვალიკო აღწერს თავის სამხედრო გმირობებსა და ფატალიზმს. ვთქვათ ლაშქრობა ქურთასა და ყორნისზე, როცა ოსებმა წითელი ოსეთი გამოაცხადეს და პირველად გამოეყვნენ საქართველოს. სამჯერ გამოაცხადეს ბოლშევიკური ოსეთი და ბოლოს შევიდა ჯუღელი.










დამოუკიდებული საქართველოს მიაგრობა



დამფუძნებელი კრების სხდომა



ვალერიან სიდამონ-ერისთაი



ღადაშ გელოვანი



ქაქუცა ჩოლოყაშვილი



სანდრო შანშიაშვილი



ივანე გომართელი



კოტე აფხაზი



წითელი არმია თბილისში






ჩართული ჯარისკაცები

ქართველი ჯარისკაცები







დაღუპული ქართველი ჯარისკაცები





ბოე ჟორდანია და გენერალი მაზნიაშვილი




გენერალი გიორგი კვინიტაძე



გიორგი კვინიტაძე



ამბროსი ხელაია



ობილისის უნიერსიტეტი



დღემდე იხსენებენ იმიტომ რომ მან რამდენიმე სოფელი გადანვა და თავის დღიურებში უწერია ყოვლად სულელურად, რომ როცა ვუყურებდი, სოფლები როგორ იწვოდაო, ვხვდებოდი, რას გრძნობდა ნერონი რომის ხანძრისასო... ამ გაქანების კაცი იყო. რომის მასშტაბი ელანდებოდა.

ბევრი ასეთი ეპიზოდი აქვს თავის წიგნში. ერთი ასეთია, რომ პატარა გემით მოცურავენ სოხუმთან გვარიან ღელვაში და ყველა განიცდის, გადარჩება გემი თუ არა, ვალიკო კი შედის და კაიუტაში იძინებს. ჯერ შავი ზღვის ნაპირზე რა ღელვა უნდა იყოს ისეთი, რომ გემი ასე უკანმოუხედავად ჩაიძიროს, მერე კიდევ, ეჰ, უშიშარი კაცი იყო ვალიკო ჯუღელი, ცნობილი. დატანჯული ჰყავდა ქართველი გენერლები, თუ რამე არ მოეწონებოდა და არაფერს აცლიდა.

ერთ-ერთი იმ სტუდენტთაგანი იყო, რომელიც, ილია რომ მოკლეს, არ აღშფოთდა. ცნობილი გამოთქმა სოციალ-დემოკრატებისა, სადაც ხეს ჭრიან, იქ ნაფოტიც ცვივაო, ხან ნოე ჟორდანიას მიეწერება, ხან კი სწორედ ვალიკოს, რომელსაც თითქოს სტუდენტურ კრებაზე შეეყვიროს ესა.

ის მაინც იყო რევოლუციური „ბრავადით“ სავსე კაცი და შიში მართლაც არა ჰქონდა. ძალიან სიმპათიური იყო გარეგნულად. იმერელი კაცი, ახალგაზრდა, მხნე და ყველა საქმეში მონდომებით ჩამრთველი, მაგრამ მასთან ლაპარაკი და სახელმწიფო საქმის გარჩევა იყო უბედურება. რომ წარმოვიდგინოთ, იქითა მხრის სერგო ორჯონიკიძე შეიძლება დავარქვათ. რაღაც ამბავში, რა თქმა უნდა. და ალბათ ასევე ძნელი იყო მასთან ლაპარაკი იმ საბრალო დამოუკიდებლობის კომიტეტის სხდომებზეც, რომლებსაც ის ესწრებოდა და იძახდა ალბათ ისევ, „სახალხო გვარდია“, თუმცა მან, საბრალომ, ერთი ათად გადაიხადა ეს ყველაფერი, მოკვდა გმირივით, მეტიც, მოწამესავით.

ჯუღელი დაიჭირეს. 6 აგვისტოს.

ამ დროს ვითარება ისეთი იყო, რომ, 15-16 აგვისტოს აჯანყება უნდა დაიწყოს და ამისთვის ბევრგან ყველაფერი მზადაა.

ქაქუცა ყოველთვის ითხოვდა, ნუ გადაწევთ, ნუ გადაწევთ, მე ვიცნობ აღმოსავლეთ საქართველოში გლეხის შეგნებას, სანამ მოსავალს არ დააბინავებს, სანამ ყურძენს არ დაკრეფს, სანამ ღვინოს არ მიხედავს, არ მოვა. ან უნდა მოვიდეს ამ საქმემდე გვარიანად ადრე, ან შემდეგ.

არადა, გლეხები არიან. აჯანყება – ეს არის მთავარი ძალა, რომელიც ბოლომდე ენდობა მეთაურებს და თან კი აქვთ მონდომება კი არა და, საერთოდაც გმირული განწყობა.

6 აგვისტოს, გაღმიდან საბურთალოს მხარეს ბორნით გადამავალი

ჯუღელი დაიჭირეს. ამბობენ, რომ ქალთან ერთადაც იყო და საიდუმლო კრებაზეც მიდიოდაო. დაიჭირეს და იქვე მიიყვანეს პლეხანოვზე, რკინიგზელთა სახლში.

ჩეკას შეეძლო ეამაყა ამით. მთავარი უბედურება კი ის იყო, რომ ჩეკისტებმა პირველივე საღამოს იოლად დააჯერეს ჯუღელი, რომ ყველამ ყველაფერი იცის. მას კითხავდა გამომძიებელი მოროზოვი, რომელმაც – ამ ამბებზე თავს ვერავინ ვერ დადებს, რა იყო და როგორ იყო – ალალბედზე უთხრა: ჰა, 10 დღეში იწყებთ აჯანყებას?

და ამან ჯუღელზე მოახდინა სრულიად გამანადგურებელი შთაბეჭდილება, ისე რომ, მან ცხადლივ დაინახა, რომ ეს აჯანყება სისხლის ტბების მეტს არაფერს მოიტანს, რადგან ყველაფერი იცოდნენ.

ჯუღელმა ძალიან ვაჟკაცური რაღაცეები ითხოვა, თუმცა იმის ალღო მაინც არ ეყო, რომ არდასაჯერებელი არ დაეჯერებინა. ვინ გაამტყუნებს? ვერავინ. იქ მოხვედრილი კაცის გამტყუნება არ გამოვა.

მან ჯერ ითხოვა, წერილი მიმაწერინეთო, რაზეც უარი მიიღო. მერე თქვა, ისეთი საწამლავი დამალევინეთ, რომ თანდათან მომკლას და გამიშვით, ვნახავ მეთაურებს და გავაფრთხილებ, რომ არ ღირსო.

ეს ყველაფერი ოც დღეზე მეტს გრძელდება. ამაზეც უარი უთხრეს. ძალიან მძიმე იყო იქ, ჩეკაში. ერთმა კარგმა ანდრონიკაშვილმა, უკვე მერე, კედლიდან ლურსმანი გამოაძრო და ის დაარტყა ყელში გამომძიებელ შუხმანს. ჯუღელმა კოვზით გადაიჭრა ვენები.

დახვრიტეს შემოდგომაზე, აჯანყების შემდეგ. სადაც ახლა ვაკის კიდეა, იქ ხვრეტდნენ ხევში და იქ სიტყვა თქვა სიკვდილის წინ და როგორც ამბობენ, იყო ვიღაც ჩეკისტი, გვარად ზარგინავა, რომელიც კარგა ხანს, აგერ 70-იან წლებამდე ცოცხალი იყო და მან იცოდა ეს სიტყვა ზეპირად, იმიტომ რომ ესწრებოდა დახვრეტას. ეს ძალიან რომანტიკული და გმირული ამბავია, მაგრამ თვითონ აჯანყებისთვის ამ საქმეს კარგი არაფერი მოუტანია.

სააჯანყებო სურათი ასეთი იყო: მთლიანად დასავლეთ საქართველო, როგორც იტყვიან, სანერვიულო არ იყო. ბათუმის გამოკლებით.

გეგმით, ორი მთავარი ქალაქი აჯანყებისთვის იყო ბათუმი და თბილისი. სხვაგან ყველაფერი ბევრგან ბრწყინვალედ იყო. მაგრამ ბათუმისა და თბილისის ამბავი ჩავარდა და აჯანყებაც ჩავარდა.

ბათუმშიც ჩეკისტებმა იყოჩაღეს, ადრევე გაანადგურეს იატაკქვეშა ცენტრი. თბილისში კი საქმე ბევრად რთულად იყო.

მოკლედ, 1-დან 6 აგვისტომდე სააჯანყებო ვითარება იყო ძალიან ხელსაყრელი. იმიტომ რომ აჯანყებულებმა იცოდნენ: რაც საქართველოში ქვემეხი და ზარბაზანია, სულ 120 ერთეული, მიტანილია და

დგას ვაზიანში, ანუ მათ ძებნა არ სჭირდება და მათგან ხიფათი ნაკლებად მოსალოდნელია, თუ ჭკვიანურად დაარტყამ საჭირო ადგილას. მეორე ამბავი ის იყო, რომ წითელი ჯარი იწყებდა მანევრებს სწორედ აგვისტოში და დაიწყო კიდეც ეს მანევრები, რაც აწყობდათ, ვთქვათ, აჯანყებულებს, მაგრამ ჯუღელის დაჭერის შემდეგ ეს ყველაფერი შეიცვალა. ხელისუფლებამაც ბევრი რამ შეიტყო და ბევრი გაკეთდა, ჯარი უკან დაბრუნდა, გზებზე კონტროლი გამკაცრდა და ასე შემდეგ.

ვითარება უკვე წამგებიანი იყო და ამ ვითარებაში დამოუკიდებლობის კომიტეტი ამბობს: თარიღი უნდა გადავწიოთო.

ამბავი ყველას უნდა შეატყობინო, თან დასავლეთ საქართველოში უკვე გადაცემულია პირველი გეგმა და კავშირები გაიშვიათებულია, ძალიან ძნელია თითოეულ ცენტრთან დაკავშირება.

უნდა გადავწიოთ ორი კვირით მაინც.

ერთი თარიღი იყო 9 აგვისტოც. ეს არ მოეწონა არც ერთ მეთაურს, ვინც ტყეში იყო და ვისაც რეალურად ჰქონდა ხალხთან შეხება და ვისი გამოსაყვანიცაა ხალხი. ქაქუცა ჩოლოყაშვილთან თუნდაც ორმოცდაათი კაცი ყოფილიყო, მას ხუთასი სჭირდებოდა. ეს ორმოცდაათი მეთაურებად თუ ეყოფოდა. ნაცადი ხალხი.

ასე იყო სხვაგანაც და ამან ძალიან დასცა მეთაურების განწყობა. ჯუღელის დაპატიმრების შემდეგ სულ იყო ორჭოფობა, აბა, საერთოდ დავიწყოთ, თუ არ დავიწყოთ, მარა საბოლოოდ მაინც გადაწყვეტილი იყო, რომ დაეწყოთ.

სპირიდონ ჭავჭავაძე უკვე დანიშნული იყო მთავარსარდლად და ის ქაქუცასთან ბანაკშიც გავიდა უკვე, როგორც მთელი ქართული აჯანყების მეთაური.

ყველაფერი კეთდებოდა წესების სრული დაცვით.

მთავარსარდალს უნდა ჰყავდეს შტაბი, ადიუტანტები და ეს ყველაფერი იყო ორგანიზებული, მაგრამ წარმოიდგინეთ, მეთაურებმა იციან, აღმოსავლეთ საქართველოში ვითარება არის ძალიან არასასურველი.

მიუხედავად თარიღის დაუდგენლობისა, ხალხი ჯერ კიდევ იწევს. ამ გაწევამ 20 რიცხვამდე გასტანა.

ალექსანდრე კარგარეთელის მოგონებაა: ის იყო 16-17 წლის და სოფელ კავთისხევში იყო დასასვენებლად ზაფხულის არდადეგებზე. ჰოდა, მეზობლის ბიჭმა უთხრა საიდუმლოდ, აჯანყება იწყებაო. 14-15 აგვისტოს ამბავია. აჯანყება იწყება და რა ვქნათო. რა უნდა ვქნათ, უნდა ჩავებათო და შეიკრიბა ხუთი ბიჭი, გავიდნენ მეკავშირეზე, ნახეს ეს მეკავშირე, მასთან ერთად იარეს უამრავი და მივიდნენ დიდგორზე. იქ დახვ-

დათ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვებიც, ევროპულად ჩაცმული ხალხი, მათ შორის შალვა ამირეჯიბი და კოტე ანდრონიკაშვილი და ქაქუცამ ერთი გადმოხედა და ეს ბავშვი სადღა წამოგიყვანიათო, ჩემზე უთხრაო.

მაგრამ ეს ბავშვი ბოლომდე იყო იქა და მერე მოახერხა და გავიდა მათთან ერთად საზღვარგარეთ, უკვე დამარცხებული აჯანყების შემდეგ.

ანუ ხალხს ჯერ უნდოდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ შეიქნა სულ სხვა ვითარება.

პოლკოვნიკი ცაგურია, რომელიც დაძრწოდა ქართლის სოფლების გარშემო და ელოდა 200-300 კაცს, იმიტომ რომ ციფრები ყველა მხრიდან იყო ძალიან იმედის მომცემი აგვისტოს დასაწყისში, ბოლოს თავისი ათი კაცით დარჩა. ხუთჯერ განაიარაღა მილიციელები, აგროვებდა ამ თოფებს, მაგრამ რისთვის აგროვებდა? ათი კაცით რა ექნა?

ძალიან კარგად იყო ორგანიზებული თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ლაშქარაშვილის რაზმები, მარა ერთხელაც ვერ მოხერხდა, რომ ისინი ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ.

სულ ეუბნებოდნენ, გადი, ქალაქთან ახლოს არ მოხვიდე, იმიტომ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყება ვერ დაიწყო ისე, როგორც უნდა დაწყებულიყო.

ამ დროს უკვე ცნობებია: ქუთაისიც ვერ აიღეს, მიადგნენ და უკან დაბრუნდნენ, იმიტომ რომ იქ აღმოჩნდა დათვლილზე ბევრი წითელი ჯარი.

ერთი ტრაგი-კომიკური მომენტი ამ აჯანყებისა ის იყო, რომ ერთადერთმა ადგილმა საქართველოში, ერთადერთმა ქალაქმა დაიწყო აჯანყება ერთი დღით ადრე.

ეს ყველაფერი უნდა დაწყებულიყო მარიამობას, ღამის 2 საათზე, მაგრამ 24 საათით ადრე აჯანყება დაიწყო ჭიათურაში. ეს ძალიან ბნელი ისტორიაა. ეს არ არის მარტო ის, რომ ქართველურად ვიღაცეებს აერიათ და ერთი დღით ადრე გამოცვივდნენ ქუჩაში ძველი აზნაურები და აფიცრები.

ამ დღეს გაიტანეს ჭიათურის მარგანეცის სალარო. რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა ქნა ესა. თუ არა ვცდები, მერე უკვე ქაქუცა ჩოლოყაშვილი ამ ახალგაზრდა კაცებს შეხვდა თურქეთში, სადაც ისინი მზეზე აშრობდნენ დასველებულ ბანკნოტებს.

კაცმა არ იცის, ეს წიგნებშიაც კი ჭორად არის, თუმცა რამდენიმე ამათგანის ვინაობაც ცნობილია. მაგრამ ეს უბრალო დამთხვევა იყო. ეს ახალგაზრდები თავის დასაცემ საქმეზე იყვნენ იქა, თუ თავიანთი საქმე განგებ ჩააბეს აჯანყებას, ვინ იცის. ასე იყო თუ ისე იყო, უცბად

გავარდა ამბავი, რომ ჭიათურაში დაიწყო აჯანყება და შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ სადაც გაიგეს ეს ამბავი, მეორე დილითვე ყველგან დაიწყეს. ამ დროს კი უნდა მოეცადათ, რომ ერთ დროს, ერთ წუთს და ერთ საათს დაწყებულიყო.

და რა მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში? აქ მთავარი იყო, ხალხი რომ მოვიდოდა, დაარტყამდნენ თბილისს.

ჭავჭავაძესაც ასეთი გეგმა ჰქონდა და ქაქუცამაც იტრიალა თბილისის გარშემო. მანამდე იყო მანგლისის ყაზარმების შტურმი, მერე ავიდნენ ისევ დუშეთისკენ და ვერ აიღეს.

მოკლედ, დიდი უთავბოლობა იყო გარშემო, მაგრამ აშკარა იყო ერთი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ინიციატივა იყო ხელისუფლების ხელში, ანუ ბოლშევიკები კარნახობდნენ ვითარებას. შენ რომ მოძრაობას გააკეთებდი, ისინი წინ გხვდებოდნენ, რაც არ იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც გაძლეს და სანამდე გაძლება იყო, გაძლეს და მერე უკვე ყველანაირი აზრი დაკარგული ჰქონდა და შეწყვიტეს.

რა უბედურებაც მოაყოლეს ამას და რაც დატრიალდა, ყველამ იცის. სერგო ორჯონიკიძე პოლიტბიუროზე რომ გამოდიოდა, იქ თქვა, კი, ცოტა მეტი მოგვივიდაო.

ტროცკიმ ჰკითხა: როცა იქ მენშევიკების მთავრობა იყო, მენშევიკები გხვრეტდნენო?

დასცინა.

მაგრამ რის მენშევიკი?! ანადგურებდნენ ქვეყანას მთლიანად. ხვრეტდნენ და ხვრეტდნენ. ვის – საქმისთვის, ვის – გარეგნობის და ვის – გვარიშვილობის გამო.

სწორედ ამ აჯანყების დღეებში, სექტემბრის პირველ რიცხვებში გაჩნდა გაზეთებში ჯუღელის წერილი, რომელიც მანამდე არაფრით არ გამოაქვეყნეს: გაჩერდით, ყველაფერი იციანო.

სისხლი უკვე ბევრი იყო და აი, მაშინ გამოაქვეყნეს ეს წერილი. აქაოდა და ამ წერილს, რა თქმა უნდა, სიები, სიები მოჰყვება, რომ ვინც მეტეხშია, იმათ უკვე ხვრეტენ და დანარჩენი დასაჭერია.

ჰო! ყველაზე კარგი რა იყო ამ აჯანყებაში – არსად, ძალიან ბევრი სოფელი და ქალაქი აიღეს აჯანყებულებმა და არსად ერთი წითელიც კი არავის დაუხვრეტია, არავინ!

ბევრნი გარბოდნენ, სხვები კი იმდენად საცოდავები იყვნენ, რომ ოთახებში ჰყავდათ ჩაკეტილი და საჭმელს უდგამდნენ. ეს იყო ამ აჯანყების კარგი, ქართველური ამბავი.

სხვანაირად კი, ძნელი იყო ეს ყველაფერი, იმიტომ რომ ცუდ დროს დაიწყო. წაგებული საქმე იყო.

მერე ქაქუცა ერთხანს შიომღვიმეში იყო, ისევე როგორც ეს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები. მერე მოიხსნა იქიდან და ავიდა მთებში, იქ, სადაც ყოველთვის ჰქონდა ბინა და სადაც ყოველთვის კაცურად შეინახავდნენ და იქ კი, შიომღვიმეში, დაიჭირეს ყველანი, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები, კოტე ანდრონიკაშვილის მეთაურობით.

ეს კარგი ხალხი იყო. საქართველოში პარტიებს ხომ სძულდათ ერთმანეთი. ჰოდა, მენშევიკები ამბობდნენ კოტე ანდრონიკაშვილზე, რომელიც მენშევიკი იყო, ეგ რა მენშევიკია, ეროვნულ-დემოკრატების მხარეს არისო და ეროვნულ-დემოკრატები ამბობდნენ დამკომის სხვა წევრზე, იასონ ჯავახიშვილზე, ეგ მენშევიკების მხარეს გადასულაო.

ანუ დამკომის წევრები სწორად მუშაობდნენ და საქართველოს საქმეს აკეთებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოდგა.

არის საშინელი კარიკატურა ამ დატუსაღებისა. გაზეთ „კომუნისტშია" დაბეჭდილი.

შიომღვიმის მონასტრის გალავანთან გასუქებული მღვდლები და ბანდიტის სახიანი ადამიანები დგანან და წითელარმიელები მათ ამარცხებენ.

ყველანი დახვრიტეს.

სპირიდონ ჭავჭავაძემ გააღწია ქაქუცასთან ერთად.

მიუხედავად მთელი ამ წაგებული საქმისა, მოხდა ეგეთი ცნობილი ამბავი: ხელისუფლება უკვე ითვლიდა გზებს, რომელი რაზმი საით მიდიოდა. გამოცნობადი იყო ქაქუცას გზაც.

და მოხდა ხევგრძელზე ომი. რაზმელები ტყეში გაჩერდნენ დასასვენებლად და 15 წუთში ატყდა სროლა.

წითლები ბევრნი იყვნენ, ორი მხრიდან იყო შეტევა, ზარბაზნებსაც კი გვესროდნენო. ჰოდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა გააკეთა ძალიან მახვილგონივრული სვლა და რაზმელები იგონებენ, გორაკს შემოგვატარა და ისე მოხდა, რომ კომუნისტების ქვემეხი ქაქუცას დადევნებულ კომუნისტებსვე ესროდაო. ჩვენ სამშვიდობოს გავედით, მათ კი ერთმანეთი ახოცვინაო.

სპირიდონ ჭავჭავაძემ უთხრა ქაქუცას, შენ ნაპოლეონი ყოფილხარო.

კი ამბობდნენ მანამდე, ბევრი ამბობდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყოს სარდალიო, მაგრამ დამოუკიდებლობის კომიტეტში არ დაეთანხმნენ და სპირიდონ ჭავჭავაძე იყო თვითონ ქაქუცას კანდიდატურა.

რაც აჯანყებას მოჰყვა და რა დღეშიც საქართველო ჩავარდა, მტერსაც ვერავინ უსურვებს, მაგრამ ის არ არის სწორი, რომ თითქოს

კომუნისტებმა რეპრესიები აჯანყებას მოაყოლეს. მთელი ეს სამი წელიწადი იყო ხვრეტა და უბედურება, ეგზეკუციები და რა აღარ. გურიის ამბავი რად ღირს მარტო, ეს ობოლაძისა და ტალახაძის ცნობილი საეგზეკუციო რეჟიმები.

ხალხი საშინელ დღეში იყო.

ყველაზე მტკივნეული მომენტები ამ ისტორიაში რა იყო იცით?

ეს ადამიანები ერთმანეთის ნაცნობები იყვნენ.

მაგალითად, ობოლაძე ოჯახებს რომ არბევდა გურიაში, იმ ოჯახებში როგორც რევოლუციონერი, ტერორისტი და ბანდიტი, 10-15 წლით ადრე თვითონ ინახავდა თავს.

ეს იყო ძნელი, თორემ იმ ეპოქის სისასტიკე ცნობილია. გასაგებია, რომ შეშლილი ადამიანები რაღაცას აკეთებენ და რაღაცის საძირკველს ქმნიან და ამიტომ ხოცავენ ყველას და ყველაფერს. მაგრამ საქართველოში შენიანის და სხვისიანის გარჩევა რომ აღარ არის, რაღას უნდა მოელოდეს კაცი.

ყველა ქართველი ბოლშევიკი არ იყო ეგეთი.

ის საბრალო აჯანყება იყო.

უბრალოდ, დრო იყო ცუდი და ქართველებმაც რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ჯერ ღვინო დაებინავებინათ და მერე მიეხედათ სამშობლოსთვის. ბევრმა, ყველამ კი არა. ვინც არ გადაწყვიტა და ისინი ან შეაწყდნენ, ან როგორღაც გაასწრეს.

მერე იყო სხვა საქართველო. საერთოდ სხვა.

ეს ბოლო ნამდვილი საქართველო იყო, რაც მოხდა.

თუ ვეძებთ იმ საქართველოს, იმის ამბავი ასე იწყება: რომელმან შექმნა სამყარო...

გრძელია და ეგებ საზეპიროდ მოსაწყენიც.

მეორე, უფრო იოლი, ასე მოისმის: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა, შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა...“

ეს გრიგოლ ორბელიანმა თქვა, რუსის გენერლად რომ მოვიხსენიებდი მთელი ამ ნაწერის სიგრძეზე.

მოდი და, ერთი მიგვიხვდი ქართველებსა.